საქართველოს სსრ განათლების სამინისტრო

გ. გოზალიშვილი

ძველი ისტორიის ქრესტომათია

სამეცნიერო-მეთოდური კაბინეტის გამომცემლობა
ტფილისი 1951

რედაქტორი დოც. ალ. შარაშიძე

წინასიტყვაობა

წინამდებარე ქრესტომათიის მიზანია მიაწოდოს უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტის თეორიულ კურსდამთავრებულ სტუდენტებს სადიპლომო შრომის დასაწერად, აგრეთვე, უნივერსიტეტისა და პედაგოგიური ინსტიტუტების ისტორიის ფაკულტეტის სტუდენტებს, სემინარებსა, საკურსო სამუშაოებსა და რეფერატებზე მუშაობის დროს ანტიკური პირველწყაროებიდან გამოსადეგი მასალა.

იგივე მასალა წარმატებით შეუძლია გამოიყენოს ისტორიის გაკვეთილებზე საშუალო სკოლის მასწავლებელმა.

და, ბოლოს, ეს მასალა დიდ დახმარებას გაუწევს კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებათა ლექტორებს სამეცნიერო-პოპულარული ხასიათის ლექცია-მოხსენებების კითხვის დროს.

ქრესტომათიაში მოცემული მასალა არ წარმოადგენს წყაროთა აკადემიურ პუბლიკაციას და შეფარდებულია მის პრაქტიკულად მოხმარების დანიშნულებასთან.

წიგნის ბოლოში დართულია მხოლოდ ისეთი შენიშვნები, რაც სტუდენტის ცოდნის მარაგს შეავსებს.

გ. გოზალიშვილი

1951 წ. 15 მარტი.

კილონის აჯანყება

ჰეროდოტე, V, 71.

ათენელთა შორის იყო ვინმე კილონი, ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებული[1]. მას ახასიათებდა ქედმაღლური ჩვევა, ოცნებობდა რა გამხდარიყო ტირანი. მან მოაგროვა თავისი ამქარი და სცადა ხელთ ეგდო აკროპოლისი, მაგრამ, ვერ შესძლო რა დაუფლებოდა მას, დაჯდა როგორც მლოცველი კერპთან.[2] ნავკრარების პრიტანებმა,[3] რომლებიც მაშინ ათენს განაგებდნენ, მათ წინადადება მისცეს გამოსულიყვნენ, აღუთქვეს რა სიცოცხლის შენარჩუნება. მაგრამ ისინი დახოცილ იქნენ და ამაში ბრალი ედებათ ალკმეონიდებს. ეს მოხდა ჯერ კიდევ პიზისტრატეს ეპოქამდე.

თუკიდიდე, I, 126.

იყო ვინმე კილონი, ოლიმპიურ თამაშობებში გამარჯვებული, ძველი გვარის ათენელი, წარჩინებული და ძლიერი. მას ცოლად ჰყავდა მეგარელი თეაგენეს ქალი, მაშინ მეგარაში ტირანად რომ იყო. როდესაც კილონი დელფოს მისანს შეეკითხა, ღმერთმა წარმოსთქვა, რომ კილონმა უნდა დაიკავოს ათენის აკროპოლისი ზევსის უდიდესი დღესასწაულის დროსო. მაშინ მან გამოართვა ჯარი თეაგენეს და შეაგულიანა რა თავისი მეგობრები, როდესაც პელოპონესში ოლიმპიის დღეები დადგა, დაიკავა აკროპოლისი იმ მიზნით, რომ ტირანი გამხდარიყო; მან გადაწყვიტა, რომ სწორედ ეს არის ზევსის უდიდესი დღესასწაული და რომ ეს დღეობა მას ერთგვარად ეხება, როგორც ოლიმპიის დღეობებზე გამარჯვებულს. მაგრამ უდიდესი დღესასწაული იგულისხმებოდა ატიკაში, თუ სხვაგან სადმე, მას ეს ზუსტად არ გამოურკვევია და არც თვით მისანს მიუთითებია. ათენელებსაც აქვთ დიასია, რომელსაც მოწყალე ზევსის უდიდეს დღესასწაულს უწოდებენ და უქმობენ ქალაქგარეთ, რომლის დროსაც სახალხოდ მსხვერპლად სწირავენ არა ცხოველებს დიდი რაოდენობით, არამედ ხდება ადგილობრივი საღმრთო მსხვერპლების შეწირვა. მაგრამ კილონმა წარმოიდგინა, რომ მას სწორად ესპის მისნის ნათქვამი და შეუდგა თავისი განზრახვის შესრულებას. მაგრამ ამის შემხედვარე ათენელები ჭუდზე კაცი მოვიდნენ სოფლებიდან შეთქმულთა წინააღმდეგ დასახმარებლად და, დაბანაკდნენ რა,

ალყა შემოარტყეს შეთქმულთ. მაგრამ, რადგანაც საქმე დიდი ხნით ჭიანურდებოდა, ათენელთა უმრავლესობა, რომელსაც მობეზრდა იქ დგომა, წავიდა, ხოლო ალყაშემორტყმულთა დარაჯობა დაევალა ცხრა არქონტს, რომელთაც მიეცათ განუსაზღვრელი უფლება საქმე ისე მოეგვარებინათ, როგორც თვითონ უმჯობესად მიიჩნევდნენ. მაშინ ხომ სახელმწიფო საქმეებს მეტწილად ცხრა არქონტი განაგებდა. ალყაშემორტყმულ კილონის მომხრეებს ძალიან გაუჭირდათ, რადგან წყალი და საჭიმავე შემოაკლდათ. კილონმა და მისმა ძმამ გაქცევა მოახერხეს. დანარჩენებს ისე გაუჭირდათ, რომ ზოგიერთი სიკვდილის პირად იყო მისული შიმშილისაგან; ამის გამო ისინი დასხდნენ საკურთხეველთან აკროპოლისში, როგორც მაცდრებელნი. მაშინ იმ ათენელებმა, რომლებსაც მათი დარაჯობა ჰქონდათ დავალებული, დაინახეს რა, რომ ისინი ტაძარში იხოცებიან. წინადადება მისცეს გამოსულიყვნენ და აღუთქვეს, რომ მათ ცუდს არაფერს შეამთხვევდნენ; ნამდვილად კი ისინი წაიყვანეს და დახოცეს. ზოგიერთები დახოცეს იმისდა მიუხედავადაც კი, რომ მათ გზადაგზა თავი შეაფარეს დიდად მიჩნეულ ქალღმერთთა საკურთხეველს. ამ დროიდან მკვლელ ათენელებს და მათ შთამომავლობასაც უწმინდურებს და ღმერთქალის წინაშე შემცოდველებს უწოდებდნენ.

პლუტარქე — სოლონი, 12.

კილონის ცოდვას უკვე დიდი ხანია არეულობა შეჰქონდა სახელმწიფოში, იმ დროიდან, როცა კილონის მომხრეები — ქალღმერთის მაცდრებელნი — არქონტმა მეგაკლემ დააკერა ჩამოსულიყვნენ, აღუთქვა რა მათ სასამართლოს წინაშე თავის მართლების შესაძლებლობა. მათ კვარცხლბეკს მოაბეს დაგრეხილი ბაწარი და იმით ჩამოეშვნენ, და უკვე დიდად მიჩნეულ ქალღმერთებს რომ მიუახლოვდნენ, ბაწარი თავისთავად გაწყდა: მაშინ მეგაკლემ და მისმა ამხანაგებმა არქონტებმა ამაში დაინახეს იმისი ნიშანი, რომ ღმერთქალმა არ შეიწყნარა მათი ვედრება და მიესივნენ მათ შესაპყრობად. ამასთანავე ზოგნი ქუჩაში ჩააქვავეს, ზოგმა კი საკურთხევლებთან მიირბინა და მათ იქ ყელები გამოსჭრეს. შეიწყნარეს მხოლოდ ისინი, რომლებმაც თავიანთი ცოლები მოსარჩლედ დაიყვანეს. ამის გამო ამ მკვლელთ უწოდეს უწმინდურები და მათ მტრულად უცქერდნენ. ცოცხლად გადარჩენილი კილონის მომხრენი კვლავ გაძლიერდნენ და გამუდმებით ებრძოდნენ მეგაკლეს შთამომავლებს. მაგრამ იმ დროს, როცა არეულობამ დაძაბულობის უმაღლეს წერტილს მიაღწია და ხალხი პარტიებად დაიყო, შუამავლად გამოვიდა სოლონი, რომელსაც მაშინ უკვე სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, და მასთან ერთად უკეთილშობილესი ათენელები: თხოვნითა და განმარტების საშუალებით მან დაარწმუნა ის ეგრეთ წოდებული უწმინდურნი, რათა

წარმდგარიყვნენ სასამართლოს წინაშე და გადაეცათ თავიანთი საქმე განსახილველად სამასი მსაჯულისათვის, რომელნიც კეთილშობილთაგან ამოირჩეოდნენ. ფლიელი მირონი გამოვიდა ბრალმდებლად და უწმინდურნი ცნობილი იქნენ დამნაშავედ; ცოცხლები გააძევეს, ხოლო რაც შეეხება მკვდრებს, მათი გვამები ამოყარეს და ქვეყნის საზღვრებს იქით გადაყარეს. ამგვარი შფოთისა და, ამას გარდა, მეგარელების თავდასხმის გამო ათენელებმა დაკარგეს ნისეა და მეორეჯერ იქმნენ გამოდევნილი სალამინიდან. ამას გარდა ცრუმორწმუნეობრივი შიშის გამო სახელმწიფო მოიცვა საშინელმა წინაგრძნობებმა და მოჩვენებებმა, და ყველაფერი ეს, მისნების განმარტებით, მიუთითებდა იმაზე, რომ ცოდვები და უწმინდური საქმეები გაწმენდას საჭიროებდნენ. აი, ამის გამო მოვიდა მათთან კრეტიდან საგანგებოდ გამოწვეული ფესტელი ეპიმენიდე.

სოლონის კანონმდებლობა

პლუტარქე — სოლონი, 13.

ათენელებმა კილონის აჯანყების დამთავრებისა და უწმინდურთა ზემოაღნიშნული განდევნის შემდეგ კვლავ განაახლეს წინანდელი დავა სახელმწიფო წყობილების გამო, ამასთანავე სახელმწიფო დაიყო იმდენივე პარტიად, რამდენიც თვით ქვეყნის შიგნით ბუნებით ერთი მეორისაგან განსხვავებული რაიონი იყო. სახელდობრ, დიაკრიების მოსახლეობა. ყველაზე უფრო დემოკრატიული იყო; ყველაზე უფრო ოლიგარქიულად იყვნენ განწყობილი პედიაკები. მესამენი კი — პარალიები, ამჯობინებდნენ რა რაიმე საშუალოსა და შერეულს, ერთგვარ დაბრკოლებას წარმოადგენდნენ და არც ერთსა და არც მეორეს არ აძლევდნენ გამარჯვების შესაძლებლობას. ხოლო, რადგან მაშინ ღარიბებსა და მდიდრებს შორის უთანასწორობამ თითქოს უმაღლეს წერტილს მიაღწია, ამიტომ სახელმწიფო სრულიად შერყეული იყო და ისე ჩანდა, რომ მას შეეძლო მყარ ნიადაგზე დამდგარიყო და განთავისუფლებულიყო შფოთისაგან იმ შემთხვევაში, თუ ტირანია დაწესდებოდა. უნდა გვახსოვდეს, რომ მთელი ხალხი მდიდრების ვალებში იყო ჩაფლული, რადგანაც ან მათ მიწებს ამუშავებდნენ, უხდიდნენ რა მათ მოსავლის ერთ მეექვსედს — ამათ ეწოდებოდათ ჰექტემორები და თეტები — ანდა სესხს იღებდნენ და თავიანთ კრედიტორების კაბალაში ექცეოდნენ, ამასთანავე ერთნი მონებად ხდებოდნენ სამშობლოში, მეორენი უცხოეთში იყიდებოდნენ. ბევრი ღვიძლ შვილებსაც კი ჰყიდდა — ამას არც ერთი კანონი არ კრძალავდა — ანდა გარბოდა სამშობლოდან კრედიტორთა სიმკაცრის გამო. მაგრამ უმრავლესობამ, ამასთანავე ყველაზე უფრო ძლიერებმა, დაიწყეს ერთობლივი მოქმედება, მოუწოდებდნენ რა ერთი

ვერ, რაითა ამ საქმეს გულგრილად არ მოპყრობოდნენ, არამედ აერჩიათ ერთი სანდო კაცი პროსტატად,[4] გაეწთავისუფლებინათ ისინი, ვინც ვალი დროზე ვერ გადაიხადა, მოეხდინათ მიწების გადანაწილება და საერთოდ შეეცვალათ სახელმწიფო წყობილება.

14. აი, სწორედ აქ ყველაზე უფრო კეთილგონიერმა ათენელებმა, დაინახეს რა, რომ სოლონი ერთადერთი კაცი იყო, რომელიც არავითარ ბოროტმოქმედებაში არ იყო გარეული, და რომ ის არ იყო მდიდრების პონაწილე მათს უსამართლობაში, მაგრამ არც ღარიბის მძიმე მდგომარეობას განიცდიდა, სთხოვეს ხელი მოეკიდა საზოგადოებრივი საქმისათვის და ბოლო მოეღო შფოთისთვის. მაგრამ ლესბოსელი ფანიასი კი მოგვითხრობს, რომ სოლონმა თვითონ მოიხმარა სიცრუე როგორც ერთის. ისე მეორის წინააღმდეგ სახელმწიფოს გაღარჩენის მიზნით და ღარიბებს საიდუმლოდ აღუთქვა მიწების გაყოფა, მდიდრებს კი მათ მიერ გაცემული სესხების უზრუნველყოფა. თვითონ სოლონი კი ამბობს, რომ იგი ყოყმანობდა მმართველობის თავის ხელში აღებას და ამასთანავე ეშინოდა, როგორც „ხალხის ვერცხლისმოყვარეობისა", ისე მათი ქედმაღლობისა". იგი არქონტად აირჩიეს ფილომბროტეს შემდეგ, მომრიგებლად და კანონმდებლად ერთსა და იმავე დროს, ამასთანავე მდიდრებმა იგი ხალისით მიიღეს როგორც მდიდარი, ღარიბებმა კი როგორც პატიოსანი კაცი. ამბობენ აგრეთვე, რომ მისი ნათქვამი, თანასწორობა ომს არ იწვევსო, მოეწონათ როგორც შეძლებულთ, ისე ღარიბებს, ამასთანავე ერთნი მოელოდნენ, რომ მიიღებდნენ დამსახურებისა და უნარის მიხედვით, მეორენი კი — განსაზღვრული ზომითა და რაოდენობით. ამის გამო ორივე მხარე დიდი იმედებით აივსო და სოლონს სთავაზობდნენ ტირანიას და არწმუნებდნენ მას გაბედულად აეღო ხელში სახელმწიფოს საქმეები და გამხდარიყო სრულუფლებიანი. ბევრნი თვით საშუალო მოქალაქეთაგან, ხედავდნენ რა, რომ გონივრულად დასაბუთების საფუძველზე ცვლილებათა მოხდენა დიდ სიძნელესთან არის დაკავშირებული, არ იყვნენ წინააღმდეგი გადაეცათ სახელმწიფოს ხელმძღვანელობა ერთი ყველაზე უფრო სამართლიანი და უკეთილგონიერესი კაცისათვის. ხოლო ზოგიერთები კი ამბობენ, რომ სოლონმა პითონში მიიღო შემდეგი წინასწარმეტყველება:

> აწ დაჯექ ხომალდის შუა, მშვიდად შეასრულე მესაჭის საქმე;
> ათენელი ხალხი ამაში შენი თანაშემწეა.

განსაკუთრებით კი აყვედრიდნენ მას მეგობრები იმას, რომ იგი გაურბის ერთპიროვნულ ხელისუფლებას მხოლოდ სახელწოდების შიშით, თითქოს მის სიქველეზე არ იყოს დამოკიდებული დაუყოვნებლივ აქციოს იგი სამეფო მმართველობად, და თითქოს იგი არ არსებობდა

ეპბეელებში როდესაც მათ ტირანად აირჩიეს ტინონდა, და ახლაც ხომ არსებობს იგი მიტილინელთა შორის, ჰყავთ რა ამორჩეული პიტაკე. ვერც ერთმა ამ მოსაზრებამ ვერ შესძლო შეეცვლევინებინა სოლონისათვის თავისი რწმენა, ხოლო თავის მეგობრებს კი თურმე უპასუხა, რომ „ტირანია კარგი ციხე-სიმაგრეა, მაგრამ გარეთ გამოსასვლელი კარი არა აქვსო“.

ფოკოსისადმი მიმართულ ლექსში კი იგი ამბობს:

ხოლო, თუ სამშობლო ჩემი დავინდე,
ტირანია და მასთან ერთად მკაცრი ძალა ხელთ არ ვიგდე,
ჩემი სახელი კი არ შევარცხვინე, არ წაებილწე.
ამას მე სრულიადაც არა ვნანობ: ასე უფრო იძედი
მაქვს ადვილად გავიმარჯვო ყველა ადამიანებზე.

აქედან აშკარაა, რომ უკვე კანონების გამოცემამდე მას დიდი სახელი ჰქონდა. იმის შესახებ კი, რომ ბევრნი დაცინვით ლაპარაკობდნენ მასზე, როცა მან უარი თქვა ტირანობაზე, იგი ასე წერს:

არა, არ იყო სოლონი ღრმა, იგი არ იყო სრულებით ბრძენი;
ბედნიერებას ღმერთი ხელთ ძღვნიდა, მან კი იგი თვით უკუაგდო.
თევზი ბადეში ვაახვია, მაგრამ სიხარულისგან ველარ შესძლო
მისი მოზიდვა. ჭკუა და გამბედაობა ისე დაებნა.
მე კი — საამოვნებით, ოღონდ ძალაუფლება და სახელმწიფო ქონება
ბლომად ეიშოვა,
თუნდაც ერთი დღით მე ათენში ტირანად ვიყო. —
უარს არ ვიტყოდი ჩემთვის ტყავი გაეძროთ და ჩემი გვარიც
რომ დამეღუპნა.

15. თავის შესახებ ასეთ მსჯელობას იგი წარმოათქმევინებს ბრბოსა და მსუბუქ ხალხს. მაგრამ მას, თუმცა ტირანობა უკუაგდო, მაინც ხასიათის სისუსტე არ გამოუჩენია საქმეში და გამოსცა არა რბილი კანონები, არა დაუთმო რა არც ძლიერთ და არც ამომრჩეველთ. მაგრამ სადაც საქმე კარგად იყო, მას იქ არ უცდია მკურნალი ხელი და ცვლილების შეტანა, რაოა —

ყველაფერი ერთიმეორეში არ აერიენა და ქალაქი მთლად არ აღეშფოთებინა და თვითონვე სუსტი არ გამომდგარიყო იმისთვის, რომ წესრიგი დაემყარებინა და სახელმწიფოში ყველაფერი საკეთილოდ მოეწყო.

იმ შემთხვევებში კი, როდესაც იგი იმედოვნებდა მიეღწია ადამიანთა მორჩილებისათვის შთაგონებისა და იძულების გზით, იგი მოქმედებდა მისივე გამოთქმით:

კანონის თანახმად, ძალისა და სიმართლის შეთანხმებით.

ამიტომაც შემდგომში, როდესაც მას ჰკითხეს დაუწერა თუ არა მან ათენელებს საუკეთესო კანონები, მან უპასუხა: „საუკეთესონი იმათგან, როგორიც კი მათ შეეძლოთ მიეღოთო". ხოლო, თუ შემდეგ დროებში ათენელებზე ამბობენ, რომ მოვლენების უსიამოვნო მხარეებს გონებამახვილურად არბილებენო, ჰფარავენ რა მათ კარგი და კეთილშობილური სახელწოდებებით — მეძავეებს ჰეტერებს ეძახიან, ხარკს — შესატანს, ქალაქის გარნიზონს — დაცვას, საპყრობილეს — სახლს, — როგორც ეტყობა, სოლონი იყო პირველი, რომელმაც ვალების გაუქმებას „სეისახთეია" უწოდა. მან პირველად სწორედ ეს პოლიტიკური ღონისძიება განახორციელა. შეიტანა რა წინადადება მოსპობილიყო იმჟამად არსებული ვალები და შომავლისათვის კი აკრძალული ვალის უზრუნველყოფა პირადი კაბალით. თუმცა ზოგიერთნი, და მათ შორის ანდროტიონიც, წერდნენ, რომ ღარიბები კმაყოფილდებოდნენ იმით, რომ მიიღეს შემსუბუქება არა „ვალების გაუქმების" სახით, არამედ ზომიერი პროცენტების სახით, და სეისახთია მათ უწოდეს ამ ჰუმანური ღონისძიებასა და მასთან ერთად მოხდენილ საზომთა და საფასურთა გაზრდას. სახელდობრ, მან მნა აქცია 100 დრაქმიანად, რომელიც წინათ 73 ღირდა, ისე, რომ როდესაც უბრუნებდნენ ვალში იმავე რაოდენობის ანგარიშით, მაგრამ მნიშვნელობით გაცილებით ნაკლებს, — გადამხდელნი მნიშვნელოვნად იგებდნენ, მაგრამ არც მიმღებნი ჰკარგავდნენ რასმე. მაგრამ უმრავლესობა იმ აზრისაა, რომ სეისახთეია ნიშნავდა საერთოდ ყოველგვარ საკალო ვალდებულებათა გაუქმებას, და ამას უფრო მეტად ეთანხმება მისივე ლექსებიც. სახელდობრ, სოლონი მათში გამოსთქვამს ფავის სიამაყეს იმის გამო, რომ, უწინ დაწინდრულ მიწას მან მოაშორა

> ჩარჯობილი მრავალი საკალო მიჯნა —
> წინანდელი მონა, ეხლა თავისუფალია.

და მოქალაქეთაგან კი, რომლებიც ფულის გამო კაბალაში იყვნენ ჩაცვივნული, ზოგნი დააბრუნა მან უცხოეთიდან,

> რომელთაც დავიწყებული ჰქონდათ ენა
> ატიკური — ასეთია ხუედრი მოხეტიალეთა —
> სხვები რომლებიც აქ სამარცხვინო მონობაში ცხოვრობდნენ.

გაათავისუფლეო, — ამბობს იგი. თუმცა, როგორც ამბობენ, მას უზომო უსიამოვნება შეემთხვა ამ ღონისძიების გამო. სახელდობრ, როდესაც მან განიზრახა ვალების გაუქმება და ეძებდა შესაფერ საფუძველსა და საპატიო საწყისს, მან აცნობა თავის იმ მეგობრებს, რომლებსაც ყველაზე მეტად ენდობოდა და რომლებთანაც უფრო მეტი საქმიანი ურთიერთობა ჰქონდა კონონს, კლინიასსა და ჰიპონიკეს, რომ ის მიწის

ხელის ხლებას არ აპირებს. მაგრამ გადაწყვეტილი აქვს ვალების გაუქმებ ამათ სარჭაროდ, ვიდრე ეს კანონი გამოქვეყნდებოდა. ისესხეს ძღიდრებისაგან დიდი თანხები და შეიძინეს მიწის ფართო ნაკვეთები. შემდეგ, როცა გამოვიდა დადგენილება, ქონება მათ შერჩათ და ვალებს კი აღარ იხდიდნენ. ამან გამოიწვია სერიოზული ბრალდებანი და ცილისწამებანი სოლონის მიმართ, თითქოს ის თვითონაც არ გამხდარიყოს სხვებთან ერთად თაღლითობის მსხვერპლი, არამედ მასაც მიეღოს ამაში მონაწილეობა. თუმცა ეს ბრალდება დაუყოვნებლივ გაბათილდა ხუთი ტალანტის თანხით; ასეთი თანხა, როგორც გამოირკვა, მას სესხად გაეცა და ეს სესხი მან პირველმა აპატია კანონის თანახმად. ზოგიერთნი კი, მათ შორის როდოსელი პოლიძელე ასახელებენ 15 ტალანტს. სოლონის ბოროტმოქმედ მეგობრებს ამიტომ მუდამ უწოდებდნენ ქრეოკოპიდებს.

16. სოლონმა ვერ აამა ვერც ერთსა და ვერც მეორე პარტიას, არამედ გული გაუტეხა მდიდრებს იმით, რომ სავალო ვალდებულებანი გააუქმა, ხოლო უფრო მეტად კი ღარიბებს — იმით, რომ არ მოახდინა მიწების გაყოფა, როგორც ისინი მისგან ამას მოელოდნენ და არ გაათანაბრა ისინი სავსებით, ცხოვრების პირობებით, როგორც ლიკურგემ.. სოლონმა ეს არ განახორციელა თავის სახელმწიფო წყობაში, რადგან იგი იყო ხალხის მომხრე და საშუალო შეძლების კაცი, მაგრამ არაფერი გაუკეთებია არსებული ძალების შეუსაბამო, ხელმძღვანელობდა მხოლოდ მოქალაქეთა სურვილითა და მათი ნდობით მისდამი. იმის შესახებ, რომ მან ვერ დააკმაყოფილა უმრავლესობა, რომელნიც სხვას მოელოდნენ, ამაზე თვითონვე ამბობს:

> მაგრამ მაშინ ისინი შესცდნენ, ახლა კი, ჯავრობენ რა ჩემზე,
> ყველა ალმაცერად მიცქერის, როგორც მტერს.

მაგრამ იგი დასძენს, რომ სხვა ვისმეს რომ მიეღო ასეთი ძალა,

> ხალხს ვერვინ დააოკებდა და ვერც თვითონ შეიკავებდა თავს,
> ვიდრე რძეს ნაღებს არ მოხდიდა, რომ მერე ღა შეედღვიბნა.

მაგრამ მაინც მალე დაინახეს სიკეთე და თავი მიანებეს რა პირად დავასა და სამდურავს, მოაწყეს საერთო მსხვერპლშეწირვა. უწოდეს რა ამ მსხვერპლშეწირვას სეისახთეია, და სოლონი დანიშნეს სახელმწიფო წყობის შემსწორებლად და კანონმდებლად და ჩააბარეს მას არა ესა თუ ის დარგი, არამედ ყველაფერი ერთბაშად: მას უნდა განესაზღვრა უმაღლესი სახელმწიფო თანამდებობანი, სახალხო კრებები, სასამართლოები, საბჭოები, ცენზი თითოეულ ამ დაწესებულებისათვის, მათი რიცხვი და მოქმედების ვადა; მას შეეძლო გაეუქმებინა და შეენარჩუნებინა არსებულიდან, რასაც კი ის საჭიროდ მიიჩნევდა.

17. ამგვარად მან პირველ ყოვლისა გააუქმა დრაკონის კანონები, ყველა, გარდა კანონებისა მკვლელობათა შესახებ...

18. მერე, სოლონს სურდა რა დაეტოვებინა ყველა უმაღლესი თანამდებობანი შეძლებულთა ხელში, როგორც წინათაც იყო, დანარჩენი

მმართველობა კი. რომელშიაც ხალხს მონაწილეობა არა ჰქონდა, გა-
ნაწილებინა ყველასთვის, — მიიღო მოქალაქეთა ქონებრივი ცენზი. ის
ხალხი, რომლებსაც ჰქონდათ მშრალი და თხიერი პროდუქტების ხუთასი
ზომა შემოსავალი, პირველ ადგილზე დააყენა და უწოდა ხუთასმედი-
მნიანები, მეორე ადგილზე დააყენა ის ხალხი, რომელთაც შეუძლიათ
იყოლიონ ცხენი და მიიღონ სამასი ზომა შემოსავალი — ამათ უწოდებ-
დნენ მხედართა კლასისადმი კუთვნილებს: მოქალაქეებმა, რომლებიც
ცენზით მესამე კლასს განეკუთვნებოდნენ და რომელთა შემოსავალიც
ორასი საზომით განისზომებოდა, მიიღეს ქვეგიტების სახელწოდება. ყველა
დანარჩენები კი იწოდებოდნენ თეტებად; მათთვის მას არც ერთი უმაღ-
ლესი თანამდებობა არ მიუცია; მათი პოლიტიკური უფლებები მხო-
ლოდ იმაში გამოიხატებოდა, რომ ისინი მონაწილეობას იღებდნენ სა-
ხალხო კრებაში და სასამართლოებში. ეს უფლება თავდაპირველად
უმნიშვნელოდ მოეჩვენათ, მაგრამ შემდგომ უაღრესად მნიშვნელოვანი
გამოდგა, იმიტომ, რომ სადავო საკითხთა უმეტესობას სასამართლო იხი-
ლავდა. საქმე ის არის, რომ იმ ყველა საქმეზედაც, რომლებიც უმაღ-
ლეს მოხელეებს უნდა განეხილათ, მან ნება დართო მსურველთ სასა-
მართლოში წარედგინათ აპელაცია. იმასაც ამბობენ, რომ მან კანონები
საკმაოდ ბუნდოვანად დაწერა, რომლებშიაც მრავალი სადავო მუხლი
იყო და ამით გაზარდა სასამართლოების მნიშვნელობა, რადგანაც, როცა
ხალხი ვერ ახერხებდა გადაეწყვიტა დავა კანონის მიხედვით, ის იძუ-
ლებული ხდებოდა ყოველთვის მიემართა მოსამართლეებისათვის და
ყოველგვარი უთანხმოება მათთვის გადაეცა განსახილველად, ასე რომ
ისინი ერთგვარად კანონზე მაღლა დადგნენ. იგი თვითონვე მიიწერს ამ
დამსახურებას შემდეგი გამოთქმით:

> დიახ, მე მივაგე ხალხს ის პატივი, რაც მისთვის საჭიროა,
> არ შემიმცირებია მისი უფლება, მაგრამ არც ზედმეტი რამ
> მიმიცია;
> ვიფიქრე აგრეთვე იმათზედაც, ვისაც ძალა ჰქონდა და სიმდიდრით
> განთქმული იყო, რათა მათთვის არაფის რა ეწყენინებინა.
> მაგარი ფარიით აღვიმართე ორივეს დასაცავად
> და არავის მივეცი სხვისი უფლების დათრგუნვის ნება.

შემდეგ, მიაჩნდა რა საჭიროდ აღმოსჩენოდა ხალხს დახმარება, ყვე-
ლას მიანიჭა უფლება მიეცა პასუხისგებაში ის, ვინც დამნაშავე იყო
სხვისი უფლების დარღვევაში. მაგალითად, თუ ვინმე განიცდიდა ცე-
მას, ძალადობას, ან ზიანს, — ყველას, ვისაც ამის სურვილი და ძალა
გააჩნდა, შეეძლო დამნაშავესთვის ეჩივლნა და იგი სამართალში მიეცა:
კანონმდებელი სამართლიანად აჩვევდა მოქალაქეებს, როგორც, თით-
ქოს, ერთ ბედქვეშ მყოფ ადამიანებს, ჰქონოდათ ერთი მეორისადმი თა-
ნაგრძნობა და გაეზიარებინათ სხვისი მწუხარება. მოიხსენიებენ, აგრე-
თვე, მის სიტყვებს. რომლებიც ამ კანონს ეთანხმება. სახელდობრ, რო-

დესაც მას, როგორც ბუნებრივი იყო, ჰკითხეს, თუ როგორ სახელმწიფოშია ცხოვრება ყველაზე უკეთ მოწყობილიო, მან თურმე უპასუხა: „ისეთში, რომელშიაც შეურაცხყოფისათვის პასუხსა სთხოვენ და სჯიან დამნაშავეებს არა მხოლოდ შეურაცხყოფილნი, არამედ მათზე არანაკლებ ისინიც, ვისაც ეს პირადად არ ეხებათო".

19. სოლონმა შექმნა არესის ბორცვზე საბჭო ყოველწლიურ არქონტთა შემადგენლობისაგან და თვითონაც იღებდა ამ საბჭოში მონაწილეობას როგორც ყოფილი არქონტი. შემდეგ, დაინახა რა, რომ ხალხი ომიდათან გაამაყდა და გათავხედდა ვალების გაუქმების შედეგად, მან შეჰქმნა მეორე საბჭოც, რომელშიაც უნდა აერჩიათ თითოეული ფილედან ასი კაცი; სულ კი იყო ოთხი ფილე. ამ საბჭოს მან დაუწესა სახალხო დიდგვინილებათა წინასწარ შედგენა. მას არ უნდა დაეშვა, რომ სახალხო კრებაში შეეტანათ რომელიმე წინადადება, თუ იგი წინასწარ ამ საბჭოში არ იქნებოდა განხილული. ხოლო ზემოთა საბჭო დააყენა მან ყველა საქმეების მეთვალყურედ და კანონების სადარაჯოზე, ფიქრობდა რა, რომ სახელმწიფო ორი საბჭოს დროს, ორ ღუზაზე დამაგრებულ ხომალდის მსგავსად, ნაკლებად დაზიანდებოდა ქარიშხლისაგან და ხალხი უფრო მშვიდად იგრძნობდა თავს. უმეტესობა ამტკიცებს, როგორც ეს ზემოთ უკვე ნათქვამი იყო, რომ არეოპაგის საბჭო სოლონმა დააარსა. და მაინ აზრით, ამის სასარგებლოდ პირველ ყოვლისა ის ლაპარაკობს, რომ დრაკონი არსად არ იხსენიებს და არაფერს ამბობს არეოპაგის წევრებზე, არამედ მკვლელობათა საქმეებზე მუდამ მიმართავს იგი ეფეტებს. მაგრამ სოლონის მეცამეტე სვეტზე მოიპოვება ჭერვე კანონი, რომელიც სიტყვასიტყვით ასეა ჩამოყალიბებული: „სამოქალაქო უფლებათა მოკლებულ ადამიანთაგან ისინი, ვისაც ეს უფლება სოლონის არქონტობის წინა ხანაში აქვთ ჩამორთმეული, აღდგენილი არიან უფლებებში, გარდა იმისთანებისა, რომლებსაც ეს უფლება ჩამორთმეული აქვთ არეოპაგის სასამართლოსგან, ან ეფეტების მიერ, ან პრიტანეიუმში მეფეთა თავმჯდომარეობით მკვლელობისა, ხოცვა-ჟლეტისა ან ტირანიის გამო". ეს, პირიქით, იმას ამტკიცებს, რომ არქონტობამდე და სოლონის კანონმდებლობამდე არეოპაგის საბჭო უკვე არსებობდა. მართლაც, ვინ იყვნენ სოლონამდე არეოპაგში მსჯავრდადებულნი, თუ კი პირველად სოლონმა მიანიჭა არეოპაგს სასამართლო უფლება?...

20. მის დანარჩენ კანონთაგან განსაკუთრებით თავისებურია ის კანონი, რომლითაც სამოქალაქო უფლება ერთმევა იმას, ვინც შფოთის დროს არ მიემხრობა არც ერთსა და არც მეორე მხარეს. მას სურს, როგორც ჩანს, რათა არავინ მოეკიდოს გულგრილად საზოგადო საქმეს, გაღაარჩენს რა საფრთხისაგან საკუთარ ქონებას, გამოაცხადებს რა, რომ მას არ სურს გაიზიაროს თავისი სამშობლოს სევდა და ტანჯვა; სოლონის სურვილია, რათა ყველა დაუყოვნებლივ მიემხროს მათ, ვინც

უკეთესსა და უფრო სამართლიან მიზნებისკენ ილტვის, უნდა გაიზიარონ მათთან ერთად საფრთხე და ეხმარებოდნენ მათ, და არ ელოდნენ საფრთხისაგან გაქცეულნი იმას, თუ რას უბრძანებენ გამარჯვებულნი...

21. სოლონმა სახელი გაითქვა აგრეთვე ანდერძის შესახებ კანონით. წინათ ეს არ შეიძლებოდა და ქონება და შინამეურნეობა უნდა დარჩენოდა გარდაცვლილის საგვარეულოს; მან კი ყველას მიანიჭა უფლება მიეცა თავისი ქონება ვისთვისაც სურდა, თუ კი თვითონ კანონიერი შვილები არა ჰყავდა; მან მეგობრობა ნათესაობაზე და პირადი ერთიერთობა მოვალეობაზე უფრო მაღლა დააყენა, და ქონება მფლობელის საკუთრებად აქცია. მართალია, მან ბოძება გარკვეულ პირობებსა და შეზღუდვას დაუკავშირა: ქონების გამბოძებელს „არ უნდა მოემოქმედნა ეს (სულიერად) დაავადების დროს, არ უნდა ყოფილიყო მოწამლულ-მოჯადოებული, არ უნდა ყოფილიყო ბორკილაყრილი, ძალა არავის უნდა დაეტანებია და არ უნდა ყოფილიყო ქალის გავლენის ქვეშ". მას კარგად და სრულიად საკმარისად შეგნებული ჰქონდა, რომ ნამდვილი ინტერესების შეუსაბამოდ მიცემული თანხმობა არაფრით არ განსხვავდება ძალადობისაგან, პირიქით, მან ერთ ხაზზე დააყენა მოტყუება და აუცილებლობა, ტანჯვა და კმაყოფილება, ხედავდა რა, რომ ამათ ადამიანის გონებისათვის არანაკლები ზიანის მიყენება შეუძლიათ.

22. სოლონი ხედავდა, რომ ქალაქი განუწყვეტლივ იზსება მთელ ატიკიდან მოზღვავებული ხალხით, მაგრამ მიწის უმეტესი ნაწილი კი უნაყოფო და გამოუსადეგია, ზღვით მოსულ ხალხს კი, ჩვეულებრივ, თან არაფერი მოაქვს, რაღგან ადგილობრივ მცხოვრებლებს სამაგიეროდ არაფრის მიცემა არ შეუძლიათ. სწორედ ამიტომ მან აიძულა მოქალაქენი ხელოსნობისთვის მოეკიდათ ხელი და დაწერა კანონი იმის შესახებ, რომ შვილი არ არის ვალდებული შეინახოს მამა, თუ მამამ მას ხელობა არ შეასწავლა...

სოლონი კანონებს უფრო უფარდებდა ცხოვრებას, ვიდრე ცხოვრებას კანონებს და, ხედავდა რა, რომ ქვეყნის ბუნება მწირ მოსავალს აძლევდა მიწის მუშას, ხოლო უსაქმო ბრბოს შენახვა მას სრულიადაც არ შეეძლო, სერიოზული ყურადღება მიაქცია ხელოსნობას და არეოპაგს დაავალა თვალყური ედევნებინა იმისათვის, თუ თითოეული ადამიანი რა გზით შოულობდა საარსებო საშუალებას და დაესჯა ის, ვინც რაიმე საქმიანობას არ ეწეოდა...

24. თავისი ქვეყნის მოსაელიდან მან წება დართო გაეყიდათ უცხოელებზე მხოლოდ ზეთისხილის ნაყოფი სხვა ყველაფრის გაზიდვა კი აკრძალა და დაავალა არქონტს წყეველა ქრულება წარმოეთქვა ყველა იმათ მიმართ, ვინც რამეს გაიტანდა, წინააღმდეგ შემთხვევაში თვით არქონტს უნდა შეეტანა ჯარიმა სახელმწიფო ხაზინაში ასი დრაქმის რაოდენობით.

არისტოტელე — პოლიტიკა, II, 9, 2.

სოლონს ზოგიერთები კარგ კანონმდებლად თვლიან. მან, როგორც ამბობენ, დაამხო ოლიგარქია, რომელიც მაშინ მეტისმეტად მძლავრი იყო, იხსნა ხალხი მონობისაგან და დაადგინა დემოკრატია „მამათა ანდერძის თანახმად", მარჯვედ დააწესა რა შერეული წყობილება: საბჭოდობრ, არეოპაგი ოლიგარქიული დაწესებულებაა, თანამდებობათა არჩევნების საშუალებით მიღება — არისტოკრატიულია, მსაჯულთა სასამართლო — დემოკრატიულია. სოლონს, ალბათ, არ გაუუქმებია არსებული დაწესებულებანი — არეოპაგის საბჭო და თანამდებობის პირთა არჩევა, არამედ დაადგინა დემოკრატია იმით, რომ შეადგინა სასამართლოები ყველა მოქალაქეთაგან. აი, სწორედ ამის გამო ზოგიერთნი მას ბრალს სდებენ: მან, ამბობენ ისინი, გააუქმა პირველიც. როცა ყველაფერზე უფლება მიანიჭა სასამართლოს, რამდენადაც სასამართლოს წევრებს წილის ყრით ირჩევენ. სახელმწიფო, როდესაც სასამართლომ ძალა მოიხვეჭა, მაშინ ხალხს როგორც ტირანს ეფერებოდნენ და ბოლოს, პოლიტეია აქციეს თანამედროვე დემოკრატიად." მაგრამ, როგორც ჩანს, ეს მოხდა სოლონის განზრახვის დამოუკიდებლად, გარემოებათა დამთხვევის წყალობით: ხალხი, რომელიც მიდიელებთან ომის დროს საზღვაო საქმის სათავეში აღმოჩნდა, გაამაყდა და თავის დემაგოგებად გაიჩადა უმნიშვნელო ადამიანები. მიუხედავად კეთილგანმზრახველი ადამიანების წინააღმდეგობისა, რაც შეეხება სოლონს, ალბათ, მას სურდა მიეცა ხალხისთვის მხოლოდ სრულიად აუცილებელი ძალა, სახელდობრ, თანამდებობის პირთა არჩევა და მათი საქმიანობის კონტროლი: ამ უფლებათა გარეშე ხალხი მონურ მდგომარეობაში იქნებოდა და მტრად გადაიქცეოდა. სახელმწიფო თანამდებობების მიღების უფლება მან მისცა მხოლოდ წარჩინებულსა და მდიდარ ხალხს — პენტაკოსიომედიმნიანთა და ძეგლიტთაგან და აგრეთვე ეგრეთ წოდებულ მხედართაგან; მეოთხე კლასი კი — თეტებისა, სრულიად მოკლებული იყო მაღალი თანამდებობის მიღების შესაძლებლობას.

პიზისტრატე და პიზისტრატიდები

ჰეროდოტე, I, 59.

როდესაც ჰიპოკრატე, როგორც კერძო პირი, მივიდა ოლიმპიის დღეობებზე საცქერად, მას შეემთხვა დიდი სასწაული. როგორც კი შესწირა მსხვერპლი, ხორცითა და წყლით სავსე ქვაბები უცებლად ადუღდნენ და, რაც შიგ იყო, ნაპირებზე გადმოიღვარა. იქ მყოფმა ლაკედემონელმა ქილონმა, იხილა რა ეს, ურჩია ჰიპოკრატეს ან სრულიადაც არ მოეყვანა ცოლი, რომელსაც შვილის გაჩენის უნარი ექნე-

ბოდა, ან თუ უკვე ცოლიანი იყო, გაეშვა იგი, ხოლო თუ მას უკვე ვაჟი ჰყავს, ხელი აეღო მასზე. მაგრამ პიპოკრატეს თითქოს არ სურდა, ყურადღება ასეთი რჩევა. და, აი, დაებადა მას ამის შემდეგ სწორედ ის პიზისტრატე, რომელმაც ათენში პოლიტიკური ბრძოლის დროს, რომელიც წარმოებდა ზღვის სანაპიროს და ვაკის მცხოვრებთა შორის — პირველთ სათავეში ედგა მეგაკლე, ალკმეონის ძე, მეორეებს კი — ლიკურგე. არისტოლაიდის ძე — განიზრახა გამხდარიყო ტირანი და შეაღგინა მესამე პარტია. შემოიკრიბა რა მთის მცხოვრებნი და გამოაცხადა რა თავისი თავი მათ წინამძღოლად, მან განიზრახა ასეთი საქმე: მან თვითონ მიაყენა საკუთარ სხეულს ჭრილობა და ისე გამოცხადდა მოედანზე, თითქოს ძლივს გადაურჩა მტრებს, რომლებსაც სურდათ მისი მოკვლა. როდესაც იგი სოფლისაკენ მივემგზავრებოდა, და ამ საბაბით მან სთხოვა ხალხს მიეცათ მისთვის მცველთა პატარა რაზმი. მან უკვე ადრეულ გაითქვა სახელი მეგარელების წინააღმდეგ მოწყობილ ლაშქრობაში, როდესაც აიღო ნისეია; და სხვა მნიშვნელოვანი საქმეებიც ჩაიდინა. ათენელი ხალხი მოტყუვდა მისი ეშმაკობით, დააკმაყოფილა მისი შუამდგომლობა და მოუგროვა მას მოქალაქეთაგან რაზმი. პიზისტრატესთვის ისინი იყვნენ არა შუბოსნები, არამედ ისინი მას უკან დაჰყვებოდნენ ხის კეტებით შეიარაღებულნი. ამ ხალხმა პიზისტრატეს მეთაურობით მოახდინა აჯანყება და დაიკავა აკროპოლისი. და მაშინ დაიწყო პიზისტრატემ ათენის მართვა. ამასთანავე მას არა თუ არ დაურღვევია სახელმწიფოში არსებული მმართველობა, არამედ არ შეუცვლია კანონებიც, და მართავდა სახელმწიფოს დადგენილი წესების მიხედვით, წარმართავდა რა მას კარგად და საკეთილდღეოდ.

60. მაგრამ, ცოტა ხნის შემდეგ, მეგაკლესა და ლიკურგეს მომხრეებმა — შეთანხმდნენ რა ისინი ურთიერთშორის — გააძევეს იგი. ასე ჩაიგდო პიზისტრატემ პირველად ათენში ძალაუფლება ხელში და ღაკარგა ტირანია, რომელმაც ვერ მოასწრო განმტკიცებულიყო მის ხელში. ამასობაში პიზისტრატეს გამძევებელთა შორის კვლავ უთანხმოებამ იჩინა თავი. მოწინააღმდეგე პარტიამ მეგაკლე გამოუვალ მდგომარეობაში ჩააყენა და ის მაცნეს საშუალებით დაუკავშირდა პიზისტრატეს, სთავაზობდა რა მას ცოლად თავის ქალს, იმ პირობით, რომ პიზისტრატე ტირანი გახდებოდა. პიზისტრატემ მიიღო წინადადება და დათანხმდა წამოყენებულ პირობებზე. მაშინ ისინი, რათა მოეწყოთ მისი დაბრუნება, წამოიწყებენ საქმეს, რომელიც, ჩემი აზრით, ყოველგვარ გულუბრყვილობას აღემატება: უკვე ძველთაგანვე ბერძენთა ტომი გამოეყო ბარბაროსებს, როგორც უფრო კეთილმოაზროვნე და გულუბრყვილობისგან უფრო მეტად თავისუფალი. ისინი კი იწყებენ ასეთ ეშმაკობას ათენელებში, რომლებიც ბერძენთა შორის თავისი გონებით პირველებად ითვლებიან. პეანიის დემში იყო ერთი ქალი, სახელად ფია, სიმაღლით ოთხი წყრთა სამი თითით ნაკლები და მეტად ლამაზი გარეგნობით. შე-

მოსეს მათ ეს ქალი სრული სამხედრო საპურვლით და უბრძანეს შეკლვარიყო ეტლზე, და მიუთითეს რა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, რომ უფრო ლამაზი გამოჩენილიყო, გაემართნენ ქალაქისკენ, ხოლო წინდაწინ გაგზავნეს მაცნეები. ეს უკანასკნელნი, ქალაქში მისულნი ამბობდნენ, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, შემდეგ სიტყვებს: „ათენელებო, მიიღეთ პიზისტრატე კეთილი გრძნობით: მას თვით ათენამ მიაგო ყველაზე მეტი პატივი და ეხლა აბრუნებს თავის აკროპოლში". ამას იმეორებდნენ ისინი სხვადასხვა ადგილების განვლის დროს. მაშინათვე გავრცელდა სოფლებში ხმა, ვითომც ათენა აბრუნებს პიზისტრატესო; და თვით ქალაქის მოსახლეობა მზად იყო დაეჯერებინა, რომ ის ქალი ჭეშმარიტად ქალღმერთია; ამიტომ ლოცულობდნენ მას და იღებდნენ პიზისტრატეს.

61. მიღო რა ხსენებული გზით ტირანობა, პიზისტრატე მეგაკლესთან დადებული შეთანხმების თანახმად, ირთავს მის ქალს. მაგრამ, რაღგანაც მას უკვე მოზრდილი ვაჟები ჰყავდა, და ამას გარდა ალკმეონიდები უწმინდურებად ითვლებოდნენ, ამიტომ პიზისტრატეს არ უნდოდა რა ჰყოლოდა მისგან შვილები, ამ ახალ ცოლთან ცხოვრობდა არა ისე, როგორც კანონით მოეთხოვებოდა. ცოლი ჯერ მალავდა ამას, მაგრამ შემდეგ დედის შეკითხვაზე, თუ შეიძლება უამისოდაც, უამბო დედას და ამ[illegible]ქმარს. იგი აღშფოთდა, დაინახა რა ამაში პიზისტრატეს ბოროტი თავისი შეურაცხყოფა. განრისხებული მაშინათვე შეურიგდა თავის მოწინააღმდეგეებს. მაშინ პიზისტრატემ გაიგო რაც მზადდებოდა მის წინააღმდეგ, სავსებით მიატოვა თავისი მხარე, და მივიდა რა ერეტრიაში, დაიწყო ბჭობა თავის ვაჟებთან. აქ გაიმარჯვა ჰიპიას აზრმა, რომ საჭირო იყო ტირანიის ისევ საკუთარ ხელში დაბრუნება; ამის გამო შეუდგნენ შემოწირულების შეგროვებას იმ ქალაქებში, რომლებიც აღრიდანვე ინარჩუნებდნენ მათდამი ერთგვარ ერთგულებას. ბევრმა მათგანმა დიდძალი ფული მისცა მათ, მაგრამ ყველას აჯობეს თავიანთ მიერ შეტანილი თანხით თებელებმა. შემდგომში კი — დაწვრილებით ამბებს თავი გავანებოთ — განვლო კარგა ხანმა და ბოლოს მათ ყველაფერი მზად ჰქონდათ, რათა უკანვე დაბრუნებულიყვნენ. სახელდობრ, არგიველი დაქირავებულნი მოვიდნენ პელოპონესიდან; ერთი ნაქსოსელი, ნებაყოფლობით მოსული, სახელად ლიგდამიდი, დიდ სიბეჯითეს იჩენდა და ფულიცა და ხალხიც ბლომად გააჩნდა.

62. მეთერთმეტე წელს მათ გაილაშქრეს ერეტრიიდან, მივიდნენ თავის სამშობლოში და პირველი ადგილი, რომელიც მათ აიღეს, იყო მარათონი. როდესაც ისინი ამ ადგილას იყვნენ დაბანაკებული, მათთან მოვიდნენ მათი მომხრეები როგორც ქალაქიდან, ისე სოფლებიდან, აი ისინი რომლებსაც ტირანია უფრო უყვართ, ვიდრე თავისუფლება. აი ამ ხალხმა მოიყარა იქ თავი. ამასობაში ათენელები ქალაქში არც მაშინ, ვიდრე პიზისტრატე ფულს აგროვებდა, არც მაშინ, როდესაც მან მარა-

თონი აიღო, ამას არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ. ხოლო როდესაც გაიგეს, რომ იგი მარათონიდან ქალაქისკენ გაემართა, მაშინღა გამოვიდნენ მის წინააღმდეგ. ისინი მთელი თავისი ძალებით გაემართნენ უკან დაბრუნებულ გაძეცებულთა წინააღმდეგ. ხოლო მეორე მხრივ, პიზისტრატეს არმიაც. მარათონიდან გამოსული, ქალაქის მიმართულებით წავიდა. და აი, ორივე არმია საბრძოლველად შეეყარა ერთმანეთს პალენის ათენის ტაძართან და ერთი მეორის პირისპირ გაჩერდა, დააწყო რა იარაღი ძირს. აქ ღვთის მიერ შთაგონებული ერთი აკარნანიელი წინასწარმთქმელი ამფილიტე მივიდა პიზისტრატესთან და მიუახლოვდა რა მას, წარსთქვა შემდეგი სიტყვები ჰექსამეტრის ზომით:

> აი, უკვე ბადე ნასროლია, ქსელი შორს არის გადაჭიმული:
> მრავალი თევზი თავს მოიყრის შუაღამის მთვარის ციმციმზე.

63. ეს კაცი წარმოსთქვამს ასეთ სიტყვებს ღვთაებრივი შთაგონების ექსტაზში. პიზისტრატე კი მიხვდა ამ წინასწართქმის აზრს და განაცხადა რა, რომ იღებს წინასწარმეტყველებას, გაუძღვა ჯარს. ქალაქიდან მოსული აღენელები ამ დროს უკვე სავახშმოდ დალაგდნენ და სადღესასწაულო სუფრის შემდეგ ზოგმა მათგანმა დაიწყო კოჭაობის თამაში, ზოგი კი დასაძინებლად მიწვა. პიზისტრატეს მომხრეები შეიჭრნენ ათენელთა ბანაკში და გაფანტეს ისინი. როდესაც ისინი გარბოდნენ, აქ პიზისტრატემ მოიგონა ძალიან ეშმაკური ხერხი, რათა ათენელებისთვის კვლავ შეგროვების საშუალება არ მიეცა და ისინი ისე გაფანტული დარჩენილიყვნენ. მან უბრძანა თავის ვაჟებს შემსხდარიყვნენ ცხენებზე და ისინი უკან დაედევნა გაქცეულებს, რომლებსაც წამოეწეოდნენ რა, ეუბნებოდნენ — როგორც მათ ეს პიზისტრატესგან ჰქონდათ ნაბრძანები, რომ დამშვიდებულიყვნენ და თვითეული მათგანი წყნარად შინისკენ წასულიყო.

64. რადგან ათენელებმა დაუჯერეს ამ რჩევას, პიზისტრატემ ამგვარად მესამედ დაიპყრო ათენი და იქ უკვე მკვიდრად განამტკიცა თავისი ტირანია მრავალ მოკავშირეთა დახმარებით და უამრავ სახსართა საშუალებით. რომლებიც ნაწილობრივ ადგილობრივ იკრიბებოდა, ნაწილობრივ კი მდინარე სტრიმონის ნაპირებიდან მოდიოდა; აგრეთვე იმის წყალობით, რომ მან მძევლებად ჩამოართვა იმ ათენელების შვილები, რომლებიც ადგილზე დარჩნენ და დაუყოვნებლივ არ გაიქცნენ, და ისინი მოათავსა ნაქსოსზე. ეს კუნძული აგრეთვე ძალით დაიპყრო პიზისტრატემ და იქ ძალაუფლება ლიგდამიდს ჩააბარა, ამას გარდა მან მიაღწია თავის მიზანს აგრეთვე იმის წყალობითაც, რომ მოახდინა კუნძულ დელოსის გაწმენდა წინასწართქმების მიხედვით. ხოლო მან ეს შემდეგნაირად გააკეთა: მთელს მიდამოზე, სადამდეც კი ტაძრიდან თვა-

ლი გასწვდებოდა. მან უბრძანა ამოეთხარნათ მიცვალებულთა ვეამები და სხვა ადგილას გადაეტანათ დელოსზე. პიზისტრატე ამგვარად შეიქნა ათენელთა ტირანი; ათენელთაგან კი ზოგი ბრძოლაში დაიღუპა, ზოგნი სამშობლოდან იღტვოდნენ ალკმეონიდებთან ერთად.

არისტოტელე — პოლიტიკა, V, 12, 23. 29 - 34.

მესამე იყო თაისი ხანგრძლივობით პიზისტრატიდების ტირანია ათენში, თუმცა იგი უწყვეტი არ ყოფილა. თავისი ტირანობის დროს პისტრატეს ორჯერ მოუხდა წასულიყო განძევებაში, ისე რომ ოცდაცამეტი წლის მანძილზე იგი ტირანად იყო მხოლოდ ჩვიდმეტი წლის განმავლობაში: ამას გარდა თვრამეტი წლის განმავლობაში განაგებდნენ მისი ვაჟები ისე, რომ ეს გაგრძელდა საერთოდ ოცდახუთმეტ წელს.

პიზისტრატიდების დამხობა

ჰეროდოტე, V.

62. იმ დროს, როდესაც ტირანად იყო ჰიპიასი და უფრო მეტად მრისხანებდა ათენელების მიმართ ჰიპარქეს მოკვლისათვის, ალკმეონიდები, შთამომავლობით ათენელები, რომლებიც პიზისტრატიდების ხელისუფლებას გაექცნენ, სხვა გაძევებულ ათენელებთან ერთად იარაღით ცდილობდნენ უკან დაბრუნებას, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს: ცდილობდნენ რა დაბრუნებას და ათენის განთავისუფლებას, მათ გაამაგრეს ლეფსიდრიონი ადგილი პეანიის ზემოთ. მაგრამ ამასობაში სერიოზული მარცხი განიცადეს. მაშინ კი — ალკმეონიდებმა, არ ერიდებოდნენ რა პიზისტრატიდების წინააღმდეგ არავითარ საშუალებას, ამფიქტიონებისგან იჯარით აიღეს დელფოს ტაძრის აშენება, სწორედ იმისა, რომელიც ეხლა არსებობს და რომელიც მაშინ ჯერ არ არსებობდა. გააჩნდათ რა დიდძალი სახსრები და ძველათგანვე ჰქონდათ რა დიდი სახელი მოხვეჭილი, მათ ააშენეს ტაძარი იმაზე უკეთესი, ვიდრე გეგმით იყო გათვალისწინებული, — სახელდობრ, პირობა იყო, რომ ტაძარი ტუფისგან უნდა ყოფილიყო აშენებული, მათ კი წინა ნაწილი პაროსის მარმარილოსგან გააკეთეს.

63. და, აი, როგორც ათენელები მოუთხრობენ, ამ ხალხმა დელფოში ცხოვრების დროს მოისყიდეს პითია, რათა მას ყოველთვის, როცა კი ვინმე მოვიდოდა სპარტიდან ორაკულთან პირად ან სახელმწიფოებრივ საქმეზე შესაკითხად, ეუწყებინა ბრძანება ათენის განთავისუფლების შესახებ. მაშინ ლაკედემონელებმა, იმის გამო, რომ მათ მუდამ ერთსა და იმავეს აუწყებდნენ, გაგზავნეს ანქიმოლე, ასტერის ძე, სახელგანთქმული თავის თანამოქალაქეთა შორის, ჯარით, რათა გაეძევებინა ათენიდან პიზისტრატიდები, თუმცა ისინი ერთი მეორესთან სტუ-

ჭართმოყვარეობით იყვნენ დაკავშირებული: ღვთის ნებას ისინი უფრო მაღლა აყენებდნენ, ვიდრე ადამიანთა შორის ურთიერთობას. ეს ლაშქარი მათ გაგზავნეს ზღვით. ამგვარად ანქიმოლემ მისცურა სანაპიროსთან ფალერში და გადასხა ჯარი ხმელეთზე. მაგრამ პიზისტრატიდებმა ეს ადრევე შეიტყეს და ითხოვეს დახმარება თესალიიდან: თესალიელებთან მათ კავშირი ჰქონდათ შეკრული. თესალიელებმა მათი თხოვნით და საერთო თანხმობით გაგზავნეს ათასი კაცისაგან შემდგარი ცხენოსანი რაზმი თავიანთი მეფის კინეა გონიელის მეთაურობით. როდესაც ისინი, როგორც მოკავშირენი, გამოცხადდნენ პიზისტრატიდებთან, ამ უკანასკნელთ შემდეგ ღონისძიებებს მიმართეს: გაკაფეს რა ხეები ვალერის ველზე და ამით გააადვილეს რა ცხენოსნის მოქმედება, მათ მიუშვეს თავისი ცხენოსანი ჯარი მოწინააღმდეგის ბანაკზე. ცხენოსნები თავს დაესხნენ ლაკედემონელებს, მრავალი მათგანი ამოხოცეს, მათ შორის მოკლეს ანქიმოლეც, ხოლო გადარჩენილები მირეკეს გემებთან. ასე დამთავრდა პირველი ლაშქრობა ლაკედემონიდან, და ანქიმოლეს საფლავი არის ალოპეკში, ატიკაში, ჰერაკლეს ტაძრის მახლობლად, კინოსარგში.

64. ამის შემდეგ ლაკედემონელებმა მოამზადეს უფრო ძლიერი არმია და გაგზავნეს იგი ათენელთა წინააღმდეგ. ჩაბარეს რა მისი სარდლობა მეფე კლეომენეს, ანაქსანდრიდის ძეს. ამასთანავე იგი გაგზავნეს უკვე არა ზღვით, არამედ ხმელეთის გზით. როდესაც ისინი ატიკაში შეიჭრნენ, მათ პირველი ბრძოლა გაუმართეს თესალიელთა ცხენოსანმა რაზმმა, რომელიც ხანმოკლე შეტაკების შემდეგ უკან გამოიქცა, მოკლულ იქნა რა მათი რიცხვიდან ორმოც კაცზე მეტი. ამის შემდეგ, ცოცხლად გადარჩენილნი ბრძოლის ველიდგანვე დაუყოვნებლივ გადაიხვეწნენ თესალიაში. მაშინ კლეომენე შევიდა ქალაქში და იმ ათენელებთან ერთად, რომლებსაც თავისუფლება სწყუროდათ, ალყა შემოარტყა ტირანებს, რომლებიც გამაგრდნენ პელარგიკის" კედლებს შიგნით.

65. და ლაკედემონელები ვერასოდეს ვერ მოახერხებდნენ პიზისტრატიდების ხელში ჩაგდებას, რადგან ისინი სრულიადაც არა ფიქრობდნენ ნამდვილი ალყა მოეწყოთ, თვით პიზისტრატიდები ხომ კარგად იყვნენ უზრუნველყოფილი სანოვაგითა და სასმელი წყლით. ისინი, რა თქმა უნდა, რამდენიმე დღეს იყოლიებდნენ მათ შემწყვდეულთ, შემდეგ კი სპარტაში დაბრუნდებოდნენ- მაგრამ აქ დატრიალდა ერთი გარემოება, ერთისათვის დამღუპველი და მეორისთვის ხელსაყრელი. სახელდობრ, პიზისტრატიდების შვილებს სურდათ შეუმჩნეველად გასცლოდნენ იმ მხარეს, მაგრამ ამის ცდაში ტყვედ ჩაცვივდნენ. რაკი ეს მოხდა, პიზისტრატიდების საქმე სულ უფრო ცუდად წავიდა. რათა გადაერჩინათ თავიანთი ვაჟები, ისინი დათანხმდნენ ათენელების მიერ წაყენებულ ყველა პირობაზე, — სახელდობრ ხუთი დღის განმავლობაში მათ უნდა დაეტოვებინათ ატიკა. შემდეგში ისინი გადაიხვეწნენ სიგეუმ-

ში სკამანდრაზე,[9] მას შემდეგ, რაც განაგებდნენ ათენს 36 წლის განმავლობაში. ისინიც შთამომავლობით პილოსიდან იყვნენ და ნელიდები,[10] მომდინარობდნენ რა იმავე წინაპართაგან, როგორც კოდროსი და მელანთი,[11] რომლებიც უკვე უწინვე, თუმცა მოსულნი იყვნენ, გახდნენ ათენელთა მეფეები. სწორედ ამის მოსაგონად ჰიპოკრატემ თავის ვაჟს პიზისტრატე უწოდა, აურჩია რა მას ეს სახელი ნესტორის[12] ვაჟის პიზისტრატეს საპატივცემლოდ. ასე განთავისუფლდნენ ათენელები ტირანებისგან.

ჰეროდოტე, VI, 123.

ალკმეონიდებს სძულდათ ტირანები. მთელი იმ ხნის განმავლობაში, ვიდრე ტირანია გრძელდებოდა, ისინი გაძევებულნი იყვნენ... მათი მოხერხებულობის წყალობით, პიზისტრატიდებმა დაკარგეს ტირანობა და ამგვარად ალკმეონიდები იყვნენ ათენის გამათავისუფლებელნი უფრო მეტად, როგორც მე მგონია, ვიდრე ჰარმოდი და არისტოგიტონი. ამ უკანასკნელთ, მოკლეს რა ჰიპარქი, უფრო გაამძვინვარეს დანარჩენი პიზისტრატიდები და სრულიადაც ვერ აიძულეს ისინი უარი ეთქვათ ტირანობაზე, მაშინ, როდესაც ალკმეონიდებმა აშკარად გაათავისუფლეს ათენი, რამდენადაც მათ დაარწმუნეს პითია მიეცა ლაკედემონელებისთვის დავალება ათენის განთავისუფლების შესახებ.

თუკიდიდე, I, 20, 2.

...ათენელთა უმრავლესობა ფიქრობს, რომ ჰიპარქე მოკლულ იქნა ჰარმოდის და არისტოგიტონის მიერ როგორც ტირანი; მათ არ იციან ის, რომ მმართველად მაშინ იყო ჰიპიასი, როგორც უფროსი პიზისტრატეს შვილებიდან, ხოლო ჰიპარქე და თესალი მისი ძმები იყვნენ; სინამდვილეში კი ჰარმოდისა და არისტოგიტონს მათ მიერ დათქმულ დღეს დაებადათ რაღაც ეჭვი, რომ ვითომც მათი თანაგამზრახველების მიერ რაღაცა ამბავი იყო მიტანილი ჰიპიასთან, ამიტომ მათ მის წინააღმდეგ კი არ მიმართეს, ეგონათ რა რომ ის გაფრთხილებული იყო, არამედ სურდათ, ვიდრე დაპატიმრებული იქნებოდნენ, მაინც რამე სერიოზული გაეკეთებინათ, თუნდაც მათთვის ეს სახიფათო ყოფილიყო; ამიტომ, შეშოეყარნენ რა ჰიპარქეს ე. წ. ლეოკორიუმთან, როდესაც ის პანათენეურ პროცესიას აწყობდა, მათ იგი მოკლეს.

თუკიდიდე, VI.

54. არისტოგიტონისა და ჰარმოდის გაბედული გმირობა ჩადენილი იყო სატრფიალო საქმის გამო. მე ყველაფერს დაწვრილებით მოვუთხრობ, რათა ვაჩვენო, რამდენად არასწორია გადმოცემები არა მხოლოდ

ყველა ბერძნებისა, არამედ თვით ათენელებისაც მათი ტირანებისა და ამ ამბის შესახებ. როდესაც პიზისტრატე უკვე მოხუცებული გარდაიცვალა, ტირანად მყოფი, მაშინ ძალაუფლება თავის ხელში აიღო არა ჰიპარქემ, როგორც ამას უმრავლესობა ფიქრობს, არამედ ჰიპიასმა უფროსობის უფლებით. ჰარმოდი ამ დროს ახალგაზრდობით დამშვენებული ჰაბუკი იყო და არისტოგიტონი, ქალაქის ერთი მცხოვრებთაგანი, საშუალო მდგომარეობის მოქალაქე, იყო მისი თაყვანისმცემელი. პიზისტრატეს შვილმა ჰიპარქემ სცადა ჰარმოდის შეცდენა, მაგრამ იგი არ დაჰყვა და უთხრა ამის შესახებ არისტოგიტონს. ამ უკანასკნელმა, სიყვარულის ალით ანთებულმა, თავი სასტიკად შეურაცხყოფილად იგრძნო და შეეშინდა რა, რომ ჰიპარქეს იგი ძალით არ დაეყოლებინა თავის ნებაზე, მაშინათვე დაიწყო ფიქრი ტირანიის დამხობაზე, რამდენადაც ამისი ძალა შესწევდა მის მდგომარეობაში მყოფს. სწორედ ამ დროს ჰიპარქემ ხელახლა სცადა, მაგრამ ჰარმოდისთან წინანდებურად ვერ მიაღწია წარმატებას; ამისდა მიუხედავად ის არ ფიქრობდა რაიმე ძალდატანებითი მოქმედებისათვის მიემართა, არამედ ეძებდა სხვადასხვა საშუალებას, რათა შეუმჩნეველად, რაიმე მიზეზით შეერცხვინა იგი. საერთოდ აქამდე უმრავლესობას არ უმძიმდა მისი მმართველობა, არამედ იგი სარგებლობდა თავისი ძალაუფლებით ისე, რომ არავის შურს არ იწვევდა და დიდი ხნის განმავლობაში პიზისტრატიდები, მიუხედავად იმისა, რომ ისინი ტირანები იყვნენ, კეთილშობილებასა და კეთილგონიერებას იჩენდნენ; ათენელებს ისინი ართმევდნენ გადასახადის სახით, მხოლოდ შემოსავლის მეოცედ ნაწილს, მათი ქალაქი მათ გაამშვენიერეს, ომებს საუკეთესოდ ამთავრებდნენ, დღესასწაულებზე მსხვერპლსა სწირავდნენ. სახელმწიფო თავისთავად სარგებლობდა ყველა შემთხვევაში საერთოდ წინათ გამოცემული კანონებით; მხოლოდ ყოველთვის ხმარობდნენ ისინი ღონისძიებას, რათა სახელმწიფო თანამდებობაზე მათი წრიდან ყოფილიყვნენ. ასე, იმათ რიცხვში, ვინც ათენელთა შორის წლის განმავლობაში ასრულებდა უმაღლეს თანამდებობას, იყო პიზისტრატე. მაშინდელი ტირანის ჰიპიასის ვაჟი, რომელიც თავისი პაპის მოსახელე იყო — სწორედ ის, რომელმაც არქონტად ყოფნის დროს ააგო თორმეტ ღვთაებათა საკურთხეველი მოედანზე და აპოლონის სამსხვერპლო აპოლონ პითიელის უბანზე. შემდგომში, როდესაც მოედანზე მდგომ საკურთხეველს ათენელმა ხალხმა ახალი ნაწილი მიაშენა, ამან დაფარა წარწერა. აპოლონ პითიელის სამსხვერპლოზე კი დღესაც მოჩანს წარწერა გადასული ასოებით, რომელიც შემდეგს გვაუწყებს:

პიზისტრატემ, პიპიას ძემ აუგო ესე სამსხვერპლო
პითიელ აპოლონს თავისი ხელისუფლების სამახსოვროდ.

55. ის, რომ ჰიპია მმართველი გახდა უფროსობის უფლების საფუძველზე, შემიძლიან გადაჭრით დავაშტკიცო, რადგან მე ეს ვიცი სხვებზე უფრო ზუსტად ზეპირი გადმოცემითაც, მაგრამ ყველას შეუძლია დარწმუნდეს ამაში შემდეგი მოსაზრებებით. ეტყობა ეს იყო ერთადერთი კანონიერ ძმათაგან, რომელსაც ჰყავდა შვილები, როგორც ამას მოწმობს სამსხვერპლოცა და ის ფიქალიც, რომელზედაც ჩამოთვლილია ტირანების მიერ ჩადენილი დანაშაულნი და რომელიც ათენის აკროპოლისშია აღმართული: მასზე არ არის აღნიშნული არც თეტალოსისა და არც ჰიპარქეს არც ერთი ვაჟი, ჰიპიასი კი ხუთი ვაჟია აღნიშნული, რომლებიც მას შეეძინა ჰიპეროქიდეს ძე კაილიას ქალ მარსინასაგან. ბუნებრივი იყო, რომ ყველაზე უფროსმა პირველმა შეირთო ცოლი. და იმ ფიქალზე მისი სახელი პირველი სწერია მამის შემდეგ. ამაშიაც აგრეთვე უჩვეულო არაფერია, იმის გამო, რომ იგი იყო მის შემდეგ ასაკით პირველი და იყო ტირანი. ამას გარდა, მე მგონია, რომ ჰიპიასისათვის ადვილი არ უნდა ყოფილიყო ხელში აეღო ტირანობა, ჰიპარქე რომ მოკვლის მომენტში ხელისუფლების სათავეში ყოფილიყო და თვითონ იმაეე დღეს შესდგომოდა მმართველობას. მაგრამ სწორედ იმის წყალობით, რომ უკვე ადრევე ჰქონდათ მოქალაქეებს შიში შთაგონებული, მცველებს კი — სასტიკი დისციპლინა, მან გაბედულად მოახერხა შეთქმულთა პარალიზება და არ დაიბნა, რაც შესაძლებელია მომხდარიყო, ის რომ უმცროსი ძმა ყოფილიყო და ადრევე არ ყოფილიყო შეჩვეული ხელისუფლებას და მისი მოხმარების გამოცდილება არ ჰქონოდა. ხოლო ჰიპარქეს ხვედრი ამ უბედური ამბის შედეგად შეიქმნა ის, რომ იგი ცრობილი შეიქნა და ტირანის სახელი დაიმსახურა.

56. ამგვარად, როდესაც ჰარმოდიმ უკუაგდო მისგან შეცდენის ცდა, ჰიპარქემ, როგორც განიზრახა, მას მიაყენა შეურაცხყოფა. მისცა რა წინადადება მის ქალწულ დას გამოცხადებულიყო საღვთო კალათის სატარებლად ერთ-ერთი პროცესიის დროს, მერე უარი უთხრეს, თითქოს იგი სრულიადაც არ მოუწვევიათ, რადგან იგი ამის ღირსი არ იყო. ჰარმოდი ამით აღშფოთებული იყო, ხოლო არისტოგიტონი მის მაგიერ უფრო მეტად ბობოქრობდა, და მათ მოილაპარაკეს სხვებთან, რომლებსაც უნდა აგრეთვე მონაწილეობა მიეღოთ ამ საქმეში. ისინი მხოლოდ უცდიდნენ დიდ პანათენეიას[17], იმ ერთად-ერთ დღეს, როდესაც შეიძლებოდა, ისე რომ ეჭვი არავის მიეტანა, შეიარაღებულთ მოეყარათ თავი იმ მოქალაქეებს, რომლებსაც პროცესიაში მონაწილეობა უნდა მიეღოთ. და შეთანხმდნენ, რომ თვითონ მათ უნდა დაეწყოთ* და მათ სხვები დაუყოვნებლივ მიეშველებოდნენ მცველების წინააღმდეგ. შეთქმულება ბევრს არავის გაუზიარეს სიფრთხილის გამო. ისინი იმედოვნებდნენ, რომ რაც არ უნდა მცირე ყოფილიყვნენ, საკმარისი იქნებოდა

* ე. ი. ჰარმოდის და არისტოგიტონს.

გამოეცნათ გაბედაობა და მაშინვე მოისურვებდა მიეღო მონაწილეობა თავისი განთავისუფლების საქმეში ის ხალხიც, ვინც ამ საქმისა წინასწარ არა იცოდა რა, რაკი იარაღი ხელთ ექნებათო.

57. და, აი, როდესაც დაიწყო დღეობა, ჰიპია ქალაქ გარეთ, იმ ადგილას, რომელსაც კერამიკა ეწოდება, თავისი მცველებითურთ ადგენდა წესრიგს, რომლის მიხედვითაც ერთი მეორეს უნდა მიჰყოლოდნენ პროცესიის სხვადასხვა ნაწილები. ჰარმოდი და არისტოგიტონი კი უკვე ხელში ხანჯლებით გაემართნენ თავიანთ საქმეზე. და მათ იქ დაინახეს, რომ ერთი შეთქმულთაგანი მეგობრულად ესაუბრება ჰიპიას (ჰიპია ძალიან თავშდაბალი იყო). მათ შეეშინდათ და იფიქრეს, რომ ვიღაცას გასცა ისინი და ყოველ წუთს დაპატიმრებას უნდა მოელოდნენ. ამიტომ ძალ სურდათ მოესწროთ, თუ კი შესაძლებელი იქნებოდა, სამაგიერო გადაეხადათ თავიანთი შეურაცხმყოფელისთვის, რომლის გამოც ხელი ძიჰყვეს ამ სახიფათო საქმეს, და მაშინათვე შეცვივდნენ ქალაქში ჩიშკრით. და ისინი შეხვდნენ ჰიპარქეს ე. წ. ლეოკორიუმთან და დაუყოვნებლივ, ისე რომ არ დაფიქრებულან, მას თავს დაესხნენ; უაღრესად გააფთრებულმა, რასაც ერთს სიყვარული, მეორეს კი შეურაცხყოფა აიძულებდა, მას მრავალი ჭრილობა მიაყენეს და მოკლეს იგი. ერთი მათგანი — არისტოგიტონი — პირველ ხანს გადაურჩა მცველებს, ისარგებლა რა იმით, რომ ხალხი მოგროვდა. მაგრამ შემდგომში დაპატიმრებული იქნა და სასტიკად დასჯილი. ჰარმოდი კი იქვე მოკლეს მაშინათვე.

58. როდესაც ჰიპიას კერამიკში აცნობეს მომხდარი ამბავი, მაშინათვე წავიდა იგი არა იმ ადგილას, სადაც ამბავი მოხდა, არამედ მივიდა პროცესიის შეიარაღებულ მონაწილეებთან, ვიდრე ისინი, როგორც შორს მყოფნი, მოასწრებდნენ მომხდარი ამბის შეტყობას, და მოაჩვენა რა ისე, რომ თითქოს არა იცოდა რა იმის შესახებ, რაც მოხდა, მიუთითა მათ ერთ ადგილზე და უბრძანა ყველანი იქ შეკრებილიყვნენ უიარაღოდ. ისინი ასეც მოიქცნენ. ეგონათ რა, რომ მას რისიმე თქმა სურდა მათთვის, მან კი, მისცა რა განკარგულება თავის მცველებს აელაგებინათ იარაღი, თვითონ დაიწყო იმათი გამორჩევა, ვისზედაც ეჭვი ჰქონდა, ან ვისაც ხანჯალი აღმოაჩნდა. საქმე ის არის, რომ ამ პროცესიაში მონაწილეებს თან მხოლოდ ფარი და შუბი უნდა ჰქონოდათ.

59. ამგვარად, სწორედ სატრფიალო უსიამოვნება გახდა ჰარმოდისა და არისტოგიტონისთვის შეთქმულების დაწყებისა და უგუნური გამბედაობის მიზეზი. მოულოდნელად აღმოცენებული საშიშროების გავლენით. ხოლო ათენელებისათვის ამის შემდეგ ტირანია უფრო მძიმე შეიქნა; ჰიპია უფრო მეტად აყვა შიშის გრძნობას, მოქალაქეთაგან ბევრნი დასაჯა და იმავე დროს თვალყურს ადევნებდა საგარეო მდგომარეობას იმ იმედით, რომ სადმე აღმოაჩენდა თავისთვის საიმედო თავშესაფარს, თუ გადატრიალება მოხდებოდა. ასე, მაგალითად, ამის შემ-

ლაჩრომ მან თავისი ქალი არქედიკა გაათხოვა ლამფსაკეს ტირან ჰიპოკლეს ძე ეანდიტზე, — მან ათენელმა ლამფსაკეს მცხოვრებზე: ეს მან ჩაიდინა, რადგანაც იგი ხედავდა, რომ მეფე დარიოსი მათ დიდ მნიშვნელობას აძლევდა და ლამფსაკში არის ამ ქალის საფლავი, რომელზედაც შემდეგი წარწერაა:

ელადაში ტოლთა შორის ყველაზე მეტად სახელგანთქმულის
ჰიპიას ქალ არქედიკას ფერფლს ჰფარავს ესე —
იმისას, ვისიც მამა და ქმარი, აგრეთვე ძმებიც ტირანები იყვნენ,
თვით მისი შვილებიც. — მაგრამ მისი გონებისთვის უცხო იყო
სიამაყე.

ჰიპია სამ წელიწადს კიდევ დარჩა ათენელების ტირანად და მეოთხე წელს დამბობილი ლაკედემონელებისა და იმ ალკმეონიდთაგან, რომლებიც გაძევებული იყვნენ, მიიღო რა ხელშეუხებლობის გარანტია, გაემგზავრა სიგეუმში და ლამფსაკში ეანტიდთან, იქიდან კი მეფე დარიოსთან. აი, სწორედ აქედან შემდგომში, მეოცე წელს, იგი უკვე მოხუცი გაემართა მიდიელებთან ერთად მარათონისკენ ბრძოლაში.

არისტოტელე, პოლიტიკა, V, 8, 9.

პიზისტრატიდებზე თავდასხმა მოხდა იმის გამო, რომ მათ შეურაცხყოფა მიაყენეს ჰარმოდის დას და ამით გააღიზიანეს იგი: მან შური იძია თავისი დისთვის, არისტოგიტონმა კი ჰარმოდისთვის.

დიოდორე, ფრაგმენტი, X, 16.

პიზისტრატეს ძემ თესალემ, როგორც კეთილგონიერმა ადამიანმა, უარი თქვა ტირანობაზე, და ისწრაფოდა რა თანასწორობისაკენ, იგი მოქალაქეთა შორის დიდი პატივისცემით სარგებლობდა. ამავე დროს ჰიპარქე და ჰიპია, მოქმედებდნენ რა ძალადობისა და ჩაგვრის გზით, ცდილობდნენ სახელმწიფოს როგორც ტირანები. მათ მრავალი უკანონო მოქმედება ჩაიდინეს ათენელებში, და სხვათა შორის, ჰიპარქე, რომელსაც შეუყვარდა სილამაზით განთქმული ერთი ბიჭი, ამის გამო დიდ საფრთხეში ჩავარდა. ტირანების სიცოცხლის ხელყოფა და სამშობლოს განთავისუფლების გულწრფელი მისწრაფება — ეს არის ზემოხსენებულ ვაჟკაცთა საერთო თვისება. მაგრამ შეუპოვრობა წამების დროს და ტანჯვათა ამტანობა აღმოაჩნდა მხოლოდ არისტოგიტონს, რომელმაც ყველაზე საშინელ მომენტებში გამოიჩინა ორი მეტად მნიშვნელოვანი თვისება — ერთგულება მეგობრებისადმი და შურისძიება მტერთადმი. არისტოგიტონმა ყველას დაანახვა, რომ კეთილშობილი სული სძლევს სხეულის უდიდეს ტანჯვას.

არისტოტელე, ეკონომიკა, II, 2, 4.

ჰიპია ათენელმა დაადო გადასახადი იმ აიენებს, რომლებიც ზედა სართულებიდან ქუჩაში გამოდიოდა, აგრეთვე კიბეებს, ჯებირებს, რომლებიც გარეთ იღებოდნენ. ამის გამო მათი მფლობელნი ამაში ფულს იხდიდნენ და მას ამგვარად დიდი თანხა დაუგროვდა. სწორედ ასევე მან ის მონეტა, რომელიც ათენელთა შორის ტრიალში იყო, გააუფასურა, ძააწესა რა მათი ფასი, მან ბრძანა ეს მონეტები მასთან მიეტანათ. როდესაც მან თავის ხელში მოაგროვა ისინი, მან ისინი გადაადნო და ხელახლა მოსჭრა ახალი ნიშნით და ხმარებაში გაუშვა იგივე ეროვნული. შემდეგ, თუ ვისმე უნდა შეესრულებინა ტრიერარქია, უნდა ყოფილიყო ფილარქოსი, შეესრულებინა ქორეგია ან უნდა გაეწია ხარჯი რომელიმე ამის მსგავს ლიტურგიაზე, — მან დააწესა ზომიერი საფასური და შესაძლებლობა მისცა მათგან ყველა მსურველს შეეტანა ეს თანხა, რათა იმ ხალხის რიცხვში ჩარიცხულიყვნენ, ვინც ლიტურგიას ასრულებდა. დაბოლოს, აკროპოლისზე ათენის ქურუმი ქალის სასარგებლოდ მან დააწესა თითოეულ გარდაცვლილზე შეეტანათ თითო ხენიკი ქერი და კიდევ თითო ხენიკი ხორბალი, და თითო ობოლი; თუ ვისმე ბაეშვი დაებადებოდა, ისიც ასევე უნდა მოქცეულიყო.

სიმღერა ჰარმოდსა და არისტოგიტონზე*

ტვიის ფოთლებ ქვეშ ვიპყრათ მახვილი
არისტოგიტონისა და ჰარმოდიოსთ,
როცა განგმირეს მათ ტირანი ხმლით
და თანაბარპყვეს ყველა კანონით.

არ მომკვდარხარ შენ, ო ძვირფასო ჰარმოდი,
ეხლა შენ ცხოვრობ ნეტართა კუნძულზე,
სადაც ფეხმარდი აქილევსი ცხოვრობს იმავე მიწაზე,
სადაც მუდამ დაფარფატებს კეთილშობილი ტიდიდი.

ტვიის ფოთლებ ქვეშ ვიპყრათ მახვილი,
არისტოგიტონსა და ჰარმოდისთან ერთად,
როცა დიდ ათენას დღეობის დღით
ტირანი ჰიპარქე მოჰკლეს მათ ერთად.

საუკუნო დიდება გმოსავდეთ თქვენ მარად,
საყვარელო ჰარმოდი, არისტოგიტონთან ერთად,
რადგან თქვენ ტირანი განგმირეთ იგი
და თანაბარ პყავით ყველა კანონით.

---

* ამ სიმღერას იხსენიებენ VI საუკუნის დასასრულისა და V საუკუნის დასაწყისი ბანის მწერლები. ასეთივე სიმღერა მიეწერება IV საუკუნის პოეტ კალისტრატეს.

კლისთენე

პეროდოტე, V.

69. ათენი უწინაც დიდი იყო და ეხლა ტირანთაგან განთავისუფლებული, უფრო გაძლიერდა. იქ მაშინ ორ კაცსა ჰქონდა დიდი ძალა: კლისთენე ალკმეონიდს — სწორედ იმას, ვისზედაც ხმები დადიოდა, რომ მან მოისყიდა პითია, და ისაგორე, ტისანდრეს ძე, წარჩინებული ოჯახის წევრი: ოუძცა მე არ შემიძლია მისი წარმოშავლობა დავასახელო, ეს კია, რომ მისი თანამოგვარენი მსხვერპლსა სწირავენ კარიელ ზევსს.[11]

სწორედ აქ ადამიანთა შორის ატყდა დავა ძალაუფლებისათვის, მოწინააღმდეგეების მიერ დამარცხებულმა კლისთენემ თავის მხარეზე გადაიბირა ხალხი. შემდეგ ათენის მოსახლეობა, რომელიც აქამდე ოთხ ფილეს შეადგენდა, მან დაჰყო ათ ფილედ; ამასთანავე მან გააუქმა მათი წინანდელი სახელწოდებანი იონის შვილების — ჰელეონტის, ეგიკორეის, არგადეისა და ჰოპლეტის[12] მიხედვით — და მოიგონა ფილებისთვის ახალი სახელწოდება სხვა გმირთა სახელების მიხედვით — ყველა ადგილობრივებისა, აიაქსის გარდა. ეს უკანასკნელი, თუმცა უცხო, მან აიღო როგორც მახლობელი მეზობელი და მოკავშირე, რომელთანაც სტუმართმოყვარული ურთიერთობა ჰქონდა.

69. ...კლისთენე ათენელი იყო დედით შვილიშვილი სიკიონელ კლისთენესი[13]. და ეს სახელიც მას პაპის საპატივსაცემოდ უწოდეს; ამასაც, როგორც თავის პაპას, ჩემი აზრით, სძულდა იონიელები, და რათა ათენელებს არა ჰქონოდათ ისეთივე ფილები, როგორც იონიელებს, მან მაგალითი აიღო თავის სეხნია კლისთენესგან. სახელდობრ, როდესაც კლისთენემ თავისკენ მიიმხრო ათენელი ხალხი, რომელიც წინათ ყოველგვარი უპირატესობისგან ჩამოშორებული იყო, მან ახალი სახელწოდებები მისცა ფილებს, და მათი რიცხვი გაზარდა წინანდელთან შედარებით. მან დანიშნა ათი ფილიარქოსი ოთხის ნაცვლად, და ამას გარდა უველა ფილეში გაანაწილა მან ათ-ათი დემი. ამგვარად, მიიმხრო რა თავისკენ ხალხი, ამით მან თავის მოწინააღმდეგეებზე დიდ უპირატესობას მიაღწია.

70. თავის მხრივ, ეხლა დამარცხებულმა ისაგორამ შემდეგი მოიგონა: მან თავის დასახმარებლად მოუწოდა კლეომენე ლაკედემონელს, რომელიც პიზისტრატიდებისათვის ალყის შემორტყმის დროიდან მისი სტუმარი გახდა. ხოლო კლეომენეზე ხმა იყო გავრცელებული, რომ ვითომც მას კავშირი ჰქონდა ისაგორას ცოლთან. ჯერ კლეომენემ შიკრიკი გაგზავნა ათენში და წინადადება მისცა გაეძევებინათ კლისთენე და მასთან ერთად მრავალი სხვა ათენელი, უწოდებდა რა მათ „უწმინდურებს". ამას ამბობდა იგი თავისი გაგზავნილი კაცის პირით, ისაგორას მიერ შთაგონებული. საქმე ის არის, რომ ალკმეონიდებსა და მათ

მომხრეებს ბრალი ედებოდათ ამ მკვლელობაში,[17] მაგრამ არც მას არც მის მეგობრებს არ მიუღიათ მონაწილეობა ამ მკვლელობაში.

72. როდესაც კლეომენე თავისი შიკრიკის საშუალებით მოითხოვდა კლისთენესა და „უწმინდურთა" გაძევებას, კლისთენე ფარულად თვითონვე გაეცალა. მაგრამ ამის შემდეგაც მაინც მოვიდა კლეომენე ათენში მცირე რაზმით. აქ მოსულმა, მან გააძევა როგორც „უწმინდურნი" შვიდასი ოჯახი, რომლებზედაც მას ისაგორამ მიუთითა. ხოლო როდესაც ამას წინ აღუდგა საბჭო და უარი თქვა დამორჩილებაზე, მაშინ კლეომენემ და ისაგორამ თავიანთი მომხრეებითურთ ხელთ იგდეს აკროპოლისი. ყველა დანარჩენი ათენელები ურთიერთ შეთანხმდნენ და მათ ალყა შემოარტყეს, რაც ორ დღეს გაგრძელდა. მესამე დღეს, ვამოითხოვეს რა უვნებლად გაშვების პირობა, ყველა ლაკედემონელი, რომლებიც კი აქ იყვნენ, წავიდა ამ მხრიდან... კლეომენე მაშინ ხელახლა იქნა გაძევებული ლაკედემონელებითურთ. ყველა დანარჩენნი კი შეიპყრეს და სიკვდილი მიუსაჯეს, მათ რიცხვში დელფოსელ ტიმესითეისაც; იმის ხელთა შემოქმედებასა და სიმამაცეზე მე ბევრი შესანიშნავი რამის მოთხრობა შემეძლო.

73. ამგვარად, ისინი ბორკილგაყრილი და დასჯილი იქნენ. ხოლო ათენელებმა ამის შემდეგ მოიწვიეს კლისფენე და შვიდასი ოჯახი, ისაგორას მიერ გაძევებული...

არისტოტელე, პოლიტიკა.

III, 2, 10. მაგრამ, შეიძლება უფრო მეტ სიძნელეს შეიცავდეს საკითხი იმათ შესახებ, ვინც მონაწილეობას იღებდა სახელმწიფო გადატრიალებაში. აი, მაგალითად, როგორ მოიქცა კლისთენე ათენში იქიდან ტირანების გაძევების შემდეგ: მან ჩარიცხა ფილების შემადგენლობაში მრავალი უცხოელი და ადგილობრივ მცხოვრები მონები. ამათ მიმართ სადავო ის კი არ არის, თუ ვინ არის მოქალაქე, არამედ როგორ გახდა იგი ასეთად — უკანონოდ, თუ უფლების ძალით.

VI, 2, 9, 11. რათა დაედგინათ ამ სახის დემოკრატია[18] და გაეძლიერებინათ ხალხი, მისი ხელმძღვანელნი, ჩვეულებრივ ცდილობენ მიიღონ თავიანთ წრეში რაც შეიძლება ბლომად ხალხი და გახადონ მოქალაქეებად არა მხოლოდ კანონიერად შობილნი, არამედ უკანონონიც და ისეთებიც კი, რომელთა მშობლებიდანაც მხოლოდ ერთს — მამას ან დედას აქვს სამოქალაქო უფლებები. საქმე ის არის, რომ ამგვარი ელემენტები განსაკუთრებით თანაუგრძნობენ ასეთ დემოკრატიას... შემდეგ, ამის მსგავსი დემოკრატიისათვის ხელსაყრელია აგრეთვე ისეთი ხერხი, რომელსაც მიმართა კლისთენემ ათენში, როდესაც მას დემოკრატიის გაძლიერება სურდა, და იმ მოღვაწეებმა, რომლებიც კირენაში დემოკრატიული წყობის დადგენასა ცდილობდნენ. სახელდობრ, საჭიროა

შეიქმნას **ახალი** ფილები და ფრატრიები და ამასთანავე დიდი რაოდენობით: კერძო კულტები მცირე რიცხვში უნდა გაერთიანდეს და შეიქმნეს ისინი საზოგადოებრივი; ერთი სიტყვით, უნდა გამოგონილ იქნას ისეთი საშუალებანი, რათა ყველანი რაც შეიძლება მეტად აირიონენ ერთიმეორეში, ხოლო იმავე დროს წინანდელი გაერთიანებები კი უნდა დაირღვეს.

ოსტრაკიზმი

ფილოქორე, 79.

ხალხი ახდენს წინასწარ ხმის მიცემას მერვე პრიტანეის წინ იმ საკითხზე, ხომ არ მიაჩნია მას საჭიროდ „ნატეხებით კენჭის ყრა". თუ ამას საჭიროდ აღიარებდნენ, მოედანს შემოავლებდნენ ფიცრის ზღუდეს ისე, რომ უტოვებდნენ ათ შესასვლელს, საიდანაც შედიოდნენ ფილების მიხედვით და გადასცემდნენ პირქვე დაბრუნებულ წარწერიან ნატეხებს. ამასთანავე თავმჯდომარეობდნენ ცხრა არქონტი და საბჟო. შემდეგ დასთვლიდნენ და ვის წინააღმდეგაც აღმოჩნდებოდა უმრავლესობა, იმ პირობით, რომ საერთო რიცხვი ექვსი ათასზე ნაკლები არ უნდა ყოფილიყო, იგი ვალდებული იყო ათი დღის განმავლობაში დაემთავრებინა ყველასთან თავისი ყოველგვარი პირადი საქმეები, ასაღები — აეღო, გასაცემი გაეცა, და გასცლოდა ქალაქს ათი წლის ვადით (შემდეგში ეს შეიცვალა ხუთი წლით), მაგრამ ინარჩუნებდა უფლებას მიეღო შემოსავალი თავისი ყოველგვარი ქონებიდან, ოღონდ იმ პირობით, რომ ქალაქს არ უნდა მიახლოვებოდა ჰერესტის ზოლს იქით ევბეის კონცხზე. ეტყობა უცნობ პირთაგან მხოლოდ ჰიპერბოლე იქნა გაძევებული ოსტრაკიზმის წესით თავისი არაპატიოსანი მოქმედების გამო და არა ტირანული განზრახვების შესახებ ეჭვის გამო. მის შემდეგ კიდეც გაუქმდა ეს ჩვეულება, რომელიც კლისთენეს კანონმდებლობიდან მომდინარეობს. როდესაც მან დაამხო ტირანები და სურდა მათთან ერთად მათი მეგობრებიც გაეძევებინა.

პლუტარქე, არისტიდე, 7.

არისტიდე თავდაპირველად უყვარდა ყველას, მაგრამ მერე თავისი სახელწოდების[19] გამო მან თავის მიმართ შური გამოიწვია, განსაკუთრებით, როდესაც თემისტოკლემ გაავრცელა ხალხში ხმა, რომ ვითომც არისტიდემ, გააუქმა რა სასამართლოები და თავის ხელში აიღო რა ყველა საქმეების როგორც გარჩევა, ისე მსჯავრის დებაც, შეუმჩნევლად მოამზადა ამით თავისი ერთმმართველობა (ერთპიროვნული მმარ-

თველობა), თუმცა პირად მცველთა გარშემო. ამასთანავე ხალხიც, რომელიც გაამაყებული იყო თავისი გამარჯვებით და თავის თავს უდიდესი პატივის ღირსად თვლიდა, უკმაყოფილოდ უცქერდა იმ ადამიანებს, რომლებიც უმრავლესობის მიმართ უპირატესობითა და დიდი სახელით გამოირჩეოდნენ. აი, ასე ხალხმა, მოიყარა რა თავი ქალაქში ყოველი მხრიდან, გააძევა არისტიდე ოსტრაკიზმით, ამასთანავე მისი სახელის მიმართ შურს უწოდეს ტირანიის წინაშე შიში. საქმე ის არის, რომ ოსტრაკიზმი სასჯელი კი არ იყო სიცუდისთვის, არამედ იწოდებოდა მოთვინიერებისა და სიამაყის, აგრეთვე გადაჭარბებული ძლიერების შემუსვრის საშუალებად; სინამდვილეში კი ეს იყო შურის მსუბუქი დაკმაყოფილება არა იმ სურვილით, რომ დასჯილისთვის რაიმე გამოუსწორებელი რამ მიეყენებინათ, არამედ მხოლოდ ათი წლის ვადით გაძევებით... საქმე, საერთოდ, ასე ხდებოდა: ყოველი კაცი, რომელსაც სურდა მოქალაქეთაგან ვისიმე გაძევება, თიხის ნატეხზე წერდა ამ უკანასკნელის გვარს და მიჰქონდა მოედანზე ერთ ადგილას, რომელიც მოაჯირით იყო შემოზღუდული. მოხელენი პირველ ყოვლისა დასთვლიდნენ ხოლმე ნატეხებს ჯერ საერთოდ თუ დამწერთა რიცხვი ექვსი ათასზე ნაკლები აღმოჩნდებოდა, ოსტრაკიზმი გაუქმებულად ჩაითვლებოდა. შემდეგ თვითეულ სახელს ცალკე გადასდებდნენ და ვისი სახელიც უმრავლესობის მიერ დაწერილი აღმოჩნდებოდა, მას ათი წლით გაძევებულად გამოაცხადებდნენ, მაგრამ მას უფლება ჰქონდა ესარგებლა თავისი ქონებით. და აი, სწორედ იმ დროს, როდესაც ნატეხებზე სახელებს წერდნენ, ერთი წერაკითხვის უცოდინარი და სოფლელი კაცი, ამბობენ, მივიდა არისტიდესთან, რომელიც მას პირველი შეხვდა, მიაწოდა თავისი თიხის ნატეხი და სთხოვა მას არისტიდეს სახელი დაეწერა. იგი განცვიფრდა და ჰკითხა, ხომ არ ჩაუდენია არისტიდეს მის მიმართ რამე ბოროტება. „არა, არაფერი, — უპასუხა გლეხმა, — მე არც კი ვიცნობ ამ კაცს, მაგრამ მე მომბეზრდა იმის მოსმენა, რომ ყველგან სამართლიანს უწოდებენო“. ამის გამგონე არისტიდემ მას აღარაფერი უთხრა, დაწერა თიხის ნატეხზე თავისი სახელი და მისცა მას.

პლუტარქე, ნიკია. II.

ალკიბიადესა და ნიკიას შორის ბრძოლა უმაღლეს წერტილს აღწევდა და ამასობაში კი ახლოვდებოდა თიხის ნატეხებით ხმის მიცემის დრო, რასაც, ჩვეულებრივ, დროდადრო მიმართავდა ხალხი. იგი ამასთანავე გაასახლებდა ხოლმე ათი წლით მოქალაქეთაგან ერთს ისეთს, რომელიც თავის მიმართ ეჭვსა და შურს იწვევდა რომელიმე თვისებით — ან თავისი სახელგანთქმულობით, ან თავისი სიმდიდრით. აქ ატყდა დიდი ხმაური ორივე მათეანის მიმართ და შეიძლებოდა კაცს ეფიქრა, რომ ერთ-ერთი მათგანი აუცილებლად გაძევებული იქნებოდა

ოსტრაკიზმის საშუალებით. რაც შეეხება ალკიბიადეს, ხალხს აღელვებდა მისი ცხოვრების წირი და მასთან ერთად ეშინოდათ მისი კადნიერებისა, რის შესახებაც დაწვრილებით მოთხრობილია სპეციალურად მისთვის მიძღვნილ თხზულებაში.[20] ნიკიას მიმართ კი შურს იწვევდა სიმდიდრე. მაგრამ განსაკუთრებით უსიამოვნო იყო თავისი უჩვეულობით მის ცხოვრებაში ხალხისადმი მკაცრი მოპყრობა და არადემოკრატიულობა. თვითგანცალკევებულობა და ოლიგარქიული შეხედულებანი: უკვე არა ერთხელ გამოიწვია ამით თავის მიმართ უკმაყოფილება, როდესაც ის ებრძოდა ხალხის გატაცებულობას და მტკიცედ მოითხოვდა მისი აზრების განხორციელებას სახელმწიფოს საკეთილდღეოდ, საერთო აზრის წინააღმდეგ. მოკლედ რომ ითქვას, ახალგაზრდები და ბრძოლის სურვილით გატაცებული ადამიანები აწარმოებდნენ ბრძოლას მშვიდობისმოყვარე და ხნიერი ხალხის წინააღმდეგ, ისე რომ ერთნი ერთის წინააღმდეგ აპირებდნენ ნატეხების ჩაგდებას, მეორენი — მეორის წინააღმდეგ.

არეულობის დროს ყოველად საძაგელსაც პატივი ხვდება.[21] მაშინაც ასე ხალხი ორ ჯგუფად გაიყო და ასპარეზი დაუთმო ყველაზე თავხედსა და უსინდისო ადამიანებს. მათ რიცხვში იყო ჰიპერბოლე, პერითოის ძე,[22] რომელსაც კადნიერებისთვის არაუთარი მონაცემი არა ჰქონდა, მაგრამ თავისი კადნიერებით ძალა მოიხვეჭა და შეიქმნა სახელმწიფოს შეურაცხმყოფელი იმ პატივის გამო, რომელიც მას სახელმწიფოში ეკუთვნოდა. სწორედ აი, ეს კაცი ცდილობდა მაშინ თავიდან აეცდინა ოსტრაკიზმით გაძევება — რასაკვირველია, ის ბორკილის ღირსი უფრო იყო — ასე, იგი ვარაუდობდა რა, რომ თუ ერთ-ერთი გაძევებული იქნებოდა, ის დარჩენილის მოქიშპედ გამოვიდოდა, აშკარა უკმაყოფილებას გამოთქვამდა ბრძოლის მიმდინარეობით და ხალხს აქეზებდა როგორც ერთის, ისე მეორის წინააღმდეგ. საქმე იმით გათავდა, რომ ნიკიასა და ალკიბიადეს მომხრეებმა, დაინახეს რა ამ კაცის სულმდაბლობა, საიდუმლოდ მოილაპარაკეს, გააერთიანეს თავიანთი ძალები და ერთობლივი მოქმედება იწყეს. მათ გაიმარჯვეს. ისე რომ არც ერთი მათგანი არ იქნა გაძევებული, არამედ ოსტრაკიზმით გააძევეს ჰიპერბოლე. ამ მომენტში ამან ხალხს კმაყოფილება მოუტანა და ბევრი აცინა, მაგრამ შემდგომში უკვე გულისწყრომას გამოსთქვამდა, რომ თვით ეს საქმე წაიბილწა უღირსი ადამიანის მიმართ გამოყენებით; ნამდვილად კი ყველანი ამ სასჯელშიაც ხედავდნენ ერთგვარ ღირსებას, მაგრამ ოსტრაკიზმს თვლიდნენ სასჯელად უფრო თუკიდიდეს,[23] არისტიდესა და მათ მსგავსთა მიმართ; ჰიპერბოლესთვის კი ამ სასჯელს დიდ პატივადა და საკვეხნ საქმედ თვლიდნენ, რამდენადაც თავისი სულმდაბლობისთვის მან მიიღო იგივე, რაც საუკეთესო ადამიანებმა. ასე ამბობს მის შესახებ კომედიოგრაფი პლატონიც:[24]

მან რაც მიიღო ლირსებისამებრ;
თვითონ კი თავისი დაღითაც ამად არ ღირდა;
ოსტრაკიზმი არა ამგვარი ხალხისთვის არსებობდა.

ამის შედეგად, ოსტრაკიზმით უკვე აღარავინ გაუძევებიათ ჰიპერბოლეს შემდეგ. იგი იყო უკანასკნელი, ხოლო პირველი იყო ჰიპარქე ქოლარგიდან. რომელიც ტირანის რაღაცა ნათესავი იყო... ჩემთვის უცნობი არ არის ის, რომ თეოფრასტე ამტკიცებს, ვითომც ჰიპერბოლე გაძევებულ იქნა ალკიბიადე თეაკთან[6] და არა ნიკიასთან ბრძოლის შედეგად. მაგრამ უმრავლესობა ასე წერს.

ატიკა-დელოსის კავშირი

საზღვაო კავშირი

პლუტარქე, არისტიდე, 23.

როდესაც არისტიდე კიმონთან ერთად გაგზავნილ იქნა როგორც სტრატეგოსი ომში,[27] მან შენიშნა, რომ პავსანია და სპარტელთა სხვა ჯარის უფროსნი მოკავშირეებს შორის სიძულვილსა და გაღიზიანებას იწვევდნენ. ხოლო თვითონ მათ გულთბილად და კაცთმოყვარეობით ეკიდებოდა და კიმონსაც აიძულებდა ყურადღებით ყოფილიყო მათი ინტერესების მიმართ და მიუდგომლად მოპყრობოდა მათ ლაშქრობის დროს. ასე, მან შეუმჩნეველად ჩამოართვა სპარტელებს ჰეგემონობა არა იარაღის, ფლოტის ან ცხენოსანი ჯარის საშუალებით, არამედ მოპყრობის სიმარტივით. თუ ბერძნები მეგობრულად იყვნენ განწყობილი ათენელების მიმართ, არისტიდეს სამართლიანობისა და კიმონის კეთილშობილების წყალობით, პავსანიას ქედმაღლობა და უხეშობა მათ უფრო მეტად აიძულებდა დაახლოვებოდნენ ათენელებს. პავსანია მოკავშირეთა ჯარის სარდლებსაც ზვიადად და უხეშად ეპყრობოდა, უბრალო მეომრებს კი ცემითა სჯიდა, ან დაჰკიდებდა რკინის ღუზას და აიძულებდა მთელი დღე ეგრე მდგარიყვნენ. არავის ჰქონდა უფლება სპარტელებზე უწინ მოეგროვებინათ ჩალაბული ქვეშ დასაგებად, ან პირველნი მისულიყვნენ წყაროსთან, — მისი მსახურნი კეტებით ერეკებოდნენ ყველა მისულთ. როდესაც ერთხელ არისტიდეს სურდა ეთქვა მისთვის ამის შესახებ და საქმე განემარტა, პავსანიამ სახე მოიღუშა და უპასუხა, რომ მას არა სცალია და არც მოუსმინა მას. ამის გამო, ბერძენთა ნავარქები და ჯარის უფროსნი, განსაკუთრებით კი ქიოსელები, სამოსელები და ლესბოსელები, მივიდნენ არისტიდესთან და არწმუნებდნენ აეღო მას ჰეგემონობა და მიემხრო თავისკენ მოკავშირეები, რომლებსაც უკვე დიდი ხა-

ნია სურთ გაწყვიტონ კავშირი სპარტელებთან და გადავიდნენ ათენელების მხარეზე. არისტიდემ ამაზე უპასუხა, რომ, რასაკვირველია, მათი წარჩვამიდან იგი ხედავს ამის აუცილებლობასა და სამართლიანობას, მაგრამ რომ ამის დასამტკიცებლად საჭიროა ისეთი საქმე, რომელიც, რაკი ერთხელ მოხდება. აღარ მისცემს ხალხს საშუალებას შესცვალოს გადაწყვეტილება. მაშინ მათმა ნაწილმა სამოსელი ულიადესა და ქოსელ ანტაგორას მეთაუროპით შეადგინეს შეთქმულება და ბიზანტიის მახლობლად ოავს დაესხნენ პავსანიას ტრიერს. შემოარტყეს რა ალყა. როდესაც ის ფლოტს წინ მიუძღოდა. ამის შემხედვარი პავსანია საშინლად გაბრაზდა და რისხვით დაემუქრა, რომ იგი მათ მალე ღაანახვებდა, რომ მათ მოახდინეს თავდასხმა არა მის ტრიერზე, არამედ საკუთარ სახელმწიფოებზე. მაშინ მათ უთხრეს, რათა იგი წაიღეს იქიდან და ბერძნებს უმადლოდეს, რომ გაამარჯვებინა პლატეისთან, რადგან მხოლოდ ამის პატივსაცემად ბერძნები მას არა სჯიან დამსახურებისამებრ. საქმე გათავდა იმით, რომ ისინი ჩამოსცილდნენ სპარტელებს და მივიდნენ ათენელებთან. სწორედ აქ საუცხოოდ გამოჩნდა სპარტელთა კეთილგონიერება. როგორც კი მათ დაინახეს, რომ მათი ჯარისუფროსნი არყვნებიან. აქეთ რა უდიდესი ძლიერება.—ნებაყოფლობით უარი თქვეს ჰეგემონობაზე და ხელი აიღეს ომში სარდლების გაგზავნაზე, ამჯობინეს რა ჰყოლოდათ თავმდაბალი და ძველი ადათების ერთგული მოქალაქენი, ვიდრე მთელი საბერძნეთის მმართველნი ყოფილიყვნენ.

24. ბერძნებს ლაკედემონელთა ჰეგემონიის დროსვე შეჰქონდათ გარკვეული გადასახადი ომის საწარმოებლად. სურდათ რა. რომ ყველას სახელმწიფოს ძალის შესაბამისად დასდებოდა ეს შესატანი, მათ მოითხოვეს, რათა მათთან გაგზავნილი ყოფილიყო არისტიდე. ამის შემდეგ მათ მისცეს მას დავალება, რათა მას განეხილა მათი სამფლობელოებისა და შემოსავლის სიდიდე და მათი მნიშვნელობისა და ძალის შესაბამისად დაედგინა მათთვის შესატანი. თუმცა იგი ასეთი ნდობით აღჭურვეს და მთელმა საბერძნეთმა ერთგვარად მას ჩააბარა ყველა საქმეები.—იგი ღარიბი გაემგზავრა ამ საქმისთვის და იქიდან კი უფრო მეტად გაღარიბებული დაბრუნდა, შეადგინა რა ფულის სია არა მხოლოდ პატიოსნად და სამართლიანად, არამედ აგრეთვე ყველასადმი მეგობრული განწყობილებით და ყველას შემოსავალთან შეფარდებით. როგორც ძველად ხალხი ადიდებდა კრონოსის დროის ცხოვრებას, ისევე ათენელთა მოკავშირეები ადიდებდნენ იმ შესატანს, რომელსაც არისტიდეს დროს იხდიდნენ, უწოდებდნენ რა ამას საბერძნეთის კეთილდღეობას. ხოლო განსაკუთრებით დაიწყეს მათ ასე ლაპარაკი მაშინ, როდესაც ამის მერე რამდენიმე ხნის შემდეგ შესატანი ერთი ორად, შემდეგ კი ერთი სამადაც გადიდდა. ის გადასახადი, რომელიც არისტიდემ დაადგინა, 460-მდე ტალანტს შეადგენდა. ამას პერიკლემ ერთ მესამედზე ცოტა ნაკლები მიუმატა. თუკიდიდე ამბობს, რომ

ომის დაწყებისას ათენელების შემოსავალი მოკავშირეებისაგან ექვსას ტალანტს შეადგენდა. ხოლო პერიკლეს სიკვდილის შემდეგ დემაგოგები განუწყვეტლივ ადიდებდნენ მას და საერთო თანხა 1300 ტალანტამდე აიყვანეს. ამასთანავე ეს იყო გამოწვეული არა იმდენად იმით, რომ გაჭიანურებული და შემთხვევითობით აღსავსე ომი დიდ ხარჯებს მოითხოვდა და დიდძალი ფული ჯდებოდა, რამდენადაც იმით, რომ მათ (დემაგოგებმა) მიაჩვიეს ხალხი საბოძვარს, სანახაობათა ფულის დარიგებასა და ქანდაკებების და ტაძრების მშენებლობას.

თუკიდიდე, I, 96.

როდესაც ამგვარად ათენელებმა მიიღეს ჰეგემონობა მოკავშირეთა თანხმობით პავსანიასადმი სიძულვილის გამო, მაშინ მათ დააწესეს შესატანის ზომა, თუ რომელ სახელმწიფოს ფულად უნდა შეეტანა ბარბაროსებთან ომის საწარმოებლად და რომელს ხომალდების სახით... სწორედ მაშინ პირველად შემოიღეს ათენელებმა ელლინთა სალაროს მოლარეების თანამდებობა,[29] რომლებსაც უნდა შეეგროვებინათ ფოროსი.[30] ასე უწოდეს ფულის სავალდებულო შესატანს. პირველი დადგენილი შესატანი 460 ტალანტს[30] შეადგენდა. მათი ხაზინა იყო დელოსში და კრებები იქ ტაძარში ხდებოდა.

97. თავდაპირველად ათენელები ხელმძღვანელობდნენ მოკავშირეებს, უტოვებდნენ რა მათ დამოუკიდებლობას და საერთო კრებებზე თავიანთი საქმეების გადაწყვეტის უფლებას. მაგრამ შემდეგში ათენელებმა, იმით, რომ ომს აწარმოებდნენ და პოლიტიკურ საქმეებს განაგებდნენ, მიაღწიეს ამ ომსა[31] და მიდიელებთან ომის შუალედში უკვე ისეთ ძალას, რომ შეეძლოთ შეესრულებინათ ამდენი საქმე ბარბაროსებისა და თავიანთი მოკავშირეების წინააღმდეგ, რდესაც ისინი ცდილობდნენ შეეცვალათ თავიანთი მდგომარეობა, — და ცალკეულ პელოპონესელთა მიმართ, ყოველთვის, როდესაც კი მათთან შეტაკება უხდებოდათ.

99. მოკავშირეთა ჩამოშორების მიზეზები მრავალი იყო, მაგრამ ყველაზე მნიშვნელოვანი იყო დავალიანება გადასახადისა და ხომალდების შეტანის მხრივ, ან ზოგჯერ სამხედრო სამსახურისთვის თავის არიდება. საქმე ის არის, რომ ათენელები მკაცრი იყვნენ გადასახადის აკრეფაში, და იმ ხალხისთვის, რომლებიც არც მიჩვეული იყვნენ და არც სურვილი ჰქონდათ ლაშქრული ცხოვრების ტვირთი აეტანათ, მძიმე უსიამოვნებად აღმოჩნდებოდა ხოლმე, როდესაც ათენელები იძულებითი ზომებს მიმართავდნენ. საერთოდ ათენელები თავიანთი განკარგულებების დროს, ეხლა უკვე ანგარიშს აღარ უწევდნენ წინანდებურად იმას, მოსწონდათ თუ არა ეს მოკავშირეებს, და ერთობლივი ლაშქრო-

ბის დროს თვითონ დანარჩენებს აღარ უთანაბრდებოდნენ და განდგომილად ადვილად იმორჩილებდნენ. ამაში დამნაშავე იყვნენ თვითონ მოკავშირენი. არა სურდათ რა ლაშქრობაში მონაწილეობა, რათა სახლიდან შორს არ წასულიყვნენ, მათი უმრავლესობა შეთანხმდა შეეტანათ ხარჯებისთვის საჭირო თანხა იმის გამო, რომ გაეგზავნათ თავიანთი ხომალდები. ამგვარად ათენელების ფლოტი გაიზარდა იძ სახსრებით, რომელიც ყოველთვის შეჰქონდათ ყველა მოკავშირეებს ერთად, ხოლო თვითონ მოკავშირეებს კი, როდესაც აჯანყებას ახდენდნენ, უხდებოდათ ღაეწყოთ ომი სათანადო მომზადებისა და გამოცდილების გარეშე.

პერიკლეს მოღვაწეობა

პლუტარქე. პერიკლე, 9.

9. თუკიდიდე სახავს პერიკლეს დროის პოლიტიკურ წყობას. როგორც რაღაც არისტოკრატიულს: სიტყვით დემოკრატიას, საქმით კი — პირველი კაცის მმართველობას; ბევრი სხვები კი ამტკიცებენ, რომ მან პირველმა შთააგონა ხალხს კლერუხიების[32] მოწყობა, სანახაობათა ფულის დარიგება, ჯამაგირის (თუ გასამრჯელოს) დარიგება მას შემდეგ, რაც ხალხმა შეითვისა ცუდი ჩვევები და მაშინდელი პოლიტიკის გავლენით თავდაჭერილისა და მშრომელისაგან გადაიქცა მფლანგველად და აუღაგმავად; ამის გამო საჭიროა განვიხილოთ ფაქტებზე ასეთი ცვლილებების მიზანი. თავდაპირველად, როგორც ნათქვამი იყო, იგი მეტოქეობას უწევდა კიმონის სახელგანთქმულობას და ცდილობდა ხალხში ნდობა მოეპოვებინა: მაგრამ კიმონს იგი ჩამორჩებოდა სიმდიდრითა და საშუალებებით, რითაც ის თავის მხარეზე იბირებდა ხოლმე ღარიბებს. სახელდობრ, კიმონი ყოველდღე ურიგებდა სადილს ღარიბებს და ტანსაცმელს მოხუცებულებს. თავის მამულებს ღობეები აჰყარა, რათა მსურველთ წაეღოთ ხილი. მოქმედებდა რა დემაგოგიური ხერხით ყველაფერი ამის წინააღმდეგ, პერიკლე იწყებს სახელმწიფო ფულის დარიგებას, ამასთანავე მას ურჩია თურმე ეს, როგორც არისტოტელე მოგვითხრობს, დამონიდემ, ოიადან. სწრაფად მოისყიდა რა ხალხი სანახაობათა ფულით, მოსამართლეების ჯამაგირით და საერთოდ ყოველგვარი ჯამაგირითა და ფულადი განაცემებით, იგი იყენებდა ამ საშუალებებს არეოპაგის საბჭოს წინააღმდეგ, რომელშიაც თვითონ არ შედიოდა, რადგანაც იგი არ იყო არც არქონტი,[33] არც ბასილევსი, არც პოლემარქი, არც თესმოთეტი. ამ თანამდებობებზე ძველთაგანვე კენჭის ყრით ირჩევდნენ და შემდეგ, დოკიმასიაზე[34] გასული პირი მოხვდებოდა არეოპაგში. ამიტომაც პერიკლემ, მოიპოვა რა უფრო მეტი ძალა ხალხში, დაიწყო ბრძოლა ამ საბჭოს წინააღმდეგ, რის შედეგადაც მას (საბჭოს)

ეფიალტემ ჩამოართვა სასამართლო პროცესთა უმეტესობის გარჩევა, ხოლო კიმონი, როგორც ლაკონელთა მომხრე და ხალხის მოძულე, გაძევებულ იქნა ოსტრაკიზმის საშუალებით, თუმცა სიმდიდრითა და შთამომავლობით არავისზე ნაკლები არ იყო, და ამას გარდა მან მოიპოვა ბრწყინვალე გამარჯვება ბარბაროსებზე და გაამდიდრა ქალაქი დიდძალი ფულითა და ნადავლით, როგორც ეს მის შესახებ თხზულებაში წერია. ასეთი იყო პერიკლეს ძალა ხალხის თვალში.

11. არისტოკრატიის მომხრეები უკვე ადრევე ხედავდნენ, რომ პერიკლე მოქალაქეთა შორის ყველაზე ძლიერი გახდა; სურდათ რა, რომ სახელმწიფოში ვინმე მაინც გამოსულიყო მის წინააღმდეგ და მისი ძალა შემცირებულიყო, და რათა ამგვარად არ ყოფილიყო ერთმმართველობა, მის მოჭიშპედ წამოაყენეს თუკიდიდე ალოპეკიდან,[35] ზომიერი, კიმონის მსგავსი ადამიანი; მაგრამ ის სამაგიეროდ უფრო დახელოვნებული ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე იყო. იგი, ქალაქში დარჩენილი, ებრძვის პერიკლეს საორატორო ტრიბუნის ირგვლივ და მალე სახელმწიფოში დაამყარა პარტიათა შორის ძალთა თანასწორობა. სწორედ მან აღიარა შეუწყნარებლად, რომ ე. წ. „მშვენიერი და კეთილი"[36] ხალხი არ უნდა იყოს წინანდებურად გაფანტული და სხვა ხალხში შერეული და საერთო მასაში არ უნდა ჰკარგავდეს თავის მნიშვნელობას. როდესაც მან გამოჰყო ისინი და გააერთიანა, მათ ყველამ ერთად შეადგინა დიდი ძალა, და მან ამგვარად მიაღწია წონასწორობას როგორც სასწორზე. თავდაპირველად შიგნით ერთგვარი ბზარი იყო. როგორც რკინაში, დემოკრატიული და არისტოკრატიული პარტიების წინააღმდეგობის მაჩვენებელი, მაგრამ ამ ორი კაცის ბრძოლამ და პატივმოყვარეობამ, რამაც სახელმწიფოში ღრმა განხეთქილება გამოიწვია, აიძულა ერთისთვის ეწოდებინათ „სახალხო". მეორისთვის „მცირედთა" პარტია. აი, რატომ მაშინაც პერიკლემ მიუშვა ხალხს აღვირი და მის მოსაწონ პოლიტიკას ანხორციელებდა. იგი ხშირად გამოიგონებდა ხოლმე ქალაქში ხან სახალხო სანახაობის გამართვას, ხან სახალხო კვება-მასპინძლობას, ხან პროცესიას და ხელმძღვანელობდა ხალხს, ზრდიდა რა მას მხატვრულ კმაყოფილებათა საშუალებით; იგი ყოველწლიურად გზავნიდა ზღვაში სამოც ტრიერს, რომლებითაც რვა თვის განმავლობაში დასცურავდნენ მრავალი მოქალაქენი, იღებდნენ რა ამისთვის ჯამაგირს, და ამავე დროს ხელმძღვანელობდნენ და ითვისებდნენ სანაოსნო საქმეს. ამას გარდა, მან გაგზავნა ათასი კლერუხი ქერსონესში, ხუთასი — ნაქსოსში, ამის ნახევარი — ანდროსში, ათასი — თრაკიაში ბისალტებთან ერთად დასასახლებლად. კიდევ სხვები — იტალიაში, სიბარისის ახლო დასახლების დროს, რომელსაც თურიას უწოდებდნენ. ამას იგი შვრებოდა, რათა განეტვირთნა ქალაქი მუქთახორა და უსაქმურობის ვამო ჭოუსვენარი ბრბოსაგან; ამავე დროს ამ ხერხით იგი ეხმარებოდა გაჭირ-

ვებულ ხალხს, ხოლო მოკავშირეებს შიშს უნერგავდა და მათში რაიმე გადატრიალების სურვილსა ხშავდა.

12. მაგრამ რამაც უდიდესი კმაყოფილება მოუტანა და მშვენება შესძინა ათენს, ხოლო სხვა ხალხი უდიდესად გააოცა, და რაც მარტო თვითონ მოწმობს საბერძნეთის წინაშე მისი უტყუარი ძლიერებისა და ძველი ბედნიერების შესახებ — ეს არის ღმერთებისადმი შეწირული ტაძრების აგება. სწორედ ამას მის პოლიტიკურ საქმეთაგან ყველაზე უფრო მეტად აყვედრიდნენ პერიკლეს მისი მტრები და სახალხო კრებებზე მას ცილსა სწამებდნენ, ყვიროდნენ რა, რომ ხალხს სახელი უტყდება და ვრცელდება ხმები, რომ, ვითომც მან დელოსიდან მოიტანა ბერძენთა საერთო ხაზინა, და რომ პერიკლემ შეუძლებელი გახადა ის თავაზიანი განმარტება, რომელიც ცილისმწამებლებს შეიძლება დაუპირისპირდეს — სახელდობრ, რომ ხალხმა იგი წამოიღო იქიდან ბარბაროსთა შიშით და საერთო საგანძურს ინახავს თავისთან უშიშარ ადგილას. საბერძნეთი ვითომდა განიცდის საშინელ შეურაცხყოფას და აშკარად ექცევა ტირანიული უფლების ქვეშ: იგი ხედავს, რომ ომის დროს იძულებით გადახდევინებული შესატანებით ჩვენ ქალაქს ოქროთი ვმოსავთ და ვრთავთ როგორც პატივმოყვარე ქალს, რომელიც გარშემო იკიდებს ძვირფას ქვებსა და სამკაულებს, და ვაშენებთ ათას ტალანტად ღირებულ ტაძრებს. ამის გამო პერიკლემ განუმარტა ხალხს, რომ ათენელები არ არიან ვალდებულნი ფულების ანგარიში ჩააბარონ მოკავშირეებს, რადგან ისინი მათთვის იბრძვიან და იგერიებენ ბარბაროსებს მაშინ, როდესაც მოკავშირეებს არ გამოყავთ არც ცხენოსანი ჯარი, არც ხომალდები, არც ჰოპლიტები, არამედ მხოლოდ ფული შემოაქვთ. ეს ფული უკვე მის გამღებს კი აღარ ეკუთვნის, არამედ მის მიმღებს, რაკი იგი იძლევა იმას, რისთვისაც ფულს იღებს. ხოლო რაკი ქალაქი საკმარისად არის მომარაგებული ყველაფერი იმით, რაც ომისთვის არის საჭირო, ზედმეტი საშუალებანი უნდა მოხმარებულ იქნას ისეთ საქმეზე, რომლის განხორციელებაც საუკუნო სახელს შეგვძენს, ხოლო მიმდინარეობის დროს კი უმალ მოგვცემს შემოსავალს, რადგან დაიწყება ყოველგვარი საქმიანობა და წარმოიშვება მრავალნაირი საქიროება, რომლებიც გამოიწვევენ ყოველგვარ ხელოვნებას, აამოქმედებენ ყველას ხელს და ამ გზით შემოსავალს გაუჩენენ თითქმის მთელ სახელმწიფოს ისე, რომ იგი ერთსა და იმავე დროს კიდეც შეამკობს თავის თავს და კიდეც გამოიკვებებაო. სწორედ ასეც მოხდა, ჯარში გასაწვევი ასაკისა და ჯანღონით სავსე ადამიანებს ლაშქრობა აძლევდა ჯამაგირს სახელმწიფო ხაზინიდან; ხოლო რაც შეეხება უმწყობრო მასასა და ხელოსნებს, პერიკლეს სურდა, რომ არც ისინი დარჩენილიყვნენ ისე, რომ ხეირი რამე არ ენახათ, მაგრამ იგი არც უშრომლადა და მუქთად მიეღოთ; ამის შესაბამისად პერიკლემ წარუდგინა ხალხს მშენებლობის ფართო გეგმა და სხვადასხვა დარგში მრავალრიცხოვან სამუშაოთა პროექტები, რაც ხან-

გრძლივად იყო ნავარაუდევი, რათა შინ დარჩენილ ხალხს გარნიზონებში მყოფ ან ლაშქრობაში მონაწილე მეზღვაურებსა და ჯარისკაცებთან ერთად შესძლებოდათ მიეღოთ ჯამაგირი ხაზინიდან და ამით წილი ჰქონოდათ საერთო მოგებაში. სახელმწიფოს ჰქონდა მასალა: ქვა, სპილენძი, სპილოს ძვალი, ოქრო, აბანოზი, სარო; იყვნენ აგრეთვე ხელოსნებიც, რომლებსაც შეეძლო მათი დამუშავება და გამოყენება, იყვნენ მშენებელნი, მოქანდაკენი, მჭედლები, ქვის მთლელნი, ოქრომჭედლები, სპილოს ძვლის დამმუშავებელნი, მხატვრები, მინანქარზე მომუშავე ხალხი, რომლის საქმეც იყო ყველაფერის ამის გადაზიდვა-გადმოზიდვა და გარეთ გატანა როგორც ზღვით მოვაჭრენი, მეზღვაურები, მენავეები, ისე ხმელეთით — მეურმეები, მეეტლეები, მექარავნეები, შემდეგ მესაბლეები, მქსოველნი, მეუნაგირეები, გზების გაყვანაზე მომუშავეები და მადნის მთხრელები; ყოველ ხელობას როგორც ჯარის სარდალს ჰყავდა არტელებში თავისი მუშებისა და შეგირდების არმია, რომლებიც წარმოადგენდნენ იარაღსა და სამსახურებრივი მნიშვნელობის ცოცხალ ძალას. მოთხოვნილება ანაწილებდა და თავის შემოსავალს თავპირზე აყრიდა, შეიძლება ითქვას, ყველა ასაკისა და უნარის მქონე ადამიანს.

37. უკვე დიდი ხნის წინათ, როცა პერიკლემ მიაღწია უდიდეს გავლენას სახელმწიფოში და ჰყავდა, როგორც ვთქვით, კანონიერი შვილები, მან დაწერა კანონი, რომლითაც ათენელებად ჩაითვლებოდნენ მხოლოდ ისინი, რომლებსაც დედაცა და მამაც ათენელები ჰყავდათ.[37] ხოლო როდესაც ეგვიპტის მეფემ ხალხს საჩუქრად 40 ათასი მედიმნის ხორბალი გამოუგზავნა და მოქალაქეებს ის ერთმანეთს შორის უნდა გაენაწილებინათ, დაიწყო მრავალი პროცესი იმ ადამიანების წინააღმდეგ, რომლებიც ამ კანონის ძალით უკანონო იყვნენ, მაგრამ ამდენ ხანს თავს აფარებდნენ, ანდა შეუმჩნეველი რჩებოდნენ, მრავალნი კი სხვების თაღლითობის მსხვერპლნი ხდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში გაყიდულ იქნენ მონებად ასეთ მხილებულთა არანაკლებ ხუთი ათასისა, ხოლო ისინი კი, ვინც შეინარჩუნა მოქალაქის უფლებები და აღიარებულ იქმნენ ათენის მოქალაქეებად, 14040 აღმოჩნდა. ძალიან ძნელი გახდა იმ კანონის, რომელიც მთელი ძალით გამოყენებული იყო ამოდენა ხალხის მიმართ, დარღვევა სპეციალურად იმ კაცის გულისათვის, რომელმაც იგი შემოიღო. მაგრამ როდესაც პერიკლე თითქოს დაისაჯა თავისი კადნიერებისა და ქედმაღლობისათვის, მისი ოჯახის უბედურებამ აღძრა ათენელები და მათ იფიქრეს, რომ მან მიიღო ღვთისაგან სასჯელი და კაცის დახმარება ესაჭიროებაო და ნება მისცეს მას თავისი უკანონო შვილი ჩაეწერნა ფრატრიაში და მიეცა მისთვის თავისი სახელი. შემდგომში, როდესაც პერიკლეს ამ შვილმა არგინუსში გაიმარჯვა პელოპონესელებზე, ხალხმა დასაჯა ივი სხვა სტრატეგოსებთან ერთად.[38]

თუკიდიდე, II, 65, 5 — 13.

მთელი ხნის განმავლობაში, ვიდრე მშვიდობიან პირობებში პერიკლე სახელმწიფოს სათავეში იდგა, იგი სწორად მართავდა მას და მტკიცედ იცავდა მის უშიშროებას. მის დროს სახელმწიფომ თავის უმაღლეს განვითარებას მიაღწია. მაგრამ ასეთ პირობებშიაც, როდესაც ომი დაიწყო, მან, ეტყობა, წინასწარ განჭვრიტა მისი სიძნელე. მან იცოცხლა ომის დროს ორ წელიწადნახევარი. და როდესაც იგი გარდაიცვალა, უფრო მეტად ცხადი გახდა მისი წინდახედულება ომის შესახებ. ის ამბობდა, რომ საჭიროა წყნარად მოვიქცეთ, მივაქციოთ ყურადღება ფლოტის განვითარებას, არ უნდა ვისწრაფოდეთ ჩვენ სამფლობელოთა გაფართოებისაკენ ომის დროს და საფრთხის წინაშე არ უნდა დავაყენოთ სახელმწიფოს არსებობა, და სწორედ მაშინ გამოვალთ გამარჯვებულით. მაგრამ ათენელები ყველაფერ ამაში სწორედ საწინააღმდეგოდ იქცეოდნენ, და ამას გარდა. იმ საქმეებშიც, რომლებიც ომთან დაკავშირებული არ მოჩანდა, არამედ გამოწვეული იყო პირადი პატივმოყვარეობითა და სარგებლობისკენ მისწრაფებით, ისეთი პოლიტიკა აწარმოეს, რომელმაც მხოლოდ ზიანი მოუტანა თვითონ მათ და მოკავშირეებთან მათს დამოკიდებულებას. ამ საქმეებს წარმატების შემთხვევაში უნდა მოეტანათ სარგებლობა ცალკეულ პირთათვის, ხოლო წარუმატებლობის შემთხვევაში კი — საზიანო შედეგები სახელმწიფოსთვის ომის საქმეში. ხოლო მიზეზი იმაში იყო, რომ იგი, იყო რა ძლიერი თავისი ავტორიტეტითაცა და ჭკუითაც, ფულის საქმეში კი სრულიად მოუსყიდავი ადამიანი, აკავებდა ხალხს, ისე რომ მის თავისუფლებას არა ზღუდავდა და არ ემორჩილებოდა მის ხელმძღვანელობას, არამედ, პირიქით, თვითონ ხელმძღვანელობდა მას, რადგანაც იგი არ ამბობდა არაფერს ხალხის საამებლად მხოლოდ იმის გულისთვის, რომ არასაკადრისი საშუალებით მოეხვეჭა ძალა, არამედ უნარი შესწევდა საჭირო შემთხვევაში ეთქვა ღირსეულად და წყრომითაც კი. როდესაც იგი ხედავდა, რომ ხალხი თავს გავიდა და რამეში უადგილო თავხედობას იჩენდა, ისეთ მრისხანე სიტყვას წარმოსთქვამდა, რომ ხალხს შიშის ზარი აიტანდა, და პირიქით, როდესაც მოხდებოდა, რომ ხალხი რითიმე დაშინებული იყო, იგი მათ კვლავ გამბედაობას უბრუნებდა. და ისე გამოდიოდა, რომ სიტყვით დემოკრატია იყო, საქმით — კი პირველი ადამიანის მმართველობა. შემდეგი დროის მოღვაწეებმა კი. რომელთაც უფრო მეტი თანასწორობა ალმოაჩნდათ, და რომელთაგანაც თვითეული ცდილობდა პირველი კაცი გამხდარიყო, დაიწყეს საქმეებში მეტი დათმობა ხალხისთვის, რათა მისთვის ეამებინათ. ამის შედეგად ჩადენილ იქნა მრავალი შეცდომა, როგორც ეს ბუნებრივი იყო დიდი და ძლიერი სახელმწიფოსთვის. ასეთი შეცდომა იყო, სხვათა შორის, საზღვაო ლაშქრობა სიცილიაში. ეს ლაშქრობა შეცდომა იყო არა იმდენად თავისი ანგარიშით იმათ მიმართ, ვის

წინააღმდეგაც იგი მიმართული იყო, რამდენადაც იმით, რომ იმათ, ვინც ლაშქარი გაისტუმრა, არ უფიქრიათ შემდეგში ამ წასული არმიისაგან მოსალოდნელ სიკეთეზე, არამედ ფიქრობდნენ იმაზე, რომ თავისი კირადი მრჩეველობით მიეღწიათ ხალხის ხელმძღვანელობისათვის, რითაც ასუსტებდნენ მოქმედი არმიის ძალას და თვით ქალაქში პირველად გაჩოიწვიეს ურთიერთშორისი დავა და არეულობა. მაგრამ, თუმცა მათ სიცილიაში დაეღუპათ მთელი შეიარაღება და ფლოტის უმეტესი ნაწილი, და თუმცა ქალაქში შფოთი და არეულობა იყო, მაინც რვა წლის განმავლობაში ისინი ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთ წინანდელ მტრებთან და მათთან ერთად მოქმედ სიცილიელებთან, აგრეთვე განღგომილ მოკავშირეებთან, რომელთა რიცხვიც თანდათან მატულობდა, შემდეგ სპარსეთის მეფის ძე კიროსთან, რომელიც მათ მიემხრო და პელოპონესელებს იარაღითა და ფულით ამარაგებდა, და იქამდე არა დაუთმიათ რა, ვიდრე არ დამარცხდნენ ურთიერთშორის შუღლისა და თავის წყალობით. აი, რა საფუძველი ჰქონდა მაშინ პერიკლეს, რომლის ნიადაგზედაც მან წინასწარ განჭვრიტა, რომ ათენელები სულ ადვილად შეიძლებოდა გამარჯვებული გამოსულიყვნენ პელოპონესელებზე, თუ ესენი მარტო იქნებოდნენ.

11, 13. პელოპონესელები ჯერ მხოლოდ თავს იყრიდნენ ისთმოსზე და გზაში იძყოფებოდნენ; მაგრამ იმაზე ადრე, ვიდრე ისინი ატიკაში შეიჭრებოდნენ, პერიკლემ, ქსანტიპეს ძემ, რომელიც იყო ერთ-ერთი ათენის ათ სტრატეგოსთაგან, ერთბაშად შეიგნო, რომ ატიკაში შეჭრა მზადდებოდა. აქ მას დაებადა აზრი, რომ შეიძლება არქიდემემ, რომელთანაც მას სტუმართმოყვარეობა აკავშირებდა, იმ სურვილით, რომ მას ასიამოვნოს, როგორც ეს მიღებულია, გვერდი აუაროს და ხელი არ ახლოს მის მამულებს, ან შეიძლება იგი ასე მოიქცეს ლაკედემონელთა დაყინებით, რათა მის (პერიკლეს) მიმართ ამით სიძულვილის გრძნობა გამოიწვიონ იმის მსგავსად, როგორც მათ, ერთხელ უკვე ჰყავდათ რა იგი მხედველობაში, მოითხოვეს უწმინდურთა[ა] გაძევება. ამის გამო პერიკლემ განუცხადა ათენელებს სახალხო კრებაში, რომ, თუმცა არქიდემე მისი „სტუმარია“, მაგრამ ამით სახელმწიფოს ზიანი არ უნდა მიადგეს, წოლა თავის მიწებსა და სახლებს, თუ კი მტერი მათ აუოხრებლად დასტოვებს. იგი გადასცემს ხალხის საკუთრებად, და ამ შემთხვევაში ამან მის მიმართ რაიმე ეჭვი არ უნდა დაბადოს. ამას გარდა, აგრეთვე არსებული მდგომარეობის შესახებაც იძლეოდა რჩევას პერიკლე, ამბობდა რა ისევე, როგორც წინათ, რომ საჭიროა ვემზადოთ ომისთვის, ჭონება სოფლებიდან ქალაქში მოვზიდოთ, არ გავიდეთ მტერთან ბრძოლაში, ყველა უნდა გადმოსახლდეს ქალაქში და დავიცვათ იგი. შევქმნათ ფლოტი, რაშიც მათი ძალა მდგომარეობს, მტკიცედ დავიჭიროთ ხელში მოკავშირეებიო. ის ამტკიცებდა, რომ ისინი წარმოადგენენ ათენელებისთვის შემოსავლის მთავარ წყაროს, ომში კი წარმატება დამო-

კიდებულია უმთავრესად სწორ ვარაუდსა და გაანგარიშებაზე, აგრეთვე ნაღდ თანხებზე. ამასთანავე, იგი მოუწოდებდა მათ გამხნევებულიყვნენ იმის გამო, რომ სახელმწიფო იღებს შემოსავალს ექვსასი ტალანტის[40] რაოდენობით. უმთავრესად მოკავშირეთა ყოველწლიური შესატანის სახით, სხვა შემოსავლის ჩაუთვლელად; ამას გარდა აკროპოლისში ჯერ მაშინვე იყო ნაღდი ექვსი ათასი ტალანტის რაოდენობით ვერცხლის ფული (უდიდესმა თანხამ ცხრა ათას შვიდას ტალანტს მიაღწია, მაგრამ აქედან გაწეული იყო ხარჯები პროპილეიზე აკროპოლისში და ყველა სხვა მშენებლობაზე, აგრეთვე პოტიდეის გამო ომზე); ამას გარდა მოუკრელი ოქრო და ვერცხლი კერძო და საზოგადოებრივ შესაწირი ნივთების სახით, პროცესიებისა და შეჯიბრებათა დროს სახმარი სამღვთო ჭურჭლების სახით და ბოლოს სპარსული დაცლა და სხვა მისი მსგავსი— შეადგენდა არანაკლებ ხუთასი ტალანტის ფასხას. ამას გარდა იგი უმატებდა კიდევ არამცირედ თანხას სხვა ტაძრებში. ყველაფერი ამით, ამბობდა იგი, შეიძლება ვისარგებლოთ, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში, თუ ეს წყაროები ამოიწურება, მაშინ თვით ქანდაკების ოქროს ნაწილებიც შეიძლება გამოვიყენოთო. იგი ანგარიშობდა, რომ სტატუის ოქროს ხალასი წონა ორმოც ტალანტს შეადგენდა და რომ ეს ოქრო მთლიანად შეიძლება ჩამოიხსნასო, თუ საჭირო გახდება თავის გადარჩენის მიზნით ამის გამოყენება, შემდგომში უნდა დავაბრუნოთ ამაზე არანაკლები თანხაო. ასე აწყნარებდა იგი მათ საშუალებებზე მითითებით. შემდეგ ამბობდა, რომ მზად არის ცამეტი ათასი ჰოპლიტი, თუ არ ჩავთვლით იმ თექვსმეტი ათასს,[41] რომლებიც სიმაგრეებსა და ჯებირთან დგანან; მართლაც ამ რაოდენობით იყო ის ხალხი, ვინც საგუშაგო სამსახურს ეწეოდა პირველ ხანებში, როცა მტერი შემოიჭრებოდა ხოლმე: იგი შედგებოდა ყველაზე უფროსი და ყველაზე უმცროსი ასაკის მოქალაქეთაგან,[42] აგრეთვე ყველა მეტეკებისაგან, რომლებიც ჰოპლიტებში მსახურობდნენ. ფალერის კედელს ხომ მთელ მანძილზე ქალაქის ირგვლივ კედლამდე სიგრძე 35 სტადიუმი[43] ჰქონდა, და თვით ქალაქის ირგვლივ ნაწილი, რომელიც გუშაგობასა და დაცვას მოითხოვდა, 43 სტადიუმს უდრიდა, ხოლო ამ წრის ერთი ნაწილი სრულიად დაუცველი იყო ხოლმე — ეს იყო ნაწილი, რომელიც გრძელსა და ფალერეს კედლებს შორის მდებარეობს. ხოლო გრძელი კედელი მიემართება პირეუმისკენ 40 სტადიუმის მანძილზე, ამათგან მხოლოდ გარეთა იყო დაცული, და კიდევ პირეუმის ზღუდე მუნიქიასთან ერთად 60 სტადიუმს შეადგენს, ამასთანავე ამის მხოლოდ ნახევარი იყო დაცული. მხედრებს იგი ანგარიშობდა ათას ორას ცხენოსან მსროლელებთან ერთად, ათას ექვსას მსროლელს და სამას ტრიერს, ცურვისათვის გამოსადეგს. ეი, რა საშუალებები გააჩნდათ ათენელებს და არც ერთი დარგი არ იდგა ამ ვარაუდზე დაბლა, როდესაც პირველად მოელოდნენ პელოპონესელების შეჭრას და ომისათვის ემზადებოდნენ. პერიკლე აგრეთვე

სხვა ისეთ მოსაზრებებსაც გამოსთქვამდა, რომლებიც ჩვეულებრივ მოჰყავდა ხოლმე მას იმის დასამტკიცებლად, რომ ომში ისინი გამარჯვებული უნდა გამოსულიყვნენ.

პერიკლეს მიერ წარმოთქმული სიტყვა ომში დაღუპულ ჯარისკაცთა დასაფლავებაზე[1]

თუკიდიდე

37. ჩვენ ისეთი სახელმწიფო წყობა გვაქვს, რომ იგი არ ჰბაძავს სხვისას; პირიქით, ჩვენ უფრო წარმოვადგენთ სხვებისთვის მისაბაძ მაგალითს, ვიდრე ჩვენ სხვა ვისმე ვბაძავდეთ. და იწოდება ჩვენი წყობა დემოკრატიულად იმის გამო, რომ იგი შეგუებულია არა უმცირესობის, არამედ უმრავლესობის ინტერესებთან. კანონით კერძო საქმეში ყველას თანაბარი უფლება აქვს; რაც შეეხება პატივისცემას, საზოგადოებრივ საქმეებში უპირატესობა ეძლევა ვისმე იმის შესაბამისად, თუ თითოეული რამდენად არის .. განთქმული ამა თუ იმ მხრივ, არა ამა თუ იმ პარტიისაგან მხარდაჭერის წყალობით, არამედ საკუთარი უნარით. აგრეთვე კაცს, რომელსაც შეუძლია სახელმწიფოს მოუტანოს რამე სარგებლობა, არასოდეს არ წაერთმევა ამის საშუალება თავისი სიღარიბისა, თუ უმნიშვნელო მდგომარეობის გამო. ჩვენ ვაწარმოებთ საზოგადოებრივ საქმეებსაც. როგორც შეშვენის თავისუფალ მოქალაქეებს, და ყოველდღიურ ურთიერთობაშიაც ერთი მეორეს უნდობლობით არ ვეპყრობით, არ ვუწყრებით სხვას, თუ იგი ისე იქცევა, როგორც მას მოსწონს, არ გამოვთქვამთ ამასთანავე სინანულს, თუმც უზიანოს, მაგრამ მაინც არასასიამოვნოს გარედან მაყურებლისათვის. ვართ რა საზოგადოებაში ტრიალის მოყვარული კერძო ურთიერთობაში ისე, რომ თავს არავის მოვაბეზრებთ. ჩვენ ვერიდებით უკანონობას საზოგადოებრივ საქმეებში უმთავრესად შიშის გრძნობის გამო; ჩვენ ვემორჩილებით იმ პირებსაც, რომლებიც მოცემულ დროს ხელისუფლების სათავეში დგანან, და კანონებსაც, განსაკუთრებით ისეთებს, რომლებიც გამოცემულია შეურაცხყოფილთა დასაცავად, და ისეთებსაც, რომლებიც თუმცა დაწერილი არ არის, მაგრამ რომელთა შეუსრულებლობაც ყველას მიერ აღიარებულ სირცხვილად ითვლება.

38. ყველა ამასთან, შრომის შემდეგ დასასვენებლადაც ჩვენს ვინებას მრავალი საშუალება მიეცით: მთელი წლის განმავლობაში ვაწყობთ თამაშობებსა და მსხვერპლის შეწირვებს, მშვენიერ კერძო ნაგებობებს, რომლებიც ყოველდღიურად იმდენად გვატკბობს, რომ ჩვენი დარდები გვავიწყდება. გარდა ამისა, ჩვენი სახელმწიფოს სიდიდის გამო, ჩვენში შემოაქვთ ყველაფერი სხვადასხვა ქვეყნებიდან და ჩვენ ერთნაირად შეგვიძლია ვისარგებლოთ როგორც იმ სიძღიდრით, რაც ჩვენში მოდის, აგრეთვე იმითაც, რასაც სხვა ხალხები აწარმოებენ.

ჩვენ გავირჩევიო სამხედრო საქმისათვის ზრუნვითაც ჩვენ მოწინააღმდეგეთაგან შემდეგით: ჩვენ ყველას ვუხსნით ჩვენი სახელმწიფოს კარს და არასოდეს უცხოელების დევნით[15] ჩვენ არ ვუხშობთ ვისმე შესაძლებლობას შეისწავლოს ან დაათვალიეროს ის, რითაც შეუძლიან ისარგებლოს ყოველმა მტერმა, თუ კი მას არ ნაბავს დაფარულს, — რაღგანაც ჩვენ ვეყრდნობით არა იმდენად მომზაღებასა და სამხედრო ეშმაკობას,[1] რამდენადაც საქმისადმი საკუთარ ერთგულებას. სწორედ ასევე აღზრდაში ისინი აღწევენ სიმამაცეს ბავშვობიდანვე მძიმე ვარჯიშობით გაკაჟებულნი, ხოლო ჩვენ კი, თუმცა ჩვეულებრივ უზრუნველად ვცხოვრობთ, არა ნაკლებ თავგანწირვით მივდივართ საფრთხეში თანასწორი შებრძოლების წინააღმდეგ. აი, ამის დამამტკიცებელიც: ლაკედემონელები არასოდეს არ მოდიან ჩვენი ქვეყნის წინააღმდეგ სალაშქროდ მარტონი, არამედ მხოლოდ თავიანთ მოკავშირეებთან ერთად; ჩვენ კი სამაგიეროდ, სხვათა მიწა-წყალზე შეჭრილნი, იქ, უცხო მხარეში, უმრავლეს შემთხვევაში აღვილად ვძლევთ ბრძოლაში ადამიანებს, რომლებიც თავის სამშობლოს იცავენ. ამასთანავე მთელს ჩვენ ძალებს ერთად არასოდეს არ შეხვედრია მტერი იმის გამო, რომ ჩვენ ერთდროულად ვზრუნავთ ფლოტზეც და ვგზავნით ჩვენს ხალხს მრავალ სახმელეთო საქმეზეც. ხოლო თუ მტრებს მოუხდებათ საქმე შეხვდნენ ჩვენი ჯარის რომელიმე ნაწილს, მაშინ ზოგიერთ ჩვენთაგანზე გამარჯვებით ისინი უკვე იკვეხნიან, რომ უკუაქციეს ყველანი; თუ თვითონ დამარცხდნენ კი, ამბობენ, რომ დამარცხებული არიან მთელი ძალების მიერ. თუკი ჩვენ გვსურს შევებათ საფრთხეს ხუმრობის გუნებაზე მყოფნი, ვიდრე შრომით გაკაჟებულნი, და ვიჩენთ სიმამაცეს არა იმდენად კანონის მრთხობით, რამდენადაც ხასიათის თვისებით, — ჩვენ გვრჩება ის უპირატესობა, რომ ჩვენ არა ვგრძნობთ თავს დაღლილად მომავალ სიძნელეთა მოლოდინში, ხოლო, როდესაც ეს სიძნელენი გვეწვევა, ჩვენ გამბედაობით არ ჩამოვრჩებით იმათ, ვინც მუდამ ამაში იყო გართული. და ჩვენი სახელმწიფო იმსახურებს გაოცებას არა მხოლოდ ამით, არამედ მრავალი სხვა მხრივაც.

40. ჩვენ გვიყვარს სილამაზე, უბრალოებასთან შეერთებული, და გვიყვარს განათლება, არ ვართ რა დაავადებული სულიერი სისუსტით. სიმდიდრეში ჩვენ მოღვაწეობის დასაყრდენს უფრო ვხედავთ, ვიდრე სატრაბახო სიტყვების საგანს. ხოლო რაც შეეხება სიღარიბეს, მისი დაფარვა სამარცხვინოა კაცისთვის, მაგრამ უფრო მეტად სამარცხვინოა შრომის მოუხმარებლობა მისთვის თავის დასაღწევად. ჩვენ გვიხდება როგორც საშინაო, ისე სახელმწიფო საქმეებზე ზრუნვის შეთავსება, და, თუმცა ზოგიერთი ჩაბმულია სპეციალურ საქმიანობაში, მაგრამ მაინც მათაც არანაკლებ შეუძლიათ გაიგონ სახელმწიფო საქმეები. კაცს, რომელიც გაურბის ამ საქმეებში მონაწილეობას, მხოლოდ ჩვენა ვართ, რომ ვთვლით არათავშეზღალად, არამედ ფუქსავატად, და ჩვენ თვითონ

ვწყვეტთ საქმეს ან ვცდილობთ სწორად მოვიფიქროთ მათზე, რაღგან ლაპარაკს არა ვთვლით საქმისათვის ხელის შემშლელ რამედ, არამედ, პირიქით, საზიანოდ მიგვაჩნია წინასწარ კამათში განუსჯელად, გადავიღეთ პირდაპირ იმის შესრულებაზე, რაც საჭიროა. ჩვენ გამოვირჩევით კიდევ იმ თავისებურებით, რომ ჩვენში ვათავსებთ უდიდეს გამბედაობას იმ საქმეების განსჯის უნართან, რომელთა დაწყებასაც ვაპირებთ. სხვებს კი უცოდინარობა ჰმატებს სიმამაცეს, განსჯა კი — გაუბედაობას. მაგრამ, სიმართლე რომ ითქვას, სულგრძელებად სწორედ ის აღამიანები ჩაითვლებიან, რომელთაც ნათლად აქვთ წარმოდგენილი ცხოვრების როგორც სამინელებანი, ისევე მისი სიამენი, და მაინც ამის გამო საფრთხეს არ გაურბიან.

სწორედ ასევე კეთილშობილების მხრივ ჩვენ ვუპირისპირდებით უმრავლესობას. ჩვენ ვიძენთ მეგობრებს არა იმით, რომ ვიღებთ სხვისგან სიკეთეს, არამედ, პირიქით, იმით, რომ ჩვენ სხვას ვუწევთ სიკეთეს. მაგრამ უფრო მტკიცეა იმის მდგომარეობა, ვინც სხვას უწევს სიკეთეს. რადგან იგი უზრუნველჰყოფს თავისთვის მადლობას, როგორც ვალს მათი მხრით, ვისაც მან სიკეთე გაუწია. ხოლო ვინც მოვალეა სხვის მიმართ, იგი ვერ იჩენს ასეთ ენერგიას, რადგანაც იცის, რომ იგი იძულებულია კეთილშობილება გამოიჩინოს არა შინაგანი გრძნობით, არამედ მოვალეობის გამო. და იმ შემთხვევაში, როდესაც უშიშრად ვეხმარებით ვისმეს, მხოლოდ ჩვენა ვართ, რომ ვხელმძღვანელობთ არა იმდენად ანგარიშით, თუ რამდენაღ ხელსაყრელია ეს ჩვენთვის, რამდენადაც უბრალო ნდობით, რომელიც თავისუფლებას შეშვენის.

41. მოკლედ რომ ვთქვათ, ჩვენი სახელმწიფო მთლიანად არის სკოლა საბერძნეთისთვის, და თვითეულ ადამიანს ცალ-ცალკე შეუძლია, ჩემი აზრით, გამოიჩინოს თავისი თავი დამოუკიდებელ და სრულფასოვან პიროვნებად სრულიად სხვადასხვა მდგომარეობაში უდიდესი მოხერხებითა და ხელოვნებით. და რომ ეს არა მხოლოდ ლამაზი სიტყვებია, დღევანდელ შემთხვევისთვის შესაფერისი, არამედ — უდავო სინამდვილე, ამას გვიჩვენებს ჩვენ უკვე თვით ძლიერება ჩვენი სახელმწიფოსი, რაც ჩვენ შევიძინეთ ჩვენი ხასიათის ასეთი თვისებებით. მართლაც, იგი ერთი აღმოჩნდა თანამედროვე სახელმწიფოთაგან, განსაცდელის ჟამს, მასზე გავრცელებულ შეხედულებაზე უფრო მაღლა; მხოლოდ იგია, რომ არ იწვევს არც შემოჭრილი მტრის რისხვას იმის გამო, თუ როგორი ხალხისგან განიცადა მან დამარცხება, და არც ქვეშევრდომებში განკიცხვას, რომ მათ განაგებენ უღირსი ადამიანები. დავტოვებთ რა მნიშვნელოვან დამამტკიცებელ საბუთებს და შევიძენთ რა ძალას, რომელიც შეუძლია დაადასტურონ მოწმეებმა, ჩვენ შევიქნებით განცვიფრების საგანი თანამედროვეთათვისაც და შთამომავლობისთვისაც იმ, რომ ჩვენთვის არ იქნება საჭირო ჰომეროსის ან სხვა ვისიმე შესხმა, რომელიც თავისი ნაწარმოებით ამ წუთში კი სიამეს განგვაცდევინებდა,

მაგრამ რომლის მონაგონსაც შემდეგში უარყოფდა სინამდვილე; არა, ჩვენ გავხდით ყველაფერს — ხმელეთსაცა და ზღვასაც ჩვენი გამბედაობისთვის ხელმისაწვდომად და ყველგან დავტოვებთ ავი და კარგი საქმის საუკუნო ძეგლებს. აი როგორი სახელმწიფოსთვის იბრძოდნენ და დაეცნენ ეს ადამიანები, თვლიდნენ რა დაუშვებლად მის დაკარგვას და ეხლა ყველა ცოცხლად გადარჩენილს ბუნებრივად უნდა ჰქონდეს სურვილი იბრძოლოს მისთვის.

ათენელთა სახელმწიფო წყობილება*

I. არისტოტელე

თავი I.

სამასმა გაასამართლა ალკმეონიდები მირონის მომჩივნეობით მის შემდეგ. რაც ისინი დაფიცებული იქნენ ისე, როგორც მათ შეეფერებოდათ მათი კეთილშობილებისდა მიხედვით. რადგან ალკმეონიდებს აბრალებდნენ ბოროტმოქმედებას, ისინი ამოყარეს საფლავებიდან, ხოლო მათი გვარი სამუდამოდ გააძევეს.[46] ამიტომ იყო, რომ ეპიმენიდე კრეტელმა[47] გაწმინდა ქალაქი.

თავი II.

ამის შემდეგ მოხდა, რომ წარჩინებულნი და ხალხი დიდხანს ებრძოდნენ ერთმანეთს. მათი პოლიტია იყო ყოველი მხრით ოლიგარქიული, და ღარიბნი მდიდრებისათვის მუშაობდნენ თვითონ, მათი შვილებიცა და ცოლებიც და იწოდებოდნენ პელატებად[48] და ჰექტემორებად.[49] და ამნაირი საიჯარო ხელშეკრულებით ამუშავებდნენ ისინი მდიდრების მიწებს (მთელი მიწა ხომ უმცირესობის ხელში იყო), და თუ ამ საიჯარო გადასახადს არ გაიღებდნენ, შეიძლებოდა დატყვევება მათიც და მათი ცოლშვილისაც და აღებული სესხისათვის ყველანი თავისი სხეულით აგებდნენ პასუხს სოლონამდე: ეს კი პირველი მოჭირნახულე იყო დემოსისა. არსებულ პოლიტიაში უძნელესი და უმწვავესი ხალხისთვის იყო ეს სამსახური, მაგრამ მარტო ეს კი არა: სხვა ბევრ რაშიც იტანჯებოდნენ ისინი: იმათ, ასე ვთქვათ, არავითარი უფლებები არა ჰქონდათ.

თავი III.

უძველესი პოლიტია დრაკონამდე იყო ასეთნაირი: საგამგებლოები ეჭირათ შთამომავლობისა და სიმდიდრის მიხედვით. პირველად თანამ-

---

* იბეჭდება პროფ. ს. ყაუხჩიშვილის თარგმანის (ქუთაისის პედაგ. ინსტიტუტის გამოცემა, 1935 წ.) მიხედვით, მცირეოდენი განსხვავებით.

დებობა სამუდამო იყო, შემდეგ ათი წლით განისაზღვრა. უმნიშვნელოვანესი და უძველესი ხელისუფალთაგან იყვნენ ბაზილევსი, პოლემარქი და არქონტი. ამათგან პირველი იყო ბაზილევსის თანამდებობა (ეს იყო სწორედ მამაპაპეული თანამდებობა), მეორედ კი მიემატა პოლემარქია, რადგან ზოგიერთი ბაზილევსი ომის საქმეებში რბილი აღმოჩნდა, რისთვისაც იონი[50] იქნა მოწვეული პირველ პოლემარქად, როდესაც საჭიროებამ მოითხოვა. უკანასკნელი თანამდებობა კი იყო არქონტისა. უმრავლესობა წყაროებისა ამბობს, ეს მედონტის დროს მოხდაო, ზოგიერთის აზრით კი აკასტეს[51] დროს. ამის დასამტკიცებლად მოჰყავთ, რომ ცხრა არქონტი ფიცს სდებდა: „ჰეშმარიტად შევასრულებთ აკასტეს დროს დადებულ ხელშეკრულებასაო“, და რომ მისი მეფობის დროს კოდრიდებმა უარი თქვეს არქონტისთვის გადასაცემ უფლებებზე.[52] თუ ვის (ამ ორის) დროს იყო, ეს ქრონოლოგიურად ბევრს არ სცვლის. რომ არქონტი ამ მოხელეთაგან უკანასკნელი იყო, ამას ამტკიცებს ის გარემოება, რომ არც ერთ მამაპაპეულ მსხვერპლთაგანს არქონტი არ განაგებს, როგორც ბაზილევსი და პოლემარქი, არამედ მარტო დანართ მსხვერპლებს. აქედან ეს თანამდებობა დიდი შეიქმნა იმიტომ, რომ დანართი მსხვერპლები გამრავლდა. თესმოთეტები კი ამორჩეულ იქმნენ მრავალი წლის შემდეგ, როდესაც უკვე ერთი წლით ირჩევდნენ ხელისუფალთ, რათა ჩაეწერნათ სასამართლოს განაჩენი და დაეცვათ იგი მოდავეთა გასამართლების საჭიროებისათვის; თანამდებობათაგან მხოლოდ ეს არ ყოფილა ერთწლიანზე მეტი. აი, ასეთი თანამიმდევრობით იქნა შექმნილი ეს თანამდებობანი. ყველა ცხრა არქონტი როდი იყო ერთად მოთავსებული; ბაზილევსს ეჭირა ეგრეთ წოდებული ბუკოლიონი,[53] პრიტანეიონის[54] მახლობლად (ამის საბუთია: ეხლაც იქ ხდება ბაზილევსის ცოლის შეერთება დიონისესთან[55] და ქორწინება), არქონტს — პრიტანეიონი, ხოლო პოლემარქს, ეპილიკეიონი (წინათ მას ეწოდებოდა პოლემარქეიონი, ხოლო, როდესაც ეპილიკემ თავისი პოლემარქობის დროს განაახლა იგი და განამზადა, მას ეწოდა ეპილიკეიონი), თესმოთეტებს კი ჰქონდათ თესმოთეტეიონი. ხოლო სოლონის დროს ყველანი იკრიბებოდნენ თესმოთეტეიონში. ისინი სრულუფლებიანნი იყვნენ და პროცესს ბოლომდე აწარმოებდნენ, და არა ისე, როგორც დღეს, მხოლოდ წინასწარი გამოძიება რომ აბარიათ.

აი, ამგვარი იყო თანამდებობათა მდგომარეობა. ხოლო არეოპაგელთა საბჭოს მოვალეობა იყო კანონები დაეცვა, მას ჰქონდა სახელმწიფოში უმეტესი და უდიდესი უფლებანი: ის სდევნიდა და სჯიდა კაცონისამებრ ყველას, ვინც უწესოდ იქცეოდა. არქონტების არჩევნები ხდებოდა კეთილშობილობისა და სიმდიდრის მიხედვით; და მათგან ირჩეოდნენ არეოპაგელები: ამიტომ არის, რომ თანამდებობათაგან ძხოლოდ ეს ერთი დარჩა დღემდე მუდმივი. ასეთი სახე ჰქონდა პირველ პოლიტიას.

თავი IV.

ამის შემდეგ დიდი ხანი არ გასულა — არისტაიქმეს არქონტობის დროს[56] დრაკონმა დააწესა თავისი ცნობილი კანონები. დრაკონის მიერ შექმნილი მდგომარეობა ასეთი იყო. პოლიტიკური უფლებები გადაეცა იმათ, ვის განკარგულებაშიაც იყო იარაღი.[57] ცხრა არქონტსა და მოლარეთუხუცესებს ირჩევდნენ იმათგან, ვისაც ჰქონდა ვალისაგან თავისუფალი ქონება არანაკლებ ათი მნისა;[58] სხვა დანარჩენ მცირე ხელისუფალთ ირჩევდნენ იარაღის მქონეთაგან, ხოლო სტრატეგოსებსა და ჰიპარქებს ირჩევდნენ იმათგან, ვისაც გააჩნდა ვალისაგან თავისუფალი ქონება არანაკლებ ასი მნისა და კანონიერი ცოლისაგან ნაშობი შვილები, რომელთაც ათ წელზე მეტი ჰქონდათ შესრულებული. ამათთვის თავდებობა უნდა გაეწიათ ყოფილ, ე. ი. წინა წლის პრიტანებს, სტრატეგოსებსა და ჰიპარქებს, ვიდრე ანგარიშის ჩაბარებამდე, და თავმდები ოთხი უნდა ყოფილიყო მიღებული იმავე წოდებიდან, რომლიდანაც იყვნენ სტრატეგოსები და ჰიპარქები.

საბჭოში იყო ოთხას ერთი კაცი მოქალაქეთაგან ამორჩეული. ამ სახელოზე ირჩევდნენ წილის ყრით იმათ, ვინც 30 წელზე მეტისა იყო, და ორჯერ საბჭოში ყოფნა არ შეიძლებოდა, ვიდრე ყველანი არ იქნებოდნენ საბჭოში და არ გამოვიდოდნენ. მაშინ კვლავ დაიწყებდნენ არჩევას თავიდან. თუ რომელიმე საბჭოს წევრთაგან ბულეს ან ეკლესიის შეკრებისას გამოაკლდებოდა სხდომას, მაშინ ხუთასმედიმნიანი იხდიდა სამ დრაქმას, ჰიპეესი ორს, ძევგიტი ორს. არეოპაგის საბჭო დარაჯი იყო კანონებისა და თვალყურს ადევნებდა ხელისუფალთ, რათა მათ კანონებისდა მიხედვით ემართნათ. დაზარალებულს (ე. ი. რომელსაც უსამართლოდ მოეპყრნენ) ეისანგელია უნდა შეეტანა (ე. ი. ეჩივლნა) არეოპაგელთა საბჭოში და წერილობით ეჩვენებინა, სახელდობრ, წინააღმდეგ რომელი კანონისა მოეპყრნენ მას უსამართლოდ.

როგორც ვთქვით, ვალებისათვის ხალხი თავისი სხეულით აგებდა პასუხს და მიწა უმცირესობის ხელში იყო.

თავი V.

რადგან ასეთი იყო პოლიტიკური მდგომარეობა და რადგან უმრავლესობა უმცირესობისთვის მუშაობდა, დემოსი წინააღუდგა დიდებულებს. რადგან აჯანყება ძლიერი იყო და ისინი დიდხანს იდგნენ ერთმანეთის პირისპირ, იმათ ერთად (ე. ი. საერთო თანხმობით) აირჩიეს სოლონი მოწრიგებლად და არქონტად და მიანდვეს მას პოლიტია მის შემდეგ, რაც მან შექმნა ელეგია, რომლის დასაწყისი ასეთია:

„ვეჟურებ და შიგნით ბოლმა მიდაგავს გულმკერდსა მწარედ,
რომ ეხედავ უხუცეს მოწას, იონიის უძველეს მხარეს დაჩოქილს“.

და რომელშიაც ის იბრძვის ორივე წოდების წინააღმდეგ ორივეს სასარგებლოდ და ორივე მხრით კამათობს და ამის შემდეგ ერთად ურჩევს (ორივე მხარეს) შესწყვიტონ არსებული უთანხმოება. სოლონი, თავისი ბუნებითა და აზრებით ეკუთვნოდა უპირველეს, კაცთა რიცხვს, ხოლო თავისი ქონებითა და საქმეებით საშუალოს. როგორც ეს სხვა წყაროებიდან ნათლად ჩანს და თვითონაც ჰმოწმობს ამას თავის ლექსებში, სადაც ის ურჩევს მდიდრებს, არ გადააჭარბონ თავიანთ მოთხოვნებში:

დამშეიდდით, დაგულდით, კმარა, დაიწუნარეთ უზომო სწრაფვა,
გეყოფათ, რამდენიც თქვენ ცხოურების სიკეთე გხვდათ,
ზომიერ ჩარჩოში ჩასდეთ მისწრაფება ეს თქვენი დიდი:
გვერწმუნეთ არ დაეთმობთ ჩვენ. ავისრულდეთ წადილი თქვენ.

და ის აჯანყების მიზეზს მთლიანად მიაწერს მდიდრებს. ამიტომ ის ელეგიის დასაწყისში ამბობს, რომ მას უნდა ეშინოდეს „ადამიანთა როგორც ვერცხლისმოყვარეობისა, ისე მათი ამაყური ქცევისა“, რადგან ამის გამო მტრობა ჩამოვარდა.

თავი VI.

სოლონმა, ჩაიგდო თუ არა ხელთ საქმეთა მესაჭეობა, განათავისუფლა დემოსი როგორც აწინდელ მდგომარეობაში, ისე სამომავლოდაც: მან აკრძალა სხეულის საწინდრით სესხი და მოახდინა ვალების გაუქმება როგორც კერძოსი, ისე სახელმწიფოსი, — ამას ისინი სეისახთეიას უწოდებენ, რაც სიმძიმის თავიდან მოშორებას ნიშნავს. ამის გამო ზოგიერთებმა სცადეს ჩირქი მოეცხოთ მისთვის. სეისახთეიას რომ აპირებდა სოლონი, მას მოუხდა წინასწარ გაეზიარებინა ეს ზოგიერთი დიდებულისათვის, და შემდეგ, როგორც დემოსის მხრიდან ამბობენ, მეგობრების წყალობით იქნა სოლონი გარეული ბოროტმოქმედებაში, ხოლო იმათი სიტყვით, ვინც მოწადინებულია შებღალოს მისი სახელი, ის თვითონ იღებდა მონაწილეობას ამაში. სახელდობრ ამათ (ე. ი. სოლონის იმ მეგობრებმა, რომელთაც მან გაუზიარა თავისი გეგმა) ისესხეს ფული და ისე შეისყიდეს დიდძალი მიწა, და ცოტა ხნის შემდეგ, როდესაც მოხდა ვალების გაუქმება, ისინი გამდიდრდნენ. აქედან — ამბობენ შეიქმნა ის კატეგორია ხალხისა, რომელიც ფიქრობდა, რომ ისინი ძველთაგანვე მდიდრები იყვნენ. მიუხედავად ამისა უფრო სარწმუნო უნდა იყოს დემოსის მხრით გადმოცემული ცნობა, ვინაიდან დაუჯერებელია, რომ სოლონი, რომელიც სხვა ყველაფერში ზომიერი და სა-

ზოგადოებრიობით განმსჭვალული იყო და რომელსაც შეეძლო დანარჩენები დაემორჩილებინა და სახელმწიფოს ტირანი გამხდარიყო, და რომელიც ორივე მხარეს გადაემტერა და სახელმწიფოს სიკეთესა და ხსნაზე უფრო ზრუნავდა, ვიდრე საკუთარ გამდიდრებაზე, — დაუჯერებელია, რომ ასეთი ადამიანი ასეთ წვრილმან და უღირს საქმეში თავს გაისვრიდა. რომ მას სწორედ ასეთი დიდი უფლებები ჰქონდა, ამას ამტკიცებს თვით მტკიცანი საქმეები, და თვითონაც ხშირად იხსენიებს ამას თავის ლექსებში, და სხვებიც ყველანი თანახმანი არიან ამაში. ასე რომ ის ბრალდება ყალბად უნდა ჩაითვალოს.

თავი VII.

სოლონმა დაადგინა პოლიტია და დაწესა სხვა კანონები, დრაკონის კანონებით სარგებლობა კი შეწყვიტეს გარდა სისხლის სამართლის კანონებისა. კანონები ჩამოწერეს კირბებზე[60] და გამოჰკიდეს სამეფო სტოაში,[61] და ყველამ დასდო ფიცი, რომ მათ დაიცავდნენ. ცხრა არქონტმა შეჰფიცეს კლდესთან — ბაზრის მახლობლად — და აღთქმა დადვეს, რომ, თუ ისინი რომელიმე კანონთაგანს გადავიდოდნენ, ოქროს ქანდაკებას დასდგამდნენ, ეზლაც სწორედ ასე სდებენ ფიცს. სოლონმა ასი წლით დაამტკიცა კანონები და ასეთნაირად დაამტკიცა პოლიტია.

ქონების მიხედვით დაჰყო მცხოვრებლები ოთხ წოდებად — როგორც წინათაც იყოფოდა — პენტაკოსიომედიმნიანებად, მხედრებად, ძევგიტებად და თეტებად.[62] თანამდებობები — დაადგინა მან. უნდა ჰქონოდათ პენტაკოსიომედიმნიანთ, მხედართ და ძევგიტებს, ამათგან უნდა ყოფილიყვნენ ცხრა არქონტი, მოლარეთუხუცესნი, პოლეტები, თერთმეტი მმართველი და კოლაკრეტები,[63] თითოეული წოდებისათვის უნდა მიენიჭებინათ ხელისუფლება თანახმად ქონების სიდიდისა.[64] ხოლო იმათ, ვინც თეტების წოდებას ეკუთვნოდა, მხოლოდ ეკლესიასა და დიკასტერიონში მონაწილეობის უფლება მისცა. პენტაკოსიომედიმნიანს ეკუთვნოდა ის, ვინც თავის მეურნეობაში ჰქმნიდა ხუთას ზომა მოსავალს, ხმელსა და სითხეს ერთად,[65] მხედარს, ვინც სამჯსსა ჰქმნიდა და. ხოლო როგორც ზოგიერთები ამბობენ — ვისაც ცხენების კვება შეეძლოთ. ამის საბუთად მოჰყავთ წოდების სახელი, რომელიც საქმის ვითარებით არის გამოწვეული, და აგრეთვე ძველი ძეგლები: აკროპოლისზე, მაგ., აღმართულია დიფილეს ქანდაკება, რომელსაც აწერია შემდეგი:

ანთემიმ დიფილეს ძემ შესწირა ზეციერთ ეს,
თეტური წოდება, რომ შესცვალა მხედრისად მან.

და იქვე დგას ცხენი, რაც ამტკიცებს, რომ ეს მხედართწოდებას აღნიშნავსო. მიუხედავად ამისა უფრო საფიქრებელია, რომ ისინიც სა-

წყაოთა მიხედვით იყვნენ განსაზღვრულნი, როგორც პენტაკოსიომედიმნიანები; ძევგისიონს ეკუთვნოდნენ ისინი, რომელთაც მთლიანად ორასი ზომა მოსავალი ჰქონდათ. დანარჩენები შეადგენდნენ თეტების წოდებას და მათ არც ერთ სახელოში არა ჰქონდათ მონაწილეობა.

ამიტომ დღესაც, როდესაც ვინმე კენჭს იყრის რომელსამე თანამდებობაზე და მას ეკითხებიან რომელ წოდებას ეკუთვნიო, არავინ ამბობს თეტებისასაო.

თავი VIII.

უმაღლესი ხელისუფალნი, — დააწესა მან, — წილის ყრით უნდა აერჩიათ წინასწარ არჩეულ პირთაგან, რომელნიც თვითეულ ფილეს წინასწარ უნდა აერჩია. თვითეული ფილე წინასწარ ირჩევდა ცხრა არქონტისათვის ათ კაცს და ესენი წილის ყრით ირჩევდნენ ცხრას. და დღესაც არის დარჩენილი ფილებში წესი, რომ თვითეული ფილე წინასწარ ირჩევს ათს და შემდეგ ამათგან წილის ყრით ირჩევენ. იმის საბუთი, რომ სოლონმა წილის ყრით არჩევა ქონების მიხედვით დააწესა, არის კანონი მოღარეთუხუცესთა შესახებ, რომლითაც სარგებლობენ დღესაც სრულიად და უკლებლივ. ეს კანონი აწესებს, რომ მოღარეთუხუცესნი პენტაკოსიომედიმნიანთაგან აირჩიონ. ასე დააკანონა სოლონმა, ცხრა არქონტის შესახებ, ძველად კი არეოპაგის საბჭო ასახელებდა და ირჩევდა თავისი შეხედულების მიხედვით, გზავნიდა სათანადო პირს თვითეულ სახელოზე ერთი წლის ვადით. ფილე იყო, როგორც წინათაც, ოთხი: და ოთხი ფილობასილევსი. თვითეული ფილე იყოფოდა სამ ტრიტიად (ე. ი. მესამედად), ხოლო თვითეულში 12 ნავკრარია იყო. ნავკრარიებს მეთაურებად ჰყავდათ ნავკრარები, რომელნიც დადგენილი იყვნენ შემოსავლის მისაღებად და ხარჯების საწარმოებლად. ამის გამო სოლონის კანონებში, რომლებიც ეხლა აღარ იხმარება, ხშირად წერია: „ნავკრარებმა შემოიტანონ“ და ხარჯი გასტუმრებულ იქნეს სანავკრარო ფულიდან“. სოლონმა შექმნა ოთხასის საბჭო, ასი თვითეული ფილედან, ხოლო არეოპაგელთა საბჭოს დაუწესა კანონთა დაცვა. ისევე როგორც ის წინათვე იყო პოლიტიის მეთვალყურე და სხვა დიდ და უაღრესად მნიშვნელოვან პოლიტიკურ მხარეებსაც თვალყურს ადევნებდა, დამნაშავეთ ასამართლებდა, რაშიც უფლებამოსილი იყო. სამართალში აძლევდა და სჯიდა, საჯარიმო ანაკრეფი შეჰქონდა აკროპოლისის სალაროში, ისე რომ არც კი განაცხადებდა მიზეზს დაჯარიმებისა. აგრეთვე ასამართლებდა დემოკრატიის დანგრევის შემთქმელებს მის შემდეგ. რაც სოლონმა კანონი დაადგინა ამათ შესახებ ეისანგელიის წარდგენისათვის. რადგან ის ხედავდა, რომ ქალაქში ხშირად ჰქონდა ადგილი შეტაკებებს, ხოლო ზოგიერთი მოქალაქე თავისი სირეგვნით შემთხვევის მაყურებ-

ლად რჩებოდა, ამიტომ სოლონმა საკანგებო კანონი გამოსცა, რომ ვინც აჯანყების დროს იარაღქვეშ არ დადგებოდა და სხვებთან ერთად არ იქნებოდა, მას უფლება აეყრებოდა და მონაწილეობას ვერ მიიღებდა ქალაქის მართვის საქმეში.

თავი IX.

ასეთი იყო სახელოთა მდგომარეობა.

სოლონის პოლიტიკაში სამი რამ არის, როგორც ჩანს, ყველაზე უფრო სასარგებლო ხალხისათვის. პირველი და უმნიშვნელოვანესი ის არის, რომ არ შეიძლება სესხი სხეულის საწინდრით. მეორე ის, რომ მსურველს შეეძლო საჩივარი აღეძრა იმათ სასარგებლოდ, ვისაც უკანონოდ მოეპყრნენ. მესამე კი არის გასაჩივრება დიკასტერიონში — ამით, ამბობენ, ყველაზე უფრო გაძლიერდა ხალხი: ვინაიდან, როდესაც დემოსი სასამართლოს ბატონ-პატრონია, ის ამით პოლიტიის ბატონ-პატრონიც არის. აგრეთვე: რადგან კანონები არ იყო დაწერილი მარტივად და ნათლად, არამედ — როგორც, მაგალითად, შესახებ მემკვიდრეობისა და შემკვიდრე ქალისა — აუცილებელი იყო მრავალი გაუგებრობა, სასამართლო სწყვეტდა საზოგადო და კერძო საქმეებს. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ თვით სოლონმა განგებ დააწესა კანონები ბუნდოვანად, რათა დემოსი ყოფილიყო ბატონ-პატრონი განაჩენისა. მაგრამ ეს არ არის მართალი, არამედ ეს მოხდა იმიტომ, რომ მას არ შეეძლო ყველაფერში საუკეთესო მიეღწია. სამართლიანი არ იქნება მისი განზრახვები განვიხილოთ იმის მიხედვით, რაც ეხლა ხდება (ე. ი. თანამედროვე მდგომარეობის მიხედვით), არამედ სხვა პოლიტიით (ე. ი. მისი დანარჩენი პოლიტიკური ხასიათის რეფორმებს მიხედვით უნდა შევაფასოთ).

თავი X.

აი, ეს იყო მის კანონებში დემოკრატიული ხასიათისა, ხოლო კანონების დადგენის უწინარეს მოახდინა ვალების მოსპობა, და მის შემდეგ გაზარდა საზომები და საწყაულები და აგრეთვე საფასები. მის დროს საზომები ფეიდონისაზე[96] უმეტესი გახდა; მნა, რომელსაც წინათ ჰქონდა სამოცდა ათი დრაქმა, შეივსო ასამდე. უძველესი მოჭრილი ფული კი იყო დიდრაქმა, საწყაულებიც შეუფარდა მან ფულს: ტალანტს ჰქონდა სამოცდა სამი მნა და სამი მნა კიდევ იყოფოდა სტატერად და საწყაულის სხვა ერთეულებად.

თავი XI.

ასეთნაირად რომ მოაწესრიგა მან პოლიტია, მას მისცვივდნენ და აწუხებდნენ კანონების გამო, ხან ჰკიცხავდნენ მას, ხან კიდევ, შეკით-

ვებს აძლევდნენ, და რადგან მას არც კანონების შეცვლა უნდოდა და არც ხალხის გადამტერება — თუ ის იქ დარჩებოდა — ამიტომ მან მოაწყო გამგზავრება ეგვიპტეში სავაჭრო მიზნებით და სანახავადაც, და სთქვა ათ წელს არ ჩამოვალო. ის სამართლიანად არ თვლიდა იქ (ათენში) დარჩენილიყო და კანონები განემარტნა; თვითეულს უნდა შეესრულებინა დაწერილი. ამასთანავე ერთად მას დიდებულთა წრეებში მრავალი მტერი გაუჩნდა ვალების გაუქმების გამო და ორთავე მხარემ შესცვალა მისდამი დამოკიდებულება, რადგან შექმნილი მდგომარეობა მათ არ აკმაყოფილებდა: დემოსს ეგონა, რომ ის (ე. ი. სოლონი) ხელახლა გაჰყოფდა ყველაფერს, დიდებულთ კი — რომ ის ძველს წესებს დაუტოვებდა კვლავ, ანდა მცირეოდნად შესცვლიდა. სოლონი კი ორივე მხარეს ეწინააღმდეგებოდა და, მის წინაშე რომ იყო შესაძლებლობა რომელიმე მათგანს შეკეროდა და ტირანი გამხდარიყო, მან არჩია ორივე გადაემტერებინა და ამით გადაერჩინა სამშობლო და საუკეთესო კანონები დაეწესა.

თავი XII.

რომ ეს ყველაფერი ამნაირად მოხდა, ამაში თანახმანი არიან ყველანი, და თვით სოლონიც თავის ლექსებში ამის შესახებ შემდეგნაირად იხსენიებს:

> დემოსს მე მივაგე იმდენი პატივი, რამდენიც კმარა:
> არც რამე წავართვი მას, არც ჰარბად მივეცი რამ.
> ვისაც ეპყრა ძალა. და ფული საკვირველის ოდენობით ჰქონდა.
> მათაც დავუწერე მე: უწესოდ არა ჰქონდეთ რა.
> შეკურვილმა ძლიერის ფარით შემოვრკალე ორივე მხარე:
> ნება არ მიეცი მათ, უსამართლოდ კვეთოდენ სხვას.

ის კიდევ აცხადებს ბრბოს შესახებ, თუ როგორ უნდა მოეპყრათ მას:

> „დემოსს ასე უნდა ეუხელმძღვანელოთ საუკეთესოდ სარდლების საშუალებით: არც ნამეტანი მიეშვათ აღვირი. და არც ნამეტანი მოუკიროთ. ვინაიდან სიმაძღრე შობს თავგასულობას, როდესაც დიდი ბედნიერება ეწვევა იმ ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ სრულყოფილი ჰკუა".

მეორე ადგილას ის კვლავ ამბობს იმის შესახებ, ვისაც სწადია მიწის დაყოფა:

> „ზოგიერთები მოვიდნენ ნადაელისათვის და გადაჰარბებული იმედი ჰქონდათ. და თვითეულ მათგანს ეგონა, რომ დიდ ბედნიერებას ჰპოვებდა, და მე რომ რბილად ვემასლაათებოდი, უკმეხ მოქცევად მიაჩნდა. მაშინ ისინი მოწიწებით ლაპარაკობდნენ, ეხლა კი მოჯავრებიან და ყველანი ალმაცერად მიცქერიან, როგორც მტერს. არ ვარგა ასე. რაც ვთქვი, შეასრულე ღმერთების დახმა-

რებით, მაგრამ არ მისაქმია ტყუილ-უბრალოდ, არც მომწონს, რომ ტირანობის ძალით რამეს მივაღწიო, და არც რომ სამშობლოს პოხიერი მიწიდან კეთილ-შობილთ თანასწორი ხვედრი ჰქონდეთ ბოროტებთან ერთად".

ის შემდეგ ლაპარაკობს ვალების მოსპობის შესახებ და იმათზე, ვინც წინათ მონურად მუშაობდა, ხოლო ეხლა განთავისუფლებულია სეისახთეის საშუალებით:

„თუ რატომ შევაკავე მე ხალხი და შევწყვიტე ის, რაც მას უნდოდა წინათ მიეღწია, ამას დამიმოწმებს ოლიმპოს ღმერთთა უდიდესი კეთილშობილ-დედა, შავი მიწა, რომლის პალოები,[67] ურცხვად ჩარჩობილი, ამოვგლიჯე წინათ ის დამონებული იყო, ეხლა კი თავისუფალია. ბრავალი დავაბრუნე მე ათენში, ღმერთის მიერ აშენებულ სამშობლოში, რომელნიც გაყიდული იყვნენ — ზოგი უსამართლოდ, ზოგიც სამართლიანად, ზოგი კიდევ კინც გაექცა აუცილებელ ვალებს, და რომელნიც უკვე აღარ ლაპარაკობენ ატიკურ ენას. მათ ბევრი იწოწიალეს ყველგან. ზოგიერთი მათგანი ეწეოდა აქ შეუფერებელ მონობას და მბრძანებელთა წინაშე კანკალებდა. — აი, ესენი გავათავისუფლე მე. ეს მე ვქმენ ძალაუფლებით. ამასთანავე ერთად შევახმატკბილე ძალა და სამართალი და შევასრულე ის, რასაც ვპირდებოდი, თანაბრად დაეუდგინე სამართალი ბოროტსა და კარგს და ყველასთვის სწორი სამართალი შევა-თანხმე. სხვას რომ აეღო ჩემსავით საქე, ვინმე ბოროტგანმზრახველ და ანგარა კაცს, ის ვერ დაიკერდა ხელში დემოსს ძალაუფლებრივად. თუ მე მოვისურვებდი გამეკეთებინა ის, რასაც მოითხოვდა ერთი ან მეორე მხარე, ქალაქი მაშინ მრავალ კაცს დაჰკარგავდა. ამიტომ მე ყოველმხრივ ვიცავდი თავს როგორც მგელი მრავალ ძაღლთა შორის".

შემდეგ ის ჰკიცხავს ორივე მხარის ჩივილს:

„აშკარად უნდა ვეთხრა გაკიცხვით ხალხს, რომ რაც ეხლა აქვთ, ვერასოდეს იხილავდნენ თვალით — სიზმარშიაც კი. ხოლო განდიდებულნი და გაძლიერებულნი მე უნდა მაჭებდნენ და მმეგობრობდნენ".

ვისმე სხვას რომ შეხვედროდა — ამბობს სოლონი — ამგვარი პატივი (ე. ი. თანამდებობა),

„ის ვერც დემოსს დაიკერდა ხელში ძალაუფლებრივად და ვერც დაამშვიდებდა მას, ვიდრე ყველაფერს არ გადაანგრევდა და მსუქან რძეს არ გამოიღებდა. მე კი ვიდექ მათ შუა, ვითარცა პალო ორ მხარეს შუა".[68]

თავი XIII.

აი, ამ მიზეზების გამო მოაწყო სოლონმა თავისი გამგზავრება. როდესაც სოლონი გაემგზავრა, ქალაქი ჯერ კიდევ ღელავდა, მაგრამ ოთხი წელიწადი სიწყნარეში გაატარა. სოლონის არქონტობის შემდეგ მეხუთე წელს (ე. ი. ოთხი წლის შემდეგ) ამავე მიზეზის გამო უარქონტობა (ანარქია) ჰყვეს. ამის შემდეგ არქონტად არჩეულ იქნა დამასია, რომელ-

მაც იარქონტა ორ წელსა და ორ თვეს, ვიდრე ის ძალით არ ჩამოაშორეს ძალა-უფლებას. შემდეგ ათენელებს მოესურვათ — აჯანყების გამო, რომ ათი არქონტი აერჩიათ, ხუთი ეუპატრიდებისაგან, სამი მიწის მუშებისაგან და ორიც ხელოსნებისაგან, და ამათ იარქონტეს დამასიას შემდეგ ერთი წლის განმავლობაში. აქედან ცხადია, თუ რა დიდი ძალა ჰქონია არქონტს, ვინაიდან ჩანს, რომ მუდამ სწორედ ამ ხელისუფლებისათვის ხდებოდა არეულობა. ისე კი სრულებით არეულ-დარეული ჰქონდათ შინაური საქმეები. ზოგისთვის ამის დასაბამსა და საბაბს წარმოადგენდა ვალების გაუქმება, ვინაიდან ისინი ამის გამო დაღარიბდნენ, ზოგნიც პოლიტიკურად იყვნენ შევიწროებული, რადგან გადატრიალება დიდი იყო; სხვები კიდევ ურთიერთისადმი ანგარებიანი დამოკიდებულებით.

სულ იყო სამი პარტია: ერთი იყო მონაპირეებისა,[10] რომლებსაც მეთაურობდა მეგაკლე ალკმეონის ძე, და რომლებიც, როგორც ჩანდა, უფრო საშუალო (ზომიერი) პოლიტიის მიმდევარნი იყვნენ. მეორე იყო პარტია ვაკელთა,[9] რომლებიც ოლიგარქიული წყობილებისაკენ მიისწრაფოდნენ, მათ ხელმძღვანელობდა ლიკურგე. მესამე იყო მთის[11] მცხოვრებთა პარტია, რომლის სათავეშიც იდგა პიზისტრატე, ჩანს ყველაზე უფრო დემოკრატიულად განწყობილი. ამ უკანასკნელებს მიემხრნენ — დაღარიბების გამო — ისინი, ვისაც გაუუქმეს გასესხებული თანხები, აგრეთვე ისინი, ვინც შთამომავლობით არც თუ უმწიკვლო იყო, — ესენი შიშის გამო. ამის საბუთია ის, რომ ბევრი იღებდა მონაწილეობას პოლიტიკურ უფლებებში არა კუთვნილებისამებრ. თვითეული პარტია თავის სახელს ატარებდა იმ ადგილების მიხედვით, სადაც ის ბინადრობდა.

თავი XIV.

ყველაზე უფრო დემოკრატიულად განწყობილად მიაჩნდათ პიზისტრატე, რომელმაც ძალიან გაითქვა სახელი მეგარელებთან ბრძოლაში; მან თვითონ მიაყენა თავის სხეულს ჭრილობა და შემდეგ დაარწმუნა დემოსი, რომ მან ეს ჭრილობა მოწინააღმდეგე პარტიის მომხრეთაგან მიიღო; ამიტომ მას მისცეს მცველი სხეულისა: საკითხი დასვა არისტიონმა. მიიღო თუ არა ეგრეთ წოდებული კორინეფორები, ის წინ აღუდგა ამასთან ერთად დემოსს და ხელში ჩაიგდო აკროპოლისი ოცდამეთერთმეტე წელს კანონთა დადგენის შემდეგ, კომეას არქონტობის დროს. ამბობენ, რომ, როდესაც პიზისტრატე თხოულობდა მცველებს, სოლონი წინააღუდგა და თქვა, რომ პიზისტრატე ზოგიერთებზე უფრო ჭკვიანია, ვინც ვერა ხედავს, რომ პიზისტრატეს ტირანობა განუზრახავს; ხოლო იმათზე უფრო მამაცია, ვინც ამას ხედავს, მაგრამ სდუმს. ამ ლაპარაკით რომ ვერ დაარწმუნა ხალხი, გამოატანინა თავისი იარაღი კარებ წინ, თვითონ კი თქვა, დავეხმარე სამშობლოს, რამდენადაც შემეძლო —

ის ხომ უკვე ძალიან მოხუცებული იყო — და ეხლა სხვებმაც იგივე გააკეთონო. სოლონმა ვერაფერს მიაღწია მაშინ ამ მოწოდებით. პიზისტრატემ კი აიღო ძალა-უფლება ხელში და მართავდა საზოგადო საქმეებს, უფრო პოლიტიურად, ვიდრე ტირანულად. ძალა-უფლება ჯერ კიდევ არ იყო განმტკიცებული, რომ შეგაკლესა და ლიკურგეს მომხრეები შეთანხმდნენ და გააგდეს ის პირველი გაბატონების (კატასტასის) შემდეგ მეექვსე წელს. ჰეგეზიას არქონტობის დროს.[72] ამის შემდეგ კი შეთორმეტე წელს მეგაკლემ, იძულებულმა შექმნილი მდგომარეობით, კვლავ მოიწვია პიზისტრატე იმ პირობით, რომ ის მის ქალს ცოლად შეირთავდა და დააბრუნა ის ძველებურად და ძალიან მარტივად. ჯერ მეგაკლემ წინასწარ გაავრცელა ხმები, თითქოს თვით ათენას მოჰყავდეს უკან პიზისტრატე. და გამოუძებნა ერთი ქალი, დიდებული და მშვენიერი, ჰეროდოტეს სიტყვით პეანიელთა დემიდან, ხოლო სხვათა თქმით კოლლიტიდან, ყვავილებით მოვაჭრე თრატელი, სახელად ფიე; ჩაცმულობით მიამგზავსა ღმერთს (ე. ი. ათენს) და შემოაყვანინა ქალაქში პიზისტრატესთან ერთად. პიზისტრატე შემოვიდა ეტლით, ქალი მის გვერდით მოდიოდა, ხოლო გაკვირვებულმა მცხოვრებლებმა თაყვანისცემით მიიღეს ისინი.

თ ა ვ ი XV.

აი, ეს იყო მისი პირველი დაბრუნება. ამის შემდეგ ის მეორედ დაეცა, სულ დიდი მეშვიდე წელს დაბრუნების შემდეგ. დიდ ხანს არ ეპყრა მას ხელისუფლება, არამედ, რადგან მას არ სურდა მეგაკლეს ქალი შეერთო და ეშინოდა ორივე პარტიისა, ამიტომ მან დასტოვა ქალაქი. ჯერ ის დასახლდა თერმეს ყურის[73] მახლობლად სოფელ რაიკელში, იქიდან გადავიდა პანგეონის[74] მიდამოებში, საიდანაც, მის შემდეგ, რაც გამდიდრდა და დაიჭირავა ჯარი, მივიდა ერიტრიაში მეთერთმეტე წელს და მაშინ პირველად სცადა ძალით ჩაეგდო ხელში ძალაუფლება: მას მხარს უჭერდნენ ბევრნი სხვანიც, განსაკუთრებით თებელები და ნაქსოსელი ლიგდამისი, აგრეთვე მხედარნი, რომელთა ხელშიც იყო ერიტრიაში პოლიტია. მან გაიმარჯვა პალენიდის[75] ბრძოლაში, აიღო ქალაქი, ჩამოართვა დემოსს იარაღი, და, რასაკვირველია, ხელთ ჩაიგდო ტირანობა. აიღო აგრეთვე ნაქსოსიც[76] და დაადგინა იქ არქონტად ლიგდამისი. იარაღი კი ასეთნაირად ჩამოართვა ხალხს: მან შეკრიბა იარაღასხმული ხალხი თეზეიონში[77] და მოკლე სიტყვით მიმართა. როდესაც ხალხმა შესძახა არ გვესმისო, პიზისტრატემ მოუწოდა მოახლოებულიყვნენ აკროპოლისის პროპილეის, „რომ უფრო კარგად გაეგონათ. იმ დროს, როდესაც ის განაგრძობდა ლაპარაკს, მისმა მომხრეებმა აალაგეს იარაღი,[78] ჩაჰკეტეს ის თეზეიონის მახლობელ შენობებში და მიეიდნენ და აცნობეს პიზისტრატეს. როდესაც მან თავისი სიტყვა გაათავა,

უთხრა აგრეთვე არაფრის შესახებ მომხდარ ამბავზე და ურჩია: არ არის საჭირო არც გაკვირვება და არც სულით დაცემა. წადით ყველანი საკუთარ საქმეებზე, საზოგადო საქმეებს კი მე თვითონ მოვუვლიო.

თავი XVI.

ასეთი იყო პიზისტრატეს ტირანობის დასაწყისი და ასეთი ცვლილებები განიცადა მან. როგორც ვთქვით, პიზისტრატე განაგებდა საქმეებს ზომიერად და უფრო პოლიტიურად, ვიდრე ტირანულად. საზოგადოდ ის კაცთმოყვარე და ლმობიერი იყო და თანამგრძნობი შემცდართა: ხელმოკლეებს წინასწარ სესხად აძლევდა ფულს მუშაობისათვის, რათა მათ მიწა დაემუშავებინათ და თავი ერჩინათ. ამას ის შვრებოდა ორი მოსაზრებით, რათა იმათ ქალაქში არ ეხეტიალნათ, არამედ დაფანტული ყოფილიყვნენ სოფლად. და რათა მათ ზომიერად შეეძინათ (ე. ი. საშუალო ქონებისანი გამხდარიყვნენ) და თავის საკუთარ საქმეებზე ყოფილიყვნენ და არც მოესურვათ და არც დრო ჰქონოდათ, რომ საზოგადო საქმეებზე ეზრუნათ. თანაც იმის წყალობით, რომ სოფელი მუშაობდა, მას უფრო მეტი შემოსავალი შემოსდიოდა: რადგან მოსავლის მეათედს ის იღებდა. ამავე მოსაზრებით მან დემებში მსაჯულნი დააყენა და თვითონაც ხშირად გადიოდა სოფლად, თვალყურს ადევნებდა საქმეებს და აზავებდა მოდავეებს, რათა ისინი ქალაქში არ ჩამოსულიყვნენ და ამით საქმეს არ მომცდარიყვნენ. ერთი ასეთი სოფლად გასვლის დროს პიზისტრატეს შეემთხვა, როგორც ამბობენ, შემდეგი: ის წააწყდა ერთ მიწის მუშას, რომელიც მუშაობდა ჰიმეტში,[79] ერთ სოფელში, რომელიც შემდეგში განთავისუფლებულ იქნა გადასახადისაგან. მან ღაინახა, რომ ერთი კაცი სრულიად კლდიან ადგილს ხნავდა და ამუშავებდა. რადგანაც მას ეს გაუკვირდა, თავის მხლებელს უბრძანა ეკითხა, რა მოსავალი ექნება ამ მიწასო. იმან კი უპასუხა „ჭირი და ვარამი და ამ ჭირისა და ვარამისაგან პიზისტრატემ მეათედი უნდა წაიღოსო". ასე უპასუხა ამ კაცმა: მან არ იცოდა, რომ ის პიზისტრატე იყო, პიზისტრატეს კი მოეწონა თავისუფალი თქმა და შრომის მოყვარეობა და გაანთავისუფლა ის ყოველგვარი გადასახადისაგან. და ხალხს არც სხვა რამეში ავიწროებდა ის თავდაპირველად, არამედ მუდამ იმის ზრუნვაში იყო, რომ დაეცვა ზავი და სიმშვიდე, ამიტომ ხშირად ამბობდნენ, პიზისტრატეს ტირანობა კრონოსის[80] დროის ცხოვრება იყოო: ვინაიდან შემდეგ, როდესაც მისი შვილები მართავდნენ, ბევრად უფრო მკაცრი შეიქნა ხელისუფლება. ხოლო ყველაზე უფრო უდიდესი ამ ნათქვამიდან ის იყო, რომ ის ხასიათით კაცთმოყვარე იყო და დემოკრატიულად განწყობილი. სხვათა შორის, მას სურდა ყველაფერი ემართნა კანონების მიხედვით ისე, რომ თავის თავს არ აძლევდა არავითარ ზედმეტ ნებას, და როდესაც ერთხელ ის არეოპაგში იყო მიწვეული მკვლე-

ლობის გამო, ის თვითონ გამოცხადდა სასამართლოში და აპირებდა თავის დაცვას, ხოლო მომჩივანს შეეშინდა და არ გამოცხადდა. ამიტომ ის დიდხანს დარჩა ხელისუფლად. და როდესაც კი აძევებდნენ მას, ყოველთვის მალე დაიბრუნებდა ხოლმე ხელისუფლებას. ვინაიდან დიდებულთაგანაც და დემოსიდანაც უმრავლესობა მას უჭერდა მხარს: პირველნი იმან მიიმხრო თავისი მოპყრობით, ხოლო მეორენი — დახმარებით კერძო საქმეებში, და ორივეს მიმართ ის კარგად იყო განწყობილი. იმ ხანებში ათენელებს ტირანების შესახებ რბილი კანონები ჰქონდათ, სხვათა შორის, განსაკუთრებით ის კანონი, რომელიც შეეხებოდა ტირანობის დამკვიდრებას. სახელდობრ, მათ ასეთი კანონი ჰქონდათ: „ეს არის ათენელთა მამაპაპეული კანონები. თუ ვინმე შეეცდება გატირანებას, ან ხელს შეუწყობს ტირანობას, პატივი აეყაროს"[1] მას და მთელ მის გვარსაც".

თავი XVII.

პიზისტრატე ასე შეაბერდა ხელისუფლებას და გარდაიცვალა ავადმყოფობისაგან ფილონეოსის არქონტობის დროს:[2] დღიდან პირველი გატირანებისა მან იცოცხლა 33 წელი, ხოლო ხელისუფლება ეპყრა 19 წელს, დანარჩენი დრო კი გაძევებაში გაატარა. ამიტომ ცხადია, სისუელეს ჩმახავენ ისინი ვინც ამბობს, პიზისტრატე სოლონის საყვარელი პიროვნება იყო და მეგარელთა წინააღმდეგ სალამინის გამო წარმოებულ ბრძოლაში სარდლობდაო. მათი ასაკები არ უდგება ერთმანეთს, თუ თვითეული მათგანის სიცოცხლეს გამოვიანგარიშებთ[3] და იმასაც, თუ ვისი არქონტობის დროს გარდაიცვალა პიზისტრატე.

პიზისტრატე რომ გარდაიცვალა, ძალაუფლება ხელთ იპყრეს მისმა შვილებმა, რომელნიც აწარმოებდნენ საქმეებს იმავნაირად. კანონიერი ცოლისაგან მას ორი ვაჟი ჰყავდა — ჰიპია და ჰიპარქე, ორიც კიდევ არგოსელი ქალისაგან—იოფონტი და ჰეგეზისტრატე.[4] რომელსაც მეტსახელად თეტალოსს[5] ეძახდნენ. სახელდობრ, პიზისტრატე ცხოვრობდა ერთი არგოსელის, გორგილეს ქალთან, ტიმონასასთან, რომელიც მანამდე ცოლად ჰყავდა არქინე ამპრაკიელს, კიფსელიდთაგანს.[6] ამის გამო მას მეგობრობა ჰქონდა არგოსელებთან და ათასი არგოსელი შველოდა მას პალენიდის ბრძოლაში; ჰეგეზისტრატემ მოიყვანა ისინი. ზოგიერთების თქმით, არგოსელ ქალს დაუკავშირდა ის მაშინ, როდესაც პირველად იქნა გაძევებული, სხვათა სიტყვით კი — როდესაც ხელისუფლება ეპყრა.

თავი XVIII.

საქმის ბატონ-პატრონი იყვნენ ჰიპარქე და ჰიპია როგორც თავისი მდგომარეობით (ე. ი. რომ კანონიერი შვილები იყვნენ), ისე ხნოვანო-

ბით, ხოლო ხელისუფლებას სათავეში ედგა ჰიპია, რადგან ის უფროსი იყო და ამასთანავე ბუნებით პოლიტიკოსი და გონიერი. ჰიპარქე კი ბავშვური ქცევისა იყო, ეროსის თაყვანისმცემელი და ხელოვნების მოყვარული, და ის იყო, სწორედ, რომ მოიწვია და გარშემო შემოიკრიბა ანაკრეონტი. სიმონიდე და სხვა პოეტები.

ხოლო თეტალოსი გაცილებით უფრო ახალგაზრდა იყო და თავისი ცხოვრებით გამბედავი და აბეზარი, და ამაშია დასაბამი ყველა მათი უბედურებისა. იმან შეიყვარა ჰარმოდი; ჰარმოდიმ რომ უარი უთხრა, აღარ შეიკავა თავისი რისხვა, ყველაფერში მწვავედ იქცეოდა, და უკანასკნელად, როდესაც ჰარმოდის დას კანეფორობა[47] უნდოდა, პანათენეურ დღეობაში,[48] ხელი შეუშალა მან მით, რომ ჰარმოდი აძაგა, ვითარცა განებივრებული, რამაც გამოიწვია ის. რომ გაბრაზებულმა ჰარმოდიმ და არისტოგიტონმა ჩაიდინეს ის საქმე მრავალი პირის მონაწილეობით. როდესაც ისინი აკროპოლისზე პანათენეების დროს ჰიპიას უთვალთვალებდნენ — ამას ხომ უნდა მიეღო პროცესია, ხოლო ჰიპარქეს უნდა გაეგზავნა ის, — დაინახეს, რომ ერთი შეთქმულთაგანი მეგობრულად შეხვდა ჰიპიას და იფიქრეს, რომ ის გასცემდა მათ, ამიტომ მათ მოისურვეს შეპყრობის წინ რამე გაეკეთებინათ. ჩამოვიდნენ აკროპოლისიდან, გამოეყვნენ სხვებს და, თუმცა მოკლეს ჰიპარქე, როდესაც ის პროცესიას აწყობდა ლეოკორეიონის მახლობლად, მაგრამ ამით გააფუჭეს მათ მთელი საქმე. იმათგან ჰარმოდი მაშინათვე მოკვდა მეშუბეთა ხელით, ხოლო არისტოგიტონი შემდეგ: იგი შეიპყრეს და დიდხანს აწვალეს. ის იძულებული იყო და გასცა მრავალი, რომელნიც წარჩინებულთა წრეებსაც ეკუთვნოდნენ და ტირანების მეგობრებიც იყვნენ. შეუძლებელი გახდა მაშინვე მიეგნოთ კვალისათვის, ხოლო ის გადმოცემა, თითქოს ჰიპიას პროცესიის მონაწილეთათვის იარაღი ჩამოერთვას და აღმოეჩინოს დამნაშავენი, რომლებსაც ხანჯლები ჰქონდათ, არ არის მართალი: მაშინ ხომ შეიარაღებულები არ მონაწილეობდნენ პროცესიაში, ეს დემოსმა შემდეგ შემოიღო. არისტოგიტონი დამნაშავეებად აცხადებს ტირანის მეგობრებს, როგორც დემოკრატიული წყაროები ამბობენ, განზრახ, რათა მათ უდანაშაულოთა და თავიანთ მეგობართა დასჯით ურწმუნო საქმე ჩაედინათ და ამავე დროს დასუსტებულიყვნენ, ხოლო, როგორც ზოგიერთები ამბობენ, იმან ეს კი არ მოიგონა, არამედ თანაგანმზრახველნი გასცა. და, ბოლოს, რადგან მან ვერ შესძლო — თუმცა ყველაფერი ქმნა — მომკვდარიყო, განაცხადა, რომ დანარჩენებსაც გასცემდა და დაარწმუნა ჰიპია ნდობის ნიშნად მიეცა მისთვის მარჯვენა ხელი; როგორც კი მოჰკიდა ხელი, მაშინვე კიცხვა დაუწყო, ძმის მკვლელს მარჯვენა გაუწოდეო, და ამით ისე გაამწარა ჰიპია, რომ მან თავი ვეღარ შეიკავა სიბრაზისაგან. ამოიღო მახვილი და მოკლა იგი.

თავი XIX.

ამის შემდეგ ბევრად უფრო მკაცრი შეიქმნა ტირანობა იმით, რომ ჰიპია ძმისთვის შურს იძიებდა და მრავალს ხოცავდა და აძევებდა. ის ყველასათვის უნდო და საზიზღარი გახდა. ჰიპარქეს სიკვდილის შემდეგ ოთხეს წელს, როდესაც ქალაქში მდგომარეობა ცუდი იყო, მან განიზრახა გაემაგრებინა ჰუხიქია,[10] რათა იქ დამკვიდრებულიყო, მაგრამ ამ დროს იგი განდევნილ იქმნა ლაკედემონელთა მეფის კლეომენეს მიერ, მის შემდეგ, რაც ლაკედემონელებს შუდამ მიუთითებდნენ, რათა მათ დაეძხოთ ტირანობა შემდეგი მიზეზების გამო. გაქცეულებს, რომლებსაც მეთაურობდნენ ალკმეონიდები,[11] თვითონ საკუთარი ძალით არ შეეძლოთ ძოწყოთ უკან დაბრუნება და შუდამ მარცხდებოდნენ, ისინი ყველაფერში, რასაც აკეთებდნენ, მარცხდებოდნენ: ასე, მაგალითად, როდესაც ისინი გაშაგრდნენ ლეიფსიდრიონში პარნეთოზე,[12] სადაც მოგროვდნენ ზოგიერთები ქალაქიდან, ტირანებმა ალყა შემოარტყეს და გააძევეს: ამიტომ შემდეგ ხანებში ამ შემთხვევის შემდეგ მუდამ მღეროდნენ სანადიმო სიმღერებში:

> აჰ, მეგობრების გამცემო ლეიფსიდრიონო!
> რამდენი კაცი დაღუპე შენ: დიდებულნი და
> კეთილშობილნი იბრძვიან:
> მათ აჩვენეს მაშინ, თუ რა მამისანი არიან.

როდესაც ისინი ყველაფერში დამარცხდნენ, აიღეს იჯარით დელფოში ტაძრის აშენება,[13] რითაც ისინი გამდიდრდნენ, და მიიმხრეს პითია, რათა იგი დახმარებოდა მათ ლაკედემონელთა მოშეელიების მოპოვებაში. პითია მუდამ აძლევდა წინადადებას ლაკედემონელთ, როდესაც ისინი სამისნოდ მიდიოდნენ, გაეთავისუფლებინათ ათენი, ვიდრე მან სპარტელები ამაში არ დაიყოლია, თუმცა პიზისტრატიდები მათთან მეგობრულ ურთიერთობაში იყვნენ. არანაკლები მნიშვნელობა იქონია ლაკედემონელთა გადაწყვეტილებაში არგოსელებსა და პიზისტრატეს შორის არსებულმა მეგობრობამ. პირველად მათ გაგზავნეს ანქიმოლე საზღვაო ჯარით, როდესაც ის დამარცხებულ და მოკლულ იქნა, რადგან კინეა თესალიელი ეხმარებოდა ათენელებს ჯათასი ცხენოსნით. მომხდარი ამბით აღელვებულმა ლაკედემონელებმა გაგზავნეს მეფე კლეომენე დიდი სახმელეთო ჯარით. მან დაამარცხა თესალიელი ცხენოსნები, რომლებიც ხელს უშლიდნენ მას ატიკაში შესულიყო და შეიმწყვდია ჰიპია ეგრეთ წოდებულ პელარგიკულ კედელში[14] და ალყა შემოარტყა მას ათენელთა დახმარებით. როდესაც ის იქ იყო, მოხდა ისე, რომ შეპყრობილ იქნენ პიზისტრატიდთა შვილები, რომელნიც გამოპარული იყვნენ. რადგან ესენი დაჭერილი იყვნენ, ისინი დანებდნენ შვილების ხსნის მიზნით: თავისი ქონება ხუთ დღეში გაიტანეს და გადასცეს აკროპო-

ლისი ათენელებს ჰარპაქტიდის არქონტობის დროს: ტირანობა ეპყრათ მათ, მაშის სიკვდილის შემდეგ, ჩვიდმეტი წელი, ხოლო ერთიანად, მა-მაც რომ მართავდა, ორმოცდა ცხრა წელი.

თავი XX.

როდესაც ტირანობა დამხობილი იქმნა, ერთმანეთს უჯანყდებოდნენ ისაგორა, ტიზანდრეს ძე, რომელიც ტირანების მეგობარი იყო, და კლისთენე, ალკმეონიდთა გვარისაგანი. კლისთენე დამარცხდა პარტიებთან შეტაკებაში და ამიტომ მან მიიმხრო დემოსი მით, რომ შეაძლია ხალხს პოლიტია. ხოლო ისაგორამ ამის გამო ძალა დაკარგა; მან კვლავ მოუხმო კლეომენეს, რომელიც მასთან მეგობრულ ურთიერთობაში იყო და დაიყოლია, რომ განედევნა უწმინდურნი, ვინაიდან ალკმეონიდებს წაბილწულთა სახელი ჰქონდათ.[96] კლისთენე გაუძვრა მტრებს ხელიდან. და კლეომენე რომ მოვიდა მცირეოდენი ამალით, მან გააძევა შვიდასი ათენელი ოჯახი. ეს რომ ქმნა, შეეცადა საბჭო დაეშალნა და ქალაქის სათავეში ჩაეყენებინა ისაგორა და სამასი მისი მეგობარი. მაგრამ საბჭო წინ აღუდგა და ხალხიც შემოკრიბა; კლეომენეს და ისაგორას პარტია აკროპოლისზე გაიქცა, დემოსმა კი ალყა შემოარტყა აკროპოლისს: ორი დღის განმავლობაში იქ იყო დაბანაკებული. მესამე დღეს კი გაუშვეს კლეომენე და ყველა მისიანი,[97] ხოლო კლისთენე და დანარჩენი ლტოლვილები უკან დააბრუნეს. როდესაც დემოსმა ხელში აიღო ძალაუფლება, კლისთენე იყო მეთაურად და დემოსის წინამძღოლად. ტირანების გადაგდებაში ხომ თითქმის ყველაზე მეტი ღვაწლი მიუძღოდათ ალკმეონიდებს, რომლებიც მათ აუჯანყდნენ და ბევრს მიაღწიეს. ჯერ კიდევ ალკმეონიდთა უწინარეს კედონი[97] წინ აღუდგა ტირანებს, რის გამოც სანადიმო სიმღერებში მათზე მღეროდნენ:

> კედონსაც დაუსხი, მართლა, დიაკონო, არ დაგავიწყდეს,
> როდესაც რაინდებს შენ დაუსხამ ღვინოს მძლეს.

თავი XXI.

ამ მიზეზების გამო ხალხმა ნდობით აღჭურვა კლისთენე. მაშინ ის სათავეში ჩაუდგა ხალხს, და ტირანების დამხობის მეოთხე წელს, ისაგორას არქონტობის დროს, მან ჯერ დაჰყო ყველა ათ ფილედ ნაცვლად ოთხისა, და ამით უნდა შეერია მცხოვრებლები, რათა რაც შეიძლება მეტს მიეღო მონაწილეობა სახელმწიფოს საქმეებში, რის გამოც ამბობენ „არ გამოიძიოთ ფილებიო". ამას ამბობდნენ იმათ შესახებ, ვინც მოისურვებდა ხოლმე გვაროვნობის გამოკვლევას არჩევნების დროს. შემდეგ მან დაადგინა ხუთასის საბჭო ნაცვლად ოთხასისა, ორმოცდაათი თვითეული ფილედან: წინათ კი იყო ას-ასი. ამის გამო მან თორმეტ ფი-

ლედ კი არ დაჰყო, რათა ეს დაყოფა არ დამთხვეოდა წინათ არსებულ ოორმეტ ტრიტიას: ოთხ ფილეში ხომ თორმეტი ტრიტია (სამეული) იყო, და ის ვერ შესძლებდა ხალხის შერევას. მან გაჰყო ქვეყანა დემების მიხედვითაც ოცდაათ ნაწილად,—ათი ქალაქის მახლობლად, ათი სანაპიროზე, ათიც შიდა ქვეყანაში და ამათ უწოდა მან ტრიტიები, და წილის ყრით სამ-სამი შეადგენდა თვითეულ ფილეს, რათა თვითეულ ფილეში ყოფილიყო ყველა ადგილიდან. თვითეულ დემთაგანში მცხოვრებნი აღიარა მან ერთმანეთის დემოტად, რათა მამის სახელით კი არ ეწოდებინათ, როდესაც ახალ მოქალაქეებს ირჩევდნენ, არამედ დემის სახელით მოეხსენებიათ. ამის გამო ათენელები თავის თავს დემების მიხედვით, უწოდებდნენ. მან დაადგინა აგრეთვე დემარქები,[98] რომელთაც იგივე საზრუნავი ჰქონდათ, როგორც წინათ ნავკრარებს: დემებიც ხომ მან შექმნა ნაცვლად ნავკრარებისა. დემები მონათლა მან ზოგიერთი ადგილის სახელით, ზოგი კი დამაარსებელის—ყველა სახელი ხომ არ შეეფერებოდა ადგილებს. გვარები, ფრატრიები და ქურუმები თვითეულს უნდა ჰყოლოდა თანახმად მამაპაპეული წესისა. ფილებს მან შეუქმნა ეპონიმები[99] იმ ასი წინასწარ დასახელებული არქეგეტისა,[100] რომელთაგან პითიამ აირჩია ათი.

თავი XXII.

ეს ცვლილებები რომ გატარდა, პოლიტია სოლონისაზე უფრო გაცილებით დემოკრატიული აღმოჩნდა: ტირანები ხომ უგულებელჰყოფდნენ სოლონის კანონებს, რადგან ისინი ხმარებაში არ იყვნენ, და კლისთენემ დაადგინა ახალი კანონები, მიმართული ხალხის სასარგებლოდ, რომელთა შორის დადგენილ იქნა აგრეთვე ოსტრაკიზმის[101] კანონიც. პირველად მეხუთე წელს ამ მდგომარეობის დამყარების შემდეგ, ჰერმოკრეონტის არქონტობის დროს ხუთასის საბჭო დაიფიცეს. ამ ფიცს ახლაც აქვს ადგილი. შემდეგ აირჩიეს სტრატეგები ფილების მიხედვით, თვითეული ფილედან თითო, მთელი ჯარის მეთაური კი იყო პოლემარქი. ამის შემდეგ მეთორმეტე წელს რომ გაიმარჯვეს მარათონის ბრძოლაში, ფაინიპეს არქონტობის დროს, ამ გამარჯვების ორი წლის შემდეგ, ხალხი რომ უკვე წელში გაიმართა, მაშინ პირველად გამოიყენეს ოსტრაკიზმის კანონი, რომელიც დადგენილ იქნა იმის გამო, რომ ვერ ენდობოდნენ ძალა-გავლენის მქონეთ; პიზისტრატეც ხომ დემაგოგი და სტრატეგი იყო და ტირანი შეიქმნა და პირველად ოსტრაკიზმებულ იქმნა მისი ნათესავებიდან ჰიპარქე კოლიტეველი, ქარმეს ძე; განსაკუთრებით მის გამო შემოიღო ეს კანონი კლისთენემ. რომელსაც სურდა მისი გაძევება. ათენელები ხომ ნებას არ აძლევდნენ ეცხოვრათ ქალაქში ტირანების იმ მეგობრებს, რომელთაც მონაწილეობა არ მიეღო აჯანყებაში; ასეთი იყო ჩვეულებრივ დემოსის ჩვილი ხასიათი. მათი

ხელმძღვანელი და წინამძღოლი იყო პიპარქე. სწორედ შემდეგ წელს ტელესინეს არქონტობის დროს, ფილების მიხედვით წილის ყრით აირჩიეს ცხრა არქონტი, დემოსის მიერ წინასწარ დასახელებულ ხუთასის რიცხვიდან: ეს პირველი არჩევნები იყო ტირანების დამხობის შემდეგ; და ოსტრაკიზმებულ იქნა მეგაკლე. პიპოკრატეს ძე, ალოპეკიდან. ამ სამი წლის განმავლობაში აოსტრაკიზმებდნენ ტირანების მეგობრებს, რომელთა გულისთვისაც კანონი იქნა დადგენილი: მეოთხე წელს კი ისინი მიადგნენ სხვებსაც, თუ კი ვინმე გადამეტებული გავლენის მქონედ მიაჩნდათ. და პირველი ტირანების გარეშე გაოსტრაკიზმებულ იქნა ქსანტიფე, არიფრონის ძე. ამის შემდეგ მესამე წელს ნიკოდემეს არქონტობის დროს, როდესაც მარონეიაში[92] მაღაში გამოჩნდა და ქალაქს ზეციტი დარჩა ამ წარმოებიდან ასი ტალანტი, ზოგიერთებმა გადაწყვიტეს დემოსისათვის გაეყოთ ეს ფული, მაგრამ ამას წინააღმდეგობა გაუწია ოემისტოკლემ: იმან არა თქვა თუ რას მოახმარდა ფულს, მაგრამ წინადადება შეიტანა უმდიდრესი ათენელებისათვის ესესხებინათ თითო ტალანტი თითოსათვის. და, თუ მოიწონებდნენ გაწეულ ხარჯებს, მაშინ ქალაქისა უოფილიყო ეს ხარჯი, თუ კი არა, მაშინ უკან მოეთხოვნათ ფული მოვალეებისაგან. მან აიღო და ამით ააშენა ასი ტრიერი. თვითეულმა ასთაგანმა ააშენა თითო ტრიერი; ამით იბრძოლეს მათ სალამინში ბარბაროსთა წინააღმდეგ. ამ ხანებში გაოსტრაკიზმებულ იქმნა არისტიდე, ლიზიმაქეს ძე. ხოლო მეოთხე წელს ჰიფსექიდეს არქონტობის დროს ყველა გაოსტრაკიზმებული უკან დააბრუნეს, ქსერქსეს წინააღმდეგ ლაშქრობის დროს. ამიერიდან მათ განსაზღვრეს, რომ გაოსტრაკიზმებული გერაისტესა და სკოლაიონს შუა [არ] უოფილიყვნენ[93] დაბინავებული, წინააღმდეგ შემთხვევაში სამუდამოდ აჰყროდათ ყოველგვარი უფლება.

თავი XXIII.

ასე წაიწია წინ ქალაქი და დემოკრატიასთან ერთად ნელნელა იზრდებოდა. მიდიელებთან[94] ომების შემდეგ კი კვლავ გაძლიერდა არეოპაგი და მართავდა ქალაქს: რომელიმე დადგენილების ძალით კი არ აიღო ხელში ჰეგემონია, არამედ რადგანაც ის იყო მიზეზი სალამინის ბრძოლისა. იმ დროს, როდესაც სტრატეგები საქმეს ვერ გაუძღვნენ და განაცხადეს, რომ თვითეულს საკუთარი თავისთვის ეშველნა, არეოპაგმა იშოვნა რვა-რვა დრაქმა, დაურიგა თითოს და გაამგზავრა ხომალდებით ხალხი. ამის გამო მას მიაკუთვნეს მისი ღირსებანი, და იმ ხანებში ათენელებში კარგი მმართველობა იყო. იმ დროს იყო, რომ ისინი გაიწრთვნენ ომის საქმეებში და კარგი სახელი მოიხვეჭეს ელინთა შორის, და ზღვაზე ჰეგემონია იგდეს ხელთ, თუმცა ლაკედემონელები ეწინააღმდეგებოდნენ. დემოსის წინამძღოლები იმ ხანებში იყვნენ არისტიდე ლიზი-

ძაქეს ძე და თემისტოკლე ნეოკლეს ძე. ერთი ითვლებოდა გამოცდილ მეომრად, მეორე კი საუკეთესო პოლიტიკოსად, და გამოირჩეოდნენ თანამედროვეთა შორის თავიანთი სამართლიანობით. ამიტომ პირველს იყენებდნენ როგორც სტრატეგს, მეორეს კი როგორც მრჩეველს: კედლების აშენება[105] კი საერთო ძალებით მოაწყეს, თუმცა მათ შორის თანხმობა არ იყო. იონიელებისა და ლაკედემონელების კავშირის დარღვევაში არისტიდე იყო წამქეზებელი, როგორც კი შეამჩნია, რომ ლაკედემონელებმა სახელი გაიტეხეს პავზანიას[106] გამო. მანვე შეაწერა ქალაქებს პირველი გადასახადი, მესამე წელს სალამინის ბრძოლის შემდეგ ტიმოსთენეს არქონტობის დროს, და შეკრა კავშირი იონიელებთან და შეჰფიცა იონიელებს, რომ ისინი ჰირსა და ლხინში განუყოფელი იქნებიან, რის ნიშნადაც რკინის ნაჭრები ჩაყარეს ზღვაში.[107]

თავი XXIV.

ამის შემდეგ, როდესაც ქალაქი უკვე მოღონიერდა და დიდძალი ფულიც დააგროვა, არისტიდემ ურჩია ათენელებს ჰეგემონია აეღოთ ხელთ, სოფლებიდან გამოსულიყვნენ და ქალაქში დასახლებულიყვნენ. ყველასათვის იქნება საზრდოო, ეუბნებოდა, ზოგისთვის ბრძოლის ველზე სამსახურით, ზოგიერთებისთვის ციხე-სიმაგრეების დაცვით, სხვებისთვის კიდევ საზოგადო საქმეების გაძღოლითო, და ასე დავიპყრობთ ჰეგემონიასო. იმათ დაუჯერეს არისტიდეს და ხელში აიღეს რა ძალაუფლება, დესპოტურად ეპყრობოდნენ მოკავშირეებს, გარდა ქიოსელებისა, ლესბოსელებისა და სამოსელებისა — ესენი მათ ხელისუფლების დამცველებად ჰყავდათ და დაუტოვეს მათ მათივე პოლიტია და ნება დართეს ემართნათ საქმეები ისე, როგორც ისინი წინათ მართავდნენ. ამ ვითარებამ ბევრს მოუპოვეს ჰარბი საზრდო, როგორც ეს არისტიდემ ურჩია. შესაძლებელი გახდა ოც ათას კაცზე მეტის გამოკვება გადასახადებისა და ბაჟებისაგან შემოსული სახსრებით. მსაჯულნი [108] ხომ იყვნენ 6000, შეშვილდოსრენი — 1600 და ამათ გარდა 1200 ცხენოსანი, 500 საბჭოდან, 500 ხომალდხანის მცველები, გარდა ამისა 50 მცველი ქალაქში, შინამოხელე 700 კაცამდე, და გარემოხელეც 700-დე. შემდეგ, როდესაც ომი დაიწყეს,[109] ამას დაემატა 2500 ჰოპლიტი, 20 მცველი ნავი და სხვა ნავები, რომელთაც მოჰყავდათ კენჭის ყრით არჩეული მცველები 2000 კაცი. კიდევ პრიტანეიონი,[110] თავშესაფარნი[111] და ტუსაღთა მცველები, ყველა მათზე ზრუნვა ხდებოდა საზოგადო წყაროებიდან.

თავი XXV.

ამ გზით მოსდიოდა ხალხს საზრდო. დაახლოებით ჩვიდმეტ წელს გაგრძელდა მიდიელებთან ომის შემდეგ ასეთი პოლიტია, როდესაც

არეოპაგიტებს უპირატესი ადგილი ეჭირათ, თუმცა ის ცოტ-ცოტა ეცვლებოდა. ხალხი თანდათან გაიზარდა, და დემოსის სათავეში ჩადგა ეფიალტე, სოფონიდეს ძე, რომელიც განთქმული იყო თავისი მოუსყიდველობით და სამართლიანობით პოლიტიის მიმართ, და მან მიიტანა იერიშები საბჭოზე. ჯერ მან გადააგდო მრავალი არეოპაგიტი, გაუმართა რა პროცესი ანგარიშწარმოების გარშემო. შემდეგ კი კონონის არქონტობის დროს, წაართვა საბჭოს ყველა დანართი უფლებები, რომელთა წყალობითაც ის პოლიტიის მცველი იყო, და აქედან ნაწილი გადასცა ხუთასელებს, ნაწილი კი სახალხო კრებასა და სასამართლოებს. ეს მან შეასრულა თემისტოკლეს დახმარებით. რომელიც, თუმცა იყო არეოპაგიტი, მაგრამ მედიზმი ბრალდებოდა. თემისტოკლეს სურდა საბჭოს დაშლა და ეფიალტეს უთხრა, საბჭოს შენი შეპყრობა სწადიანო, ხოლო არეოპაგის წევრებს უთხრა, რომ ის უჩვენებდა მათ პოლიტიის მოსპობის შემთქმელებს. საბჭოს ამორჩეული პირები მან წაიყვანა იქ, სადაც ეფიალტე იმყოფებოდა, რათა ეჩვენებინა შეკრებილნი, და გაფაციცებით ესაუბრებოდა მათ. ეფიალტემ რომ დაინახა, შეშინდა და მარტო ქიტონის ამარა გაემართა ბომონზე.[112] ყველას უკვირდა ეს ამბავი, და ამის შემდეგ, როცა შეიკრიბა ხუთასის საბჭო, ეფიალტემ და თემისტოკლემ იერიშები მიიტანეს არეოპაგელებზე და კვლავ სახალხო კრებაშიაც იმავენაირად, ვიდრე არ ჩამოართვეს მათ ძალა. და თემისტოკლე აღგვილ იქმნა და ეფიალტე ვერაგულად მოკლულ იქნა მცირე ხნის შემდეგ არისტოდიკე ტანაგრელის მიერ.

თავი XXVI.

ამნაირად ჩამოერთვა არეოპაგელთა საბჭოს ძალაუფლება. ამის შემდეგ პოლიტია უფრო დაეცა დემაგოგების წყალობით. საქმე ის არის, რომ იმ ხანებში ძველ წესთა მიმდევრებს არა ჰყავდათ ჰეგემონი, მათ მეთაურობდა კიმონი მილტიადეს ძე, კაცი ზანტი და სახელმწიფო საქმეებში ახლადმოსული; გარდა ამისა მრავალი შერყვნილიყო ომის გამო. რადგან იმ ხანებში ჯარში გაწვევა ხდებოდა კატალოგით[113] და სათავეში უდგნენ ბრძოლაში გამოუცდელი სარდლები, რომლებიც პატივიდებოდნენ მამაპაპეული უფლებების წყალობით, მუდამ ხდებოდა, რომ საბრძოლველად გასულებიდან ორი და სამი ათასობით იღუპებოდნენ, ისე, რომ ძველ წესთა მიმდევრები დემოსშიაც და შეძლებულებშიაც მცირდებოდნენ. ყველაფერ სხვას ისინი მართავდნენ არა ისე, როგორც წინათ, კანონების მიხედვით, ხოლო ცხრა არქონტის არჩევას არ ახლეს ხელი, მაგრამ მეექვსე წელს ეფიალტეს სიკვდილის შემდეგ აღიარეს და ძევგიტებიდანაც[114] ირჩევდნენ წინასწარ იმათ, ვისაც ცხრა არქონტი უნდა აერჩია. და პირველი ამათგან იყო მნესითიდე. აქამდე კი ყველანი მხედრებისა და პენტაკოსიომედიმნიანთაგან იყვნენ. ძევგიტებს კი ჩვეუ-

ლებრივი სახელოები ეჯირათ ხოლმე. — თუ რამე კანონისაგან არ იქნა უგულებელყოფილი დემების მიერ. მეხუთე წელს ამის შემდეგ, ლისიკრატეს არქონტობის დროს, კვლავ დადგენილ იქნა ოცდა ათი მოსამართლე, რომელნიც დემების მიხედვით იწოდებოდნენ. და მესამე წელს ამის შემდეგ, ანტიდოტეს არქონტობის დროს, აღიარებულ იქმნა მოქალაქეთა სიმრავლის გამო — პერიკლე იყო საკითხის დამსმელი — რომ არ მიიღებს სახელმწიფო საქმეებში მონაწილეობას ის, ვინც ორივე მშობლის მხრივ ათენელი მოქალაქე არ არის.

თავი XXVII.

ამის შემდეგ სამოღვაწეოდ მოვიდა პერიკლე და თავიდანვე დაიმსახურა სახელი, როდესაც მან, ჯერ კიდევ ახალგაზრდამ, საჩივარი აღძრა კიმონის წინააღმდეგ, რომელიც სტრატეგობდა,[116] და მოსთხოვა მას ანგარიში, და მოხდა ისე, რომ პოლიტია უფრო დემოკრატიული შეიქმნა. და მან წაართვა არეოპაგელებს დანარჩენი უფლებებიც, და კიდეც მეტი: წაქეზა სახელმწიფოში საზღვაო ძალების განვითარება; ამიტომ მოხდა, რომ ხალხი, მოლონიერებული, მთელ პოლიტიას თავის თავზე იღებს. სალამინის ბრძოლის შემდეგ ორმოცდა მეცხრე წელს, პითოდორეს არქონტობის დროს, ატყდა ომი პელოპონესელთა წინააღმდეგ, როდესაც ხალხი ქალაქში იქნა ჩაკეტილი და ძირველმა ლაშქრობაში მსახურებით ფულის შეძენისა, გაღასწყვიტა, ნაწილობრივ თავისი სურვილით, ნაწილობრივ უნებურად, თვითონ აეღო ხელში პოლიტია. პერიკლემ პირველმა შექმნა ჯამაგირიანი სასამართლოები და ეს იყო მიმართული კიმონის სიმდიდრის წინააღმდეგ. კიმონი ხომ, რადგან მას ჰქონდა ტირანის ქონება, პირველად ბრწყინვალედ ასრულებდა საზოგადო მოვალეობებს, შემდეგ კი მრავალი ასაზრდოვა ხალხისაგან. ყოველ ლაკიადელს[117] შეეძლო, თუ სურდა, ყოველდღე მისულიყო მასთან და მიეღო საჭირო რაიმე, გარდა ამისა ყველა მისი მამული შემოუღობავი იყო, რათა ყოველ მსურველს შესძლებოდა ხილით დამტკბარიყო. ასეთი დოვლათის წინაშე პერიკლე თავისი ქონებით უკან რჩებოდა, და დამონიდე ოიელმა (რომელიც ბევრ რამეში პერიკლეს მრჩეველად იყო მიჩნეული: ამიტომაც იგი შემდეგ გაასტრაკიზმეს), ურჩია, რადგან საკუთარი ქონება არა ჰყოფნიდა, ეძლია ხალხისათვის მისივე ქონებიდან, და მანაც შემოიღო სასამართლოში ჯამაგირი.[117] ამის გამო თქვიან ზოგიერთები, რომ მოსამართლენი უარესი გახდნენ, რადგან მუდამ უფრო შემთხვევით პირებს ირჩევდნენ, ვიდრე გამოსადეგ კაცებს. ამის შემდეგ არის, რომ იწყებენ ქრთამების აღებას სასამართლოებში; პირველად ეს შემოიღო ანიტემ პილოსის[118] ლაშქრობის შემდეგ. ზოგიერთები რომ ბრალს სდებდნენ მას პილოსის დაკარგვაში, მან მოისყიდა სასამართლო და ისე გაითავისუფლა თავი.

თავი XXVIII.

ვიდრე პერიკლე ედგა სათავეში დემოსს, პოლიტიის საქმეები უკეთესად იყო, მისი გარდაცვალების შემდეგ — გაცილებით უარესად. მაშინ პირველად მიიღო ხალხმა ისეთი წინამძღოლი, რომელსაც კარგი თვალით ვერ უყურებდნენ წარჩინებულნი. წინა ხანებში ხომ მუდამ ჩინებული მმართველები იყვნენ. თავდაპირველად ხომ პირველი წინამძღოლი ხალხისა შეიქმნა სოლონი, მეორე პიზისტრატე, წარჩინებულთა და გვაროსანთა. როდესაც ტირანობა მოისპო — კლისთენე, ალკმეონიდთა გვარიდან, და მას არავინ ჰყავდა მოწინააღმდეგე, როდესაც ისაგორას მომხრეები დაეცნენ. ამის შემდეგ დემოსს სათავეში ჩაუდგა ქსანთიპე.[118] წარჩინებულთ კი — მილტიადე. შემდეგ — თემისტოკლე და არისტიდე. ამათ შემდეგ კი ეფიალტე — დემოსს და კიმონი მილტიადეს ძე. შეძლებულთ. შემდეგ პერიკლე — დემოსს, ხოლო თუკიდიდე,[120] კიმონის ნათესავი, სხვებს. როდესაც პერიკლე გარდაიცვალა, ბრწყინვალეებს სათავეში ჩაუდგა ნიკია, რომელიც სიკელიაში გარდაიცვალა. დემოსს კი კლეონი, კლეანტეს ძე, რომელმაც. მგონია, უფრო გაახრწნა დემოსი თავისი უნებაამლილობით და პირველმა საქადაგოდან იწყო ყვირილი და ლანძღვა-გინება და სიტყვებს წარმოსთქვამდა ხოლმე სარტყელშემოხსნილი იმ დროს. როდესაც დანარჩენები ტანისამოსიანები ლაპარაკობდნენ. ამათ შემდეგ წარჩინებულთ მეთაურობდა თერამენე, აგნონის ძე, ხოლო დემოსს კლეოფონტი, ლირების მკეთებელი, რომელმაც პირველად გასცა დიობელია.[121] ერთხანს ის ძლევდა, ამის შემდეგ კი მოსპო პოლიკრატე პეანიელმა, რომელიც პირველი დაჰპირდა, რომ ორ ობოლს კიდევ ერთ ობოლს დაურთავდა. შემდეგ ორივე ესენი სიკვდილით დასაჯეს: ხომ ჩვეულებრივია, რომ. თუ ხალხი მოტყუებული აღმოჩნდება ხოლმე, შემდეგ მას შესძულდება ისინი, ვინც ჩაადენინა მას ცუდი საქმეები. კლეოფონტის შემდეგ განუწყვეტლივ ცვლიდნენ ერთმანეთს ხალხის წინამძღოლობაში მეტნაწილად ისინი, ვინც ყოველგვარ შორსმჭვრეტელობას მოკლებული, მოწადინებული იყო ლაღად მოქცევას და ხალხის გულის მოგებას. ფიქრობენ. რომ ათენის მოღვაწეთაგან საუკეთესონი იყვნენ ძველების შემდეგ ნიკია, თუკიდიდე და თერამენე. ნიკიასა და თუკიდიდეს შესახებ თითქმის ყველანი თანახმანი არიან, რომ ისინი იყვნენ არა მხოლოდ კარგი და წესიერი პიროვნებანი, არამედ სახელმწიფო მოღვაწეებიც და მთელი სახელმწიფოსათვის მამულიშვილურად განწყობილნი. თერამენეს შესახებ კი — მის დროს მომხდარ პოლიტიის შერჩევის გამო — აზრთა სხვადასხვაობა არსებობს. მგონია, ვინც ზერელედ არ შეხედავს საქმეს, ასე არ დასწამებს მას ცილს, თითქოს ის ყველა პოლიტიას არღვევს, არამედ ყველას ხელს უწყობდა, ვიდრე კანონის საწინააღმდეგო მოქმედებას არ ჩაიდენდა ის;

მას შეეძლო მოღვაწეობა ყველა პოლიტიით, რაც კარგ მოქალაქეს შეუძლიან: უკანონოდ მოქმედთ არ თანაუგრძნობდა, არამედ მტრობდა.

თავი XXIX.

ვიდრე მდგომარეობა ბრძოლის ველზე წონასწორად იყო, ათენელებმა დაიცვეს დემოკრატიული წყობილება. ხოლო როდესაც სიცილიაში[122] მოშხდარი უბედურების შემდეგ ლაკედემონელთა საქმე უფრო ბლიერი აღმოჩნდა მეფესთან[123] კავშირის გამო, ისინი იძულებული იყვნენ შეეცვალნათ დემოკრატიული მართვა-გამგეობა და გადასულიყვნენ 400-ის პოლიტიაზე. კენჭის ყრის წინ სიტყვა წარმოსთქვა მელობიმ, წინადადება შეიტანა პითოდორემ, ანაფლისტიელმა. განსაკუთრებით მას შეშდეგ, რაც უმრავლესობა დაჯერებულ იქმნა იმაში, რომ მეფე უფრო მათ მხარეზე იბრძოლებდა, თუ ისინი შექმნიდნენ უმცირესობის პოლიტიას (ოლიგარქიას). პითოდორეს წინადადება ასეთი იყო: „სახალხო კრება ირჩევს წინათ არსებულ ათ პრობულთან[124] ერთად სხვა ოცს იმათგან, ვინც 40 წელზე უფრო ხნიერია, რომელნიც ფიცს სდებენ, რომ ისინი ნამდვილად წერილობით განაცხადებენ იმას, რასაც საუკეთესოდ სთვლიან სახელმწიფოსათვის და წერილობით შემოაქვთ თავიანთი წინადადება სახელმწიფოს კეთილმოწყობის შესახებ. ხოლო ყოველ მსურველსაც — შეუძლიან წინადადება შემოიტანოს, რათა აირჩიონ საუკეთესო".

კლიტოფონტმა სხვა ყველაფერი ილაპარაკა ისე, როგორც პითოდორემ, ხოლო წინადადება შეიტანა, რომ არჩეულებმა გამოიყენონ ძველი კანონები, რომლებიც კლისთენემ დააწესა, როდესაც დემოკრატიული წყობილება დაამყარა, რათა ამათაც მოუსმინონ და მოისაზრონ საუკეთესო. კლისთენეს პოლიტია დემოკრატიულად კი არ იყო მიჩნეული, არამედ სოლონის პოლიტიის ახლომდგომად. ამორჩეულებმა ჯერ წინადადება შეიტანეს, რომ აუცილებელია პრიტანებმა[125] კენჭი უყარონ ყოველ წინადადებას სამშობლოს ხსნის შესახებ. შემდეგ მოსპეს კანონის წინააღმდეგ მომქმედთა შესახებ საჩივრები, ეისანგელიები[126] და პრობლიზისები,[127] რათა ყოველ მსურველს ათენელთაგან ეთათბირნა წინადადებარე საქმეების შესახებ. თუ რომელიმე მოხელე ამის გამო ან დააჯარიმებდა ან მოიწვევდა ან სამართალში მისცემდა, ის უნდა გაცემული ყოფილიყო და სტრატეგებთან მიყვანილი, ხოლო სტრატეგები გადაეცათ 11-სთვის, რომ სიკვდილით დაესაჯნათ. ამის შემდეგ ასეთნაირად განაწესეს პოლიტია. ფული, რომელიც კი შემოვა, არ შეიძლება დაიხარჯოს სხვა რამეზე, თუ არა ომზე, სახელოები იყოს უჯამაგირო[128] ყველა, ვიდრე ომია, გარდა ცხრა არქონტისა და იმ პრიტანებისა, რომლებიც კი არიან.[129] ესენი იღებენ დღეში სამ ობოლს თითო. მთელი დანარჩენი პოლიტია უნდა დააწვეს მხრებზე, ვიდრე ომია, იმ ათენელთ,

ჩომელნიც ჯანსაღობითა და ფულითაც ყველაზე ძლიერნი არიან, რიცხვით არა ნაკლებ 5000-ისა.[130] ესენი უფლებამოსილნი არიან ხელშეკრულებებიც დადვან, ვისთანაც მოესურვებათ. თითო ფილედან უნდა აირჩიონ 10 კაცი, 40 წელზე უფრო ხნიერი, რომელნიც დაასახელებენ 5000-ს მის შემდეგ, რაც ისინი დაიფიცებენ მოტანილ მსხვერპლებზე.

თავი XXX.

აი ეს წინადადებები შემოიტანეს ამომრჩევლებმა. როდესაც ესენი დამტკიცდა, 5000-მა აირჩია თავისი შემადგენლობიდან 100 კაცი, რომელნიც პოლიტიას დასწერდნენ. ამორჩეულებმა დასწერეს და შემოიტანეს შემდეგი: იბჭონ ერთი წლით 30 წელს გადასულმა მოქალაქეებმა უსასყიდლოდ. ამათგან უნდა იყვნენ სტრატეგები, 9 არქონტი და ჰიერომნემონი,[131] ტაქსიარქები (ფეხოსანთა სარდლები), ჰიპარქები და ფილარქები და ციხე-სიმაგრეების მმართველნი, ხაზინადარი ათენისა და 10 სხვა, ელინთა ხაზინის გამგეები და სხვა სახელმწიფო[132] ხაზინის გამგეები 20, რომელთა ხელშიაც უნდა იყოს ეს თანხები, ქურუმნი და მზრუნველნი[133] ათ-ათი; ყველა ესენი ირჩევა წინასწარ არჩეულთაგან, რომლებიც ირჩევიან მრავალრიცხოვნად საბჭოს მუდმივ წევრთა რიცხვიდან. ყველა დანარჩენ თანამდებობაზე წილის ყრით ირჩევენ და არა საბჭოდან. ჰელინთა ხაზინის გამგეები, რომლებიც უნდა ფულებს კანაგებდნენ, არ იღებენ მონაწილეობას საბჭოში.[134] საბჭოს ჰქმნიან ოთხს, აღნიშნული ასაკის პირთაგან, მთელი დანარჩენი დროისათვის და ამათგან რიგ-რიგობით ბჭობს წილის ყრით არჩეული ნაწილი, ხოლო დანარჩენები ნაწილდებიან წილისყრისამებრ. ასმა კაცმა უნდა დაჰყოს თავისი თავი და დანარჩენებიც ოთხ ნაწილად თანაბრად და წილი უყაროს და ერთი წლის განმავლობაში უნდა ბჭონ, როგორც ეს მათ საუკეთესოდ მიაჩნიათ, იზრუნონ ფულების შესახებ, რათა ხდებოდეს მომჭირნეობა და დაიხარჯოს საჭიროებისათვის, და სხვა რამეზედაც ზრუნავენ, რამდენადაც შესაძლებელია კარგად. თუ სურთ ბჭობა გამართონ ყველასთან, იწვევენ თვითეულ მოწვეულს, ვინც სურთ იმ ასაკის პირთაგან. საბჭოს სხდომებს მართავენ ხუთ დღეში ერთხელ, თუ მეტი არ არის საჭირო. საბჭოში შედიან 9 არქონტიც. ხუთი, წილისყრით არჩეული საბჭოს წევრი განაგებს არჩევნებს, და ამათგან ერთს ირჩევენ თვითეულ დღეს კენჭის ყრისთვის. ეს ხუთი კენჭისყრით ირჩევს იმათ, ვისაც სურს წარსდგეს საბჭოს წინაშე, პირველ რიგში რელიგიის საქმეზე, მერე მაუწყებელნი, შემდეგ დესპანები და სხვები. როდესაც ომია, მაშინ ისინი იწვევენ სტრატეგებს საქმეების მოსაგვარებლად. თუ საბჭოს წევრი არ გამოცხადდება საბჭოში დანიშნულ დროს, უნდა გადაიხადოს თითო დრაქმა დღეში, თუ ვინიცობაა ის საბჭოს ნებადაურთველად არ მოვიდა.

თავი XXXI.

აი, ეს პოლიტია დასწერეს მათ მომავლისათვის, აწინდელი დროისათვის კი ასეთი:

„ოთხასი ბჭობს ძველი კანონების მიხედვით, ორმოც-ორმოცი თითო ფილედან, წინასწარ არჩეულთაგან, რომელნიც აირჩიეს ფილეს წევრებში 30 წელზე მეტის ხნის პირთაგან". ესენი განაწესებენ სახელოებს და ფიცის შესახებ ამტკიცებენ, თუ როგორ უნდა დაფიცება, განაგებენ კანონების, ანგარიშმიცემის და სხვა საქმეებს, როგორც აშას უფრო მიზანშეწონილად თვლიან. პოლიტიკური საქმეების შესახებ სარგებლობენ კანონებით, რომელნიც კი დადვეს, და არ შეიძლება არც შეცვლა მათი, არც სხვების დადება. სტრატეგების არჩევა ამჟამად უნდა მოხდეს ყველა 5000-დან, საბჭომ კი, როდესაც ის შესდგება, უნდა მოახდინოს საშხედრო გასინჯვა და აირჩიოს ათი სტრატეგი, მათი მდივანი, ხოლო არჩეულები მართავენ დაწყებული წლის განმავლობაში შეუზღუდველად, და, თუ საჭიროა, თათბირობენ საბჭოსთან ერთად. ირჩევა აგრეთვე ერთი ჰიპარქი და 10 ფილარქი. შემდეგ კი ამათი არჩევნები უნდა მოახდინოს საბჭომ თანახმად კანონისა. სხვა სახელოებიდან, გარდა საბჭოსი და სტრატეგებისა, არ შეუძლიან ერთისა და იმავე თანამდებობის დაჭერა ერთხელ მეტად არც ამათ, არც სხვა ვისმე. სხვა დროისათვის, რათა 400 ოთხ ნაწილად იქნას გაყოფილი, როდესაც მოქალაქეებსაც მოუხდებათ სხვებთან ერთად ბჭობა, დე დაჰყოს ისინი 100 კაცმა.

თავი XXXII.

ხუთი ათასის მიერ არჩეულმა 100 კაცმა, აი, ეს პოლიტია დასწერა. როდესაც ეს დამტკიცებულ იქნა ხალხის მიერ, — არისტომაქე იყო რომ კენჭი უყარა, — საბჭო დაიშალა ვიდრე ვადას გაათავებდა, კალიას არქონტობის წელს, თარგელიონის თვის[135] მე-14 დღეს, ხოლო ოთხასმა დაიწყო თარგელიონის გასვლამდე 9 დღის წინ. საჭირო იყო, რომ კენჭის ყრით არჩეულ საბჭოს დაეწყო მე-14 სკიროფორიონს.[136] ამრიგად დამკვიდრდა ოლიგარქია, კალიას არქონტობისას, ტირანების გადაგდების შემდეგ დაახლოებით 100 წლის მერე, უმეტესად პეიზანდრეს, ანტიფონტისა და თერამენეს მიზეზით, რომელნიც იყვნენ კეთილშობილნი და გამოირჩეოდნენ გონებაგახსნილობით და პოლიტიკური აზრებით. როდესაც ეს პოლიტია შეიქმნა, 5000 მხოლოდ სიტყვით იყო არჩეული, ხოლო 400 ათი ავტოკრატორითურთ, შევიდნენ საბჭოს შენობაში და დაიწყეს ქალაქის მართვა, და გაგზავნეს რა მოციქულები ლაკედემონელებთან, აბოლოებდნენ ომს ისე, რომ თვითეულს დარჩენოდა რაცა ჰქონდა. მაგრამ, რადგან ლაკედემონელები არ დასთანხმდნენ, თუ ათე-

ნელები არ დასტოვებდნენ საზღვაო პირველობას, ამიტომ მოლაპარაკება ჩაიშალა.

თავი XXXIII.

დაახლოებით ოთხ თვეს გაგრძელდა 400-ის პოლიტია და მათგან ორ თვეს მართავდა მნესილოქე, ეს იყო თეოპომპეს არქონტობის წელს, რომელმაც იხელისუფლა დანარჩენი 10 თვე. რადგან ერეტრიის ბრძოლაში დამარცხებულ იქნენ და მთელი ევბეა გადგა ორეოსის გარდა, ამის გამო მეტად ცუდ მდგომარეობაში იყვნენ, ვინაიდან ევბეიდან მათ უფრო მეტი სარგებლობა ჰქონდათ, ვიდრე ატიკიდან, და ამიტომ დაშალეს 400 და საქმეები გადასცეს იარაღქვეშ მყოფ 5000-ს და დაადგინეს, რომ არცერთი თანამდებობა ჯამაგირიანი არა ყოფილიყო. ყველაზე უფრო მეტი ბრალი მიუძღვით ამ დაშლაში არისტოკრატესა და თერამენეს, რომლებიც 400-ის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს არ იზიარებდნენ. ყველაფერს აკეთებდნენ თვითონ ოთხასის წევრები, ისე რომ არაფერს ატყობინებდნენ 5000-ს. ფიქრობენ, რომ იმ ხანებში კარგი იყო მმართველობა, რადგან ომი იყო და პოლიტიაც იარაღის ქვეშ მყოფთ ეჭირათ.

თავი XXXIV.

ასე რომ ხალხმა მალე ჩამოართვა პოლიტია ამათ (ე. ი. ოთხასს).

მეექვსე წელს 400-ის დაშლის შემდეგ, ანგელელ კალიას არქონტობაში, არგინუსის საზღვაო ბრძოლის შემდეგ მოხდა ისე, რომ ყველა 10 სტრატეგი, ომში გამარჯვებული, დასაჯეს ერთი ქიროტონიით,[137] თუმცა ზოგიერთი არც კი ყოფილა ბრძოლაში, ზოგიერთებმა კიდევ თავი გაიაირჩინეს უცხო ნავებზე: აქ ხალხმა თავი მოატყუებინა წამქეზებელთ. შემდეგ, როცა ლაკედემონელთ გადასწყვიტეს დეკელიიდან[138] წასულიყვნენ და ზავი ჩამოეგდოთ იმ პირობით, რომ თვითეულ მხარეს დარჩენოდა რაც ჰქონდა, ზოგიერთები მიისწრაფოდნენ ამაზე დათანხმებულიყვნენ. მაგრამ ხალხმა არ ისმინა, რადგან შეცდომაში იყო შეყვანილი კლეოფონტის მიერ, რომელიც კრებაზე მოვიდა მთვრალი და იარაღასხმული, ხელი შეუშალა, რომ ზავი ჩამოგდებულიყო, და ამბობდა, რომ ის არ მიიღებს პირობებს, თუ ლაკედემონელები ყველა ქალაქს[139] არ დასტოვებენ. იმათ კარგად ვერ ისარგებლეს შექმნილი გარემოებით და ცოტა ხნის შემდეგ შეიგნეს თავისი შეცდომა. შემდგომ წელს ალექსიას არქონტობის დროს, ისინი დამარცხდნენ ეგოსპოტამოსის ბრძოლაში. რომლის შემდეგ სახელმწიფოს ბატონ-პატრონი შეიქმნა ლიზანდრე[140] და ასეთნაირად დაადგინა ოცდაათი. მათ ზავი ჩამოაგდეს იმ პირობით, რომ ემართათ ქვეყანა მამაპაპეული პოლიტიით: დემოკრატიული წრეები

ცდილობდნენ გადაერჩინათ დემოკრატიული წყობილება; წარჩინებულთაგან ნაწილი, რომელიც ჰეტერიებში[141] იყო, და ლტოლვილნი, რომელნიც ზავის შემდეგ დაბრუნდნენ, ცდილობდნენ ოლიგარქია დაედგინათ, ხოლო ისინი, ვინც არც ერთ ჰეტერიაში არ ითვლებოდნენ, მაგრამ სხვა მხრივ არავის ჩამოუვარდებოდნენ მოქალაქეთა თვალში, მოითხოვდნენ მამაპაპეულ პოლიტიას. ამათ რიცხვში იყვნენ არქინე, ანიტო, კლიტოფონტი და ფორმისი და მრავალი სხვა. განსაკუთრებით კი მეთაურობდა თერამენე. რადგან ლიზანდრე ოლიგარქებს მიემხრო, შეშინებული ხალხი იძულებული გახდა ოლიგარქიისათვის მიეცა ხმა. წინადადება შეიტანა დრაკონტიდე აფიდნელმა.

თავი XXXV.

ოცდაათი დაადგინეს ასეთნაირად, პითოდორეს არქონტობის დროს, როდესაც ისინი შეიქმნენ სახელმწიფოს ბატონ-პატრონნი, ისინი ყურადღებას არ აქცევდნენ ყველაფერ დანარჩენს, რაც პოლიტიას შეეხებოდა, ხოლო შექმნეს 500-ის საბჭო და სხვა თანამდებობები წინასწარ არჩეულ პირთაგან, ათასიდან, და მიუმატეს რა თავიანთ თავს პირეოსის 10 არქონტი, სატუსაღოს 11 მცველი და 300 მცველი (მეშოლტენი) მოსამსახურე, ხელში ჩაიგდეს მთელი ქალაქი. თავდაპირველად ისინი ზომიერნი იყვნენ მოქალაქეთა მიმართ, ცდილობდნენ გაჰყოლოდნენ მამაპაპეულ პოლიტიას: გააუქმეს ეფიალტეს და არქესტრატეს კანონები შესახებ არეოპაგის წევრებისა და სოლონის დებულებათაგან ისინი, რომლებიც საკამათო იყო, და შეუზღუდველი უფლებები, რომელნიც მოსამართლეებს ჰქონდათ, მოსპეს, ვითომც იმისათვის, რომ გამოესწორებინათ და უკამათო გაეხადნათ პოლიტია, როგორც, მაგალითად, ერთხელ და სამუდამოდ ძალაში აღიარეს კანონი, რომ ადამიანმა დაუტოვოს თავისი ქონება ვისაც სურს, და ამოშალეს მიმატებული სიბნელე, „თუ ვინიცობაა ის ჰკუაზე შერყეული არ იყო, ან მოხუცი, ან ქალისაგან შთაგონებული“,[142] რათა სიკოფანტებს[143] არა ჰქონდათ გამოდავების საბუთი. ასევე მოიქცნენ სხვა რაშეების შესახებაც. ეს ჰქმნეს მათ თავშივე. და მოსპეს სიკოფანტები და ვინც ხალხს ქლესაობით ელაპარაკებოდა და ბოროტგანმზრახველნი და მავნენი იყვნენ. ამით მოქალაქეებმა გაიხარეს. ფიქრობდნენ, რომ ისინი (ოცდაათი) აკეთებდნენ მას კეთილი განზრახვით. როდესაც მათ მთლიანად ხელში ჩაიგდეს სახელმწიფო, არავის ზოგავდნენ: ისინი მათ ხოცავდნენ — ქონებრივად, შთამომავლობით და პატივით დაწინაურებულთ, რათა მოეშორებინათ შიში და დაეტაცნათ ქონება. მოკლე ხნის განმავლობაში მათ მოსპეს არა ნაკლებ 500 კაცისა.

თავი XXXVI.

ასე რომ დაქვეითდა სახელმწიფო, თერამენე, რომელიც ძალიან აღელვებული იყო მომხდარი ამბებით, ურჩევს მათ შესწყვიტონ ეს საზიზღრობა, გადასცენ საქმეები საუკეთესო მოქალაქეებს. პირველად იმათ წინააღმდეგობა გაუწიეს, მაგრამ როდესაც მისი სიტყვები ხალხში გავრცელდა და უმრავლესობა თერამენეს მიემხრო, აირჩიეს 3000 კაცი პოლიტიის გადასაცემად, რადგან ეშინოდათ, რომ თერამენე არ გამხდარიყო ხალხის წინააღმდეგი და არ მოესპო მათი ბატონობა. თერამენე მაინც კიდევ უსაყვედურებდა იმათ, ჯერ ერთი იმიტომ, რომ გამოსადეგი ხალხისათვის უნდოდათ გადაეცათ ხელისუფლება და მხოლოდ 3000 გადასცეს, თითქოს ამ სიმრავლით განისაზღვრებოდეს სათნოება; შემდეგ, რომ მათ შექმნეს იძულებითი ხელისუფლება. რომელიც იმათზე უფრო სუსტია, ვინც იმართებოდა მათგან. ამას იმათ ყურადღება არ მიაქციეს, ხოლო 3000-ის დასახელებას დიდ ხანს სდებდნენ, თავისთან ინახავდნენ და მალავდნენ არჩეულთა სახელებს, ხოლო როდესაც კი ისინი საჭიროდ დაინახავდნენ გამოქვეყნებას, ზოგიერთს ჩაწერილთაგანს ამოშლიდნენ ხოლმე, ზოგიერთს კიდევ ახალს შეიტანდნენ ხოლმე სიაში.

თავი XXXVII.

ზამთარი რომ დაიწყო,თრაზიბულემ ლტოლვილებთან ერთად დაიჭირა ფილე;[144] ოცდაათმა გაილაშქრა წინააღმდეგ, მაგრამ დამარცხებულნი გამობრუნდნენ. და გადაწყვიტეს ჩამოერთმევიათ ხალხისათვის იარაღი, ხოლო თერამენე დაეღუპნათ ასეთნაირად. ორი კანონი შეიტანეს საბჭოში და მოითხოვდნენ დადასტურებას, რომელთაგან ერთი თვითმპყრობელურ უფლებებს ანიჭებდა 30-ს, ამის მიხედვით მათ შეეძლოთ იმ მოქალაქეების მოკვლა, რომელნიც არ შედიოდნენ 3000-ის სიაში; ხოლო მეორე კრძალავდა აწინდელ პოლიტიაში მონაწილეობა მიეღო იმას, ვინც ეეტიონიის კედლის[145] დანგრევაში მონაწილეობდა ან ჩაიდინა 400-ის წინააღმდეგ რაიმე. პირველად ოლიგარქია რომ მოამზადეს. ორივე ამ საქმეში მონაწილეობა ჰქონდა მიღებული თერამენეს, ასე რომ. როდესაც კანონები დაამტკიცეს, ის პოლიტიის გარეშე აღმოჩნდა და 30-ს უფლება მიეცათ მოეკლათ. როდესაც თერამენე მოკლულ იქნა, იარაღი ჩამოართვეს ყველას, გარდა 3000-სა და სხვა ყველაფერშიაც მიეცნენ ძალუმად სისასტიკეს და სისაზიზღრეს. ელჩები გაგზავნეს ლაკედემონში და თერამენეს ამტყუნებდნენ და სთხოვდნენ მათ დახმარებას. ლაკედემონელებმა მოუსმინეს მათ და გამოგზავნეს კალიბიოსი ჰარმოსტად[146] და 700-მდე მეომარი, რომელთაც მოსვლისთანავე აკროპოლისი დაიჭირეს.

თავი XXXVIII.

ამის შემდეგ, როდესაც ფილეში გამაგრებულებმა აიღეს მუნიქია და დაამარცხეს ბრძოლაში 30 და ისინი, ვინც მათ შველოდა, დაბრუნდნენ ხიფათის გამოვლის შემდეგ ქალაქის მცხოვრებნი და, შეიკრიბნენ რა აგორაზე, მეორე დღესვე დაშალეს 30-ის მთავრობა და აირჩიეს 10 მოქალაქე შეუზღუდველი უფლებით ომის დასამთავრებლად. მათ (ათმა) აიღეს ხელისუფლება, მაგრამ კი არ შეასრულეს ის, რისთვისაც არჩეულ იქნენ, არამედ გაგზავნეს ლაკედემონში დახმარების სათხოვნელად და ფულის სასესხებლად. რადგანაც ამის გამო პოლიტიაში მონაწილე ხალხი ბუზღუნებდა, იმათ (ათს) ეშინოდათ არ ჩამოერთმიათ მათთვის ხელისუფლება, მოისურვეს ხალხისათვის შიშის ზარი დაეცათ — რაც ასეც მოხდა, და ამიტომ შეიპყრეს დემარეტე, ერთი წარჩინებულთაგანი, და მოკლეს იგი და ასე დაიჭირეს საქმეები ხელში: მათთან ერთად იბრძოდნენ კალიბიოსი და იქ მყოფი პელოპონესელნი და გარდა ამისა ზოგიერთი მხედართაგანი, ვინაიდან ზოგიერთნი ამ მოქალაქეთაგან განსაკუთრებით ცდილობდნენ, რომ ფილეში გამაგრებულნი არ ჩამოსულიყვნენ. რადგანაც მათ ხელში იყო პირეო და მუნიქია და მთელი ხალხიც აჯანყდა და მათთან იყო, ამიტომ ისინი ომისათვის ძლიერი იყვნენ: მაშინ დაშალეს პირველად არჩეული 10 კაცი და სხვა ათი უკეთ გამოსადეგი კაცი აირჩიეს. ასე რომ მათი თანაბრძოლობით და თანამეცადინეობით მოხდა შეერთება და ხალხიც დაბრუნდა. მათ მეთაურობდნენ რინონ პეანიელი და ფავლე აქერდუსიელი. ამათ გაგზავნეს, ვიდრე პაუზანია[147] მოვიდოდა. პირეოში მყოფ ხალხთან, და როდესაც ეს მოვიდა, ერთაც მოაწყეს მათი დაბრუნება. საბოლოოდ ზავი და მშვიდობიანობა ჩამოაგდო პაუზანიამ. ლაკედემონელთა შეფემ. ლაკედემონიდან შემდეგ მოსულ 15 შეამავალთან ერთად, რომლებიც მან მოიწვია. რინონის ირგვლივ შემოკრებილებზე კარგი აზრისა იყვნენ მათი ხალხისადმი კეთილმზრახველობის გამო: მათ აიღეს თანამდებობა ოლიგარქიის დროს და ანგარიშს აძლევდნენ დემოკრატიული წყობილების დროს და ვერავინ ვერაფერში მისცემდა მათ სამართალში ვერც ქალაქში დარჩენილთაგან, ვერც პირეოდან დაბრუნებულთაგან; ამიტომ რინონი პირდაპირ სტრატეგად იქნა არჩეული.

თავი XXXIX.

შერიგება მოხდა ევკლიდეს არქონტობის დროს ასეთი ხელშეკრულებით. ქალაქში დარჩენილთაგან ვისაც სურს გადასახლება, უნდა მიეცეს საცხოვრებლად ელევსინი[148] პატივთა შენარჩუნებით, და იყვნენ თავისთვის ბატონ-პატრონნი და შეინარჩუნონ თავისი ქონება.[149] ტაძარი[150] საერთოა ორივე მხარისათვის, ხოლო კერიკებმა და ევმოლპი-

დებმა'[151] უნდა იგამგებლონ მამაპაპეული წესებისამებრ. არც ელევსინელებს შეუძლიანთ ქალაქში მისვლა, არც ქალაქელებს ელევსინში,'[152] გარდა მისტერიების დროისა, როდესაც ორივე მხარეს შეუძლიან ეს. თავიანთი შემოსაკლიდან საკავშიროდ იხდიან ისინი'[153] (ელევსინში გაღასახლებულები) ისევე, როგორც დანარჩენი ათენელები. თუ ვინმე წამსვლელოაგანი სახლს მიიღებს ელევსინში, მის პატრონს უნდა შეუთანხმდეს. თუ ისინი ვერ შეუთანხმდებიან ერთმანეთს, თვითეულმა სამსამი შემფასებელი უნდა აირჩიოს, და რა ფასსაც დასდებენ ესენი, უნდა მიიღონ. ელევსინელთაგან მათთან შეუძლიათ იცხოვრონ იმათ, ვისაც ისინი მოისურვებენ, ვისაც გადასახლება სურს, მათთვის უწყების ვადა დადებულია: ათენში მყოფთათვის, მის შემდეგ, რაც ფიცი დასდო.'[154] ათი დღე, ხოლო გადასახლებისათვის 20: ათენის გარეთ მყოფთათვის კი, როდესაც ისინი ათენში მოვლენ. იგივე წესია. ელევსინის მცხოვრებს არავითარი სახელოს მართვა არ შეუძლია ქალაქში, ვიდრე ხელახლა არ განაცხადებს, რომ ის ქალაქში ცხოვრობს. სისხლის სამართლის საქმენი ირჩევა თანახმად მამაპაპეული წესებისა, თუ ვინმემ კაცი საკუთარი ხელით დასჭრა ან მოკლა. თუ ბოროტმოქმედება უკვე წარსულშია ჩადენილი, არავინ არ უნდა გაიხსენოს ეს ბოროტად, გარდა იმ შემთხვევისა. როდესაც ეს ეხება 30-ს, 10-ს, 11-ს და პირეოს ხელისუფალთ, და არც ამ შემთხვევაში, თუ ვინიცობაა მათ ჩააბარეს ანგარიში. ხოლო ანგარიში კი პირეოს ხელისუფლებამ უნდა ჩააბაროს პირეოს მცხოვრებთ, ქალაქისამ კიდევ იქ. სადაც შეფასება ხდება. თუ ეს ასეა შესრულებული, უნდა გადასახლდნენ მსურველები. ის ფული, რომელიც ნასესხები იქნა ომისათვის, თვითეულმა მხარემ ცალ-ცალკე უნდა გადაიხადოს.

თავი XL.

ასე მოხდა ეს დაზავება. ბევრს იმათგან, რომელნიც ოცდაათთან ერთად იბრძოდა, ეშინოდა და ფიქრობდა გადასახლებას. ხოლო აყოვნებდა ჩაწერას უკანასკნელი დღეებისთვის, როგორც ეს ყველას სჩვევია. არქინე'[155] ხედავდა, რომ ბევრი იყო ასეთი, რომ აყოვნებდა ჩაწერას, და მას უნდოდა ისინი შეეჩერებინა, ამიტომ მან შეკვეცა დარჩენილი დღეები ჩაწერის ვადისა ისე, რომ ბევრი იძულებული იყო წინააღმდეგ სურვილისა დარჩენილიყო, ვიდრე კიდევ ვამხნევებდნენ. ამით არქინემ კარგი სახელმწიფოებრივი ნაბიჯი გადადგა და ამის შემდეგ შეიტანა წინადადება წინააღმდეგ თრაზიბულეს კანონისა, რომლითაც ის აძლევდა პოლიტიას იმათ, ვინც პირეოდან დაბრუნდა. ამათგან კი ზოგიერთები აშკარად მონები იყვნენ. მესამე: როდესაც ერთმა დაიწყო წარსულის გახსენება. მან მიიყვანა ის საბჭოში და გაუსამართლებლად მოაკვლევინა,'[156] და თქვა ამიერიდან გამოააშკარავებენ. სურთ თუ არა

დემოკრატიული წყობილების გადარჩენა და ფიცის დაცვაო, რადგან, თუ ამას გავუშვებთ თავის ნებაზე, სხვებსაც წავაქეზებთ, ხოლო თუ დავსჯით, ეს ყველასათვის მაგალითი იქნებაო. და ეს მართლაც მოხდა, ეს რომ მოკლეს. შემდეგ არასდროს არავის მოუგონებია წარსული, არაშელ საუკეთესო და უაღრესად სახელმწიფოებრივად ეპყრობოდნენ წინათმომხდარ უბედურებას როგორც კერძო, ისე საზოგადო ცხოვრებაში. ვრათუ დაივიწყეს მიზეზები წინათმომხდარი ამბებისა. არამედ ის ფული, რომელიც 30-მა ოშის საჭიროებისათვის აიღო, ერთად გადაუხადეს ლაკედემონელებს. თუმცა ხელშეკრულების ძალით თვითეულ მხარეს ცალკე უნდა გადაეხადა, ქალაქელებსა და პირეოს მცხოვრებთ. ეს უნდა ყოფილიყო, მათი აზრით, პირველი ნაბიჯი თანხმობის დაწყებისა. სხვა სახელმწიფოებში კი დემოსი რომ გაძლიერდებოდა, არა თუ რამის გაღებას არა ფიქრობდა საკუთარი ქონებიდან, არამედ მიწებსაც კი ჰყოფდა. დაზავება მოხდა ელევსინში ღასახლებულებთან მესამე წელს გადასახლების შემდეგ ქსენენეტეს არქონტობაში.

თავი XLI.

ეს უკანასკნელი შემდეგ ხანებში მოხდა. მაშინ კი საქმეების ბატონ-პატრონი იყო ხალხი და შემოიღო ეხლაც არსებული პოლიტია პითოდორეს არქონტობის დროს. ჩანდა, რომ სამართლიანად მოიქცა ხალხი, რომ ხელში აიღო პოლიტია, ვინაიდან თვით დემოსმა მოაწყო დაბრუნება საკუთარი ძალით. ეს ცვლილება რიცხვით მეთერთმეტე იყო. პირველი დადგენა მდგომარეობისა ხომ იყო იონის და მისი თანამოსახლეებისა. მაშინ პირველად ოთხ ფილედ იყვნენ ისინი გაყოფილი და ფილობაზილევსებიც[37] დაადგინეს. მეორე და ამის შემდეგ პირველი, რომელსაც პოლიტიის წყობილება ჰქონდა, იყო ის, თეზეოს დროს რომ მოხდა, რომელიც ოდნავ გადაიხარა სამეფო წყობილებისაგან. ამის შემდეგ იყო დრაკონისა, როდესაც პირველად დასწერეს კანონები. მესამე კი ეკანყების შემდეგ — სოლონისა, საიდანაც იწყება დემოკრატიული წყობილება. მეოთხე პისისტრატეს ტირანობა, მეხუთე კლისთენესი, ტირანების გადაგდების შემდეგ, უფრო დემოკრატიული, ვიდრე სოლონისა. მეექვსე სპარსელებთან ომების შემდეგ, როდესაც სათავეში მოექცა საბჭო არეოპაგიდან. მეშვიდე ამის შემდეგ იყო ის, რომელიც არისტიდემ უჩვენა, ხოლო ეფიალტემ დაასრულა. მოსპო რა არეოპაგი; ამ დროს ყველაზე მეტი შეცდომა ჩაიდინა ქალაქმა დემაგოგების წყალობით საზღვაო ჰეგემონიის საკითხის გამო. მერვე — 400-ის დადგენა, და ამის შემდეგ, მეცხრე—კვლავ დემოკრატია. მეათე—ოცდაათისა და ათის ტირანობა. მეთერთმეტე—ფილედან და პირეოდან დაბრუნების შემდეგ; ეს (მეთერთმეტე) დღემდე დაცულია და მუდამ ჰმატებს ხალხს ძალა-უფლებას. თვითონ ხალხმა შექმნა თავისი თავი ყველაფრის ბა-

ტონ-პატრონად, და ყველაფერი იმართება ფსეფიზმებითა და სასამართლოებით, სადაც ხალხია მბრძანებელი: საბჭოს უფლებებიც ხომ ხალხს გადმოეცა. და ეს სწორიც უნდა იყოს: რადგან უმცირესობის მოსყიდვა უფრო ადვილია, ვიდრე ხალხისა, როგორც ფულით, ისე ქლესაობითაც. პირველად უარყვეს სახალხო კრების სხდომებისათვის გასამრჯელოს მიცემა, მაგრამ რადგან არ იკრიბებოდნენ სახალხო კრებაზე და პრიტანეებს მრავალი ხერხის სმარება უხდებოდათ, რომ ხალხი მოეზიდნათ ქიროტონიის საწარმოებლად, ამიტომ აგორიოსი იყო პირველი, რომ ობოლი შემოიღო. შემდეგ ამისა ჰერაკლიდე კლაზომენელმა, შეფეთ წოდებულმა, ორი ობოლი, ხოლო აგირისომა კიდევ სამი ობოლი.

II. ფსევდოქსენოფონტი*

1. (1) რაც შეეხება ათენელთა სახელმწიფო წყობილებას, თუ მათ აირჩიეს თავიანთი ახლანდელი წყობილება, მე ამას ვერ ვეთანხმები იმ მიზეზის გამო, რომ მისი არჩევით მათ თავისთვის აირჩიეს ისეთი წესი, რომ უბრალო ხალხმა უკეთ იცხოვროს, ვიდრე კეთილშობილებმა. სწორედ ამის გამო მე არ ვეთანხმები მას. მაგრამ რაკი მათ იგი ამ საითა ჰქონდათ მიღებული, მე შევეცდები დავამტკიცო, რომ ისინი მარჯვედ იცავენ თავიანთ სახელმწიფო წყობას და საეროდ შემოაქვთ ისეთი წესები, რომლებიც დანარჩენ ბერძენთა თვალსაზრისით არანორმალურად წარმოგვიდგება.

(2) ამგვარად, პირველ ყოვლისა მე ვიტყვი, რომ ათენში სამართლიანად უნდა ეკუთვნოდეს ღარიბებსა და მდაბიო ხალხს უპირატესობა კეთილშობილთა და მდიდართა მიმართ იმ მიზეზის გამო, რომ სწორედ ხალხს მოჰყავს მოძრაობაში ხომალდები და აძლევს სახელმწიფოს ძალას — სახელდობრ მოსაჭენი, მენიჩბეთა უფროსი, ორმოცდაათისთავი, ხომალდის ხელოსნები, — სწორედ აი ეს ხალხი უფრო მეტ ძალასა ჰმატებს სახელმწიფოს, ვიდრე ჰოპლიტები და წარჩინებულნი და კეთილშობილნი. და რაკი საქმის ვითარება ასეთია, ამიტომ სამართლიანად ითვლება, რომ სახელმწიფო თანამდებობანი ყველასათვის ხელმისაწვდომი იყოს როგორც ეხლანდელ არჩევნებში, წილისყრით რომ სწარმოებს, აგრეთვე იმ არჩევნებში, რომელიც ხელის აწევითა ხდება, და რომ ყველა მოქალაქეს, რომელსაც ამისი სურვილი ექნება, მიეცეს შესაძლებლობა გამოთქვას თავისი აზრი. (3) შემდეგ, ისეთი თანამდებობისკენ, რომლებსაც ხსნა მოაქვს, როცა ისინი კეთილშობილ ხალხს უპირავს, და საფრთხეს უქმნიან საერთოდ მთელ ხალხს, როცა ისინი არაკეთილშობილთ უპირავთ — ასეთი თანამდებობებისაკენ ხალ-

* ამ წყაროს ავტორი ცნობილი არ არის. იგი დაცულია ქსენოფონტეს თხზულებებში. ამ წარმოების ავტორი არ იზიარებს ათენელთა დემოკრატიულ წყობილებას

ის სრულიადაც არ ისწრაფის; იგი არა სთელის საჭიროდ მიიღოს წილისყრით სტრატეგოსის ან ჰიპარქოსის თანამდებობა. და მართლაც, ხალხს ესმის. რომ იგი დიდ სარგებლობას ღებულობს, როცა ეს თანამდებობანი თვითონ არ უპირავს. არამედ მათ გადასცემს ყველაზე უფრო შეშძლე ადამიანებს. სამაგიეროდ იგი ისწრაფის მიიღოს ისეთი თანამდებობანი. რომლებსაც შინ სარგო და შემოსავალი შემოაქვს. (4) შემდეგ. ვინც გაკვირვებულია, რომ ათენელები სიამოვნებით აძლევენ უპირატესობას მდაბიოებსა და ღარიბებს და საერთოდ დემოკრატებს კეთილშობილთა წინაშე, — სწორედ ამით. როგორც ეხლავე გამოირკვევა. ინარჩუნებენ ისინი დემოკრატიას. სახელდობრ, როდესაც ხალხიდან გამოსული ღარიბები, საერთოდ დაბალი ხალხი. აღწევენ ბედნიერებას და როდესაც ასეთი ხალხის რიცხვი გაიზრდება ხოლმე, ესენი ამაგრებენ დემოკრატიას: ხოლო თუ კარგად ცხოვრობენ მდიდრები და წარჩინებულნი. ეს იმას ნიშნავს. რომ დემოკრატები თვითონვე აძლიერებენ თავიანთ მოწინააღმდეგეთა პარტიას. (5) ყოველ ქვეყანაში საუკეთესო ელემენტი დემოკრატიის მოწინააღმდეგეა. რადგანაც საუკეთესო ადამიანები ძალიან იშვიათად დაუშვებენ უწესობასა და უსამართლობას. სამაგიეროდ დიდი თავგამოდებით ცდილობენ დაიცვან კეთილშობილური საწყისები, მაშინ. როდესაც ხალხში უდიდესი გაუნათლებლობა. უწესრიგობა და სიმდაბლეა. მართლაც. უბრალო ხალხს სამართველო საქმეებისკენ მიაქანებს უფრო სიღარიბე, გაუნათლებლობა და უვიცობა — თვისებები, რომლებიც სხვაგან უსახსრობის შედეგია. (6) შეიძლება ვინმემ თქვას, რომ შესაძლებლობა ილაპარაკონ სახალხო კრებაში და იყვნენ საბჭოს წევრები არ უნდა ეძლეოდეს ყველა მათ განურჩეველად, არამედ მხოლოდ ძალიან გამოცდილებსა და თანაც საუკეთესო ადამიანებს. მაგრამ ათენელები ამ შემთხვევაშიაც სავსებით სწორად მსჯელობენ, აძლევენ რა კრებაზე ლაპარაკის შესაძლებლობას მდაბიოებსაც, რადგანაც. მარტო კეთილშობილთ რომ ელაპარაკნათ სახალხო კრებაში და განესაჯათ საქმეები. მაშინ ეს სასარგებლო იქნებოდა მხოლოდ მათი თანაბარი ხალხისთვის და არ იქნებოდა კარგი დემოკრატებისთვის. ეხლანდელ მდგომარეობაში კი, როდესაც ყველა მსურველს შეუძლია ილაპარაკოს, საკმარისია იგი წარმოდგეს თავისი ადგილიდანვე. თუნდაც მდაბიოც იყოს — იგი მოახვევს სიკეთეს თავისთვისა და თავის მსგავსთათვის. (7) შეიძლება ვინმემ მოგვიგოს: ამისიანა ადამიანმა რა სიკეთე უნდა მოიგონოს ან თავისთვის და ან ხალხისთვის? ათენში კი ფიქრობენ, რომ ასეთი ადამიანის უვიცობას, უხეშობასა და კეთილ სურვილს უფრო მოაქვს სარგებლობა, ვიდრე კეთილშობილის ღირსებას სიბრძნესა და არაკეთილ სურვილს. (8) რასაკვირველია, არა ასეთი კანონებია საჭირო იმისთვის, რომ სახელმწიფო საუკეთესო შეიქნეს, მაგრამ სამაგიეროდ დემოკრატიას ასეთ პირობებში უფრო შეუძლია გადარჩენა. ხალხს ხომ სრულიადაც მშვენიერი კანონები

როდი უნდა სახელმწიფოში, როდესაც თვითონ მას მონობაში ყოფნა მოუხდება, არამედ სურს იყოს თავისუფალი და განაგებდეს, ცუდ კანონებთან კი მას საქმე არა აქვს. იმ წესიდან, რომელსაც შენ* ცუდ კანონმდებლობათა სთვლი, ხალხი თვითონ იღებს ძალას და ხდება თავისუფალი. (9) ხოლო, თუ შენ ეძებ კარგი კანონების სამეფოს. პირველ ყოვლისა დაინახავ, რომ ამ შემთხვევაში მოქალაქეთათვის კანონებს გამოსცემენ ყველაზე უფრო გამოცდილი ადამიანები; შემდეგ, კეთილშობილნი დაიმორჩილებენ მდაბიოებს. კეთილშობილნიც იქნებიან სახელმწიფო საქმეების განმსჯელი, და არ მისცემენ ნებას, რომ უგუნურნი იყვნენ სახელმწიფოს წევრები, არამარაკონ ანდა მონაწილეობაც კი მიიღონ სახალხო კრებაში. აი სწორედ ამ სიკეთეთა გამო უფრო ადვილად შეუძლია ხალხს ჩავარდეს მონობაში.

(10) მეორეს მხრივ ძალიან დიდია ათენში მონებისა და მეტეკების თავაშვებულობა. აქ არც შეიძლება მონის ცემა და იგი არც გზას აგიქცევს. ხოლო, თუ რატომ არსებობს ეს ადგილობრივი კანონი, მე განგიმარტავ. თავისუფალს რომ ნება ჰქონდეს დართული მონის ან მეტეკის ან გაახატებულის ცემისა, ხშირად მოუხდებოდათ ათენელის ცემა, მიიჩნევდნენ რა მას მონად, რადგანაც აქ ხალხი ჩაცმულობითაც უკეთესი არ არის მონასა და მეტეკზე და სრულიადაც უკეთესი არ არის თავისი გარეგნობითაც. (11) ხოლო, თუ ვისმე უკვირს, რომ აქ ნებას აძლევენ მონებს იყვნენ განებივრებული და ზოგიერთმა ხელგაშლილი ცხოვრებაც აწარმოოს. შესაძლებელია აღმოჩნდეს, რომ ამასაც შეგნებულად აკეთებენ. მართლაც, საზღვაო სახელმწიფოში მონა აუცილებლად ფულზე უნდა მსახურობდეს, რათა მე მივიღო ღალა იმისგან, რასაც იგი იშოვის და საჭიროა იქ მათ მიეცეთ (მოქმედების) თავისუფლება, ხოლო სადაც მდიდარი მონები არიან, იქ უკვე ხელსაყრელი არ არის, რომ ჩემს ყმას შენი ეშინოდეს. ლაკედემონში ჩემს ყმას შეეშინდებოდა შენი, ხოლო, თუ შენს ყმას ჩემი შეეშინდება, შეიძლება მას მოუხდეს თავისი ფულების მოცემაც, რათა თვითონ საფრთხეში არ ჩავარდეს. (12) სწორედ ამის გამო ჩვენ მივეცით მონებსაც ისეთივე სიტყვის თავისუფლება, როგორც თავისუფალთ. აგრეთვე მეტეკებს, როგორც მოქალაქეებს, იმიტომ, რომ სახელმწიფოსთვის საჭირო არიან მეტეკები ძრავალრიცხოვანი ხელოსნობის გამო და საზღვაო საქმისათვის. ამიტომაც, ბუნებრივია, ჩვენ მივანიჭეთ ძეტეკებსაც სიტყვის თანასწორი უფლება.

(13) ხოლო ის საზოგადოებანი, რომლებიც აწყობდნენ ათენში გიმნასტიკურსა და მუსიკურ გამოსვლებს, ხალხმა გააუქმა, თვლიდა რა ამას შეუფერებლად, რადგან დაინახა, რომ თვითონ არ შეეძლო ამისთვის ხელი მოეკიდა. სამაგიეროდ, რაც შეეხება ქორეგიებს, გიმნასიარქიებსა და ტრიერარქიებს, მდიდრები არიან, ხოლო ხალხს სარგებ-

---

* ავტორს თითქოს ვიღაც მოსაუბრე ჰყავს ლეკრდით და მას მიმართავს.

ლობა აქვს ტრიერარქიებისა და გიმნასიარქიებისაგან. ხალხს ყოველ შემ-
ოხვევაში, სურს მიიღოს ფული სიძღერაშიც, სირბილშიც, ცეკვაშიც და
ხომალდებით ცურვაშიც, რათა თვითონ მიიღოს სარგებელი და რათა
მდიდრები გაღარიბდნენ. და თვით სასამართლოშიც იმდენად სამარ-
ლიანობაზე არა ზრუნავენ, რამდენადაც საკუთარ გამორჩენაზე.

(14) რაც შეეხება მოკავშირეებს, იქაც ბრბო. როგორც ჩანს, კე-
თილშობილთ უმასპინძლდება ბოროტი ცილისწამებითა და სიძულვი-
ლით; ხოლო რადგან ათენელებს ესმით იმის აუცილებლობა, რომ ქვე-
შევრდომს უნდა სძულდეს თავისი მბრძანებელი, და მეორე მხრივ,
იციან, რომ თუ სახელმწიფოებში ძალა მდიდრებსა და კეთილშობილებს
ექნებათ, მაშინ ათენში დიდხანს არ ექნება ხალხს ძალაუფლება თავის
ხელში ამიტომ კეთილშობილთ ისინი იქ ართმევენ მოქალაქის პატივს,
ქონებას, აძევებენ თავიანთ სამფლობელოებიდან და ხოცავენ, ხოლო
მდაბიოებს მხარს უჭერენ. ათენელი კეთილშობილნი იცავენ კეთილშო-
ბილთ მოკავშირე სახელმწიფოებში, შეგნებული აქვთ რა, რომ თვით
მათთვის არის სასარგებლო დაიცვან ყოველთვის სახელმწიფოებში საუ-
კეთესო ადამიანები. (15) მაგრამ შეიძლება ვინმემ თქვას, რომ სწორედ
ეს შეადგენს ათენელთა ძალას, თუ კი მოკავშირეებს არ უძნელდებათ
ფულის შეტანა; დემოკრატებს დიდად სასარგებლოდ ეჩვენებათ, რა-
თა მოკავშირეთა ფული თვითეული ათენელის ხელში იმყოფებოდეს,
ხოლო მოკავშირეებს კი ჰქონდეთ მხოლოდ იმდენი, რამდენიც გამოსა-
კვებად არის საჭირო. და რათა შრომაში გართულთ არ მიეცეთ შესაძ-
ლებლობა განიზრახონ რამე მათ წინააღმდეგ.

(16) ზოგიერთების აზრით ათენელი ხალხი შეცდომას უშვებს იმი-
თაც, რომ მოკავშირეებს აიძულებს სასამართლო საქმეებზე ათენში ია-
რონ, მაგრამ ათენელები ამაზე უპასუხებენ იმ უპირატესობათა გამოან-
გარიშებით, რაც ამას ხალხისთვის მოაქვს; პირველ ყოვლისა სასამარ-
თლო ხარჯებიდან ის მთელი წლის განმავლობაში ჯამაგირს იღებს;
შემდეგ, ზის რა შინ და არ უხდება ხომალდებით მოგზაურობა, იგი
ეწარმოებს მოკავშირე სახელმწიფო საქმეებს და ამასთანავე ხალხიდან
გამოსულ ადამიანებს მხარს უჭერს სასამართლოში, ხოლო მოწინააღ-
მდეგეებს ანადგურებს. ყველას რომ პროცესები შინ თავის სამშობლოში
ეწარმოებინა, — ათენელებით უკმაყოფილონი ეცდებოდნენ მოესპოთ
თავიანთი წრიდან ისინი, ვინც ყველაზე მეტად თანაუგრძნობს ათენის
დემოკრატიას. (17) ამას გარდა ათენელებს აი რა სარგებლობა აქვთ
იმით, რომ მოკავშირეთა სასამართლო პროცესები ათენში ხდება: ჯერ
ერთი პროცენტული გადასახადი, რომელსაც პირეუმში ახდევინებენ,
სახელმწიფოსთვის უფრო იზრდება; შემდეგ იმათი საქმე უკეთ მიდის,
ვისაც აქვს სახლი, რომელსაც აქირავებს, ან ვისაც ჰყავს შესაბმელი სა-
ჭონელი ან ყმა, რომლებსაც აქირავებს; და ბოლოს გზირები უკეთესად
მუშაობენ მოკავშირეთა ჩამოსვლის გამო. (18) ყველა ამის დამატებად,

მოკავშირეები რომ ათენში არ ჩამოდიოდნენ სასამართლო პროცესებზე, რისი პატივს მიაგებდნენ ათენელთაგან მხოლოდ იმათ, რომლებიც ხომალდებით მიემოდიან — სტრატეგოსებს, ტრიერარქებსა და ელჩებს; ეხლანდელ პირობებში კი ყოველი ცალკეული მოკავშირე იძულებულია ასიამოვნოს ათენელ ხალხს, რადგან მას შეგნებული აქვს, რომ მას ათენში ელის ან სასჯელი, ან დაკმაყოფილება არა სხვა ვინმესგან, არამედ ხალხისაგან.[134] როგორც ამას კანონი მოითხოვს ათენში. და ის იძულებული ხდება ემუდაროს სასამართლოში, მუხლებზე დამხობილი, და ხელში სწვდეს ყველა მიმსვლელს. აი, ამის გამო მოკავშირენი უფრო ძეტად გადაიქცნენ ათენელთა მონებად. (19) ამას გარდა, რადგან ატიკის გარედაც ჰქონდათ სამფლობელოები და იქ გზავნიდნენ თავიანთ თანამდებობის პირთ, ათენელები თავისთვის შეუმჩნეველად ეჩვეოდნენ ნიჩბების ხმარებას, აგრეთვე მათი მსახურნიც, რადგანაც, როცა კაცი ხშირად დაცურავს, მას აუცილებლობით უხდება ხელი მოჰკიდოს ნიჩაბს არა მხოლოდ თვითონ, არამედ მისმა მონამაც, და შეისწავლოს ის გამოთქმანი, რომლებიც საზღვაო საქმეში იხმარება. (20) ამგვარად მათგან გამოდიან კარგი მესაჭენი ცურვის დროს მიღებული გამოცდილებისა და ალღოს წყალობით. ერთნი გამოიცადნენ სატრანსპორტო ხომალდის მართვაში, მეორენი — სატვირთო, ზოგიერთნი ამის შემდეგ დადგნენ ტრიერებზე. უმეტესობას შეუძლიან ნიჩბის მოსმა სამხედრო ხომალდზე ასვლის უმალ, რადგან მას ადრევე მიეჩვივნენ მთელი სიცოცხლის განმავლობაში.

II (1) ჰოპლიტთა ჯარი, რომელიც ათენში ყველაზე უფრო სუსტ მხარედ მოჩანს, მართლაც ასეთია, და ათენელები ფიქრობენ, რომ თავიანთ მტრებს ისინი ჩამორჩებიან ხარისხობრივადაც და რიცხვობრივადაც, ხოლო მოკავშირეებს, რომლებიც მათ გადასახადს უხდიან, ყველას სჭარბობენ, თვით ხმელეთზეც. ამასთანავე ფიქრობენ, რომ ჰოპლიტთა ჯარი მათთვის საკმარისია, თუ კი ისინი ამით თავიანთ მოკავშირეებსა სჭარბობენ. (2) ხოლო ამას გარდა, გარემოებათა დამთხვევის წყალობით, ისინი დაახლოებით ასეთ მდგომარეობაში აღმოჩნდნენ. საბერძნეთო სახელმწიფოში შესაძლებელია, რომ სახელმწიფოების ქვეშევრდომნი ერთ პუნქტში შეიკრიბნენ და იბრძოლონ შეერთებული ძალებით; ხოლო საზღვაო სახელმწიფოში კი ქვეშევრდომებს, რომლებიც კუნძულების სამეფოების მცხოვრებნი არიან, არ შეუძლიათ გაერთიანება, რადგან ზღვა უშლის, ხოლო მათი მბრძანებელნი კი ბატონობენ ზღვაზე. ხოლო კიდევაც რომ მოეხერხებინათ მათ შეუმჩნეველად შეგროვილიყვნენ ერთ კუნძულზე, შიმშილით ამოწყდებოდნენ. (3) ათენელების ქვეშევრდომ იმ სახელმწიფოთაგან კი, რომლებიც ხმელეთზე მდებარეობენ — მოზრდილები ემორჩილებიან შიშის გამო, მცირენი კი უმთავრესად გაჭირვების გამო: რადგან ხომ არ არსებობს ისეთი სახელმწიფო, რომელსაც არა სჭიროდეს რისიმე შემოზიდვა ან გაზიდვა, და,

მაშასადამე, ერთსაცა და მეორესაც მოკლებული იქნება. თუ იგი არ დაემორჩილება ზღვის მებატონეებს. (4) შემდეგ, ზღვის მბრძანებლებს შეუძლიათ გააკეთონ ის, რაც ხმელეთის მბრძანებლებს იშვიათად უხერხდებათ ხოლმე — თავისზე უფრო ძლიერთა მიწა-წყლის დარბევა. სახელდობრ, ხომალდებით შეიძლება მისვლა იქ, სადაც ან სრულებით არის მტერი, ან სადაც მცირეოდენია იგი. ხოლო, თუ ისინი მოახლოვდებიან, შეიძლება ხომალდებზე ასვლა და იქიდან გაცლა, და როდესაც კაცი ასე იქცევა, იგი ნაკლებ სიძნელეებს ხვდება, ვიდრე ის, ვინც ამისვე გაკეთებას ფიქრობს სახმელეთო არმიით. (5) შემდეგ, ზღვაო ბატონებს შეუძლიათ გასცურონ სამშობლოდან ისე შორს, როგორც მოისურვებენ, ხოლო სახმელეთო სახელმწიფოს ჯარისთვის შეუძლებელია თავის მიწა-წყალს ძოშორდეს რამდენიმე დღის სავალი მანძილით, რადგან მისი მოძრაობა ნელია და შეუძლებელია ხმელეთზე სვლის დროს დიდი ხნის სამყოფი საგზლის თან წაღება. ამასთანავე, ვინც ხმელეთით მიემართება, მას უხდება წინსვლა მტრის ტერიტორიაზე გაელით, ან გზადაგზა ბრძოლაში გამარჯვებით: ხოლო ვინც ზღვით მიდის, მას შეუძლია იქ მიადგეს ნაპირს, სადაც მას უპირატესობა აქვს, ხოლო, სადაც ასეთის იმედი არა აქვს, შეუძლია გაიაროს ის ადგილები და იაროს იქამდე, ვიდრე მეგობრულად განწყობილ მხარეს მიადგებოდეს, ან ისეთ ადგილებში მივიდოდეს, რომლებსაც თავისი ძალებიო სჭარბობს. (6) შემდეგ, მოუსავლიანობის გამო, რომელსაც მოუვლენს ზევსი, ხმელეთის სახელმწიფოები უფრო მეტად წუხდებიან: ზღვის სახელმწიფოები კი ამას ადვილად იტანენ, რადგან ამ დროს მოუსავლიანობა ყველა ქვეყანაში არ არის, და ამგვარად სიკეთის მქონე ქვეყნებიდან შემოაქვთ ზღვით ყველაფერი, რაც კი საჭიროა ზღვების მფლობელთათვის.

(7) ხოლო, თუ უფრო ნაკლებ ძნელოვანსაც მოვიხსენიებთ, უნდა ითქვას, რომ ათენელებმა ზღვაზე ბატონობის წყალობით პირველ ყოვლისა შემოიღეს მასპინძლობის ყოველგვარი საშუალება, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ამყარებდნენ ისინი ურთიერთობას დღეს ერთთან და ხვალ მეორესთან. ამგვარად ყველაფერი გემრიელი, რაც კი რამ არსებობს სიცილიაში, იტალიაში, კიპროსზე, ეგვიპტეში. ლიდიაში, პონტოში, პელოპონესში, ან სხვაგან სადმე, — ყველაფერმა ამან ერთ ადგილას მოიყარა თავი ზღვაზე ბატონობის წყალობით. (8) შემდეგ, ყოველი კილოკავიდან, რომლებიც მათ ესმოდათ, ერთისგან ეს გადმოიღეს, მეორისგან — ის. და, აი, მაშინ, როდესაც ყველა ბერძენი საერთოდ სარგებლობს უმეტესად თავისი კილოკავით, ცხოვრობს თავისი წესის მიხედვით და ატარებს თავის განსაკუთრებულ სამოსს, ათენელებს ყველაფერი შერეული აქვთ, აღებული ყველა ბერძნისა და ბარბაროსისაგან. (9) ხოლო რაც შეეხება მსხვერპლსა და სამლოცველოებს, დღეობებსა და წმინდა ადგილებს, — ხალხმა შეიგნო რა, რომ ყოველი ღარიბი კა-

ცისათვის შეუძლებელია მსხვერპლის შეწირვა. დღეობების მოწყობა, ტაძრების აგება და შემკობა და განდიდება, ქალაქისა. რომელშიაც ის ცხოვრობს, ამის მისაღწევად მოიგონა შემდეგი: სწორედ ამის გამო სახელმწიფო მართაეს საზოგადოებრივ ხარჯზე მრავალი მსხვერპლის შეწირვას, ხალხი კი კიდევაც ნადიმობს და წილისყრით სამსხვერპლო ცხოველთა ხორცსაც ღებულობს. (10) ამას გარდა, მდიდრებს აქვთ საკუთარი ვიმნაზიები აბანოებითა და ვასახდელებითურთ, ყოველ შემთხვევაში ზოგიერთებს, ხალხი კი თვითონ აშენებს თავისთვის სპეციალურად მრავალრიცხოვან პალესტრებს,[150] გასახდელებსა და აბანოებს. და ამით მეტად სარგებლობს ბრბო, ვიდრე მცირეოდენი შეძლებულნი.

(11) ხოლო, თუ კი ბერძნებისა და ბარბაროსების სიმდიდრეზე ვილაპარაკებთ, ათენელებს მხოლოდ თვითონ შეუძლიათ ჰქონდეთ იგი. და მართლაც, თუ რომელიმე ქალაქი მდიდარია გემთსაშენი მასალით, საღ უნდა გაყიდოს მან იგი, თუ ამისთვის არ მიიღებს თანხმობას იმისგან, ვინც გაბატონებულია ზღვაზე? რა კიდევ? თუ რომელიმე ქალაქი მდიდარია რკინით, სპილენძით ან სელით, სად უნდა გაყიდოს მან, თუ კი არ მიიღებს იმის თანხმობას ვინც ზღვაზე ბატონობს? და ყველა ამისგან კი მე მიჩნდება ხომალდები: ერთისგან მოდის ხე-ტყე, მეორისგან — რკინა, მესამისგან — სპილენძი, მეოთხისგან — სელი, მეხუთისგან — ცვილი. (12) ამას გარდა ისინი არ მისცემენ უფლებას, რომ სხვაგან სადმე გაზიდონ: წინააღმდეგ შემთხვევაში ის, ვინც ჩვენი წინააღმდეგია, ვერ ისარგებლებს ზღვით. და მე კი სრულიად გაურჯელად ვღებულობ მიწის ყველა ამ ნაწარმს ზღვით მაშინ, როდესაც არც ერთ სხვა ქალაქს ერთსა და იმავე დროს არა აქვს ორი ასეთი პროდუქტთაგანი. ამასთანავე ერთსა და იმავე ქვეყანაში ერთსა და იმავე დროს არ მოიპოვება ხე-ტყეცა და სელიც, არამედ, სადაც ბლომად მოდის სელი, ის ქვეყანა ველს წარმოადგენს და უტყეოა. სწორედ ასევე რკინა და სპილენძი ერთი და იმავე ქვეყნიდან არ გამოდის ისევე, როგორც სხვა ყველაფერი არ მოიპოვება ერთ სახელმწიფოში, არამედ ერთში — ერთია და მეორეში — მეორე.

(13) ამას გარდა, ყოველ ხმელეთს აქვს ან წინ წამოზიდული სანაპირო, ან წინამდებარე კუნძული, ან რომელიმე ვიწრო ზოლი, ისე რომ იმათ, ვინც გაბატონებული არიან ზღვაზე, შეუძლიათ იქ ღუზა ჩაუშვან და ზარალი მიაყენონ ხმელეთის მოსახლეობას.

(14) მხოლოდ ერთი რამ აკლიათ ათენელებს. სახელდობრ, ისინი რომ ზღვაზე გაბატონებულნი, კუნძულზე ცხოვრობდნენ, მათ შეეძლებოდათ სურვილისამებრ დაეზიანებინათ სხვები, თვითონ არ განეცადათ რაიმე ცუდი, ვიდრე ზღვაზე ბატონობენ, ამასთანავე მათ ქვეყანაც გადაურჩებოდათ და არც მტრების მათთან მისვლის შიში ექნებოდათ. არსებულ პირობებში კი მტრის შემოსვლის დროს უფრო მეტად ზარალ-

დებიან გლეხები და მდიდარი ათენელები, მაშინ, როდესაც დემოკრატიული ელემენტი, რომელმაც კარგად იცის, რომ მისი ქონებიდან მტერი ვერაფერს დასწვავს და ვერაფერს მოსპობს, უზრუნველად ცხოვრობს, ისე რომ მტრების მოსვლისა არ ეშინია. (15) ამას გარდა, ათენელები რომ კუნძულზე ცხოვრობდნენ, სხვა საფრთხისგანაც განთავისუფლდებოდნენ: რომ მათი ქვეყანა ოდესმე გაცემული იქნება ერთი მუჭა ხალხის მიერ, რომ ჭიშკარს გაუხსნიან და მტერი შემოიჭრება. და, მართლაც, განა ეს მოხდებოდა, ისინი რომ კუნძულზე ცხოვრობდნენ? და არც დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ მოსახლეობის რომელიმე ნაწილის აჯანყების საფრთხე ექნებოდათ, კუნძულზე რომ ცხოვრობდნენ. ახლა, თუ აჯანყდებიან, მხოლოდ მტრის იმედით, იფიქრებენ რა, იმას, რომ მათ ისინი მოიყვანეს დასახმარებლად ხმელეთის გზით. ხოლო კუნძულზე რომ ცხოვრობდნენ, მათ ამ მხრივ საფრთხე არ ექნებოდათ. (16) ასეა. რადგანაც ისინი თავიდანვე კუნძულზე არ დასახლდნენ, მაგრამ ახლა ისინი ასე იქცევიან. ისინი თავიანთ ქონებას შესანახად აბარებენ კუნძულებს, დარწმუნებული არიან რა ზღვაზე თავის ძლიერებაში, და არ უყურებენ იმას, რომ ატიკის მიწა-წყალი აოხრებას განიცდის, რადგანაც ესმით, რომ თუ მას დაინანებენ, სხვა უფრო მნიშვნელოვან სიკეთეს დაჰკარგავენ.

(17) შემდეგ, საკავშირო ხელშეკრულებანი და ფიცი ოლიგარქიულმა სახელმწიფომ აუცილებლად უნდა დაიცვას; ხოლო, თუ არ დაიცავენ თავიანთ ხელშეკრულებას, მაშინ ან დაგისახელებენ იმას, ვისი მიზეზითაც შენ დაზარალდი, ან იმ ცნობილ პირთ — მათი რიცხვი ხომ მცირეა, — რომლებმაც ხელშეკრულება დადეს. რაც შეეხება ხალხს, როგორი ხელშეკრულებაც არ უნდა დადოს მან, ყოველ ცალკეულ ადამიანს, როგორც კი გაიგებს, რომ ხელშეკრულება მთელი ხალხის მიერ იყო დადებული, შეუძლია, გადააბრალებს რა ერთ რომელიმეს — იმ ორატორს,[100] რომელმაც მაშინ ილაპარაკა და კრების თავმჯდომარეს, რომელმაც საკითხი კენჭის საყრელად დააყენა — უარი სთქვას და განაცხადოს, რომ ის მაშინ იქ არ ესწრებოდა. და თუ საჭიროდ დაინახავენ, რომ იგი გაუქმებულად გამოაცხადონ, ამისათვის ათას საბაბს იშოვნიან, რათა არ შეასრულონ ის, რაც მათ არა სურთ. ამასთანავე, თუ ხალხის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებას რამე ცუდი მოჰყვება, დემოკრატები ამას მიაწერენ იმას, რომ ერთმა მუჭა ხალხმა თავისი წინააღმდეგობით გააფუჭა ყველაფერი, ხოლო, თუ რამე წარმატება მოჰყვება, მაშინ ამის ნაწილს თვითონ მიიწერს. (18) მეორეს მხრით ათენელები არ აძლევენ ვინმეს უფლებას დასცინოს ხალხს და აგინოს იგი კომედიებში, რათა თვით მათზევე არ გავრცელდეს ძაგება; მაგრამ კერძო პიროვნების მიმართ, თუ ვინმეს უნდა ვისიმე დაცინვა, ამას ისინი აქეზებენ, კარგად იციან რა, რომ დასაცინი პირი არა ხალხისგან, არა დაბალი მასიდან არის უმეტეს შემთხვევაში, არამედ იგი არის ან მდიდარი, ან

წარჩინებული, ან გავლენიანი, და მხოლოდ იშვიათად ხდება დაცინვის საგნად ვინმე ღარიბთაგან ან დემოკრატთაგან, და ესეც იმ შემთხვევაში, თუ იგი ყველა საქმეში ერჩება და ცდილობს როგორმე გამოირჩეს ხალხისაგან; ამიტომაც ასეთებს როცა დასცინიან, ისინი აღშფოთებას არ გამოთქვამენ. (19) ამგვარად მე ვამტკიცებ, რომ ათენში ხალხს შეგნებული აქვს, ვინ არის მოქალაქეთაგან კეთილშობილი და ვინ — მდაბიო, და ესმის რა ეს, უყვარს თავისი მომხრეები და მზრუნველები, თუნდაც ისინი მდაბიონი იყვნენ, ხოლო კეთილშობილნი კი უფრო სძულს, რადგან არა სჯერა, რომ მათი კეთილშობილება მისთვის სასიკეთო იყოს, არამედ მისგან მხოლოდ ცუდს გამოელის. და, პირიქით, ხალხის მხარეზე მყოფი, ბევრი თავისი შთამომავლობით სრულიადაც დემოკრატი არ არის. (20) მე ჩემის მხრივ დასაშვებად მიმაჩნია დემოკრატიული თვალსაზრისი თვით ხალხისთვის, რადგან ყველას მიეტევება თავის თავზე ზრუნვა. მაგრამ ის, ვინც არ ეკუთვნის ხალხს (ე. ი. ხალხის წრიდან არ არის გამოსული) და ამჯობინებს ცხოვრებას დემოკრატიულსა და არა ოლიგარქიულ სახელმწიფოში, მას უბრალოდ რაღაც დანაშაულებრივი განზრახვა აქვს და ხედავს, რომ თაღლითს დემოკრატიულ ქვეყანაში უფრო შეუძლია დარჩეს შეუმჩნეველი, ვიდრე ოლიგარქიულში.

III. (1) ამგვარად, რაც შეეხება ათენელთა სახელმწიფო წყობილების ხასიათს, რასაკვირველია, მე იგი არ მომწონს; მაგრამ, რაკი მათ გადაწყვიტეს ჰქონდეთ დემოკრატიული მმართველობა, მე მგონია, რომ ისინი მოხერხებულად იცავენ დემოკრატიას, სარგებლობენ რა იმ ხერხებით, რომლებიც მე ზემოთ ვუჩვენე.

ამას გარდა, მე ვხედავ, რომ ზოგიერთნი ათენელებს უსაყვედურებენ ავრეთვე იმასაც, რომ ზოგჯერ მათში საბჭოსა და ხალხს ვერ მოუხერხებია მიიღოს გადაწყვეტილება ადამიანის მიმართ, თუმცა, შეიძლება, კაცი ამას მთელი წლის განმავლობაში ელოდეს. ესეც ხდება ათენში მხოლოდ იმის გამო, რომ საქმეების სიმრავლის გამო ისინი ვერ ასწრებენ ყველა საქმის გარჩევას. (2) და ან როგორ მოასწრებენ ისინი ამას, როდესაც მათ უხდებათ ჯერ ერთი მრავალი დღეობის გადახდა, რამდენსაც არც ერთი სხვა ბერძნული სახელმწიფო არ იხდის, ამ დღეობების დროს კი ძნელია სახელმწიფო საქმეზე რისიმე გაკეთება, შემდეგ გარჩევა იმდენი კერძო და სახელმწიფო პროცესებისა და ანგარიშებისა,[161] რამდენსაც არ არჩევს საერთოდ ყველა ხალხი, ხოლო საბჭოს კი უხდება ბჭობა ხშირად ომზე, ხშირად თანხების გამოძებნაზე, ხშირად კანონმდებლობაზე, ხშირად სახელმწიფოებრივი ცხოვრების მიმდინარე ამბებზე, ხშირად მოკავშირეთა საქმეებზე; მანვე უნდა ჩაიბაროს გადასახადი, იზრუნოს გემთმშენებლობაზე და სამლოცველოებზე. მაშ რა გასაკვირია, რომ ისინი ვერ ასწრებენ უამრავი საქმეების დროს ყველა კაცის საქმის გარჩევას? (3) ზოგიერთნი ამბობენ: საკმარისია, ვისაც ფული ეშოვება, მიმართოს საბჭოს ან ხალხს და იგი მიაღწევს

თავისი საქმის გადაწყვეტასო. მე დავეთანხმები იმას, რომ ათენში ფულით ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, და უფრო მეტის შეიძლებოდა, რომ ფულის გამღებნი უფრო მეტი იყვნენ. მაგრამ მე მაინც ძალიან კარგად ვიცი, რომ სახელმწიფოს არ შეუძლია დააკმაყოფილოს ყველა მთხოვნელი, რამდენი ოქრო და ვერცხლიც არ უნდა მისცეს. (4) შემდეგ, უხდებათ აგრეთვე ასეთი საქმეების გადაწყვეტაც: თუ ვინმემ არ შეაკეთა მისთვის მიჩენილი ხომალდი,[102] ან ვინმე რამეს აშენებს სახაზინო ნაკვეთზე;[103] ამას გარდა წლიდან წლამდე ირჩევა პრეტენზიები ქორეგების მხრივ, რომლებიც ინიშნებიან დიონისეს, თარგელიის, პანათენეისა, პრომეთესა, და ჰეფესტიის დღეობებზე;[104] აგრეთვე ინიშნებიან ტრიერარქები ყოველწლიურად 400 და რომელიმე მათგანის განცხადების შემთხვევაში საჭირო ხდება საქმეების გარჩევა წლიდან წლამდე; ამას გარდა უნდა მოხდეს თანამდებობის პირთა დოკიმასია და გაირჩეს დავა მათის მხრით, მოეწყოს ობოლთა დოკიმასია და დაიწიშნონ საპყრობილეთა გუშაგები. (5) ყველაფერი ეს წლიდან წლამდე ხდება. მაგრამ დროდადრო საჭირო ხდება აგრეთვე გარჩევა სამხედრო სარდლობის დროს დაშვებულ დანაშაულთა, აგრეთვე, თუ ჩადენილი იქნება რომელიმე მოულოდნელი დანაშაული, მაგალითად, რომელიმე გაუგონარი ბოროტმოქმედება ან უწმინდურება. კვლავ მრავალ რამეზე მე აღარას ვამბობ; ყველაზე მნიშვნელოვანი კი, — მოხსენებულია ყველაფერი, მოკავშირეთათვის გადასახადის დაწესების გარდა. ეს საქმეები ხდება მეტ წილად ყოველ ხუთ წელიწადში ერთხელ. (6) მაგრამ ხომ არ შეიძლება ვაღიაროთ, რომ ყველაფერი ამის გარჩევა არა ღირს? აბა, თქვას ვინმემ ამ საქმეთაგან რომელი არ უნდა გარჩეულიყო აქ. ხოლო, თუ უნდა დავეთანხმოთ, რომ ყველაფერი ამის გარჩევა საჭიროა, მაშინ საჭიროა ყველაფერი ეს კეთდებოდეს მთელი წლის განმავლობაში იმიტომ, რომ დღესაც კი, როდესაც მთელი წლის განმავლობაში მოსამართლეობენ, მაინც ვერ ძალუძს შეაჩერონ დამნაშავენი, მოსახლეობის სიმრავლის გამო. (7) ძალიან კარგი! მაგრამ ვინმე იტყვის, რომ გასამართლება უნდა წარმოებდეს. მაგრამ არა ასე ბევრ მოსამართლეთაგან. მაშინ ყოველ სასამართლო კომისიაში აუცილებლობის მიხედვით, თუ მათ რიცხვს არ შეამცირებენ, — საქმეებს გაარჩევს მხოლოდ წევრთა განსაზღვრული რიცხვი, რის შედეგადაც ადვილი იქნება მოსამართლეებთან საქმის მოგვარება, მათი მცირერიცხოვანობის გამო, და მათი მოსყიდვაც, მაგრამ ამასთან ერთად მათთვის ძნელი იქნება სიმართლის მიხედვით განსჯა. (8) ამას გარდა უნდა მივიღოთ მხედველობაში ისიც, რომ ათენელებს უხდებათ დღეობების გადახდა, როდესაც სასამართლოს წარმოება შეუძლებელია. ამასთანავე მათ ორჯერ მეტი დღეობები აქვთ, ვიდრე სხვებს; მაგრამ მე ვიღებ იმის თანახმად, თუ რამდენია მათი რიცხვი იმ სახელმწიფოში, სადაც მათ ყველაზე ნაკლები რაოდენობით დღესასწაულობენ. სწორედ ამის გამო მე არ მიმაჩნია შესაძლებლად,

რომ ათენში საქმეები მიდიოდეს არა ისე, როგორც ახლა: მხოლოდ უმცირესის დამატება ან გამოტოვება შეიძლება, ხოლო ბევრის შეცვლა შეუძლებელია ისე, თუ არა წაერთვა რა იმავე დროს დემოკრატიულ წყობილებას. (9) რასაკვირველია, ბევრი რამის მოგონება შეიძლება იმისთვის, რომ გაუმჯობესდეს სახელმწიფო წყობა, მაგრამ რომ იარსებოს დემოკრატიამ და იმავე დროს, რომ იყოს საუკეთესო მმართველობა — ამის დამაკმაყოფილებლად გადაწყვეტა ადვილი არ არის; მხოლოდ წვრილმანებში, როგორც მე ეს ახლა ვთქვი, შეიძლება მოემატოს ან მოაკლდეს.

(10) მე მგონია, რომ ათენელები იმ შემთხვევაშიც არასწორად მსჯელობენ, როდესაც მხარს უჭერენ ცუდებს იმ სახელმწიფოებში, სადაც არეულობა ხდება. მაგრამ ისინი ამას შეგნებულად აკეთებენ, რადგან ისინი რომ მხარს უჭერდნენ უკეთესებს, ამით ისინი გამოექომაგებოდნენ არა თავის თანაგანმზრახველებს: საუკეთესო ადამიანები ხომ არც ერთ სახელმწიფოში არ თანაუგრძნობენ დემოკრატიას; რასაკვირველია, მსგავსი ყოველთვის მსგავსის მეგობარია. სწორედ ამიტომაც ათენელები ესარჩლებიან იმას, რაც თვით მათ მიემსგავსება. (11) ხოლო რამდენჯერაც მათ სცადეს გამოსარჩლებოდნენ კეთილშობილთ, ამან მათ არასოდეს სარგებლობა არ მოუტანა; პირიქით, ბეოტიის ხალხი მალე მონობაში ჩავარდა; მეორეჯერ, როდესაც მხარი დაუჭირეს კეთილშობილთ მილეტში, ისინი ძალიან მალე განდგნენ და ამოხოცეს დემოკრატები; კიდევ, როდესაც ლაკედემონელებს დაუჭირეს მხარი მესენელების მაგიერ, მალე ლაკედონელებმა დაიმორჩილეს მესენელები და ომი აუტეხეს ათენელებს.

(12) იქნებ ვინმემ მოგვიგოს, რომ, ჩანს, ათენში არავისთვის ჩამოურთმევიათ მოქალაქის ღირსება. მე კი ვამტკიცებ, რომ არიან ზოგიერთები, რომლებიც უსამართლოდ არიან უფლებებს მოკლებული, მაგრამ ეს ზოგიერთები მცირედნი არიან. ხოლო ათენის დემოკრატიაზე ხელყოფისათვის საჭიროა არა მხოლოდ ერთი მუჭა ხალხი; ამასთანავე ხომ ჩვეულებრივ ასე ხდება, რომ ამაზე სრულიადაც არა ფიქრობენ ისინი, ვისაც სამართლიანად აქვს უფლებები ჩამორთმეული, არამედ მხოლოდ ისინი, ვისაც უსამართლოდ აქვთ ჩამორთმეული. (13) მაშ, როგორ შეიძლება წარმოვიდგინოთ ამ შემთხვევაში, რომ უმრავლესობას ჰქონდეს ათენში უფლებები ჩამორთმეული უსამართლოდ, სადაც თანამდებობები თვითონ ხალხის მიერ სრულდება და სადაც უფლებებს ართმევენ მხოლოდ ისეთ საქმეებზე, როგორიც არის თანამდებობის არაკეთილსინდისიერად შესრულება, უპატიოსნო სიტყვები და მოქმედებანი? მივიღებთ რა ყველაფერს ამას მხედველობაში, არ უნდა ვიფიქროთ, რომ ათენში არსებობდეს რაიმე საფრთხე იმათი მხრიდან, ვისაც სამოქალაქო ღირსება წართმეული აქვთ.

ლეგენდა რომის დაარსების შესახებ

ტიტე ლივიუსი — ისტორია, I, 3—7.

ენეასის[165] ვაჟი ასკანიუსი ჯერ არ იყო მიღწეული იმ ასაკს, რომ თვითონ ეხელისუფლნა, მაგრამ ძალაუფლება მაინც მშვიდობიანად მის ხელში დარჩა მის დავაჟკაცებამდე; ასეთი დიდი ხნის განმავლობაში შერჩა პატარა ბიჭს ლათინთა სახელმწიფო, მისი პაპისა და მამის სამეფო, ქალის მფარველობის წყალობით — ასეთი მოხერხებული ქალი იყო ასკანიუსის დედა ლავინია. ამ ასკანიუსმა ქალაქი ლავინია — ასე უწოდა მას მისმა მამამ თავისი ცოლის საპატიოდ — ჰარბი მოსახლეობის გამო დაუტოვა იმ დროისთვის აყვავებული და მდიდარი თავის დედას, და თვითონ კი ალბანის მთის ძირას დააარსა ახალი ქალაქი, რომელსაც უწოდა გრძელი ალბა (Alba longa), რადგან იგი თავისი მდებარეობით მთის ქედზე იყო გადაჭიმული. ლავინიასა და ალბა ლონგას დაარსებას შორის თითქმის ოცდაათმა წელმა განვლო. მაგრამ ამისდა მიუხედავად სახელმწიფოს ძლიერება ისე გაიზარდა, რომ არც ენეასის სიკვდილის შემდეგ, არც ქალის მმართველობის შემდეგ, არც თვით ჭაბუკის მეფობის პირველ წლებში ვერც ეტრუსკების ბელადმა მეზენციუსმა, ვერც სხვა მეზობლებმა ვერ გაბედეს იარაღის აღმართვა. საზავო ხელშეკრულებით ეტრუსკთა და ლათინთა შორის საზღვარი გახდა მდინარე ალბულა, რომელსაც ეხლა ტიბრი ეწოდება. შემდგომ მეფობდა ასკანიუსის შვილი სილვიუსი, ტყეში შემთხვევით დაბადებული. მას ჰყავდა ვაჟი ენეასი — სილვიუსი, ამას კი ლათინი სილვიუსი. ამან დააარსა რამდენიმე კოლონია და ამგვარად წარმოსდგა ძველ ლათინთა სახელწოდება. შემდეგში ალბას ყველა მეფეს შეტსახელად შეერქვათ სილვია. მერე, მთელ რიგ სხვა მეფეთა შემდეგ, განაგებდა პროკა.[166] მას ჰყავდა ვაჟები ნუმიტორი და ამულიუსი. სილვიების ძველი სამეფო ანდერძით უნდა რგებოდა ნუმიტორს, როგორც უფროს ვაჟს. მაგრამ ძალა მამის ნებასაცა და უფროსობის უფლებასაც აღემატა: ამულიუსმა ძმა გააძევა და თვითონ გამეფდა; ერთ ბოროტებას მან მეორე მიუმატა, მოკლა რა (გაძევებული) ძმის ვაჟი, ხოლო ქალს რეა სილვიას წაართვა შთამომავლობის იმედი, აქცია რა იგი, ვითომდა საპატივცემოდ, ვესტას მსახურად.

მაგრამ, მე მგონია, ესოდენ ძლიერი ქალაქი და სახელმწიფო, რომელიც ჩამორჩება მხოლოდ ღმერთების ძალას, თავის აღმოცენებას ბედის განგებას უნდა უმადლოდეს. როდესაც ვიღაცის მიერ გაუპატიურებულმა ვესტას მსახურმა ტყუბი შობა, მან ამ უსახელო შთამომავლობის მამად გამოაცხადა ომის ღმერთი მარსი, ან იმიტომ რომ სჯეროდა ეს, ანდა იმიტომ, რომ უფრო საპატიოდ მიაჩნდა თავისი დანაშაულის მიზეზად ღმერთი გამოეცხადებინა. მაგრამ ვერც ღმერთებმა, ვერც ხალხმა,

ვერ დაიფარეს იგი და მისი ნამობნი მეფის რისხვისაგან: ქურუმ ქალს პორკელი გაუყარეს და დილეგში ჩააგდეს,[167] ბავშვები კი — ნაბრძანები იყო მდინარეში გადაეყარნათ.[168] მაგრამ შემთხვევით თუ ღმერთების ნებით, ტიბრი აღიდდა და მის ნაპირებზე მოგროვდა მდორედ გაჩერებული წყალი, ისე რომ მის ნამდვილ კალაპოტთან მისვლა არსაიდან შეიძლებოდა; ამასთანავე გაგზავნილებმა იფიქრეს ბავშვები ასეთ წყალშიც ჩაიძირებიანო. ამგვარად, ჩათვალეს რა, რომ მეფის ნაბრძანები შეასრულეს, მათ ბავშვები გადაყარეს მახლობელ გუბეში, სადაც ამჟამად რუმინალის ლელვის ხე დგას[169] (ამბობენ მას რომულუსის ხე ეწოდებოდაო). იმ აღგილებში მაშინ ფართო უდაბნო იყო. არსებობს გადმოცემა, რომ, როცა მცურავი კიდობანი (გობი), რომელშიაც მოთავსებული იყვნენ წყალში გადაყრილი ბავშვები, წყლის უკუქცევის შემდეგ შრალზე დარჩა, ძუ მგელი, რომელიც ახლომახლო მთებიდან წყლის დასალევად იყო მოსული, ბავშვების ტირილზე მათკენ გაემართა; იგი ისეთი სიმშვიდით აწოვებდა მათ, რომ მეფის უფროსმა მწყემსმა, სახელად ფაუსტულუსმა, ნახა, თუ როგორ ლოკავდა იგი ბავშვებს ენით. მან ისინი შინ წაიყვანა და აღსაზრდელად თავის ცოლს ლარენციას ჩააბარა. ასე დაიბადნენ ისინი და ასე აღიზარდნენ; როდესაც წამოიზარდნენ, არა რჩებოდნენ რა უსაქმოდ მწყემსის ქოხში ან ნახირთან, ისინი ნადირობით დაეხეტებოდნენ ტყეებში. გაკაჟდნენ რა ასეთი მოქმედებით ხორციელად და სულიერად, ისინი სდევდნენ არა მხოლოდ ნადირს, არამედ ესხმოდნენ ნაძარცვით დატვირთულ ავაზაკებს, ნადავლს მწყემსებს უნაწილებდნენ და ამ ყოველდღიურად მზარდი რაზმით საქმესაც აკეთებდნენ და კიდეც ლაღობდნენ.

უკვე იმ დროს არსებობდა ლუპერკალიების[170] (Lupercalia) დღეობა. იგი იმაში მდგომარეობდა, რომ ფეხშიშველი ჰაბუკნი დარბოდნენ და ხუმრობასა და მხიარულებაში აღავლენდნენ ლოცვას ღმერთ პანისადმი (Pan). ამ დღეობამ სახელი გაითქვა და აი, როდესაც რომულუსი და რემუსი თამაშობაში[171] იყვნენ გართული, ნადავლის დაკარგვით გაჯავრებული ავაზაკები მათ ჩაუსაფრდნენ; რომულუსმა თავი დააღწია, რემუსი კი შეიპყრეს და თანაც მეფე ამულიუსს წარუდგინეს, როგორც ბრალდებული. მთავარი დანაშაული იმაში მდგომარეობდა, რომ ისინი ჰაბუკთა ჯგუფთან ერთად თავს დაესხმოდნენ ხოლმე ნუმიტორის მინდვრებს მტრების მსგავსად და იქიდან საქონელს (პირუტყვს) მიერეკებოდნენ. ამის გამო რემუსი გადაეცა ნუმიტორს დასასჯელად. ფაუსტულუსს თავიდანვე აზრი ჰქონდა აღებული, რომ მასთან მეფის შვილები იზრდებოდნენ; მან იცოდა, რომ ისინი მეფის ბრძანებით იყვნენ წყალში გადაყრილნი; დროც ემთხვეოდა, როცა მან ისინი იპოვნა; მაგრამ, არ იყო რა ამაში საბოლოოდ დარწმუნებული, არ უნდოდა გაენეცხადებინა იქამდე, თუ შემთხვევა არ მოიტანდა, ანდა აუცილებლობა

რამ არ აიძულებდა. აუცილებლობა უფრო ადრე წარმოიშვა. და, აი, ის შიშის გამო ყველაფერში გამოუტყდება რომულუსს. შემთხვევით ნუმიტორსაც, როდესაც მას შეპყრობილი ჰყავდა · რემუსი და ყური მოჰკრა ტყუები ძმების შესახებ ამბავს, გაუელვა აზრმა შვილიშვილების შესახებ, გაითვალისწინა რა მათი ასაკი და ტყვის ხასიათი, რომელიც ამასთანავე სრულიადაც არ ჰგავდა მონას. სხვათა გამოკითხვის გზით მან იგივე დასკვნა მიიღო და თითქმის იცნო რემუსი. ამგვარად მეფეს ყოველმხრივ საფრთხე ემუქრება. რომულუსი, რომელსაც ძალა არ შესწევდა აშკარა მოქმედებისთვის, თავს დაესხა მეფეს არა ჯაბუკთა რაზმით, არამედ უბრძანა ყველა მწყემსი დანიშნულ დროს ცალკე ბილიკით მისულიყო მეფის სასახლესთან, ნუმიტორის საცხოვრებლის მხრიდან კი მოედანზე გამოჩნდება რემუსი მეორე რაზმით.

ასე მოჰკლავენ ისინი მეფეს. ნუმიტორი არეულობის დაწყებისას, აცხადებს რა, რომ ქალაქში მტრები შემოიჭრნენ და თავს დაესხნენ სასახლეს, ალბანელ ახალგაზრდობას გაიწვევს ციხე-სიმაგრის დასაცავად: ხოლო როდესაც დაინახა, რომ მოკლეს მეფე, ძმები მისალმებით მისკენ მიემართებიან, იგი დაუყოვნებლივ იწვევს კრებას, გამოაცხადებს მის წინააღმდეგ ძმის მიერ ჩადენილ დანაშაულს, მიუთითებს შვილიშვილების შთამომავლობაზე, თუ როგორ დაიბადნენ ისინი, · როგორ იზრდებოდნენ, როგორ იცნეს ისინი, შემდეგ უშუალოდ როგორ მოიკლა ტირანი და აცხადებს, რომ ეს მისი წყალობით მოხდა. ჯაბუკნი მწყობრად წარდგნენ შეკრებულთა წინაშე და მიესალმნენ პაპას როგორც მეფეს, ამის მომდევნო ბრბოს შეთანხმებულმა ყიჟინმა განუმტკიცა მას მეფის სახელი და ძალაუფლება, გადასცეს რა ამგვარად ალბანიის სამეფო ნუმიტორს. რომულუსმა და რემუსმა მოისურვეს ქალაქის დაარსება იმ ადგილებში, სადაც ისინი გადაყრილი და აღზრდილი იყვნენ. ამასთანავე ალბანელებსა და ლათინებში მოსახლეობის სიჭარბე იყო; მათ შეუერთდნენ მწყემსები, ყველაფერი ეს ერთად კი იწვევდა იმედს, რომ ალბაცა და ლავინიაც მცირე იქნებოდნენ იმ ქალაქთან შედარებით, რომლის გაშენებასაც აპირებდნენ. მაგრამ ამ განზრახვას შეერია მავნე გავლენა პაპისეული ბოროტებისა — სამეფო ხელისუფლებისადმი მისწრაფებისა, რისი შედეგიც იყო სამარცხვინო ბრძოლა, სრულიად უბრალო რამეზე აღმოცენებული. რადგან ძმები ტყუბები იყვნენ და პირველშობილობის მიხედვით შეუძლებელი იყო საქმის გადაწყვეტა, ამიტომ რომულუსი ირჩევს პალატინუმის, რემუსი კი ავენტინუმის ბორცვს მკითხაობისთვის,[372] რათა ამ ადგილთა მცველმა ღმერთებმა, მოუვლინონ ნიშანი, თუ რომელმა ძმამ მისცეს ქალაქს სახელი და რომელმა განაგოს იგი.

ამბობენ, რომ ნიშანი — ექვსი ძერა — მოევლინა ჯერ რემუსს და ეს კიდეც გამოცხადდა, რომ რომულუსს ორმაგი რაოდენობით გამოეცხადა (ძერები); და, აი, ერთსაცა და მეორესაც მათი მომხრეების ბრბო მიისალმებოდა როგორც მეფის: ერთნი თავისი წინამძღოლისთვის მოით-

ხოვდნენ მეფობას დროის. მეორენი — ფრინველთა რიცხვის უპირატესობის საფუძველზე, ატყდა დავა, რაც მისგან გამოწვეული გაღიზიანებით ჩხუბად გადაიქცა, რომლის დროსაც არეულობაში მოკლული იქნა რემუსი.

მაგრამ უფრო გავრცელებულია გადმოცემა, რომ რემუსი, დასცინოდა რა ძმას, გადაახტა ახლად აგებულ კედელს; ამით გაბრაზებულმა რომულუსმა იგი მოკლა და მიაძახა: „ასე მოუვა ყველას, ვინც ჩემს კედლებს[173] გადაახტებაო". ამგვარად რომულუსი მარტო დაეუფლა სამეფოს. ხოლო ქალაქს ეწოდა დამაარსებლის სახელი.

ტრიბუნატის წარმოშობა

ტიტე ლივიუსი, II, 23, 24, 27—33.

წარმოიშვა ვოლსკებთან[174] ომის საფრთხე, თვით სახელმწიფოს შიგნით კი შუღლი მძვინვარებდა, სახელდობრ პლებეები ანთებული იყვნენ პატრიციებისადმი სიძულვილით, განსაკუთრებით იმათ გამო, ვინც დაეალიანებული მონობაში ვარდებოდა. პლებეებს შორის უკმაყოფილონი ჩიოდნენ, რომ ისინი, იბრძვიან რა სამშობლოს საზღვრებს გარეთ თავისუფლებისა და ძალაუფლების დასაცავად, შინ თავიანთი თანამოქალაქეების ტყვეობასა და ჩაგვრაში იმყოფებიან, რომ პლებეების თავისუფლება უფრო ნაკლებ საფრთხეშია ომის დროს, ვიდრე ზავის პირობებში, და მტერთა შორის, ვიდრე თანამოქალაქეთა შორის. ეს სიძულვილი, რომელიც თავისთავადაც მზად იყო გადმონთხეულიყო, გააღვივა ერთი გამოჩენილი კაცის უბედურმა მდგომარეობამ. ღრმად მოხუცებული იგი შეიპყრა ფორუმზე[175] თავისი უბედურების ყველა ნიშნითურთ. მისი ტანისამოსი ჯუჯუში იყო ამოსვრილი, უფრო შესაზარ სანახაობას წარმოადგენდა მისი სხეული, სიყვითლისა და სიგამხდრისგან გამოფიტული; ამას გარდა მოშვებული თმა-წვერი უფრო ველურ გამომეტყველებას აძლევდა მის სახეს. მაგრამ, ასეთი დამახინჯებისდა მიუხედავად, მისი ცნობა მაინც შეიძლებოდა: ამბობდნენ, რომ იგი ცენტურიონი იყო; თითონ მიუთითებდა თავისი მკერდის ნაჭრილობებზე, რაც მის მიერ რამდენიმე ადგილზე ბრძოლებში გამოჩენილ სიმამაცეს მოწმობდა. ბრბო, რომელიც სახალხო კრების მსგავსად გარს შემოერტყა, ეკითხებოდა მას, რათა აქვს ასეთი სახე, რათ არის ასე დამახინჯებული; მან უპასუხა, რომ იგი საბინელებთან ომში სამსახურის დროს ვალებში ჩავარდა, რადგან მინდვრების აოხრების გამო არა მხოლოდ მოსავალი დაეღუპა, არამედ მისი კალო (მეურნეობა) გადასწვეს, ყველაფერი გაძარცვეს, პირუტყვი გაიტაცეს; სწორედ მისთვის ასე საშინელ დროს მას დაადეს სამხედრო გადასახადი. პროცენტებით გაზრდილმა ვალმა ჯერ მამაპაპეული მიწა დააკარგვინა, შემდეგ დანარჩენი ქონება, და ბოლოს კი,

როგორც სენმა, მის სხეულსაც უწია: შევასშემ არა მხოლოდ ყმად წაიყვანა, არამედ მიწისქვეშა ჯურღმულში ჩააგდო იგი. შემდეგ მან უჩვენა ახლად ნაცემი, დამახინჯებული ზურგი. ამის გამგონემ და დამნახველმა ხალხმა საშინელი ხმაური ასტეხა. ხმაური ფორუმით არ შემოიფარგლა, არამედ გაისმოდა მთელ ქალაქში. დავალიანებულნი ბორკილგაყრილნი და უბორკილონი მიეშურებიან ქუჩებისაკენ. ემუდარებიან კვირიტებს დაიცვან ისინი. ყველგან ჩნდებიან ისეთნი, რომელნიც ხალისით ემხრობიან აჯანყებულებს. მრავალრიცხოვანი ბრბოები ყოველი მხრიდან, ყოველი გზით ხმაურით მირბიან ფორუმისაკენ. ის სენატორები, რომლებიც შემთხვევით მაშინ ფორუმზე აღმოჩნდნენ, მათთვის დიდი საფრთხის ქვეშ ამ ბრბოებში შეერივნენ და ისინი მათზე ხელს გამოიღებდნენ, კონსულები პუბლიუს სერვილიუსი და აპიუს კლავდიუსი რომ სასწრაფოდ საქმეში არ ჩარეულიყვნენ აჯანყების ჩაქრობის მიზნით. მაგრამ ბრბო გაემართა მათკენ, მიუთითებდა მათ თავის ბორკილებსა და უმსგავსობაზე. ბრბო გაიძახოდა: აი ჩვენი სამსახურის ჯილდო. თვითეული საყვედური ლაპარაკობდა სხვადასხვა ადგილას მის მიერ მიღწეულ სამხედრო დამსახურებაზე. უფრო მუქარით, ვიდრე მორჩილებით, პლებეები მოითხოვენ სენატის მოწვევას და გარს ერტყმიან კურიას, სურთ რა თვითონ შეიკრიბონ, უხელმძღვანელონ საზოგადოებრიეი კრების გადაწყვეტილებას. კონსულებმა ძლივს შეაგროვეს შემთხვევით იქ მყოფ სენატორთა სულ მცირე რაოდენობა; სხვებს შეეშინდათ გამოჩენილიყვნენ არა მხოლოდ კურიაში, არამედ ფორუმზეც კი. და ხალხის სიმცირის გამო რამე ბჭობა გაემართათ. მაშინ ბრბომ გადაწყვიტა, რომ მას დასცინიან და საქმეს განგებ აჭიანურებენ, რომ გამოუცხადებელი სენატორები ასე იქცევიან არა შემთხვევით, არა შიშის გამო, არამედ იმ მიზნით, რომ საქმე შეაფერხონ, ორჭოფობენ თვით კონსულებიც, და, ეჭვს გარეშეა, ხალხის უბედურება მხოლოდ დაცინვის საგნად არის გამხდარი. საქმე უკვე იქითკენ მიემართებოდა, რომ კონსულთა სიდიადეც კი ვეღარ მოახერხებდა აელაგმა გაღიზიანებული ბრბო, როდესაც ბოლოს და ბოლოს, თავს იყრიან დაგვიანებული სენატორები, რომელთაც აღარ იცოდნენ რა უფრო სახიფათო იყო — დაყოვნება თუ მისვლა. როდესაც კურია უკვე გაივსო, სრული თანხმობა არ იყო არა თუ სენატორთა, თვით კონსულთა შორისაც. აპიუსი, უდრეკი ხასიათის კაცი, ფიქრობდა, რომ საქმე უნდა გადაწყვიტოს კონსულის ძალაუფლებამ, — შეპყრობილ უნდა იქნას ერთი ორი და დანარჩენნიც დაწყნარდებიანო; უფრო მსუბუქ ღონისძიებათა მომხრე სერვულიუსი კი ფიქრობდა, რომ აღგზნებული განწყობილების დაწყნარება უფრო ადვილია, ვიდრე მისი ძალით ჩახშობაო.

ამასობაში ახალი დიდი საფრთხე ახლოვდებოდა: მოცვივდნენ ლათინთა ცხენოსნები საგანგაშო ამბით, რომ ვოლსკების მტრული ლაშქარი მოემართება, რათა ქალაქს ალყა შემოარტყას. ამ ცნობამ სრუ-

ლიად სხვადასხვა შთაბეჭდილება მოახდინა პატრიციებსა და პლებეებზე (ასე მკვეთრად გათიშა შეღლმა ერთი სახელმწიფო ორად). პლებეები მეტად გახარებული იყვნენ იმის გამო, რომ ღმერთები შურს იძიებენ პატრიციებზე მათი სიამაყისთვის, და ერთი-მეორეს აქეზებდნენ არ ჩაწერილიყვნენ ლაშქარში, გაიძახოდნენ რა, რომ სჯობია ყველანი ერთად დავიხოცნეთ, ვიდრე ცალ-ცალკე; დეე, პატრიციებმა იბრძოლონ, დეე, მათ მოჰკიდონ იარაღს ხელი, რათა სამხედრო საფრთხეც მათივე იყოს, ვინც მისგან სარგებლობას იღებსო. ამასობაში, როგორც თანამოქალაქეთაგან, ისე მტრებისაგან ორმაგი საფრთხით შეშინებული და დამწუხრებული სენატორები სთხოვენ კონსულ სერვილიუსს, რომელსაც უფრო ადვილად შეეძლო ხალხთან მორიგება, რათა გამოიხსნას სახელმწიფო უბედურებისაგან. მაშინ კონსულმა დაითხოვა სენატი და გამოცხადდა სახალხო კრებაში. მან აქ განუმარტა, რომ სენატი ზრუნავს ხალხის კეთილდღეობისათვის; მაგრამ საკითხთა განხილვას ხელი შეუშალა საფრთხემ მთელი სახელმწიფოს მიმართ. და შეუძლებელიც არის, როცა მტერი კარზეა მომდგარი, რამე გაკეთდეს ომამდე; კიდევაც რომ მოხერხდეს რამე მძიმე მდგომარეობის შესამსუბუქებლად, არ იქნებოდა პლებეებისთვის სასახელო, რომ მათ ხელი მოჰკიდეს იარაღს სამშობლოს დასაცავად მხოლოდ ჯილდოს წინასწარ აღთქმის შემდეგ; მეორეს მხრივ არც პატრიციებისთვის იქნებოდა ლამაზი, რომ მათ ზრუნვა გამოეჩინათ დაბეჩავებული ხალხის მდგომარეობის შესახებ უფრო საფრთხის წინაშე შიშის გავლენით და არა მის შემდეგ, კეთილი სურვილით. თავის ნათქვამი მან განამტკიცა ედიქტით, რომლითაც ყველას ეკრძალებოდა ჰყოლოდა რომაელი მოქალაქე ბორკილებში ან დამწყვდეული, რათა იგი დაუბრკოლებლივ ჩაწერილიყო კონსულებთან ლაშქარში, აგრეთვე ყველას ეკრძალებოდა ხელთ ეგდო ან გაეყიდნა მებრძოლის ქონება, ვიდრე პატრონი ბანაკში იმყოფებოდა, არც მისი შვილები და შვილიშვილები უნდა დაეკავებინათ. ამ ედიქტის გამოცხადებისთანავე იქ მყოფნი დავალიანების გამო მონობაში ჩაცვივნილნიც დაუყოვნებლივ ჩაეწერნენ ჯარში, და ყოველი მხრიდანაც, მთელი ქალაქიდან, კერძო პირთა სახლებიდან, სადაც მევახშეს აღარ შეეძლო ის დაეპირა, გამორბოდა ხალხი და ფორუმისაკენ მიისწრაფოდა ფიცის მისაღებად. ამგვარად შედგენილ იქნა დიდი რაზმი და ვოლსკებთან ომში ამ ხალხმა თავი ისახელა სიმამაცითა და ბეჯითობით.

მრავალ დღეთა განმავლობაში, მრავალ ომში გამარჯვებული, რომაელი ხალხი მოელოდა სენატის მიერ დამტკიცებულ კონსულის დაპირებათა შესრულებას, რომ უცებ აპიუსმა, მტრული სიამაყის გამოც და იმ სურვილითაც, რომ შეერყია ამხანაგისადმი ნდობა, ხელი მიჰყო ვალების შესახებ საქმეების განსაკუთრებული სიმკაცრით გადაწყვეტას. მერე კი, ისინი, ვინც მონობაში იყვნენ ჩაცვივნილი, ისევ მევახშეებს დაუბრუნეს და დაიწყო სხვებისაც მონებად გადაქცევა. თვითეულ შემ-

ასკეევაში, როცა მეომართაგან ვისმე ეს შეეშთხვეოდა, იგი ასაჩივრებ-
კონსულ სერვილიუსთან, მასთან ბლომად იყრიდნენ თავს, მიუთი-
თებდნენ მის შეპირებებზე. თვითეული საყვედურით უჩვენებდა მას
თავის სამსუდრო ჯილდოებსა და ნაშრომობებს. მოითხოვდნენ, რათა
მას ან სენატისთვის მოეხსენებინა საქმის ვითარება, ანდა კონსულის
წოდების მქონეს აღმოეჩინა დახმარება თანამოქალაქეთათვის, როგორც
სარდალს ჯარისკაცთათვის. კონსულს ეს აღელვებდა. მაგრამ იძულე-
ბული იყო ეორჭოფნა, იმდენად ძლიერად იხრებოდა მოწინააღმდეგე
პარტიის სასარგებლოდ არა მხოლოდ მისი ამხანაგი, არამედ წარჩინე-
ბულთა მთელი პარტია. მეორენი მას სუსტ და პატივმოყვარე კონსუ-
ლად თვლიდნენ, პლებეები კი — ფლიდად. მაგრამ პლებეებში გაიღვიძა
სიძამაცემ და მათ დაიწყეს სულ სხვა გზით მოქმედება, ვიდრე უწინ.
დაკარგეს რა კონსულისა და სენატის დახმარების იმედი, ისინი, რო-
გორც კი დაინახავდნენ, რომ რომელიმე დავალიანებული სასამართლოში
მიჰყავთ, ყოველი მხრიდან მოგროვდებოდნენ ხოლმე. ამასთანავე აურ-
ზაურსა და ხმაურში შეუძლებელი იყო ხოლმე კონსულის განკარგულე-
ბათა მოსმენა, და მის განკარგულებას არც არავინ ემორჩილებოდა. მი-
მართეს ძალდატანებას და შიში და საფრთხე თავისუფლების დაკარგვი-
სა დავალიანებულთაგან მევახშეებზე გადავიდა, რადგან კონსულის
თვალწინ ცალკეულმა პირებმა უკვე განიცადეს ძალდატანება უმრავლე-
სობისაგან. ამას ზედ დაერთო საბინელებთან ომის საფრთხე; გამოცხად-
და გაწვევა. მაგრამ არავინ ეწერებოდა.

შემდეგ კონსულობა მიიღეს ავლუს ვირგინიუსმა და ტიტე ვეტუ-
ზიუსმა. მაგრამ აქ პლებეებმა, არ იცოდნენ რა როგორი გამოდგებოდ-
ნენ ეს კონსულები, დაიწყეს ღამღამობით თავის მოყრა ნაწილობრივ
ავენტინუმზე; ნაწილობრივ ესკვილინუმზე,[170] რათა იმ შემთხვევაში, თუ
ფორუმზე მიღებული იქნებოდა განსაკუთრებული ღონისძიებანი, არ
დაბნეულიყვნენ და არ ემოქმედათ უგუნურად და ალალბედზე. კონ-
სულებმა ეს სახიფათოდ მიიჩნიეს — მართლა ასეც იყო — და წარუდგი-
ნეს სენატს მოხსენება, მაგრამ სენატორთა აზრის რიგის მიხედვით გა-
მოკითხვა შეუძლებელი შეიქნა: სენატორები საშინელი ხმაურითა და
ყვირილით შეხვდნენ ამ საქმეს, კონსულების მიმართ კი ბრაზით აღივ-
სნენ, რომ ისინი თავიდან იხსნიან პასუხისმგებლობას იმაზე, რაც უნდა
შეესრულებინათ მათ ხელში მყოფი ძალაუფლების საშუალებით. რასა-
კვირველია, რესპუბლიკას რომ ნამდვილი თანამდებობის პირნი ჰყავდეს,
რომში იქნებოდა მხოლოდ ოფიციალური საზოგადოებრივი კრებები;
ეხლა კი რესპუბლიკა დაქუცმაცებული და გაბნეულია ათას კურიებად
და კრებებად, რადგან ზოგი კრება ესკვილინუმზე იმართება, ზოგი ავენ-
ტინუმზე... ამ განკიცხვის შემდეგ კონსულთა შეკითხვაზე, თუ მაშ რო-
გორ უნდა მოიქცნენ ისინი, მზად არიან რა შეასრულონ სენატორთა
ნება-სურვილი მთელი თავისი ენერგიითა და სიმკაცრით, უკანასკნელნი

გადასწყვეტენ მოახდინონ ჯარში გაწვევა შესაძლებელი სისასტიკით, რადგან პლებეები უსაქმურობისაგან გათავხედდნენო. კონსულებმა სენატი დაითხოვეს, ავიდნენ ტრიბუნაზე და დაიწყეს უმცროსთა სახელობითი გამოძახება. მათ არავინ გამოეხმაურა; მაშინ ბრბო, რომელიც ტრიბუნას გარს შემოხვეოდა, აცხადებს, რომ პლებეებს მეტს ვეღარ მოატყუებენ; კონსულები ვერასოდეს ვეღარ მიიღებენ ვერც ერთ ჯარისკაცს, თუ სახელმწიფო არ შეასრულებს თავის შეპირებებს. ვიდრე იარაღი დარიგდებოდეს, იქამდე თვითოეულს თავისუფლება დაუბრუნდეს, რათა მათ ჰქონდეთ შესაძლებლობა იბრძოლონ სამშობლოსა და თანამოქალაქეთათვის და არა ბატონებისათვის. კონსულები, ხელავდნენ რა დავალებაც მისცა მათ სენატმა და იმასაც, რომ არც ერთ მათგანს, ვინც კურიის კედლებს შიგნით თავგამეტებით ლაპარაკობდა, არ სურდა მათ ამ მძიმე მდგომარეობაში დახმარებოდა, და აშკარა იყო, რომ ხალხთან მძიმე ბრძოლა მოელოდათ, ამიტომ, ვიდრე უკიდურეს ზომებს მიიღებდნენ, გადასწყვიტეს კვლავ სენატთან მოთათბირება. მაგრამ აქ კონსულთა სავარძლებთან მიიჭრა ყველა უმცროსი სენატორი და მოითხოვეს, რათა ისინი გადადგნენ თანამდებობიდან და მოიხსნან უფლებანი, რის შესანარჩუნებლადაც მათ ვაჟკაცობა არა ჰყოფნით. გაიგეს რა საკმაოდ პლებეებისა და სენატის განწყობილება, კონსულები მხოლოდ მაშინ აცხადებენ: „მამებო სენატორებო, რათა თქვენ მერე არ შეგეძლოთ თქმა, რომ არ გაგაფრთხილეთ, იცოდეთ, რომ მოსალოდნელია დიდი აჯანყება. ჩვენ მოვითხოვთ, რათა ისინი, ვინც ჩვენ განსაკუთრებით გვკიცხავს, მოგვეხმაროს ჯარისკაცთა შეგროვებაში. თუ თქვენ ასე გსურთ, ჩვენ შევასრულებთ საქმეს იმათი აზრის თანახმად, ვინც გადამწყვეტ ზომებს მოითხოვს“. ისინი დაბრუნდნენ ტრიბუნაზე, განგებ უბრძანებენ გამოიძახონ ერთ-ერთი იქვე ახლოს მდგომი. რადგან ის ჩუმად იდგა და მის გარშემო, რათა მისთვის ძალა არ დაეტანებინათ. — თავი მოიყარა რამდენიმე კაცმა, კონსულებმა მასთან გაგზავნეს ლიქტორი.[177] მას ხელი ჰკრეს. მაშინ ყვირილით, რომ ეს საქციელი აღმაშფოთებელია. სენატორები, რომლებიც კონსულებს ეხმარებოდნენ, ტრიბუნიდან მიისწრაფიან ლიქტორის დასახმარებლად. მაშინ ხალხი, რომელმაც მათ მხოლოდ გამოძახებულის წაყვანის ნება არ მისცა, სენატორებს დაესხა თავს. ჩხუბი კონსულის ჩარევამ დააშოშმინა ისე, რომ არა ყოფილა ხმარებული არც ქვა, არც იარაღი და საერთოდ ყვირილი და გაბრაზება მეტი იყო, ვიდრე შეურაცხყოფა მოქმედებით. მღელვარებით იქნა მოწვეული სენატი. უფრო მღელვარე იყო თათბირი, ამასთანავე ნაცემი სენატორები მოითხოვდნენ საგანგებო გამოძიებას და ყველანი, უკიდურესად გაღიზიანებულნი, გამოსთქვამდნენ თავის აზრს არა ხმის მიცემით, არამედ ხმაურითა და ყვირილით. დაბოლოს, როცა გაღიზიანება დაცხრა, კონსულთა საყვედურის შემდეგ, რომ კურიაში სრულიადაც იმაზე მეტი კეთილგონიერება არა სუფევს, ვიდრე ფორუმზე, შეიქმნა

შესაძლებლობა ხმის მიცემის წესიერად მესრულებისა. სამი სხვადასხვა აზრი გამოითქვა. პუბლიუს ვირგინუსი ფიქრობდა, რომ ეს საქმე არ უნდა გაურცელდეს ყველა დავალიანებულზე, არამედ მხედველობაში უნდა გვყავდეს ისინი, ვინც კონსულ პუბლიუს სერვილიუსის დაპირებას დაუჯერა და წავიდა ვოლსკებთან, ავრუნკებთან და საბინელებთან ომშიო. ტიტე ლარციუსის აზრით, ეხლა ის დრო არ არის, რომ მხოლოდ დამსახურებისთვის ჯილდოები ვარიგოთ, პლებეები ყველანი შევიწროებული არიან ვალებით და მათი შველა მხოლოდ საერთო ღონისძიებებს შეუძლიანო; პირიქით, თუ ერთის მდგომარეობა ერთნაირი იქნება, მეორისა კი — მეორენაირი, ეს უმალ გააღვივებს შუღლს, ვიდრე დააშოშმინებსო. აპიუს კლავდიუსი. ბუნებითაც მკაცრი და გაღიზიანებული ერთის მხრივ პლებეებისადმი სიძულვილით, მეორეს მხრივ სენატორებისაგან შექებით, — ამბობს, რომ ამდენი უწესობანი აღმოცენდა არა უბედურობისაგან, არამედ თვითნებობისაგან; პლებეები უფრო ერთობიან, ვიდრე მძვინვარებენო. მთელი ბოროტება სწორედ გასაჩივრების უფლებაში მდგომარეობს.[178] კონსულები უფრო მეტად იმუქრებიან, ვიდრე მბრძანებლობენ. რამდენადაც შეიძლება გასაჩივრება მასთან, ვინც სხვებთან ერთად დამნაშავეა. „აბა, — დაასკვნა მან — ავირჩიოთ დიქტატორი,[179] რომლის მიმართ გასაჩივრება არ არსებობს, და ეს მძვინვარება, რომლისგანაც ყველაფერს ცეცხლი ეკიდება, მყისვე დაცხრება. დეე, მაშინ ჰკრას ვინმემ ხელი ლიქტორს, ეცოდინება რა, რომ მისი ზურგი, სიცოცხლე იმის ხელშია, ვისი დიდებულებაც მან შეურაცხყო“-ო.

ბევრს აპიუსის აზრი მკაცრ და სასტიკად ეჩვენებოდა, როგორც იგი მართლაც იყო სინამდვილეში; მეორეს მხრივ არც ვირგინიუსისა და ლარციუსის აზრები მოასწავებდა ხსნას, როგორც ცუდი მაგალითის მიმცემი; ყოველ შემთხვევაში ლარციუსის აზრი მიაჩნდათ ისეთად, რომელსაც შეუძლია მოსპოს ყოველგვარი კრედიტი. განსაკუთრებით ნეიტრალურად და ზომიერად, ორ წინამოხსენებულთან შედარებით, მიაჩნდათ ვირგინიუსის აზრი. მაგრამ პარტიულობის და კერძო ინტერესებისადმი პატივისცემის გამო, რაც ყოველთვის ხელს უშლიდა და მომავალშიც შეუშლის საზოგადოებრივ გადაწყვეტილებებს, გაიმარჯვა აპიუსმა და საქმე თითქმის სრულდებოდა იმით, რომ იგივე იქნებოდა დიქტატორად არჩეული. ყოველ შემთხვევაში ეს გარემოება გასთიშავდა პლებეებს რესპუბლიკისაგან მეტად სახიფათო დროს, როდესაც ვოლსკები, ეკვები[180] და საბინები შემთხვევით ყველანი ერთად იარაღასხმული იყვნენ. მაგრამ კონსულებმა და უხუცესმა სენატორებმა იზრუნეს, რათა ასეთი ძლიერი ხელისუფლების მქონე თანამდებობა რგებოდა თვინიერ ადამიანს. მათ აირჩიეს დიქტატორად მანიუს ვალერიუსი, ვოგეზის შვილი. თუმცა პლებეები ხედავდნენ, რომ დიქტატორი მათ წინააღმდეგ არის არჩეული, მაგრამ, რადგან გასაჩივრების უფლება მათ მიღებული ჰქონდათ ამ დიქტატორის ძმის მიერ გატარებული კანონით, არა ჰქონ-

დათ ამ იჯახისაგან სიმკაცრისა და ქედმაღლობის შიში. მერე ისინი კარგ კუნებაზე დააყენა დიქტატორის მიერ გამოქვეყნებულმა ედიქტმა, რომელიც თითქმის კონსულ სერვილიუსის ედიქტს შეესაბამებოდა. მაგრამ მათ, გადაწყვიტეს რა, რომ შეიძლებოდა ნდობოდნენ როგორც ადამიანს, აგრეთვე მის ხელისუფლებას, აიღეს ბრძოლაზე ხელი და დაიწყეს (ჯარში) ჩაწერა. შეგროვდა ლაშქარი ისეთი რაოდენობით, როგორც უწინ არასოდეს ყოფილა, — ათი ლეგიონი; ამათგან სამ-სამი მიეცა კონსულებს, ოთხი მიიღო დიქტატორმა.

ომში წარმატების შემდეგ არც პატრიციებსა და არც პლებეებს არ შეუწყვეტიათ ზრუნვა შინაურ უთანხმოებაზე. ისეთი ძლიერი გავლენით, ისეთი ხელოვნებით მოამზადეს მევახშეებმა ის, რასაც უნდა მოეტყუილებინა არა მხოლოდ პლებეები, არამედ თვით დიქტატორიც. სახელდობრ, ვალერიუსმა, კონსულ ვეტუზის დაბრუნების შემდეგ, პირველ ყოვლისა, სენატს მოახსენა ძლევამოსილი ხალხის შესახებ და დაიწყო საკითხი როგორ ინებებდნენ მოპყრობოდნენ დავალიანების გამო მონათქცეულთ. რადგან ეს წინადადება უარყოფილ იქნა, მან სთქვა: „თქვენ არ მოგწონთ, რომ მე შეთანხმების მომხრე ვარ; პატიოსნებას ვფიცავ, თქვენ სულ მალე ინატრებთ, რათა რომაელ პლებეებს ჰყავდეთ ჩემისთანა დამცველები. რაც შემეხება მე, მეტს ვეღარ მოვატყუილებ ჩემს თანამოქალაქეებს და ცბიერად აღარ დავრჩები დიქტატორად. შინაგანმა შუღლმა, საგარეო ომმა გამოიწვია სახელმწიფოსათვის ამ თანამდებობის აუცილებლობა, საგარეო მშვიდობა მიღწეულია, შინ იგი არ გაგვაჩნია. უმჯობესია აღრეულობის დროს მე ვიყო კერძო პირი, ვიდრე დიქტატორი"-ო. ამის მთქმელი იგი გამოვიდა კურიიდან და მოიხსნა დიქტატორის თანამდებობა. პლებისთვის ცხადი იყო, რომ მან მიატოვა თანამდებობა მათი გულისთვის აღშფოთების გამო. იმიტომ ისინი მიაცილებდნენ მას გზაში, გამოთქვამდნენ რა მისდამი თანაგრძნობასა და შექებას, ისე, თითქოს შეესრულებინოს მას თავისი შეპირება. რადგან იგი არ იყო დამნაშავე მის შეუსრულებლობაში.

შემდეგ პატრიციები მოიცვა იმის შიშმა, რომ თუ ლაშქარს დაითხოვდნენ, კვლავ დაიწყებოდა საიდუმლო შეკრებანი და შეთქმულებანი. ამიტომ, თუმცა ლაშქარი შეკრებილი იყო დიქტატორის მიერ, მათ ბრძანეს გაეყვანათ ლეგიონები ქალაქ გარეთ ეკვებთან[180] ომის განახლების საბაბით, იმედოვნებდნენ რა, რომ ჯარისკაცებს დააკავებდნენ იმ ფიცით, რომელიც ამ უკანასკნელთ წარმოსთქვეს კონსულების წინაშე.

ამ გარემოებამ დააჩქარა აჯანყება. პირველად, როგორც ამბობენ, ლაპარაკი ყოფილა კონსულების დახოცვაზე, მაგრამ შემდეგ გაუგიათ, რომ დანაშაული არა სპობს არავითარ რელიგიურ ვალდებულებას, პლებეები, ვინმე სიცინიუსის რჩევით, კონსულების ბრძანების გარეშე, გაიხიზნენ სამღვთო მთაზე, მდინარე ანიენის იქით, ქალაქიდან სამი მილის დაშორებით. ეს ცნობა უფრო მეტად არის გავრცელებული, ვიდრე პი-

ზონის მიერ გადმოცემული, რომ გახიზვნა ავენტინუმის ბორცვზე მოხდაო. იქ, გაამაგრეს რა ბანაკი ნაყარითა და თხრილით, ისე რომ არავინაჰყოლიათ წინამძღოლად, და მიიტანეს რა მხოლოდ ის, რაც გამოსაკვებად იყო აუცილებელი, მათ იქ გაატარეს რამდენიმე დღე მშვიდად, ისე, რომ არც არავინ შეუწუხებიათ ღა არც არავისგან ყოფილან შეწუხებული. ქალაქი ძლიერმა პანიკამ მოიცვა და ურთიერთ შიშისგან ყველანი ძლიერ ღელავდნენ: თავისიანთაგან მიტოვებულ პლებეებს ეშინოდათ პატრონთა მხრივ ძალადობის, უკანასკნელთ კი — ქალაქში დარჩენილ პლებეებისა, არ იცოდნენ რა როგორ მოიქცეოდნენ ისინი, უპირატესობას მისცემდნენ დარჩენასა თუ წასვლასა. და როდემდის დარჩებოდა გახიზნული ბრბო წყნარად; რა მოხდება შემდეგ, ამასობაში რომ რომელიმე საგარეო ომმა იფეთქოს. პატრიციები იმ დასკვნამდე მივიდნენ, რომ აღარაფრის იმედი აღარ რჩებოდა, მოქალაქეებთან შეთანხმების გარდა: ისინი სიმართლით თუ ტყუილით უნდა დაებრუნებიათ სახელმწიფოსთვის.

ამგვარად გადაწყდა გაეგზავნათ პლებეებთან შუამავლად მენენიუს აგრიპა, კაცი მჭერმეტყველი და მათთვის ძვირფასი, რადგან იგი მათი წრიდან იყო გამოსული. ბანაკში რომ შეუშვეს, მან, გადმოცემის თანახმად, ძველებური ბუნებრივი მჭერმეტყველებით უამბო მათ შემდეგი: იმ დროს, როდესაც ადამიანის ორგანიზმში არ იყო ასეთი ჰარმონია, როგორც ეხლაა, ხოლო თვითეულ ორგანოს ჰქონდა თავისი ნება-სურვილი, თავისი ენა, სხეულის დანარჩენი ნაწილები, ბრაზმა მოიცვა იმის გამო, რომ თავისი ზრუნვით, შრომითა და სამსახურით ისინი ყველაფერს ამზადებენ კუჭისთვის და თვითონ ის კი, შუაში დაბრძანებული, მხოლოდ განცხრომაშია შეთავაზებული კმაყოფილებით. ამიტომ ისინი შეითქვნენ, რათა ხელმა პირთან საჭმელი აღარ მიიტანოს, რათა პირმა აღარ მიიღოს, რასაც მას აწვდიან. კბილებმა კი იგი აღარ დაღეჭონ. ამ გაბოროტებისაგან და იმ სურვილით, რომ შიმშილით აელაგმათ კუჭი, მთელი სხეული და მისი ყველა წევრი ერთად საშინლად დაძაბუნდნენ. აქედან გამოირკვა, რომ არც კუჭის სამსახური ყოფილა ნაკლებმნიშვნელოვანი, რომ ის იმდენადვე იკვებება, რამდენადაც ჰკვებავს სხვას, აბრუნებს რა სხეულის ყველა ნაწილში, საღინარებში თანაბრად განაწილებულ, გადახარშულ საჭმლით დამზადებულ სისხლს. მან შეადარა, თუ რამდენად შინაგანი ამბოხი წააგავს პლებეების პატრიციებზე განრისხებას, შესძლო ხალხის გუნებ-განწყობილების შეცვლა.

მერე დაიწყო შერიგებაზე მოლაპარაკება; შეთანხმებას მიაღწიეს იმ პირობით, რათა პლებეებს ჰყოლოდათ თავისი თანამდებობის პირნი ხელშეუხებელნი, რათა მათ ჰქონოდათ უფლება აღმოუჩინონ პლებეებს დახმარება კონსულების წინააღმდეგ და რათა პატრიცთაგან არავის ჰქონოდა უფლება მიეღო ეს თანამდებობა. ამგვარად არჩეულ იქნა ორი სახალხო ტრიბუნი:[181] გაიუს ლიცინიუსი და ლუციუს ალბინიუსი. ამათ-

აძოირჩიეს თავისთვის საძი ამხანაგი. ბათ შორის იყო სიცინიუსიც, რომლის რჩევითაც გახიზვნა მოხდა; ორი დანარჩენის ვინაობა სადავოა. ზოგნი ამტკიცებენ, რომ სამღვთო მთაზე მხოლოდ ორი ტრიბუნი აირჩიესო და იქვე მიიღეს ხელშეკრულების შესახებ კანონიო...

პუნიკური ომები

კანასთან ბრძოლა

ტიტე ლივიუსი, XX, 45 — 47, 54.

ვიდრე კონსულები უსარგებლოდ კარგავდნენ დროს არა იმდენად მოქმედებათა გეგმების განსჯაზე, რამდენადაც ურთიერთ დავაზე, ჰანიბალმა, არ დაუშლია რა დღის დიდ მანძილზე ჯარის სამარი წყობა, მთელი თავისი ძალები უკან ბანაკში წაიყვანა, ნუმიდიელები კი გაგზავნა მდინარე აუფიდუსის[*] მეორე ნაპირზე, რათა თავს დასხმოდნენ რომაელებს, რომლებიც წყლისთვის დაიარებოდნენ მცირე ბანაკიდან. ნაპირზე გადასვლისთანავე ნუმიდიელებმა ყვირილითა და მუქარით გააქციეს ეს უმწყობრო ბრბო და მიიკრნენ თვით სადარაჯო პუნქტამდე, რომელიც ნაყარ წინ იყო და თითქმის თვით ჰიმკარს მიაღწიეს. რომაელები აღშფოთებული იყვნენ, რომ უკვე მათ ბანაკს ემუქრება მტრების უმწყობრო დამხმარე რაზმი; რომაელების მდინარეზე დაუყოვნებლივ გადასვლასა და საბრძოლო წესით წინსვლას მხოლოდ ერთმა იმ მიზეზმა შეუშალა ხელი, რომ იმ დღით მთაყარი ძალაუფლება კონსულ პავლეს ეკუთვნოდა.[**] ამიტომ მეორე დღეს კონსულმა ვარონმა, რომლის სარდლობის ჯერიც იყო, ამხანაგთან ყოველგვარი მოთათბირების გარეშე, მისცა ნიშანი და სამარი წესზე დაწყობილი ჯარი მდინარეზე გადაიყვანა. პავლე მას უკან გაჰყვა, რადგან მას მხოლოდ შეეძლო არ მოეწონებინა მისი გადაწყვეტილება, მაგრამ დაუხმარებლად კი ვერ დატოვებდა მას. მდინარეზე გადასვლისთანავე ისინი შემოიერთებენ მცირე ბანაკში მყოფ ჯარს და ეწყობიან სამარ წესზე შემდეგნაირად: მარჯვენა ფლანგზე — იგი მდინარესთან ახლოს იყო — ათავსებენ რომაელ ცხენოსნებს, შემდეგ ქვეითებს; მარცხენა ფლანგის კიდე დაიკავეს მოკავშირეთა ცხენოსნებმა, უფრო ახლოს იდგა ქვეითი ჯარი, რომელიც ცენტრში რომაულ ლეგიონებს უერთდებოდა. მოწინავე რაზმს შეადგენდნენ მეშაურდულეები დანარჩენ მსუბუქად შეიარაღებულ დამხმარე ჯართან ერთად. კონსულები მეთაურობდნენ ფლანგებს — ტერენციუს ვარონი მარცხენას, ემილიოს პაელე მარჯვენას, საბრძოლო ხაზის ცენტრის სარდლობა ჩაბარებული ჰქონდა გემინუს სერვილიუსს.

განთიადზე, წინ გაგზავნა რა ბალეარიები[184] და სხვა მსუბუქად შეიარაღებული ძალები, ჰანიბალმა გადალახა მდინარე და, იმისდა მიხედვით როგორც გადადიოდნენ ჯარები მდინარეს, იგი აწყობდა მათ საომარ წესზე; გალებისა და ესპანელების ცხენოსნები მან მოათავსა მარცხენა ფლანგზე ნაპირის მახლობლად, რომაელთა ცხენოსნების პირდაპირ, მარჯვენა ფლანგი ნუმიდიელ ცხენოსნებისთვის იყო განკუთვნილი, ამასთანავე ცენტრი შემაგრებული იყო ქვეითი ჯარით; ისე, რომ ორივე ფლანგი აფრიკელებს ეჭირათ, მათ შორის კი გალები და ესპანელები იყვნენ მოთავსებული. აფრიკელები რომაელების რაზმი ეგონებოდა კაცს, რადგან ისინი შეიარაღებული იყვნენ ტრებიასთან[185], უმთავრესად კი ტრაზიმენთან[186] რომაელებისთვის წართმეული საჭურველით. გალებსა და ესპანელებს ფარები თითქმის ერთნაირი ფორმისა ჰქონდათ, მახვილები კი — სხვადასხვანაირი და არა ერთიმეორის მსგავსი, — გალებს მეტად გრძელი და ბოლოკვეთილი, ესპანელებს, რომლებიც თავდასხმის დროს მტრის უფრო განგმირვას იყვნენ ჩვეულნი, ვიდრე ჩეხვას — მოკლე და ამიტომ უფრო მოხერხებული და წვეტიანი. მართალია, სხვა მხრივაც ეს ტომები საშინელი იყვნენ, როგორც უზარმაზარი ახოვანებით, ისე გარეგნობითაც: გალები წელამდე შიშველნი იყვნენ, ესპანელებს კი ტილოს, შესანიშნავი სითეთრისა და ბჟყვრიალების ძოწეულ ჩაქსოვილი ქურთაკები ეცვათ, ქვეითი ჯარის, რომელიც მაშინ მწყობრში იდგა, საერთო რიცხვი 40.000 იყო, ცხენოსნები კი 10.000 შეადგენდა. ფლანგებს მეთაურობდნენ სარდლები: მარცხენას — ჰასდრუბალი, მარჯვენას — მაგარბალი; წყობის ცენტრი ჰანიბალმა დაიტოვა თავისთვის და თავის ძმის მაგონისათვის. განგებ იყვნენ კართაგენელები ასე მოთაესებული, თუ შემთხვევით იდგნენ ასე, მოხდა ისე, რომ მზე სწორედ დროულად მათ ორივე ნაწილს ანათებდა ირიბი სხივებით, რადგან ისინი სახით ჩრდილოეთისკენ იყვნენ მიმართული, რომაელები კი — სამხრეთისკენ; ქარი — ამ ოლქის მცხოვრებნი მას ვულტურნს უწოდებენ — პირდაპირ რომაელების წინააღმდეგ ქროდა, და აყრიდა რა მათ პირისახეში ბლომად მტვერს, ხელს უშლიდა მათ წინ ეცქირათ.

ღაცეს რა სამხედრო ყიჟინა, წინ გამოხტნენ დამბმარე ჯარები და გააჩაღეს ბრძოლა ჯერ მსუბუქად შეიარაღებულებმა, შემდეგ, გალებისა და ესპანელების ცხენოსართაგან შემდგარი, მარცხენა ფლანგი შეება რომაელთა მარჯვენა ფლანგს, ამასთანავე ბრძოლა სრულებით არა ჰგავდა ცხენოსანთა ბრძოლას: რადგან მხედრებს უხდებოდათ პირისპირ ბრძოლა იმის გამო, რომ მათ ერთის მხრივ მდინარე; ხოლო მეორეს მხრივ ქვეითი ჯარის რაზმი ჰკეტავდა რა სრულიად, არა რჩებოდა მანძილი საჭირო მოძრაობისათვის. ამგვარად მოძრაობა სულ პირდაპირი მიმართულებით წარმოებდა; ხოლო, როდესაც ცხენები გაჩერდნენ და ყველაფერი ერთად შეჯგუფდა, მეომრები ერთი მეორეს ეჯიბრებოდნენ და ცხენებიდან ძირსა ჰყრიდნენ. ამიტომ ბრძოლამ უფრო ქვეითი

ჯარის შეტაკების ხასიათი მიიღო; მაგრამ იგი იმდენად ხანგრძლივი არა ყოფილა, რამდენადაც მძაფრი იყო, და დამარცხებულმა რომაელთა ცხენოსანმა ჯარმა მტერს ზურგი უჩვენა. ცხენოსანთა შეტაკება რომ მთავრდებოდა, დაიწყო ბრძოლა ფეხოსანთა, პირველად თანაბარი ძალითაცა და სიმამაცითაც, ვიდრე ესპანელების და გალების რაზმები თავის ადგილზე რჩებოდნენ; დაბოლოს, ხანგრძლივი და მრავალჯერი ცდის შემდეგ, რომაელებმა, თავისი მშვიდრო წყობით, რომელიც მრუდე ხაზს წარმოადგენდა, გასტეხეს მტრის ფალანგა, რომელიც მისი წყობის წინ იყო წამოწეული, თხლად იყო განლაგებული და ამიტომ სუსტი იყო. შემდეგ, როცა დამარცხებული მტრები შიშით უკუიქცნენ, რომაელებმა მიიტანეს მათზე იერიში და წინ მიიწევდნენ რა გაქცეულთა შორის, რომელთაც შიშისგან თავგზა აებნათ, ერთბაშად შეაღწიეს ჯერ ცენტრის შუაგულში, არ შეხვედრიათ რა წინააღმდეგობა, — და ბოლოს მისწვდნენ აფრიკელთა დამხმარე რაზმებს, რომლებიც, ორივე ფლანგის უკუქცევის შემდეგ, დარჩნენ ცენტრში, საგრძნობლად წინ რომ იყო წამოწეული და აგრეთვე გალებსა და ესპანელებს ეჭირათ. როდესაც ამ შვერილზე მდგომი ჯარისკაცები დამარცხებულნი გაიქცნენ და ამგვარად ფრონტის ხაზი ჯერ გასწორდა, ხოლო მერე, შემდგომი უკანდახევის გამო, შეიქმნა შუაში გაღუნული ხაზი, — აფრიკელებმა წინ წაიწიეს ორივე მხარეზე და ფლანგებით გარს შემოერტყნენ რომაელებს, რომლებიც წინდაუხედავად მტრის ცენტრისკენ მიისწრაფოდნენ. გაეცინეს რა თანდათან ფლანგები. კართაგენელებმა მალე ჩაკეტეს მტრები ზურგიდანაც. ამ მომენტიდან რომაელებმა, დაამთავრეს რა უსარგებლოდ ერთი ბრძოლა და მიატოვეს რა გალები და ესპანელები, რომელთა უკანა რიგებსაც ისინი ძლიერ ურტყამდნენ, იწყებენ კართაგენელებთან ახალ ბრძოლას, არათანაბარს, არა მხოლოდ იმიტომ, რომ გარსშემორტყმულები იბრძოდნენ გარსშემომრტყმელებთან, არამედ იმიტომაც, რომ დაღლილები იბრძოდნენ მტერთან, რომელსაც გააჩნდა ახალი და მხნე ძალები.

უკვე რომაელთა მარცხენა ფლანგზეც, სადაც მოკავშირეთა ცხენოსნები ნუმიდიელების წინააღმდეგ იდგნენ, დაიწყო შეტაკება, ჯერ ჩანტად, რომლის დროსაც კართაგენელებმა იწყეს მზაკვრული მოქმედება. თითქმის 500 ნუმიდიელი, რომლებსაც ჩვეულებრივ იარაღსა და ისრებს გარდა ჰქონდათ ჯავშანქვეშ დამალული მახვილები, — ვითომდა როგორც მოღალატენი, ზურგზე ფარდაგდებულნი ახლოს მივიდნენ რომაელებთან, უცბად ჩამოხტნენ ცხენებიდან და ღაჭყარეს რა მტრის ფეხებთან ფარები და ისრები, მათგან მიღებულ იქნენ ცენტრში, შემდეგ კი არიერგარდში გადაიყვანეს და უბრძანეს იქ ზურგში დაბანაკებულიყვნენ. და ვიდრე ბრძოლა ჩაღდებოდა ყოველმხრივ, ისინი წყნარად იყვნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც ყველას ყურადღება და მზერა მიპყრობილი იყო ბრძოლისაკენ, ნუმიდიელებმა სტაცეს ხელი დახო-

ცილთა გვამებს შორის მიმობნეულ ფარებს, თავს დაესხნენ რომაელებს უკანიდან, და სცემდნენ რა რომაელებს ზურგში და წვიებში, მიაყენეს მათ საშინელი ზიანი და უფრო მეტი პანიკა და არეულობა გამოიწვიეს. მაშინ, როდესაც ერთგან ადგილი ჰქონდა შეშინებულ რომაელთა გაქცევას, მეორეგან კი — თავგანწირულ ბრძოლას, თუმცა გამარჯვების უკვე ნაკლები იმედით, ჰასდრუბალმა, რომელიც ამ ნაწილს სარდლობდა, წყობის ცენტრიდან გამოიყვანა ნუმიდიელები, რადგან ისინი ზანტად იბრძოდნენ მათ წინააღმდეგ რომაელებთან, და გაგზავნა ისინი ყოველმხრივ დასდევნებოდნენ გაქცეულ რომაელებს, ხოლო ესპანელთა და გალთა ცხენოსნები შეუერთა აფრიკელებს, რომლებიც თითქმის მოქანცული იყვნენ არა იმდენად შეტაკებით, რამდენადაც მტრის ჩეხვით.

ბრძოლის ველის მეორე მხარეზე კონსული პავლე. ბრძოლის დაწყებისთანავე მძიმედ დაჭრილი შურდულის ქვით, მაინც მეომართა მჭიდრო გუნდით არა ერთხელ თავს ესხმოდა ჰანიბალს და რამდენიმე ადგილას აღადგინა რომაელთა ბრძოლის ხაზი; მას იფარავდნენ რომაელი მხედრები, რომელთაც ბოლოს მიატოვეს ცხენები, რადგან კონსულს თანდათან ძალა ელეოდა და ცხენს ვეღარ იმორჩილებდა. ამბობენ მაშინ ჰანიბალმა, მიიღო რა ცნობა, რომ კონსულმა მხედრებს დაქვეითება უბრძანაო, თურმე სთქვა: „ჩემთვის უფრო სასიამოვნო იქნებოდა, მას რომ ისინი ხელფეხშეკრულნი გადმოეცაო". დაქვეითებული მხედრები იბრძოდნენ ისე, როგორც იბრძვიან, როცა მტრის გამარჯვება უკვე უეჭველია: დამარცხებულნი ამჯობინებდნენ ადგილზე დახოცილიყვნენ, ვიდრე გაქცეულიყვნენ ბრძოლის ველიდან, გამარჯვებულნი კი, გამარჯვების დაყოვნებით გაღიზიანებულნი, ჩეხდნენ ყველას, ვისაც კი ვერ აიძულებდნენ უკან დაეხია. მაგრამ მაინც, როცა რომაელები უკვე მცირე ღა დარჩნენ და მოიქანცნენ დაღლილობისა და ჭრილობებისაგან, მაშინ კი მტერს ზურგი აქციეს, ყველანი გაიფანტნენ, და ვისაც შეეძლო, ცდილობდა ეპოვნა თავისი ცხენი, რომ გაქცეულიყო. როდესაც ცხენით მიმავალმა სამხედრო ტრიბუნმა გნეიუს ლენტულუსმა შენიშნა ქვაზე ჩამომჯდარი გასისხლიანებული კონსული, უთხრა მას: „ღმერთებს უნდა ეზრუნათ შენზე ემილიუსო, რადგან შენ ერთადერთი ხარ უდანაშაულო დღევანდელ დამარცხებაში; აჰა, ჩემი ცხენი, ვიდრე შენ ცოტა რამ ძალა მაინც კიდევ შეგწევს, და მე, გამოგყვები რა თან, შემიძლიან ცხენზე შეგსვა და დაგიცვა. ნუ იზამ, რომ ეს დამარცხება უფრო გაშავბნელდეს კონსულის სიკვდილით: უამისოდაც საკმაოა დარდი და ცრემლი"-ო. ამაზე კონსულმა უპასუხა: „დიდება შენდა გნეიუს. კორნელიუსო, შენი სიქველისთვის; მაგრამ ამაო შებრალებაში ნუ დაჰკარგავ იმ უმნიშვნელო დროს, რომელიც შენ დაგრჩა, რათა მტერს ხელიდან გაუსხლტე! წადი, შეატყობინე საერთოდ ყველა სენატორს, რათა მათ გაამაგრონ ქალაქი რომი და უშიშარჰყონ იგი გარნიზონებით იქამდე, ვიდრე ძლევამოსილი მტერი მოვიდოდეს, ხოლო კერძოდ კვინტუს ფაბიუსს

ვადაეცი, რომ ემილიუსი ცხოვრობდა და კვდება ისე, რომ მუდამ ახსოვდა მისი დარიგება, მე კი დამანებე, რომ მოვკვდე ამ ჩემს დახოცილ მეომართა შორის, რათა მე არ მომიხდეს კონსულობიდან კვლავ ბრალდებულად გადავიქცე, ანდა ამხანაგის ბრალმდებელი გავხდე და ამრიგად სხვისი ბრალდებით ჩემი უდანაშაულობა დავფარო"-ო.[186]

ვიდრე ისინი ამ საუბარში იყვნენ, ჯერ გაქცეულ თანამოქალაქეთა ბრბო მოაწყდა, მერე-კი მტრებისა: მათ ისრები დაუშინეს კონსულს, არ იცოდნენ რა ვინ იყო იგი, ხოლო ლენტულუსი არეულობაში ცხენმა გაიტაცა. მაშინ რომაელები გაიფანტნენ ყოველმხრივ. 7000 კაცმა მცირე ბანაკში მიირბინა, 11000-მა დიდში, ხოლო თითქმის 2000-მა თვით სოფელ კანაში,[187] ამ უკანასკნელთ დაუყოვნებლივ გარს შემოერტყა კარფალონი თავისი მხედრებით, რადგან სოფელი კანა არ იყო დაცული რაიმე სიმაგრით. მეორე კონსული, შემთხვევით თუ განზრახ, არ შეუერთდა გაქცეულთა არც ერთ რაზმს, არამედ დაახლოებით 50 მხედრითურთ ვენტუზიაში გაიქცა.

ასეთი იყო კანასთან ბრძოლა. იმდენადვე ცნობილი, როგორც ალიასთან[188] დამარცხება: თუმცა რამდენადაც თავისი შედეგებით ნაკლებ მნიშვნელოვანია, იმიტომ რომ მტერმა უმოქმედობა გამოიჩინა, იმდენად მძიმე და სამარცხვინოა ჯარის გაჟლეტის გამო. რადგან ალიასთან ლტოლვამ და ქალაქის დანებებამ იხსნა ჯარი; კანასთან კი — გაქცეულ კონსულს თან გაჰყვა მხოლოდ 50 კაცი, თითქმის მთელი დანარჩენი ჯარი ეკუთვნოდა კონსულს, რომელიც მათთან ერთად დაიღუპა.

როდესაც ყველა სარდლები გარს შემოეხვივნენ გამარჯვებულ ჰანიბალს, ულოცავდნენ მას და ურჩევდნენ, რათა დღის დანარჩენი ნაწილი და მთელი ღამე მიეცა დასასვენებლად დაღლილი ჯარისთვის და თვითონაც დაესვენა, — ცხენოსანი ჯარის წინამძღოლმა მაგარბალმა, რომელსაც დაყოვნება უადგილოდ მიაჩნდა, უთხრა: „პირიქით, რათა შენ იცოდე ამ გამარჯვების შედეგი, მე გიცხადებ, რომ მეხუთე დღეს შენ შეგიძლია გამარჯვებულმა იზეიმო კაპიტოლიუმში;[189] მომყე მე: მე წავალ წინ მხედრებითურთ, რათა მტრებმა უმალ ჩემი მისვლა გაიგონ, ვიდრე მისვლის განზრახვა"-ო. ჰანიბალს ეს რჩევა მეტისმეტად ბრწყინვალედ და დიდებულად მოეჩვენა, რათა ერთბაშად მიმხვდარიყო მას, ამიტომ მან შეაქო მაგარბალის სურვილი, მაგრამ განუცხადა, რომ მისი წინადადების განსასჯელად დრო არის საჭირო. მაშინ მაგარბალმა მიუგო: „რასაკვირველია, ღმერთები ყველაფერს არ აძლევენ ერთ ადამიანს: შენ, ჰანიბალო, იცი გამარჯვების მოპოვება, მაგრამ არ იცი გამარჯვებით სარგებლობა"-ო. ყველა აღიარებს, რომ ამ დროს უმოქმედობა შეიქმნა მხსნელი ქალაქისთვის[190] და თვით რომის სახელმწიფოსთვის.

მეორე დღეს გათენებისთანავე კართაგენელებმა ბეჯითად იწყეს ჯამხედრო დავლის მოგროვება და რომაელთა გაჟლეტის ადგილის და-

თვალიერება, რაც მტრისთვისაც კი შესაზარ სანახაობას წარმოადგენდა. რომაელები ათასობით ეყარნენ, ქვეითნი და მხედარნი ერთი-მეორეში არეულნი, ვინც ვისთან შეაერთა შემთხვევამა თუ შეტაკებამ, ან გაქცევამ. ზოგიერთნი, რომელთაც დილის სიომ ჭრილობები შეუკრა, გოსს მოსულნი, სისხლში მოსვრილნი დახოცილთა ხროვიდან თავს მაღლა სწევდნენ, მაგრამ მტრები მათ სიცოცხლის უკანასკნელ წუთებს უსპობდნენ. სხვები კართაგენელებმა ჯერ ისევ ცოცხლები ნახეს, რომელნიც თეძოებ და წვივებ დამტვრეული ეყარნენ; ისინი ყელსა და კისერს წინ იშვერდნენ და ითხოვდნენ წაერთმიათ მათთვის უკანასკნელი სისხლის წვეთი. მესამენი მათ ნახეს თავით მიწაში ჩაფლულნი; ცხადი იყო, რომ მათ თვითონ ამოეთხარნათ ორმო და იყრიდნენ რა სახეზე ამონათხარ მიწას, იხრჩობოდნენ. ყველას ყურადღება განსაკუთრებით მიიპყრო ნუმიდიელმა, ჯერ ისევ ცოცხალმა, რომელსაც ცხვირი და ყურები დაფლეთილი ჰქონდა და ზევიდან მოკლული რომაელი დასწოლოდა; იგი, მოკლებული საშუალებას ხელით მისწედომოდა იარაღს, გამძვინვარებული კბილითა ჰგლეჯდა მტერს და ამ მდგომარეობაში განუტევა სული.

რომში მოვიდა ცნობა, რომ მთელი ჯარი საბოლოოდ განადგურებულია ორივე კონსულით ერთად და მოსპობილია ყველა სამხედრო ძალები. არასოდეს, ვიდრე რომი ფეხზე იდგა, მის კედლებში ასეთ შიშსა და დაბნეულობას ადგილი არა ჰქონია. ამიტომ მე ამ შრომას არ ვიკისრებ და არ შევუდგები იმის მოთხრობას, რაც დაწვრილებით გადმოცემის დროს შეიძლება სინამდვილეზე უფრო სუსტად გამოვხატო. მას შემდეგ, რაც შარშან ტრაზიმენის ტბასთან დაიღუპნენ კონსული და ჯარი, ეს დამარცხება კი არ იყო მორიგი ზიანი, არამედ — მძიმე უბედურება, რადგან მოდიოდა ცნობები, რომ ორივე კონსულთან ერთად დაიღუპა მთელი ჯარი, რომ უკვე აღარ არსებობს არც ერთი რომაელი ბანაკი, არც ერთი სარდალი, არც ერთი ჯარისკაცი; რომ აპულია, სამნიუმი და თითქმის მთელი იტალია ჰანიბალის საკუთრებად იქცა. რასაკვირველია, ვერც ერთი სხვა ხალხი ვერ აიტანდა ამ დამარცხების სიმძიმეს. მასთან შეიძლება შევადაროთ მხოლოდ კართაგენელების დამარცხება ეგატის კუნძულებთან;[190] იქ განადგურებულმა მათ დასთმეს სიცილია და სარდინია, შემდეგ კი დათანხმდნენ გამხდარიყვნენ ჩვენი მოხარკენი და ხარკის მძლეველნი; ან აფრიკაში დამარცხება, რომელიც შემდეგში განიცადა სწორედ ამ ჰანიბალმა. ისინი შეიძლება შევადაროთ ნამდვილ დამარცხებას მხოლოდ იმ მხრივ, რომ ნაკლები ვაჟკაცობით გადიტანეს ისინი.

კართაგენის დანგრევა

აპიანე, VIII, 117—132 შემოკლებით.

სციპიონი მტრისთვის მოულოდნელად ერთ ღამეს ორ ადგილას თავს დაესხა კართაგენის იმ ნაწილს, რომელსაც მეგარა ეწოდებოდა. ეს იყო ძალიან ფართო ადგილი ქალაქში, ზღუდის მახლობლად. ამგვარად, დაგზავნა რა ირგვლივ მეომრები მასზე თავდასასხმელად ერთის მხრივ, თვითონ გაემართა მეორეს მხრით, ოცი სტადიონით გარს შემოვლით, ყოველგვარი ხმაურის გარეშე, წერაქვებით, კიბეებითა და ბერკეტებით მომარაგებული. მაგრამ როგორც კი კედლებზე მდგომთ შენიშნეს მისი მიახლოვება, მათი შეძახილისთანავე, უმალ თვითონაც თავისი ჯარით, აგრეთვე მეორე მხარეზე გაგზავნილებმა იწყეს ყვირილი და შეიქმნა საშინელი ხმაური. მაშინ კართაგენელები პირველად მოიცვა შიშმა, რომ ამდენი მტერი შეიჭრა ღამით მოულოდნელად ორ მოპირდაპირე პუნქტში. მაგრამ კედელზე ასვლა, მიუხედავად დიდი ცდისა, სციპიონმა მაინც ვერ მოახერხა. მართალია, მან უბრძანა ჯამაც ჯაბუკთ ასულიყვნენ კერძო პირის მიტოვებულ კოშკზე, რომელიც ზღუდის გარეთ იყო აღმართული და მისი სიმაღლე იყო. მათ ისრებით განდევნეს მცველები, გააწყეს ფიცრები და ბორები და შექმნეს ხიდი, რომლითაც არბიან კედელზე. იქიდან ისინი ჩახტნენ მეგარაში, დაანგრიეს ჭიშკარი და შეუშვეს სციპიონი. მას თან ახლდა 4000, ხოლო კართაგენელები სასწრაფოდ, ისე, თითქოს ქალაქის დანარჩენი ნაწილი აღებული ყოფილიყო, გარბიან ბერსაში...[191] რადგან მეგარა მოფენილი იყო ბაღებითა და ბუჩქნარებით, სადაც ბლომად იყო ძეძვისა და სხვა ეკალთა ყორეები და ღობეები, ბლომად იყო იქ აგრეთვე ღრმა და დაკლაკნილი ნაკადულები, სციპიონმა, რომელსაც ეშინოდა, რომ მეომრებისთვის საშიში იყო მტრის დევნა უცნობსა და გაუვალ ადგილას, ღამით კი შეიძლებოდა კართაგენელები სადმე ჩასაფრდნენ, უკან დახევის ნიშანი მისცა.

განთიადზე ჰასდრუბალმა, რომელიც აღშფოთებული იყო მეგარაზე თავდასხმით, კედლებზე გამოიყვანა მთელი რომაელი ტყვეები, რამდენიც კი ჰყავდა მას ისინი, ისე, რომ მის თანამემამულეებს შესძლებოდათ მათი დანახვა; მან უბედურებს დათხარა თვალები, ამოგლიჯა ენები, დასჭრა სახსრები, ანდა სასირცხვო ასოები, მოიხმარა რა ამ სასჯელისათვის რკინის კაკვი, ზოგს ტერფები დააჭრა, ზოგს თითები, ზოგს კი მთელ ტანზე გააძრო ტყავი და ყველანი ცოცხლივ გადაყარა კედლიდან. მან ეს ჩაიდინა იმ მიზნით, რათა მოესპო კართაგენელებისთვის რომაელებთან მშვიდობიანი მორიგების ყოველგვარი იმედი და გაეღვივებინა სიმამაცე, რომ ხსნას მხოლოდ იარაღით ცდილიყვნენ. მაგრამ მისმა განზრახვამ მხოლოდ საწინააღმდეგო მოქმედება გამოიწვია. სწორედ პუნიელები, გრძნობდნენ რა ამ საქმის ესოდენ უწმინდურობას, უფრო სიმ-

ხდალეს იჩენდნენ, ვიდრე სიმამაცეს, და განიმსჭვალნენ სიძულვილით ჰასდრუბალის მიმართ, რომელმაც მათ შეწყალების იმედი მოუსპო; განსაკუთრებით აღშფოთებული იყო სენატი, რადგან ბელადმა იკადრა ამგვარი, თავისი უადამიანობით განსაკუთრებული საქციელი სამშობლოს ასეთ სავალალო მდგომარეობის დროს, მაგრამ ჰასდრუბალმა უბრძანა აგრეთვე რამდენიმე სენატორის შეპყრობა და დასჯა. შთააგონებდა რა სხვადასხვა საშუალებებით შიშს, იგი ჰგავდა უფრო ტირანს, ვიდრე მთავარსარდალს.

ამასობაში სციპიონმა ცეცხლი წაუკიდა მტრის ბანაკს, რომელიც წინა დღით იყო მიტოვებული ქალაქში გაქცეულთაგან და დაეუფლა რა მთელ ყელს, გაიყვანა თხრილი ზღვიდან ზღვამდე... ამ არხის დამთავრებისთანავე მას გაჰყავს მეორე, ისეთივე, მაგრამ პირველისაგან დიდი მანძილით დაშორებული, ხმელეთისაკენ მიმართული. ამათ მან მიუმატა ორი გარდიგარდმო თხრილი, ისე რომ მთელ მოწყობილობას ოთხკუთხედის სახე ჰქონდა. კართაგენისკენ მიმართულ არხთან მან ააგო 25 სტადიონის[192] სიგრძისა და 12 ფუტი[193] სიმაღლის კედელი; კედელს შუაში ჰქონდა ძალიან მაღალი ქვიტკირის კოშკი. რომელზედაც მეორე ოთხსართულიანი კოშკი იდგა, — აქედან შეიძლებოდა დანახვა, რაც კი ქალაქში ხდებოდა. მთელი ეს ნაგებობა დამთავრდა 20 დღეში, მუშაობდა რა მთელი ჯარი, ისე რომ ჯარისკაცები, ჯერჯერად ხან მუშაობდნენ, ხან მასალას არიგებდნენ, ხან სჭამდნენ ან ეძინათ. და მაშინ სციპიონმა შეიყვანა ჯარი ამ ბანაკში.

ეს იყო ერთსა და იმავე დროს ბანაკი სციპიონისათვის და მტრის წინააღმდეგ ძალიან გრძელი სიმაგრეც. და იქიდან ჩამოსული იგი (სციპიონი) ხელთ იგდებდა მთელ სურსათს, რომელსაც კართაგენელებისათვის მიეზიდებოდნენ ხმელეთით. ეს იყო შიმშილისა და უბედურებათა პირველი დასაწყისი. სახელდობრ, მთელი მოსახლეობა ველებიდან ქალაქში შეიხიზნა და ქალაქის მცხოვრებთ ალყის გამო არ შეეძლოთ საითმე გაეგზავნათ ხომალდები, ომით შეშინებულმა უცხო ვაჭრებმა კი ხელი აიღეს ქალაქში ხშირ სიარულზე; სურსათი, რომელიც მხოლოდ აფრიკიდან შემოჰქონდათ, მოდიოდა ზღვით იშვიათად და ისიც მწირი, მხოლოდ ხელსაყრელ ამინდში, მეტწილად კი ხმელეთის გზით მოჰქონდათ. რადგანაც ეს გზაც ეხლა მათთვის გადაჭრილი იყო, პუნიელები საშინელ გაჭირვებას განიცდიდნენ შიმშილისაგან... ხომალდების მიერ ნაშოვნ სანოვაგეს ჰასდრუბალი უნაწილებდა მხოლოდ ოცდაათი ათასს, რომლებიც მან ბრძოლებისათვის გამოარჩია, დანარჩენ მასას კი იგი ზიზღით უცქერდა და სწორედ ესენი განსაკუთრებით იტანჯებოდნენ შიმშილით.

როგორც კი სციპიონმა ეს შენიშნა, განიზრახა დაეხშო დასავლეთით მიმართული ნაესადგურში შესასვლელი, რომელიც ნაპირიდან არც ძალიან შორს იყო, ამიტომ მან გაიყვანა ზღვაში გრძელი ყრილი სიგა-

ით ზევით 24 ფუტი, სიღრმეში კი ოთხჯერ მეტი. კართაგენელები ჯერ დასცინოდნენ ამ ნაგებობას, ზიზღით გაიძახოდნენ რა, რომ მის აშენებას ძალიან ღიდი დრო დასჭირდება და შეიძლება სრულიად შეუძლებელიც გამოდგესო. მაგრამ, როდესაც ნაგებობაზე მუშაობა დაიწყო ძთელმა ჯარმა დღედაღამ განუწყვეტლივ. მაშინ შეძრწუნებულმა პუნიელებმა გადაწყვიტეს გაეთხარნათ და გაეხსნათ მეორე შესართავი ნავსადგურის მოპირდაპირე მხარეზე, რომელიც შუა ზღვისკენ იყო მიმართული, სადაც არ შეიძლებოდა არავითარი ყრილის გაყვანა ზღვის სიღრმისა და ძლიერ მძვინვარე ქარის გამო. თხრა დაიწყეს მათ ქალებთანა და ბავშვებთან ერთად. ამასთანავე ისინი აგებდნენ ტრირემებსა და კვინკვერემებს ძველი მასალისაგან. აკეთებდნენ რა ყველაფერს განსაკუთრებული სიბეჯითით და თავგანწირვით. ყველაფერი ეს ღრმა საიდუმლოებით იყო მოცული, ისე რომ ტყვეებსაც კი არ შეეძლოთ გადაეცათ სციპიონისათვის რაიმე გარკვეული ცნობა გარდა იმისა, რომ ნავსადგურებში გაისმის განუწყვეტელი ხმაური დღისითა და ღამით, მაგრამ მისი მიზანი არავინ იცისო. დაბოლოს, როცა ყველაფერი უკვე მზად იყო, კართაგენელებმა განთიადზე გახსნეს ახალი შესართავი და გავიდნენ ზღვაში 50 ტრირემითა და მრავალრიცხოვანი ნაირნაირი წვრილი ხომალდებით, რომლებიც ისე იყო მოწყობილი, რომ შიშის ზარის დაცემა შესძლებოდათ. ახალი შესართავის გახსნამ და იქიდან ფლოტის გამოსვლამ ძლიერ შეაკრთო რომაელები, ამიტომ კართაგენელები რომ ერთბაშად დასხმოდნენ თავს რომაელთა მიტოვებულ ფლოტს, რომლის მეზღვაურნიცა და მენიჩბენიც ალყაში იყვნენ გართული, — ისინი ადვილად მოახერხებდნენ მთელი ბანაკის ხელთ გდებას. მაგრამ, რადგანაც კართაგენის აღება წინასწარ იყო განგების მიერ გადაწყვეტილი, ისინი საჩქაროდ დაბრუნდნენ ნავსადგურში, მოახდინეს რა ეს დემონსტრაცია. მესამე დღეს ამის შემდგომ მათ განაწყეს ხომალდები საბრძოლველად, და რომაელებმაც გაამზადეს ხომალდები და სხვა ყველაფერი და გაემართნენ მათ წინააღმდეგ...

ცვალებადი წარმატებით იბრძოდნენ საღამომდე და კართაგენელებმა გადაწყვიტეს უკან დაეხიათ არა დამარცხების გამო, არამედ არჩიეს ბრძოლა მეორე დღისთვის გადაედოთ, როდესაც კვლავ ღამემ გაჰყარა მებრძოლნი და კართაგენელთა გადარჩენილი ხომალდები ქალაქში შევიდნენ.

მეორე დღის დილით სციპიონი თავს დაესხა ყრილს, საიდანაც ადვილი იყო ნავსადგურს დაჰმუქრებოდა. ამგვარად, მიაყენა რა ბევრი მანქანა და ურტყამდა რა სიმაგრეს ტარანებით, მან ჩამოანგრია მისი ნაწილი. მაგრამ კართაგენელები, თუმც გატანჯულნი შიმშილითა და სხვა გაჭირვებათაგან, მაინც გამოცვივდნენ ღამე რომაელთა მანქანების წინააღმდეგ არა ხმელეთით, რადგან იქ გასასვლელი არ იყო, და არც ხომალდებით ზღვაზე, რომელიც იმ ადგილას თხელი იყო, არამედ ყვე-

ლასათვის მოულოდნელად წყალში შესტოპეს ფეხშიშველებმა, ეჩირათ რა ხელში აუნთებელი მაშხალები, რათა შორიდან არ შეემჩნიათ ისინი, და ამგვარად გავიდნენ ისინი ფონზე, ისე რომ წყალი მათ მკერდამდე სცემდა, ზოგმა კი გასცურა. ბოლოს, მიაღწიეს რა მანქანებს, მათ ისინი ცეცხლს მისცეს და ამით თავიანთი იქ ყოფნაც გამოამჟღავნეს; რასაკვირველია, რაკი შიშველნი იყვნენ, მრავალი ჭრილობა მიიღეს, მაგრამ თავისი თავგანწირვით მტერს დიდი უსიამოვნება მიაყენეს. მართალია, შუბისა და ისრის წვერებმა მათს სახესა და მკერდს მრავალი ჭრილობა მიაყენა, მაგრამ ისინი როგორც მხეცები უკან არ იხევდნენ და დარტყმების ქვეშ შეუპოვრად წინ მიიწევდნენ; ამის შედეგად მათ დასწვეს მანქანები და შეშინებული რომაელები გააქცეს. ჩვენი მტრების გაცხოველება რომ დაინახეს, მთელი ბანაკი შეშფოთებამ, პანიკამა და ძლიერმა შიშმა მოიცვა, რაც რომაელებს უწინ არ სჩვეოდათ. ამიტომ სციპიონმა მხედრებითურთ ჩამოუარა ბანაკს და უბრძანა დაეხოცნათ თანამებრძოლნი, თუ ისინი გაქცევაზე ხელს არ აიღებდნენ. მას შემდეგ, რაც ზოგიერთი იქნა მოკლული, მან დანარჩენები აიძულა დაბრუნებულიყვნენ ბანაკში, სადაც მათ მთელი ის ღამე იარაღქვეშ გაატარეს. ასეთი შიშის ზარი დასცა მათ სასოწარკვეთილი მტრის განძვინვარებამ, რომელიც, მანქანების დაწვის შემდეგ, შინისკენ გაბრუნდა ცურვით.

ამ ზაფხულმა მსგავს შეტაკებებში გაიარა. ზამთრის დამდეგისთანავე სციპიონმა გადასწყვიტა წაერთვა კართაგენელებისათვის ძალა და მოკავშირენი, რომელთაგანაც მათ მოსდიოდათ სურსათი. ამიტომ, დაგზავნა რა სხვადასხვა წინამძღოლნი სხვადასხვა მიმართულებით, თვითონ ხომალდებით გაემგზავრა ტბით აფრიკის ქალაქ ნეფერისში, დიოგენეს წინააღმდეგ, რომელიც მას იცავდა ჰასდრუბალის შემდეგ, — იქითკენვე გაგზავნა მან ხმელეთის გზით ლელიუსი. სციპიონმა აიღო ნეფერისი, ამასთანავე მძიმე ალყა ზამთარში და ციე ადგილას გაგრძელდა 22 დღე. ამ გამარჯვებამ დიდად შეუწყო ხელი კართაგენის აღებას. სწორედ ამ ქალაქიდან მისდიოდათ ალყაშემორტყმულთ საკვები და ამ ქალაქის შეხედვა სიმხნეს ჰმატებდა ლიბიელებს. ხოლო მისი აღებისთანავე, აფრიკის სხვა ადგილებიც ჩაჰბარდნენ სციპიონის სარდლებს, ანდა სრულიად გაურჯელად აიღეს მათ ისინი.

ამგვარად კართაგენელებს სრულიად გამოელიათ სანოვაგე, რადგან მათ არაფრის შემოტანა არ შეეძლოთ არც აფრიკიდან, რომელიც მათგან მოწყვეტილი იყო, და არც რომელიმე სხვა ადგილიდან, როგორც ომის, ისე ზამთრის გამო. გაზაფხულის დამდეგისთანავე სციპიონმა გადაწყვიტა იერიში მიეტანა ჩირსაზე (კართაგენის ციხე-სიმაგრეზე) და ნავსადგურზე, კოფონად წოდებულზე... ჰასდრუბალმა ღამით დასწვა კოფონის ნაწილი. მაგრამ როდესაც ის ფიქრობდა, რომ სციპიონი სწორედ ამავე ნაწილზე მიიტანდა იერიშს და განსაკუთრებით ამას აქცევდა ყურადღებას, ლელიუსი შეუმჩნეველად ავიდა კოფონის მეორე ნაწილზე.

ეხლა სციპიონმა მთელი ყურადღება ბირსას მიაპყრო. ეს იყო ქალაქის ყველაზე გამაგრებული ადგილი, სადაც თავი შეაფარა უმრავლესობამ. ბირსაზე მოედინიდან ასვლა შეიძლებოდა სამი გზით, რომლებზეც ყველგან ექვსსართულიანი სახლები იყო რიგზე აღმართული. ამ სახლებიდან თავს ესხმოდნენ რომაელებს, რომლებმაც პირველ რიგში მდგომნი იგდეს ხელში და იქიდან თავს იცავდნენ იმათგან, ვისაც მახლობელი სახლები ეჭირათ. და ყოველთვის, როგორც კი რომაელები სძლევდნენ მოწინააღმდეგეებს, აწყობდნენ მორებსა და ფიცრებს ქუჩის ერთი ნაპირიდან მეორეზე და ისე გადიოდნენ როგორც ხიდზე; მთელი ეს საშინელება აღსავსე იყო კვნესით, ჩივილითა და ყვირილით; ზოგს ხელჩართულ ბრძოლაში ჰკლავენ, სხვებს სახურავიდან ისვრიან ცოცხლივ, ზოგნი ჩამოვარდნის დროს ზედ ეგებიან შუბებს ან ხმლებს. მაგრამ სახლებს ცეცხლს არავინ უკიდებდა, რათა ზიანი არ მოსელოდათ მათ, ვინც სახურავებზე იბრძოდა, — ვიდრე სციპიონი არ მოვიდა ბირსასთან. მაშინ მან ბრძანა ცეცხლი წაეკიდებინათ რიგზე სამი გასავლელისთვის, რომლებიც ბირსისკენ მიემართებოდა, და დააყენა საგანგებო პირები ცეცხლით გამოწვეულ ნანგრევეთაგან გზის გასასუფთავებლად, რათა ერთი მეორის შემცვლელ ჯარს ადვილად შესძლებოდა მოძრაობა.

შემდეგ სხვა უბედურებანი მოჰყვა. ცეცხლი მოედვა შენობებს და მოსპო ისინი დიდ მანძილზე. ადამიანები ანგრევდნენ არა შენობის ნაწილებს, არამედ მთელი ძაღლონის დაჭიმვით მთლიანად ძირს სცემდნენ მათ. ამის გამო ხმაურიც ძლიერად გაისმოდა და ქვასთან ერთად ქუჩაზე ხროვად ცვიოდა გვამებიც; სხვები ცოცხლად ცვიოდნენ. განსაკუთრებით მოხუცნი, ბავშვები და სუსტი ქალები, — ყველა ისინი საშინელი ყვირილით თავს აფარებდნენ კედლებს, ზოგი დაჭრილი, ზოგი ნახევრად დამწვარი... მაგრამ არც ეს იყო უბედურებათა დასასრული. სწორედ იმათ, ვინც ნანგრევებს წმენდდა, შორს მიჰქონდათ ყველაფერი, რაც კი მიწაზე ეყარა — ცულით, წერაქვითა და ფიწლით გზას უხსნიდნენ მომსვლელთ, ამასთანავე ამავე იარაღებით ისინი, როგორც მკვდრებს, ისე ცოცხლებს ჰყრიდნენ ორმოებში, ისე როგორც შეშასა და ქვას, მიათრევდნენ რა, ან მიაგორებდნენ მათ რკინებით. ერთნი, ამ ორმოებში ჩაყრილნი, დიდ ხანს ტრიალებდნენ შიგ, ამასთანავე ფეხები მიწის ზევით ჰქონდათ ამოჩრილი, სხვები ფეხებით ძირს ეცემოდნენ და თავი კი მიწის ზევით რჩებოდა. ცხენები გადარბოდნენ მათზე, სთელავდნენ მათს თავსა და სახეს და მხედრები ამას სჩადიოდნენ არა განზრახ, არამედ სიჩქარის გამო.

ამგვარ შრომაში გაიარა ექვსმა დღე-ღამემ, ამასთანავე ჯარისკაცნი ხშირად იცვლებოდნენ, რომ უძილობისა, მკვლელობათა და საზარელ სანახაობათაგან არ მოქანცულიყვნენ... მეშვიდე დღეს ზოგიერთმა მოირბინა სციპიონთან თავს ედგათ რა ვედრების სიმბოლო ესკულაპის გვირგვინი. ისინი მხოლოდ იმას თხოულობდნენ, რომ მათთვის ციხიდან გას-

ელის ნება დაერთოთ. მათ, მტრის მხარეზე გადასულთა გარდა, ამის ნება მიეცათ. და დაუყოვნებლივ გავიდნენ 50000 ქალი და კაცი ერთად, რომელთაც გუშაგები მიუყენეს. მტრის მხარეზე გადასული რომაელები კი, რომლებიც 900-მდე იყვნენ, დაკარგეს რა ხსნის იმედი, შეიმალნენ ესკულაპის ტაძარში ჰასდრუბალთან, მის ცოლსა და ორ ვაჟიშვილთან ერთად.

ამ დროს ჰასდრუბალი სხვებისაგან დაფარულად გაიქცა სციპიონთან სამღვთო ტოტებით ხელში, ვედრებისა და მორჩილების ნიშნად. სციპიონმა უბრძანა მას დამჯდარიყო იგი მის ფერხთით და დაანახვა მტრის მხარეზე გადასულთ. ამის დანახვაზე მათ მოითხოვეს საერთო სიჩუმე და შემდეგ წარმოსთქვეს ჰასდრუბალის მიმართ სასტიკი მრავალნაირი კიცხვა. ცეცხლი წაუკიდეს ტაძარს და მასში ამოიწვნენ. ჰასდრუბალის ცოლმა მას უწოდა სამშობლოს. სიწმინდეთა, მისი შვილების მოღალატე, ყველები დასწრა შვილებს, ჩაყარა ისინი ცეცხლში და შემდეგ თვითონაც გადაეშვა ალში. ასეთი იყო. გადმოცემის თანახმად, ჰასდრუბალის ცოლის აღსასრული, რომელიც უფრო შესაფერი თვით ჰასდრუბალისთვის იქნებოდა.

სციპიონმა მიმოავლო თვალი ქალაქს, რომელიც ჰყვავოდა 700 წლის განმავლობაში მისი დაარსებიდან, მძლავრად ბატონობდა ხმელეთსა. კუნძულებსა და ზღვაზე, სადაც უდიდეს სახელმწიფოების თანაბრად ბლომად იყო საჯურველი, ხომალდები, სპილოები, ფული, — სახელოვნად გამოირჩეოდა თავისი სიმამაცითა და სიჯიუტით, რომელმაც მისთვის ხომალდებისა და მთელი საჯურველის წართმევის შემდეგ, მაინც სამ წელს გაუძლო ასეთ საშინელ ომსა და შიმშილს. იხილა რა იგი ახლა სრულიად დანგრეული და დაღუპული სციპიონმა, ამბობენ, თურმე იგი საჯაროდ ატირდა მტრის ხვედრის გამო. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იმაზე, რომ ყველა სახელმწიფოებს, ქალაქებსა და ხალხებს ბედი არანაკლებ უბედურებას უქადის, ვიდრე ადამიანებს, მან წარმოსთქვა პოეტის ცნობილი ლექსი:

„მოვა ოდესმე დღე და დაიღუპება საღვთო ტროა,
მასთან ერთად დაიღუპება პრიამე და ხალხი
შუბოსან პრიამესი“.

რომის პროვინციების ექსპლოატაცია

ვერესი—სიცილიის მმართველი

ციცერონი, ვერესის საქმე, პირველი სერია, თავი IV—V

ვერესს არსად დაუტოვებია თავის დანაშაულებათა ისეთი ღრმა კვალი და აშკარა დამამტკიცებელი საბუთები, როგორც პროვინცია სი-

ცილიამი, რომელიც სამი წლის განმავლობაში მოასწრო ისე გაეჩანაგებია და გაეძარცვა, რომ უკვე აღარ შეიძლება მისი წინანდელ მდგომარეობაში მოყვანა, და მრავალი წელია, საჭირო, რომ მან (სიცილიამ) დაიბრუნოს. თუნდაც ნაწილობრივ მაინც, თავისი ყოფილი კეთილდღეობა, და ისიც, თუ მისი მმართველი პრეტორები უმწიკვლო ზნეობისა იქნებიან. როცა იგი პრეტორად იყო, სიცილიელებს არ უნახავთ არც თავიანთი კანონები, არც სენატის ბრძანებები, არც საერთო-საკაცობრიო უფლებები; თვითოეულს მხოლოდ ისღა გააჩნდა, რაც ამ ხარბი და გაუმაძღარი ადამიანის თვალს გამოეპარებოდა მისი უყურადღებობით, ანდა რაც გადარჩებოდა მის სიმაძღრეს; ყველაფერი, ვინც რისი მფლობელი იყო — მიიღო მან იგი მამისა თუ პაპისაგან — ყველაფერი შეეძლო წაეღო მას მისი სასამართლო უფლების ძალით. დიდძალი ფული გადახდა გლეხებს დღემდე გაუგონარ უსამართლო განკარგულებათა საფუძველზე; ჩვენი ერთგული მოკავშირენი მტრების რიცხვში იყვნენ ჩათვლილი; რომაელ მოქალაქეებს აწამებდნენ და ხოცავდნენ მონების მსგავსად; დიდი დამნაშავეები მოსყიდვის გზით თავისუფლდებოდნენ სასამართლოსაგან; სრულიად პატიოსანი, უმწიკვლო ზნეობის ადამიანები დაუსწრებლად, ყოველგვარი დაკითხვის გარეშე ისჯებოდნენ და ჰკარგავდნენ რომაელი მოქალაქის უფლებას; ნავსადგურები, რომლებიც მიუვალ ციხე-სიმაგრეებს წარმოადგენდა, და უზარმაზარი საუკეთესოდ დაცული ქალაქები ხელმისაწვდომი გახდა ყაჩაღებისა და მძარცველთა თავდასხმებისათვის; სიცილიელი მეზღვაურნი და ჯარისკაცნი, ჩვენი მოკავშირენი და მეგობრები, შიმშილით იხოცებოდნენ; მშვენიერი, ყველაფრით მოწყობილი ფლოტი, რომაელი ხალხის დიდად სამარცხვინოდ, მოისპო და დაიღუპა. ვერესმა კი, როგორც მოადგილემ, მოიპარა, თავისთვის წაიღო ყველა ძველი ძეგლები, რომლებიც ნაწილობრივ მდიდარ მეფეთაგან იყო ნაჩუქარი ქალაქის შესამკობად, ნაწილობრივ კი მიცემული ან დაბრუნებული იყო ჩვენი ძლევამოსილი სარდლების მიერ. ასე მოეპყრა იგი არა მხოლოდ ქალაქების კუთვნილ ქანდაკებებსა და სამკაულს. — არა, მან გაძარცვა ყველა ტაძარი, თვით უწმინდესიც კი, და ბოლოს და ბოლოს არ დაუტოვა სიცილიელებს არც ერთი ღმერთი, რომლის ქანდაკებასაც კი მისი აზრით რაიმე მხატვრული ღირსება გააჩნდა და ძველი ოსტატის ნამოქმედარი იყო. მისი საქმიანობით გამოწვეულ, მის აღმაშფოთებელ საქციელზე, მის სასიყვარულო თავგადასავალზე ლაპარაკი მე მრცხვენია; ამას გარდა მე არ მინდა გავაღვივო იმ ადამიანთა ნაღველი, რომლებმაც ვერ შესძლეს დაეფარათ თავიანთი ცოლშვილი მისი აეხორცობისაგან. მე არა მგონია იყოს ისეთი კინმე, რომ მისი (ვერესის) სახელის გაგონებაზე არ შეეძლოს მოუთხროს მის დანაშაულობათა შესახებ: საქმის ასეთ ვითარებაში მე უფრო მეშინია იმისა, რომ არ დამემდურნენ იმის გამო, რომ მრავალი მისი დანაშაული გამოვტოვე, ვიდრე იმისი, რომ ეჭვი შეიტანონ, ვითომც მე მათ ვიგონებ

ძის დასასჯელად; ჩემი აზრით, ხალხთა ეს მასა მოვიდა არა იმისთვის, რომ მოისმინონ რაში სდებენ მას ბრალს, არამედ იმისთვის, რომ ჩემთან ერთად დაწვრილებით განსაჯოს ყველაფერი ის, რაც მისთვის (ხალხისთვის) ცნობილია.

მოწათა მდგომარეობა და მოწათა რევოლუცია

კატონი, მიწათმოქმედების შესახებ, 56 — 59, 104.

მონების შენახვა (კატონის მიხედვით)

სოფლის მონებს უნდა ეძლეოდეთ ზამთრობით მუშაობის დროს 4 საწყაო (35 ლიტრი) პურისფქვილი, ზაფხულობით 4-½ საწყაო, მესაკუთნეს, ზედამხედველს, მწყემსს — 3 საწყაო, ბორკილგაყრილ მონებს 4 გირვანქა (1 კლგრ. 300 გრ.) და 5 გირვანქა იმ მომენტიდან, როცა ვენახის ბარვა დაიწყება, ვიდრე ლეღვი დამწიფდებოდეს, შემდეგ ისევ დაუბრუნდი 4 გირვანქას.

რთველის შემდეგ მონებს შეუძლიათ სამ თვეს სვან ღვინო, მეოთხე თვეს უნდა მიეცეს დღეში ერთი გემინი, ე. ი. 2½ კონგია (8,1 ლიტრ.) თვეში, მეხუთე, მეექვსე, მეშვიდე, მერვე თვეებში — დღეში თითო სექსტარი, ე. ი. თვიურად ხუთი კონგია, მეცხრე, მეათე, მეთერთმეტე, მეთორმეტე თვეებში — სამი გემინი დღეში, ე. ი. ამფორა (26,26 ლ.) თვიურად. სატურნალიისა[194] და კომპიტალიის[195] დღეობებში — თითო კონგი დღეში.

შეინახე, რაც შეიძლება, ბლომად, ჩამოცვივნილი ზეთის ხილი, შემდეგ ისეთი მწიფე ზეთისხილი, რომლისგანაც ძალიან მცირე ზეთი მიიღება. ესენი შეინახე, გაუფრთხილდი, რომ რაც შეიძლება დიდხანს გასძლოს. ზეთისხილი რომ გათავდება, მიეცი (მონებს) მარილწყალი და ძმარი. ზეთი უნდა მიეცეს თვითეულს თვეში 1 სექსტარი (0,5 ლიტრი). მარილი საკმარისია თითო საწყაო (8,75 ლ.) კაცზე წლიურად.

ტუნიკა (tunica) 3-½ ფუტი (1 მ.), მატყლის წამოსასხამი (sagum) ყოველ 2 წელიწადში. ყოველთვის, როდესაც ვისმე ახალ ტუნიკას ან წამოსასხამს მისცემ, წინასწარ ჩამოართვი ძველი, რათა იქიდან მჩვრები გამოარჩიო. ყოველ 2 წელიწადში უნდა მიეცეს ერთი წყვილი კარგი ხის ფეხსაცმელი.

ჩაასხი კასრში 10 კვადრანტი (26,26 ლ.) დაუდუღებელი ყურძნის წვენი, ჩაასხი მასში 2 კვადრანტი მაგარი ძმარი, 2 კვადრანტი მოდუღებული ღვინო და 50 კვადრანტი სასმელი წყალი. აურიე ესენი ჯოხით ერთი მეორეში ღეღში სამჯერ 5 დღის განმავლობაში. მიუმატე მას 64 სექსტარი ზღვის ძველი წყალი, დაახურე კასრს სახურავი და 10 დღის შემდეგ ამ ღვინის მარაგი გეყოფა ბუნიობამდე. თუ ბუნიობის შემდეგ რამოდენიმე მაინც დარჩა, — მაშინ იგი იქნება მშვენიერი ძმარი.

მონათა პირველი აჯანყება სიცილიაში (137 — 132 წწ. ჩვ. წ-მდე).

დიოდორე — XXXIV — XXXV, 2, 1—23; 25—30; 33—39; 47, 48.

მეორე პუნიკური ომის დასრულების (201 წ. ჩვ. წ-მდე) შემდეგ სიცილიელთა საქმეები 60 წლის განმავლობაში ყოველმხრივ კარგად მიდიოდა, მაგრამ მერე იფეთქა მონებთან ომმა შემდეგი მიზეზის გამო: მდიდრდებოდნენ რა მრავალი წლის განმავლობაში და იძენდნენ რა დიდძალ ქონებას, სიცილიელები ბლომად ყიდულობდნენ მონებს. მიჰყავდათ რა ისინი საშენეებიდან, ისინი მაშინათვე მათ დამღასა და ნიშნებს აკრავდნენ. ახალგაზრდა მონებს ისინი მწყემსებად იყენებდნენ, დანარჩენებს კი-ისე, როგორც ვისთვის იყო საჭირო. ბატონები მათ უამრავი საქმეებითა ტვირთავდნენ და ძალიან ნაკლებად ზრუნავდნენ მათს გამოკვებასა და ტანსაცმელზე. ამიტომ მონათა დიდი ნაწილი ქურდობით ცხოვრობდა და იყო მრავალი მკვლელობა. ავაზაკნი არმიის მსგავსად იყვნენ გაბნეულნი მთელს კუნძულზე. რომაელი პრეტორები ცდილობდნენ მონებთან ბრძოლას, მაგრამ დასჯას ვერა ბედავდნენ, იმ ბატონთა ძალისა და გავლენის წყალობით, ვისაც ავაზაკნი ეკუთვნოდნენ, და ამიტომ იძულებული იყვნენ შერიგებოდნენ პროვინციის ძარცვას. მონათმფლობელთა უმრავლესობა რომაელი მხედრები იყვნენ და ისინი, როგორც იმ პრეტორთა მსაჯულნი, რომლებსაც პროვინციები უჩიოდნენ, რომაელ მოხელეთათვის საშიში იყვნენ. მონებმა, რომლებსაც ხშირად მოულოდნელად თავს დაატყდებოდათ ხოლმე დამამცირებელი სასჯელი, ტანჯვათა უღელს ვეღარ გაუძლეს. იკრიბებოდნენ რა ერთად სხვადასხვა ადგილას, მათ გამართეს მოლაპარაკება თავიანთი ბატონებისაგან განდგომის შესახებ, ვიდრე თავისი განზრახვა არ შეასრულეს. იყო ერთი სირიელი, შთამომავლობით აპამეიდან, მონა ანტიგენესი, რომელიც ქალაქ ენადან იყო, თავისებური მისანი და გრძნეული. ის იკვეხოდა, რომ მას შეუძლია ღმერთების მითითების საფუძველზე, რომლებიც მას სიზმარში აქვს მიღებული, იწინასწარმეტყველოს მომავალი, და თავისი გაჭრილობით ბევრი მოატყუა ამ გზით. შემდეგ მან დაიწყო წინასწარმეტყველება არა მხოლოდ სიზმრით, არამედ ისე აჩვენებდა, თითქოს ღმერთებს ცხადად სედავდეს და მათგან მომავალს იგებდეს. მისი ნაბოდვარიდან ზოგჯერ ზოგი რამ ამხდარა კიდეც. და რადგან იმაზე, რაც არ ახდებოდა, მას არავინ უკიჟინებდა, ხოლო მარჯვე შემთხვევაზე კი ყველა მიუთითებდა, ამიტომ სირიელის სახელი შორს გავარდა. ბოლოს, რაღაც მოწყობილობის საშუალებით მას შეეძლო, „შთაგონება“ რომ მოუვლიდა, ამოენთხია ცეცხლი და აჰრიგად ქადაგებდა მომავალს. კაკლის ცარიელ ნაჭუჭში, ან მის მსგავს რამეში, რომელიც ორი გამოფიტული ნახევრისაგან შესდგებოდა, იგი სდებდა გაღივებულ ნაკერ-

ცხალსა და რომელიმე ნივთიერებას. როგელიც მას იქ აკავებდა შემდეგ, ჩაიდებდა რა მას პირში და უბერავდა რა, ---ხან ნაპერწკალი და ხან ალი გამოჰქონდა. ჯერ ისევ აჯანყებამდე ლაპარაკობდა, რომ სირიელი ქალღმერთი ეცხადება მას და უწინასწარმეტყველებს, რომ იგი მეფე გახდება. ამას იგი უამბობდა არა მხოლოდ სხვებს, არამედ მუდამ ეუბნებოდა თავის ბატონსაც. ანტიგენე გულს ართობდა ამ მოხერხებული სიცრუით და გასართობად ხშირად გამოჰყავდა სტუმრებთან ევნი— ასე ეძახოდნენ სასწაულთმომქმედს, და ეკითხებოდა მას მომავალი სამეფო ხელისუფლების შესახებ და იმაზე, თუ როგორ მოეპყრობა მაშინ იგი თვითეულ იქ მყოფს. ევნი უცვლელად იმეორებდა თავის მოთხრობას, მარჯვედ ასულელებდა რა ყველას და უმატებდა ხოლმე, რომ ბატონებს ლმობიერად მოვეპყრობიო. სტუმრებში სიცილი ატყდებოდა და ზოგი მათგანი უბოძებდა მას სუფრიდან საუკეთესო ნაჭერს და ეუბნებოდა, რომ როცა მეფედ გახდებოდა, მოეგონებინა მისი სიკეთე. ეს კომედია მაინც იმით დამთავრდა, რომ ევნი მართლა გახდა მეფე და ის შეწყალება, რომელსაც მას სტუმრები სუფრაზე თხოვდნენ. მათ გაურკელად მიიღეს. აჯანყება შემდეგნაირად დაიწყო.

ენაში[96] ცხოვრობდა ვინმე დამოფილე, მეტად მდიდარი და გოროზი კაცი. იგი განსაკუთრებული უადამიანობით ეპყრობოდა მონებს, მისი ცოლი კი მეგალიდა არ ჩამორჩებოდა ქმარს სიმკაცრესა და უადამიანობაში მონების მიმართ. უაღრესი ჩაგვრითა და მძვინვარებით აღძრული მონები მოილაპარაკებენ აჯანყდნენ და დახოცონ ბატონები. ევნთან მისულებმა მათ ჰკითხეს. იძლევიან თუ არა თანხმობას ღმერთები მათ მიერ განზრახვაზე. იმან ჩვეულებრივი ფოკუსებით ამცნო, რომ ღმერთები თანახმა არიან და არწმუნებდა მონებს დაუყოვნებლივ საქმეს შესდგომოდნენ. მათ მოაგროვეს 400 თანაამხანაგი მონა და როგორც კი დადგა ხელსაყრელი მომენტი, შეიარაღდნენ და შეიპრნენ ენაში ცეცხლისმფრქვევე ევნის წინამძღოლობით. შეცვივდნენ რა სახლებში, მონებმა ხელი მიჰყვეს მასიურ მკვლელობებს, ისე რომ ჩვილ ბავშვებსაც არ ინდობდნენ: მათ დედის მკერდიდან გლეჯდნენ და მიწაზე ანარცხებდნენ. ძნელია თქმა, თუ რამდენი დედაკაცი იქნა გაუპატიურებული მათი ქმრების თვალწინ. ენაში შემოკრილ მონებს შეუერთდა ქალაქის მონების დიდი რიცხვი, რომლებმაც, გაუსწორდნენ რა ჯერ თავის ბატონებს, მონაწილეობა მიიღეს საერთო ჟლეტაში. როდესაც ევნის ირგვლივ შყოფმა მონებმა გაიგეს, რომ დამოფილე თავისი ცოლით ქალაქის მახლობლად თავის პარკში იმყოფება, გაგზავნეს ხალხი, რომლებმაც ისინი შეკრულნი მოათრიეს ენაში, გული იჯერეს რა გზაში მათი დაცინვითა და შეურაცხყოფით, დამოფილესა და მეგალიდას ქალი მონებმა დაინდეს კაცთმოყვარეობისა და მონათა შებრალების გამო, რომელთაც მუდამ ცდილობდა შეძლებისდაგვარად დახმარებოდა. აქედან ჩანს, რომ ყველაფერი, რაც მონებმა მათი ბატონების მიმართ ჩაიდინეს, არ ყო-

ფილა მათი სასტიკი ბუნების შედეგი, არამედ იგი წარმოადგენდა მათთვის მიყენებულ შეურაცხყოფათა სამაგიეროს. დამოფილე და მეგალიდა, როგორც ზევით ვთქვით, გაგზავნილებმა მოათრიეს ქალაქში და მერე მიიყვანეს თეატრში, საღაც აჯანყებულთა უმრავლესობამ მოიყარა თავი. დამოფილე ცდილობდა რამე მოეგონებინა თავის გადასარჩენად და ბრბოს მრავალ მონაწილეზე იმოქმედა კიდეც მისმა სიტყვებმა. მაშინ მონებმა ჰერმიოსმა და ზევკსინემ, რომელთაც საშინლად სძულდათ იგი, მას მატყუარა უწოდეს, და არ დაელოდნენ რა ხალხის მსჯავრს, ერთმა მახვილი ჩასცა მას გვერდში, მეორემ კი ცულით კისერი მოჰკვეთა. შემდეგ უვნი მეფედ აირჩიეს — არა მისი სიმამაცისა ან სამხედრო ნიჭის გამო, არამედ მხოლოდ და მხოლოდ მისი თაღლითობის გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ იგი იყო აჯანყების მოთავე. ამას გარდა ფიქრობდნენ, რომ მისი სახელი ხელს შეუწყობდა ქვეშევრდომთა მისდამი კეთილგანწყობილებას. გახდა რა მეფედ აჯანყებულთა სახელმწიფოში და მოიწვია რა სახალხო კრება, ევნმა ბრძანა ქ. ენის დატყვევებული მცხოვრებნი ამოეხოცნათ. გარდა იარაღის მკეთებლებისა, რომლებიც ბორკილგაყრილნი ვაგზავნა სამუშაოდ. მეგალიდა მან გადასცა მის ყოფილ მხეელებს, რათა ისინი მოპყრობოდნენ მას, როგორც თვით სურდათ. თავისი ყოფილი ბატონები ანტიგენე და პითონი თვითონ საკუთარი ხელით დახოცა ევნმა. დაიდგა რა სამეფო გვირგვინი და შემოიღო რა სასახლის ცერემონიალი, მან დედოფლად გახადა სირიელი ქალი აპამეიდან, რომელთანაც იგი უწინ ცხოვრობდა. საბჭოს წევრებად ევნმა ისეთი ხალხი დანიშნა, რომლებიც ჭკუით ყველაზე უფრო გამოირჩეოდნენ. მათ შორის თავისი გამჭრიახობითა და სიმამაცით განსაკუთრებით გამოირჩეოდა აქეოსი, შთამომავლობით აქაიდან. სამ დღეში მან შეაიარაღა, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო, 600-ზე მეტი კაცი ცულებით, ნაჯახებით, შურდულებით, ნამგლებით, გაკვარვარებული კეტებით. შამფურებით და შემოიარა მთელი სიცილია, ჰყიდდა რა ნაძარცვს. შემოიერთა რა ბლომად მონები, მან გაბედა შებმოდა რომაელ მხედართმთავრებს და ხშირად სძლევდა მათ თავისი რიცხვობრივი სიჭარბის წყალობით, რადგან თავის განკარგულებაში 10.000-ზე მეტი შეიარაღებული კაცი ჰყავდა. ამ დროს ვიღაც კილიკიელმა კლეონმა მოახდინა მონათა სხვა აჯანყება. ყველა აღსავსე იყო იმ იმედით, რომ აჯანყებულნი ურთიერთშორის ბრძოლას დაიწყებენ და გაჟლეტენ რა ერთიმეორეს, ამით სიცილიას აღრეულობისაგან გაათავისუფლებენო; მაგრამ ისინი, წინააღმდეგ მოლოდინისა, გაერთიანდნენ. კლეონი, რომელსაც 5000 მებრძოლი ჰყავდა, ნებაყოფლობით დაემორჩილა ევნის ხელისუფლებას და ამით, თითქოს, შეაესო მეფის ნაკლი მხედართმთავრობის უყოლობით რომ განიცდიდა. აღრეულობა უკვე 30 დღეს გრძელდებოდა თითქმის. მალე ამის შემდეგ 30000-მდე აჯანყებულებმა დაამარცხეს რომი-

დან მოსული პრეტორი ლუციუს ჰიპსეი, რომელსაც თან ახლდა სიცილიელი მხედრობის რვაათასიანი რაზმი. აჯანყებულთა რიცხვმა მალე 200.000 მიაღწია. რაც მეტად სძლევდნენ ისინი რომაელებს, მით უფრო საკლებად განიცდიდნენ თვითონ დამარცხებას. როდესაც ამის შესახებ ხმა გავარდა, მრავალ სხვა ადგილასაც იწყეს მონებმა შეთქმულება და აჯანყებები. რომში აჯანყდა 150 მონა, ატიკაში 1000-ზე მეტი, დელოსზე და სხვა ადგილებში, მაგრამ ყველა ეს მოძრაობა ჩაახრეს ყოველ თითოეულ შემთხვევაში ან ხელისუფლების სწრაფი და სასტიკი ღონისძიებებით, ან შთაგონებითა და სხვა საშუალებებით, რამდენადაც ასეთები ხელსაყრელი იყო აჯანყების დროს. სიცილიაში კი ბოროტებამ იმატა, აჯანყებულნი იღებდნენ ქალაქებს ხალხითურთ და მათ მრავალი სამხედრო რაზმი გაანადგურეს. ბოლოს რომაელმა კონსულმა რუპილიუსმა რომაელებს მოუპოვა ტავრომენი,[107] შემოალყა რა იგი მჭიდროდ და შეავიწროვა რა უზომოდ ალყაშემორტყმულნი აუტანელი შიმშილითა და გაჭირვებით. მათ ჯერ ბავშვების ჭამა დაიწყეს, მერე დედაკაცებზე გადავიდნენ და ბოლოს ერთიმეორე მოსპეს. აქ შეპყრობილ იქნა კლეონის ძმა კომანი, რომელიც ალყაშემორტყმულ ქალაქიდან გაქცევასა ცდილობდა. ბოლოს, სიცილიელი სერაპიონის ღალატის წყალობით, რუპილიუსმა შესძლო აეღო ტავრომენის ციხე-სიმაგრე და ხელთ. იგდო ქალაქში მყოფი გაქცეული მონები. წამების შემდეგ ისინი კლდეზე გადაჩეხეს. იქიდან რუპილიუსი ქ. ენას წინააღმდეგ გაემართა და შეშოალყა რა ქალაქი, აჯანყებულნი სასოწარკვეთილებამდე მიიყვანა. მთავარსარდალმა კლეონმა მცირე რაზმით მოახდინა გამოხდომა, მაგრამ გმირული ბრძოლის შემდეგ დაიღუპა მრავალი ჭრილობით დაფარული. ამ ქალაქის აღებაც მხოლოდ გაცემის შედეგად მოხერხდა, რადგან იგი თავისი მდებარეობით სრულიად მიუდგომელი იყო შეიარაღებული ძალებისთვის. ევნი თავისი ათასი მცველითურთ ღაჩრულად შეიმალა სრულიად მიუვალ ადგილას. მაგრამ მისმა თანამგზავრებმა, ესმოდათ რა მათ თავიანთი დაღუპვის აუცილებლობა — რუპილიუსი უკვე დაიძრა მათ წინააღმდეგ — ერთიმეორე აჩეხეს ხმლებით. ხოლო ოინბაზი და მეფე ევნი ღაჩრულად გაიქცა და რომელიღაც გამოქვაბულიდან გამოათრიეს ისიც და მისი ოთხი მსახურიც: მზარეული, ხაბაზი, მეაბანოე და მასხარა, რომელიც მას ქეიფის დროს ამხიარულებდა. დამწყვდეული ევნი ტილებმა შეჭამეს და მან თავისი სიცოცხლე დაასრულა მორგანტინში იმ სახით, როგორც მისი თაღლითობის შესაფერისი იყო. შემდეგ რუპილიუსმა გამორჩეული მცირერიცხოვანი რაზმებით შემოიარა მთელი სიცილია და უფრო ადრე, ვიდრე ეს ვისმე წარმოედგინა, სრულიად გაწმინდა იგი მძარცველთა ბრბოებისაგან.

ჯერ არასოდეს არა ყოფილა მონათა ისეთი აჯანყება, როგორმაც სიცილიაში იფეთქა. მის შედეგად მრავალმა ქალაქმა განიცადა უბედურება: აურაცხელმა კაცმა და ქალმა ბავშვებთან ერთად განიცადა უკი-

დურესი უბედურება და მთელ კუნძულს ემუქრებოდა საფრთხე ხელში ჩავარდნოდა გაქცეულ მონებს, რომლებიც თავისუფალი ხალხისთვის უზომო უბედურებათა მიყენებაში ხედავდნენ თავიანთი ხელისუფლების საბოლოო მიზანს. უმრავლესობისთვის ეს სამწუხარო და მოულოდნელი იყო; იმათ კი, ვისაც საქმის ღრმად განსჯა შეეძლო, სრულიად ბუნებრივად მიაჩნდათ ის, რაც მოხდა. სიმდიდრისა და ფუფუნების წყალობით ისინი, ვინც სისხლსა სწოვდა ამ მშვენიერ კუნძულს, პირველ ყოვლისა ესწრაფოდნენ განცხრომას და იჩენდნენ ქედმაღლობასა და თავხედობას. ამიტომ ამის შესაბამისად იზრდებოდა ცუდი მოპყრობა მონებთან, რაც თანდათან აშორებდა ამ უკანასკნელთ თავიანთ ბატონებისგან და ეს ბოლოს მათდამი სიძულვილში გადაიზარდა. მრავალმა ათასმა მონამ ყოველგვარი ბრძანების გარეშე თავი მოიყარა თავიანთი ბატონების დასაღუპად. მსგავსი ამბები დატრიალდა ამ დროს მცირე აზიაში, სადაც არისტონიკე ესწრაფოდა მისთვის შეუფერებელ სამეფო ხელისუფლებას; მასთან ერთად შმაგობდნენ მონები, ავიწროებდნენ რა ბატონებს და მიაყენეს რა უდიდესი უბედურებანი მრავალ ქალაქს.

თითოეული მსხვილი მიწისმფლობელი ყიდულობდა მიწის დასამუშავებლად მონების მთელ ბუდობას. ზოგს ბორკილს ადებდნენ, ზოგს მძიმე სამუშაოებითა ქანცავდნენ და ყველას კი დამღას უკეთებდნენ სხვის დასანახად. ამიტომ სიცილიას მოედო მონათა ისეთი დიდი ტალღა, რომ ამის გამგონეებს არა სჯეროდათ და მათი რიცხვი გადაჭარბებული ეგონათ. ის სიცილიელები, რომლებიც დიდ სიმდიდრეს იძენდნენ, იტალიელებს ეჯიბრებოდნენ ქედმაღლობასა, სიხარბესა და მონათა მიმართ სიძულვილში. ხელი მიჰყვეს რა წვრილმან მოტყუილებას, ის იტალიელები, ვისაც მონები ბლომადა ჰყავდა, იჩენდნენ მწყემსებს, მაგრამ სრულიად არა ჰკვებავდნენ მათ; არამედ მათ უნდა ეცხოვრათ ძარცვით. ამისთანა თავისუფლების დროს, რომელიც მიცემული ჰქონდა თვითნება და ზარმაც ადამიანებს, რომლებსაც თავისი სურვილის მიხედვით შეეძლოთ ჩაედინათ რასაც მოისურვებდნენ, რომელნიც საკვების ნაკლებობის გამო იძულებული არიან თავზეხელაღებულად იმოქმედონ—ასეთ პირობებში ძალიან მალე გამრავლდა სხვადასხვა უწესობანი. ჯერ მონები ხოცავდნენ აშკარად იმას, ვინც მარტო მოგზაურობდა; შემდეგ თავმოყრილნი ესხმოდნენ თავს დაუცველ სოფლის ვილებს და ანადგურებდნენ მათ, ქონებას იტაცებდნენ და წინააღმდეგობის გამწევთ ხოცავდნენ. მძარცველთა თავხედობა სულ უფრო და უფრო იზრდებოდა. სიცილიაში ღამით მოგზაურობა შეუძლებელი გახდა და ადგილობრივ მცხოვრებთათვის უშიშროება სრულიად გაქრა. მთელი კუნძული აღსავსე იყო ძალადობათა, ძარცვათა და მკელელობათა მოვლენებით. ბუნებრივია, რომ მწყემსები, რომლებიც ცხოვრებას ველზე ატარებდნენ და იარაღასხმული იყვნენ, აღსავსე იყვნენ ქედმაღლობითა და თავხედობით კეტებით, შუბებით და მწყემსის მსხვილი კომბლებით შეიარა-

ღებულთ გადაცმული ჰქონდათ შგლისა და ტახის ტყავები — მათ ძალიან მებრძოლი და შესაზარი გამომეტყველება ჰქონდათ. თითოეულ მათგანს უკან სდევდა ავი ძაღლების ხროვა: საკვების დიდი რაოდენობა — რძე და ხორცი — მათს სულსა და სხეულს ველურად აქცევდა.

არა მხოლოდ სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ის, ვინც მაღლა დგას, უნდა ჰუმანიურად მოეპყრას დაბლა მდგომს, არამედ კერძო ცხოვრებაშიაც აუცილებელია, რათა კეთილმოაზროვნე ადამიანები თვინიერად მოეპყრან თავიანთ ყმებს. რადგან გადაჭარბებული სიამაყე და სიმკაცრე იწვევს სახელმწიფოებში თავისუფალთა შორის სამოქალაქო ომებს, კერძო სახლებში კი — მონათა შეთქმულებებს თავიანთი ბატონების წინააღმდეგ, რაც სახელმწიფოებში საშინელი აჯანყებებითა მთავრდება. რამდენადაც სახელმწიფო მეტი სისასტიკითა და უკანონოდ ეპყრობა, იმდენად ქვეშევრდომთა ხასიათი მეტად მხეცური ხდება, რადგან ყოველი ბედისგან დამდაბლებული ნებაყოფლობით უთმობს ამაღლებულთ სიკეთესა და დიდებას: მაგრამ, მოკლებული სათანადო კაცთმოყვარეობას, იგი თავისი უწყალო ბატონების მტრად იქცევა.

იყო ვინმე დამოფილე ქ. ენადან, მეტად მდიდარი და გოროზი ადამიანი. ფლობდა რა უზარმაზარ მიწებსა და მრავალრიცხოვან ფარებსა და ნახირს, იგი ცდილობდა გაესწრო სიცილიაში მცხოვრებ იტალიელებისთვის არა მხოლოდ ფუფუნებით, არამედ მონათა რიცხვითაც და მათდამი მოპყრობის არაადამიანური სიმკაცრითაც. თავისი სამფლობელოების შემოვლის დროს იგი მოგზაურობდა მშვენიერი ცხენებშებმული ოთხთვლიანი ეტლით, შეიარაღებული მონების თანხლებით. ამას გარდა მას ჰყავდა ბევრი ლამაზი პატარა ბიჭები და თავს იწონებდა უხეშ თაყვანისმცემლებით, რომლებიც ბრბოსავით ეხვია გარს. მისი სახლი ქალაქში და სოფლის ვილები გავსილი იყო ვერცხლის მხატვრული ჭურჭლით და ზღვის გადაღმიდან მოტანილი ხალიჩებით. იგი მართავდა ხოლმე დიდებულ წვეულებებს, მეფური სიდიადით შემკულს, აჭარბებდა რა თავისი მფლანგველობითა და ფუფუნებით სპარსელებსაც კი. უხეშსა და უზრდელს, მას გააჩნდა შეუზღუდავი ძალაუფლება და სიმდიდრე. ჯერ მან გამოიწვია თავის მიმართ სიძულვილი, შემდეგ გაღიზიანება, და ბოლოს არგუნა თავის თავს დაღუპვა და უდიდესი უბედურება თავის სამშობლოს. ყიდულობდა რა იგი ბლომად მონებს, იგი მათ მკაცრად ეპყრობოდა, ადებდა რა დამღებს გახურებული რკინით იმათ, ვინც სამშობლოში თავისუფლად დაბადებული იყვნენ, მაგრამ წილად ხვდათ ტყვეობისა და მონობის ხვედრი. ზოგს იგი შებოჭილს გზავნიდა სამუშაოდ, ზოგს მწყემსად ნიშნავდა, მაგრამ არ აძლევდა არც ტანსაცმელსა და არც საკვებს. არ იყო არც ერთი დღე, რომ დამოფილეს თავისი თვითნებობითა და სიმკაცრით არ გაეწამებინა თავისი რამდენიმე მსახური სრულიად უმნიშვნელო დანაშაულისათვის. მისი ცოლი მეგალიდა, სიამოვნებდა რა საგანგებოდ მოგონილი სასჯელებით, არანაკლები სი-

სასტიკით ეპყრობოდა თავის მხევლებსა და მის სამსახურში მყოფ მონებს. და ორივესგან შეურაცხყოფათა და გაწამებათა გამო მონები გამხეცდნენ თავისი ბატონების მიმართ და გადაწყვიტეს, რომ მათ იმაზე უფრო ცუდი არა შეემთხვევოდათ რა მასთან შედარებით, რასაც ისინი განიცდიდნენ...

ერთხელ დამოფილესთან ქ. ენადან მოვიდა ორი ფეხშიშველი მონა და სთხოვდნენ მას მიეცა მათთვის ტანსაცმელი. მან არ მოისურვა მათთან ლაპარაკი და მხოლოდ შენიშნა: „განა მოგზაურნი შიშველნი დაიარებიან გზაში და არ წარმოადგენენ მზამზარეულ მომარაგებას იმათთვის, ვისაც ტანსაცმელი უჭირსო?“ მერე ბრძანა მიეკრათ ისინი ბოძზე და აგვემინა რა, ქედმაღლურად გაისტუმრა უკანვე.

სიცილიაში ცხოვრობდა დამოფილეს ასული ახალგაზრდა ქალი, რომელიც გამოირჩეოდა ნაზი ხასიათით და კაცთმოყვარეობით. მას ჩვეულებად ჰქონდა ენუგეშებინა მისი მშობლების მიერ გამათრახებული მონები და თავისი ჰუმანიურობითა და შებორკილ მონათათვის დახმარებით მან მათი მხურვალე სიყვარული დაიმსახურა. აჯანყების დროს მისმა წინანდელმა სიკეთემ აღძრა მის მიმართ შებრალების გრძნობა იმათში, რომელთაც უწინ განეცადნათ მისი სიკეთე: არა თუ ვერავინ გაბედა ხელი ეხლო ახალგაზრდა ქალისთვის, არამედ მათ ხელუხლებლად დაიცვეს მისი სიქალწულე ყოველგვარ შეურაცხყოფათაგან, აჯანყებულმა მონებმა თავიანთ შორის უფრო სანდონი ამოარჩიეს, რომელთა შორისაც ყველაზე ერთგული იყო ჰერგიოსი. მათ წაიყვანეს ახალგაზრდა ქალი კატანაში და ნათესავებს ჩააბარეს.

ევნმა, მას შემდეგ, რაც მეფედ იქნა გამოცხადებული, უბრძანა დაეხოცნათ ყველანი, გარდა მისი ბატონის იმ სტუმრებისა, რომლებიც წინათ წვეულებებზე მის წინასწარმეტყველებას იწონებდა და მას სუფრიდან ლუკმას აწვდიდა...

მოხდა მონათა სხვა აჯანყება და შეიქმნა მათი დიდი ორგანიზაცია. ვინმე კლეონი, შთამომავლობით ტავრის ოლქიდან, კილიკიაში მიჩვეული იყო რა ბავშვობიდანვე ყაჩაღურ ცხოვრებას და გახდა მეჯინიბედ სიცილიაში, არ იშლიდა თავის ხელობას და მრავალი მკვლელობა ჩაუდენია. გაიგო რა ევნის მიერ მოხდენილი აჯანყების წარმატება, რომ მასთან მყოფი მონები ნეტარებაში არიან, კლეონმა თვითონაც მოაწყო არეულობა. დაარწმუნა რა თავისი მახლობელი ზოგი მონები გაებედნათ ძნელი საქმე, იგი თავს დაესხა აკრაგანტს და მახლობელ ოლქს. ევნმა თავისი ჯარი ისეთ ადგილას გააჩერა, რომ ნასროლი ვერ მისწვდომოდა და თვითონ დაუწყო რომაელებს გინება, ეუბნებოდა რა მათ, რომ არა მონები, არამედ ისინი გაექცნენ საფრთხეს. ალყაშემორტყმული მონების წინაშე მიმიკით გაითამაშეს აჯანყების სიუჟეტები, რომლებშიაც გამოსახული იყო აჯანყება ბატონთა წინააღმდეგ,

დასცინოდნენ რა მათს თავგასულობას, რასაც ისინი - დაღუპვისაკენ მიჰყავდა (დიოდორე, XXXV, 2, 46).

როდესაც ესოდენ დიდი უბედურება დაატყდა თავს სიცილიას, უბრალო ხალხი არათუ არ თანაუგრძნობდა მდიდრებს, არამედ, პირიქით, უხაროდა, რადგან სძულდა სიმდიდრის არათანაბარი განაწილება და მდგომარეობის არათანასწორობა. შური, რომელიც წინათ გამოწვეული იყო ჯავრით, ეხლა სიხარულად იქცა, როდესაც დაინახეს, თუ ბედმა როგორ ბრწყინვალედ იბრუნა პირი იმათკენ, ვისაც უწინ ზიზღით უცქერდა. ხოლო ყველაზე შესანიშნავი მთელ ამ ამბებში ის იყო, რომ აჯანყებული მონები, გონივრულად ზრუნავდნენ რა მომავალზე, არ სწვავდნენ წვრილ ვილებს, არ სპობდნენ მათში არც ქონებას, არც ნაყოფთა მარაგს და არ ახლებდნენ ხელს იმას, ვინც მიწათმოქმედებას განაგრძობდა, და ბოლოს ხალხის ბრბო კი შურიანობის გამო, მოჰქონდათ რა თავი მონებად, დაერია სოფლებს და არა მხოლოდ ქონებას აჩანაგებდა, არამედ ვილებსაც სწვავდა.

სიცილიაში მომხდარი დამონებულთა აჯანყება ფართოდ მოედვა მრავალ პროვინციას. მინტურნში 450 მონა გააკრეს ჯვარზე. სინუესში კვინტუს მეტელუსმა და გნეიუს სერვილიუსმა ჩააქრეს 4000-მდე მონის აჯანყება. აგრეთვე ათენის მაღაროებში ჰერაკლიტემ ჩააქრო მონათა არეულობა. დელოსზე მონათა მოძრაობა, რომლებსაც თავი მოჰქონდათ თავიანთი ამასწინანდელი აჯანყებით, ჩახშობილ იქნა ზოგიერთ მოქალაქეთა წინდახედულობის წყალობით. ყველა ეს სხვადასხვა ხანძარი აღმოცენდა როგორც ბრჭყვიალა ნაპერწკლები იმ პირველი აბედისაგან, რომლითაც ეს უბედურება დაიწყო. სიცილიაში კონსული ფულვიუსის შემდეგ კონსულმა პიზონმა დაიპყრო ქ. მამერციუმი, სადაც 8000 გაქცეული მონა გაჟლიტა; ისინი კი, ვინც მან მოასწრო და ცოცხლივ იგდო ხელთ, ჯვარს აცვა. მისმა მომდევნო კონსულმა რუტილიუსმა დაიბრუნა ტავრომენი და ენა, გაქცეულ მონათა ეს უმაგრესი თავშესაფარნი. ამბობენ, რომ მაშინ მოშთობილ იქნა 20.000-ზე მეტი მონა. რასაკვირველია, სამწუხარო და აუცილებელი იყო ასეთი ომის მიზეზი. ყოველ შემთხვევაში ბატონები დაიღუპებოდნენ გათავხედებული მონების წინააღმდეგ რომ იარაღით არ გამოსულიყვნენ. მაგრამ უბედური დანაკლისის დროს ამ ბრძოლებში, და უფრო უბედურ სარგებლობაში გამარჯვების დროს, როგორც თვითონ დამარცხებულნი დაიღუპნენ, ისევე მათ გამარჯვებულნიც დაღუპეს.

გრაკხების მოძრაობა

აპიანე, სამოქალაქო ომები, I, 7 — 27.

7. რომაელები, იპყრობდნენ რა იტალიას ნაწილ-ნაწილ, ამით თავიანთ განკარგულებაში იღებდნენ მიწის ნაწილს, ან აფუძნებდნენ იქ

ახალ ქალაქებს ან უწინ არსებულ ქალაქებში, ჩამოართმევდნენ ხოლმე ნაწილს იქ თავისი წრიდან კოლონისტების გასაგზავნად. ამ კოლონიებს ისინი განიხილავდნენ როგორც გამაგრებულ პუნქტებს. დაპყრობილ მიწა-წყალზე ისინი მიწის დამუშავებულ ნაწილს ყოველთვის მაშინვე ან იქ დასახლებულთა შორის სანაწილებდნენ, ან ჰყიდდნენ, ან იჯარით ეასცემდნენ ხოლმე, დაუმუშავებელ ნაწილს კი, იმის გამო, რომ თანდათან იზრდებოდა, მათ არა ჰქონდათ რა მისი ნაკვეთებად დანაწილების დრო, სახელმწიფოს სახელით აძლევდნენ მას დასამუშავებლად ყველა მსურველს იმ პირობით, რომ სახელმწიფოს ჩააბარებდა ყოველწლიურ მოსავალს შემდეგი რაოდენობით: ნათესის ერთ მეათედს, ხეხილნარის ერთ მეხუთედს. განსაზღვრული იყო აგრეთვე მსხვილ და წვრილფეხა საქონლის საძოვრის ფასი. რომაელები ყველაფერს ამას აკეთებდნენ იტალიელთა ტომის მოსახლეობის გამრავლების მიზნით, რომელსაც ისინი თვილდნენ ყველაზე შრომისმოყვარედ და რომელ წრიდანაც მათ სურდათ მოკავშირეების შეძენა. მაგრამ შედეგი საწინააღმდეგო გამოდგა. საქმე ის არის, რომ მდიდრებმა, ხელთ იგდეს რა ნაკვეთებად დაუყოფელი მიწის დიდი ნაწილი, დროთა განმავლობაში იმ რწმენამდე მივიდნენ, რომ მათ იმას არასოდეს აღარავინ გამოართმევდა. მდიდრების ეუთვნილი ნაკვეთების მახლობლად მდებარე ღარიბების მცირე მიწის ნაკვეთებს მდიდრები ნაწილობრივ მათი თანხმობით ყიდულობდნენ მათგან, ნაწილობრივ ძალით ართმევდნენ. ამგვარად მდიდრები ამუშავებდნენ მიწის უზარმაზარ ფართობებს, რომლებმაც შესცვალა მათ მამულებში შემავალი ნაკვეთები. ამასთანავე მდიდრები მუშახელად იყენებდნენ ნაყიდ მონებს, ამუშავებდნენ რა მათ მიწის მუშებად და მწყემსებად იმ მიზნით, რომ არ გაეცდინათ სამიწათმოქმედო სამუშაოებზე თავისუფლად დაბადებულნი, რომელნიც სამხედრო საქმეში იყვნენ საჭირო. ამასთანავე მონების ყოლას მდიდართათვის დიდი სარგებლობა მოჰქონდა: სამხედრო სამსახურისაგან თავისუფალ მონათა შთამომავლობა დაუბრკოლებლივ მრავლდებოდა. ყველაფერი ეს იწვევდა შეძლებულთა უზომო გამდიდრებას და ამასთან ერთად სახელმწიფოში მონათა რიცხვის გაზრდას. პირიქით, იტალიელთა რაოდენობა მცირდებოდა, მათ შორის ენერგიაც ილეოდა, რადგან მათ აწუხებდა სიღარიბე, გადასახადები, სამხედრო სამსახური. თუნდაც ისინი ამისგან თავისუფალი ყოფილიყვნენ, მაინც უსაქმოდ რჩებოდნენ: მიწა ხომ მდიდრებს ეკუთვნოდა და სამიწათმოქმედო საქმისთვის ისინი იყენებდნენ მონებს და არა თავისუფლად დაბადებულებს.

8. ყველაფერი ამით ხალხი უკმაყოფილო იყო. იგი შიშობდა, რომ იტალიიდან საკმარისად აღარ მოუვიდოდა მოკავშირეთა ნაკადი და რომ თვით მისი გაბატონებული მდგომარეობა საფრთხეში ჩავარდებოდა მონათა ასეთი მასიური სიმრავლით. თუ როგორ გამოესწორებინათ შექმნილი მდგომარეობა, ვერავის რა მოეგონებია. ეს არც ადვილი იყო

და არც თუ ყოველმხრივ სამართლიანი: ხომ არ შეიძლებოდა ასე მრავალი ხალხისთვის, რომელნიც დიდხანს ფლობდნენ თავიანთ ქონებას, წაერთმიათ მათი ნარგავები, ნაგებობანი და სხვა მოწყობილობანი. ოდესღაც ძლივ-ძლივობით, სახალხო ტრიბუნების წინადადებით ხალხმა დაადგინა, რომ არავის შეუძლია ფლობდეს საზოგადო მიწის 500 იუგერზე მეტს და ეკიროს საძოვრები მსხვილფეხა საქონლისთვის 100 იუგერზე და წვრილფეხა საქონლისათვის 500 იუგერზე მეტი*. ამის თვალყურის სადევნებლად ხალხმა გამოჰყო თავისუფლად დაბადებულ პირთა გარკვეული რიცხვი, რომელთაც უნდა ეცნობებინათ გამოცემული დადგენილების დარღვევის შემთხვევა. მათ ფიცი დასდეს, რომ ერთგულად დაიცავდნენ დადგენილებას, რომელიც კანონად იქცა. დაადგინეს სასჯელი მისი დარღვევისთვის, განიზრახავდნენ რა დანარჩენი მიწა გაენაწილებინათ ღატაკებისთვის მცირე ნაკვეთებად. მაგრამ საქმით აღმოჩნდა, რომ ისინი სრულიადაც არ ზრუნავდნენ არც კანონისა და არც ფიცის დაცვაზე. ხოლო იმათ კი, ვინც, ვითომდა ზრუნავდა, თვალის ასახვევად გაანაწილეს მიწა თავიანთ შინაურებს შორის, უმრავლესობა კი უგულვებელჰყოფდა კანონის დაცვას.

9. ასე გაგრძელდა იქამდე, ვიდრე ტიბერიუს სემპრონიუს გრაკხი, კაცი წარჩინებული შთამომავლობისა, ძლიერ პატივმოყვარე, შესანიშნავი მჭერმეტყველი, ამ თვისებათა წყალობით ყველასათვის კარგად ცნობილი, არ გახდა სახალხო ტრიბუნი და წარმოსთქვა ღირსშესანიშნავი სიტყვა. მან ილაპარაკა იტალიელთა მოდგმაზე, მის ბრწყინვალე სიმამაცეზე, მის რომაელებთან ნათესაურ დამოკიდებულებაზე; იმაზე, თუ ეს მოდგმა თანდათან როგორ აღმოჩნდა უბედურ მდგომარეობაში, გახდა მცირერიცხოვანი და ვერა ხედავს თავისი მდგომარეობის გამოსწორების ვერავითარ იმედს. აღშფოთებით ლაპარაკობდა გრაკხი მონათა მასაზე, რომლებიც გამოუსადეგარი იყვნენ სამხედრო სამსახურისთვის და რომლებიც არასოდეს თავიანთი ბატონების ერთგულნი არა ყოფილან. მან გაიხსენა, თუ ცოტა ხნის წინათ როგორ დაისაჯნენ სიცილიაში ბატონები თავიანთი მონებისაგან, რომელთა რიცხვიც ძალზე გაიზარდა მიწათმოქმედებისათვის საჭირო მუშახელის დიდი მოთხოვნილების გამო; თუ როგორი ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა მოუხდათ მათთან რომაელებს; როგორ გაჭიანურდა ეს ბრძოლა და გაიარა მრავალი სახიფათო პერიპეტიები. თავისი სიტყვის შემდეგ ტიბერიუსმა აღადგინა კანონის მოქმედება, რომლის ძალითაც არავის არ უნდა ჰქონოდა საზოგადო მიწის 500 იუგერზე მეტი. ამ კანონს ტიბერიუსმა კიდევ დაუმატა, რომ ვაჟიშვილებს შეუძლიათ ჰქონდეთ იუგერთა ამ რაოდენობის ნახევარი. მთელი დანარჩენი მიწა ღარიბებისთვის უნდა გაენაწილებინა სამ ამორჩეულ პირს, რომელნიც ყოველწლიურად უნდა გამოცვლილიყვნენ.

* იგულისხმება ლიცინიუსის 376—366 წ. კანონები.

10. ეს უკანასკნელი ყველაზე უფრო აწუხებდა მდიდრებს. მათ ეხლა უკვე აღარ შეეძლოთ წინანდებურად უგულვებელეყოთ კანონი, რადგან მიწის გასანაწილებლად დანიშნული იყვნენ საგანგებო თანამდებობის პირნი, და აღარც მფლობელთაგან მათი ნაკვეთების ყიდვა შეიძლებოდა: გრაკხმა წინანდებურად აკრძალა მათი გაყიდვა. მდიდრები ნაწილობრივ გაერთიანდნენ, გამოთქვამდნენ სამდურავს, მიუთითებდნენ ღარიბებს მათ (მდიდრების) მიერ დიდიხნის წინათ გაშენებულ ნარგავებსა და ნაგებობებზე. ერთი მათგანი ამბობდა: ჩვენ საფასური გადაგვიხდია ჩვენი მეზობლებისათვის ჩვენს ნაკვეთებში; ნუთუ ჩვენ უნდა დავკარგოთ ჩვენს ნაკვეთებთან ერთად ჩვენს მიერ გადახდილი ფულიც? მეორენი ამბობდნენ: ამ მიწაზეა ჩვენი მამა-პაპათა საფლავები; ამიტომ თავის დროზე გაყოფილი ნაკვეთები მემკვიდრეობითია. მესამენი აღნიშნავდნენ, რომ თავიანთი ნაკვეთების შეძენაზე მათ დახარჯული აქვთ თავიანთი ცოლების მზითევები, რომ თავისი მიწები მათ თავიანთი ქალებისთვის მზითვად აქვთ მიცემული და ბოლოს ზოგნი იმასაც ამბობდნენ, რომ მათი მიწა კრედიტორებს ეკუთვნით სავალო ვალდებულებათა ძალით. საერთოდ დაიწყო უწესრიგო ჩივილი და აღშფოთება. თავისი მხრივ ღარიბები ჩიოდნენ, რომ ისინი შეძლებულთაგან უკიდურეს ღატაკებად გადაიქცნენ, რომ ამის გამო მათ ცოლებს ნაყოფიერება დაეკარგათ, რომ მათ არ ძალუძთ თავიანთი შვილების გამოკვება, რომ მათი მდგომარეობა აუტანელი გახდა. ისინი ჩამოთვლიდნენ ყველა ლაშქრობებს, რომლებიც მათ მოუხდათ თავიანთი ნაკვეთების მოსაპოვებლად და გამოთქვამდნენ აღშფოთებას იმის გამო, თუ ისინი მოკლებული იქნებოდნენ საერთო ქონებით სარგებლობას. ამასთანავე ღარიბები ჰგმობდნენ იმათ, ვინც მათ, თავისუფლად დაბადებულთა, მხედართა მაგიერ სამუშაოდ ქირაობდა მონებს, ხალხს, რომელიც ნდობის ღირსი არ არის და რომლებიც მუდამ მტრულად არიან განწყობილი და. ამის გამო სამხედრო საქმისთვის გამოუსადეგარი არიან. მაშინ, როდესაც მდიდრები და ღარიბები მოსთქვამდნენ და ერთიმეორეს ამტყუნებდნენ, გამოჩნდა კიდევ მრავალი სხვა ხალხი, რომელიც კოლონიებსა ან მუნიციპიებში ცხოვრობდა, ან ხალხი, რომელსაც საზოგადო მიწის თავისი წილი ეკუთვნოდა. ეხლა ამათაც ეშინოდათ თავიანთ ნაკვეთებზე და ემხრობოდნენ ერთნი მდიდრებს, მეორენი ღარიბებს. ერთნიცა და მეორენიც თავიანთ ხალხმრავლობაზე დაყრდნობით თანდათან აღგზნებულ გუნებაზე დგებოდნენ: უსაზღვრო მღელვარებათა ალში გახვეულნი, ყველანი ელოდებოდნენ ტიბერიუსის კანონპროექტის კენჭისყრის შედეგს. ერთნი არავითარ შემთხვევაში არა თანხმდებოდნენ მის დამტკიცებას. მეორენი მოითხოვდნენ მის დამტკიცებას ყოველ მიზეზს გარეშე. მდიდრებს, რომლებიც ისწრაფოდნენ არ დაეშვათ კანონპროექტის დამტკიცება, ღარიბებს, რომლებიც მის დამტკიცებას ცდილობდნენ, — ერთსაცა და მეორესაც ემატებოდა მათი ურთიერთშორის ჭიშპი. კანონპროექტის განსასჯელად და-

ნიშნულ დღეს მდიდრებმაცა და ღარიბებმაც მთელ თავიანთ ძალებს მოუყარეს თავი.

11. გრაკხის მიზანი ის კი არ იყო, რომ გაემდიდრებინა (ღარიბები), არამედ შთაენერგა მათთვის სიმამაცე. აღფრთოვანებული უმთავრესად იმ ფიქრით, თუ რა დიდ სარგებლობას მოუტანდა იტალიას ამ მიზნის განხორციელება, გრაკხი თავისი საქმის სიძნელეზე აღარ ფიქრობდა. არჩევნების წინ მან წარმოსთქვა ვრცელი, მიმზიდველი, მრავალი, რამის შემცველი სიტყვა. აქ მან სხვათა შორის დააყენა კითხვა: განა სამართლიანი არ არის საზოგადო ქონება ყველას შორის გაიყოს? განა მოქალაქე ისეთივე კაცი არ არის, როგორც მონა? განა მეომარი უფრო სასარგებლოა, ვიდრე ის, ვინც არ იბრძვის? განა საზოგადოებრივი მოღვაწე საზოგადო საქმეში სახელმწიფო ინტერესებზე აღარ იზრუნებს? დაანება რა თავი შემდგომ შედარებას, რადგან ეს საქმეს ნაკლებად ეხებოდა, გრაკხი შემდეგ გადავიდა იმ იმედებზე, რომლებსაც მოელოდა სახელმწიფო, და იმ შიშზე, რომელიც მღელვარებას იწვევდა. რომაელებმა, ამბობდა იგი, დაიპყრეს მრავალი ქვეყანა და ფლობენ მას; ისინი იმედოვნებენ, რომ დაიპყრობენ მსოფლიოს უდიდეს ნაწილსაც; ამჟამად მათ წინაშე წამოიჭრება გადამწყვეტი კითხვა: შეიძენენ ისინი მას შებრძოლი ადამიანების გამრავლების წყალობით, თუ იმასაც, რაც აქვთ, მტრები წაართმევენ სისუსტისა და შურიანობის შედეგად. ხაზს უსვამდა რა იმას, თუ რა სიკეთე მოელოდათ რომაელებს პირველ შემთხვევაში და რა საფრთხე და საშიშროება მეორეში, გრაკხი არწმუნებდა მდიდრებს განესაჯათ ეს და ნებაყოფლობით მიეცათ, რამდენადაც ეს საჭირო იყო, მიწა მომავლის იმედების გულისთვის, მათთვის, ვინც შვილებს უზრდის სახელმწიფოს, და არ გაეშვათ მხედველობიდან უფრო დიდი, როდესაც მცირეზე დავობენ. ამასთანავე მათ ხომ საკმაო ანაზღაურება მიიღეს მათ მიერ მიწის დასამუშავებლად გაწეული შრომისთვის: თვითეულ მათგანს ეძლევა სამუდამო მფლობელობაში, კანონით დამტკიცებული საუკეთესო მიწის 500 იუგერი უსასყიდლოდ, და მათი შვილები კი, ვისაც კი ჰყავს, თითოეული ამ იუგერთა ნახევარს მიიღებს. თავისი ვრცელი და შინაარსიანი სიტყვით გრაკხმა აღაგზნო ღარიბები და სხვა ყველანი, ვინც კი ხელმძღვანელობდა უფრო გონივრული საბუთიანობით, ვიდრე შეძენის წყურვილით, და მერე უბრძანა მდივანს გამოექვეყნებინა კანონპროექტი.

12. მეორე სახალხო ტრიბუნი მარკუს ოქტავიუსი მსხვილმა მიწათმფლობელებმა განაწყეს ისე, რომ მას ხელი შეეშალა ტიბერიუსის კანონპროექტის მიღებისთვის. და რადგანაც რომაელებში ტრიბუნი, რომელიც რისიმე წინააღმდეგ გამოდიოდა, ამ შემთხვევაში დიდი უფლე-

ბით იყო აღჭურვილი*, ამიტომ ოქტავიუსმა ნება არ მისცა მდივანს გ მოექვეყნებინა კანონპროექტი. გრაკხი იმჯერად დაკმაყოფილდა ოქტავიუსის მიმართ დიდი სამდურავით და კენჭისყრა მორიგ სახალხო კრებისთვის გადაიტანა. მაშინ მან თავის ირგვლივ დააყენა გუშაგების მნიშვნელოვანი რაზმი იმ მიზნით, რომ, თუ ოქტავიუსი კვლავ გამოცდოდა კენჭისყრის წინააღმდეგ, ძალით დაეყოლებია იგი ამაზე. იგი კიდეც შეუდგა მას, მაგრამ ოქტავიუსის მხრივ აკრძალვის გამო, გაჩუმდა. ტრიბუნებს შორის გაიმართა კინკლაობა, ხალხი ძლიერ ხმაურობდა, ოპტიმატებმა წინადადება მისცეს ტრიბუნებს თავიანთი უთანხმოების პუნქტები სენატისთვის გადაეცათ განსახილველად. გრაკხი ჩაეშალა ამ წინადადებას. იმედოვნებდა რა, რომ მის კანონპროექტს მხარს დაუჭერდა ყველა კეთილმოაზროვნე ადამიანი, იგი გაეშურა კურიისაკენ.** იქ, მცირე წრეში, მდიდრებმა მას დაცინვა დაუწყეს. მაშინ გრაკხი ისევ ფორუმისკენ გაექანა; იქ მან განაცხადა, რომ შემდგომ სახალხო კრებაზე ის კენჭის საყრელად წამოაყენებს როგორც თავის კანონპროექტს, ისე ოქტავიუსის რწმუნებათა საკითხს. უნდა დარჩეს თუ არა თავის ადგილზე ტრიბუნი, რომელიც ხალხს ეწინააღმდეგება? ტიბერიუსი ასეც მოიქცა. როდესაც ოქტავიუსმა კვლავ გაბედულად გაილაშქრა მის წინააღმდეგ, გრაკხმა პირველად კენჭი უყარა ოქტავიუსის საკითხს. პირველმა ტრიბამ ხმა მისცა ოქტავიუსის გადაყენებას; მაშინ გრაკხმა მიმართა მას და სთხოვა შეეცვალა კანონპროექტის შესახებ აზრი. ოქტავიუსის უარის გამო ტიბერიუსმა შეაგროვა სხვა ტრიბების აზრიც. მაშინ 35 ტრიბა იყო. პირველმა 17 აღშფოთებით მისცა ხმა ოქტავიუსის წინადადების წინააღმდეგ, და მე-18 ტრიბას უნდა გადაეწყვიტა მთელი საქმე. გრაკხი კვლავ მთელი ხალხის თვალწინ ემუდარებოდა კრიტიკულ მდგომარეობაში ჩავარდნილ ოქტავიუსს, ხელი არ შეეშალა ესოდენ წმინდა, მთელი იტალიისათვის ესოდენ სასარგებლო საქმისათვის. არ გაექარწყლებია ასეთი დიდი აღტყინება ხალხისა, რომლის გულისთვისაც მას, როგორც ტრიბუნს, შეეძლო, თუ კი მოისურვებდა, მიემატებინა რამე კანონპროექტისთვის; ოქტავიუსისთვის კი ხომ სულ ერთი არ იყო, რომ განკიცხვის შემთხვევაში დაკარგავდა თანამდებობას. ამ სიტყვების შემდეგ გრაკხმა, მოუწოდა. რა ღმერთებს მოწმედ. რომ იგი მისდა უნებურად თავის ამხანაგს შეურაცხყოფას აყენებს—მას შემდეგ. რაც ვერ შესძლო მისი დარწმუნება, — განაგრძო კენჭისყრა. და ოქტავიუსი უმალ, როგორც კი კენჭისყრა მის საწინააღმდეგო გამოდგა, იქცა კერძო კაცად და შეუმჩნეველად მიიმალა. მის მაგიერ ტრიბუნად არჩეულ იქნა კვინტუს მუმიუსი.

---

* იგულისხმება vutu-ს უფლება, რომელიც მოხელეს თავისი კოლეგის მიერ არ გააჩნდა.

** შენობა, სადაც სენატის სხდომები იმართებოდა.

13. აგრარული კანონი დამტკიცებულ იქნა. მიწის გასაყოფად აირიცნენ: კანონპროექტის ავტორი გრაკხი; მისი ძმა და სიმამრი აპიუს კლავდიუსი. ხალხს ჯერ მაინც ძალიან ეშინოდა, რომ კანონი არ შესრულდებოდა, თუ გრაკხი მთელი თავისი ნათესავებითურთ მის განხორციელებას სათავეში არ ჩაუდგებოდა. ხოლო გრაკხი, ამით გაამაყებული, სახლამდე მიაცილა ხალხმა, რომელიც მას უცქეროდა არა როგორც ერთი ქალაქის, ერთი ტომის, არამედ როგორც იტალიის ყველა ხალხების აღმადგენელს. ამის შემდეგ გამარჯვებულნი დაბრუნდნენ თავიანთ ადგილებში, საიდანაც ისინი ხმის მისაცემად იყვნენ მოსული, დამარცხებულნი კი განაგრძობდნენ უკმაყოფილების გამოთქმას და გაიძახოდნენ: ვერ გაიხარებს გრაკხი, როდესაც კერძო კაცი გახდება, გრაკხი, რომელმაც შეურაცხყო სახალხო ტრიბუნის წმინდა და ხელშეუხებელი ხასიათი. მისცა რა ასეთი ბიძგი დავას მთელს იტალიაში.

14. უკვე ზაფხული დადგა, როცა უნდა მომხდარიყო სახალხო ტრიბუნების არჩევა. როდესაც არჩევნების დრო უკვე მოახლოვდა, სრულიად ცხადი გახდა, რომ მდიდრები ყველა ღონეს ხმარობდნენ იმისათვის. რათა სახალხო ტრიბუნებად გაეყვანათ გრაკხისადმი ძალიან ჭკრულად განწყობილი პირნი. ხოლო მან, გაითვალისწინა რა საფრთხე, რომელიც მას მოელოდა, და შიშობდა რა, რომ ვეღარ მოხვდებოდა ტრიბუნად მომავალი წლისთვის, მოუწოდებდა სოფლის მოსახლეობას მოსულიყვნენ ისინი კენჭის ყრაზე... ესენი კი მკაში იყვნენ გართულნი, ხოლო გრაკხი შეზღუდული იყო იმ მოკლე ვადით, რომელიც ტრიბუნების არჩევნებისთვის იყო დანიშნული. ამიტომ მან მიმართა ქალაქში მცხოვრებ პლებეებს, და ნაწილობრივ ჩამოუარა რა მათ, სთხოვდა აერჩიათ იგი ტრიბუნად მომავალი წლისთვის, რადგან მათი გულისთვის ვარდება ის საფრთხეში. ხმის მიცემის დროს ორმა პირველმა ტრიბამ გრაკხის სასარგებლოდ მისცა ხმა. მაშინ მდიდრებმა დაიწყეს ლაპარაკი და მიუთითებდნენ, რომ ორჯერ ზედიზედ, განუწყვეტლად ერთი და იმავე პირის მიერ იმავე თანამდებობის შესრულება უკანონოა. რადგან ტრიბუნი რუბრიუსი, რომელსაც წილის ყრით შეხვდა სახალხო კრების თავმჯდომარეობა, ყოყმანობდა და არ იცოდა როგორ მოქცეულიყო, ამიტომ მუმიუსმა, რომელიც ოქტავიუსის მაგიერ იყო ტრიბუნად არჩეული, უბრძანა რუბრიუსს თავმჯდომარეობა მისთვის, მუმიუსისთვის, გადაეცა. ის დათანხმდა, მაგრამ დანარჩენი ტრიბუნები მოითხოვდნენ, რათა კვლავ წილი ეყარათ, თუ ვინ ყოფილიყო თავმჯდომარედ; რადგანაც რუბრიუსი წილისყრით უკვე არჩეული თავმჯდომარედ, გამოირიცხა, ამიტომ წილისყრა ხელახლა უნდა მომხდარიყო ყველა ტრიბუნთა შორის. ამ საქმემაც დიდი დავა გამოიწვია. გრაკხმა, რომელსაც ეშინოდა, ვაი თუ უმრავლესობა ვერ მიეღო თავის სასარგებლოდ, კენჭისყრა მეორე დღისათვის გადასდო. ყველაფერში იმედგაცრუებული, იგი თუმცა დარჩა ჯერ თავის თანამდებობაზე, მაგრამ ჩაიცვა მან სამგლოვიარო

ტანისამოსი და საღამომდე თავისი ვაჟის თანხლებით დადიოდა ფორუმზე, ებაასებოდა ცალკეულ პირთ, მათ მზრუნველობას აბარებდა თავის შვილს, რადგან თვითონ იგი განწირული იყო—მალე თავისი მტრების ხელით უნდა დაღუპულიყო.

15. მაშინ ღარიბებმა დაიწყეს დიდი მოთქმა-ჩივილი. ერთის მხრივ ისინი ფიქრობდნენ თვით თავის თავზე: ისინი მომავალში ველარ ისარგებლებდნენ დანარჩენ მოქალაქეებთან ერთად თანაბარი უფლებებით, არამედ უნდა იმსახურონ მონებად მდიდრებთან, რადგან ძალა ამ უკანასკნელთა მხარეზეა; მეორე მხრივ ფიქრობდნენ გრაკხზე, რომ მას ეხლა თავისი თავისა ეშინია და რომ მან მათი გულისთვის ბევრი რამ აიტანა. ღარიბებმა საღამოს ტირილით მიაცილეს გრაკხი თავის სახლამდე და არწმუნებდნენ მხნედ შეხვედროდა იგი ხვალინდელ დღეს. გრაკხი გამხნევდა, ჯერ ისევ ღამე თავი მოუყარა თავის მომხრეებს, შეთანხმდნენ ნიშანზე იმ შემთხვევისათვის, თუ საქმე შეტაკებამდე მივიდოდა, და ხელთ იგდო კაპიტოლიუმზე ტაძრის ადგილი, სადაც კენჭისყრა უნდა მოხდარიყო, და შუა ნაწილი იმ ადგილისა, სადაც სახალხო კრება იმართებოდა. ტრიბუნებისა და მდიდრების მიერ გაბრაზებულმა გრაკხმა, რომელსაც მათ არ მისცეს ნება კენჭი ეყარა თავისი კანდიდატურისთვის, მისცა ნიშანი. მის მომხრეთა შორის უცაბედად ატყდა ყვირილი და სწორედ ამ მომენტიდან დაიწყო ხელჩართული ბრძოლა. მათი ნაწილი იცავდა გრაკხს, როგორც ერთგვარი გუშაგები, სხვებმა შეიკვალთეს ტოგები, გამოგლიჯეს მსახურებს ხელიდან კვერთხები და ჯოხები, დაამტვრიეს ისინი და გარეკეს მდიდრები სახალხო კრებიდან. ისეთი არეულობა ატყდა, იმდენი ხალხი დაიჭრა, რომ თვით ტრიბუნებიც კი შიშით გაიქცნენ თავისი ადგილებიდან, ქურუმებმა კი ტაძრები დაკეტეს. მეორეს მხრივ ბევრნი უწესრიგოდ გარბოდნენ თავის გადასარჩენად. ამასთანავე გავრცელდა ყალბი ხმები, მსგავსი იმისა, რომ თითქოს გრაკხმა გადააყენა თანამდებობიდან ყველა ტრიბუნები — ასეთი აზრი იმ საფუძველზე წარმოიშვა, რომ ტრიბუნები არსადა ჩანდნენ — ანდა, ვითომც მან თავისი თავი დანიშნა ტრიბუნად მომავალი წლისთვის კენჭის უყრელად.

16. იმ დროს, როცა ეს ხდებოდა, სენატი შეიკრიბა ერთგულების ქალღმერთის ტაძარში. მე მაკვირვებს შემდეგი გარემოება: რამდენჯერ ასეთ სახიფათო შემთხვევაში მდგომარეობიდან გამოუყვანია სენატს, გადაუცია რა დიქტატორული უფლებები ერთი პირისთვის, მაშინ კი ფიქრად არავის მოუვიდა დიქტატორის დანიშვნა, უმრავლესობას არც მაშინ და არც შემდეგში არ გახსენებია ეს დიდი ხნის წინათ გამოგონილი საშუალება, რომელიც შემდეგ დროში დიდად სასარგებლო გამოდგა. მიიღო რა თავისი გადაწყვეტილება. სენატი გაემართა კაპიტოლიუმისაკენ. სვლას წინ უძღოდა კორნელი სციპიონ ნაზიკა, უმაღლესი პონტიფექსი. იგი ხმამაღლა გაიძახოდა: „ვისაც სამშობლოს გადარჩენა

აურს. მე მოვყევითო". ამასთანავე ნაზიკამ თავისი ტოგის კალთა თავზე წამოიხურა ან იძისთვის, რომ ამ ნიშნით მიეზიღნა უმრავლესობა თანისკენ, ან რათა დაენახათ, რომ ნაზიკამ ამით თითქოს მუზარადი დაიხურა. ნიშნად მოსალოდნელი ომისა, ანდა ბოლოს იმისთვის, რომ დაეფარა ღმერთებისაგან ის, რის გაკეთებასაც იგი განიზრახავდა. ტაძარში შესვლისთანავე ნაზიკა წააწყდა გრაკხის მომხრეებს. ამ უკანასკნელთ ძას გზა დაუთმეს. პატივი სცეს რა პირს, რომელსაც ასეთი დიდი თანამდებობა ეჭირა, და აგრეთვე, რადგან დაინახეს, რომ ნაზიკას უკან სენატორები მოსდევდნენ. სენატორები გრაკხის მომხრეებს ხელიდან გლეჯდნენ ხისა და სკამების ნამტვრევებსა და სხვა საგნებს, რომლებიც მათ მოემარაგებინათ სახალხო კრებისკენ მიმავალთ, ისინი წართმეულით სცემდნენ გრაკხის მომხრეებს, სდევნიდნენ მათ და კაპიტოლიუმის კლდეებში ჰყრიდნენ. ამ არეულობის დროს გრაკხის მრავალი მომხრე დაიღუპა. თვითონ ის, ტაძართან მიმწყვდეული, მოკლეს კარებში, მეფეთა ქანდაკებებთან. დახოცილთა გვამები ღამით ტიბრში გადაყარეს.

17. ასე იქნა მოკლული კაპიტოლიუმზე ჯერ ისევ ტრიბუნის წოდებაში მყოფი გრაკხი, ძე გრაკხისა, რომელიც ორჯერ იყო კონსულად და კორნელიასი, სციპიონის ქალისა, კართაგენელებს რომ ჰეგემონობა წაართვა. გრაკხი შეეწირა თავის შესანიშნავ გეგმას იმიტომ, რომ მან ძის გახსახორციელებლად ძალდატანებით საშუალებებს მიმართა. ეს აღმაშფოთებელი საქციელი, რომელიც პირველად მოხდა სახალხო კრებაში, შემდეგში არა ერთხელ განმეორდა ყოველგვარი თანამიმდევრობის გარეშე გრაკხის მსგავს სხვა პირთა მიმართაც. ხოლო ჭალაჭი გრაკხის მოკვლამ ორად გაჰყო: ერთნი მწუხარებდნენ, მეორენი ხარობდნენ. ერთნი ბრალობდნენ თავიანთ თავს, ბრალობდნენ გრაკხს, ბრალობდნენ იმ მდგომარეობას, რომელშიაც იყო სახელმწიფო, რომელშიაც უკვე აღარ მოიპოვებოდა კანონიერი მმართველობა, არამედ სადაც გამეფებული იყო მუშტი და ძალადობა. სამაგიეროდ მეორენი ფიქრობდნენ, რომ მათ თავიანთი ყველა სურვილის აღსრულებას მიაღწიეს. ყველაფერი ეს ხდებოდა იმ დროს, როდესაც არისტონიკე მცირე აზიაში რომაელებთან ბრძოლას აწარმოებდა ხელისუფლებისთვის.

18. გრაკხის მოკვლის და აპიუს კლავდიუსის გარდაცვალების შემდეგ, მიწების გასაყოფად უმცროს გრაკხს დაუპირისპირეს ფულვიუს ფლაკკი და პაპირიუს კარბონი. რადგან მსხვილი მესაკუთრენი არა ჩქარობდნენ დაეწერათ თავისზე მათი ხვედრი ნაკვეთები, ამიტომ მიწის განმანაწილებელმა ტრიუმვირმა იწყო მათი პასუხისგებაში მიცემა. მოკლე ხანში დაიწყო მრავალი სასამართლო პროცესი. საქმე ის არის, რომ მემამულის კუთვნილი მიწის მეზობლად მდებარე მიწა, თუ კი იგი ან გაყიდული იყო და ან მფლობელთა შორის განაწილებული, უნდა გამოკვლეული ყოფილიყო, სახელდობრ უნდა დადგენილიყო, როგორ იყო იგი გაყიდული და რრგორ იყო განაწილებული. მაგრამ ყველას არ

შემორჩა სყიდვა-გაყიდვის დროს დადებული ხელწერილები და სხვა საბუთები. რომლებიც მიწის ნაკვეთებად დანაწილებას შეეხებოდა. ის კი, რის მოძებნასაც ახერხებდნენ, ეჭვს იწვევდა. მიწების ახალი გაზომვის დროს ისინი იძულებული იყვნენ ნარგავიან და შემკულ ნაკვეთებიდან გადასახლებულიყვნენ ისეთ ნაკვეთებზე, სადაც აღნიშნულის მსგავსი რამ არ მოიპოვებოდა; ზოგნი კი დამუშავებულიდან დაუმუშავებელ ნაკვეთებზე. ან ჭაობებში, ანდა თიხნარებში. რადგანაც მფლობელნი დაპყრობის შედეგად მიღებულ ნაკვეთებზე ცხოვრობდნენ, ამიტომ მათ არ შეეძლოთ ზუსტად ეჩვენებინათ თავიანთი თავდაპირველი ნაკვეთები. ამასთანავე, სახელმწიფოს განცხადება: ყოველ მსურველს შეუძლიან დაამუშაოს გაუნაწილებლად დარჩენილი მიწა — აქეზებდა ბევრს, ვინც მეზობელ ნაკვეთებს ამუშავებდა, შეერივნა ესენი ერთი მეორეში. გარდა ამისა, დროთა განმავლობაში შეიცვალა ნაკვეთების სახე. ამგვარად, მდიდრების უსამართლობა, მიუხედავად მისი სიდიდისა, ძნელი დასამტკიცებელი გამოდგა. საბოლოოდ თავისი ნაკვეთებიდან გადაინაცვლეს ყველა იმათ, ვინც აყრილ იქნა თავდაპირველი სამფლობელოებიდან და სხვების სამფლობელოებში იყვნენ გადასახლებული.

19. იტალიელებმა, რომელთაც არ სურდათ არც შერიგებოდნენ ყველაფერ ამას და არც იმ ძალადობას, რომელსაც მათ მიმართ ახდენდნენ მსაჯულები (აგრარულ საკითხებს რომ არჩევდნენ), მიმართეს კართაგენის შემმუსრავ კორნელი სციპიონს თხოვნით დაეცვა ისინი მათ მიმართ ჩადენილი უსამართლობისაგან. სციპიონმა, რომელიც წინათ დიდად სარგებლობდა იტალიელთა დახმარებით სამხედრო ლაშქრობათა დროს, ვერ გაბედა უყურადღებოდ დაეტოვებინა მათი თხოვნა. სენატში გამოსულმა სციპიონმა არ დაუწყო კიცხვა ტიბერიუს გრაკხის კანონს, არ სურდა რა უთუოდ, ხალხის გაღიზიანება, მაგრამ დარწმუნებული კანონის ცხოვრებაში გატარების სიძნელეში, თხოულობდა, რათა სადავო საკითხები განეხილათ არა იმათ, ვინც მიწას ანაწილებდა, რადგან მოდავე მხარეები მათ ეჭვით უცქეროდნენ, არამედ ეს საქმეები გადასცემოდა სხვა პირთ. თავისი დასაბუთებით, რადგან ეგი სამართლიანი მოსჩანდა. მან საესებით დაარწმუნა სენატი. სასამართლო უფლება გადაეცა მაშინდელ ტრიბუნს ტუდიტანს. მან ხელი მოკიდა რა საქმეს, დარწმუნდა მის სიძნელეში და ამიტომ გაემგზავრა სალაშქროდ ილირიაში და თავისი ეს გამგზავრება გამოიყენა სასამართლო საქმეებისაგან განთავისუფლების საბაბად. მიწის განმანაწილებელნი აღარაფერს აკეთებდნენ, რადგან მათ აღარაიან მიმართავდა სადავო საქმეებზე. ყველაფერი ეს შეიქნა ხალხისთვის წყაროდ ზიზღისა და აღშფოთებისა სციპიონის მიმართ. რომელიც ხალხს წინათ ძალიან უყვარდა და რომლის გულისთვისაც ხალხი დიდად იბრძოდა. ოპტიმატების წინააღმდეგ და კანონის წინააღმდეგ ხალხმა იგი ორჯერ აირჩია კონსულად. ახლა ხალხი ხედავდა, რომ სციპიონი ეწინააღმდეგება ხალხს იტალიელების გულისთვის. შე-

ნიშნეს რა ეს სციპიონის მტრებმა. გაჰკიოდნენ: სციპიონმა გადაწყვიტა სრულიად გააუქმოს გრაკხის კანონი და შემდეგ შეიარაღებული სასაკლაოს მოწყობას აპირებსო.

20. ამის გამგონე ხალხი შეძრწუნდა. ამასობაში სციპიონი, რომელსაც საღამოს გვერდით დაედვა საწერი დაფა, აპირებდა რა მასზე იმ სიტყვის დაწერას, რომლის წარმოთქმასაც აპირებდა სახალხო კრებაზე, — ნახეს მკვდარი, ისე რომ არავითარი ჭრილობის კვალი არ აჩნდა. ეს იყო გრაკხის ღედის კორნელიას საქმე, იმ მიზნით ჩადენილი, რომ თავიდან აეცდინა გრაკხის კანონის გაუქმება; განზრახვა შესრულებული იყო კორნელიას ქალის სემპრონიას ხელით. რომელიც სციპიონის ცოლი იყო, მაგრამ ულამაზობისა და უშვილობის გამო ქმარს იგი არ უყვარდა და არც თუ თვითონ უყვარდა იგი. ანდა, ზოგიერთების აზრით, სციპიონმა თვითონ მოიკლა თავი, გრძნობდა რა, რომ იგი ვერ შეასრულებდა მიცემულ დაპირებებს. ბოლოს, ზოგნი ამტკიცებენ, რომ წამების შედეგად მონებმა განაცხადეს, რომ სციპიონი ღამით დააღრჩეს უცხოელებმა, რომლებიც იქ შევიღნენ მისი სახლის უკან მდებარე შენობიდან; მონებმა დაუმატეს, რომ მათ, გაიგეს რა ეს, შეეშინდათ გამოეცხადებიათ, რადგან ხალხი ჯერ კიდევ გაჯავრებული იყო სციპიონზე და უხაროდა მისი სიკვდილიო. ამგვარად სციპიონი აღარ იყო ცოცხალთა შორის და იგი, რომელმაც ესოდენი ღვაწლი დასდო რომაელთა სახელმწიფოს ძლიერების განმტკიცებას, არ გახდა იმის ღირსი, რომ იგი სახელმწიფო ხარჯზე დასაფლავებულიყო. წუთიერმა გაბოროტებამ ესოდენ სძლია მადლობა, რომელიც სციპიონს წარსულში ჰქონდა დამსახურებული. და ეს მოვლენა, თავისთავად ფრიად მნიშვნელოვანი, დაემატა გრაკხის მიერ წამოწყებულ ურთიერთშორის დავას.

21. ამასობაში მიწის ნაკვეთების მფლობელნი, სხვადასხვა გარემოებათა მომიზეზებით, მათს განაწილებას ჯერ არ აპირებდნენ. ზოგიერთნი აყენებდნენ წინადადებას მიეცათ რომაელი მოქალაქის უფლებები მოკავშირეებისათვის, რომლებიც ყველაზე მეტად ეწინააღმდეგებოდნენ მიწის განაწილებას. იტალიელებმა სიამოვნებით მიიღეს ეს წინადადება, ანიჭებდნენ რა უპირატესობას რომაელი მოქალაქის უფლების მიღებას აგრარული საკითხის გადაწყვეტის წინაშე. ფულვიუს ფლაკი, კონსული და იმავე დროს მიწის განმანაწილებელი კომისიის წევრი, განსაკუთრებით ცდილობდა იტალიელებისათვის. მაგრამ სენატი უკმაყოფილო იყო, რომ რომაელთა ქვეშევრდომნი იღებდნენ რომაელი მოქალაქის თანასწორ უფლებებს. ამგვარად ეს ცდაც ჩაიფუშა. ხოლო ხალხი, რომელიც დღემდე იმედოვნებდა, რომ მიწას მიიღებდა, უიმედობამ მოიცვა. ასეთ პირობებში გაიუს გრაკხმა, მრწების გაყოფის შესახებ კანონის ავტორის გრაკხის უმცროსმა ძმამ, იმ კომისიის ყოფილმა წევრმა, რომელსაც მიწების განაწილება ჰქონდა დავალებული, სიამოვნებით წამოაყენა თავისი კანდიდატურა სახალხო ტრიბუნობაზე. ბრწყინვალედ

არჩეული გრაკხი დაუყოვნებლივ ოპოზიციაში ჩაუდგა სენატს. მან გატარა დადგენილება საზოგადოებრივი თანხებიდან ყოველი პლებეისთვის ყოველთვიურად სასურსათო ფულის მიცემის შესახებ — არაფერი ამის მსგავსი არასოდეს არა ყოფილა. ამ ერთი სახელმწიფოებრივი აქტით, რომლის გატარებაშიც მას თანაშემწედ ჰყავდა ფულვიუს ფლაკი, გრაკხმა გადაჭრით მოიპოვა ხალხის კეთილგანწყობილება და ამის წყალობით მაშინათვე იქნა არჩეული ტრიბუნად შომავალი წლისთვის. საქმე ის არის, რომ ამ დროისთვის დამტკიცებული იყო კანონი, რომ: თუ სახალხო ტრიბუნს ესაჭიროება თავის რწმუნებათა გაგრძელება, ხალხმა უნდა აირჩიოს იგი ყველა მოქალაქეთაგან.*

22. ამგვარად გაიუს გრაკხი გახდა ტრიბუნი მეორეჯერ. იმის მაგვარად, როგორც ადრე მან მოისყიდა ხალხი (თავისი აგრარული კანონით), ახლაც ესეც გადმოიბირა თავის მხარეზე ეგრეთ წოდებული მხედრებიც, რომლებსაც თავისი მდგომარეობით სენატსა და პლებეებს შორის საშუალო ადგილი ეჭირათ. ამასთანავე მან მიმართა შემდეგ სახელმწიფოებრივ ღონისძიებას: სასამართლოები, რომლებსაც მექრთამეობის გამო სახელი ჰქონდათ გატეხილი, ჩამოართვა სენატორებს და მხედრებს გადასცა. სენატორებს განსაკუთრებით აყვედრიდა შემდეგ შემთხვევებს, რომლებიც ცოტა ხნის წინათ მოხდა: ავრელიუს კოტა, სალინატორი და მათ შემდეგ მანიუს აცილიუსი — მცირე აზიის დამპყრობი, იმისდა მიუხედავად, რომ მხილებული იყვნენ აშკარა მექრთამეობაში, მოსამართლეებმა, რომლებიც მათ ასამართლებდნენ, ისინი მაინც გაამართლეს. რომში იყვნენ კიდევ ელჩები, რომლებიც გამოვიდნენ ხსენებულ პირთა წინააღმდეგ ბრალდებებით და ნაღვლიანად მოუთხრობდნენ ყველას მათ საქციელს. სენატი, რომელსაც დიდად სცხვენოდა ყველა ამის გამო, დაეთანხმა გაიუსის მიერ წარდგენილ კანონპროექტს და სახალხო კრებამ დაამტკიცა იგი. ამგვარად სასამართლოები სენატორთაგან მხედრების ხელში გადავიდა. ამბობენ, რომ გაიუსმა დაუყოვნებლივ, როგორც კი კანონი მიღებულ იქნა, წარმოსთქვა: „მე ერთის დაკვრით მოვსპე სენატი“-ო. გრაკხის ეს სიტყვები უფრო მეტად გამართლდა შემდეგში, როდესაც გრაკხის მიერ გატარებული რეფორმა პრაქტიკულად ხორციელდებოდა. რადგანაც მხედრებისთვის რომაელების, იტალიელებისა და თვით სენატორთა გასამართლების უფლების მიცემა, მათი ყოველგვარი საშუალებით: ფულადი ჯარიმით, მოქალაქის უფლების ჩამორთმევით, გაძევებით დასჯის უფლების მიცემა, — ყველაფერი ეს მხედრებს, როგორც თანამდებობის პირთ სენატზე მაღლა აყენებდა და მის წევრებს ან უთანაბრებდა მხედრებს, ან მათდამი დაქვემდებარებულად აქცევდა. თუ მხედრები კენჭის ყრის საქმეში სახალხო ტრიბუნებს ემ-

* აპიანეს ტექსტი ამ ადგილას ბუნდოვანია.

ჩრობოლნენ და საბადლობელში იღებდნენ ტრიბუნიდან იმას, რასაც კი მოისურვებდნენ, — სენატორებს ეს დიდ შიშს შთააგონებდა. და მალე საქმე იქამდე მივიდა, რომ თვით სახელმწიფო წყობის საფუძველი ყირამალა შეტრიალდა: სენატმა შეინარჩუნა მხოლოდ თავისი ავტორიტეტი და მთელი ძალა კი მხედრების ხელში იყო. იზრდებოდა რა თანდათან მათი მნიშვნელობა, მხედრებმა დაიწყეს არა მხოლოდ მთელი საქმეების თვითონ წარმართვა სასამართლოებში, არამედ აშკარად დასცინოდნენ კიდეც სენატორებს. მათ შეითვისეს უკანასკნელთაგან მათთვის ჩვეული მექრთამეობა და გაიგეს რა სიმდიდრის გემო, უფრო სამარცხვინოდ და უზომოდ იწყეს სიმდიდრის დაგროვება. მდიდრების წინააღმდეგ მხედრებს გამოყავდათ მოსყიდული ბრალმდებლები, მექრთამეობის წინააღმდეგ პროცესები მათ სრულიად მოსპეს, მოლაპარაკებული იყვნენ რა ურთიერთშორის, ან მიმართავდნენ რა ერთი მეორის მიმართ ძალდატანებას. თვით ადათი, რომ მოეთხოვნათ თანამდებობის პირთაგან მათი მოქმედების ანგარიში, საერთოდ დავიწყებას მიეცა და გრაკხის კანონს სასამართლოების შესახებ მოჰყვა საშინაო დავა არანაკლები, ვიდრე წინანდელ კანონებს.

23. ხოლო გრაკხმა დაიწყო მთელს იტალიაში დიდი გზების გაყვანა, გადაიბირა რა თავის მხარეზე მთელი რიგი მოიჯარეები და ხელოსნები, რომლებიც მზად იყვნენ შეესრულებინათ ყველა მისი ბრძანება. მან ბოაწყო აგრეთვე ბევრი კოლონიები. ლათინებს აქეზებდა იგი მოეთხოვათ თავისათვის ყველა ის უფლებები, რომლებიც რომაელებსა ჰქონდათ: სენატს არ შეეძლო ლათინებისთვის წინააღმდეგობა გაეწია რაიმე საბაბით, რადგან ისინი ტომობრივად რომაელების მონათესავე იყვნენ. ღანარჩენ მოკავშირეებს, რომლებსაც რომაელი მოხელეების არჩევის დროს ხმის უფლება არა ჰქონდათ, ამიერიდან გაიუსმა მათ ეს უფლება შეიანიჭა, რათა კენჭისყრის დროს ისინი თავის მხარეზე ჰყოლოდა. განსაკუთრებით ამით გაცოფებულმა სენატმა უბრძანა კონსულებს გამოექვეყნებიათ კანონი, რომლითაც ყველა იმათ, ვისაც ხმის უფლება არა აქვს, ეკრძალებოდათ ქალაქში* ცხოვრება და არც შეეძლოთ მიჰკარებოდნენ მას 40 სტადიუმის სიახლოვეს. მეორე ტრიბუნი ლივიუს დრუზუსი დაარწმუნა სენატმა წინააღმდეგობა გაეწია მას გრაკხის კანონების გატარებისთვის, ისე რომ ხალხისთვის არ აეხსნა, თუ იგი რად იქცევა ასე. ასეთი უფლება — არ აეხსნა მიზეზი — მინიჭებული ჰქონდა ტრიბუნს, რომელიც თავისი თანამდებობრივი ამხანაგის წინააღმდეგ გამოდიოდა.** სენატმა მისცა აგრეთვე დრუზუსს რწმუნება, რათა ხალხი თავის მხარეზე გადმოებირებინა, მოეწყო 12 კოლონია. ამან მეტად გაა-

---

* ე. ი. ჰ. რომში.

** იგივე veto-ს უფლება იგულისხმება.

ბარა ხალხი, რის გამოც იგი უგულებელყოფით მოეკიდა გრაკხის კანონებს.

24. გრაკხი, რომელიც ხალხის მისდამი არაკეთილგანწყობით ძლიერ შეურაცხყოფილი იყო, გაემგზავრა ლიბიაში ფულვიუს ფლაკთან ერთად, რომელიც მისი კონსულობის ვადის განვლის შემდეგ არჩეულ იქნა ლიბიაში კოლონიის მოსაწყობად. ლიბიაში კოლონიის მოწყობა გადაწყვეტილი იყო იქაური ნიადაგის დიდი ნაყოფიერების გამო, კოლონიის დამფუძნებელად კი არჩეულ იყვნენ გაიუსი და ფლაკი იმ მიზნით, რომ მათი შორს ყოფნის დროს სენატს მოეხერხებინა მოკლე ხნით მაინც ჩაეხშო ხალხის მისდამი (სენატისადმი) არა კეთილგანწყობილება. გაიუსმა და ფლაკმა კოლონიის მოსაწყობად ის ადგილი ამოარჩიეს, სადაც წინათ კართაგენი მდებარეობდა, არ გაუწიეს რა სრულიად ანგარიში მას, რომ სციპიონმა, როდესაც იგი დაანგრია, წყევლა-კრულვა წარმოსთქვა, რომლის მიხედვითაც კართაგენის ტერიტორია საუკუნოდ უნდა ქცეულიყო საძოვრად საქონლისათვის. გაიუსმა და ფლაკმა კოლონისტთა რიცხვში ჩასწერეს 6000 კაცი, თუმცა კანონში ნაკლებ რიცხვზე იყო ლაპარაკი. ყველაფერი ეს იმიტომ ხდებოდა, რომ ხალხი თავისკენ მიემხროთ. რომში დაბრუნების შემდეგ ისინი შეუდგნენ მთელს იტალიაში 6000 კაცის შეგროვებას. მაშინ, როცა გაიუსი და ფლაკი ფიქრობდნენ ლიბიაში კოლონიის დაარსებას, მოვიდა ცნობა. რომ მგლებმა ამოყარეს და მიმოაბნიეს გრაკხისა და ფულვიუსის მიერ ჩაყრილი სასაზღვრო ბოძებიო და, რომ ავგურებმა განმარტეს ეს როგორც ცუდი ნიშანი მომავალი კოლონიისათვის. სენატმა მოიწვია მაშინ სახალხო კრება, რომელსაც უნდა გაეუქმებია კანონი ამ კოლონიის შესახებ. გრაკხი და ფულვიუსი, შემცდარნი თავიანთ ანგარიშებში ამ ჯერადაც, ამტკიცებდნენ, რომ სენატი მოტყუებულია მგლების შესახებ მოთხრობით. პლებეებთაგან ყველაზე გაბედულნი მათ მხარეზე დადგნენ და ხანჯლებით გამოცხადდნენ კაპიტოლიუმზე, სადაც უნდა გამართულიყო სახალხო კრება კოლონიის საკითხებზე.

25. როდესაც ხალხი მოგროვდა და ფულვიუსმა დაიწყო თავისი სიტყვა კოლონიის შესახებ, გრაკხი ავიდა კაპიტოლიუმზე თავისი მომხრეებისგან შემდგარ მცველთა თანხლებით. შეწუხებული იმ შეგნებით, რომ ბჭობაა არა პრინციპული მნიშვნელობის საკითხზე, თავი აარიდა კრებაში მონაწილეობას და, აუარა რა მას გვერდი, გაემართა პორტიკისაკენ, სადაც უნდა დაეცადა, რა მოხდებოდა შემდეგ. ასეთ არეულ გუნებაზე მყოფი გრაკხი დაინახა ანტილმა, პლებეიმ, რომელიც პორტიკში მსხვერპლსა სწირავდა, მოჰკიდა მას მკლავზე ხელი და დაუწყო თხოვნა, რათა დაენდო მას სამშობლო, — ყური მოჰკრა რამეს ანტილმა, თუ რამე ეჭვი ჰქონდა აღებული, თუ სხვა რამემ აიძულა იგი მიემართა გრაკხისათვის — ცნობილი არ არის. გრაკხი, რომელიც უფრო მეტად შეწუხდა და შეეშინდა, თითქოს იგი რამეში ემხილებიათ, მკაცრად ჩააცქერდა ან-

ტილას. ვიღაც აქ დამსწრეთაგანმა, მიუხედავად იმისა, რომ არ ყოფილა მიცემული არავითარი ნიშანი, არაეითარი ბრძანება, არამედ მხოლოდ იმ საფუძველზე, რომ გრაკხი მკაცრად ჩააცქერდა ანტილას, წარმოიდგინა, რომ უკვე დრო მოვიდა და რათა გრაკხისთვის რითიმე ესიამოვნებინა, პირველი შეუდგა საქმეს: მან იძრო ხანჯალი და განგმირა ანტილა. შეიქმნა ხმაური, მისი გვამი რომ დაინახეს. მომხდარი უბედურების გამო ყველანი შიშით გაიფანტნენ ტაძრიდან. გრაკხი გაემართა ფორუმისკენ და სურდა იქ განემარტა, რაც მოხდა. მაგრამ მას გზას არავინ უთმობდა: ყველა გაურბოდა მას, როგორც მკვლელობით წაბილწულ კაცს. გრაკხმა და ფულვიუსმა აღარ იცოდნენ რა ექნათ. მათ გაუშვეს მარჯვე შემთხვევა ეთქვათ კრებაზე ის, რაც გადაწყვეტილი ჰქონდათ და შინ გაიქცნენ. მათმა მომხრეებმა მათთან მოიყარეს თავი, დანარჩენმა ბრბომ კი უკვე ღამით, თითქოს მათ რამე უბედურება ელოდათ, ხელთ იგდო (დაიკავა) ფორუმი. კონსულმა ოპიმიუსმა, რომელიც მაშინ ქალაქში იმყოფებოდა, უბრძანა რამდენიმე შეიარაღებულ პირს დილით კაპიტოლიუმზე მოგროვილიყვნენ და მაუწყებელთა საშუალებით მოიწვია სენატის სხდომა, თვითონ კი უთვალთვალებდა რა მოხდებოდა შემდეგ დიოსკურების ტაძარში, რომელიც კაპიტოლიუმის ცენტრში მდებარეობდა.

26. ასეთი იყო საქმის ვითარება. სენატმა მოუწოდა გრაკხსა და ფლაკს დაეტოვებინათ თავიანთი სახლები და გამოცხადებულიყვნენ სენატში, რათა თავი ემართლებინათ. მაგრამ ისინი შეიარაღებულნი გაიქცნენ ავენტინუმის ბორცვზე იმ იმედით, რომ, თუ ისინი მას დაიკავებდნენ, მაშინ სენატი უფრო ადვილად გამართავდა მათთან მოლაპარაკებას. გაქცევის დროს ისინი თავისკენ ეძახოდნენ მონებს, მაგრამ მათ არავინ უსმენდა. გრაკხმა და ფლაკმა თავიანთი მომხრეებით დაიკავეს მინერვას ტაძარი და იქ გამაგრდნენ, ხოლო ფლაკის ვაჟი კვინტუსი გაგზავნეს სენატთან თხოვნით, რათა შეერიგებულიყვნენ იმ პირობით, რომ მომავალში სენატთან თანხმობით იცხოვრებდნენ. სენატმა უბრძანა გრაკხსა და ფლაკს განიარაღებულიყვნენ, მოსულიყვნენ სენატში და გაენეცხადებიათ თავიანთი სურვილი და აღარ გამოეგზავნათ აღარავითარი ელჩები. რადგანაც კვინტუსი მეორეჯერ იქნა გაგზავნილი, ამიტომ კონსულმა ოპიმიუსმა, ხელმძღვანელობდა რა ადრევე გამოცხადებულით, ბრძანა მისი დაპატიმრება, იმიტომ რომ მას უკვე აღარ ჰქონდა ელჩის რწმუნებანი, გრაკხისა და მისი მომხრეების წინააღმდეგ კი გაგზავნა შეიარაღებული რაზმი. მაშინ გრაკხი ხიმინჯიანი ხიდით გაიქცა ტიბრის გაღმა ჰალაში მხოლოდ ერთი მონის თანხლებით, და უბრძანა მას, მოეკლა იგი, როგორც კი შეიპყრობდნენ. ფლაკი ერთი თავისი ნაცნობის სახელოსნოში დაიმალა. მისმა მდევნელებმა, არ იცოდნენ რა რომელ სახლში დაიმალა იგი, ითხოვეს დაეწვათ ყველა სახლი იმ ჭუჩაზე. ფლაკის ნაცნობს, რომელმაც იგი შეიფარა, არ სურდა თვითონ გაეცა ფლაკი,

რადგან მან მისგან მფარველობა ითხოვა, და უბრძანა სხვა პირს გაეცა იგი. ფლაკი შეპყრობილ და მოკლულ იქნა. გრაკხისა და ფლაკის თავები ოპიმიუსს მიუტანეს და ამ უკანასკნელმა მათ მომტანთ მისცა იმდენი ოქრო, რამდენსაც ის თავები იწონიდა. ხალხი მიესია და გაძარცვა მათი სახლები. ისინი, ვინც ამაში მონაწილეობას იღებდა, ოპიმიუსმა დააჭერინა და ჩამოახრჩობინა. კვინტუსს, ფლაკის ვაჟს, ოპიმიუსმა ნება მისცა მოკვდარიყო ისეთი სიკვდილით, როგორსაც თვითონ ამოირჩევდა. შემდეგ ოპიმიუსმა მოახდინა ქალაქის გაწმენდა ჩადენილ მკვლელობათაგან. სენატმა კი უბრძანა ოპიმიუსს აეგო ფორუმზე თანხმობის ტაძარი.

27. ასე დამთავრდა მეორე გრაკხის აჯანყება. მისი კანონი ცოტა ხნის შემდეგ დამტკიცებულ იქნა; სადაო ნაკვეთების მფლობელთ ნება მისცეს გაეყიდნათ ისინი, რაც პირველი გრაკხის დროსავე აკრძალულ იყო და დაუყოვნებლივ მდიდრებმა იწყეს ღარიბთა ნაკვეთების შესყიდვა. ხოლო ზოგჯერ, ვითომც სყიდვის საბაბით, ძალითაც ართმევდნენ მათ. ღარიბების მდგომარეობა უფრო მეტად გაუარესდა.

პლუტარქე — ტიბერიუს გრაკხი, 8—21.

8. ომის დროს მეზობლებისათვის წართმეულ მიწის ნაწილს რომაელები ჰყიდდნენ, ნაწილს კი სახელმწიფო საკუთრებად აქცევდნენ, აძლევდნენ დროებით სასარგებლოდ მიწის უქონელსა და ღარიბ მოქალაქეებს, რომლებიც სახელმწიფო ხაზინას უხდიდნენ მცირე ღალას. როდესაც მდიდრებმა იწყეს ღალის გადიდება და ღარიბების აყრა მიწიდან, გამოიცა კანონი, რომლითაც იკრძალებოდა ჰქონოდა ვისმე 500 იუგერზე მეტი მიწა. ამ დადგენილებამ; შეაკავა რა დროებით მდიდრების სიხარბე, უშველა ღარიბებს, რომლებიც დარჩნენ მათ მიერ თავიდანვე საიჯაროდ მიღებულ ნაკვეთებზე და ამუშავებდნენ მათ. შემდეგში ღარიბების მეზობელი მდიდრები მიგზავნილი პირების საშუალებით თვითონ იღებდნენ ღარიბების ნაკვეთებს და ბოლოს და ბოლოს აშკარად იგდეს ხელთ ნაკვეთების უდიდესი ნაწილი. მაშინ ღარიბები, რომლებიც მიწიდან იყვნენ აყრილნი, უხალისოდ ეკიდებოდნენ სამხედრო ლაშქრობებს, უყურადღებოდ ეპყრობოდნენ შვილების აღზრდას, ისე რომ მთელ იტალიაში მალე საგრძნობი გახდა თავისუფალთა სიმცირე, იგი (იტალია) გაივსო უცხოელი მონებით, რომელთა დახმარებითაც მდიდრები ამუშავებდნენ თავიანთ მამულებს, გარეკეს რა იქიდან მოქალაქენი. სციპიონის მეგობარმა გაიუს ლელიუსმა* სცადა ეშველა უბედურებისთვის, მაგრამ ოპტიმატების მხრით პროტესტით და ამით გამოწვეული ხმაურით შეშინებულმა ხელი აიღო თავის განზრახვაზე...

---

* 140 წლის კონსული.

სახალხო ტრიბუნად დანიშნულმა ტიბერიუს გრაკხმა დაუყოვნებლივ ხელი მიჰყო იმავე გეგმის განხორციელებას. ტიბერიუსის ძმა გაიუსი თავის ერთ თხზულებაში მოგვითხრობს, რომ ტიბერიუსმა, მიემგზავრებოდა რა იგი ნუმანციაში ერიტრეის გავლით, ნახა, რომ მიწები დაუმუშავებელი იყო, რომ მათ ამუშავებდნენ ან იქ ნახირს აძოვებდნენ უცხოელი მონები, რომ მას მაშინ დაებადა რეფორმის მოხდენის აზრი, რაც ორივე ძმისთვის აურაცხელ უბედურებათა წყაროდ გადაიქცა. ისე კი თვით ხალხმა გააღვივა ტიბერიუსში დიდი ენერგია და პატივმოყვარეობა, აქეზებდა რა მას თავისი წარწერებით პორტიკში, კედლებზე, სასაფლაოების ძეგლებზე ღარიბებისათვის საზოგადოებრივი მიწის დაბრუნების შესახებ.

9. ამისდა მიუხედავად, ტიბერიუსს თვითონ არ შეუდგენია თავისი კანონის პროექტი, არამედ ისარგებლა ამ საქმეში მოქალაქეთა რჩევით, რომლებიც გამოირჩეოდნენ თავისი ზნეობრივი თვისებებით და დიდი სახელითა სარგებლობდნენ: მათ შორის იყვნენ პონტიფექსი კრასუსი, იურისტი მუციუს სცევოლა, მაშინდელი კონსული, და აპიუს კლავდიუსი, ტიბერიუსის სიმამრი. და, მგონია, არასოდეს არ ყოფილა შედგენილი პროექტი უფრო თვინიერი და რბილი კანონისა ასეთი უსამართლობისა და ანგარების წინააღმდეგ. საჭირო იყო მდიდრების დაპატიმრება დაუმორჩილებლობის შემთხვევაში, უნდა დაჯარიმებულიყვნენ ისინი და ჩამორთმეოდათ ის მიწა, რომელსაც ისინი უკანონოდ ფლობდნენ. ხოლო ტიბერიუსის კანონით მათ ნაბრძანები ჰქონდათ ანაზღაურების მიღების შემდეგ დაეტოვებიათ ის მიწები, რომლებსაც უსამართლოდ ფლობდნენ, და გადაეცათ ისინი გაჭირვებულ მოქალაქეთა დასახმარებლად.

...მაგრამ მდიდრები და მესაკუთრენი, თავისი ანგარებით აღძრულნი, მტრულად შეხვდნენ კანონს, ჯავრობდნენ კანონმდებელზე, სურდათ გამოსულიყვნენ მის მოწინააღმდეგეებად. ისინი ცდილობდნენ ჩაეგონებიათ ხალხისთვის არ მიეღოთ კანონი, რადგანაც ტიბერიუსს იმიტომ უნდა მიწების გადანაწილების შემოღება, რათა დაარღვიოს სახელმწიფო წესრიგი და საერთო აღრეულება გამოიწვიოსო. მაგრამ მდიდრებმა თავის მიზანს ვერ მიაღწიეს. ტიბერიუსი თავისი მშვენიერი და სამართლიანი პროექტისთვის იბრძოდა ისეთი მჭერმეტყველებით, რომ მას შეეძლო ლამაზ ფერებში წარმოედგინა ამაზე უფრო ცუდი საქმეც. ტიბერიუსი საშიში და უძლეველი იყო, როდესაც იგი ტრიბუნის ირგვლივ შემორტყმულ ხალხის თანადასწრებით ლაპარაკობდა ღარიბების დასაცავად: „ნადირებს — ამბობდა ტიბერიუსი — რომლებიც იტალიაში დაძრწიან, იმათაც კი აქვთ სოროები და ბუნაგები, ამავე დროს კი იმათ, ვინც იბრძვიან და იხოცებიან იტალიისათვის, არაფერი გააჩნიათ ჰაერისა და სინათლის მეტი. ისინი უსახლკარონი არიან, მოკლებული არიან მუდმივ ადგილსამყოფელს და დაყიალებენ თავიანთი ცოლშვილით. სარდლები

ატყუებენ ჯარისკაცებს, როცა მათ არწმუნებენ ებრძოლონ მტერს და დაიცვან წინაპართა საფლავები და ტაძრები, მაშინ როდესაც რამდენ რომაელს არა აქვს არც მამისეული საკურთხეველი და არც წინაპართა სასაფლაო! ჯარისკაცები იბრძვიან და იხოცებიან მხოლოდ სხვისი ფუფუნების და სიმდიდრისათვის, ჯარისკაცები, რომლებსაც მსოფლიოს მფლობელებს უწოდებენ, და ნამდვილად კი არა აქვთ ერთი ციდა საკუთარი მიწაც".

10. უარი თქვეს რა თვითონ მის წინააღმდეგ გამოსვლაზე, მათ* მიმართეს ერთ-ერთ სახალხო ტრიბუნს მარკუს ოქტავიუსს... ტიბერიუსის ახლო მეგობარს. მის წინაშე სირცხვილის გამო, ოქტავიუსი ჯერ უარზე იყო, მაგრამ როდესაც ბევრმა ოპტიმატმა მას დაჟინებით თხოვნა დაუწყო, მაშინ იგი, თითქოს, დაჰყვა რა მათ დაჟინებას, გამოვიდა ტიბერიუსის წინააღმდეგ და ცდილობდა გადაედო კანონის გატარება... ამით გაჯავრებულმა ტიბერიუსმა თავისი კანონი უკან წაიღო და წარმოადგინა მეორე, უფრო მეტად სასიამოვნო ხალხისათვის, მაგრამ უფრო მკაცრი იმათთვის, ვინც ხალხის უფლებას ფეხქვეშ სთელავდა. მან მოითხოვა, რათა მათ მიეტოვებინათ ის მიწები, რომლებსაც ისინი ფლობდნენ წინანდელი კანონების უგულვებელყოფის შედეგად. თითქმის ყოველდღე მიმდინარეობდა ტრიბუნაზე დავა ტიბერიუსსა და ოქტავიუსს შორის... ტიბერიუსი ხედავდა, რომ მის მიერ წარდგენილი კანონპროექტი ეხებოდა ოქტავიუსსაც, რომელიც საზოგადო მიწის დიდ ნაკვეთებსა ფლობდა. მან სთხოვა შეეწყვიტა მას წინააღმდეგობა და ტიბერიუსი თავისი ქონებიდან, თუმცა ბევრი არაფერი გააჩნდა, მას მისი მიწებისთვის საშაგიეროს გადაუხდიდა. როდესაც ოქტავიუსი არც ამაზე დათანხმდა, ტიბერიუსმა გამოსცა ედიქტი, რომლითაც ყველა თანამდებობის პირს ეკრძალებოდა გამოეტანა რამე კენჭის საყრელად იქამდე, ვიდრე არ იქნებოდა მიღებული გადაწყვეტილება მის (ტიბერიუსის) მიერ წარდგენილ კანონზე... მაშინ მდიდრებმა გაიხადეს თავიანთი მდიდრული ტანსაცმელი და დადიოდნენ ფორუმზე შესაცოდარი და დაჩაგრული სახით. ამასთანავე კი საიდუმლოდ განიზრახავდნენ ტიბერიუსის წინააღმდეგ ბოროტებას და აგულიანებდნენ ხალხს მის მოსაკლავად...

11. როდესაც კენჭისყრის დღე დადგა და ტიბერიუსი ხალხს მისკენ ძოუწოდებდა, მდიდრებმა გაიტაცეს ურნები, რამაც დიდი არეულობა გამოიწვია. მართალია, ტიბერიუსის მომხრეებს შეეძლოთ ძალდატანებისთვის მიემართათ ბრბოზე დაყრდნობით, რომელსაც საამისოდ კიდევაც აქეზებდნენ, მაგრამ მაშინდელმა კონსულებმა მანლიუსმა და ფულვიუსმა მიირბინეს ტიბერიუსთან, მოკიდეს მას ხელი და თვალცრემლიანი ევედრებოდნენ ხელი აეღო თავის განზრახვაზე. რადგანაც მაშინ მას ჯერ კიდევ არა ჰქონდა წარმოდგენა მომავალ საშინელებაზე, ამიტომ

* ე. ი. მდიდრებმა.

მაცლიუსისა და ფულვიუსის პატივისცემის გამო შეეკითხა მათ: როგორ მიბრძანებთ მოვიქცეო? მათ უპასუხეს, რომ არ ძალუძს მისცენ რაიმე რჩევა, გარდა იმისა, რომ ურჩევენ და სთხოვენ მას საქმე სენატს გადასცეს განსახილველად. ტიბერიუსი დააჯერეს ძათ ასე მოქცეულიყო. სენატი შეიკრიბა, მაგრამ ვერაფრის გაკეთება ვერ შესძლო, რადგან მდიდრებს იქ დიდი გავლენა ჰქონდათ. ძაშინ ტიბერიუსმა უკანონო და შეუფერებელ ღონისძიებას მიჰმართა — გადაეყენებინა ოქტავიუსი თანამდებობიდან: უამისოდ ის ვერ მოახერხებდა თავისი კანონი კენჭისყრამდე მიეტანა. ჯერ ტიბერიუსმა ყველასათვის გასაგონად სთხოვა ოქტავიუსს, ელაპარაკებოდა რა მას ტკბილად, დაეთმო ხალხისთვის, რომელიც სამართლიან რამეს მოითხოვდა, ხალხისთვის, რომელიც ამ შემთხვევაში მიიღებდა მცირეს მის მიერ განცდილი შრომისა და საშიშროებისთვის. ოქტავიუსმა უკუაგდო თხოვნა. მაშინ ტიბერიუსმა შენიშნა ოქტავიუსს, რომ ომი აუცილებელი იქნებოდა, რამდენადაც ორივე სახალხო ტრიბუნი, რომლებსაც თანასწორი უფლება აქვთ, სხვადასხვა აზრისა არიან ასეთ მნიშვნელოვან საქმეში: რომ იგი მხოლოდ ერთ საშუალებასა ხედავს — ეს ის არის, რომ ერთ-ერთმა მათგანმა მოიხსნას თავისი თანამდებობა. მან შესთავაზა ოქტავიუსს ხალხს თავისი აზრი ჯერ მასზე, ტიბერიუსზე გამოეთქვა კენჭისყრით. აღუთქვა რა, რომ თუ მოქალაქენი გადასწყვეტენ. იგი დაუყონებლივ გადადგება თანამდებობიდან და გახდება კერძო პირი. ოქტავიუსი არ თანხმდებოდა; მაშინ ტიბერიუსმა უთხრა, რომ თუ ოქტავიუსი მოფიქრების შემდეგ არ გამოიცვლის თავის გადაწყვეტილებას, იგი თვითონ მოაწყობს კენჭისყრას მის, ოქტავიუსის შესახებ.

12. ამაზე ტიბერიუსმა დაშალა სახალხო კრება. მეორე დღეს, როდესაც კრება კვლავ შეიკრიბა, ტიბერიუსი ავიდა ტრიბუნაზე და კვლავ ცდილობდა შთაგონებით ემოქმედნა ოქტავიუსზე. რადგან იგი ურყევად იდგა, ტიბერიუსმა შეიტანა წინადადება წაერთმიათ ოქტავიუსისათვის ტრიბუნის წოდება და მოუწოდა მოქალაქეებს ეყარნათ კენჭი. იყო 35 ტრიბი. 17-მა მისცა უკვე ხმა; საკმარისი იყო კიდევ ერთ ტრიბას მიეცა ხმა და ოქტავიუსი კერძო პირი გახდებოდა. ტიბერიუსმა სხდომა ცოტა ხნით შეწყვიტა, კვლავ და კვლავ ემუდარებოდა ოქტავიუსს, ეხვეწა, ჰკოცნიდა მას ხალხის დასანახად, მხურვალედ ეხვეწებოდა არ დაეკარგნა საკუთარი პატივი, და მის, ტიბერიუსის მიმართ არ გამოეწვიენა ბრალდება ესოდენ მძიმე და სამწუხარო პოლიტიკური აქტის გამო. ამბობენ, რომ ოქტავიუსი მთლად შეუპოვარი და მიუკარებელი არ გამოდგა. მას თვალები ცრემლით აევსო და დიდ ხანს მდუმარებდა მაგრამ როდესაც მან გადახედა თავმოყრილ მდიდრებს, ეტყობა, მათი პატივისცემისა და იმ შიშის გამო, რომ მათ თვალში იგი უსახელო არ გამომდგარიყო, მამაცურად შეეგება ყველა საშინელებას და უთხრა ტიბერიუსს მოქცეულიყო ისე, როგორც მას სურდა. ამგვარად, როდესაც,

ტიბერიუსის წინადადება ხალხის მიერ დამტკიცებულ იქნა. მან უბრძანა ერთ-ერთ გააზატებულს ჩამოეგდო ოქტავიუსი ტრიბუნიდან... როდესაც მას ძალით მიათრევდნენ, ამ სანახაობამ უფრო მეტი სიბრალული აღძრა ოქტავიუსის მიმართ. ხალხი მისკენ გაექანა, მაგრამ მდიდრებმა მიირბინეს და მოაშორეს. ოქტავიუსი ძლივს გადარჩა, დაიმალა და ამგვარად გაექცა ბრბოს. მაგრამ მის ერთგულ ყმას, რომელიც მის წინ იდგა და მას იცავდა, თვალები დასთხარეს, და ყველაფერი ეს ხდებოდა ტიბერიუსის სურვილის წინააღმდეგ, რომელმაც, როგორც კი გაიგო, რაც მოხდა, სწრაფად მიირბინა ხმაურზე.

13. ამის შემდეგ ავრარული კანონი დამტკიცებულ იქნა და საქმის გასარჩევად და მიწის გასაყოფად არჩეულ იქმნა სამი პირი: თვით ტიბერიუსი, მისი სიმამრი აპიუს კლავდიუსი და ძმა გაიუს გრაკხი... მშვიდად და ხელშეუშლელად შეასრულა თავისი თანამდებობა ტიბერიუსმა... ყველაფერი ამით ოპტიმატები უკმაყოფილო იყვნენ; მათ ეშინოდათ ტიბერიუსის გავლენის ზრდისა და სენატში ძალიან აგინებდნენ; მან ითხოვა თავისთვის, ჩვეულების თანახმად, კარავი სახელმწიფო ხარჯზე; რომელშიაც უნდა ეცხოვრა მიწების გაყოფის დროს. მას იგი არ მისცეს... ყოველდღიურ სახარჯოდ მას დაუნიშნეს 24 ასსი. ყველაფერი ეს გატარდა პუბლიუს ნაზიკას წინადადებით, რომელიც ტიბერიუსის მიმართ დაუნდობელი მტრობით იყო გამსჭვალული: ნაზიკა თვითონ ფლობდა სახელმწიფო მიწის ძალიან ბევრ ნაკვეთებს და გულნაწყენი იყო იმით, რომ მათზე ხელი უნდა აეღო. ხოლო ხალხის ჟინი თანდათან მეტად გაღვივდა. უცაბედად გარდაიცვალა ტიბერიუსის ერთ-ერთი მეგობარი, ამასთანავე მის სხეულს დააჩნდა საეჭვო ლაქები. ხალხმა დაიწყო ყვირილი, რომ აქ მოწამლვას ჰქონდა ადგილი. ამ შემთხვევამ აიძულა ტიბერიუსი უფრო მეტად გაეღვივებინა ხალხის ჟინი. მან ჩაიცვა სამგლოვიარო ტანისამოსი, გამოიყვანა ხალხის წინაშე თავისი შვილები და სთხოვა ხალხს გამოეჩინა ზრუნვა მათ და მათი დედის მიმართ, რადგან თვითონ გადარჩენის იმედი დაეკარგა.

14. ატალ ფილომეტორის სიკვდილის შემდეგ პერგამელმა ევდემემ წარმოადგინა მისი ანდერძი, რომლითაც რომაელი ხალხი ინიშნებოდა მეფის მემკვიდრედ ტიბერიუსმა როგორც ტრიბუნმა. შეიტანა კანონპროექტი, რომლის მიხედვითაც მეფის ფულები, მას შემდეგ, რაც რომში მოიტანდნენ. უნდა მოხმარებოდა სამიწათმოქმედო იარაღების შეძენასა და ფულად დახმარებას იმ მოქალაქეთათვის, რომლებიც იღებდნენ მიწის ნაკვეთებს.

16. ტიბერიუსის მეგობრები, ხედავდნენ რა, რომ მისი მტრები იმუქრებიან მის წინააღმდეგ შეთქმულების შედგენით, ფიქრობდნენ, რომ მან თავისი კანდიდატურა უნდა წარადგინოს სახალხო ტრიბუნობაზე მომავალი წლისთვის. ტიბერიუსი თავისი მხრით ცდილობდა ხალხი გაენეწყო თავის სასარგებლოდ ახალი კანონებით: მან წინადადება შეი-

ტანა შემცირებულიყო სამხედრო სამსახურის ვადა, ხალხს მისცემოდა აპელაციის უფლება მოსამართლეთა გადაწყვეტილებათა მიმართ, რომლებსაც მაშინ სენატორთაგან ნიშნავდნენ და მიემატებინათ ამ მოსამართლეთათვის ასეთივე რიცხვი მხედართაგან. საერთოდ ის ცდილობდა, ყოველმხრივ შეესუსტებინა სენატის ძალა... კენჭისყრის დროს შესამჩნევი გახდა, რომ ტიბერიუსის მოწინააღმდეგენი იმარჯვებდნენ — მოელი ხალხი არ იყო მოსული. ტიბერიუსმა დაშალა სახალხო კრება და ბრძანა ხვალ შეკრებილიყვნენ...

17. ჯერ საქმე ბრწყინვალედ მიდიოდა ტიბერიუსისთვის. როდესაც ის მოვიდა, ხალხი მაშინათვე მხიარული შეძახილებით მიესალმა მას, გულთბილად მიიღო იგი, როდესაც ის ტრიბუნაზე ადიოდა და შემოეხვია მას გარშემო, რათა უცნობთაგანი არავინ მიჰკარებოდა ახლოს...

18. კენჭისყრამ ვერაფერი შედეგი ვერ გამოიღო იმ ხმაურის გამო, რომელიც განაპირა რიგებში ატყდა. ამ დროს სენატორი ფულვიუს ფლაკი თვალსაჩინო ადგილას დადგა და, რადგანაც გაგონება შეუძლებელი იყო, ამიტომ ხელით ანიშნებდა ტიბერიუსს, რომ მას სურს ცალკე რაღაც უთხრას. ტიბერიუსმა უბრძანა ხალხს გზა დაეთმოთ, ფლაკმა ძლივს მიაღწია ტიბერიუსამდე და განუცხადა მას, რომ სენატის სხდომაზე მდიდრებმა ვერ მოახერხეს თავის მხარეზე დაეყენებინათ კონსული და ამიტომ გადაწყვიტეს თვითონ მოკლან ტიბერიუსი, რა მიზნითაც მოამზადეს მრავალი მონა და თავიანთი მეგობრებიო.

19. როდესაც ტიბერიუსმა უამბო ეს თავის მომხრეებს, ამ უკანასკნელთ მაშინათვე შემოიკვალთეს თავიანთი ტოგები, დალეწეს იმ მსახურთა შუბები, რომლებიც ხალხში წესრიგს იცავდნენ, დაურიგეს ერთი მეორეს, რათა ამით ეჩვენებინათ, რომ ამ ნამტვრევებით ისინი თავს დაიცავდნენ თავდამსხმელთაგან.. ტიბერიუსმა თავზე ხელი დაიდვა, ანიშნებდა რა ამით, რომ მას საფრთხე მოელის — მისი ხმის გაგონება შეუძლებელი იყო. ამის დამნახავი მისი მოწინააღმდეგენი გაიქცნენ სენატში და განაცხადეს, რომ ტიბერიუსი თავისთვის სამეფო გვირგვინს მოითხოვსო, რომ ამის ნიშანი ის იყო, რომ მან თავზე ხელი დაიდეაო. ყველა შეშფოთდა. ნაზიკამ სთხოვა კონსულს ეშველნა სახელმწიფოსთვის და მოესპო ტირანი. კონსულმა წყნარად შენიშნა, რომ იგი ძალადობით არ იმოქმედებს და არავის მოჰკლავს მოქალაქეთაგან სასამართლოს განაჩენის გარეშე, მაგრამ თუ ხალხი ტიბერიუსის შთაგონებით, ან მისგან ძალდატანებით, დაადგენს რამე უკანონოს, იგი, კონსული, არ დაამტკიცებს ამ დადგენილებას. მაშინ ნაზიკამ წარმოსთქვა: „რადგან თანამდებობის პირი ღალატობს სახელმწიფოს, ყველა, ვისაც სურს კანონიერებას დაეხმაროს, მე მომყევითო". ამ სიტყვებით... იგი გაემართა კაპიტოლიუმის მიმართულებით. ზოგიერთს, ვინც მას მისდევდა, თანა ჰქონდა შინიდან მოტანილი კეტი, ან ჯოხი, სხვები გაქცეული ბრბოს მიერ დალეწილი სკამების ფეხებითა და ნამტვრევებით შეიარაღებული

მიდიოდნენ ტიბერიუსზე, სცემდნენ რა იმით, ვინც თავს იცავდა. დაიწყო საერთო გაქცევ-გამოქცევა და ხოცვა-ჟლეტა. ვიღაცამ ტიბერიუსს ტოგაზე სტაცა ხელი. მან იგი მოიძრო, მხოლოდ ტუნიკას ამარა გაიქცა. ფეხი წამოჰკრა და დაეცა მასზე ადრე მოკლულთა ხროვაზე. ადგომას რომ ცდილობდა, მას პირველმა, ყველას დასანახად, სკამის ფეხი დაარტყა პუბლიუს სატურეიუსმა, ტიბერიუსის ერთ-ერთმა თანამხანაგმა თანამდებობის მხრივ. მეორე დარტყმას იჩემებდა ლუციუს რუფუსი. მის სხვა მომხრეთაგან დაეცა 300-ზე მეტი კაცი. განგმირულნი ხის ნამტვრევებით ან ქვებით, არცერთ მათგანს რკინა არა ჰქონდა მოხვედრილი.

20. როგორც გადმოგვცეძენ, ეს იყო მეფობის გაუქმების შემდეგ პირველი აჯანყება, რომელიც მოქალაქეთა სისხლიანი ჟლეტით დამთავრდა. ყველა დანარჩენი, თუმცა არანაკლებ მნიშვნელოვანნი და სრულიადაც არა უმნიშვნელო მიზეზით წარმოშობილნი, ურთიერთ დათმობით თავდებოდა: ოპტიმატებს ეშინოდათ ხალხისა, ხალხი პატივს სცემდა სენატს. როგორც ჩანს, მაშინაც ტიბერიუსი ადვილად დათანხმდებოდა და უფრო ადვილად დაუთმობდა რა თავის მოწინააღმდეგებს, არ მიიყვანდა საქმეს ჭრილობებამდე, და მკვლელობამდე: მას ხომ 3000 კაცზე მეტი მომხრე არა ჰყავდა. მაგრამ, მგონია, ტიბერიუსის წინააღმდეგ მოძრაობა შედეგი იყო უფრო მდიდრების მისდამი სიძულვილისა და გაღიზიანებისა... ამრს აშკარა დამამტკიცებელია ის სისხლისმსმელი და კანონის საწინააღმდეგო შეურაცხყოფა, რაც მის გვამს მიაყენეს... სხვათა გვამებთან ერთად იგი მდინარეში გადააგდეს..

21. სენატს სურდა ხალხის გულის მოგება. ახლა აღარ ეწინააღმდეგებოდა ძიწის გაყოფას და წინადადება მისცა ხალხს ტიბერიუსის მაგიერ სხვა პირი აერჩიათ... ხოლო ხალხი, გაღიზიანებული იყო ტიბერიუსის სიკვდილით და უცდიდა მარჯვე შემთხვევას, რათა მის მაგიერ შურისმაძიებლად გამოსულიყო.

პლუტარქე — გაიუს გრაკხი 4—18.

4. ....შეიტანა* ორი კანონპროექტი: პირველი უკრძალავდა წამოეყენებინა თავისი კანდიდატურა სახელმწიფო თანამდებობაზე იმას, ვისაც ხალხისგან წართმეული ჰქონდა საამისო უფლება. მეორე — ანიჭებდა ხალხს უფლებას მიეცა სამართალში ის თანამდებობის პირი, რომელიც სასამართლოს გარეშე გააძევებდა მოქალაქეს. პირველი კანონი მიმართული იყო მარკუს ოქტავიუსის წინააღმდეგ, რომელიც ტიბერიუსის მიერ სახალხო ტრიბუნთა რიცხვიდან იყო გაძორიცხული; მეორე ეხებოდა პოპილიუსს, რომელმაც პრეტორად ყოფნის დროს გააძევა ტიბერიუსის მომხრენი. პოპილიუსმა არ დაუცადა სასამართლოს და იტალი-

* გაიუს გრაკხმა.

იდან გაიქცა. ხოლო პირველი კანონი თვითონ გაიუსმა უკანვე წაიღო, რომ მას არ სურს უსიამოვნება მიაყენოს ოქტავიუსს, დაჰყვა რა თავის დედის კორნელიას თხოვნას.

5. იმ კანონთაგან, რომლებიც შეიტანა გაიუსმა ხალხის საამებლად და სენატის ავტორიტეტის დაცემის მიზნით, ერთი ეხებოდა კოლონიების მოწყობასა და საზოგადო მიწის ღარიბთათვის დარიგებას, მეორეს მხედველობაში ჰყავდა ჯარისკაცები, რომლებსაც გაიუსის წინადადებით უნდა მისცემოდათ სახელმწიფო ტანსაცმელი, ისე რომ მისი ღირებულება არ გამოექვითნათ ჯარისკაცის ხელფასიდან, და აგრეთვე არ ჩაერიცხათ ლაშქარში ახალგაზრდები ჩვიდმეტი წლის ასაკამდე. მესამე კანონით იტალიელებს უნდა მიეღოთ რომაელ მოქალაქეთა თანაბარი უფლებები. პურის კანონით საბრძანები იყო მიეყიდნათ ღარიბებისთვის პური იაფ ფასებში. სასამართლო კანონით სენატორებს ერთმეოდათ მათი კუთვნილი ძალაუფლების მნიშვნელოვანი ნაწილი... სენატორთა წრიდან სამას მოსამართლეს გაიუსმა მიუმატა სამასი მხედარი.

6. როცა ხალხმა არა თუ მხოლოდ მიიღო გაიუსის კანონი სასამართლოს შესახებ, არამედ მას კიდევაც ნება დართო ამოერჩია მხედართაგან მოსამართლენი, მისი ხელისუფლება ერთგვარად გადაიქცა ერთპიროვნულ ძალაუფლებად, ისე რომ სენატიც ეხლა წუნარად მოისმენდა ხოლმე მის რჩევას. ხოლო გაიუსი მუდამ იმას ურჩევდა, რაც მისი აზრით აუცილებელი იყო. ასე, მაგალითად, სრულიად კეთილგონიერი და მშვენიერი იყო მისი წინადადება ესპანეთიდან პროპრეტორ ფაბიუსის ძიერ გამოგზავნილი პურის შესახებ. გაიუსმა დააჯერა სენატი ეს პური გაეყიდათ, აღებული ფული გაეგზავნათ პურის გამღებ ქალაქებისთვის, ხოლო ფაბიუსისთვის წარედგინათ ბრალდება იმის შესახებ, რომ იგი რომის ძალაუფლებას მოსახლეობისთვის მძიმესა და აუტანელს ხდის. ამის გამო გაიუსმა დიდი სახელი და კეთილგანწყობილება დაიმსახურა პროვინციებში. შემდეგ შეიტანა წინადადება მოეწყოთ კოლონიები ქალაქებში, გაეყვანათ მათკენ გზები, მოეწყოთ პურის მაღაზიები.

7. გაიუსმა დიდი მუყაითობა გამოიჩინა გზების მოწყობის საქმეში.

8. ...როდესაც კონსულის არჩევნების დრო დადგა... კონსულად აირჩიეს გაიუს ფანიუსი, ხოლო გაიუსი არჩეულ იქნა მეორეჯერ სახალხო ტრიბუნად, თუმცა მას თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია და არ ეძიებდა ტრიბუნის წოდებას; თვითონ ხალხი ეცადა. რადგანაც გაიუსი ხედავდა, რომ სენატი მის მიმართ მტრულად არის განწყობილი, ხოლო ფანიუსი არაენერგიულია და არც თუ მისი დიდი მომხრე, მან კვლავ მიიზიდა ხალხი თავის მხარეზე ახალი კანონპროექტებით. მან შეიტანა წინადადება გაეგზავნათ კოლონიები ტარენტუმსა და კაპუაში და მიეცათ ლათინებისათვის მოქალაქის უფლებები. სენატს შეეშინდა, რომ გაიუსთან ბრძოლა შეუძლებელი გახდებოდა... და დაიწყო მასთან შეკიბრი ხალხის სიამოვნების საქმეში თავისი ინტერესების საზიანოდ.

ტრიბუნობაში გაიუსის თანაამხანაგთა შორის იყო ლივიუს დრუზუსი... სწორედ მას მიმართეს მოქალაქეთაგან წარჩინებულებმა და ურჩიეს მას დაეწყო მას გაიუსთან ბრძოლა. ამხედრებულიყო მის წინააღმდეგ მათთან ერთად, მაგრამ ისე, რომ არ მიემართა არც ძალადობისა და არც ხალხის მიმართ წინააღმდეგობისათვის.

9. გაიუსმა შეიტანა წინადადება მოეწყო ორი კოლონია და გაეგზავნათ იქ საუკეთესო მოქალაქენი... ლივიუსს კი სურდა დაეარსებინა 12 კოლონია და თვითეულ მათგანში გაეგზავნა 3000 არაფრის მქონე მოქალაქე და ამაში სენატის მხარდაჭერა ჰპოვა. სენატორებს სძულდათ გაიუსი, როგორც მლიქვნელი, იმის გამო, რომ მან დაურიგა რა მიწები ღარიბებს, უბრძანა თვითოეულ მათგანს სახელმწიფო ხაზინაში შეეტანა ღალა, მაგრამ ლივიუსი, რომელიც, თუმცა არ იღებდა ამ ღალას ნაკვეთებზე, მაგრამ უფრო მოსწონდათ სენატორებს...

10. ხალხს სავსებით სჯეროდა დრუზუსის კეთილგანწყობილება, მისი ხალხისადმი სამართლიანი დამოკიდებულება... როდესაც გაიუსი აფრიკაში გაემგზავრა იქ კოლონიის დასაარსებლად, დრუზუსი მის შორს ყოფნის დროს უფრო მეტად ცდილობდა მიეზიდნა ხალხი თავის მხარეზე.

12. რომში დაბრუნებული გაიუსი პირველ ყოვლისა პალატინუმის ბორცვიდან გადასახლდა ფორუმის ქვემოთ მდებარე ადგილას, როგორც უფრო ღემოკრატიულ, უმეტესად დაბალი და ღარიბი კლასით დასახლებულ ადგილას. შემდეგ მან შეიტანა კენჭის საყრელად თავისი დანარჩენი კანონები. ყოველი მხრიდან თავი მოიყარა დაბალმა ხალხმა, მაგრამ სენატმა დააჯერა ფანიუსი გაერეკნა უველანი, გარდა იმ პირთა. რომლებსაც რომაელი მოქალაქის უფლება ჰქონდათ. თანამდებობის. მხრივ თავის თანაამხანაგებში გაიუსმა სიძულვილი დაიმსახურა შემდეგი მიზეზის გამო. ხალხი იკრიბებოდა ხოლმე ფორუმზე გლადიატორების საცქერლად. თანამდებობის პირთა უმრავლესობამ ირგელივ მრავალი ფასიანი ადგილი მოაწყო. გაიუსმა ბრძანა დაენგრიათ ისინი. რათა ღარიბებს შესძლებოდათ თავიანთი ადგილებიდან ეცქირათ სანახაობისთვის. რადგან მისი განკარგულება არავინ შეასრულა, გაიუსმა დაუცადა სანახაობათა წინა ღამეს, შეაგროვა აღმშენებლობაზე მომუშავე მუშები, დაანგრია მაცქერალთათვის ადგილები და ამგვარად მეორე დღისთვის ხალხს თავისუფალი ადგილები შეუქმნა. ხალხმა გაიუსში ენერგიული ადამიანი დაინახა; სამაგიეროდ თავისი თანაამხანაგები შეურაცხყო გაიუსმა თავისი გამბედავი და ძალადური მოქმედებით. სწორედ ამიტომ გაიუსმა ვეღარ მიიღო ტრიბუნობა მესამეჯერ; თუმცა მის სასარგებლოდ ბევრი ხმა იყო მიცემული, მაგრამ მისი თანაამხანაგნი ამორჩეულთა სახელების გამოცხადების დროს უპატიოსნოდ და გაიძვერულად მოიქცნენ. თუმცა ეს საკითხი სადაოა...

13. როდესაც კონსულად გახდა ოპიმიუსი... მას განზრახვა ჰქონდა გაეუქმებინა გაიუსის ყველა კანონი. ამ დღეს, მას შემდეგ, რაც ოპიმიუსმა მსხვერპლი შესწირა, ერთი მისი ლიქტორთაგანი კვინტ ანტილიუსი... მოკლულ იქნა... ხალხი შეაძრწუნა ამ მკვლელობამ, მაგრამ ბელადების განწყობილება ერთი მეორის საწინააღმდეგო იყო. გაიუსი გაღიზიანებული იყო და აგინებდა თავის მომხრეებს, რომ მათ მისცეს სტრებს სახივრის საბაბი, რომელსაც დიდი ხანია ელოდნენ ისინი. ოპიმიუსმა კი ხელზე დაიხვია ეს და ხალხს შურის საძიებლად აქეზებდა.

14. მაშინ წვიმა დაიწყო და ხალხი იძულებული გახდა დაშლილიყო. დილით ადრე კონსულმა მოიწვია სენატის სხდომა.. სენატორებმა დაადგინეს და უბრძანეს კონსულ ოპიმიუსს გადაერჩინა სახელმწიფო მის განკარგულებაში ყოფ ყველა საშუალებათა მოხმარებით, რათა მოესპო ტირანები. კონსულმა უბრძანა ყველა სენატორებს იარაღისთვის მოეკიდათ ხელი, ხოლო მხედართაგან თითოეულს დილისთვის თან უნდა მოეყვანა ორი შეიარაღებული მონა...

15. დილით ადრე გაიუსის მომხრეები მუქარითა და ყიჟინით გაეშურნენ ავენტინუმის ბორცვის დასაკავებლად. გაიუსს არ უნდოდა შეიარაღებულიყო, არამედ ისე, თითქოს ფორუმზე მიდიოდა, გამოვიდა მხოლოდ ტოგით შემოსილი, ჩამოკიდებული ჰქონდა რა ქამარზე მოკლე მახვილი.

16. გაიუსს, როგორც ამბობენ, განზრახული ჰქონდა მისვლა სენატის დასარწმუნებლად... მაგრამ ოპიმიუსი ჩქარობდა ბრძოლის დაწყებას... არაეის უნახავს, რომ გაიუსი მასში მონაწილეობას იღებდა. აღშფოთებული იმით, რაც ხდებოდა, იგი წავიდა დიანას ტაძარში და უნდოდა იქ თავი მოეკლა. მაგრამ მის მომხრეთაგან ყველაზე უფრო ერთგულებმა... ამაში ხელი შეუშალეს: ისინი მას აღარ მოშორდნენ; წაართვეს მახვილი და აიძულეს გაქცეულიყო იგი.

17. გაქცეულ გაიუსს მოწინააღმდეგენი წამოეწივნენ და მიუსწრეს ხის ხიდის მახლობლად. ორმა მეგობართაგანმა ურჩია მას კვლავ გაქცეულიყო, თვითონ კი შეაჩერეს დადევნებულნი და ბრძოლა გაუმართეს მათ ხიდის წინ, არ გაუშვეს არც ერთი მათგანი ხიდზე, ვიდრე თვითონ არ დაიხოცნენ. გაიუსთან ერთად გაიქცა მისი ერთგული მონა ფილოკრატე. ყველანი, თითქოს შეჯიბრებულნი, ამხნევებდნენ ერთი მეორეს, მაგრამ გაიუსს მაინც არავინ მიეშველა, არავის არც კი უნდოდა. მიუხედავად მისი თხოვნისა, მიეცა მისთვის ცხენი, — მდევრები კი უკვე მიუახლოვდნენ. გაიუსმა ძლივ-ძლივობით მაინც მოახერხა ფურიათა საღმრთო ჰალაში გაქცეულიყო და იქ დაიღუპა ისე, რომ ფილოკრატმა ჯერ იგი მოკლა და მერე თვითონაც ყელი გამოიჩრა... დახოცილთა გვამები, ისინი 3000-მდე იყო, მდინარეში გადაყარეს; მათი ქონება ჩამორთმეულ იქნა. დაღუპულთა ცოლებს აეკრძალათ თალხების

ტარება, ხოლო გაიუსის ცოლს ლიცინიას თავისი მზითევიც კი ჩამოართვეს.

18. ხალხი მაშინ სასოწარკვეთილი და გულგატეხილი იყო, მაგრამ ცოტა ხნის შემდეგ გამოაჩინა, როგორ მხურვალედ უყვარდა მას გრაკხები. მან დაუდგა მათ მათდამი მიძღვნილი ძეგლები თვალსაჩინო ადგილას, საღმრთოდ აქცია ის ადგილები, სადაც ისინი დახოცეს, მათ სწირავდნენ ნაყოფთა პირველ მოსავალს. ბევრი ყოველდღეც კი სწიოვავდა მათ მსხვერპლს და დაიარებოდა იმ ადგილებში. როგორც ღმერთების ტაძრებში.

სპარტაკის აჯანყება (73—71 ჩ. წ-მდე)

აპიანე, სამოქალაქო ომი, I, 116—120.

ამავე დროს იტალიაში გლადიატორთა შორის, რომლებიც კაპუაში[1] სწაელობდნენ და ემზადებოდნენ სათეატრო გამოსვლებისთვის, იყო თრაკიელი სპარტაკი. იგი წინათ რომაელებს ებრძოდა, ტყვედ ჩაეარდა და გლადიატორად გაყიდეს. სპარტაკმა თავისი 70-მდე ამხანაგი გადმოიბირა თავგანწირვაზე თავისუფლების გულისთვის, მიუთითებდა რა, რომ ეს უმჯობესია, ვიდრე სიცოცხლე საფრთხეში ჩავიგდოთ თეატრში. თავს დაესხნენ რა გუშაგებს, ისინი თავისუფალნი გაიქცნენ ქალაქიდან. შეიარაღდნენ რა კეტებითა და შემთხვევით შეხვედრილ მგზავრთათვის წართმეული ხანჯლებით, გლადიატორები გაიხიზნენ ვეზუვის მთაზე. შემოუერთა რა თავის ბრბოს ბევრი გაქცეული მონა და ზოგიერთი თავისუფალი სოფლელი მუშა, სპარტაკმა იწყო მახლობელ მიდამოებზე თავდასხმა. თანაშემწეებად მას ჰყავდნენ ენომაი და კრიქსი. რადგან სპარტაკი ნადავლს თანასწორად ანაწილებდა, ამიტომ მალე მასთან დიდძალმა ხალხმა მოიყარა თავი. პირველად მის წინააღმდეგ გაიგზავნა ვარინიუს გლაბრი, შემდეგ კი პუბლიუს ვალერიუსი. მაგრამ რადგანაც მათ ჰყავდათ ჯარი არა მოქალაქეთაგან შემდგარი, არამედ შემთხვევით და ნაჩქარევად მოკრებილთაგან — რომაელებს ხომ ეს ჯერ ნამდვილი ომი არ ეგონათ, არამედ მას მხოლოდ ყაჩაღურ თავდასხმად თვლიდნენ — ამიტომ რომაელმა სარდლებმა მონებთან შეხვედრის დროს მარცხი განიცადეს. ვარინიუსს ცხენიც კი წაართვა თვით სპარტაკმა. ისეთ საფრთხეში ჩავარდა რომაელი სარდალი, რომ კინაღამ გლადიატორებს ტყვედ ჩაუვარდა. ამის შემდეგ სპარტაკთან თავი მოიყარა უფრო მეტმა ხალხმა და მისმა ლაშქარმა 70.000-ს მიაღწია. აჯანყებულნი სჭედდნენ იარაღს და აგროვებდნენ სანოვაგეს. რომაელებმა მათ წინააღმდეგ გაგზავნეს კონსულები ორი ლეგიონით. ერთმა მათგანმა გარგანის მთასთან[1] დაამარცხა კრიქსი, რომელიც ოცდაათიათასიან რაზმს მეთაურობდა. თვითონ კრიქსი და მისი ჯარის ორი მესამედი ბრძოლის ველ-

ზე ლაეცნენ. ხოლო სპარტაკი სწრაფად მიემართებოდა ალპების მთებისაკენ, იქიდან კი კელტებისაკენ. ერთმა კონსულმა მას წინ წაუსწრო და უკან დასახევი გზა გადაუღობა, მეორე უკან ფეხდაფეხ მისდევდა. მაშინ სპარტაკი ცალ-ცალკე დაესხა მათ თავს და დაამარცხა ისინი. კონსულებმა სრულიად უწესრიგოდ დაიხიეს უკან, ხოლო სპარტაკმა, შესწირა რა კრიქსის სულს მსხვერპლად 300 ტყვე რომაელი, 120.000 ქვეითი ჯარით რომისკენ გაეშურა. მან ბრძანა მოესპოთ მთელი ზედმეტი ბარგი, ამოეხოცნათ ტყვეები და ყელები დაეჭრათ გამწევი საქონლისთვის, რათა მსუბუქად ევლოთ. მტრის ბანაკიდან გამოქცეულთ, რომელნიც ჭრავლად იყვნენ, სპარტაკი არ იღებდა. პიცენუმში[200] კონსულებმა კვლავ სცადეს გაეწიათ მისთვის წინააღმდეგობა. აქ მოხდა მეორე დიდი ბრძოლა და რომაელებმა კვლავ მარცხი განიცადეს. მაგრამ სპარტაკმა შესცვალა რომზე წასვლის გადაწყვეტილება. ის ჯერ არა თვლიდა თავის თავს რომაელების თანაბრად, რადგანაც მისი ლაშქარი ჯერ სრულიად არა საკმარისად იყო ომისთვის მომზადებული: იტალიის არც ერთი ქალაქი არ მიემხრო მეამბოხეებს; მასთან იყვნენ მონები. მტრის ბანაკიდან გამოქცეულნი და სხვა ბრბო. სპარტაკმა დაიკავა მთები ფურიების ირგვლივ და თვით ქალაქიც.[201] მან აუკრძალა მის ხალხთან მოვაჭრე ვაჭრებს მათთვის ოქროთი და ვერცხლით გადახდა. თავისიანებს კი მათი მიღება. აჯანყებულნი ყიდულობდნენ მხოლოდ რკინასა და სპილენძს ძვირად, და ვინც მათთან ამ ლითონებს მიიტანდა, ისინი მას არაფერს აწყენინებდნენ. იძენდნენ რა ამ გზით საჭირო მასალას, აჯანყებულნი კარგად იარაღდებოდნენ და ხშირად გამოდიოდნენ საყაჩაღოდ. შეებრძოლნენ რა რომაელებს, კვლავ დაამარცხეს ისინი და ნაღავლით დატვირთულნი უკან დაბრუნდნენ.

უკვე მესამე წელი გრძელდებოდა ეს საშინელი ომი, რომელსაც თავდაპირველად დასცინოდნენ და რომელიც სძაგდათ როგორც გლადიატორებთან ომი. როდესაც რომში ახალი სარდლების არჩევნები დაინიშნა, შიში აკავებდა ყველას და ვერავინა ჰბედავდა თავისი კანდიდატურა წამოეყენებინა. ვიდრე ლიცინიუს კრასუსმა, რომელიც რომაელთა შორის თავისი შთამომავლობითა და სიმდიდრით გამოირჩეოდა, თვითონ არ იდვა თავს სარდლობა. ექვსი ლეგიონით გაემართა იგი სპარტაკის წინააღმდეგ. მივიდა რა დანიშნულ ადგილზე, კრასუსმა შეიერთა კონსულების ორი ლეგიონიც. ამ უკანასკნელთა ჯარისკაცთა შორის, რომლებმაც არაერთხელ განიცადეს მარცხი, მან ბრძანა დაუყონებლივ წილისყრა და სიკვდილით დასაჯა მათი მეათედი ნაწილი.[202] ზოგის აზრით საქმე ასე კი არ იყო. არამედ, მას შემდეგ, რაც ყველა ლეგიონები შეერთდა, არმიამ კვლავ განიცადა მარცხი. და მაშინ კრასუსმა წილისყრით დასაჯა ლეგიონებიდან ათკაცში ერთი, არ შეუშინდა რა დასჯილთა რაოდენობას, რამაც 4000 მიაღწია. მაგრამ, ასე იყო, თუ ისე, კრასუსი უფრო საშიში აღმოჩნდა თავისი ჯარისკაცებისთვის, ვიდრე მათზე

გამარჯვებული მტერი. ძალიან მალე მან მოახერხა 10.000 სპარტაკელის დამარცხება, რომლებიც რატომღაც თავისიანებისგან განმარტოებით იყვნენ დაბანაკებული. მოსპო რა მათი ორი მესამედი, კრასუსი თამამად გაემართა თეით სპარტაკის წინააღმდეგ. მან ისიც დაამარცხა და მარჯვედ სდევნიდა აჯანყებულთ, რომლებიც ბანაკისკენ გარბოდნენ იმ მიზნით, რომ სიცილიაში გადასულიყვნენ. წამოეწია რა მათ, კრასუსმა მოიმწყვდია სპარტაკის ლაშქარი თხრილსა, კედლებსა და მესერს შორის. როდესაც სპარტაკი იძულებული გახდა ეცადნა გზა გაეკაფა სამხრეთისკენ, კრასუსმა განთიადზე მოსპო მტრის 6000-მდე კაცი, საღამოსაც დაახლოებით ამდენივე მაშინ, როდესაც რომაელთა ჯარიდან მხოლოდ სამი მოკლული იყო და შვიდი დაშავებული. ასეთი იყო კრასუსის არმიაში მომხდარი ცვლილება მის მიერ შემოღებული დისციპლინის წყალობით. ამ ცვლილებამ შთააგონა მას გამარჯვების გამბედაობა. ხოლო სპარტაკი, ელოდებოდა რა ცხენოსნებს, რომლებიც აქა-იქ ადგილებიდან მოვიდნენ მასთან, უკვე აღარ ებმოდა ომში მთელი თავისი ჯარით, არამედ ხშირად აწუხებდა გარე შემომდგარ მტერს წვრილი შეტაკებებით; იგი მუდამ მოულოდნელად ესხმოდა მათ თავს, ჩაჰყრიდა ხოლმე თხრილში ფიჩხის კონებს, ცეცხლს უკიდებდა მათ და ამით მეტად აძნელებდა ალყას. მან ბრძანა ტყვე რომაელის გვამი ჩამოეკიდნათ მოწინააღმდეგე ჯარებს შორის ზოლზე, უჩვენებდა რა ამით, თუ რა ბედი მოელოდა მის ჯარს დამარცხების შემთხვევაში. რომში გაიგეს რა ალყის შესახებ და თვლიდნენ რა სამარცხვინოდ, თუ გლადიატორებთან ომი კვლავ გაგრძელდებოდა, მეორე მთავარსარდლად აირჩიეს პომპეუსი, რომელიც ის-ის იყო დაბრუნდა ესპანეთიდან. რომაელები ეხლა კი დარწმუნდნენ, რომ სპარტაკის აჯანყება მძიმე და სერიოზული საქმე იყო. შეიტყო რა ახალი არჩევანი, კრასუსი, რომელსაც ეშინოდა გამარჯვებულის სახელი პომპეუსს არ დარჩენოდა, ცდილობდა ყოველმხრივ დაეჩქარებინა საქმე და დაიწყო სპარტაკზე თავდასხმები. უკანასკნელს სურდა დაესწრო პომპეუსის მოსვლისათვის და კრასუსს წინადადება მისცა გაემართნათ მოლაპარაკება. როდესაც მან ზიზღით უკუაგდო ეს წინადადება, სპარტაკმა გადაწყვიტა რისკზე წასვლა და რადგანაც მას უკვე საკმაოდ ჰყავდა ცხენოსნები, გაიჭრა მთელი თავისი ჯარით მტრის საფარს შორის და გაიქცა ბრუნდიზიუმის მიმართულებით. კრასუსი მას უკან გამოეკიდა, მაგრამ როდესაც სპარტაკმა გაიგო, რომ ბრუნდიზიუმში იმყოფება ლუკულუსიც, რომელიც იქ დაბრუნდა მითრიდატზე გამარჯვების შემდეგ, მიხვდა, რომ ყველაფერი უკვე დაიღუპა, გაილაშქრა კრასუსის წინააღმდეგ მთელი თავისი, შაშინ ჯერ კიდევ დიდი არმიით. მოხდა უდიდესი ომი, განსაკუთრებით მძაფრი იმ სიმწარის გამო, რომელმაც მოიცვა ხალხის ესოდენ დიდი რაოდენობა. სპარტაკი დასჭრეს ხელშუბით ბარძაყში: დაჩოქილი, წინ გაშვერილი ფარით იგერი-

ებდა იგი თავდამსხმელთ, ვიდრე არ დაეცა თავისიანებთან ერთად. რომელნიც მას ბლომად ეხვივნენ გარს. მისი დანარჩენი ლაშქარი უწესრიგოდ იქნა აჩეხილი. ამბობენ დახოცილთა რიცხვის დადგენა არც კი შეიძლებოდაო. რომაელთაგან 1000-მდე კაცი დაიღუპა. სპარტაკის გვამი ვერ ნახეს. სპარტაკელთა დიდი რიცხვი კიდევ შეიმალა მთებში, სადაც ისინი გაიჭცნენ ბრძოლის შემდეგ. კრასუსი მათკენ გაემართა. ისინი ოთხნაწილად გაიყვნენ და იბრძოდნენ იქამდე, ვიდრე ყველანი არ დაიხოცნენ, გარდა 6000 კაცისა, რომლებიც შეიპყრეს და ჯვარზე გააკრეს კაპუიდან რომში მიმავალი გზის გასწვრივ.

პლუტარქე — კრასუსი, 8 — 11.

6. გლადიატორთა აჯანყება და იტალიის აოხრება, რასაც მწერალთა უმრავლესობა „სპარტაკის ომს" უწოდებს, დაიწყო შემდეგი მიზეზის გამო. ვინმე ლენტულ ბატიატს ჰქონდა კაპუაში გლადიატორთა სკოლა, რომელთაგანაც უმეტესობას გალები და თრაკიელები შეადგენდნენ და საპყრობილეში იყვნენ მოთავსებული საგლადიატორო შეჯიბრებისთვის, არა მათ მიერ ჩადენილ რაიმე უღირსი საქციელის გამო, არამედ მათი მყიდველი ბატონის უსამართლობით. მათგან ორასმა კაცმა მოილაპარაკა გაქცეულიყვნენ, მაგრამ, რადგან შეთქმულება გასცეს, — რაც შეთქმულებმაც ადრევე გაიგეს, — ამიტომ 78 გლადიატორმა მოასწრო და თავისუფლება მოიპოვეს სამზარეულოში ნაშოვნი დანებითა და შამფურებით შეიარაღებულებმა. შემთხვევით წააწყდნენ ისინი გზაში რამდენიმე ურემს, რითაც მეორე ქალაქში გლადიატორებისთვის იარაღი მიჰქონდათ, მათ ხელთ იგდეს იგი და შეიარაღდნენ. დაიკავეს რა მაგარი პოზიცია, გლადიატორებმა თავისი წრიდან აირჩიეს სამი ბელადი. რომელთაგანაც ერთი იყო სპარტაკი, თრაკიელი მომთაბარე, არა მხოლოდ დიდი გამბედაობისა და ფიზიკური ძალის, არამედ ჭკუისა და ჰუმანიურობის მქონე. ამით იგი სხვებს გაცილებით აღემატებოდა და უფრო ელინს მიემსგავსებოდა. ამბობენ, რომ, როდესაც სპარტაკი პირველად მოიყვანეს რომში გასაყიდად, მას დაესიზმრა, თითქოს გველი ეხვეოდა მას სახეზე. სპარტაკის ცოლმა, რომელიც მისივე შთამომავლობისა იყო, მკითხაობდა და დიონისის შთაგონებით იყო შეპყრობილი, უწინასწარმეტყველა, რომ ეს ნიშანია განდიდებისა, რომელიც მისთვისვეა მრისხანე თავისი უბედური დასასრულით. ახლა იგი აგრეთვე მასთან იყო და მასთანვე ერთად გაიქცა.

9. პირველ ყოვლისა გლადიატორები ეკვეთნენ კაპუიდან მოსულ რაზმს და ხელთ იგდეს რა ბლომად იარაღი, სიხარულით შესცვალეს იმით თავიანთი წინანდელი საჭურველი, რომელიც სძულდათ როგორც გლადიატორთა სამარცხვინო და ბარბაროსული იარაღი. რომიდან გამოგზავნილმა პრეტორმა კლოდიუსმა მათ ალყა შემოარტყა მთაზე, რო-

ჭელზე ასვლაც მხოლოდ ერთი ციცაბო და ვიწრო აღმართით შეიძლებოდა. მთის ფერდობები კლდოვანი და სიპი იყო. მთაზე ბლომად იზრდებოდა უსურვაზი. გლადიატორებმა დასჭრეს საჭირო რტოები და დაწნეს მისგან გრძელი და მაგარი კიბეები. ჩამოუშვეს რა ისინი კლდეებზე, ისე რომ მთის ძირამდე სწვდებოდნენ, ყველა გლადიატორი, ერთის გარდა, მშვიდობით ჩავიდა ძირს. ერთმა, რომელიც ზევით იარაღის სადარაჯოდ დარჩა, მას შემდეგ, რაც ყველანი ჩავიდნენ, მთელი იარაღი ძირს გადმოყარა და შერე თვითონაც ჩამოვიდა. რომაელებმა ამის შესახებ არაფერი იცოდნენ. ამიტომ გლადიატორებმა მათ ზურგიდან მოუარეს, მიესივნენ და გააქციეს რა ისინი, ბანაკს დაეუფლნენ. მათ შეუერთდნენ ბევრი ადგილობრივი მებრძოლი და ფეხმარდი მწყემსები. ზოგი მათგანი შეაიარაღეს გლადიატორებმა, ზოგს კი მზვერავებად იყენებდნენ. მეორედ გლადიატორთა წინააღმდეგ გაგზავნილ იქნა პრეტორი პუბლიუს ვარინიუსი. გლადიატორებმა ჯერ ბრძოლა გაუმართეს ერთ მის თანაშემწეს ფურიუმს, რომელიც 2000-იან რაზმს მეთაურობდა და გააქციეს იგი. შემდეგ სპარტაკი ჩაუსაფრდა პუბლიუსის მრჩეველსა და სამსახურით თანაამხანაგს კოსინიუსს, დიდი ძალებით რომ იყო გამოგზავნილი და კინაღამ ტყვედ ჩაიგდო იგი იმ დროს, როდესაც ის სალინის მახლობლად ბანაობდა. როცა კოსინიუსმა ძლივს მოასწრო თავის დაღწევა, მაშინ სპარტაკი დაეუფლა მთელ მის აღალს და ფეხდაფეხ სდევდა რა მას, სისხლისმღვრელი შეტაკების შემდეგ ხელთ იგდო ბანაკი. დაეცა თვით კოსინიუსიც. პრეტორი კი სპარტაკმა დაამარცხა მრავალ შეტაკებაში და ბოლოს ხელთ იგდო მისი ლიქტორები და ცხენი. სპარტაკი ახლა იყო დიადი და მრისხანე. მან შეადგინა მოქმედების სრულიად გონიერული გეგმა. არა ჰქონდა რა რომაელების საბოლოოდ დამარცხების იმედი, მან თავისი ლაშქარი წაიყვანა ალპებისკენ, ფიქრობდა მათ გადალახვას და სამშობლოში გამგზავრებას — ზოგის თრაკიაში, ზოგის გალიაში. მაგრამ მონები, რომლებიც ძლიერნი იყვნენ თავისი სიმრავლით და გაამაყებულნი, აღარ უგონებენ სპარტაკს და მიდიოდნენ რა იტალიაზე, ხელი მიჰყვეს მის აოხრებას. ახლა უკვე არა მხოლოდ უღირსი მონათა აჯანყება აღელვებდა რომის სენატს. მას ეშინოდა სპარტაკისა და შეიგნო რა მდგომარეობის საშიშროება, გაგზავნა მის წინააღმდეგ ორივე კონსული ისე, თითქოს საქმე ეხებოდეს რომელიმე ყველაზე ძნელსა და დიდ ომს. ერთმა კონსულთაგანმა გელიუსმა უცაბედი თავდასხმით გაანადგურა აჯანყებულთა გერმანული ნაწილი, რომელიც გამოეყო თვითნებურად და სიამაყით დანარჩენ სპარტაკელებს. როდესაც ლენტულმა დიდი ჯარით ალყა შემოარტყა სპარტაკს, უკანასკნელმა მთელი თავისი ძალებით იერიში მიიტანა ერთ ადგილზე, დაამარცხა ლენტულის ლეგატები და ხელთ იგდო მთელი მისი აღალი. ციზალპიური გალიის მოადგილე კასიუსი ათიათასიანი არმიით გაემართა სპარტაკის წინააღმდეგ, რომელიც ალპებისკენ გაიჭრა. მომხდარ შეტა-

კებაში კასიუსი დამარცხდა და დაეღუპა რა ბლომად ხალხი, თვითონაც ძლივს გადარჩა.

10. ამის გამგონე გაჯავრებულმა სენატმა უბრძანა კონსულებს შეეწყვიტათ სამხედრო მოქმედებანი და მთავარსარდლად კრასუსი აირჩია. მრავალი წარჩინებული გაემგზავრა მასთან ერთად ლაშქრობაში, რადგან იგი გამოჩენილი იყო და მას მეგობრობდნენ. კრასუსი პიცენუმის საზღვრებთან გაჩერდა, რათა შეხვედროდა იქით მიმავალ სპარტაკს, თავისი ლეგატი მუმია კი ორი ლეგიონით გაგზავნა ზურგიდან შემოსავლელად და უბრძანა კვალდაკვალ მიჰყოლოდა მტერს, მაგრამ მოირიდებოდა მასთან შეხებას და არ დაეწყო ბრძოლა. მაგრამ როგორც კი ლეგატს გაუჩნდა მტრის დამარცხების იმედი, შეება მას და დამარცხდა. ბევრნი დაიღუპნენ, ბევრმა იარაღი დაყარა და გაქცევით თავს უშველა. კრასუსი მრისხანედ შეხვდა მუმიას, ჯარისკაცებს კი, მოითხოვა რა მათგან თავდებნი, რომ გაუფრთხილდებოდნენ, კვლავ დაურიგა იარაღი. ხოლო ხუთასი ჯარისკაცი, რომლებიც პირველი გამოიქცნენ და ამით სხვებსაც მაგალითი მისცეს, მან გაჰყო ორმოცდაათ ათეულად და ყოველი ათეულიდან წილისყრით თვითეული სიკვდილით დასაჯა, გამოიყენა რა პირველად დიდი ხნის განვლის შემდეგ ეს ძველებური სასჯელი. ამგვარ სიკვდილს თან სდევს განსაკუთრებული სირცხვილი, რადგან სასჯელის დროს ყველას თვალწინ სრულდება მრავალი საშინელი ადათი. მოახდინა რა ამგვარად გარდატეხა ჯარისკაცთა განწყობაში, კრასუსმა წამოიყვანა ისინი მტრის წინააღმდეგ. ხოლო სპარტაკი ნელნელა მიიწევდა ლუკანიის განვლით ზღვისაკენ. ნახა რა ყურეში კილიკელთა პირატული გემები, მან გადაწყვიტა წასულიყო სიცილიაში და გადაიყვანდა რა კუნძულზე 2000 კაცს, განეახლებინა სიცილიელ მონათა აჯანყება, რომელიც ცოტა ხნის წინათ იყო ჩაქრობილი და საჭიროებდა მხოლოდ მცირე საწვავ მასალას, რომ ხელახლა აფეთქებულიყო. კილიკიელები შეუთანხმდნენ სპარტაკს, მაგრამ გამოართვეს რაშას საჩუქრები, მოატყუილეს იგი და გასცურეს. მაშინ მან კვლავ იბრუნა ზღვისაგან პირი და თავისი ლაშქარი რეგიუმის ნახევარკუნძულზე განაწყო. აქ მოსულმა კრასუსმა, დაინახა რა, თუ ადგილმდებარეობა რას უკარნახებდა, შეეცადა გაეშაგრებინა ყელი კედლებით, რათა ერთდა იმავე დროს თავისი ჯარისთვისაც საქმე გამოეჩინა და მტრისთვისაც სანოვაგის მოზიდვის შესაძლებლობა მოესპო. ეს იყო დიდი და ძნელი საქმე, რომელიც კონსულმა, მოლოდინის წინააღმდეგ, მოკლე ხანში შეასრულა. მან ზღვიდან ზღვამდე ყელზე გაიყვანა თხრილი სიგანით 300 სტადიუმი და სიღრმით თანაბრად 15 ფუტი, და თხრილზე აღმართა კედელი, მაღალი და მაგარი. ჯერ სპარტაკი არ აქცევდა ყურადღებას ამ სამუშაოებს, ზიზღით უცქეროდა რა მას. ხოლო, როდესაც სანოვაგის სიმცირე იგრძნო და წინ წასვლა მოისურვა, დაინახა, რომ იგი კედლებში ყო ჩამწყვდეული და სანოვაგის მიტანის შესაძლებლობას მოკლებული-

ეაელოდა რა თოელიანსა და ქარბუქიან ღამეს, სპარტაკმა ბრძ..., ამოევსოთ თხრილის მცირე ნაწილი მიწით, ხეებითა და ფიჩხით და გ... ეაიყვანა მასზე თავისი ჯარის მესამედი.

11. კრასუსს შეეშინდა სპარტაკი რომზე არ წასულიყო. მაგრამ დამშვიდდა, როცა მრავალი აჯანყებული გამოეყო მას შინაური დავის გამო და დამოუკიდებლად დაბანაკდნენ ლუკანის ტბის მახლობლად. ამბობენ, რომ ამ ტბის წყალი დროდადრო იცვლება, ხან სასმელი ხდება, ხან კლავე მარილიანი და დასალევად გამოუსადეგარი. მიადგა რა ამ გამოყოფილ ნაწილს, კრასუსმა განდევნა ისინი ტბიდან, მაგრამ მან მათი დამარცხება და გაქცევა ვერ მოახერხა, რადგან სწრაფად მოსულმა სპარტაკმა შეაჩერა პანიკა. კრასუსი ჯერ ფიქრობდა მიეწერა სენატისთვის, რომ საჭიროა გამოწვეულ იქნან ლუკულუსი თრაკიიდან და პომპეიუსი ესპანეთიდან, მაგრამ ეხლა შესცვალა თავისი განზრახვა და ცდილობდა დაემთავრებინა ომი, ვიდრე ისინი მოვიდოდნენ. მან იცოდა, რომ როდესაც ისინი მას დასახმარებლად შეუერთებოდნენ, მთელი წარმატება მიეწერებოდა იმათ და არა მას. გადასწყვიტა რა, ჯერ თავს დასხმოდა ჩამოშორებულთ, რომელნიც დამოუკიდებლად ეწეოდნენ ომს,— მათ ხელმძღვანელობდნენ გაიუს განიკი და კასტი — კრასუსმა წინასწარ გაგზავნა 6000 კაცი ერთი ბორცვის დასაკავებლად, უბრძანა რა მათ შეუმჩნეველად მოეხდინათ ეს. მათ სცადეს მოეტყუებინათ მტრის სიფხიზლე იმით, რომ დამალეს თავიანთი მუზარადები, მაგრამ ისინი შენიშნა ორმა მსხვერპლის შემწირველმა ქალმა. მებრძოლნი დიდ საფრთხეში ჩაცვივდნენ, მაგრამ კრასუსმა მიასწრო. მან გამართა ბრძოლა ყველაზე დიდი, რომელიც კი ამ ომის დროს მომხდარა და რომელშიაც 12.300 მონა დაიღუპა. მათგან მხოლოდ ორი იყო ზურგში დაჭრილი; ყველა დანარჩენნი მწყობრში დაეცნენ, რომაელების პირისპირ მებრძოლნი. სპარტაკმა დამარცხების შემდეგ იწყო პეტელიუმის მთებისკენ ღახევა. კვინტი, კრასუსის ერთი ლეგატთაგანი და კვესტორი სკროფა, ფეხდაფეხ სდევდნენ სპარტაკს. ხოლო როდესაც იგი შემობრუნდა და შეუტია, რომაელები პანიკურად გაიქცნენ. ისინი დაღუპვას ძლივს გადარჩნენ და თან წაიყვანეს დაჭრილი კვესტორი. ამ წარმატებამ დაღუპა სპარტაკი, რადგან გაქცეული მონები მეტისმეტად გაამაყდნენ. მათ უკან დახევაზე სიტყვის გაგონებაც არ უნდოდათ და აღარ ემორჩილებოდნენ თავიანთ უფროსებს, არამედ უკვე გზაზე, იარაღით ხელში, მათ გარს შემოეხვივნენ და აიძულეს უკანვე წასულიყვნენ ლუკანიით რომისკენ. იქითკენვე ისწრაფოდა კრასუსიც, რადგან ცნობილი გახდა, რომ პომპეუსი ახლოვდებოდა. სახალხო კრებაში უკვე გაისმოდა ხმები, რომ სწორედ მას უნდა ეკუთვნოდეს ომში გამარჯვება: იგი მისვლისთანავე უმალ ჩაებმება ომში და დაასრულებს მას. ამგვარად, ჩქარობდა რა სპარტაკთან შებრძოლებას და დაიბანაკა რა მტრის მახლობლად, კრასუსი შეუდგა თხრილის გაყვანას. მიიჭრნენ რა რომაელთა ბანაკთან, მო-

ნებმა მომუშავე ჯარისკაცებთან ბრძოლა გააბეს. რადგან ორივე მხრით სულ უფრო მეტი ხალხი მოეშურებოდა თავისიანების საშველად, სპარტაკი იძულებული გახდა თავისი ლაშქარი საბრძოლველად განეწყო. მას ცხენი მიჰგვარეს. იძრო მახვილი და სთქვა რა, რომ თუ გაიმარჯვებს, მას მტრის მრავალი კარგი ცხენი ეყოლება, ხოლო, თუ დამარცხდება, მაშინ მას ისინი აღარ დასჭირდება, — სპარტაკმა ცხენს ყელი გამოსჭრა. შემდეგ იგი პირდაპირ კრასუსისკენ გაექანა, მაგრამ მებრძოლთა სიმრავლემა და დაჭრილებმა ხელი შეუშალეს მისწვდომოდა მას. სამაგიეროდ მან მოკლა ორი ცენტურიონი, რომლებიც მას შეებრძოლნენ. ბოლოს სპარტაკის ამალა გაიფანტა, თვითონ კი უამრავი მტრებით გარსშემორტყმული მამაცურად იგერიებდა მათ და ბოლოს აჩეხილ იქნა.

პომპეუსმა საბოლოოდ მოსპო მონები, რომლებიც მას ხელში ჩაუცვივდნენ და სენატს გაუგზავნა მოხსენება, რომელშიაც წერდა, რომ კრასუსმა დაამარცხა მონები ბრძოლაში, მან, პომპეუსმა კი თვით ომი ძირფესვიანად ამოაგდო.

სალუსტი, ისტორია, III, 67, 1 — 7.

...რომლებითაც, თუმცა მათ არა ჰქონდათ სამხედრო სახე*, მაგრამ მას** შეეძლო ზიანი მიეყენებინა თითქმის არანაკლებ, ვიდრე რკინით. ვიდრე გაქცეული მონები ამ საქმეში იყვნენ გართული. ვარინიუსმა, რომლის ჯარისკაცთა ნაწილი ავად იყო შემოდგომის ამინდის გამო, იმათგან კი, რომლებიც უკანასკნელად გამოიქცნენ ბრძოლის ველიდან, მიუხედავად სასტიკი ბრძანებისა, დროშებ ქვეშ აღარავინ ბრუნდებოდა, ხოლო დანარჩენნი ფრიად სამარცხვინოდ უარს ამბობდნენ სამსახურზე, — გაგზავნა (რომში) თავისი კვესტორი გაიუს ტარანიუსი, რომლისგანაც ყველაზე უფრო ადვილი იყო საქმის ნამდვილი ვითარების შეტყობა. ამასობაში თვითონ ვარინიუსი იმ ოთხიათას ჯარისკაცთან ერთად, რომლებიც მისი ერთგულნი დარჩნენ, გაემართა ძლიერ გამაგრებული ბანაკისკენ მონები, რადგან საკვები უკვე შეჰმული ჰქონდათ, მეორე წყების დროს ყველანი ჩუმად გავიდნენ ბანაკიდან, ხოლო, რათა მტერი მათ თავს არ დასხმოდა ბანაკის მახლობლად იმ დროს, როდესაც ისინი ძარცვაში იქნებოდნენ გართული, აჯანყებულებმა, რომელნიც სამხედრო ჩვეულების მიხედვით აყენებდნენ ხოლმე გუშაგებსა და ასრულებდნენ სხვადასხვა ვალდებულებას, ბანაკში დატოვეს მენაღარე. და რათა შორიდან ყოფილიყო ისეთი შთაბეჭდილება, რომ იქ გუშაგნი დგანან, გააჩერეს ახლად დახოცილთა გვამები, რომლებსაც მიწაში ჩარჭობილი ნიჩბები შეუყენეს და ბევრ ადგილას აან-

* იგულისხმება რაღაც იარაღი, ალბათ ხის კომბლები, ცეცხლზე გამომწვარი.
** სპარტაკს.

თეს ცეცხლი. ვარინიუსმა გათენებისთანავე, არ ესმოდა რა მონების ჩვეულებრივი ყვირილი, გარდა ყოველი მხრიდან ჩამოცვივნილი ქვების ხმაურისა, გაგზავნა მხედრები ამაღლებულ ბორცვზე, რათა დაეზვერათ საღ წავიდნენ მონები... რამდენიმე დღის შემდეგ ჩვენები, ჩვეულების წინააღმდეგ, მოიცვა გაბედვაობამ და გაეხსნათ ენა. ყველაფერმა ამან წინდაუხედავად გაიტაცა ვარინიუსი, თუმცა მაინც ბანაკისკენ წაიყვანა მის მხარეზე გადასული გამოქცეული მონები, რომლებსაც სრულიად არ იცნობდა და რომლებიც შეძრწუნებული იყვნენ იმით, რაც სხვა ჯარისკაცებს დაემართა. ჯარისკაცები შემჭიდროებული რიგებით მიდიოდნენ. მაგრამ სრულიადაც არა ისე ტრაბახით მიდიოდნენ ბრძოლაში, როგორც მას წინათ მოითხოვდნენ. ხოლო მონები, რომლებიც დაობდნენ შემდგომ მოქმედებათა გეგმაზე, ეზად იყვნენ ურთიერთშორის ბრძოლა დაეწყოთ. კრიქსსა და მის თანამეტოქე გალებსა და გერმანელებს სურდათ წასულიყვნენ რომაელების შესახვედრად და მათთან ბრძოლაში ჩაბმულიყვნენ...

შემდეგ სპარტაკი არწმუნებს მათ წავიდნენ/ ისინი უფრო ღია და პირუტყვით მდიდარ ადგილას, სადაც მათ შეუძლიათ შეავსონ თავიანთი რიგები რჩეული ხალხით, ვიდრე ვარინიუსი მოვიდოდეს. სწრაფად იშოვნა რა გზის მკვლევი ტყვე პიცენტილელთაგან, ებურინის მთებს ამოფარებული სპარტაკი მიდის ლაუკანიის ნარამდე, იქიდან კი განთიადზე მიაღწევს ანნის ფორუმს, მცხოვრებლების შეუმჩნევლად. მაშინათვე გაქცეულმა მონებმა, ბელადის ნებართვის გარეშე, იწყეს ღედაკაცებისა და გოგოების გაუპატიურება... ამასთანავე დასცინოდნენ, უწყალოდ სცემდნენ რა დაჭრილებს... ზოგი ცეცხლს ისვრიდა სახლების სახურავზე. ბევრ ადგილობრივ მონებს, რომელთაც ზნე ასათესავებდა ჯანყებულებთან, საიდუმლო ადგილებიდან გამოჰქონდათ ბატონების ბიერ დამალული საგანძურები, ან თვით ბატონები გამოჰყავდათ... არ იყო არაფერი წმინდა და ხელშეუხებელი ბარბაროსთა მძვინვარებისა და მათი მონური ბუნებისათვის. რადგან სპარტაკი უძლური იყო ამისთვის ხელი შეეშალა, თუმცა არა ერთხელ ემუდარებოდა მათ, — გადასწყვიტა საზღვარი დაედვა მოქმედების სისწრაფით, სახელდობრ, გაგზავნა მთხრობელნი...

ტიტე ლივიუსი, XCVI წიგნის შინაარსი.

პრეტორმა კვინტ არიუსმა მოკლა კრიქსი, გაქცეულ მონათა ბელადი, და მასთან ერთად 20.000 კაცი. კონსულმა გნეიუს ლენტულმა მარცხიანად იბრძოლა სპარტაკთან. ამ უკანასკნელმა დაამარცხა კონსული ლუციუს ჰელიუსი და პრეტორი კვინტ არიუსი... პროკონსული გაიუს კასსიუსი და პრეტორი გნეიუს მანლიუსი მარცხიანად იბრძოდნენ სპარტაკთან და მასთან ბრძოლა მიანდეს პრეტორ მარკუს კრასუსს.

ტიტე ლივიუსი, XCVII. წიგნის შინაარსი.

ჯერ პრეტორმა მარკუს კრასუსმა წარმატებით აწარმოა ბრძოლა გაქცეულ მონათა იმ ნაწილთან, რომელსაც გალები და გერმანელები შეადგენდნენ, გაჟლიტა რა 35.000 კაცი და მათთან ერთად მათი ბელადები კასტრი და განიკი. შემდეგ მან დაამთავრა სპარტაკთან ომი, მოსპორა 60.000 კაცი მასთან ერთად.

ევტროპიუსი, VI, 7.

რომის დაარსებიდან 678 წელს მარკუს ლიცინიუს ლუკულუსმა, ნათესავმა იმ ლუკულუსისა, რომელიც მითრიდიტთან ომს აწარმოებდა, მიიღო მაკედონია. ხოლო იტალიაში უცაბედად ახალი ომი აღმოცენდა... 74 გლადიატორი სპარტაკის, კრიქსისა და ენომაის მეთაურობით გაიქცა კაპუის გლადიატორთა სკოლიდან. დაეხეტებოდნენ რა ისინი იტალიაში, მოამზადეს ომი, დიაღაც ისეთივე ძნელი, როგორიც იყო ის, რომელიც ჰანიბალმა გამოიწვია, ვინაიდან, დაამარცხეს რა ბევრი რომაელი სარდალი და ორი კონსული, მონებმა შეაგროვეს ლაშქარი რიცხვით თითქმის 60000 შეიარაღებული კაცი. ისინი დაამარცხა აპულიაში პროკონსულმა მარკუს ლიცინიუს კრასუსმა და გადახდა რა მრავალი უბედურება იტალიას, ამ ომს მესამე წელს მოეღო ბოლო.

ოროზიუსი, — V, 24. 1—3.

რომის დაარსებიდან 679 წელს ლუკულუსისა და კასიუსის კონსულობაში კაპუიდან გნეიუს ლენტულის სკოლიდან გაიქცა 74 გლადიატორი. გალების კრიქსისა და ენომაის, აგრეთვე თრაკიელ სპარტაკის მეთაურობით მათ ვეზუვის მთა დაიკავეს. გამოხტნენ რა იქიდან, მათ ხელთ იგდეს პრეტორ კლოდიუსის ბანაკი, რომელსაც ვეზუვისთვის ალყა ჰქონდა შემორტყმული, გააქციეს იგი და რაც ხელში ჩაუვარდათ, თან წაიღეს, როგორც ნადავლი. შემდეგ, დაეხეტებოდნენ რა კონსენციისა და მეტაპონტის ირგვლივ, გლადიატორებმა მალე უამრავ ძალებს მოუყარეს თავი. ამბობენ, რომ მაშინ კრიქსსა ჰყავდა 10000 კაცი, ხოლო სპარტაკს — სამჯერ მეტი, ენომაი დაიღუპა ერთ-ერთ წინამავალ შეტაკებაში. როდესაც ყველაფერი აირია მკვლელობათა, ხანძართა, ძარცვათა და ძალადობათა შედეგად, მათ ტყვე მატრონას დასაფლავებაზე, რომელმაც თავი მოიკლა, ვერ აიტანა რა მასზე მოხდენილი ძალადობის სირცხვილი, მოაწყეს გლადიატორთა თამაშობანი, რომელშიაც აიძულეს 400 ტყვეს მიეღო მონაწილეობა. შემდეგ აჯანყებულთა წინააღმდეგ გაიგზავნეს ჯარით კონსულები ჰელიუსი და ლენტული. ჰელიუსმა დაამარცხა ბრძოლაში კრიქსი, რომელიც მეტად მამაცად იბრძოდა, ლენ-

ტული კი, სპარტაკის მიერ დამარცხებული გაიქცა. ამის შემდეგ ორივე კონსული, შეურიეს რა სრულიად უსარგებლოდ თავიანთი ძალები, აგრეთვე იძულებული გახდნენ გაქცეულიყვნენ მძიმე ბრძოლის შედეგად. ბოლოს იმავე სპარტაკმა მოკლა შეტაკებაში დამარცხებული პროკონსული გაიუს კასიუსი. როდესაც სახელმწიფო შეერთდა, არა იმაზე ნაკლებ, როგორც იმ დროს, როცა იგი შიშით იყო შეპყრობილი ჰანიბალის დროს, რომელიც (რომის) ჭიშკართან ბობოქრობდა, სენატმა გაგზავნა კონსული კრასუსი კონსულთა ლეგიონებით, რომლებიც ახალი ნაკრებით იყო შევსილი. როგორც კი კრასუსი ჩაება ბრძოლაში გაქცეულ მონებთან, მან 6000 ადგილზე დააწყო, ხოლო 900 ტყვედ წაიყვანა. შემდეგ, ვიდრე თვით სპარტაკს, რომელიც მდინარე სილარის შესართავთან იყო დაბანაკებული, დაესხმოდა თავს, მან დაამარცხა გალები და გერმანელები, რომელთაგანაც ბრძოლის ველზე დაეცა 30000 კაცი თავისი ბელადითურთ. და ბოლოს კრასუსმა გაიგმირა თვით სპარტაკი, რომელიც სწორი წყობით ჩაება ბრძოლაში გაქცეულ მონათა მთავარი ძალებით. ამბობენ, რომ მათგან 60000 მოკლულ იქნა, 6000 ტყვედ იქნა შეპყრობილი, და 3000 რომაელი მოქალაქე ტყვეობიდან იქნა განთავისუფლებული. დანარჩენნი, რომელნიც ამ ბრძოლაში გადარჩნენ და ახლო პიდამოებში დახეტიალობდნენ, მოსპობილ იქნენ მრავალ მეთაურთა ხელმძღვანელობით მათზე გამართული ნადირობით.

ᲙᲐᲢᲘᲚᲘᲜᲐᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲐ

ᲡᲐᲚᲣᲡᲢᲘ, ᲙᲐᲢᲘᲚᲘᲜᲐᲡ ᲨᲔᲗᲥᲛᲣᲚᲔᲑᲘᲡ ᲨᲔᲡᲐᲮᲔᲑ,
4—5; 14—17; 20—21; 23—24; 36—37; 39—48; 50—53; 55—61.*

4. ...მე მიზნად დავისახე დავწერო რომაელი ხალხის ისტორია ცალკე ეპოქების მიხედვით, იმ ამბების ამორჩევით, რომლებიც მოხსენების ღირსად მეჩვენებოდა. ეს შრომა მით უფრო შემეფერებოდა მე, რადგან მე თავისუფალი ვიყავი იმედისა, შიშისა და პარტიული სულისკვეთებისაგან. ამიტომ მე მსურს მოკლედ გადმოვცე, რამდენადაც შესაძლებელია სიმართლით, კატილინას შეთქმულებაზე; რადგანაც ეს ეპიზოდი, გაუგონარი დანაშაულისა და გამოწვეული საშიშროების მიხედვით, მე ღირსშესანიშნავად მიმაჩნია. ვიდრე მოთხრობას შეუდგებოდე, საჭიროა ერთგვარად გავარკვიოთ ამ კაცის ხასიათი.

5. ლუციუს კატილინა, წარჩინებული გვარის შთამომაეალი, მტკიცე სულიერი და ფიზიკური ძალის მქონე, — გამოირჩეოდა ბოროტი და წამხდარი ხასიათით. უკვე სიჭაბუკის წლებიდან მას ხიბლავდა შინა ბრძოლები, მკელელობანი, ძარცვა-გლეჯა, სამოქალაქო არეულობანი, და მათში იბრძმედებოდა იგი ახალგაზრდობიდანვე.[94] ფიზიკურად მა-

* სალუსტის თხზულების ის ნაწილები, რომლებიც უშუალოდ შეთქმულებას არ ეხება, გამოტოვებულია.

გარი იყო, ადვილად იტანდა შიმშილს, სიცივესა და უძილობას. პირა-
ლურად გამბედავი, იგი იყო გაიძვერა, ცბიალებადი, ცბიერი, არაგულ-
წრფელი, ხარბი სხვისი კუთვნილის მიმართ, საკუთარის მფლანგველი.
ფიცხი და ჟინიანი; საკმაოდ მჭევრმეტყველი და საკლებად კეთილგო-
ნიერი. მის გაუმაძღარ სულს მუდამ სწყუროდა რაღაც უსაზღვრო, და-
უჯერებელი, მიუწვდომელი. ლუციუს სულას დიქტატურის დროიდან
იგი მოიცვა უზომო ჟინმა ხელთ ეგდო სახელმწიფო ძალაუფლება. მის-
თვის სულ ერთი იყო რა საშუალებით, ოღონდ კი მიეღწია დასახული
მიზნისთვის, — რომ ხელთ ეგდო მეფის უფლება. მისი მშფოთვარე სული
დღითი დღე უფრო მეტად ღიზიანდებოდა ფულის უქონლობითა და სა-
კუთარი დანაშაულობათა შეგნებით; ორივე მათგანი იზრდებოდა მისი
ამ ბიწიერებათა წყალობით, რომლებიც ზევით მოვიხსენიე. ამას გარდა
მას აქეზებდა ძთელი საზოგადოების ზნედაცემულობა, რომელსაც და-
ღუპვისკენ მიეჩანებდა ორი უცუდესი და ერთმეორის საწინააღმდეგო
ბოროტება — ფუფუნება და ანგარება...

14. ასეთ მრავალრიცხოვანსა და ზნედაცემულ საზოგადოებაში კა-
ტილინამ ადვილად შესძლო შემოეკრიბნა თავის ირგვლივ მის თანამზრა-
ხველთა და მცველთა ყოველგვარი ბიწიერებითა და ბოროტმოქმედე-
ბით შებღალულ ადამიანთა ბრბო. კატილინას ახლო მეგობარი და
ნდობით აღჭურვილი ხდებოდა ყოველი საძაგელი, გარყვნილი, ის, ვინც
მაძისეული ქონება ლოთობასა, თამაშობასა, ღორმუცლობასა და როს-
კიპობაში გაფლანგა, ან ვინც ვალებში იყო ჩაფლული და სურდა თავი
დაეღწია ამ თავის ბიწიერებათა და ბოროტმოქმედებათა შედეგისათვის:
მის ირგვლივ თავს ყოველმხრიდან იყრიდნენ მკვლელები, მკრეხელნი.
ვისაც სასამართლოსგან ჰქონდა რამე მისჯილი, ან რომელთაც ეშინო-
დათ განაჩენისა. აგრეთვე ისინი, ვისი ხელები და ენა ფიცის გამტეხე-
ლობითა და მოქალაქეთა სისხლით იკვებებოდა, დაბოლოს, ვისაც აწუ-
ხებდა სირცხვილი, სიღატაკე, საკუთარ დანაშაულთა შეგნება. ხოლო,
თუ მას ვინმე სრულიად უდანაშაულო დაუმეგობრდებოდა, ისიც მათ-
თან ყოველდღიური ურთიერთობის შედეგად, მალე დანარჩენების მსგავ-
სი ხდებოდა. მაგრამ კატილინა ყველაზე მეტად სრულიად ახალგაზრდა
ყმაწვილკაცებთან დამეგობრებასა ცდილობდა: მათი ჯერ რბილი და
გამოუმუშავებელი ხასიათის გამო, ისინი ადვილად ხდებოდნენ მისი
გაიძვერობის მსხვერპლი. ასაკისა და მიდრეკილებათა შესაბამისად იგი
ზოგს საყვარელს გაუჩენდა, ზოგისთვის ძაღლებსა და ცხენებს ყიდუ-
ლობდა, ერთი სიტყვით არ ზოგავდა არც ხარჯსა და არც საკუთარ სა-
ხელს, ოღონდ კი თავის გავლენაში მოექცია და თავისი ერთგულები
გაეხადნა. მე ვიცი, რომ იყო ხალხი, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ
ახალგაზრდობა, რომელიც კატილინას გარს ეხვია, არაფრად აფასებდა
უბიწოებას, მაგრამ ეს შეხედულება არ იყო დამყარებული რაიმე დამა-
ჯერებელ ფაქტზე, არამედ უბრალო მგონიაობაზე იყო აღმოცენებული.

15. კატილინას, უკვე ჯერ სრულიად ახალგაზრდას, ჰქონდა მრავალი დანაშაულებრივი ურთიერთობა: ერთ კეთილშობილ ქალიშვილთან, ქალღმერთ ვესტას მსახურთან და სხვა მრავალთან; ამას გარდა მან ჩაიდინა მრავალი, ამის მსგავსი, ღვთიური და ადამიანური კანონის დამრღვევი საქციელი. და ბოლოს მას შეუყვარდა აურელია ორესტილა, რომელშიაც სილამაზის გარდა ვერავინ კეთაფერს პოულობდა. რადგანაც იგი ყოყმანობდა მასზე გათხოვებას, ეშინოდა რა მოზრდილი გერისა, ამიტომ კატილინამ მოკლა თავისი ვაჟი — და ეს სავსებით დასაჯერებელია — და ამგვარად თავისი სახლი თავისუფალი გახადა დანაშაულებრივი ქორწინებისათვის. ჩემი აზრით ეს ფაქტი უნდა მიჩნეულ იქნას იმ მიზეზად, რომელმაც აიძულა კატილინა, რათა მას თავისი დანაშაულებრივი განზრახვის შესრულება დაეჩქარებინა. წაბილწული, ღვთისა და ადამიანთაგან საძულველი, იგი ვერც დღე და ვერც ღამე ვეღარ ისვენებდა, ასე ქეჯნიდა სინდისი მის დაცემულ სულს. ამის გამო მას სახის ფერი დაეკარგა, თვალები საშინელი გაუხდა, სიარული — ხან ჩქარი, ხან ნელი, ერთი სიტყვით, მთელ მის გარეგნობასა და გამომეტყველებაში გამოსჭვიოდა უგუნურება.

16. ამასობაში კატილინა ყოველი საშუალებითა ცდილობდა მისი მაცთურების მახეში გაბმული ახალგაზრდობა დაეგეშნა ყოველგვარი ბოროტმოქმედებისათვის. მათგან ის ჰქმნიდა ცრუმოწმეებსა და ყალბისმქნელებს,[205] შთააგონებდა უპატივცემულობას მიცემული სიტყვისა და პატიოსნების მიმართ, ქონებისა და საშიშროების უგულვებელყოფას; ხშადა რა მათში წესიერებისა და სირცხვილის ყოველგვარ გრძნობას, იგი მათ უფრო რთული საქმეების შესრულებას ავალებდა. თუნდაც იმიტომ ბოროტმოქმედების ჩასადენად არავითარი საბაბი არა ყოფილიყო, იგი სულ ერთია, მათ მაინც უბრძანებდა თავდასხმასა და მკვლელობას, არ არჩევდა რა დამნაშავეს და უდანაშაულოს: მას ერჩივნა, თავისთვის რაიმე სარგებლობის გარეშე, ყოფილიყო ბოროტი და დაუნდობელი, ვიდრე დაეშვა ის, რომ ახალგაზრდები უმოქმედობით ფიზიკურად და სულიერად მოშვებულიყვნენ. ეყრდნობოდა რა ამგვარ მეგობრებსა და თანაგანმზრახველთ, მან ისარგებლა იმით, რომ რომაელი მოქალაქენი ყველგან ვალებში იყვნენ ჩაფლული[206] და სულას მეომრებს, რომლებმაც ადვილად გაფლანგეს მათ ხელში ჩავარდნილი დაკლა, სწუხაროდათ სამოქალაქო ომი, ახსოვდათ რა წინანდელი ძარცვა და გამარჯვება. მათზე დაყრდნობით კატილინამ გადაწყვიტა ხელთ ეგდო ძალაუფლება სახელმწიფოში. იტალიაში არ იყო არც ერთი არმია. გნეიუს პომპეუსი ომს აწარმოებდა შორეულ ქვეყნებში;[207] თვითონ კატილინას დიდი იმედი ჰქონდა, რომ კონსულობას მიიღებდა; სენატი არაფერს ხრულიად არავითარ ყურადღებას არ აქცევდა.[208] გარეგნულად ყველგან მშვიდობა და სიწყნარე სუფევდა და კატილინასაც სწორედ ეს უნდოდა.

17. ამგვარად, ივნისის კალენდის[209] მახლობლად ლუციუს ცეზარისა და გაიუს ფიგულის კონსულობაში, კატილინა იწყებს საუბრებს თავის მომდევრებთან, ზოგს ამხნევებს, ზოგს კი სცდის, თუ რამდენად მისი ერთგულია, მიუთითებს მათ თავის სიძლიერეზე, სახელმწიფოს მოუმზადებლობაზე, იმ უდიდეს სარგებლობაზე, რაც შეეძლო შეთქმულებას მოეტანა. გაამარკვია რა ამგვარად ყველაფერი, რაც მისთვის საჭირო იყო, კატილინამ ერთ ადგილას თავი მოუყარა ყველა იმათ, ვინც ყველაზე უფრო შევიწროვებულ მდგომარეობაში იმყოფებოდა და ყველაზე უფრო მეტად იყო თავზე ხელაღებული. იქ მივიდნენ სენატორთა წოდებიდან: პუბლიუს ლენტულუსი სურა, პუბლიუს ავტრონიუსი, ლუციუს კასიუს ლონგინი, გაიუს ცეტეგუსი. პუბლიუს სულა, სერვიუს სულა, ლუკას ვაქები, ლუციუს ბესტია; შემდეგ მხედართა წოდებიდან: მარკუს ფულვიუს ნობილიორი, ლუციუს სატილიუსი, პუბლიუს გაბინიუს კაპიტონი, გაიუს კორნელიუსი; იქვე იყვნენ აგრეთვე კოლონიებისა და მუნიციპიების მრავალი წარმომადგენლები, რომლებიც თავის ქვეყანაში წარჩინებულებად იყვნენ მიჩნეულნი. ამას გარდა მრავალი წარჩინებული უფრო ნაკლებად აშკარა მონაწილეობას იღებდა ამ შეთქმულებაში; ამ უკანასკნელთ უფრო მეტად ბატონობის ხელში ჩაგდების სურვილი ამოძრავებდათ, ვიდრე გაჭირვება, ან სხვა რამ უკიდურესობა. მაგრამ კატილინას ზრახვებს უმთავრესად თანაუგრძნობდა ახალგაზრდობა, განსაკუთრებით კი წარჩინებულთა წრიდან გამოსული; თუმცა მათ ყოველგვარი შესაძლებლობა ჰქონდათ ეცხოვრათ ფუფუნებითა და განცხრომით, დამტკბარიყვნენ ყოველგვარი საქმისაგან სრული თავისუფლებით, მაგრამ ისინი მაინც სისწორის მაგიერ სიმრუდეს ირჩევდნენ და ბოშვიდობიანობას ომს ამჯობინებდნენ. მაშინ ბევრი ფიქრობდა, რომ ეს განზრახულება უცხო არ იყო მარკუს ლიცინიუს კრასუსისთვის;[210] რადგანაც მისთვის საძულველი გნეიუს პომპეიუსი დიდ არმიას ედგა სათავეში. ამიტომ იგი თანახმა იყო, ვინც არ უნდა განდიდებულიყო, ოღონდ კი ამას პომპეიუსის ძლიერება დაემცირებინა; ამას გარდა იგი დარწმუნებული იყო, რომ შეთქმულების წარმატების შემთხვევაში იგი აღვილად გახდებოდა შეთქმულთა მეთაური.

20. როდესაც კატილინამ დაინახა, რომ ყველა ზემოაღნიშნულმა პირმა თავი მოიყარა, თუმცა მას თვითოეულ მათგანთან ცალკე ხშირად ულაპარაკია, მაინც მიზანშეწონილად დაინახა გამამხნევებელი სიტყვით მიემართა ყველა მათთვის ერთად. ამიტომ მან წაიყვანა ისინი სახლის მოფარებულ ნაწილში[211] და მოიშორა რა თავიდან ყველა ზედმეტი მოწამე, წარმოსთქვა დაახლოვებით შემდეგი შინაარსის სიტყვა: „მე რომ თქვენს ვაჟკაცობასა და ერთგულებას საქმით არ ვიცნობდე, ამაო აღმოჩნდებოდა გარემოებათაგან ჩვენთვის ხელის შეწყობა, ბატონობის უდიდესი იმედი ჩვენს ხელში უქმი იქნებოდა და არასოდეს არ გამოვეკიდებოდი უიმედოს, ნაცვლად საიმედოსი, ხელმოკლეთა და ცრუ-

მეოცნებეებზე დაყრდნობით. მაგრამ, რადგანაც ბევრ მნიშვნელოვან საქმეში მე გამოცდილი თქვენი ვაჟკაცობა და ჩემდამი ერთგულება, სული ჩემი აღიძრა დიდი და სასახელო საქმისათვის. ამასთანავე მე შევიგნე, რომ ჩემთვისაც და თქვენთვისაც ერთი და იგივეა სიკეთე და ბოროტება; ხოლო ვინმესთან ერთად გინდოდეს ან არ გინდოდეს ესა თუ ის, ნიშნავს ურთიერთშორის მტკიცე მეგობრობას. ის, რაც მე ჩემს გონებაში განვიზრახე, თვითოეულ თქვენთაგანს წინათ სხვადასხვა დროს მოუსმენია ჩემგან. ჩემი სული დღითი დღე აღიგზნება უფრო მეტი გადაწყვეტილებით, როდესაც ვფიქრობ, თუ როგორი იქნება ჩვენი ცხოვრების პირობები, თუ ჩვენთვის თავისუფლებას მოვიპოვებთ. მართლაც, მას შემდეგ, რაც სახელმწიფო მცირერიცხოვან შეძლებულთა განუსაზღვრელ უფლებასა და ბატონობაში მოექცა, მათ უხდიან ხარკს მეფეები და ტეტრარქები,[212] მათთვის შეაქვთ გადასახადები და ბაჟები ცივილიზებულ ხალხებსა და ბარბაროსებს, ჩვენ კი, ყველა დანარჩენი მოქალაქენი, მოქმედნი, ღირსეულნი, წარჩინებულნი და მდაბიონი, აღმოვჩნდით ყოველგვარ გავლენასა და მნიშვნელობას მოკლებულ ბრბოს მდგომარეობაში, გადავიქეცით იმათ მორჩილად, ვინც ჩვენს წინაშე უნდა ცახცახებდეს, რესპუბლიკურ წყობას რომ თავისი ძალა შერჩენოდა. ამგვარად მთელი გავლენა, ძლიერება, პატივი, სიმდიდრე მათ გააჩნიათ ყველგან, სადაც კი სურთ. ჩვენს წილად მათ დაგვიტოვეს საფრთხე, არჩევნებში დამარცხება, სასამართლო და სიღარიბე. როდემდის უნდა ვითმინოთ ეს, მამაცო ვაჟკაცებო? უმჯობესი არ არის ერთხელ ვაჟკაცურად დავიხოცნეთ, ვიდრე საცოდავად და უსახელოდ ვიცხოვროთ და სამარცხვინოდ დავკარგოთ ჩვენი სიცოცხლე, ვიყოთ სხვისი ქედმაღლობის დასაცინი და სათამაშო? მაგრამ ღმერთებს ვიწვევ მოწმედ, რომ გამარჯვება ჩვენ ხელთ არის: ჩვენ ძლიერი ვართ ჩვენი ხმაკით და მხნენი სულისკვეთებით, — ისინი კი დაძაბუნებული არიან მოხუცებულობითა და სიმდიდრით. საჭიროა მხოლოდ დაწყება, დანარჩენი ყველაფერი თავისთავად გაკეთდება. მართლაც, რომელი ვაჟკაცური გულის პატრონი შეურიგდება იმას, რომ მათ მოჰარბებული სიმდიდრე აქვთ, რასაც ისინი ფლანგავენ ზღვებზე, მშენებლობასა და მთების მოთხრაში, ჩვენ კი არა გვყოფნის ჩვენი ქონება სრულიად აუცილებელი რამისათვისაც კი. ისინი იშენებენ ორ-ორსა და უფრო მეტ სახლებს რიგზე მიყოლებით, ჩვენ კი მშობლიური კერა არსად გაგვაჩნია. ისინი ყიდულობენ სურათებს, ქანდაკებებს, მოხატულ ვაზებს, ანგრევენ სრულიად ახალ სახლებს და ახლად აგებენ სხვებს, და ბოლოს ყოველგვარი საშუალებით ფლანგავენ და აბნევენ თავიანთ ფულებს, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ ამოსწურონ თავიანთი დოვლათი უგუნურ ჟინიანობაზე ხარჯვით. ჩვენ კი — შინ გაჭირვება გვაქვს, გარეთ — ვალები, ჩვენი აწმყო ცუდია, მომავალი — უფრო უარესი, საბოლოოდ საცოდავი არსებობის მეტი არა გაგვაჩნია რა. ნუთუ ჩვენ ვერასოდეს გამოვფხიზლდებით? აი, უკვე თქვენ ხელთ

...რის ის თავისუფლება, რომელიც თქვენ ხშირად მოგნატრებიათ, და მასთან ერთად სიმდიდრე, პატივი და დიდება. ბედმა ყველაფერი ეს გახკუთვნა გამარჯვებულთა ჯილდოდ. თვით საქმის არსმა, საფრთხემ, გაჭირვებამ და ომის უხვმა დავლამ თქვენ მეტად უნდა აღაგზნოთ, ვიდრე ჩემმა სიტყვამ. გინდ მეთაურად ამირჩიეთ, გინდა უბრალო ჯარისკაცად მაქციეთ, მე თქვენი ვარ სულითა და ხორცით. აი, რის განხორციელება მსურს, თქვენი დახმარებით, როცა კონსული ვიქნები, თუ კი მე ჩემი შორსმჭვრეტელობა არ მატყუებს და თქვენ მბრძანებლის მაგიერ მონის ხვედრს არ ირჩევთ".

21. მთელი ეს სიტყვა მოისმინა ხალხმა, რომელთაც ბევრი ცუდი ჰქონდათ ჩადენილი და კარგი კი არაფერი გააჩნდათ არც აწმყოში და არც მომავლისთვის. თუმცა მათ ძალიან წარმტაცად ეჩვენებოდათ მოეხდინათ გადატრიალება დამშვიდებულ სახელმწიფოში, მაგრამ მათი უმრავლესობა მოითხოვდა კატილინასაგან, რათა განემარტა მათთვის თუ როგორი იქნებოდა სამოქალაქო ომის პირობები, რა უპირატესობას მოიპოვებდნენ ისინი იარაღით, რა რესურსები და საშუალებებია მათს განკარგულებაში და საერთოდ რისი იმედი უნდა ჰქონდეთ. მაშინ კატილინამ აღუთქვა ახალი სავალო სიების[213] შედგენა, მდიდართა პროსკრიპციები.[214] სამოქალაქო და ქურუმთა თანამდებობანი, ძარცვა-გლეჯა და ყველაფერი .ის, რაც სამოქალაქო ომისა და გამარჯვებულთა თვითნებობის თანამგზავრია. შემდეგ მან უთხრა მათ, რომ მახლობელ ესპანეთში არმიით იმყოფება პიზონი, ხოლო მავრიტანიაში პუბლიუს სიტიუს ნუცერინი — ორივე მისი მომხრენი; კონსულობას ეძიებს მისი ნახლობელი და ყელამდე გაჭირვებაში ჩავარდნილი გაიუს ანტონიუსი, რომელიც, როგორც იგი იმედოვნებს, გახდება მისი ამხანაგი სამსახურში. ამას გარდა კატილინა აგინებდა ოპტიმატებს, აქებდა თავის მომხრეებს, მიმართავდა რა თვითეულს საკუთარი სახელით; ზოგს მის გაჭირვებულ მდგომარეობაზე მიუთითებდა, ზოგს მისი სურვილ-მისწრაფებები გაახსენა. ზოგს — საფრთხე, რომელიც სასამართლოსაგან და შერცხვენისაგან მოელოდა. ზოგს კი — სულას გამარჯვება, რამაც მას ოდესღაც დიდი დავლა მოუტანა. მას შემდეგ, რაც იგი დარწმუნდა, რომ ყველა გამხნევდა, მან კვლავ მოაგონა მათ ცდილიყვნენ, რათა მას მიეღწია თავისი მიზნისათვის: გამხდარიყო კონსული, და დაშალა კრება.

23. შეთქმულთა შორის იყო კვინტუს კურიუსი. წარჩინებულთა წრის შთამომავალი, რომელმაც სახელი შეირცხვინა მრავალი უსახელო საქციელით და რომელიც უზნეობისათვის[215] ცენზორებმა სენატიდან გამორიცხეს. იგი არანაკლებ პატივმოყვარე იყო, ვიდრე უხეში; მას არათუ არ შეეძლო არ ელაპარაკნა ყველაფერზე, რასაც კი ნახავდა, არამედ თავის ცუდ საქმეებსაც ვერა მალავდა; საერთოდ მისი არც სიტყვა და არც საქმე არასოდეს აწონილ-დაწონილი არ იყო. მას დიდი ხანია უზნეო კავშირი ჰქონდა წარჩინებული შთამომავლობის ქალთან ფულვიას-

თან; როდესაც ფულვიას გული გაუნელდა მის მიმართ, რადგან გაჭირვებამ კურიუსი ხელმომჭირნედ აქცია, იგი ქალს ხან ოქროს მთებსა სთავაზობდა, ხან კი მახვილით ემუქრებოდა, თუ იგი მისი მორჩილი არ იქნებოდა; ერთი სიტყვით იგი მას ადრინდელზე უფრო ბრიყვულად ეპყრობოდა. მაგრამ ფულვიამ, გაიგო რა კურიუსის. თავაშეებულობის მიზეზი, არ მოისურვა საიდუმლოდ შეენახა იგი, რაც სახელმწიფოს დიდი საფრთხით ემუქრებოდა. არამედ ბევრს უამბო ყველაფერი ის, რაც კი ოდესმე გაგონილი ჰქონდა კატილინას შეთქმულების შესახებ, ისე რომ არ დაუსახელებია. საიდან იცოდა მან ეს. ამ გარემოებამ ყველაზე უფრო მეტად შეუწყო ხელი კონსულის ძალაუფლება მარკუს ციცერონისთვის ჩაებარებინათ. ნამდვილად კი ამაზე ადრე წარჩინებულთა უმეტეს ნაწილს იგი სძულდა და ფიქრობდა, რომ კონსულის ძალაუფლება შეიბღალება, ის რომ „ახალმა კაცმა"[216] მიიღოს, რაც არ უნდა ღირსებით იყოს იგი შემკულიო. მაგრამ როცა სიფრთხე წამოიპრა, სიძულვილმა და ქედმაღლობამ უკანა ხაზზე დაიხია.

24. ამიტომაც კომიციებში კონსულებად არჩეულ იქნენ მარკუს ტულიუს ციცერონი და გაიუს ანტონიუსი. რამაც თავდაპირველად ბევრი შეაშფოთა შეთქმულნი. მაგრამ კატილინას უგუნურება სრულიადაც არ შემცირებულა; დღითი დღე იგი უფრო მეტსა და მეტ საქმიანობას ეწეოდა, ამზადებდა მთელს იტალიაში, სადაც ეს მოსახერხებელი იყო, იარაღს, ხოლო ფულს, რომელსაც თავისი ან მეგობრების სახელით სესხულობდა. უგზავნიდა ფეზულში[217] ვინმე მანლიუსს, რომელმაც შემდეგში პირველმა დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ამბობენ, რომ მაშინ მან თავის მხარეზე გადაიბირა მრავალი ხალხი სხვადასხვა წრისა, ზოგიერთი ქალიც კი, რომლებიც წინათ თავისი სხეულის სასყიდლით ისტუმრებდნენ თავიანთ დიდ ხარჯებს, ხოლო როდესაც ასაკმა საზღვარი დაუდვა სახსრების ამ გზით შოვნას, დიდად დავალიანდნენ. კატილინა იმედოვნებდა, რომ მათი საშუალებით იგი მოახერხებდა აეჯანყებია მონები, ცეცხლი წაეკიდებინა ქალაქისათვის, გადმოებირებია თავის მხარეზე, ან ამოეხოცა მათი ქმრები.

25. ქალების ამ რიცხვში იყო სემპრონია,[218] რომელსაც ვაჟკაცის გამბედაობის შესაფერისი მრავალი ბოროტმოქმედება ჰქონდა ჩადენილი. ეს წარჩინებული წრის, გარეგნული სიმშვენიერით შემკული, ქმარშვილით ბედნიერი ქალი კარგად იცნობდა ბერძნულსა და რომაულ ლიტერატურას, იცოდა კითარაზე დაკვრა და ცეკვა ისეთი ხელოვნებით, ვიდრე პატიოსანი ქალისათვის იყო აუცილებელი, და საერთოდ დაუფლებული იყო საერო ცხოვრებისათვის საჭირო ბევრ რამეს. მისთვის ყველაფერი პატიოსნებასა და უმანკოებაზე ძვირი იყო; ძნელი სათქმელია რას უფრო მეტად აფასებდა იგი, თავის კარგ სახელს, თუ ფულებს; იგი ისეთი ავხორცი იყო, რომ ხშირად თვითონ უფრო დაეძებდა მამაკაცებს, ვიდრე ისინი მას. წინათაც ადვილად გადადიოდა თავის სიტყვას,

სტეხდა ფიცს, რათა არ გადაეხადნა ვალები, იღებდა მონაწილეობას მკვლელობებში; ფუფუნების ჟინით გატაცებული და საჭირო საშუალებათა მოკლებული, იგი შეუჩერებლივ ეცემოდა ზნეობრივად. ამასთანავე, მისი მტრული გონება უმნიშვნელო როდი იყო: მას შეეძლო ლექსების წერა, გამოირჩეოდა გონებამახვილობით; მისი საუბარი ხან თავდაჭერილი იყო, ხან ეშხით აღსავსე, ხან კეკლუცად გამომწვევი; საერთოდ იგი საკმაოდ მხატვრული და ბრწყინვალე იყო[218].

26. კატილინა, თუმცა გადატრიალებას ამზადებდა, მაგრამ იმავე დროს ეძიებდა თავისთვის კონსულობას სამერმისოდ (მომავალი წლისთვის). მას იმედი ჰქონდა, რომ თუ მას აირჩევდნენ, ანტონიუსს იმას გააკეთებინებდა, რაც თვითონა სურდა. იგი ამით არ კმაყოფილდებოდა და ყოველმხრივ ცდილობდა რამე ზიანი მიეყენებია ციცერონისთვის. მაგრამ არც ეს უკანასკნელი იყო ნაკლებ ეშმაკი და მოხერხებული. თავისი კონსულობის დაწყებიდანვე უხვი აღთქმებით მოახერხა, რომ ფულვიას ხაშუალებით კვინტუს კურიუსისგან გაეგო კატილინას გეგმები.[219] ამას გარდა თავის ამხანაგისთვის გამოსარჩენი პროვინციის დათმობით, აიძულა იგი ხელი აეღო სახელმწიფოს წინააღმდეგ რაიმე მოქმედებისაგან; თავის ორგულივ მას მუდამ ჰყავდა მეგობართა და კლიენტთავან შემდგარი დამცველი წრე. როდესაც არჩევნების დღე დადგა და კატილინამ ვერაფერს მიაღწია ვერც კონსულობის მიღების ცდითა და ვერც ციცერონისადმი მტრობით, რასაც იგი კონსულის წინააღმდეგ თვით მარსის მინდორზე მიმართავდა, მან გადაწყვიტა გაეჩაღებინა სამოქალაქო ომი და მიემართნა უკიდურესი და თავგანწირული ცდებისთვის, რადგან მისმა ყველა საიდუმლო მოქმედებამ სამარცხვინო მარცხი განიცადა.

27. ამგვარად ფეზულსა და მის მეზობელ ეტრურიის ნაწილში მან გაგზავნა გაიუს მანლიუსი, პიცენუმის ოლქში ვინმე სეპტიმიუს კამერტი, აპულიაში გაიუს იულიუსი და სხვა რამდენიმე პირი ისეთ ადგილებში, სადაც მათ მეტი სარგებლობის მოტანა შეეძლოთ.[221] ამავე დროს რომში თვითონ მრავალი საქმით იყო გართული: მოქმედებდა კონსულების წინააღმდეგ, ამზადებდა ქალაქისთვის რამდენიმე ადგილას ცეცხლის წაკიდებას, იქერდა მარჯვე ადგილებს შეიარაღებული ხალხით, თვითონ იარაღს ატარებდა თან და სხვებსაც უბრძანებდა ასევე მოქცეულიყვნენ; არწმუნებდა მათ მუდამ მზად და ფხიზლად ყოფილიყვნენ; დღე და ღამე იგი დაუცხრომლად მოქმედებდა, ფხიზლობდა, არც უძილობითა და არც შრომით არ იღლებოდა. ბოლოს, როდესაც თავისი დაძაბული საქმიანობის მიუხედავად, კატილინამ წარმატებას ვერაფერში მიაღწია, კვლავ მოიწვია შუაღამისას შეთქმულების მეთაურნი მარკუს პორციუს ლეკას სახლში. აქ იგი მწარედ მოსთქვამდა მათს სულმოკლეობაზე და გაუმხილა, რომ მან უკვე გაგზავნა მანლიუსი იმ ხალხთან, რომლებიც მას მომზადებული ჰყავს აჯანყებისთვის, აგრეთვე სხვები სხვადასხვა ადგილებში, რათა ისინიც მოქმედებას შეუდგნენ. იგი ამბობდა, რომ მას თეი-

თონ სურს ჯარს სათავეში ჩაუდგეს, თუ კი იგი ჯერ მოახერხებს თავიდან მოიშოროს ციცერონი, რომელიც ყველაზე მეტად უშლის ხელს მისი გეგმების განხორციელებაში.

28. ვიღრე სხვები ყოყმანებდნენ და შიშით ვერაფერი გაეწყვიტათ, რომაელმა მხედარმა გაიუს კორნელიუსმა და მასთან ერთად სენატორმა ლუციუს ვარგუნტეიმ აღუთქვეს კატილინას დახმარება და გადაწყვიტეს მეორე დღეს დილა ადრიანად შეპარულიყვნენ შეიარაღებული კაცებით ციცერონის სახლში, ვითომღა მისასალმებლად და მის სახლში ყველი გამოეპრათ კონსულისთვის, რომელიც სრულიად გაუფრთხილებელი იქნებოდა. როგორც კი კურიუსი მიხვდა, თუ რა საფრთხე მოელოდა კონსულს, სასწრაფოდ აცნობა ციცერონს ფულვიას საშუალებით მის წინააღმდეგ ვერაგული განზრახვის შესახებ. როგორც მოსალოდნელი იყო, ციცერონის კარი შეთქმულთ დაკეტილი დახვდათ და კორნელიუსმა და ვარგუნტეიმ სრულიად ამაოდ იკისრეს ასეთი დიდი ბოროტგანზრახულების შესრულება. ამასობაში მანლიუსი ეტრურიაში აჯანყებისთვის აქეზებდა ხალხს, რომელსაც სწყურობდა გადატრიალება, რადგან გაწამებული იყო გაჭირვებითა და უსამართლობით, დაკარგა რა სულას ბატონობის დროს მიწა და მთელი თავისი ქონება; ამას გარდა მანლიუსი აღაგზნებდა ყველა ჯურის მძარცველებს, რომლებიც იმ ადგილებში ბლომად იყვნენ, აგრეთვე სულას ზოგიერთ კოლონისტებს, რომლებსაც გარყვნილი და ფუფუნებითი ცხოვრების შედეგად მათ მიერ ბლომად მიტაცებული ქონებიდან აღარაფერი დარჩათ.

29. როდესაც ციცერონმა ეს გაიგო, იგი შეაწუხა ორმაგმა საფრთხემ: მას უკვე აღარ შეეძლო საკუთარი ძალებით უზრუნველეყო ქალაქში წესრიგის დაცვა და არც გარკვევით იცოდა, თუ რაოდენი ჯარი ჰყავდა მანლიუსს და როგორი გეგმა ჰქონდა მას. მან მთელი საქმე მოახსენა სენატს, რომელიც ისედაც შეშინებული იყო ხალხში დარხეული ხმებით. ამიტომ სენატმა, როგორც ეს უკიდურესი საფრთხის დროს ხდება ხოლმე, დაადგინა: დეე იზრუნონ კონსულებმა, რათა სახელმწიფოს რაიმე ზიანი არ მიადგესო. სენატის ასეთი დადგენილებით, რომაული კანონების თანახმად, მაგისტრატს ენიჭებოდა განსაკუთრებული უფლება: შეაგროვოს ლაშქარი, აწარმოოს ომი, მიიღოს რეპრესიული ღონისძიებანი მოკავშირეთა და თვით მოქალაქეთა მიმართ, სარგებლობდეს სახელმწიფოს შიგნითა და ბრძოლის ველზე უმაღლესი ძალაუფლებითა და უმაღლესი სამსაჯულო უფლებით; სხვა დროს კონსულს არა აქვს არცერთი ასეთი უფლება, თუ მას სახალხო კრება არ მიანიჭებს რომელიმე ამათგანს.

30. რამდენიმე დღის შემდეგ სენატორმა ლუციუს სენიუსმა სენატში წაიკითხა წერილი, რომელიც მან, მისი სიტყვით, ფეზულიდან მიიღო; წერილით ატყობინებდნენ, რომ ოქტომბრის 27-ს გაიუს მანლიუსმა მრა-

ველი ხელით დაიწყო შეიარაღებული აჯანყება. ამასთან ერთად, როგორც ამისთანა შემთხვევებში ხდება ხოლმე, იტყობინებოდნენ სხვადასხვა ადგილებიდან, ცუდ ნიშნებსა და სასწაულებზე, რომ ადგილი აქვს საიდუმლო შეკრებებს, იარაღის დაგროვებას, და რომ კაპუასა და ალუდეიაში აშადღება მონათა აჯანყება. ამის გამო, სენატის გადაწყვეტილებით კვინტუს მარციუს რექსი და კვინტუს მეტელუს კრეტიკი გაიგზავნენ: პირველი ფეზულსა და მის მიდამოებში, მკორე—ალულიაში. ესენი ორსი ქალაქ გარეთ იდგნენ ტრიუმფის მოლოდინში, რაზედაც მათ უარს ეუბნებოდნენ იმ მცირერიცხოვან პირთა წყალობით, რომლებიც შიშველი იყვნენ ევაჭრათ ყველაფრით — პატიოსნითაც და უპატიოსნოთიც. ამას გარდა გაიგზავნენ: კაპუაში პრეტორი კვინტუს პომპეიუს რუფუსი, ხოლო პიცენტომის ოლქში კვინტუს მეტელუს ცელერი, რომლებსაც ჯერეალათ შეეგროვებიათ ლაშქარი საქმის ვითარებისა და საფრთხის შესაბამისად. შემდეგ გამოცხადდა, რომ ვინც შეთქმულების შესახებ რამე ცნობას მოიტანდა, მიეცემოდა დიდი საჩუქარი, სახელდობრ, მონა მიიღებდა თავისუფლებასა და ასი ათას სესტერციუმს, თავისუფალი მოქალაქე — სრულ პატიებას და ორასი ათას სესტერციუმს.[223] ამასთანავე სენატმა დაადგინა, რათა გლადიატორთა ჯგუფები[223] გაეყვანათ რომიდან და გაენაწილებიათ კაპუასა და სხვა მუნიციპიებს შორის, თვითეული ქალაქის სახსრების შესაბამისად, და რათა რომში, მთელ ქალაქში მოეწყოთ ღამის სადარაჯოები. რომელთა მეთაურებათაც უნდა ყოფილიყვნენ უმცროსი მოხელენი[224].

31. ამ ამბებმა თავზარი დასცა მოქალაქეებს და ქალაქის სახე სრულიად შეიცვალა. თავშეუკავებელი მხიარულებისა და თავაშვებულების მაგიერ, რაც ხანგრძლივმა მშვიდობიანობამ შექმნა, ყველა სასოწარკვეთილებამა და სევდამ მოიცვა; ყველა ჩქარობდა, ფუსფუსებდა შიშით, ვეღარ ენდობოდნენ ვერც ადგილსა და ვერც ადამიანს: ომი ჯერ არ იყო, მაგრამ ცხოვრების მშვიდობიანი პირობები უკვე გაქრა; ყველა შესჯელობდა მოსალოდნელ საფრთხეზე საკუთარი შიშის მიხედვით. ამასთანავე ქალები, რომლებიც მოიცვა ესოდენ მძლავრი სახელმწიფოსთვის უჩვეულო შიშმა მოსალოდნელი ომის გამო, ხელებს მკერდში იცემდნენ, თვალს და ხელს ცისკენ აღაპყრობდნენ, დასტიროდნენ მცირეწლოვან შვილებს; ყველაფრის ამბავს კითხულობდნენ, ყველაფრისა ეშინოდათ, დაავიწყდათ რა თავისი ქედმაღლობა და უქმი გართობანი, დაეკარგათ როგორც თავისი, ისე სახელმწიფოს გადარჩენის იმედი. ხოლო კატილინას მედგარი სული იმავე გეგმების განხორციელებაზე მუშაობდა, იმისდა მიუხედავად, რომ მიღებული იყო ზომები ქალაქის დასაცავად და თვით იგი დაკითხულ იქნა ლუციუს პავლეს მიერ პლავტის კანონის საფუძველზე.[225] და, ბოლოს, თვალის ახვევის მიზნით, თუ იმისთვის, რომ თავი ემართლებინა და მოეგერიებინა, თუ მას საყვედურითა და ლანძღვა-გინებით აესებდნენ, იგი გამოცხადდა სენატის სხდომაზე. მა-

შინ კონსულმა მარკუს ციცერონმა, მისი იქ ყოფნით შემინებულმა, თუ გასრისხებულმა, წარმოსთქვა ბრწყინვალე და სახელმწიფოსთვის სასარგებლო სიტყვა,[226] რომელიც შემდგომ თვითონვე ჩაწერა და გამოსცა. როგორც კი იგი ლაპარაკობდა, ქატილინა, რომელმაც თავი მოიკატუნა, თავხედრილი, შებრალების კილოთი სთხოვდა სენატორებს არ დაეჯერებიათ საქმის განუკითხავად ყველაფერი იმ. რასაც მის შესახებ ავრცელებენ. „მე ისეთი ოჯახიდან ვარ, ამბობდა იგი — ისე მოვაწყე ჩემი ცხოვრება ახალგაზრდობის წლებიდანვე, რომ შემიძლია ვიქონიო საუკეთესო იმედები; ნუ იფიქრებთ, რომ მე. ბუნებრივ პატრიცს, რომლის წინაპრებსაც და თვითონ მეც უდიდესი სამსახური გაუწევია რომაელი ხალხისათვის, — მწყურია დაცემა და დაღუპვა იმ სახელმწიფოსი, რომელსაც იცავს მარკუს ტულიუსი, უსახლკარო, გადმოხვეწილი და არა ბუნებრივი მოქალაქე ქალაქ რომისა". როდესაც მან თავის ნათქვამს ლანძღვა-გინება შეუერთა, ყველამ ყვირილი დაიწყო, უწოდებდნენ რა მას მტერსა და მკვლელს. მაშინ მან გაბოროტებულმა წამოიძახა: „რადგანაც მე, ყოველ მხრივ მტრებით შემორტყმული, შეუსრებლივ მივექანები დაღუპვისაკენ, ამიტომ ხანძარს. რომელშიაც მე ვიღუპები, ჩავაქრობ ყველაფრის დანგრევით".

32. ამ სიტყვებით იგი კურიიდან[227] შინისაკენ გაექანა. იქ. დიდი ხნის ფიქრის შემდეგ კატილინამ, დაინახა რა, რომ კონსულის წინააღმდეგ ხრიკებს წარმატება არა ხვდა, ხოლო გუშაგები საკმაოდ კარგად იცავდნენ ქალაქს ცეცხლის წაკიდებისაგან, — თავისთვის უმჯობესად მიიჩნია გაემრავლოს თავისი მებრძოლი ძალები და მოამზადოს ყველაფერი, რაც კი საჭიროა სამოქალაქო ომის საწარმოებლად, ვიდრე მის წინააღმდეგ ლეგიონერების მოგროვებას მოასწრებდნენ. ამიტომ შუაღამისას,[228] რამდენიმე თანამგზავრითურთ გაემგზავრა მანლიუსის ბანაკში, დაავალა რა ცეტეგს, ლენტულსა და სხვებს, რომელთა სიმამაცესა და ყველაფრისთვის მზადყოფნას იგი კარგად იცნობდა გამოცდილებით, გაამრავლონ მათი პარტიის ძალები ყოველგვარი საშუალებებით, დაიჩქარონ კონსულზე თავდასხმა, მოამზადონ ხოცვა-ჟლეტა, ცეცხლის წაკიდება და სამოქალაქო ომის სხვა ბოროტმოქმედებანი. მან აღუთქვა, რომ მალე თვითონაც დიდი ჯარით რომის ჭიშკარს მიადგებოდა. ვიდრე რომში ეს ხდებოდა, გაიუს მანლიუსმა თავისი ხალხის დელეგაცია გაგზავნა მანციუს რექსთან[229] შემდეგი შინაარსის დავალებით:

33. „უმაღლესო მთავარსარდალო! ღმერთებსა და ადამიანებს ვიმოწმებთ, რომ ჩვენ იარაღს ხელი მოვკიდეთ არა სამშობლოს წინააღმდეგ და არა იმიტომ, რომ ვინმე დავაზარალოთ, არამედ მხოლოდ იმისთვის, რომ თავი დავიცვათ უსამართლობისაგან. ჩვენ, ვისი სიცოცხლეც. შეეახშეთა ძალადობისა და სისასტიკის წყალობით, საბრალოდ არის გადაქცეული, უმეტეს ნაწილად მოკლებული ვართ სამშობლოს, ხოლო

ყველას უკლებლივ დაკარგული გვაქვს როგორც სახელი, ისე ქონება. არავის ჩვენ წინაპართა კანონების ტრადიციით არ გვქონდა უფლება მიგვემართნა კანონისთვის დასახმარებლად,[230] და დავკარგეთ რა ქონება პირადი თავისუფლება მაინც შეგვენარჩუნებია: ასე შორს წავიდა მეათეშვილებისა და პრეტორის ბოროტმოქმედება.[231] ხშირად თქვენი წინაპარნი პლებეებისადმი სიბრალულით აღძრულნი, თავისი დეკრეტებით უმსუბუქებდნენ მათ დუხჭირ მდგომარეობას და სულ ცოტა ხნის წინათ ჩვენ თვალწინ დიდი დავალიანების გამო ოპტიმატების თანხმობით ნებადართულ იქნა ვალი, რომელიც ვერცხლის ფულით იყო აღებული, გასტუმრებული ყოფილიყო სპილენძის ფულით.[232] ხშირად თვითონ პლებეები პატრონობის ჟინიანობის გავლენით, ან მაგისტრატების ქედმაღლობის შედეგად, შეიარაღებულნი მიატოვებდნენ ხოლმე პატრიციებს. ჩვენს პირიქით, არა გვქონია არც ძალაუფლება, არც სიმდიდრე — რაც ადამიანთა შორის ომისა და ყოველგვარი დავის წარმომშობია, — არამცა გვინდა თავისუფლება, რომელსაც პეშმარიტი მოქალაქე მხოლოდ სიცოცხლესთან ერთად ჰკარგავს. გეევედრებით შენცა და სენატსაც! გაასაჯეთ უბედურ მოქალაქეთა მდგომარეობა, დაგვიბრუნეთ კანონით დაცვის უფლება, რომელიც წაგვართვა ჩვენ პრეტორის უსამართლობამ. ნუ გვაიძულებთ ვიფიქროთ იმაზე, თუ რამდენად ძვირად გაგვიდოთ ჩვენი სისხლი სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაში.“

34. ამაზე კვინტუს მარციუსმა უპასუხა, რომ, თუ ისინი სენატისგან რაიმეს მოითხოვენ, უნდა იარაღი დაყარონ და გამოცხადდნენ რომში როგორც მთხოვნელები... კატილინა თავის მხრით გზიდან უგზავნიდა ბევრ ყოფილ კონსულს და არისტოკრატიის თვალსაჩინო წარმომადგენლებს შემდეგი შინაარსის წერილებს: „ცრუ ცილისწამებათა ქსელში გახვეული, რომელსაც არა მაქვს საშუალება წინააღმდეგობა გაუწიო ჩემი მტრების პარტიას, მე ვემორჩილები ბედს და ვილტვი მასილიაში,[233] არა იმიტომ, რომ რამე მძიმე დანაშაულს ეგრძნობდე, არამედ რათა სახელმწიფოში სიმშვიდე იყოს და ჩემი პირადი ბრძოლის გამო არ მოხდეს სახალხო აჯანყება...“

36. თვითონ კატილინამ რამდენიმე დღე დაჰყო არეცოს ოლქში გაიუს ფლამინიუსთან, აიარაღებდა რა ახლო მიდამოების მცხოვრებთ, რომლებსაც დიდი ხანია აჯანყებისთვის აქეზებდა; შემდეგ კი, ლიქტორთა წკეპლების კონებით[234] და ძალაუფლების სხვა გარეგანი ნიშნებით[235] შემკული, გაეშურა მანლიუსის ბანაკისაკენ. როდესაც რომში ეს შეიტყეს, სენატმა კატილინა და მანლიუსი სამშობლოს მტრებად გამოაცხადა, სხვებისთვის კი დაწესებული იყო ვადა, რომლის განმავლობაშიც მათ შეეძლოთ იარაღი დაეყარათ და დასჯილი არ იქნებოდნენ, გარდა იმ პირთა, რომელთაც სისხლის დანაშაულის გამო რამე ჰქონდათ მისჯილი. ამას გარდა სენატმა დაადგინა, რათა კონსულებმა მოაგროვონ ლაშქარი, ანტონიუსი საჩქაროდ გამოედევნოს ჯარით კატილინას და

კიცერონი კი დარჩეს ქალაქის დასაცავად... მიუხედავად სენატის ორი დეკრეტისა, ამ უამრავი ხალხიდან არც ერთმა კაცმა არ მოისურვა, თუნდაც ჯილდოს გულისთვის, გაეცა შეთქმულნი და პიეტოვებინა კატილინას ბანაკი. ასეთი მტკიცე და ძლიერი აღმოჩნდა ის გამხრწნელი სენი, რომელიც მოქალაქეთა უმეტეს ნაწილს მოედვა.

37. უგუნურებამ მოიცვა არა მხოლოდ ისინი, ვინც შეთქმულების მონაწილე იყო, არამედ ყველა პლებეი, რომელთაც სწყუროდათ სახელმწიფო გადატრიალება, თანაუგრძნობდნენ კატილინას წამოწყებას. და პლებეებს, თითქოს, სხვანაირად არც შეეძლო მოქმედება. ძირთლაც. სახელმწიფოში მუდამ ის, ვისაც არაფითარი საშუალება არ გააჩნია, შურისთვალით უცქერს შეძლებულსა და კეთილგონიერ მოქალაქეს, თაყვანსა სცემს ცუდსა და არაფრის მქონეს, სძულს ძველი და სწყურიან ახალი; თავისი მდგომარეობით უკმაყოფილოს სურს ყველაფერი შეიცვალოს; თავისთვის საშუალებას იძენს არეულობასა და აყალმაყალში, რადგან სიღარიბეს დასაკარგი არაფერი აქვს. მაგრამ რომაელი პლებეები სრულიად სხვა მიზეზის გამო განსაკუთრებით ისწრაფოდნენ არეულობისაკენ. რომში, როგორც კლოაკაში, თავს იყრიდნენ პირველყოველისა ისინი, რომლებიც განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ, სადაც არ უნდა ყოფილიყვნენ, თავისი უზნეობითა და უზრდელობით, შემდეგ — ვინც მძიმე ქონება სამარცხვინოდ გაფლანგა, და ბოლოს ისინი, ვინც სირცხვილმა და დანაშაულმა სახლიდან გააძევა.

შემდეგ, ბევრს ახსოვდა რა სულას გამარჯვება და ხედავდა რა რომ რიგითი ჯარისკაცებიდან ზოგი სენატორი[236] გახდა, ზოგი კი ისე გამდიდრდა, რომ მთელ სიცოცხლეს მეფურ ფუფუნებაში ატარებს კვებითა და ტანსაცმლით, იმედოვნებდნენ, რომ თვითოეული გამარჯვების ასეთსავე შედეგს მიიღებს, თუ კი იარაღს ხელს მოჰკიდებენ. ამას გარდა, სოფლის ახალგაზრდობა, რომელიც საკუთარი შრომით შოულობდა ლუკმას და აღზნებული იყო ხმებით იმის შესახებ, რომ უხვად მიიღებდნენ როგორც კერძო, ისე საზოგადოებრივ საშუალებებიდან,[237] ქალაქის უქმ ცხოვრებას არჩევდა, ვიდრე უმადურ შრომას. ამათ ისე, როგორც სხვასაც, ჰქონებავდა სახელმწიფოს უბედურება. მით უმეტეს არ არის გასაკვირი, რომ ეს ზნედაცემული დიდი იმედების მქონე ღატაკები სახელმწიფოზე ისევე ნაკლებად ზრუნავდნენ, როგორც საკუთარ თავზე. ასეთივე განწყობით ელოდებოდნენ საშოქალაქო ომს ყველა ისინი, ვისი შრომაც სულას გამარჯვების შემდეგ შავ სიებში მოხვდნენ, ქონება ჩამოერთვათ და თავისუფალ მოქალაქეთა კუთვნილი უფლებები შეეზღუდა. ბოლოს ყველა, ვინც კი რომელიმე პოლიტიკურ პარტიას ეკუთვნოდა, მათ შორის სენატის პარტიასაც, ამჯობინებდა საერთო არეულობას სახელმწიფოში, ვიდრე მისი საკუთარი მნიშვნელობა შემცირებულიყო. ამგვარად, ამ ბოროტებამ მრავალი წლის განვლის შემდეგ სახელმწიფოში კვლავ თავი იჩინა...

39. ...და რომ პირველ ბრძოლას კატილინასთვის გამარჯვება მოეტანა, ან იგი გაურკვეველი წარმატებით დამთავრებულიყო, უეჭველი სახელმწიფოს თავს დაატყდებოდა უდიდესი კატასტროფა და საშინელი უბედურება და გამარჯვებულნი დიდხანს ვერ დასტკბებოდნენ გამარჯვების ნაყოფით, რადგან მათ ბრძოლით მოქანცულთა და სისხლგამოცლილთ, ძალაუფლებასაცა და თვით თავისუფლებასაც კი ხელიღან გამოჰგლეჯდა მათზე უფრო ძლიერი. ამისდა მიუხედავად ბლომად აღმოჩნდა ისეთი მოქალაქეები, რომლებიც შეთქმულების გარეშე იყვნენ, მაგრამ თავიდანვე გაეშგაზვრნენ კატილინასთან. ამათ რიცხვში იყო სენატორის ვაჟი ფულვიუსი, რომელიც მამის ბრძანებით უკან დააბრუნეს და მოკლეს[238].

ამასობაში ლენტული, კატილინას მითითების თანახმად, პირადადაც და სხვების საშუალებითაც, რომში ეწეოდა აგიტაციას ყველა იმათ შორის, ვინც, როგორც იგი ფიქრობდა, თავისი ხასიათითა და ქონებრივი მდგომარეობით შესაფერ ელემენტს წარმოადგენდა გადატრიალებაში მონაწილეობის მისაღებად; ამასთანავე მისი აგიტაცია არ შემოიფარგლა მხოლოდ სრულუფლებიანი მოქალაქეებით, არამედ მოიცავდა აგრეთვე ყოველგვარ ხალხს, ვინც კი მის თვალში რაიმე მხრით სასარგებლო ჩანდა იმისთვის.

40. და აი, ლენტული აკალებს ვინმე პუბლიუს უმბრენს,[239] რაღა იგი დაუკავშირდეს ალობროგელთა[240] ელჩებს და თუ მოახერხებს, დააყოლიოს ისინი სამოქალაქო ომში მონაწილეობის მიღებაზე. მას იმედი ჰქონდა, რომ მათ ადვილად დაიყოლიებდა, რადგან, როგორც მთლიანად, ისე ცალ-ცალკე, ყველა ალობროგი წელში იყო გაწყვეტილი ვალებისაგან, და გარდა ამისა გალები საერთოდ თავისი ბუნებით მებრძოლი ხალხია. უმბრენს ნაცნობობა ჰქონდა გალთა თავადების დიდ ნაწილთან, რადგან იგი ხშირად დათარეშობდა იქ სავაჭროდ. ამიტომ, როგორც კი დაინახა ელჩები ფორუმზე, დაუყოვნებლივ დაუწყო გამოკითხვა მათს ქვეყანაში მდგომარეობის შესახებ, და უჩვენებდა რა მათ პირმოთნობით თანაგრძნობას, ცდილობდა გაეგო, თუ როგორ აპირებდნენ ისინი ასეთი უბედურებისაგან თავის დაღწევას. ალობროგებმა მორთეს ჩიცილი რომაელთა ანგარებაზე, ბრალსა სდებდნენ სენატს, რომელიც მათ სრულიად არ უჭერდა მხარს: ამბობდნენ, რომ სიკვდილს ელიან, როგორც მათი უბედურებისაგან მხსნელს; მაშინ უმბრენი უცხადებს მათ: „თუ კი თქვენ უნარი შეგწევთ იყოთ ნაჭდევილი ვაჟკაცები, გასწავლით საშუალებას, რომლითაც თქვენ შეგიძლიათ თავი დააღწიოთ თქვენს უბედურებას“. როგორც კი მან ესა თქვა, ალობროგები მაშინათვე აღიარებენ ყოველგვარი იმედებით და ემუდარებოდნენ უმბრენს შეებრალებია ისინი, ამასთანავე უთხრეს, რა უნდა იყოს იმისთანა მძიმე, რომ მათ სიამოვნებით არ შეასრულონ, ოღონდ კი თავისი ხალხი იხსნან ვალებისაგან. უმბრენმა წაიყვანა ისინი დეციმუს ბრუტუსის სახლში, რად-

განაც იგი ფორუმიდან ასლო იყო, და თვით ბრუტუსისთვისაც შეთქმულება უცხო არ იყო მისი ცოლის სემპრონიას წყალობით. თვითონ ბრუტუსი იმ დროს რომში არ იმყოფებოდა. ამას გარდა, რომ თავისი წითხაძი უფრო დამაჯერებელი გაეხადნა, უმბრენმა იქ მოიწვია აგრეთვე გაბინიუსი. მისი თანადასწრებით მან გაუხსნა მათ შეთქმულების სებობა, დაასახელა მისი მონაწილენი და ბევრი ისეთიც, ვინც შეთქმულებისა არა იცოდა რა, რათა ელჩები უფრო ადვილად დაეყოლიებინა. შემდეგ, როცა მათ ალუთქვეს დახმარება,[31] ისინი მას შინ გაისტუმრა.

41. ამასობაში ალობროგები დიდხანს ყოყმანში იყვნენ და იცოდნენ რა გადაწყვეტილებას დასდგომოდნენ: ერთის მხრივ მათ აქეზებდა ვალების სიმძიმე, ომის სიყვარული, დიდი სარგებლობა გამარჯვების შემთხვევაში. — მეორეს მხრივ ისინი ითვალისწინებდნენ ძალთა უპირატესობას, მოქმედების უშინაგანებასა და უტყუარ ჯილდოს გაურკვეველი ჯილდოს წაცვლად.[32] ამ მერყეობაში საბოლოოდ გაიმარჯვა სახელმწიფოს ბედნიერმა ვარსკვლავმა. ამიტომ მთელი საქმე, რამდენადაც კი მათთვის ცნობილი იყო, გააცნეს კვინტუს ფაბიუს სანგუს, რომლის განსაკუთრებული მფარველობითაც სარგებლობდა ალობროგთა საზოგადოება. ციცერონმა, გაიგო რა სანგუს საშუალებით შეთქმულება განზრახეს, დაავალა ელჩებს, რათა მათ თავი მოაჩვენონ თანამგრძნობლებად, დაუკავშირდნენ დანარჩენ შეთქმულებს, მისცენ ფართო დაპირებები და ყოველი ღონე იხმარონ შეაგროვონ შეთქმულთა წინააღმდეგ სრულიად ამკარა და უეჭველი ბრალდებანი.

42. თითქმის ამავე დროს დაიწყო არეულობა როგორც მახლობელ, ისე შორეულ გალიაში, პიცენუმის ოლქში, ბრუტებში, აპულიაში. სჭირს ის ამბავი, რომ იმათ, ვინც კატილინამ იქ ადრევე გაგზავნა, მოუფიქრებლად და განუსჯელად ყველაფერი ერთბაშად დაიწყეს: ღამის კრებებით, შეტევითი და თავდაცვითი იარაღის შეგროვებით, ანჩარებულობითა და გაცხოველებული საქმიანობით, მათ უფრო მეტი შიში გამოიწვიეს, ვიდრე ნამდვილი საფრთხე შექმნეს. ბევრ მათგანს პრეტორმა კვინტუს მეტელუს ცელერმა, სენატის დადგენილების საფუძველზე მოხდენილ გამოძიების შემდეგ, ბორკილი დაადო. ასევე მოიქცა მახლობელ გალიაში გაიუს მურენა, რომელიც ლეგატის[33] წოდებაში მყოფი განაგებდა ამ პროვინციას.

43. ამასობაში ლენტულმა და შეთქმულების სხვა მეთაურებმა, მოამზადეს რა, როგორც მათ ეგონათ დიდი ძალები რომში, გადაწყვიტეს, რომ როგორც კი კატილინა ჯარით ფეზულის მიდამოებში გაჩნდებოდა, სახალხო ტრიბუნს ლეციუს ბესტიას მოეწყობა სახალხო კრება და დაეწყო ჩივილი ციცერონის მოქმედებაზე, რათა გაეღვიძებინა სიძულვილი მამაცი კონსულისადმი. საშოქალაქო ომის სიმძიმის გამო, ეს უნდა გამხდარიყო ნიშანი დანარჩენ შეთქმულთათვის, რათა იმავე ღამეს შეესრულებიათ ყველა თითოეულს ის დავალება, რომელიც მას დაკის-

რებული ჰქონდა. შეთქმულთა შორის როლები, როგორც ამბობენ, ასე იყო განაწილებული: სტატილიუსსა და გაბინიუსს დიდი რაზმითურთ ერთ და იმავე დროს ცეცხლი უნდა წაეკიდებიათ ქალაქისთვის თორმეტ სხვადასხვა მოხერხებულ ადგილას, რათა არეულობაში გაადვილებუ-ლიყო თავდასხმა კონსულზე და სხვებზე, რომლებიც საამისოდ იყვნენ განკუთვნილი. ცეტეგუსს უნდა დაედარაჯნა კონსულის სახლის კარებთან და მოეხდინა მასზე შეიარაღებული თავდასხმა; სხვა დავალებათა შო-რის, რომლებიც მიცემული ჰქონდათ სხვადასხვა პირთ, ჰაბუკებს, რომ-ლებიც ჯერ მამის უფლებიდან გამოსული არ იყვნენ და რომელთა უმეტესობაც წარჩინებულთა ოჯახებიდან იყო, დავალებული ჰქონდა დაესოცათ თავიანთი მშობლები: ქალაქში მომხდარი ხანძრისა და ხოც-ვა-ჟლეტის შედეგად გამოწვეული არეულობის დროს შეთქმულნი უნდა ვაჭრილიყვნენ ქალაქიდან კატილინას შესახვედრად. ამ მზადებათა და გადაწყვეტილებათა აურზაურში ცეტეგუსი მუდამ უჩიოდა თავის თანა-გამზრახველთ უმოქმედობას: ის ეუბნებოდა, რომ მათ თავიანთი მერ-ყეობითა და საქმის რამდენჯერმე გადადებით, სელიდან გაუშვეს ბევ-რი ხელსაყრელი შემთხვევა; ასეთ სახიფათო წამოწყების დროს საჭი-როა მოქმედება და არა მსჯელობა; ის თავის მხრივ მზად არის მცირე ხალხის დახმარებით, დანარჩენ შეთქმულთა უმოქმედობის მიუხედავად, თავს ღაესხას კურიას. ბუნებით ფიცხი და დაუდგრომელი, შეუპოვარი, იგი მოქმედების სისწრაფეში წარმატების უდიდეს საწინდარსა ხედავდა.

44. ალობროგები, ციცერონის დავალების თანახმად, გაბინიუსის საშუალებით დაუკავშირდნენ განარჩენ შეთქმულთ. მათ მოითხოვეს ლენტულუსის, ცეტეგუსის, სტატილიუსისა და აგრეთვე კასიუსისაგან ფიცის ხელწერილი, მათი ბეჭდებით დამოწმებული, თავის თანამოქალა-ქეებისთვის წარსადგენად; წინააღმდეგ შემთხვევაში ისინი ამბობდნენ, რომ მათი დაყოლიება ძნელი იქნება ასეთ მნიშვნელოვან საქმეზეო. ყველა დანარჩენმა, არ მიაჩნდათ რა საქმე საეჭვოდ, დაუყოვნებლივ მისცეს ფიცის ხელწერილი, ხოლო კასიუსმა აღუთქვა, რომ მოკლე ხანში ის თვითონ ჩავა გალიაში და ელჩებზე ცოტა ადრე გავიდა იგი ქალაქი-დან. ლენტულუსი მასთან ერთად გზავნის ვინმე ტიტუს ვოლტურციუსს, რომელიც შთამომავლობით კროატიდან იყო, რათა ალობროგებს, ვიდრე სინი შინისკენ გაემგზავრებოდნენ, კატილინასთან ურთიერთ ფიცით განემტკიცებინათ კავშირი. ამასთანავე მან გადასცა ვოლტურციუსს კატი-ლინასადმი წერილი, რომლის პირიც აქვეა მოტანილი: „ვინცა ვარ გა-იგებ იმისგან, ვისაც შენთანა ვჭზავნი. განსაკუთრებით რა უბედურებაშიაც იმ-ყოფები და არ დაიკიწყო, რომ ვაჟკაცი ხარ. იფიქრე შენს ინტერესებზე. ეძიე დახმარება ყველასთან, თვით სრულიად დაბლა მდგომებთანაც[41] კი“. მან უბრძანა, ამ წერილისთვის მიმტანს სიტყვიერად დაეწმატებინა შემდეგი: „მას შემდეგ, რაც სენატმა შენ მტრად გამოგაცხადა, რათა

ჩვენ ხელს მოხვებს? ქალაქში ყველაფერი მომზადებულია, რაც შენ ბრძანე. ნუღარ აყოვნებ და მოახლოვდი“.

45. როდესაც ყველაფერი ეს გაკეთდა და დათქმული იყო ღამე, როცა ელჩები უნდა გამგზავრებულიყვნენ,[216] ციცერონმა, რომელსაც ყველაფერი აცნობეს ელჩებმა, უბრძანა პრეტორებს ლუციუს ვალერიუს ფლაკუსსა და გაიუს პომპტინუსს ჩასაფრებოდნენ მულვიას[217] ხიდზე და შეეპყროთ ალობროგები მათი თანმხლებლებითურთ; მან განუმარტა პრეტორებს მათთვის მიცემული დავალების მიზანი და ნება მისცა დანარჩენში ისე ემოქმედნათ, როგორც ვითარება მოითხოვდა. მაი როგორც სამხედრო პირებმა, სრულიად ჩუმად ალყა შემოარტყეს ხიდს, როგორც ნაბრძანები ჰქონდათ, და შეუმჩნეველად ჩასაფრდნენ. როგორც კი ელჩები და ვოლტურციუსი იმ ადგილას მივიდნენ და ხიდის ორივე მხრიდან გაისმა ხმა, ყველაფერს მიხვდნენ და დაუყოვნებლივ დანებდნენ პრეტორებს; ვოლტურციუსი ჯერ ამხნევებდა დანარჩენებს და თვითონ თავს იცავდა მახვილით მასზე მისულთაგან, შემდეგ გალთა ელჩებისაგან მიტოვებული, ემუდარებოდა პომპტინიუსს, რომელთანაც ნაცნობობა ჰქონდა, გადაერჩინა იგი, მაგრამ ბოლოს სიმხდალემ მოიცვა, და, დაკარგა რა სიცოცხლის შენარჩუნების იმედი, დანებდა პრეტორებს როგორც მტრებს.

46. ყველაფერი ეს მთხრობელთა საშუალებით სასწრაფოდ ეცნობა კონსულს. იგი ერთსა და იმავე დროს უდიდესმა ზრუნვამა და სიხარულმა მოიცა. მას უხაროდა, რომ შეთქმულების გამომჟღავნებით სახელმწიფო გადარჩა საშინელ საფრთხეს; მეორეს მხრივ სწუხდა და ეჭვში იყო ჩავარდნილი, თუ როგორ უნდა ემოქმედნა მას შემდეგ, რაც ესოდენ თვალსაჩინო მოქალაქენი მხილებული არიან უდიდეს დანაშაულში: მას კარგად ესმოდა, რომ მათი დასჯა მას მძიმე ტვირთად დააწვებოდა, ხოლო მათი ღაუსჯელობა სახელმწიფოს დაღუპავდა. ბოლოს მან მოიკრიბა ძალღონე და უბრძანა მასთან დაებარებიათ ლენტულუსი, ცეტეგუსი, სტატილიუსი და გაბინიუსი, აგრეთვე ვინმე ცეპარიუსი ტერაცინიელი,[218] რომელიც უკვე ემზადებოდა სიცილიაში წასასვლელად, რათა იქ მონები აეჯანყებია. ყველანი დაუყოვნებლივ გამოცხადდნენ, ხოლო ცეპარიუსი, რომელმაც ადრევე გაიგო საქმის გამომჟღავნება, დასტოვა თავისი სახლი და ქალაქიდან გაიქცა. ლენტულუსი, რომელიც პრეტორი იყო, კონსულმა[219] თვითონ ხელმოკიდებული მიიყვანა სენატში; დანარჩენები მან ბრძანა მიეყვანათ ოასხმობის ტაძარში.[220] იქ მიწვია მან სენატი და როდესაც სენატორები ბლომად შეიკრიბნენ, მან ბრძანა შემოეყვანათ ვოლტურციუსი ალობროგელების ელჩებთან ერთად, ხოლო პრეტორ ფლაკუსს კი უნდა მოეტანა წერილების ყუთი, რომელიც კონსულს ელჩებისგან ჰქონდა მიღებული.

47. ვოლტურციუსი, რომელსაც ეკითხებოდნენ მისი გამგზავრებისა და წერილების შესახებ, თუ რით იყო ეს გამოწვეული და რა მიზნებს

ისახელა, ჯერ ცდილობს იცრუოს და უარჰყოს შეთქმულებაში თავის მონაწილეობა; მაგრამ, მას შემდეგ, რაც სჯაროდ აღუთქვეს პატიება,[აა] გახსნა საქმის მთელი ვითარება და განაცხადა, რომ იგი მხოლოდ რამდენიმე დღის წინათ ჩაითრიეს შეთქმულებაში გაბინიუსმა და ცეპარიუსმა და შეთქმულების შესახებ იმაზე მეტი არა იცის რა, რაც გალთა ელჩებმა იციან; ოღონდ მას ხშირად გაუგონია გაბინიუსისაგან, რომ პუბლიუს ავტრონიუსი, სერვიუს სულლა, ლუციუს კარგუნტეუსი და ბევრნი სხვებიც იღებენ შეთქმულებაში მონაწილეობასაო. იგივე დაადასტურეს გალებმა და ლენტულუსი, როძელიც უარზე იდგა, აძხილეს წერილების გარდა იმ სიტყვების გახსენებით, რაც მისგან ხშირად გაუგონიათ: ლენტულუსი ამბობდაო — ჩვენს მათ სიბილას წიგნებში[აბ] რომში სამეფო ხელისუფლებას უწინასწარმეტყველებენ სამ კორნელიუსს, — პირველი იყო ცინნა, მეორე სულა, მესამე, რომელსაც ბევრი სთავაზობს ქალაქში გაბატონებას, არის ლენტულუსი; ამას გარდა ის ამტკიცებდა, რომ მიმდინარე წელი — მეორე წელია კაპიტოლიუმის ხანძრის შემდეგ, რომელიც ჰარუსპიციების[აგ] წინასწარმეტყველების თანახმად სისხლისმღვრელი სამოქალაქო ომით უნდა აღინიშნოსო. შემდეგ, როცა წაკითხულ იქნა შეთქმულთა წერილები და თვითოეულმა მათგანმა წინასწარ აღიარა თავისი ბეჭდის სინამდვილე, სენატმა დაადგინა რათა ლენტულუსმა მოიხსნას თავისი თანამდებობა, რის შემდეგაც ისიც და სხვა დანარჩენნიც თავდებობით გაათავისუფლეს. ამგვარად ლენტულუსი ჩააბარეს პუბლიუს ლენტულუს სპინთერს, რომელიც მაშინ ედილად იყო, ცეგეტუსი — კვინტუს კორნიფიციუსს, სტატილიუსი — გაიუს ცეზარს, გაბინიუსი — მარკუს კრასუსს, და ცეპარიუსი, რომლის დაპერა და გზიდან დაბრუნება ძაინც მოხერხდა. — სენატორს გნეიუს ტერენციუსს[აგ].

48. ამასობაში პლებეები, რომლებიც გადატრიალებისადმი მუდმივი მიდრეკილების წყალობით, თავდაპირველად სავსებით თანაუგრძნობდნენ სამოქალაქო ომს, შეთქმულების გამომეღავნების შემდეგ, იცვლიან აზრს, წყევლა-კრულვას უთვლიან კატილინას განზრახვას და აქებ-ადიდებენ ციცერონს; მათ უხაროდათ და ამაყრულობდნენ როგორც მონები, რომლებმაც თავისუფლება მიიღეს: საქმე ის არის, რომ სამოქალაქო ომის ყველა სხვა ბოროტება პლებსისთვის სიკეთის მომტანი იყო, ვიდრე ზიანისა, მაგრამ ქალაქში ხანძარი დიდ უბედურებას წარმოადგენდა, რომელიც მათთვის განსაკუთრებით დამღუპველი იყო, რადგან მათ საარსებო საშუალებას ყოველდღიური ლუკმა და აუცილებელი ტანსაცმელი წარმოადგენდა. მეორე დღესვე სენატში მოიყვანეს ვინმე ლუციუს ტარკვინიუსი, რომელიც როგორც ამბობდნენ, უკვე კატილინასთან მიემგზავრებოდა, მაგრამ გზაში შეიპყრეს და უკანვე დააბრუნეს. რადგან მან პირობა დასდო, რომ შეთქმულების შესახებ ყველაფერს იტყოდა, თუ კი მას სჯაროდ აღუთქვამდნენ პატიებას, კონსულმა მოს-

თსოვა ყველაფერი დაწვრილებით ეამბნა. რაც კი მან იცოდა ამაზე ტარკვინიუსმა, გაიმეორა და თითქმის სიტყვა-სიტყვით ვოლტურციუსის ჩათქვამი, აცნობა სენატს ოპტიმატების ამოხოცვისა და რომზე გალაშქრების განზრახვა; ხოლო ამას გარდა იგი აცხადებს, რომ იგი იყო მარკუს კრასუსისგან გაგზავნილი კატილინასთან დავალებით, რათა ეცნობებია მისთვის, რომ იგი არ აღელდეს ლენტულუსის, ცეტეგუსისა და სხვების დაპატიმრებით, არამედ, პირიქით, რომ მან დააჩქაროს ქალაქზე ლაშქრობა, რათა ამით ერთის მხრივ გამხნევდნენ დანარჩენი შეთქმულნი, მეორეს მხრივ — სასწრაფოდ იხსნას დაპატიმრებულნი საფრთხისაგან. მაგრამ როგორც კი ტარკვინიუსმა კრასუსის სახელი ახსენა, იმ ადამიანისა, რომელიც ცნობილი იყო თავისი მაღალი შთამომავლობით, აურაცხელი სიმდიდრითა და დიდი გავლენით, — ყველამ ერთხმად დაიძახეს, რომ მოწმე ტყუილს ამბობსო და მოითხოვეს კენჭი ეყარათ ამ ჩვენების შესახებ საკითხისთვის. ეს მოხდა იმიტომ, რომ ზოგიერთი სენატორის აზრით, კრასუსის მონაწილეობა შეთქმულებაში დაუჯერებელი იყო, ზოგიერთს კი, თუმცა სჯეროდა ეს, მაგრამ შექმნილ ვითარებაში მაინც მიზანშეწონილად მიაჩნდათ არ გაეღიზიანებინათ ესოდენ ძლიერი კაცი, არამედ ემოქმედნათ მასზე რბილი მოპყრობით, ხოლო უმრავლესობა კი პირადი საქმიანობის ურთიერთობის საფუძველზე ძირითადად კრასუსზე იყვნენ დამოკიდებულნი. ამიტომაც ციცერონის შეკითხვაზე, თუ როგორ მოქცეულიყვნენ ამ შემთხვევაში, სენატმა ღიდი უმრავლესობით დაადგინა: ტარკვინიუსის ცნობა მიეჩნიათ სიყალბედ, თვით იგი დაპატიმრებულ იქნას, მოესპოს შემდგომი ჩვენების მიცემის უფლება და მიეცეს უფლება ილაპარაკოს მხოლოდ იმაზე, თუ ვისი შთაგონებით შეთხზა მან ეს ჭორი. იყვნენ იმ დროს ისეთები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ეს დაბეზღება მოგონილი იყო პუბლიუს ავკრონიუსის მიერ, რომელიც ვარაუდობდა, რომ ისეთი შემძლე ადამიანის სახელის მოხსენიება, როგორიც კრასუსი იყო, რომელსაც სხვებთან ერთად უნდა ეგო პასუხი, — მნიშვნელოვნად გააადვილებდა დანარჩენ შეთქმულთა დაცვის საქმეს. ზოგი ფიქრობდა, რომ ტარკვინიუსის გამოსვლა ციცერონის მიერ იყო მოწყობილი, რათა კრასუსისთვის მოესპო სახელმწიფოში არეულობისთვის ხელისშეწყობის საშუალება, როგორიც ეს მას სჩვეოდა დამნაშავეთათვის თავისი მფარველობის აღმოჩენით. შემდგომში მე თვითონ გამიგონია, თვით კრასუსი მოურიდებლად რომ ამბობდა, რომ მას ეს გაუგონარი შეურაცხყოფა ციცერონმა მიაყენა...

50. ვიდრე სენატში ამგვარად მსჯელობდნენ და არკვევდნენ ჯილდოს რაოდენობას[291] ალობროგებისათვისა და ტიტე ვოლტურციუსისათვის, რომელთა ჩვენებანიც სინამდვილედ იქნა მიჩნეული, — ამასობაში ლენტულუსის ლიბერტინები და მისი ზოგიერთი კლიენტი, დარბოდნენ ქუჩებში და თავგამოდებით აქეზებდნენ ხელოსნებსა და მონებს მათი პატრონის ძალით გასათავისუფლებლად, ამასთანავე ისინი ცდილობდნენ

ვამოეყენებიათ ბრბოს მეთაურები, რომლებიც ჩვეულებრივ ფულით მოსყიდულნი ახდენდნენ უწესობას სახელმწიფოში. თავის მხრივ ცეტეგუსი მიგზავნილი კაცების საშუალებით ემუდარებოდა თავის შინაყმებსა და ლიბერტინებს, რათა მათ შორის ყველაზე უფრო გამბედაითა და თავზე ხელაღებულთ შეედგინათ შეიარაღებული რაზმი და შეშრილიყვნენ იმ სახლში, სადაც იგი იმყოფებოდა. როდესაც კონსულმა ამ მზადების ამბავი შეიტყო, დააყენა ყველგან გუშაგები, როგორც ამას გარემოება მოითხოვდა, და მოიწვია სენატის სხდომა, სადაც დააყენა საკითხი, თუ როგორ მოპყრობოდნენ იმ შეთქმულებს, რომლებიც უკვე დაპატიმრებული იყვნენ — ამაზე ცოტა ადრე სენატმა ყველა ისინი სახელმწიფოს წინაშე დამნაშავეებად აღიარა ხმის უმრავლესობით. მაშინ დეციმუს იუნიუს სილანმა, რომელსაც პირველად უნდა გამოეთქვა თავისი აზრი როგორც მომავალი წლისთვის კონსულად არჩეულს, წინადადება შეიტანა სიკვდილით დაესაჯათ ისინიც, ვინც უკვე დაპატიმრებული იყო და აგრეთვე ლუციუს კასიუსი, პუბლიუს ფურიუსი, პუბლიუს უმბრენუსი და კვინტუს ანნიუსი, თუ კი მათი შეპყრობა მოხერხდებოდა. შემდეგში იგი გაიუს იულიუს ცეზარის სიტყვის გავლენით იცვლის თავის აზრს და აცხადებს, რომ საბოლოო კენჭისყრის დროს შეუერთდება, ტიბერიუს ნერონის წინადადებას, რათა ამ საკითხის საბოლოო გადაწყვეტა ამჟამად გადაიდვას იმ დრომდე, ვიდრე ქალაქში საგუშაგოები მოიხსნებაო. ცეზარმა, როდესაც მისი ჯერი დადგა და კონსულმა აზრის გამოსათქმელად კითხვა დაუსვა, წარმოსთქვა შემდეგი სიტყვა:

51. „სენატორებო! ადამიანებმა, რომლებიც ძნელად გადასაწყვეტ საქმეს იხილავენ, უნდა უკუაგდონ სიძულვილი, მეგობრობა, რისხვა და შეწყნარება. ადამიანის გონებისთვის ყოველთვის ადვილი როდია ამოიკითხოს სიმართლე, როდესაც ეს გრძნობები წინ ეღობებიან, და არავის ძალუძს ერთსა და იმავე დროს დააკმაყოფილოს თავისი ჟინი და სიმართლესაც არ უღალატოს... ასევე თქვენც, სენატორებო! უნდა უფრთხილდეთ, რათა ლენტულუსისა და მის თანაგამზრახველთაგან ჩადენილმა დანაშაულმა არ ჩაახშოს თქვენში საკუთარი ღირსების შეგნება და განრისხებამ არ დაგავიწყოთ საკუთარი სახელის გატეხის შიში... მე მტკიცედ ვარ დაჯერებული, რომ დეციმუს სილანუსის, ამ მამაცი და ენერგიით აღსავსე ადამიანის წინადადება ნაკარნახევია სახელმწიფოსადმი მხურვალე პატრიოტული გრძნობით და ამ, ესოდენ საპასუხისმგებლო მომენტში, იგი არ ხელმძღვანელობდა არც მიკერძოებითა და არც სიბრაზით; ჩემთვის ამის საწინდარია ხასიათის ის თვისებები და თავდაჭერილობა, რაც ამ კაცს ახასიათებს. მაგრამ მისი წინადადება, მე ვიტყოდი, მეჩვენება არა მკაცრად — რადგან რა შეიძლება იყოს სასტიკი იმგვარი ადამიანების მიმართ — ოღონდ ჩვენი სახელმწიფო წყობილებისათვის კი მეჩვენება — უცხოდ... ჩემი აზრით მათ უნდა ჩამოერთვას ქო-

ნება და თვითონ ისინი კი დაპატიმრებულ იქნან ცალ-ცალკე მუნიციპიებში, რომლებშიაც ძლიერი თავდაცვაა შესაძლებელი; ამას გარდა, შემდგომში არავის ჰქონდეს უფლება აღძრას სენატში ან სახალხო კრებაში საკითხი მათთვის სასჯელის შემცირების შესახებ. ვინც ამის საწინააღმდეგოდ მოიქცევა, სენატმა იგი სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი კეთილდღეობის მტრად უნდა მიიჩნიოს".*

52. ცეზარის სიტყვის დასრულების შემდეგ სენატორებმა დაიწყეს ამა თუ იმ წინადადებისთვის ულაპარაკოდ ხმის მიცემა, მაგრამ როდესაც მარკუს პორციუს კატონს[35] შეეკითხნენ, მან შემდეგი თქვა: „...რამდენადაც მე გავიგე, ვინც ჩემზე წინ აქ გამოვიდნენ, ყველანი ერცლად ლაპარაკობდნენ იმათ დასჯაზე, ვინც ომი გამოუცხადა სამშობლოს, მშობლებს, სამსხვერპლო-სამლოცველოებსა და კერებს... საქმე ეხება არა სახელმწიფო გადასახადებს, არა ჩვენი მოკავშირეების მიერ ჩადენილ შეურაცხყოფას — ჩვენი თავისუფლება და თვით სიცოცხლე ჩვენი საფრთხეშია... საკითხი ეხება არა კეთილსა თუ ცუდ ზნეზე მსჯელობას, ჩვენს საზოგადოებაში რომაა მოდებული, არა რომის სახელმწიფოს სიდიადესა და ბრწყინვალებას, არამედ იმას: დარჩება თუ არა ყველაფერი ეს ამა თუ იმ სახით ჩვენი, თუ ჩვენი მტრები მას ჩვენთან ერთად თანაბრად დაეპატრონებიან...

გაიუს ცეზარმა ეს ეს არის ამ კრებაზე დიდი ხელოვნებითა და ძალიან მჭევრმეტყველურად ვრცლად ილაპარაკა სიცოცხლესა და სიკვდილზე... მან გვირჩია ჩამოკართვათ დამნაშავეებს ქონება, თვითონ ისინი კი დავაპატიმროთ მუნიციპიებში. ეტყობა მას ეშინია, რომ თუ ისინი რომში ღარჩებიან, მათი შეთქმული ამხანაგების, ან ამისთვის საჯანგებოდ დაქირავებული ბრბოს მიერ, ისინი ძალით იქნებიან განთავისუფლებული. მაგრამ განა დამნაშავენი და არამზადები მხოლოდ რომში ცხოვრობენ და არა მთელს იტალიაში?... ამიტომ, როდესაც გადაწყვეტილებას გამოიტანთ პუბლიუს ლენტულუსისა და სხვათა მიმართ, გთხოვთ მტკიცეთ გახსოვდეთ, რომ ამასთან ერთად თქვენ გამოგაქვთ გადაწყვეტილება ყველა შეთქმულთა მიმართ...

...უმაღლესი არისტოკრატიის წრის მოქალაქეებმა შეადგინეს შეთქმულება იმ მიზნით, რათა ცეცხლს მისცენ თავისი სამშობლო, თავის მოკავშირეებად იარაღით იწვევენ ისინი გალებს, რომაელი ხალხის შეურიგებელ მტრებს; ჩვენი მტრების მეთაური ჯარით თითქმის თავს დაგვდგომია, და თქვენ ახლაც კი არა ჩქარობთ და ყოყმანობთ, თუ როგორ მოეპყროთ ჩვენი კედლების შიგნით შეპყრობილ მტრებს... ჩვენ ყოველ მხრივ გარშემორტყმული ვართ. კატილინა თავისი ჯარით ჩვენ ყელში გვწვდა, სხვა მტრები არა მხოლოდ კედლებს შიგნით იმყოფებიან, არამედ თვით ქალაქის შუაგულში სხედან; ჩვენ აღარ შეგვიძლია

* ცეზარის ვრცელი სიტყვიდან აქ მოტანილია ხოლოდ მისი არსებითი ნაწილი.

საკუთარ შეკინახოთ ჩვენი სამზადისი და გადაწყვეტილებანი: მით უმეტეს უნდა ვიჩქაროთ. ამიტომ მე შემდეგი წინადადება შემომაქვს: ვალვან დამნაშავე მოქალაქეთა ბოროტგანზრახულების გამო სახელმწიფო დიდ საფრთხეში ჩავარდა და მათ, ვოლტურციუსისა და გალების მიერ მხილებულთ, აღიარეს, რომ ისინი განიზრახავდნენ მკვლელობებს, ხანძრებსა და სხვა საძაგელსა და მკაცრ საქციელს მოქალაქეთა და სახელმწიფოს წინააღმდეგ. საჭიროა, რათა გამოტეხილი და ბოროტმოქმედების ადგილზე შეპყრობილნი, წინაპართა წესის თანახმად, სიკვდილით დაისჯებიან".*

53. მას შემდეგ, რაც კატონმა თავისი აზრი დაიკავა, ყველა ყოფილმა კონსულმა და სენატორთა უმრავლესობამ აგრეთვე მოიწონა მისი წინადადება და აქებ-ადიდებდნენ მის სულიერ სიმტკიცეს; ისინი ერთი მეორეს სიმხდალეს უკიჟინებდნენ. ხოლო კატონს სახელოვანსა და დიდ ადამიანს უწოდებდნენ. სენატმაც მისი წინადადების შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღო...

55. როდესაც სენატი, როგორც ვთქვით, შეუერთდა კატონის წინადადებას. კონსულმა, გადასწყვიტა რა ესარგებლა ღამით, რათა გადაწყვეტილებასა და სასჯელის სისრულეში მოყვანას შორის დროის განმავლობაში რაიმე მოულოდნელი არ მომხდარიყო, უბრძანა ტრიუმვირებს მოემზადებიათ ყველაფერი, რაც კი საჭირო იყო სასჯელის სისრულეში მოსაყვანად. თვითონ, დააყენა რა გზაზე გუშაგები, ლენტულუსი მიიყვანა ციხეში; ასევე მოიქცნენ პრეტორები დანარჩენ დამნაშავეებულთა მიმართ. არის ციხეში ერთი ადგილი, რომელსაც ტულიანუმი ეწოდება, დიდი კიბის ცოტა მარცხნივ და რომელსაც მიწის ქვეშ 12 ფუტი სიღრმე აქვს. ეს ორმო ყოველი მხრით გამაგრებულია ქვის კედლით. ხოლო მის თავზე აღმართულია ჭერი ქვის თაღის სახით; ამ ადგილის, სანახაობა ჭუჭყისა, სიბნელისა და სიმყრალის გამო საშინელი და აზარზენია. როდესაც ლენტულუსი მასში ჩაუშვეს, სისხლის საქმეთა განაჩენის აღმასრულებლებმა, როგორც მათ ეს ნაბრძანები ჰქონდათ, იგი მოაშთვეს. ამრიგად პატრიცმა, რომელიც კორნელიების ბრწყინვალე საგვარეულოს შთამომავალი იყო, რომელსაც წინათ რომში კონსულის ხელისუფლება ეპყრა, ჰპოვა თავისი სიცოცხლის დასასრული, როგორც მას ზნისა და საქციელს შეეფერებოდა. სწორედ ასევე დაისაჯნენ ცეტეგუსი, სტატილიუსი, გაბინიუსი და ცეპარიუსი.

56. ვიდრე რომში ეს ხდებოდა, კატილინამ ნაწილობრივ იმ ხალხისაგან, რომელიც თვითონ მოიყვანა, ნაწილობრივ კი იმათგან, ვინც მანლიუსმა შეაგროვა, შეადგინა ორი ლეგიონი,[256] შექმნა რა კოჰორტები ჯარისკაცთა საერთო რიცხვის შესაბამისად.[257] შემდეგ, იმისდა მიხედვით, თუ როგორ ცხადდებოდნენ მასთან მოხალისენი ან ვინმე მოკავში-

---

* კატონის სიტყვაც შემოკლებულად არის მოტანილი.

რენი, რომ მათ ანაწილებდა თანაბრად კოპორტებში და მალე თავისი ლეგიონები სრულად დააკომპლექტა. მაშინ, როდესაც თავდაპირველად მას ორი ათასზე მეტი კაცი არ ჰყავდა. თუმცა ამათგან მხოლოდ მეოთხედი ძალას იყო მოშარაგებული საჭურველით, დანარჩენებს კი ჰქონდათ შეძთხვევითი იარაღი: სასადირო და მსუბუქი შუბები. ზოგს კი — წვეტიანი პალოები. მაგრამ მას შემდეგ, რაც ანტონიუსი ჯარით უახლოვდებოდა, კატილინა გაემართა მთების გასასვლელებისაკენ: ხან უახლოვდებოდა რა რომს, ხან კი მიემართებოდა გალიისაკენ და არ აძლევდა მტრებს შებრძოლებისთვის ხელსაყრელ შემთხვევას, რადგანაც მას იმედი ჰქონდა, რომ მალე მის ირგვლივ დიდი ძალები მოიყრიდა თავს, თუ კი მისი თანაგანმზრახველნი რომში ყველა წამოწყებას ბოლომდე მიიყვანდნენ. სხვათა შორის მან უკუაგდო მონების დახმარება, რომლებიც თავდაპირველად ბლომად მოაწყდნენ მის ბანაკს, რადგან მას შეთქმულთა ძალის იმედი ჰქონდა და გარდა ამისა თავისი ინტერესებისათვის არახელსაყრელად მიაჩნდა მოქალაქეთა და მონების საქმის ურთიერთ აღრევა.

57. მაგრამ როდესაც კატილინას ბანაკში მოვიდა ცნობა, რომ რომში შეთქმულება გამომჟღავნდა და რომ ლენტულუსი, ცეტეგუსი და სხვები, ვინც ზემოთ მოვიხსენიე, დასჯილი არიანო, — ძალიან ბევრნი, ვისაც წინათ ომში მონაწილეობაზე აქეზებდა ძარცვა-გლეჯისა და სახელმწიფო გადატრიალების იმედი, გაიფანტნენ. დანარჩენები კი კატილინამ სწრაფი გადასვლებით მთის ციცაბო გადასასვლელებით მიიყვანა პისტორიის[28] ოლქში, რათა მთის ბილიკებით შეუმჩნეველად ალპების იქით გალიაში გადასულიყო. მაგრამ პიცენუმის ოლქში იმყოფებოდა კვინტუს მეტელუს ცელერი სამი ლეგიონითურთ, რომელიც ფიქრობდა, რომ გასაჭირში ჩავარდნილი კატილინა სწორედ იმ ნაბიჯს გადასდგამდა, როგორც მე ახლახანს ვახსენე. ამიტომაც, როდესაც მან კატილინას ბანაკიდან გამოქცეულთაგან შეიტყო მისი მოძრაობის მიმართულება, მან სწრაფად გადაანაცვლა თავისი ბანაკი და თავისი ჯარი ჩასხა იმ მთების ძირებში, სადაც კატილინასათვის უფრო ადვილი უნდა ყოფილიყო ჩამოსვლა, რომელიც გალიისკენ მიეშურებოდა. ანტონიუსიც თავის მხრით შორს არ იყო, რადგან იგი არაფრით არ იყო შეზღუდული და თავისუფლად სდევდა სწორი გზით მტერს, რომელიც მთის გასასვლელებით ილტვოდა. კატილინამ, დაინახა რა, რომ გზა გადაჭრილი აქვს მტრების მიერ, სოლო რომში მისმა განზრახვებმა მარცხი განიცადა, ისე რომ აღარავითარი იმედი არ იყო არც გაქცევისა და არც რაიმე დახმარების მიღებისა, გადაწყვიტა, რომ ამ პირობებში მისთვის ყველაზე უფრო ხელსაყრელი იყო ბრძოლაში ეცადა ბედი, ამიტომ არჩია, რაც შეიძლება მალე შებრძოლებოდა ანტონიუსს. ამიტომ მან მოიწვია მებრძოლთა კრება და წარმოსთქვა შემდეგი შინაარსის სიტყვა:

58. „მე გამოცდილებით ვიცი, ჯარისკაცებო, რომ სიტყვა არავის შეჰმატებს სიმამაცეს და სარდლის ნათქვამი მხნედ ვერავის აქცევს, ვერც მხდალს გააგულადებს. ბრძოლაში ჩვეულებრივ თვითოეული ის ზომ იჩენს გამბედაობას, რამდენიც მას ბუნებითა აქვს მინიჭებული, ან აღზრდის საშუალებითა აქვს შეთვისებული. ამაოა მასთან ლაპარაკი, ვინც ზედაც არ მოქმედობს არც დიდება და არც საფრთხე: შინაგანი შიში მას ყრუდ აქცევს. მაგრამ მე ვაინც შეგკრიბეთ თქვენ, რათა მოგცეთ ზოგიერთი მითითება და თანაც განგიმარტოთ ჩემი გადაწყვეტილების არსი.

თქვენ, რასაკვირველია, იცით, ჯარისკაცებო, თუ როგორი გამოუსწორებელი ზიანი მიაყენა ჩვენს საქმესაცა და თავის თავსაც ლენტულუსის დაუდევრობამა და სულმოკლეობამ; ისიც იცით, რომ მე, ამაოდ ვცდიდი რა რომიდან დამხმარე ძალებს, ვერ შევძელი გალიაში წასვლა. რა მდგომარეობაშიაც არის ეხლა ჩვენი საქმე, თქვენც ისევე კარგად იცით, როგორც მე. მტრის ორი არმია, ერთი რომის მიმართულებით და მეორე გალიის მიმართულებით, გვემუქრება ჩვენ. ამ ადგილებში დარჩენა ჩვენთვის, ძალიანაც რომ გვსურდეს, შეუძლებელია, რადგან ჩვენ ბის უფლებას არ გვაძლევს პურისა და სხვა სანოვაგის სიმცირე. საითაც არ უნდა მოვინდომოთ წასვლა, სულ ერთია, ხმლით მოგვიხდება გზის გაკვლევა. ამიტომ მოგიწოდებთ თქვენ, იყავით მამაცნი და შეუპოვარნი და როდესაც ბრძოლაში ჩაებმებით, გახსოვდეთ, რომ თქვენ ხელთ არის სიმდიდრე, პატივი, დიდება და ბოლოს თავისუფლება და სამშობლო. თუ გავიმარჯვებთ, ჩვენ გველის სრული უშიშროება, სანოვაგის სიუხვე; ჩვენ კარს გაგვიღებენ პროვინციები და კურიები; ხოლო თუ ჩვენ ლაჩრულად უკან დავიხევთ, ყველაფერი ჩვენს წინააღმდეგ ამხედრდება და ვეღარც ადგილი, ვეღარც მეგობრები ვეღარ დაგვიცავენ ჩვენ, რომლებიც ჩვენმავე იარაღმა ვერ დაგვიფარა. ამას გარდა, ჯარისკაცებო, არა ერთი და იგივე გაჭირვება გვაიძულებს ბრძოლას ჩვენა და იმათ: ჩვენ ვიბრძვით ჩვენი სამშობლოსათვის, თავისუფლებისა და სიცოცხლისათვის, იმათთვის კი სრულებითაც საჭირო არ არის იბრძოლონ მცირეთა ბატონობისათვის. ამიტომ მით უფრო გაბედულად ეკვეთეთ, მოიგონეთ წინანდელი ვაჟკაცობა. თქვენ შეგეძლოთ სამარცხვინო და უბადრუკი ცხოვრება გქონოდათ გაძევებაში მყოფთ, ბევრ თქვენგანს შეეძლო, დაჰკარგავდა რა თავის ქონებას, რომში ვისგანმე მიღებული მოწყალებისთვის ეცადნა; მაგრამ თქვენ ყველამ გადაწყვიტეთ აქ მოსვლა, რადგან ყველა ზემოთქმული საზიზღრად და აუტანლად ჩასთვალეთ ვაჟკაცებისთვის. თუ გსურთ ამ მდგომარეობას თავი დააღწიოთ, უნდა სიმამაცით აღიჭურვოთ; მხოლოდ გამარჯვებას შეუძლია ჩვენთვის ომი მშვიდობით შეცვალოს. მართლაც, გაქცევაზე იმედის დამყარება და იმ იარაღის უკუქცევა, რომელმაც ჩვენ მტრისაგან უნდა დაგვიფაროს, — უგუნურებაა. ბრძოლის დროს ყოველთვის ყვე-

ლაზე მეტი საშიშროება მას ელის, ვინც ყველაზე მეტად მხდალობს, სიმამაცე საიმედო დამცველია.

როდესაც მე თქვენ გიცქერთ, ჯარისკაცებო, და ვითვალისწინებ თქვენს სიმამაცეს, გამარჯვების უდიდესი იმედით ვივსები. ამაში მე მარწმუნებს თქვენი სიმამაცე, ჰასაკი და ამას გარდა ის უკიდურესი გაჭირვება, რომელიც თვით მხდალებსაც კი მამაცად აქცევს. ადგილმდებარეობის სივიწროვე მტერს ხელს უშლის, რომ გარს შემოგვერტყას. მაგრამ თუ ბედმა გვიმტყუნა, თქვენი სიცოცხლე ძვირად გასწირეთ. გახსოვდეთ, რომ ტყვედ ჩაცვივნილებს პირუტყვებივით გაგვლეტენ, ხოლო მამაცურაღ ბრძოლის შედეგად კი მტერს სისხლითა და ცრემლით განბანილ გამარჯვებას დაუტოვებთ".

59. სიტყვა რომ დაამთავრა, კატილინამ ცოტა შეიცადა, შემდეგ ბრძანა მიეცათ შეტევის დაწყების მაუწყებელი ნიშანი და გამოჰყავს ველზე საომარ წესზე დაწყობილი თავისი ჯარი. მან ბრძანება გასცა ცხენოსნები დაქვეითებულიყვნენ, რათა დანარჩენ ჯარს დაენახა, რომ საფრთხე ყველას ერთნაირად ელის და გამხნევებულიყო, თვითონაც დაქვეითებული, იგი განაწყობს თავის ლაშქარს მათი რაოდენობისა და ადგილმდებარეობის პირობებთან შეფარდებით. რადგანაც ველი ვიწრო იყო, რომელიც მარცხენა მხრით მთებით, ხოლო მარჯვენა მხრით კლდით იყო შემოზღუდული, იგი წინ ათავსებს რვა კოჰორტას, დანარჩენებს კი შემჭიდროებული რიგებით უკან აყენებს რეზერვის სახით. ყველა კოჰორტებიდან გამოარჩია მან ყველა საუკეთესო ცენტურიონები და გამოცდილი ვეტერანი, აგრეთვე უმამაცესი და საუკეთესოდ შეიარაღებული ჯარისკაცები მოწინავე ხაზისთვის. გაიუს მანლიუსს მან უბრძანა მარჯვენა ფრთის სარდლობა, მარცხენა კი ქალაქ ფეზულის რომელიღაც მოქალაქეს ჩააბარა. თვითონ ლიბერტინებთან და კოლონებთან ერთად დგება არწივის მახლობლად, რომელიც, გადმოცემის თანახმად, გაიუს მარიუსის მხედრობას თანა ჰქონდა კიმვრებთან ომში.

ამასობაში მეორეს მხრით გაიუს ანტონიუსი, რომელსაც ფეხები სტკიოდა და ბრძოლის ველზე ყოფნა არ შეეძლო, ჯარის სარდლობას ავალებს ლეგატ მარკუს პეტრეიუსს...

60. სათანადო დაზვერვის შემდეგ, პეტრეიუსი ბრძანებს შეტევის ნიშანი მისცენ, ხოლო კოჰორტებმა ნელნელა წინ წაიწიონ. ასევე იქცევა მოწინააღმდეგის ლაშქარიც. როდესაც ორივე ლაშქარი ერთმანეთს იმდენად მიუახლოვდა, რომ მსუბუქად შეიარაღებულმა უკვე ერთიმეორეს ბრძოლა დაუწყეს, — მთელი ჯარი საშინელი ყიჟინით ეკვეთა ერთიმეორეს; შუბები გადაყარეს და ხმლით მოქმედებდნენ. ვეტერანები, რომლებსაც ახსოვთ წარსული გმირობა, გააფთრებით უტევენ ხელჩართულ ბრძოლაში, მაგრამ მტრებიც მამაცურად იცავენ თავს; ბრძოლა უკიდურესად გამძაფრდა. ამასობაში კატილინა თავისი თავგანწირული

რაზმით ყოველთვის წინა ხაზზე იმყოფებოდა და ეხმარებოდა იმათ, ვინც მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდებოდა. თვითონ იბრძოდა და მტერს საკუთარი ხელით ანადგურებდა; იგი ერთსა და იმავე დროს თავგანწირული მებრძოლისა და სარდლის მოვალეობას ასრულებდა. როდესაც პეტრეიუსმა დაინახა, რომ კატილინა, მოლოდინისდა მიუხედავად, სასტიკ წინააღმდეგობას უწევს, მაშინ მან მტრის შუაგულს მიუსია პრეტორიელთა კოჰორტა. ამან გააპო მტრის ცენტრი და მოწინააღმდეგენი, რამდენიმე ადგილას გამძაფრებული წინააღმდეგობის შემდეგ, ამოხოცილ იქნენ; ცენტრის მოსპობის შემდეგ მტერს ორთავე ფრთაზე შეუტიეს. მანლიუსიცა და ფეზულელი მოქალაქეც ორივენი დაეცნენ პირველ ხაზზე მებრძოლნი. როდესაც კატილინამ დაინახა, რომ მისი ჯარი დამარცხებულია და მხოლოდ იგი გადარჩა მცირე თანმხლებლებით, მას, ახსოვდა რა თავისი შთამომავლობა და წინანდელი ღირსება, ბრძოლით გადაეშვა მტრის შუაგულში, სადაც განგმირული დაეცა[250].

61. მაგრამ მხოლოდ ბრძოლის დამთავრების შემდეგ გახდა აშკარა, თუ რა გამბედაობა და სულიერი სიმტკიცე სუფევდა კატილინას არმიაში. თითქმის ყოველი მათგანი დაეცა განგმირული იმ ადგილას, რომელიც მას ბრძოლის დასაწყისში ეჭირა, ისე რომ ადგილიდან ფეხი არ მოუცვლია. მხოლოდ რამდენიმე კაცი, რომლებიც ცენტრში იყვნენ და პრეტორიანთა კოჰორტის შეტევამ გაფანტა, თავიანთი ადგილიდან ცოტა ძოშორებით დაეცნენ, თუმცა ყოველი მათგანი ისე მოკვდა, რომ მკერდი ჰქონდა მტრისთვის მიშვერილი და არცერთს ზურგი არ უჩვენებია მისთვის. თვითონ კატილინა კი თავისიანებისაგან კარგა მოშორებით იპოვეს მტრების გვამებს შორის; იგი ჯერ ისევ ოდნავ სუნთქავდა და მის სახეზე აღბეჭდილი იყო ის შეუპოვრობა და სულიერი სიმტკიცე, რომელიც მას ცხოვრებაში ახასიათებდა და ბოლოს კატილინას ლაშქრიდან არცერთი თავისუფალი მოქალაქე არ იქნა ტყვედ შეპყრობილი, არც ბრძოლაში და არც გაქცეული, რადგან არცერთი მათგანი სრულიადაც არ უფრთხილდებოდა თავის სიცოცხლეს, არ ინდობდა რა ამდენადვე მტრის სიცოცხლესაც. თუმცა რომაელი ხალხის არმიასაც თავისი გამარჯვება ძვირად დაუჯდა, რადგან ყველაზე უმამაცესნი ყველანი ან ბრძოლის ველზე დაეცნენ, ანდა ბრძოლას გაეცალნენ მძიმედ დაჭრილნი. ხოლო მრავალი, ვინც ბანაკიდან გადიოდა, რათა ენახა ბრძოლის ველი, ან გაეძარცვა დაჭრილ-დახოცილნი, გადააბრუნებდნენ მტრის მიცვალებულებს, მათში ხშირად ამოიცნობდნენ ხოლმე ზოგი მეგობარს, ზოგი ნათესავს, ან სტუმარს; ისეთებიც იყვნენ, რომლებიც იქ თავის მტრებსა ნახულობდნენ. ამგვარად ჯარი ერთსა და იმავე დროს მოიცვა სიხარულმა და სევდამ, სასოწარკვეთილებამა და მხიარულებამ.

კატილინას შეთქმულება

აპიანე ალექსანდრიელის „სამოქალაქო ომების" მიხედვით წიგნი II, თ. II.

4. „ამავე დროს დაიწყო დიდი სახელის მოხვეჭა გაიუს კატილინამ, წარჩინებული შთამომავლობის, მაგრამ დაუდგრომელი ხასიათის კაცმა, რომელზედაც იმასაც კი ფიქრობდნენ, რომ, ვითომც წინათ მოკლა ღვიძლი ვაჟიშვილი ავრელია ორესტილასადმი ჟინით აღძრულმა, რადგან იგი უარს ეუბნებოდა ცოლად გაჰყოლოდა, ვიდრე მისი ვაჟი ცოცხალი იყო; კატილინა იყო სულას მეგობარი და მისი პარტიის თავგამოდებული მომხრე. თუმცა იგი სიღარიბეში ჩავარდა იმ გამფლანგველობის გამო, რაც მისი პატივმოყვარეობით იყო გამოწვეული, მაგრამ მაინც პოპულარული იყო წარჩინებულ მამაკაცთა და აგრეთვე ქალთა შორის, და წამოაყენა თავისი კანდიდატურა კონსულობაზე. განიზრახავდა რა ამ გზით გზა გაეკეთებია ტირანიისაკენ.

5. სწორედ ასეთი ეჰვის გამო იგი არ იქნა არჩეული, თუმცა მას ამის დიდი იმედი და მოლოდინი ჰქონდა. ხოლო კონსულად მის მაგიერ არჩეულ იქნა ციცერონი, კაცი, რომელსაც ლაპარაკისა და მჭერმეტყველების წარმტაცი უნარი ჰქონდა და რომელსაც, ამომრჩეველთა გაღიზიანების მიზნით, კატილინა გესლიანად მეტიჩარას უწოდებდა, ანიშნებდა რა ამით მის დაბალ შთამომავლობას — ხომ ასე უწოდებდნენ ყველა იმათ, ვინც სახელი მოიხვეჭა არა წინაპრებით, არამედ თავისთავად; ამას გარდა იგი მას მოსულს უწოდებდა იმის გამო, რომ ციცერონი რომში არ იყო დაბადებული, ამ ზედმეტ სახელს კი იმას უწოდებენ, ვინც საკუთარ სახლში არ ცხოვრობს.

6. თვითონ კატილინამ კი ამ დროიდან იწყო სრულიად ჩამოცილება სახელმწიფო საქმეებისაგან, მიიჩნია რა, რომ სახელმწიფო თანამდებობა ვერ უზრუნველყოფს მთელი ძალაუფლების ხელში ჩაგდებას და ამასთანავე მტრობისა და შურის გამომწვევიც არის. მაგრამ მოაგროვა რა დიდი თანხა ქალებში, რომლებიც იმედოვნებდნენ, რომ აჯანყების დაწყებისთანავე თავიანთ ქმრებს ამოხოცავდნენ, — შეადგინა შეთქმულება ბევრ სენატორსა და ეგრეთ წოდებულ მხედართან ერთად, ჩაიზიარა რა ამ საქმეში აგრეთვე პლებეები, პერეგრინები[260] და მონები.

7. ხოლო ამ საქმეში მთავარი როლი დაკისრებული ჰქონდათ კორნელი ლენტულუსსა და ცეტეგუსს, რომლებიც მაშინ ქალაქის პრეტორები იყვნენ. ამას გარდა იგი მთელ იტალიაშიც გზავნიდა ხალხს პროპაგანდის გასაწევად სულას იმ ჯარისკაცთა შორის, რომლებმაც ამ დროისთვის უკვე მოასწრეს გაეფლანგათ ის ქონება, ოდესღაც ძარცვაგლეჯით რომ ჰქონდათ შეძენილი და ეხლა ახალ არეულობას იყვნენ ჰოწყურებული; ხოლო ეტრუსკების ფეზულაში გაგზავნა გაიუს მანლი-

უსი, პიცენუმსა და აპულიაში კი სხვა პირები, რომლებმაც საიდუმლოდ კიდეც მოაგროვეს მისთვის ლაშქარი.

8. ყველაფერი ეს, თუმცა ერთხანს საიდუმლოდ რჩებოდა, მაგრამ ციცერონისათვის ცნობილი იყო საკმაოდ წარჩინებული შთამომავლობის ქალის — ფულვიას საშუალებით. მისი მიჯნური კვინტუს კურციუსი, რომელიც სამარცხვინო საქციელის გამო სენატიდან იყო გაძევებული, ღირსი გახდა კატილინას შეთქმულების მონაწილე შექმნილიყო და სრულიად წინდაუხედავად და დიდი ტრაბახით არწმუნებდა თავის სატრფოს, რომ იგი მოკლე ხანში თვალსაჩინო თანამდებობას მიიღებს. ამას გარდა უკვე გავრცელდა ხმა იმის შესახებ, რაც იტალიაში ხდებოდა.

9. ამის გამო ციცერონმა დააყენა ქალაქის სხვადასხვა ადგილებში გუშაგები და გაგზავნა სხვადასხვა ადგილებში მრავალრიცხოვანი რაზმები, რომელთაც უნდა თვალყური ედევნებინათ ყველაფრისთვის, რაც ხდებოდა.

10. კატილინა კი, რომლის მიმართაც ჯერ რაიმე ღონისძიების მიღებას ვერავინა ბედავდა აშკარა ბრალდების უქონლობის გამო, ფიქრობდა, რომ დაყოვნება მხოლოდ გააძლიერებდა ეჭვს, და, ამყარებდა რა მთელ თავის იმედს მოქმედების სისწრაფეზე, გაუგზავნა ფეზულში ფული, ხოლო, დაავალა რა თავის თანაგამზრახველთ ციცერონის მოკვლა და იმავე ღამეს ქალაქში რამდენიმე ადგილას ხანძრის გაჩენა, გაემგზავრა მანლიუსთან, რათა იქ დაუყოვნებლივ შეეკრიბა სხვა ლაშქარიც და მანლიუსთან ერთად თავს დასცემოდა ცეცხლწაკიდებულ ქალაქს.

11. მანლიუსთან ამ მოგზაურობის დროს, როდესაც ხდებოდა ლაშქრის შეგროვება, კატილინას წინ უძღოდნენ ლიქტორები წკეპლების კონებითა და ცულებით, თითქოს იგი ნამდვილად ყოფილიყოს რომელიმე პროკონსული; ყველაფერი ეს კატილინას მხრით სრული წინდაუხედაობა იყო. ლენტულუსმა სხვა შეთქმულებთან ერთად გადაწყვიტა, რომ ის და ცეგეტუსი, როგორც კი მოვიდა ცნობა კატილინას ფეზულში მოსვლის შესახებ, დილა ადრიანად უნდა ჩასაფრებულიყვნენ ციცერონის სახლთან, ექნებოდათ რა ხანჯლები ტანისამოსს ქვეშ დამალული; თავისი მაღალი მდგომარეობის გამო უნდა გაებათ მისთვის ხანგრძლივი საუბარი და ამ მიღების დროს მოეკლათ კონსული, გაიცალკევებდნენ რა მას წინასწარ სხვა იქ მყოფთაგან.

12. ხოლო სახალხო ტრიბუნს ბესტიას წინადადება ჰქონდა მიცემული დაუყოვნებლივ მოეწვია სახალხო კრება და გამოსულიყო ციცერონის წინააღმდეგ ბრალდებებით, რომ მან, მშიშარა და ფრთხილმა გამოიწვია ქალაქში შეშფოთება მაშინ, როდესაც ქალაქში ნამდვილად საშიში არაფერი მომხდარაო. ბესტიას გამოსვლის მომდევნო ღამეს კი დანარჩენ შეთქმულთ დავალებული ჰქონდათ გაეჩინათ ქალაქში თორმეტ ადგილას ხანძარი, აგრეთვე გაეძარცვათ და ამოეხოცათ არისტოკრატიის წარმომადგენელნი.

13. ასეთი იყო შეთქმულების ხელმძღვანელების ლენტულუსის, ცეტეგუსის, სტატილიუსისა და კასიუსის გეგმები, რომლებიც მხოლოდ ხელსაყრელ მომენტს უცდიდნენ ამასობაში, ალობროგების ელჩები, რომლებიც რომში იყვნენ ჩამოსული თავიანთ მაგისტრატებზე საჩივრების მისატანად, ჩათრეულ იქნენ ლენტულუსის საიდუმლო საზოგადოებაში და მათ დაევალათ, რომ გალები რომაელების წინააღმდეგ აეჯანყებიათ.

14. მათთან ერთად ლენტულუსმა კატილინასთან გაგზავნა ქალაქ კროტონის მცხოვრები ვოლტურციუსი, რომელსაც თან გაატანა ხელმოუწერელი წერილები. ხოლო ალობროგებმა, არ იცოდნენ რა როგორ მოქცეულიყვნენ, ყველაფერი უამბეს ფაბიუს სანგას, რომელიც ალობროგების მოსარჩლე იყო — ყველა პროვინციას ხომ რომში თავისი მოსარჩლე ჰყავს. სანგასგან მიღებული ცნობის შედეგად ციცერონმა ბრძანა შეეპყროთ ალობროგები, აგრეთვე ვოლტურციუსი მათი რომიდან გამგზავრების დროს და დაუყოვნებლივ წარედგინათ ისინი სენატის სხდომაზე. მათ დაადასტურეს ყველაფერი, რაც უკვე ცნობილი იყო ლენტულუსის საქმის შესახებ და პირისპირ წაყენების დროს ამხილეს კორნელიუს ლენტულუსი იმაში, რომ მას არა ერთხელ უთქვამს, რომ ბედმა მიუძღვნა სამ კორნელიუსს რომში უმაღლესი ხელისუფლება, ამასთანავე სულა და ცინნა უკვე იყვნენ ერთმმართველები.

16. მათი ჩვენების შემდეგ სენატმა ლენტულუსს ჩამოართვა თანამდებობა, ხოლო ციცერონი, მას შემდეგ, რაც შეთქმულნი პრეტორების ბინებში გაანაწილა, დაუყოვნებლივ ისევ სენატში დაბრუნდა და შეუდგა მათ შესახებ კენჭისყრას; ამასობაში სენატის შენობის წინ დიდი შეშფოთება სუფევდა, რადგან საქმის ნამდვილი ვითარება ჯერ ცნობილი არ იყო, კატილინას მომხრეები კი შიშმა მოიცვა.

17. თვითონ ლენტულუსის მონები და ლიბერტინები, რომლებმაც შემოიერთეს ხელსნების დიდი ბრბო, ცდილობდნენ უკანა ეზოდან შეჭრილიყვნენ პრეტორთა სახლებში, რათა ძალით გაეთავისუფლებინათ თავიანთი ბატონები. შეიტყო რა ეს ციცერონმა, გამოვარდა სენატის შენობიდან, სადაც საჭირო იყო, დააყენა გუშაგები, დაბრუნდა უკანვე და აჩქარებით შეუდგა კენჭისყრას.

18. და აი, პირველად ლაპარაკობს სილანსი, რომელიც მომავალი წლისთვის კონსულად იყო არჩეული: რომაელებში ხომ მომავალ კონსულს ყოველთვის პირველს შეაქვს თავისი წინადადება, ჩემი აზრით იმიტომ, რომ მას მოუხდება დადგენილებათა დიდი ნაწილის შესრულება და ამის გამო იგი ვალდებულია ყოველ საქმეზე განსაკუთრებით ფრთხილად და წინდახედულად იმსჯელოს.

19. სილანი თხოულობს, რათა ამ ბატონების მიმართ გამოეყენებინათ სასჯელის უმაღლესი ზომა და ბევრნი ეთანხმებოდნენ მას, ვიდრე არ აჯობა ნერონის აზრმა, რომელმაც წინადადება შეიტანა პატიმრობაში ჰყოლოდათ ისინი იქამდე, სანამ კატილინა ომში არ იქნებოდა დამარცხებული და საქმე დაწვრილებით არ იქნებოდა გამოძიებული.

20. აგრეთვე გაიუს ცეზარმაც დაუმატა სილანის აზრს, რომ ციცერონმა თავისი შეხედულებისამებრ უნდა გაანაწილოს ბრალდებულნი იტალიის სხვადასხვა ქალაქში, და შემდეგ, როდესაც კატილინა საბოლოოდ განადგურებული იქნება, მაშინ, წარუდგინოს ისინი სასამართლოს, ხოლო სასამართლოს განაჩენის გარეშე კი წარჩინებული შთამომავლობის ადამიანთა მიმართ არ შეიძლება რაიმე მკაცრი ღონისძიება იყოს გამოყენებული. ცეზარი ხომ, მიუხედავად იმისა, რომ ციცერონი ვერ ბედავდა აშკარად გაეხვია ამ პროცესში იგი, სახალხო წრეებში ესოდენ ცნობილი, — არ იყო თავისუფალი ეჭვისაგან, რომ ის თვითონაც თანაუგრძნობდა ამ ხალხს.

21. რადგან ცეზარის წინადადება სამართლიანად მოჩანდა და ყველამ მოიწონა, სენატორთა უმრავლესობამ უმალ შეიცვალა აზრი. ბოლოს, კატონმა, რომელმაც აღძრა ცეზარის მიმართ უკვე არაორაზროვანი ეჭვი, და ციცერონმა, რომელსაც ეშინოდა, რათა ღამით ბრბოს, რომელიც შეთქმულთ თანაუგრძნობდა და ფორუმზე ტრიალებდა, — როგორც საკუთარ თავზე, ისე პატიმრებზე შიშით, უბედურება არა ჩაედინათ რა, — დაარწმუნეს სენატორები, რომ შეთქმულთ უნდა მიესაჯოს გამოძიების გარეშე როგორც იმ პირთ, რომლებსაც დანაშაულზე წაასწრეს.

22. და, აი, ვიდრე ჯერ კიდევ გრძელდებოდა სენატის სხდომა, ციცერონმა, როდესაც ბრბო ამას სრულიად არ მოელოდა, გასცა განკარგულება ბრალდებულნი პრეტორთა ბინებიდან ციხეში გადაეყვანათ და იქ უბრძანა მისი თანდასწრებით მათი დასჯა. ხოლო შემდეგ, გამოჩნდა რა ფორუმზე ბრბოს წინაშე, განაცხადა: „ისინი დაიხოცნენ“-ო. მაშინ ისინი, ვინც ადრე თრთოდა თავისი ბედის მოლოდინში, ხოლო ახლა უხაროდა, რომ შეთქმულებაში მისი მონაწილეობა არ გამომჟღავნდა, ნელ-ნელა დაიშალნენ. ამგვარად დედაქალაქის მოსახლეობამ თავისუფლად ამოისუნთქა, განთავისუფლდა რა პანიკური შიშისაგან, რომელმაც მოიცვა ქალაქი მთელი დღის განმავლობაში.

ამასობაში კატილინამ თავის ირგვლივ თავი მოუყარა დაახლოებით ოციათას კაცს, რომელთაგან ერთი მეოთხედის შეიარაღება მოახერხა. როდესაც იგი გაემართა გალიისაკენ, რათა იქ ახალ მზადებას შესდგომოდა, მას წამოეწია ალპებს იქით მეორე კონსული ანტონიუსი და ადვი-

ლად დაამარცხა იგი. კატილინამ ხომ უგუნურად ჩაიდვა თავში ძნელი საქმე და სათანადოდ მომზადების გარეშე შეადგინა უფრო მეტად უგუნური მოქმედების გეგმა. ამისდა მიუხედავად, კატილინამაც და მისმა ყველა გამოჩენილმა თანამებრძოლებმაც თავისთვის შეუფერებლად ჩასთვალეს გაქცევა — პირიქით, მათ გაარღვიეს მტრის ცენტრი და ყველანი მტრის ჯარის შუა გულში დაეცნენ.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა

პლუტარქე — ციცერონის ბიოგრაფია

10.

1. კონსულობას ციცერონმა მიაღწია როგორც ოპტიმატების, ისე მდაბიო ხალხის მეცადინეობით. მათ მიერ სახელმწიფო ინტერესების გამო ციცერონის კანდიდატურისთვის მხარის დაჭერა აიხსნება შემდეგი გარემოებით... იყო ხალხი, რომლებიც მიისწრაფოდნენ შეერყიათ და შეეცვალათ არსებული სახელმწიფო წყობილება, არა საზოგადოებრივი სარგებლიანობის გულისთვის, არამედ პირადი ანგარების მიზნით. მათ იმედი ჰქონდათ, რომ რადგან ჯერ ისევ გრძელდებოდა პომპეიუსის ომი პონტოსა და არმენიის მეფეებთან, რომში ალარ მოიპოვებოდა არავითარი სამხედრო ძალა, რომელიც საკმარისი იქნებოდა იმათთან საბრძოლველად, ვინც გადატრიალებას ლამობდა.

2. მათი მეთაური იყო ლუციუს კატილინა, კაცი გამბედავი, ჭირვეული და ცბიერი, რომელსაც სხვა დანაშაულთან ერთად იმაშიც სდებდნენ ბრალს, რომ იგი ცხოვრობდა თავის გაუთხოვარ ქალთან[281] და იყო ძმის მკვლელი. ეშინოდა რა ამისათვის იგი სამართალში არ მიეცათ, მან სთხოვა სულას მისი ძმა, ვითომც იგი ჯერ ცოცხალი ყოფილიყოს, მოეთავსებინა სიკვდილით დასასჯელთა სიაში...

3. კატილინას მიერ აგრეთვე გარყვნილი იყო ქალაქის ახალგაზრდების უდიდესი ნაწილი, რომელსაც იგი განუწყვეტლივ იზიდავდა თავისკენ სხვადასხვა სასიამოვნო ამბებით, დროს ტარებითა და ქალებთან ურთიერთობით, უხვად ხარჯავდა რა ყველა ამაზე საკუთარ ქონებას. აჯანყებისთვის მომზადებული იყო მთელი ეტრურია და ციზალპიური გალიის უდიდესი ნაწილი. ძალიან მერყევი იყო გადატრიალების თვალსაზრისით მდგომარეობა თვითონ რომში არანორმალური ქონებრივი მდგომარეობის გამო, რადგან ყველაზე უფრო გამოჩენილი და სახელგანთქმულნი გაღატაკდნენ თეატრებსა, წვეულებებსა, მოსყიდვებსა და მშენებლობაზე გაწეული ხარჯების გამო. მათმა ქონებამ კი გადაინაცვლა უთვისტომო და დაბალი წრის ხალხის ხელში; ისე რომ საკმარისი იყო რომელიმე თავზეხელაღებულის ბიძგი, რათა დანგრეულიყო არსებული სახელმწიფო წყობილება, რომელიც უკვე თავისთავად მძიმე სენით იყო დაავადებული.

11.

1. ამისდა მიუხედავად, კატილინა, ისწრაფის რა მოიპოვოს უფრო მტკიცე მდგომარეობა, ცდილობს მიიღოს კონსულობა; მას იმედი ჰქონდა, რომ კონსულობას მიაღწევდა გაიუს ანტონიუსთან ერთად, რომელიც მოკლებული იყო უნარს მოეხდინა გავლენა ავი თუ კარგი მიმართულებით, მაგრამ რომელიც ძვირფასი დამატება იყო მეორე პირისთვის მისი მნიშვნელობის გასაზრდელად. კეთილგონიერთა უდიდესმა ნაწილმა წინასწარ იგრძნო ეს და ცდილობდა კონსულის თანამდებობაზე ციცერონის გაყვანას, რომლის კანდიდატურასაც ხალხი დიდი თანაგრძნობით შეხვდა. რის გამოც კატილინა გააშავეს და კონსულად აირჩიეს ციცერონი და გაიუს ანტონიუსი, თუმცა ამათგან მხოლოდ ციცერონი იყო მხედრისა და არა სენატორის შვილი.

12.

1. თუმცა კატილინას ზრახვები საზოგადოების ფართო ნაწილისთვის დღემდე უცნობი იყო, მაგრამ მომავალი ბრძოლის მომასწავებელი ნიშნები თვალსაჩინოდ გამოჩნდა ციცერონის კონსულობის დასაწყისში. ხომ პირველ ყოვლისა ისინი — საკმაოდ ბლომად რომ იყვნენ და მნიშვნელოვან ძალას წარმოადგენდნენ, — ვისაც სულას კანონმდებლობით აკრძალული ჰქონდა მაგისტრატურების მიღება, აყენებდნენ რა თავიანთ კანდიდატურებს, პროპაგანდას ეწეოდნენ ხალხში, მკვეთრად და სრულიად საფუძვლიანად ესხმოდნენ ისინი თავს სულას ტირანიას, თუმცა ამით სრულიად ზედმეტად და უდროოდ არყევდნენ პოლიტიკურ წყობილებას. ამას გარდა ამავე მიზეზებით აღძრულ სახალხო ტრიბუნებს შეჰქონდათ კანონპროექტები ათი პირის დანიშვნის შესახებ, რომელთაც უნდა ჰქონოდათ უფლება თვითონ განეგოთ მთელი იტალია, სირია და ის ოლქები, ამას წინათ რომ პომპეიუსმა შემოიერთა, შესძლებოდათ გაეყიდნათ სახელმწიფო ქონება, მიეცათ სასამართლოში ისინი, ვისაც მოისურვებდნენ, გაეძევებიათ, მოეწყოთ კოლონიები, მიეღოთ ხაზინიდან ფული, შეეგროვებიათ და ჰყოლოდათ ჯარი იმ რაოდენობით, რამდენსაც თვითონ საჭიროდ მიიჩნევდნენ[1][2].

2. სწორედ ამიტომ ამ კანონს მხარს უჭერდნენ როგორც სხვა წარჩინებულნი, ისე პირველ ყოვლისა ციცერონის ამხანაგი სამსახურით ანტონიუსი, რომელსაც იმედი ჰქონდა, რომ იმ ათეულის რიცხვში თვითონაც მოხვდებოდა. ეტყობოდა მისთვის ცნობილი იყო კატილინას რეოლუციური გეგმები, მაგრამ ამას იგი მტრულად არ უცქერდა, რადგან ყელამდე ვალებში იყო ჩავარდნილი. ყველაფერი ეს ოპტიმატებს შიშის ზარსა სცემდა.

3. ამიტომაც ციცერონმა, რათა ანტონიუსისთვის ეამებინა, მას მიუბოძა სამმართველოდ მაკედონია, ხოლო თვითონ უარი თქვა მისთვის შეთავაზებულ გალიის მმართველობაზე. ამგვარი სიკეთით მან ისე მიიზიდა თავისკენ ანტონიუსი, რომ იგი როგორც დაქირავებული აქტიორი ასრულებდა მეორე როლს სამშობლოს ხსნის საქმეში. მოიბირა და დაიმორჩილა რა ანტონიუსი, ციცერონმა უფრო გამხნევებულმა შეუტია გადატრიალების მომხრეებს. და, აი, სენატში გამოვიდა იგი და გააკრიტიკა ზემოაღნიშნული კანონი, რითაც ისე შეაშინა მისი ავტორები, რომ მათ უმჯობესად ჩათვალეს გაჩუმებულიყვნენ. ხოლო როცა მათ ხელმეორედ სცადეს გაეტარებინათ თავისი წინადადება და საგანგებოდ მომზადების შემდეგ, კონსულები მოიწვიეს სახალხო კრებაზე, ციცერონი ამას სრულიადაც არ შეუშინდა, არამედ წაიყოლა რა თან სენატორები, სიტყვა წარმოსთქვა სახალხო კრებაზე. აქ მან არა მხოლოდ ჩაფუშა კანონპროექტი, არამედ თავის სიტყვაში ისე დაამარცხა სახალხო ტრიბუნები, რომ ისინი იძულებული გახდნენ თავიანთ ყველა განზრახვაზე ხელი აეღოთ...

14.

1. ამასობაში კატილინას თანამზრახველებმა, რომლებიც ჯერ შიშის ზარმა აიტანა, — მერე სული მოითქვეს და ხელახლა შეუდგნენ კრებების მოწვევასა და ურთიერთის გამხნევებას უფრო გაბედული მოქმედებისათვის, რასაც უნდა ხელი შეეშალა პომპეიუსის დაბრუნებისთვის, რომელზედაც ამბობდნენ, რომ დიდი არმიით უკანვე ბრუნდებაო. განსაკუთრებით აგულისებდნენ კატილინას სულას ვეტერანები, რომლებიც იტალიის ყველა ოლქს მოედვნენ და სისხლსა სწოვდნენ. თუმცა მათი უდიდესი და ამასთანავე უფრო მებრძოლი ნაწილი ეტრუსკულ ქალაქებში მიმოიფანტა და ოცნებობდა ახალ ბარცვა-გლეჯაზე და სხვის შიერ შექმნილ დოვლათის ექსპროპრიაციაზე. თავიანთ ბელადად ამ ხალხს ჰყავდათ მანლიუსი, კაცი, რომელიც იმათ რიცხვს ეკუთვნოდა, ვინც განსაკუთრებით ისახელა თავი სულას ლაშქრობებში. ისინი შეუერთდნენ კატილინას და გამოცხადდნენ რომში, რათა მისთვის არჩევნებში მხარი დაეჭირათ. მან ხომ ხელახლა წამოაყენა თავისი კანდიდატურა კონსულობაზე, გადასწყვიტა რა მოეკლა ციცერონი გახურებული არჩევნების დროს.

2. თითქოს ღვთაებრივი ძალები ანიშნებდნენ მომავალ ამბებს მიწისძვრით, მეხის ჩამოვარდნითა და სხვა ნიშნებით. თუმცა ხალხის მიერ მიღებული ნიშნები დამაჯერებელი იყო, მაგრამ იმისთვის მაინც საკმარისი არ იყო, რომ ბრალი დაედვათ ისეთი წარჩინებული და გავლენიანი ადამიანისათვის, როგორც კატილინა იყო. ამის გამო ციცერონმა გადასდო არჩევნების დღე, მიიწვია კატილინა სენატში და დაუწყო გამოკით-

ხვა იმ ხმების შესახებ, რასაც ქალაქში ავრცელებდნენ. ხოლო მან, დარწმუნებულმა, რომ სენატში მისი მომხრენი ბლომად ისხდნენ, და ამასთანავე სურდა რა თავი გამოეჩინა თავის მომხრეთა წინაშე, ციცერონს აღგზნებით უპასუხა: „რა არის იმაში ცუდი, რომ ორ სხეულთაგან, რომელთაგან ეროი სრულიად მშვილე, დასაღუპად განწირულია, მაგრამ თავი აბია, ხოლო მეორე კი ძლიერი და დიდია, მაგრამ თავი აკლია, მე ჩემის ნებით თავს ვაბამ ამ უკანასკნელს?"

3. რადგან ამ სიტყვებში კატილინა სენატსა და ხალხს გულისხმობდა, ციცერონი უფრო მეტად შეშინდა, ხოლო ყველა ოპტიმატებმა და ბლომად ახალგაზრდებმა გააცილეს იგი სპილენძის აბჯარში გამოწყობილი სახლიდან მარსის მინდვრამდე. მან კი, განგებ ჩამოუშვა რა ტოგის ნაწილი, გამოაჩინა აბჯარი, რათა დამსწრეებისათვის ენიშნებინა, თუ რა საფრთხეში იმყოფებოდა იგი. ხოლო დამსწრენი შეშფოთდნენ და მეიღროდ შემოერტყნენ მას ირგვლივ და ბოლოს, როცა საქმე კენესყრაზე მიდგა, კატილინა კვლავ გააშავეს, კონსულებად კი სილანუსი და მურენა აირჩიეს.

15.

1. ცოტა უფრო გვიან, როდესაც კატილინას ჯარისკაცები, ეტრურიაში შეგროვილნი, უკვე ნაწილდებოდნენ ცენტურიებში და ლაშქრობისთვის დანიშნული დღე ახლოვდებოდა, ციცერონის სახლთან შუაღამის ჟამს მოვიდნენ ფრიად გავლენიანი რომაელი მოხელეები მარკუს კრასუსი, მარკუს მარცელლუსი და სციპიონ მეტელი. დააკაკუნეს მათ კარზე, გამოიწვიეს მსახურნი და გასცეს განკარგულება ვაეღეიძებინათ ციცერონი და მისთვის მათი მოსვლა მოეხსენებიათ.

2. საქმე შემდეგში იყო. კრასუსს სადილის შემდეგ მისმა მსახურმა გადასცა წერილები, რომლებიც ვიღაც უცნობმა მოიტანა და რომლებზედაც სხვადასხვა პირთა მისამართები იყო აღნიშნული, ხოლო ერთი ანონიმური წერილი კრასუსის სახელზე იყო გამოგზავნილი. წაიკითხა რა იგი კრასუსმა, დარწმუნდა, რომ კატილინა უდიდეს ხოცვა-ჟლეტას ამზადებდა; ამას გარდა კრასუსს ამ წერილში ურჩევდნენ ქალაქიდან გახიზნულიყო. დანარჩენი წერილები მას არ გაუხსნია და დაუყოვნებლივ გამოცხადდა ციცერონთან, ერთის მხრივ შიშის გამო და მეორეს მხრივ მას სურდა გაეფრთხილებია მის მიმართ კატილინასთან მეგობრობაზე აღმოცენებული ეჭვი.

3. ვითარების განსჯის შემდეგ ციცერონმა დილა ადრიანად მოიწვია სენატის სხდომა, მან იქ მოიტანა წერილები, დაურიგა დანიშნულებისამებრ და უბრძანა ხმამაღლა წაეკითხათ ისინი. ყველა მათში ლაპარაკი იყო შეთქმულებაზე. ხოლო როდესაც ყოფილმა პრეტორმა კვინტუს არიუსმა გამოაცხადა ეტრურიაში ჯარის მოგროვების შესახებ და წა-

კითხულ იქნა ცნობა, რომ მანლიუსი დიდი რაზმით დაეხეტება წინ და უკან იქაური ქალაქების მიდამოებში, დაუყოვნებლივ მოელის რა რომიდან რაღაც ახალ ამბებს,—მაშინ გამოტანილ იქნა სენატის გადაწყვეტილება, რომლის ძალითაც სახელმწიფოს ბედიღბალს კონსულებს აბარებდნენ და ესენი, ამ უფლებით აღჭურვილნი, ვალდებულნი არიან განაგონ სახელმწიფო თავიანთ სურვილზე და იზრუნონ მის უშიშროებაზე. ამგვარ ღონისძიებას სენატი არ მიმართავდა ხშირად, არამედ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა რაიმე სერიოზული საფრთხე წამოიჭრებოდა.

16.

1. მიიღო რა ასეთი უფლება ციცერონმა, ქალაქგარეთ საქმეების თვალყურის დევნება კვინტუს მეტელუსს დაავალა, ქალაქში მმართველობა კი თვითონ აიღო ხელში და ყოველდღე ცხადდებოდა საჯაროდ ისეთი ბლომა დამცველებით გარსშემორტყმული, რომ მათ ფორუმის მნიშვნელოვანი ნაწილი ეჭირათ. კატილინას აღარ შეეძლო მოეთმინა შემდგომი დაყოვნება და ამიტომ გადაწყვიტა გაეჩრილიყო მანლიუსის ჯარისაკენ. მარციუსსა და ცეტეგუსს კი წინადადება მისცა დილით ადრე მახვილებით შეიარაღებულნი მისულიყვნენ ციცერონის სახლთან, ვითომდა მისასალმებლად, შემდეგ კი თავს დასხმოდნენ და მოეკლათ იგი. ფულვია, არისტოკრატიული წრის ქალი, ღამით მივიდა ციცერონთან და მას ყველაფერი ეს აცნობა, გააფრთხილა რა ფხიზლად ყოფილიყო ცეტეგუსის თანაგანმზრახველთა მიმართ. და როდესაც ისინი დილა ადრიან მივიდნენ და მათ მიღებაზე უარი უთხრეს, ისე გაბრაზდნენ და ყვიროდნენ, რომ ამით უფრო მეტი ეჭვი გამოიწვიეს თავიანთ მიმართ.

2. ციცერონი კი გავიდა სახლიდან და მოიწვია სენატის სხდომა ზევს სტესიის (რომელსაც რომაელები სტატორს უწოდებენ) ტაძარში,[263] პალატინუმისკენ მიმავალ სამღვთო გზის დასაწყისში რომაა გაშენებული. იქვე მივიდა კატილინაც მთელი თავისი მომხრეებით, ვითომდა თავის მართლების მიზნით. არც ერთმა სენატორმა არ მოისურვა მის გვერდით დამჯდარიყო და ყველანი მეორე მხარეზე გადავიდნენ თავიანთი ადგილებიდან. ხოლო როდესაც კატილინამ დაიწყო ლაპარაკი და ატყდა ხმაური, ბოლოს წამოდგა ციცერონი და უბრძანა მას დაეტოვებია ქალაქი, რადგან, მისი განცხადებით, ციცერონსა — რომელსაც სურს განაგოს სახელმწიფო სიტყვის ძალით, და ამ კატილინას — რომელიც იარაღის ძალას ეყრდნობა — შორის უნდა აღიმართოს კედელი.

3. მაშინ კატილინა დაუყოვნებლივ გავიდა ქალაქიდან სამასი შეიარაღებული კაცის თანხლებით და მიითვისა რა ლიქტორები და ცულები, თითქოს იგი ნამდვილი მაგისტრატი ყოფილიყოს, აღმართა დროშები და გაეშურა მანლიუსისაკენ. მან შეაგროვა ოციათას კაცამდე და

მათთან ერთად დადიოდა ქალაქიდან ქალაქში, ეწეოდა იქ პროპაგანდას და მოუწოდებდა მათ განდგომისაკენ. ამიტომ, როცა ომი გარდაუვალი გახდა, მასთან ანგარიშის გასასწორებლად გაიგზავნა ანტონიუსი.

17.

1. ქალაქში დატოვებულ კატილინას მიერ შთაგონებულ მოქალაქეებს კი კრებებზე იწვევდა და ამხნევებდა კორნელი ლენტულუსი, მეტსახელად სურა, კაცი წარჩინებული შთამომავლობისა, მაგრამ დაბალი ზნეობისა, ამასწინათ სენატიდან გაძევებული თავაშვებული საქციელის გამო და ხელმეორედ შემოსილი პრეტორის უფლებით, როგორც ეს ჩვეულებრივ მიღებული იყო იმ პირთათვის, რომლებიც ხელახლად იხვეჭენ სენატორის წოდებას...

18.

1. ლენტულუსი თავის გეგმებში არ კმაყოფილდებოდა მცირე და უმნიშვნელო რამით, არამედ გადაწყვეტილი ჰქონდა მთლად ამოეხოცნა სენატის წევრები, აგრეთვე დანარჩენ მოქალაქეთაგან, რაც შეიძლება ბლომად, ხოლო თვით ქალაქისთვის კი უნდა ცეცხლი წაეკიდებინა და არავინ დაენდო, ბავშვებისა და პომპეიუსის მეტი. ბავშვები უნდა გაეტაცნა და მძევლებად ჰყოლოდა, რომლებსაც გამოიყენებდა პომპეიუსთან შესარიგებლად, რადგან დაჟინებით ლაპარაკობდნენ, რომ დიდი ლაშქრობის დასრულების შემდეგ, პომპეიუსი უკან ბრუნდებაო.

2. აჯანყების დაწყება შეფარდებული იყო სატურნალიის ერთ-ერთ ღამესთან; ამასთანავე ხმლები, და ცეცხლგამჩენი საშუალებანი შეთქმულებმა ცეგეტუსის ბინაში მოაგროვეს და იქ შეინახეს. გამოჰყვეს ასი კაცი და თვით რომიც ამდენსავე ნაწილად გაჰყვეს იმ ანგარიშით, რომ თვითოეული მათგანი მიჩენილი ყოფილიყო თითო ნაწილზე, და რომ ქალაქი ერთბაშად მოეცვა ხანძარს სხვადასხვა ნაწილში, ერთიმეორეს რომ არც თუ ისე დაშორებული იყო. სხვებს დაევალათ გადაეღობათ წყალსადენები და დაეხოცათ ყველა წყალზე მისულნი.

3. ამ სამზადისის დროს შემთხვევით რომში იმყოფებოდა ალობროგების ორი ელჩი, — იმ ტომისა, რომელიც სწორედ იმ დროს განსაკუთრებულ შევიწროვებას განიცდიდა და რომის მძიმე უღელქვეშ იტანჯებოდა. ლენტულუსის თანამებრძოლებმა, იმ იმედით, რომ ელჩებს გამოიყენებდნენ გალიის მცხოვრებთა დასაყოლიებლად მონაწილეობა მიეღოთ სახელმწიფო გადატრიალებაში, — ისინი შეთქმულების წევრებად გახადეს. მათ გადასცეს ელჩებს წერილები მათი ადგილობრივი სენატის მიმართ, აგრეთვე კატილინას მიმართ, რომლებითაც პირველს აღუთქვამდნენ დამოუკიდებლობას, მეორეს კი ურჩევდნენ მიეცა მონე-

ბისთვის თავისუფლება და სასწრაფოდ რომზე წასულიყო. მათთან ერთად მათ გაგზავნეს კატილინასთან ქალაქ კროტონის მცხოვრები ვინმე ტიტე.

4. იმის გამო, რომ ყველა ესენი მოუფიქრებლად იქცეოდნენ და ერთმანეთს ხვდებოდნენ ღვინის სმის დროს ქალების თანადასწრებით, ციცერონმა მისთვის ჩვეული საღი მოფიქრებულობისა და განსაკუთრებული წინდახედულობის წყალობითა და მრავალ პირთა დახმარებით, რომელთაც შეეძლოთ მათი მოქმედებისთვის თვალყური ედევნებინათ. — მოახერხა დაწვრილებით შეეტყო შეთქმულთა გეგმები. ამას გარდა მას საიდუმლო საუბრები ჰქონდა იმ პირებთან, რომლებზედაც შეიძლებოდა ეფიქრა, რომ შეთქმულებაში მონაწილეობდნენ და დაუჯერა რა მათ ჩვენებებს, დარწმუნდა, რომ შეთქმულნი და ალობროგების ელჩები ურთიერთ შეთანხმებული იყვნენ. ამიტომ ერთხელ ღამით, ალობროგების დახმარებით, მის მიერ ჩასაფრებულმა ხალხმა შეიპყრო ზემოხსენებული კროტონელი წერილებითურთ.

19.

1. გათენებისთანავე ციცერონმა თანხმობის ტაძარში მოიწვია სენატის სხდომა და იქ წაიკითხა ის წერილები, სადაც აგრეთვე ამბის მიმტანთა ჩვენებები იქნა მოსმენილი. იუნიუს სილანმა განაცხადა, რომ ზოგიერთებმა ყური მოჰკრეს, როგორ ამბობდა ცეტეგუსი, რომ მოკლული იქნებიან სამი კონსული[264] და ოთხი პრეტორიო. რაღაც ამის მსგავსი ამავე გვარად აცნობა აგრეთვე ყოფილმა კონსულმა პიზონმა. ხოლო ერთმა პრეტორთაგანმა გაიუს სულპიციუსმა, რომელიც ცეტეგუსის ბინაზე იყო გაგზავნილი, იქ აღმოაჩინა ბლომად ისრები და იარაღი, აგრეთვე უამრავი ხმლები და ხანჯლები. ამასთანავე ესენი ყველა სულ ახალი დალესილი იყო. ბოლოს, როდესაც კროტონელს სენატმა ოფიციალურად აღუთქვა სრული ხელშეუხებლობა, მხილებულ იქნა ლენტულუსი. მან მოიხსნა თანამდებობა, — ის ხომ სწორედ მაშინ პრეტორი იყო, — იქვე სენატში გაიხადა ძოწეულ შემოვლებული ტოგა და ჩაიცვა მისი სამწუხარო მდგომარეობისთვის უფრო შესაფერი ტანისამოსი. ისიც და მისი თანაგანმზრახველნიც გადაეცა პრეტორებს მათ სახლებში დასაპატიმრებლად.

2. როდესაც უკვე დაღამდა და ხალხი კი ჯერ არ იშლებოდა, მაშინ ციცერონი გამოვიდა სენატიდან და ხალხის[265] წინაშე წარმოთქმულ სიტყვაში გამოაცხადა მომხდარი ამბავი, რის შემდეგაც ხალხმა იგი გააცილა ერთი მისი მეგობრისა და მეზობლის სახლამდე, რადგან მისი საკუთარი ბინა დაკავებული ჰქონდათ ქალებს, რომლებიც დღესასწაულობდნენ საიდუმლო დღეობას რომაელების მიერ „კეთილად", ბერძნების მიერ კი „ქალისად" წოდებული ღვთაება ქალღმერთის პატივსაცემად.[266] ყო-

კელწლიურად კანსულის სახლში მისი ცოლი ან დედა ამ ღვთაებას მსხვერპლსა სწირავდა ვესტას ქალწულ მსახურ ქალთა თანდასწრებით.

ვერონეზეს ბინაზე მისვლისთანავე, მეტად მცირეოდენ პირთა თანდასწრებით, ციცერონი შეუდგა იმის განსჯას, თუ როგორ მოპყრობოდა იგი პატიმრებს. იგი ხომ ერიდებოდა უკიდურეს, თუმცა ამ დანაშაულთა სრულიად დამსახურებული სასჯელის გამოყენებას როგორც საკუთარი კაცთმოყვარეული ბუნების გამო, აგრეთვე იმის გამოც, რომ ჰას არ სურდა შექმნილიყო ისეთი შთაბეჭდილება, რომ ის ბოროტად იყენებდა საკუთარ ძალაუფლებას და ძეტისმეტად მკაცრად ეპყრობა არისტოკრატიული საგვარეულოს წევრებს, რომლებსაც ამასთანავე რომში ძლიერი და გავლენიანი მეგობრები გააჩნდათ; ხოლო მეორეს მხრივ მათთან ძალიან ლმობიერი მოპყრობისაც ეშინოდა იმ საფრთხის გამო, რომელიც მათგან მომდინარეობდა. მას კარგად ესმოდა, რომ თუ ისინი უფრო მსუბუქად დაისჯებოდნენ, ვიდრე სიკვდილით,—არათუ არ დაწყნარდებოდნენ, არამედ უფრო მეტად გათავხედდებოდნენ, რადგან მათს წინანდელ ცოდვას მიემატებოდა ახალი განრისხება; ამას გარდა თვითონ იგი, რომელსაც ხალხი მაინცდამაინც მამაცად არა თვლიდა, ამ შემთხვევაში მათ თვალში მხდალი გამოჩნდებოდა.

20.

3. მეორე დღეს, როდესაც სენატში ირჩეოდა საკითხი შეთქმულთა თვის სასჯელის შესახებ,[267] სილანმა, რომელსაც წინადადება მიეცა პირველს გამოეთქვა თავისი აზრი, განაცხადა, რომ მისი აზრით პატიმრები უნდა გაიგზავნონ ციხეში და უმაღლესი სასჯელით დაისაჯონო. მის აზრს ერთი მეორეზე ემხრობოდნენ სენატორები, ვიდრე ჯერი არ მიდგა მომავალ დიქტატორ გაიუს ცეზარზე. ეს უკანასკნელი მაშინ ჯერ ახალგაზრდა კაცი იყო და ახლად ამოყავდა საძირკველი თავისი მომავალი განდიდებისათვის, თხზავდა რა მაშინვე პოლიტიკური წყობილების იმ გეგმებს, რომლებმაც შესცვალა რომაული კონსტიტუცია და დაამყარა მონარქიული წყობილება. ყველა დანარჩენების მოტყუილებას ახერხებდა ცეზარი, მაგრამ ციცერონში კი დიდ ეჭვს იწვევდა, თუმცა აშკარა ბრალდებისათვის საბაბს არ აძლევდა. თუმცა ზოგნი ამბობდნენ, რომ ცეზარი თითქმის მხილებულ იქმნა და მან მხოლოდ განთავისუფლება მოახერხაო. სხვები ამტკიცებენ, რომ ციცერონმა მისი მეგობრისა და მისი გავლენის წინაშე შიშის გამო განზრახ აუარა მას გვერდი და უყურადღებოდ დასტოვა მის წინააღმდეგ ჩვენებები, რადგან ყველასათვის ცხადი იყო, რომ შეთქმულნი უფრო ცეზარის გამართლების დამატებად გამოდგებოდნენ, ვიდრე ცეზარი გამომდგარიყო მათი სასჯელის დამატებად.

21.

1. და, აი, როდესაც ცეზარის ჯერი მოვიდა, წამოდგა იგი და განაცხადა, რომ შეთქმულნი არ უნდა დაისაჯონ, არამედ უნდა ჩამოერთვათ ქონება და დაპატიმრებულ იქნან იტალიის სხვადასხვა ქალაქში, როგორც ამას თვითონ ციცერონი გადაწყვეტს და ეს უნდა გაგრძელდეს იქამდე, ვიდრე კატილინა ბრძოლაში არ იქნება განადგურებულიო. ამ აზრს, რომელიც თავისი ლმობიერებით გამოირჩეოდა და ამასთანავე წარმოთქმული იყო მჭერმეტყველების დიდი ოსტატის მიერ, უფრო მეტი მნიშვნელობა მიეცა ციცერონის წყალობით. იგი წამოდგა და შეუდგა ორივე წინადადების გარჩევას, აჰასთანავე ჯერ მხარი დაუჭირა პირველს, შემდეგ მეორეს — ცეზარისგან შემოტანილს და ყველა მისი მეგობრები, რომლებიც ფიქრობდნენ, რომ ცეზარის წინადადება ციცერონისთვის ხელსაყრელი იყო, რადგან მათი აზრით იგი ნაკლებ ბრალდებას დაიმსახურებდა, თუ შეთქმულებს სიკვდილით არ დასჯიდა, — უფრო მეტად გადაიხარნენ მეორე წინადადებისკენ, რის გამოც თვით სილანმაც ხელი აიღო თავის შეხედულებაზე და დაიწყო მტკიცება, რომ ის სიკვდილით დასჯას კი არ მოითხოვდა, არამედ უმაღლეს სასჯელში იგი გულისხმობდა რომაელი სენატორისთვის ციხეში პატიმრობას.

2. როგორც კი ეს აზრი გამოითქვა, მას პირველი დაესხა თავს ლუტაციუს კატულუსი. შემდეგ სიტყვა აიღო კატონმა, რომელმაც თავისი ნათქვამით ცეზარის წინააღმდეგ ისეთი ძლიერი ეჭვი აღძრა, რომ სენატი აღივსო ამაყი აღშფოთებით და შეთქმულებს სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოუტანა. ცეზარი შეთქმულთა ქონების კონფისკაციის წინააღმდეგ გამოვიდა, რადგან უხერხულად მიაჩნდა მისი წინადადებიდან გამორიცხულიყო ის, რაც ჰუმანიური იყო და დაეტოვებიათ მხოლოდ ის, რაც უსასტიკესი იყო. ხოლო როდესაც შეკრებილთა უმრავლესობამ განიზრახა მის მიმართ ძალადობა ეხმარა, მან დახმარებისთვის სახალხო ტრიბუნებს მიმართა. ამ უკანასკნელთ მისი თხოვნის მიმართ ყური მოიყრუეს, მაგრამ ციცერონმა თვითონ დაუთმო და უარი თქვა ქონების კონფისკაციის შესახებ წინადადებაზე.

22.

შემდეგ სენატის წევრების თანხლებით ციცერონი გაემართა მსჯავრდებულებისაკენ, რომლებიც ერთად კი არ იყვნენ ყველანი დაპატიმრებული, არამედ თვითოეული ცალკე პრეტორის მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფებოდა. მან პირველ ყოვლისა პალატინუმზე წაიყვანა ლენტულუსი, გაატარა რა სამღვდო გზით ფორუმზე; ციცერონს გარს ეხვია უმაღლეს მოხელეთა ჯგუფი, როგორც მისი მცველები, ხალხი კი, ამ

სანახაობით შემკრთალი. მას დუმილით უელიდა შორი ახლოს. საშინელებისა და განცვიფრების გრძნობას განსაკუთრებით განიცდიდა ახალგაზრდობა, რომელსაც ისე წარმოედგინა, რომ იგი მოწმე იყო არისტოკრატიის მიერ რაღაც უფლების ძალით მოწყობილი, წინაპართაგან ნაანდერძევი, რომელიღაც მსხვერპლის შეწირვისა.

2. განვლო რა ფორუმი და მივიდა რა ციხის შენობასთან, ციცერონმა გადასცა ლენტულუსი ჯალათსა და უბრძანა მისი დასჯა. შემდეგ, რიგრიგობით, ცეტეგუსით დაწყებული, მან ყველა დანარჩენნი თვითეულად მიიყვანა იქვე და გასცა განკარგულება დაეხოცათ ისინი. რადგან ციცერონი ხედავდა, რომ მრავალი შეთქმულთაგანი ფორუმზე ტრიალებდა ჯერ ისევ, არ იცოდა რა საქმის ვითარება, და ეგონათ რა, რომ პატიმრები ცოცხლები იყვნენ, უცდიდნენ ღამეს, რათა ისინი ძალით გაეთავისუფლებიათ, — მან მიმართა ბრბოს და ხმა მაღლა განაცხადა: „მათ გაასწორეს თავისი ანგარიშები სიცოცხლესთან“ — ამ გამოთქმას რომაელები ხმარობენ სიკვდილის აღსანიშნავად, როდესაც არ სურთ დამსწრეთა სმენა სევდის მომგვრელი სიტყვით დაამძიმონ. უკვე დაღამდა და ციცერონი ფორუმზე გავლით შინ ბრუნდებოდა. მოქალაქენი უკვე აღარ სდუმდნენ და მიაცილებდნენ მას ერთიმეორეში არეულნი, მაგრამ სადაც კი გამოჩნდებოდა იგი, მას ყველგან შეძახილებითა და ტაშისცემითა ხვდებოდნენ. უწოდებდნენ რა მას სამშობლოს მხსნელსა და დაძფუძნებელს. ქუჩები გაკაშკაშებული იყო, რადგან ყველა სახლის კარებში გამოდგმული იყო შანდლები და მაშხალები. ქალები სახლების ბანებიდან ანათებდნენ გზას, რათა პატივი ეცათ და დაენახათ ის ადამიანი, რომელიც არისტოკრატთა ჯგუფით გარშემორტყმული, საზეიმოდ მიაბიჯებდა. ამ ხალხის უმრავლესობას ისინი შეადგენდნენ, რომლებსაც უდიდესი ომები ბეღნიერად დაუმთავრებიათ, ტრიუმფი დაუმსახურებიათ და სახელმწიფოსთვის არამცირედი მოცულობის მიწა-წყალი შემოუერთებიათ. ისინი მიდიოდნენ და საუბრობდნენ იმაზე, რომ მაშინღელ ბევრ სარდალს რომაელი ხალხი უნდა უმადლოდეს სიმდიდრეს, დავლასა და ძლიერებას, მაგრამ მხოლოდ ციცერონს, რომელმაც მას თავიდან აიცდინა ესოდენ დიდი საფრთხე, ერთს უნდა უმადლოდეს თავის უშიშროებასა და ხსნას.

4. მათ ხომ იმდენად ის არ აკვირვებდათ, რომ ხელი შეუშალა მოხსენებული ამბების განვითარებას, არამედ ის ანცვიფრებდათ, რომ მან სახელმწიფო გადატრიალების ყველაზე მნიშვნელოვანი ცდის, რომელიც კი ოდესმე ყოფილა. ლიკვიდაცია მოახერხა ყოველგვარი მღელვარებისა და აურზაურის გარეშე და რაიმე მნიშვნელოვანი მსხვერპლის გარეშე. საქმე ის არის, რომ კატილინას მომხრეთა უმეტესობა, ლენტულუსისა და ცეტეგუსის ხვედრის გაგების შემდეგ, მას ზურგს შეაქცევს და მიმოიფანტება. თვითონ იგი, მასთან დარჩენილ ჯარის ნაწილთან ერთად, შეებრძოლა ანტონიუსს და თავისი ჯარითურთ ამ ბრძოლაში დაიღუპა.

კ ა ტ ი ლ ი ნ ა ს შ ე თ ქ მ უ ლ ე ბ ა

დიონ კასიუსი — რომის ისტორია, წიგნი, 37.

29.

1. ხოლო რაც შეეხება კატილინას, იგი დაიღუპა შემდეგნაირად და შემდგომ მიზეზთა გამო. იმის გამო, რომ კატილინა კვლავ ცდილობდა მიეღო კონსულობა[258] და ყოველ ღონეს ხმარობდა ამის მისაღწევად, სენატმა, ციცერონის დაჟინებით, ამომრჩეველთა მოსყიდვისთვის დადგენილ წინანდელ სასჯელებს მიუმატა 10 წლის ვადით გაძევება. მიხვდა რა, რომ ეს დადგენილება მის წინააღმდეგ იყო მიმართული — და ეს ხომ ნამდვილად ასეც იყო — კატილინამ შეაგროვა ერთი მუჭა ხალხი განიზრახა კომიციების დროს მოეკლა ციცერონი და აგრეთვე რამდენიმე წარჩინებული, რათა იგი დაუყოვნებლივ კონსულად გამოეცხადებიათ. მაგრამ მან ამის შესრულება ვერ შესძლო, რადგან ციცერონმა შეიტყო მისი ვერაგი განზრახვა, აცნობა იგი სენატს, ხოლო კატილინას მკაცრი საყვედურებით თავს დაესხა. ვერ შესძლო რა დაერწმუნებია სენატორები მიეღოთ რომელიმე იმ ღონისძიებათაგან, რასაც იგი საჭიროდ თვლიდა — ვერ შესძლო, რადგან მისი მხილება არ იყო დამაჯერებელი, და გარდა ამისა, თვით მასზე ჰქონდათ ეჭვი, რომ მათ ბრალს სდებდა პირადი მტრობის გამო, — ციცერონი შიშის გრძნობამ მოიცვა, რადგან უამისოდაც კატილინა მის წინააღმდეგ ამხედრებული იყო. ვერ გაბედა რა გაუფრთხილებლობა, რაც მას საერთოდ არცა სჩვეოდა, ციცერონი სახალხო კრებაზე გამოცხადდა მეგობრების თანხლებით, რომლებიც მზად იყვნენ დაეცვათ იგი, თუ მას რამე საფრთხე დაემუქრებოდა, და თვითონაც როგორც პირადი უშიშროებისათვის, ისე იმ მიზნით, რომ შეთქმულთა მიმართ სიძულვილი გამოეწვია, ჩაიცვა აბჯარი, რომელსაც ამასთანავე განგებ აჩენდა ტანისამოსის ქვეშიდან. ყველაფერი ეს და გავრცელებული ხმა იმის შესახებ, რომ კონსულზე თავდასხმას აპირებენო — ძლიერ აღელვებდა ხალხს, რის გამოც კატილინას შეშინებულმა მომხრეებმა ვეღარაფერი გაბედეს და წყნარად იყვნენ.

30.

მაგრამ კონსულებად არჩეულ იყვნენ სხვები და კატილინა განიზრახავდა ბოროტმოქმედებას არა მხოლოდ ციცერონის, არამედ მთელი სახელმწიფოს მიმართ, რაც არავისთვის უკვე საიდუმლოებას აღარ შეადგენდა. იგი თავის ირგვლივ თავს უყრიდა მომხრეთა დიდ რაოდენობას რომაელი საზოგადოების ყველაზე დაცემული ნაწილიდან, რომელ-

საც მუდამ იტაცებს გადატრიალების სურვილი, რასაც მათთვის უნდა მოჰყვეს ვალების შემცირება, მიწის გადანაწილება და სხვა ყველაფერი, რაც მათთვის განსაკუთრებით წარმტაცი უნდა ყოფილიყო. ხოლო წარჩინებულნი და დიდად გავლენიანი პირები, რომელთა შორის იყო აგრეთვე ანტონიუსი, მან გადაიბირა უწმინდური შელოცვებით. ხოლო ყველაზე მეტად რომში კატილინას ხელს უწყობდნენ კონსული ანტონიუსი და პუბლიუს ლენტულუსი, რომელიც თავისი კონსულობის შემდეგ გაძევებული იყო სენატიდან, ახლა ასრულებდა პრეტორის მოვალეობას, სურდა რა ამით კვლავ დაბრუნებოდა სენატორთა წოდებას; ხოლო ფეზულში კი — მის მომხრეებს აერთიანებდა ვანმე გაიუს მანლიუსი, სამხედრო საქმეში დიდად გამოცდილი კაცი — ის ხომ სულას არმიაში ცენტურიონის თანამდებობაზე ნამსახური იყო,—მაგრამ დიდი მფლანგველი. სამარცხვინოდ გაანიავა რა მთელი თავისი საკმაოდ მნიშვნელოვანი ქონება, იგი ეხლა ეძებდა მისი შეძენის ახალ უკანონო გზებს.

31.

შეთქმულთა ამ სამზადისის დროს ციცერონმა პირველ ყოვლისა მიიღო ცნობა ყველაფერზე, რაცა ხდებოდა, ანონიმური წერილების საშუალებით, რომლებიც კრასუსისა და სხვა გავლენიან პირთა სახელზე იყო გაგზავნილი. ამათ საფუძველზე ოფიციალურად აღიარებულ იქნა, რომ არეულობა უდავო ფაქტია და რომ მის გამომწვევთა მიმართ საჭიროა გამოძიების წარმოება. შემდგომში, შეიტყეს რა ეტრურიაში რაცა ხდებოდა, სენატორებმა ამ დადგენილებას მიუმატეს პუნქტი, რომლის საფუძველზეც, დადგენილი ჩვეულების თანახმად, კონსულებს ევალებოდათ ქალაქისა და მთელი სახელმწიფოს დაცვა, რაც ფიქსირებული იყო დადგენილებისადმი დართული ფორმულით, რომელიც ამბობდა: „დეე, იზრუნონ კონსულებმა, რათა სახელმწიფოს ზიანი არა მიადგეს რაო". ამისდაგვარმა ღონისძიებებმა და აგრეთვე ქალაქის სხვადასხვა ნაწილში დადგენილმა გუშაგებმა, მართლა შეუშალა ხელი დედაქალაქში მოძრაობის განვითარებას, რის გამოც ციცერონს ბრალი დასდეს ცილისწამებაში. მაგრამ სამაგიეროდ ეტრურიიდან მოსულმა ხმებმა დაადასტურა მის მიერ წამოყენებული ბრალდება და საჭირო გახადა გადაწყვეტილება, რომლითაც კატილინა ძალდატანებითი მოქმედებისთვის დამნაშავედ იქნა ცნობილი.

32.

ამ ბრალდებას კატილინა ჯერ გულგრილად შეხვდა, თითქოს მისი სინდისი სრულიად სუფთა ყოფილიყოს. მან ისე მოაჩვენა, თითქოს იგი ემზადებოდა სასამართლო პროცესისათვის და სთხოვა ციცერონს სახლში პატიმრობის ქვეშ ჰყოლოდა იგი თავისთან, რათა მისი მოსალოდნელი

ვაქცევის შესახებ შიში გაქარწყლებულიყო. რადგანაც ციცერონმა უარი თქვა მის დაცვაზე, კატილინა, ცდილობდა რა თავიდან აეცდინა ეპვი მოძრაობაში რაიმე მონაწილეობაზე, თავისი ნებით მოთავსდა პრეტორ მეტელუსის სახლში და უცდიდა იმ მომენტს, როდესაც რომში მყოფი მისი მომხრეები მისთვის უფრო მყარ პოზიციას უზრუნველყოფდნენ. მაგრამ რადგანაც მის საქმეს წარმატება არ ეტყობოდა, ვინაიდან შეშინებული ანტონიუსი მერყეობდა, ხოლო ლენტულუსი არავითარ აქტივობას არ იჩენდა, კატილინამ წინადადება მისცა თავის მომხრეებს ღამით შეკრებილიყვნენ ერთ-ერთ სახლში. მეტელუსის სახლიდან გამოპარული, იგი გამოცხადდა შეთქმულებთან და აღავსო ისინი საყვედურებით მათი გაუბედაობისა და სულმოკლეობის გამო; შემდეგ, ჩამოუთვალა რა ის უბედურებანი, რომლებიც მათ თავს გადახდებათ შეთქმულების გამომჟღავნების შემთხვევაში და მიუთითა რა იმ სიკეთეზე, რომელიც მათ ელით, თუ კი გაიმარჯვებენ, — მან მათში ისეთი რწმენა და გამხნევება გამოიწვია, რომ ორმა იქ დამსწრეთაგანმა თავს იდვა გათენებისას მისულიყვნენ ციცერონის ბინაში და იქ მოეკლათ იგი.

33.

ხოლო როდესაც ეს გეგმაც თავის დროზე გამომჟღავნდა, რადგანაც ციცერონი, რომლის ადვოკატური მოღვაწეობაც ფართოდ იყო ცნობილი, წარმოადგენდა ზოგისთვის პატივისცემის, ზოგისთვის კი შიშის საგანს და ამის გამო მას ბლომად ჰყავდა ამბის მომტანი ხალხი. — სენატმა გამოიტანა დადგენილება, რომლის თანახმადაც კატილინას უნდა დაეტოვებია ქალაქი. ამ საბაბით კატილინამ სიხარულით დასტოვა რომი და გაემართა რა ფეზულისაკენ, დაადგა აშკარა ომის გზას. აქ მან მიითვისა კონსულის ტიტული და მისი ღირსების ნიშნები და სათავეში ჩაუდგა მანლიუსის მიერ ადრევე მოგროვილ ჯარს. ამავე დროს მან შეიერთა აგრეთვე ზოგიერთი სხვა პარტიზანები, ხოლო შემდეგ მონებიც. ამის გამო რომაელებმა მას ბრალად დასდეს ძალდატანებითი მოქმედება, და, გაგზავნეს რა მის წინააღმდეგ ომში ანტონიუსი, რადგან არ იცოდნენ, რომ იგი მასთან საიდუმლოდ იყო შეთანხმებული, თვითონ სამგლოვიარო ტანისამოსით შეიმოსნენ. ყველა ამ გარემოებამ აიძულა ციცერონი რომიდან არსად წასულიყო. წილისყრით ხომ მას ხვდა მაკედონიის მმართველობა; მაგრამ იგი არ წავიდა მაკედონიაში, რომელიც დაუთმო თავის თანამდებობის ამხანაგს. რათა თვითონ უფრო მეტი ენერგიით შესდგომოდა სასამართლო პროცესებს. მომხდარი ამბების გამო იგი არ წავიდა აგრეთვე მახლობელ გალიაში, რომელიც მან მაკედონიის სამაგიეროდ მიიღო, არამედ თვით აიღო ხელში ქალაქის დაცვა და გალიაში კი მეტელუსი გაგზავნა იმ განზრახვით, რომ კატილინასთვის ხელი შეეშალა არ ეგდო ხელთ ეს ოლქი.

34.

ციცერონი კარგად მოიქცა, რომში რომ დარჩა, რადგან ლენტულუსი ხომ დანარჩენ შეთქმულებსა და ალობროგებთან ერთად, რომლებიც მან თავის მხარეზე გადაიბირა, როცა ისინი რომში ელჩებად იყვნენ ჩამოსული, — ემზადებოდა იმისთვის, რომ ქალაქის ნაწილისთვის ცეცხლი წაეკიდებია და მოეწყო ხოცვა-ჟლეტა. ციცერონმა განკარგულება გასცა დაეკავებიათ კატილინასთან გაგზავნილები, მიიყვანა ისინი წერილებითურთ სენატის სხდომაზე და გამოუცხადა რა მათ სრული ხელშეუხებლობა, ამგვარად გახსნა შეთქმულება. ამის გამო ლენტულუსი სენატორთა მოთხოვნით იძულებული გახდა პრეტორობაზე უარი ეთქვა და სხვა შეთქმულებთან ერთად დაპატიმრებულ იქნა, ხოლო შეთქმულების სხვა მონაწილეთა ძებნას შეუდგნენ...

35.

მაგრამ დაირხა ხმა, რომ კრასუსი შეთქმულების მონაწილეაო, რის შესახებაც ერთ-ერთმა შეთქმულმა განაცხადა. მაგრამ ეს ბევრმა არ დაიჯერა. ერთნი გადაჭრით უარზე იყვნენ რაიმე ბრალი დაედვათ ამ კაცისათვის. ზოგნი კი ფიქრობდნენ, რომ ამ ხმებს იმ მიზნით ავრცელებენ, რომ შეთქმულთ რამე დახმარება მიეღოთ კრასუსისგან, რომელსაც განსაკუთრებით დიდი გავლენა ჰქონდა. ხოლო თუ ზოგიერთს კიდევაც სჯეროდა ამ ხმებისა, მაინც არ უნდოდათ ამ კაცის დაღუპვა, რომელიც რომაელი საზოგადოების პირველ რიგებში იდგა, რათა ამით სახელმწიფოში უფრო მეტი არეულობა არ გამოეწვიათ; ისე რომ ეს ხმები სრულიად გაქრა. ამასობაში ბრბო, რომელიც შესდგებოდა როგორც მონებისაგან, ისე თავისუფალთაგან, ემზადებოდა იმისთვის, რომ გაეთავისუფლებინა ლენტულუსი და სხვა პატიმარნი, რათა სიკვდილისთვის ხელიდან გამოეგლიჯა ისინი; ამასთანავე პირველთ ამოქმედებდა შიში, მეორეებს კი ლენტულუსისა და სხვებისადმი სიძულვილი. შეიტყო რა ეს ციცერონმა, გააძლიერა კაპიტოლიუმისა და ფორუმის დაცვა... მოიწვია სენატის სხდომა და გამოიწვია რა სენატორებში შიშისა და ძრწოლვის გრძნობა, დააჯერა ისინი პატიმრებისთვის სიკვდილით დასჯის განაჩენი გამოეტანათ.

36.

კენჭისყრის დროს აზრთა სხვადასხვაობამ იჩინა თავი და შეთქმულნი კინაღამ გამართლებულ იქნენ. ციცერონმა ხომ, იმისდა მიუხედავად, რომ ყველა მომხრე იყო სიკვდილით დაესაჯათ შეთქმულნი, თვითონ შეიტანა წინადადება აღეკვეთათ მათთვის თავისუფლება, ჩამოერთმიათ

ქონება და გაენაწილებიათ ისინი სხვადასხვა ქალაქებში მოსათავსებლად იმ პირობით, რომ არასოდეს, არავის არ აღეძრა საკითხი მათი პატიების შესახებ და რომ რომელიმე მათგანის გაქცევის შემთხვევაში ის ქალაქი, საიდანაც იგი გაიქცა, რომაელთა მტრად ყოფილიყო მიჩნეული. ამ წინადადებას მხარი დაუჭირა ყველამ, ვინც კატონამდე ილაპარაკა, ამასთანავე ზოგიერთმა — თვით იმათგანაც კი, რომლებმაც ცეზარზე ადრე მისცეს ხმა, — ახლა თავისი პირვანდელი აზრი გამოცვალეს. მაგრამ როდესაც კატონმა სიკვდილით დასჯა მოითხოვა და მან მოახერხა ამ თავისი წინადადების ირგელივ გაეერთიანებია ყველა დანარჩენი სენატორი, რომლებსაც თავისი აზრი არ გამოეთქვათ, შეთქმულნი იმის გამო, რომ კატონის წინადადებამ გაიმარჯვა, ამ სასჯელით იქნენ დასჯილი...

39.

კატილინა დაიღუპა იმ წლის დამდეგისთანავე, როდესაც კონსულებად გახდნენ იუნიუს სილანი და ლუციუს ლიცინიუსი. მას, თუმცა ადრევე ჰყავდა საკმაო სამხედრო ძალა, მაგრამ ელოდებოდა, თუ როგორ გადაწყდებოდა ლენტულუსის ბედი, და საქმეს აგვიანებდა იმ იმედით, რომ, თუ ციცერონი და მისი მომხრეები ამოხოცილ იქნებოდნენ, მაშინ იგი თავის საქმეს ადვილად დააგვირგვინებდა. ხოლო როდესაც მან ლენტულუსის დაღუპვა შეიტყო და მიხვდა, რომ ამის გამო ბევრი მისი მომხრე ცდილობს პოზიცია გამოიცვალოს, და აგრეთვე ანტონიუსი და მეტელუს ცელერი შემოადგნენ ფეზულს და არ აძლევენ მას ნაბიჯის გადადგმის საშუალებას, იგი იძულებული გახდა მიეღო უკიდურესი გადაწყვეტილება, და რადგან მოწინააღმდეგეთა ძალები ორ არმიად გაიყო, — იგი გაემართა ანტონიუსისაკენ, იმისდა მიუხედავად, რომ ეს უკანასკნელი, მისი მაღალი თანამდებობის გამო ჯარის უმეტეს ნაწილს უფროსობდა. იგი ასე მოიქცა იმით დაიმედებული, რომ ანტონიუსი, როგორც შეთქმულების მონაწილე, მის მხარეზე გადავიდოდა. მაგრამ ეს უკანასკნელი მიუხვდა განზრახვას და ბრძოლის დროს ჯარის უფროსობა ავადმყოფობის მომიზეზებით გადასცა მარკოს პეტრეიუსს, რადგან ჯერ ერთი მას არ სურდა ყოფილიყო კატილინას მეგობარი, რომელიც ასეთ გაჭირვებაში იყო ჩავარდნილი, და მეორეს მხრივ მას ეშინოდა, რომ კატილინა, დაინახავდა რა სასტიკ წინააღმდეგობას, მას ალბათ საყვედურებით აავსებდა და შეიძლება რომელიმე საიდუმლოებასაც საჯეყონდ გახდიდა.

40.

ამგვარად პეტრეიუსი შეებრძოლა და უმნიშვნელო ზარალის შემდეგ დაამარცხა კატილინა და მისი სამი ათასი მებრძოლი, რომლებმაც უსას-

ტიკესი წინააღმდეგობა გასწიეს. არცერთი მათგანი ხომ არ გაქცეულა და ყველა თავის ადგილზე დაეცა. ამიტომაც თვით გამარჯვებულნიც ძალიან ნანობდნენ და აწუხებდათ რესპუბლიკის ბედი, რომელმაც ამდენი მამაცი ხალხი დაკარგა, რომელთაც სიკვდილი დაიმსახურეს, მაგრამ ამისდა მიუხედავად ისინი მაინც რესპუბლიკის მოქალაქენი და მოკავშირენი იყვნენ. თავის მხრით ანტონიუსმა კატილინას თავი დედაქალაქში გაგზავნა, რათა მცხოვრებნი მის სიკვდილში დარწმუნებულიყვნენ და საფრთხისა აღარ შინებოდათ. ხოლო მოპოვებული გამარჯვების გამო ანტონიუსმა მიიღო „იმპერატორის“ ტიტული, თუმცა დახოცილ მოწინააღმდეგეთა რიცხვი გაცილებით ნაკლები იყო, ვიდრე ეს კანონით იყო დადგენილი.

პირველი ტრიუმვირატი

დიონ კასიუსი, წიგნი XXXIV, 55 — 58.

ცეზარმა აღადგინა კრასუსსა და პომპეუსს შორის თანხმობა არა იმიტომ, რომ მას სურდა ენახა მათი მეგობრობით ცხოვრება, არამედ იმიტომ, რომ ისინი მეტად ძლიერი იყვნენ. მან იცოდა, რომ მათი, ან ერთი რომელიმე მათგანის, დახმარების გარეშე, მას არ ექნებოდა განსაკუთრებული ძალა და რომ, თუ იგი ერთ-ერთ მათგანს, სულერთია რომელიც იქნებოდა, თავის ინტერესებთან დააკავშირებდა, — მეორე ამის გამო მის მოწინააღმდეგედ გადაიქცეოდა, რომელიც მას გაცილებით მეტ ზიანს მოუტანდა, ვიდრე ის, ვინც მან თავის მხარეზე დააყენა, მისთვის სასარგებლო აღმოჩნდებოდა...

ასეთი იყო ის მოსაზრება, რამაც მაშინ აიძულა ცეზარი მოეპოვებია კრასუსისა და პომპეუსის მისდამი კეთილგანწყობილება და შეერიგებინა ისინი. იგი დარწმუნებული იყო, რომ იგი უიმათოდ ძლიერი ვერასოდეს შეიქმნებოდა და არც ფიქრობდა როდისმე რომელიმესთვის ეწყენინებია. მას არ ეშინოდა არც იმისი, რომ შერიგების შემდეგ ისინი მასზე ძლიერი შეიქმნებოდნენ, მშვენივრად იცოდა რა, რომ დამეგობრების უმალ, იგი მათზე მაღლა აღმოჩნდებოდა და მალე, როგორც ერთი, ისე მეორე ხელს შეუწყობდა იმას, რომ იგი თავისზე ძლიერად ექციათ. ასეც მოხდა.

აი, ასეთი განზრახვით შეარიგა ცეზარმა ისინი და ცდილობდა დაეკავშირებინა ისინი თავისთან. თავისი მხრით პომპეუსი და კრასუსი, პირადი მიზნებით ამოძრავებულნი, ჩამოაგდებენ ზავს, როგორც კი დამშვიდდნენ, და თავიანთ გეგმებს ცეზარიც შეუერთეს. პომპეუსი არ იყო იმდენად ძლიერი, როგორც მას სურდა; ამავე დროს იგი ხედავდა, რომ კრასუსს დიდი ძალა გააჩნდა, ხოლო ცეზარი თანდათან მეტსა და მეტს გავლენას იძენდა და მას ეშინოდა ამათ შორის არ გასრესი-

ლიყო. და ბოლოს მას ხიბლავდა იმედი, რომ მათთან შეერთების შემდეგ. მათი ხელშეწყობით აღიდგენდა თავის წინანდელ ძლიერებას. კრასუსი ფიქრობდა, რომ მისი შთამომავლობა და სიმდიდრე მას სხვებზე მაღლა დააყენებდა. იგი, ბევრად დაბლა იდგა რა პომპეიუსზე და დარწმუნებული იყო რა, რომ ცეზარი დიდი საქმისთვის არის მოწოდებული, მიისწრაფოდა იქითკენ, რათა ისინი ურთიერთშორის ბრძოლაში ჩაეთრია, რომ არც ერთი და არც მეორე მასზე უფრო ძლიერი არ გამხდარიყო. იგი იმედოვნებდა, რომ ვიდრე ისინი თანაბარ ძალთა ბრძოლაში იქნებოდნენ გართული, იგი ისარგებლებს მათი მეგობრობით და მათზე უფრო მეტ პატივს მიიღებს. კრასუსი, მართლაც თავისი პოლიტიკის მიზნად არ ისახავდა არც სენატისა და არც ხალხის ტრიუმფს, არამედ ყველაფერს მხოლოდ პირადი განდიდების მიზნით აკეთებდა. იგი ამდენადვე ისწრაფოდა იქითკენ, რომ სენატი და ხალხი შეერიგებინა, არ დაემსახურებია მათი სიძულვილი, ერთისთვისაცა და მეორესთვისაც თავი მოეწონებია იმდენად, რამდენადაც ეს საჭირო იყო, მათ იგი იმის მიზეზად ჩაეთვალათ, რაც მათთვის სასიამოვნო იყო, ისე რომ მარცხი კი მისთვის არ დაებრალებიათ.

ამგვარად, ამ მიზეზთა გამო, ეს სამი პირი ერთი მეორეს დაუმეგობრდა. მათ ფიცით განამტკიცეს თავიანთი კავშირი და დაეუფლნენ სახელმწიფოს მმართველობას. ამ დროიდან ისინი ურთიერთშორის შეთანხმდნენ და იღებდნენ ერთიმეორისაგან იმას, რაც სურდათ და რაც საჭირო იყო იმისათვის, რომ რესპუბლიკა ისე მოეწყოთ, როგორც მათთვის სასურველი იყო. კეთილგონიერების ერთგვარი კვალი შერჩათ მხოლოდ კატონსა და იმათ, ვისაც სურდა იმავე გრძნობით გამშვალულიყო, როგორც ის, რადგან იმათ შორის, ვინც საზოგადოებრივ საქმიანობას ეწეოდა, არცერთი, კატონის გარდა, არ გამოირჩეოდა თავისი მოუსყიდობითა და პირადი დაუინტერესობლობით. ზოგი მოქალაქე წითლდებოდა იმის გამო, რაც ხდებოდა, სხვები კი, ჰბაძავდნენ რა კატონს, იღებდნენ მმართველობაში მონაწილეობას და ზოგიერთ შემთხვევაში ამ მაგალითის ღირსნი აღმოჩნდნენ; მაგრამ მათ ეს ვერ განაგრძეს, რადგან მათი მცდელობა ხელოვნური იყო და თავის წყაროდ ბუნებრივი სიქველე არ გააჩნდა მას.

აი რა მდგომარეობაში ჩააყენა რომაელთა საქმეები სამმა პირმა, რომლებიც, რამდენადაც კი შეეძლოთ, მალავდნენ თავიანთ ურთიერთ ფიცით შეკრულობას. ისინი მხოლოდ იმას აკეთებდნენ, რასაც ურთიერთ თანხმობით გადაწყვეტდნენ. მაგრამ ისინი ჰფარავდნენ ამას და ერთიმეორის მიმართ მტრული მოწინააღმდეგის სახეს იღებდნენ, რათა მათი ერთიანობა რაც შეიძლება დიდხანს უცნობი დარჩენილიყო, ე. ი. ვიდრე ისინი სათანადოდ მოემზადებოდნენ...

იულიუს ცეზარის აგრარული კანონი

დიონ კასიუსი, წიგნი XXXVIII, 1—3.

მომდევნო წელს ცეზარი ცდილობდა მოეგო მთელი ხალხის გული, რათა უფრო მეტად გაეხადა მისგან დამოკიდებული, მაგრამ სურდა რა მოეჩვენებია, რომ ოპტიმატების ინტერესებსაც არ ივიწყებდა, იგი იმეორებდა, რომ არ შეიტანდა ისეთ წინადადებას, რომელიც მათთვის სასარგებლო არ იქნებოდა და მართლაც მან შეიტანა კანონი მიწის შესახებ, რომელიც უნდოდა ხალხისთვის გაენაწილებია, და იგი ისე იყო შედგენილი, რომ რაიმე საყვედურის საფუძველს არ იძლეოდა, თვითონაც თავს ისე აჩვენებდა, თითქოს მან მისი წარდგენა ოპტიმატების თანხმობის გარეშე ვერ გაბედა. არავის არ ჰქონდა საბაბი ამ კანონის გამო მას დამდურებოდა, რადგანაც რომის მოსახლეობას, რომლის სიჭარბეც იყო არეულობათა მთავარი მიზეზი, ეძლეოდა საშუალება შრომისა და მინდვრად მუშაობისა, და იტალიის ოლქთა უმრავლესობა, რომლებიც გაუკაცურებული იყო, კვლავ დასახლებული ხდებოდა. ეს კანონი აძლევდა საარსებო საშუალებას არა მხოლოდ იმათ, ვინც ომის საშინელება განიცადეს, არამედ ყველა დანარჩენ მოქალაქეებსაც, ისე რომ არც სახელმწიფოს მოსდიოდა რამე ხარჯი და არც ოპტიმატებისთვის იყო საწუენი; პირიქით, იგი ბევრს პატივითა და უფლებით მოსავდა. ცეზარი იძლეოდა გასანაწილებლად ყველა მიწას, რომლებიც საზოგადოებრივ კუთვნილებას შეადგენდა, გარდა კამპანიისა — იგი ფიქრობდა, რომ ეს ოლქი მისი მოსავლიანობის გამო სახელმწიფოს უნდა შერჩენოდა. ცეზარს სურდა, რომ ამ მიწებიდან არც ერთი არ გამოერთმეოდა მის მფლობელთ ძალით, არც უნდა გამოეყიდათ იმ ფასად, რასაც დაადგენდნენ ის პირნი, რომლებსაც მიწების განაწილება ჰქონდა დავალებული, არამედ ისინი ნებაყოფლობით უნდა დაეთმოთ და მიეღოთ ის საფასური, რაც ცენზორთა სიებში იყო აღნიშნული. ის ამბობდა, რომ სახელმწიფო ხაზინაში დიდძალი თანხა იყო მოგროვილი, რასაც შეადგენდა პომპეიუსის მიერ მოპოვებული დავლა, ბეგარა-გადასახადები, და რომ ეს ფული — მოქალაქეთაგან თავგანწირვით მოპოვებული, მათვე უნდა მოხმარდეთო. მან არ დაადგინა მიწისმზომელ მოხელეთა მცირე რიცხვი, იმიტომ რომ ამათგან ოლიგარქია არ წარმომდგარიყო, არც მათ რიცხვში ისინი გაურია, ვისაც რაიმე სასჯელი ჰქონდა დადებული, რათა ამით გაღიზიანება არ გამოეწვია. მან დაადგინა ოცი კაცი, რათა ამ საქმეში მონაწილეობის პატივი მეტ ხალხს ხვდომოდა, და ამოარჩია ყველაზე ნიჭიერნი, თავისი თავი კი გამორიცხა. ამას ის ადრევე აცხადებდა, რათა არ ეფიქრათ, რომ მისი წინადადება პირადი ინტერესებით იყო ნაკარნახევი. მისი სიტყვით იგი კმაყოფილდებოდა იმით, რომ თვითონ იყო ამ საქმის მიზეზი და წამომწყები. მაგრამ აშკარა იყო, რომ ამით მას სურდა ეამებინა პომ-

პეუსისთვის, კრასუსისთვის და სხვებისთვის. ამგვარად ცეზარი ამ მხრივ უვნებელი იყო და მის წინააღმდეგ კრინტს ვერავინ დასძრავდა. მან თავისი წინადადება ჯერ სენატში წაიკითხა, შემდეგ თვითეულ სენატორს ეკითხებოდა, ხომ არ იყო ამ წინადადებაში რამე დანაშაულებრივი, აღუთქვა რა, რომ თუ ვისმე რამე არ მოეწონებოდა, იგი შესცვლიდა ან სრულიადაც მოსპობდა წინადადებას. საერთო მასა, თითქმის ყველა ოპტიმატები, რომლებიც შეთქმულების გარეშე იდგნენ, უკმაყოფილო იყვნენ. მათ ყველაზე მეტად ის აწუხებდათ, რომ ცეზარმა მოახერხა ისე შეეთხზა კანონი, ე. ი. ისეთი რედაქცია მიეცა მისთვის, რომ მისი ინიციატორი რაიმე საყვედურისგან თავისუფლდებოდა, ხოლო კანონის მთელი სიმძიმე ოპტიმატებს აწვებოდა. მათ ცეზარზე ეჭვი ჰქონდათ, და ეს სინამდვილეში ასეც იყო, რომ მას ამ კანონით სურდა მათთვის ჩამოეცილებინა ბრბო და თვითონ მოეხვეჭნა სახელი და ყველაზე გავლენა. ამგვარად ისინი არც წინააღმდეგი იყვნენ კანონისა, თუმცა არც იწონებდნენ მას. სხვები ასეთი დამოკიდებულებითა კმაყოფილდებოდნენ: ისინი განუწყვეტლივ აღუთქვავდნენ ცეზარს მხარდაჭერას, მაგრამ საქმით კი არაფერს აკეთებდნენ და მხოლოდ საქმის გადადებასა და დაგვიანებას უწყობდნენ ხელს.

ხოლო რაც შეეხება კატონს, რომელიც საერთოდ კეთილგონიერი, ყოველგვარი სიახლის წინააღმდეგი, მაგრამ დამაჯერებლობის უნარს მოკლებული ადამიანი იყო, არც ის ესხმოდა თავს ცეზარის წინადადებას, მაგრამ საერთოდ იმ აზრზე იდგა, რომ დაკმაყოფილებულიყვნენ რესპუბლიკის თანამედროვე მდგომარეობით და ამის იქით აღარაფერს ცდილიყვნენ. როდესაც მან ეს აზრი გამოთქვა, ცეზარმა განიზრახა კატონი სენატიდან ციხეში წაეთრიევნა. მაგრამ კატონი დიდი ხალისით დანებდა ციხეში წასაყვანად და მის მაგალითს ბევრმა სენატორმა მიჰბაძა. ერთმა მათგანმა, მარკოს პეტრეიუსმა, ცეზარის საყვედურზე. რომ იგი მიდის, ისე, რომ სხდომა არ დამთავრებულა, უპასუხა: „მე მირჩევნია კატონთან ციხეში ვიყო, ვიდრე აქ. შენთანო". ცეზარს შერცხვა, კატონი გაათავისუფლა და დახურა სენატის სხდომა, — მხოლოდ ესა თქვა: „მე თქვენ ამ კანონის ბატონები და მსაჯულები გაგხადეთ, რათა, თუ თქვენ რამე არ მოგეწონებოდათ, არ წარმედგინა იგი ხალხისთვის განსასჯელად, მაგრამ რადგანაც თქვენ არ მოისურვეთ წინასწარ გამოგეთქვათ თქვენი აზრი, მაშ ხალხი თვითონ გადაწყვეტსო".

ცეზარისა და პომპეუსის ბრძოლა.

პომპეუსის ძალები

იულიუს ცეზარი — სამოქალაქო ომის შესახებ, წიგნი III, 4.

ლეგიონები პომპეუსმა შეადგინა რომაელ მოქალაქეთაგან: 5 მან იტალიიდან გადაიყვანა; ერთი ძველი — კილიკიიდან, რომელიც ორი ლეგიონისგან იყო შედგენილი და იგი ორმაგს უწოდებდა; ერთი კრე-

ტადან და მაკედონიიდან, რომელიც შედგენილი იყო წინანდელი სარდლების მიერ დათხოვნილ მებრძოლ ვეტერანებისაგან, ამ პროვინციებში რომ დასახლდნენ; ორი — აზიიდან, რომლებიც კონსულ ლენტულუსის მზრუნველობით იყო შეგროვილი. ამას გარდა დამატების სახელწოდებით მან გაანაწილა ლეგიონებში მებრძოლთა დიდი რაოდენობა ბეოტიიდან, თესალიიდან, აქაიდან და ეპირიდან; მათვე შეურია მან ანტონიუსის ჯარისკაცები. ამ ლეგიონთა გარდა იგი სირიიდან ელოდა ორ ლეგიონს სციპიონთან ერთად. რაც შეეხება მსროლელთ, ისინი მას ჰყავდა სამი ათასი კრეტადან, ლაკედემონიიდან, პონტოდან, სირიიდან და სხვა სახელმწიფოებიდან; მეშურდულენი ჰყავდა ორი ექვსასკაციანი კოჰორტა; ცხენოსანნი შვიდიათასი. ამათგან 600 გალი მოიყვანა დეიოთარმა, 500 — არიობარზანმა კაპადოკიიდან; დაახლოვებით ამდენივე მისცა კოტისმა თრაკიელმა და გაგზავნა თავისი ვაჟი სადალა; 200 მაკედონელი იყო, რომელთაც სიმამაცით განთქმული რასკიპოლისი სარდლობდა; ალექსანდრიიდან მოვიდა 500 გალი და გერმანელი, რომლებიც იქ ავლუს გაბინიუსის მიერ იყვნენ დატოვებული მეფე პტოლემაიოსის დასაცავად; ისინი ფლოტით გადმოიყვანა პომპეიუსის ვაჟმა; 800 მან მოაგროვა თავისი და თავისიანების მონებისა და მწყემსებისაგან; 300 მისცეს მას ტარკონდარიუს კასტორმა და დონილაოსმა გალოსაბერძნეთიდან; ამათგან პირველი თვითონაც მოვიდა, მეორემ კი ვაჟი გამოგზავნა; 200 გამოგზავნილი იყო ანტიოქ კომაგენელის მიერ, რომელიც პომპეიუსისგან დიდად იყო დაჯილდოვებული; ამათ უმრავლესობას ცხენოსანი მსროლელნი შეადგენდნენ. ამათვე შემოუერთა მან დარდანები, ბესსები, ნაწილობრივ დაქირავებულნი, ნაწილობრივ ბრძანებითა და განკარგულებით მოპოვებულნი, აგრეთვე მაკედონელები, თესალიელები და სხვა ტომთა და სამეფოთა წარმომადგენლები და შეავსო ჩვენს მიერ ზემოთ ნაჩვენები რიცხვი.

ცეზარის დიქტატურა და მისი სიკვდილი.

სვეტონიუსი — ცეზარის ბიოგრაფია, 76, 81—82.

ცეზარმა უზომო პატივი მიითვისა: კონსულობა გამოუცველად, მუდმივი დიქტატურა, ზნეობაზე მთავარი მეთვალყურეობა, ამას გარდა სახელის წინ იმპერატორის ტიტულის მიმატება, სახელწოდება „სამშობლოს მამა“, ქანდაკება მეფეთა გამოსახულებათა შორის, ორკესტრში ამაღლებული დასაჯდომი ადგილი. მაგრამ ცეზარისთვის ესეც ცოტა იყო. მან დაუშვა აგრეთვე თავისთვის ისეთი ჯილდოები, რომლებიც მეტისმეტად ბრწყინვალე იყო უმაღლესი მდგომარეობისთვისაც კი, როგორსაც შეუძლია ადამიანმა მიაღწიოს, სახელდობრ: ოქროს სავარძელი სენატში და სასამართლოს სხდომების ადგილას, ასეთივე ეტლი საცირკო პროცესიების დროს და ტახტრევანი თავისი გამოსახულების სატარებ–

ლად, როგორიც ღმერთებისთვის იხმარებოდა, ტაძრები, სამსხვერპლოები, ადგილი ღმერთების საზეიმო ნადიმზე, საკუთარი ქურუმი-ფლამინი, ქურუმ-ლუპერკალიების საკუთარი კოლეგია და თვით მისი სახელით წოდება. ამას უნდა ისიც მიემატოს, რომ ყველა საპატიო თანამდებობებს ცეზარი თავის ნებასურვილზე არიგებდა. მესამე და მეოთხე კონსულობას ის მხოლოდ ნომინალურად ასრულებდა, კმაყოფილდებოდა რა დიქტატორის ძალაუფლებით, რომელიც მას კონსულობასთან ერთად ჰქონდა მიღებული, და ამას გარდა ორივე წელს ის ინიშნავდა მოადგილეებად ორ კონსულს უკანასკნელი სამი თვისთვის, ამიტომაც იგი ტრიბუნებისა და პლებეების ედილთა გარდა სხვა არავის არჩევნებს არ ახდენდა, და პრეტორების მაგიერ ის ნიშნავდა პრეფექტებს, რომელთაც უნდა განეგოთ ქალაქის საქმეები მისი იქ არ ყოფნის დროს. ერთხელ მოხდა ისე, რომ კონსული უცაბედად გარდაიცვალა პირველი იანვრის წინ, მაშინ ცეზარმა განთავისუფლებული ადგილი მისცა სხვა პირს, რომელსაც მისი მიღება სურდა. ასეთივე თვითნებობითა და მამა-პაპათა ადათის სრული უგულებელყოფით იგი ირჩევდა თანამდებობის პირთ რამდენიმე წლით, მიუბოძა ათ ყოფილ პრეტორს კონსულის ნიშნები, მიანიჭა სხვადასხვა პირთ, მათ შორის ნახევრად ველურ გალებსაც, მოქალაქის უფლება და ყველა ისინი სენატში მიიღო. ამას გარდა ცეზარმა თავის საკუთარ მონებს ჩააბარა ფულის მოჭრის და სახელმწიფო გადასახადთა გამგებლობა. სწორედ ასევე მის მიერ ალექსანდრიაში დატოვებული სამი ლეგიონი ჩააბარა თავისი ლიბერტინ რუფიონის ვაჟს, რომელიც ძლიერ უყვარდა და სარდლობაც მასვე დაავალა.

მომავალი ძალდატანებითი სიკვდილი ცეზარისთვის ნაწინასწარმეტყველევი იყო სავსებით ცხადი ნიშნებით... ამ ნიშნებს არ შეეძლო მასზე არ ემოქმედა. გრძნობდა რა ამასთანავე თავს შეუძლოდ, იგი ყოყმანობდა დიდხანს, დარჩენილიყო თუ არა შინ და გადაედგა სენატის საქმეები; მაგრამ ბოლოს და ბოლოს დეციმუს ბრუტუსმა დაარწმუნა იგი ელირსებია მისი ხილვა იმათთვის, ვინც მრავლად და უკვე დიდი ხანია სენატში უცდიდა მას. და, აი, დაახლოვებით ხუთ საათზე ცეზარი სახლიდან გამოვიდა; გზაში შეხვედრილმა ვიღაცამ მას მიაწოდა წერილი, რომელშიაც შეთქმულებას აცნობებდნენ; მაგრამ ცეზარმა ეს წერილი შეურია იმ წერილებში, რომლებიც მარცხენა ხელში ეჭირა, ფიქრობდა რა მათს მალე წაკითხვას. შემდეგ იგი შეუდგა მსხვერპლის შეწირვას და თუმცა რამდენიმე პირუტყვი იქნა დაკლული, მაგრამ კეთილი ნიშნები მაინც ვერ მიიღო. ცეზარმა უგულებელყო ეს ნიშნები და კურიაში შევიდა; ამასთანავე მან დასცინა მისან სპურინას, რომელიც ეუბნებოდა ფრთხილად ყოფილიყო იგი ხუთმეტ მარტს და უკიჟინებდა ტყუილის თქმას, რადგანაც მარტის ხუთმეტი, ცეზარის თქმით, მისთვის უზიანოდ დაიწყო. ამის საპასუხოდ სპურინამ უთხრა: „დიაღ, მარტის ხუთმეტი დადგა, მაგრამ იგი ჯერ არ დამთავრებულაო“. ცეზარი რომ ჯდებოდა

თავის ადგილზე, მას შეთქმულნი გარს შემოეხვივნენ, ვითომდა პატივისცემის მიზნით და მაშინათვე ტილიუს კიმვრი, რომელმაც პირველობა იკისრა, მიუახლოვდა ცეზარს, ვითომდა რაღაც საქმეზე თხოვნით, მაგრამ ცეზარმა მას ხელი აუქნია და ანიშნა, რომ საქმე სხვა დროისთვის გადადებულიყო. მაშინ ტილიუსმა ხელი სტაცა მას ტოგაში ორივე მხრებზე. ცეზარმა წამოიძახა: „ეს ხომ ძალადობაა“-ო. მაგრამ აქ კასკათაგან ერთ-ერთმა ძმამ მას, როცა იგი შემობრუნდა, მიაყენა ჭრილობა საყლაპავს ცოტა ქვევით. ცეზარმა მაჯაში სტაცა ხელი კასკას და ატაკა მას საწერი ფოლადის ჩხირი, ცდილობდა რა წამომხტარიყო, მაგრამ მეორე ჭრილობამ მას ამის ნება არ მისცა. და როგორც კი შენიშნა, რომ მას ყოველმხრივ თავს ესხმიან ამოწვდილი ხანჯლებით, მან თავზე წაიხურა ტოგა და იმავე დროს მარცხენა ხელით ნაოჭები მკერდზე ჩამოიფარა, თითქმის კოჭებამდე. სურდა რა ღირსეულად დაცემულიყო და თანაც დაეფარნა სხეულის ქვედა ნაწილიც. ამ მდგომარეობაში იგი განგმირულ იქნა ოცდა სამი ჭრილობით და მხოლოდ პირველი ჭრილობის დროს დაიკვნესა, ისე რომ არც ერთი სიტყვა არ უთქვამს; თუმცა ზოგნი ამბობდნენ, რომ ვითომც მარკოს ბრუტუსს. რომელიც მას დასარტყმელად მივარდა, ცეზარმა ბერძნულად შესძახა: „შენც, შვილო?“ სუნთქვაშეწყვეტილი იგი იმავე ადგილას ეგდო რამდენიმე საათის განმავლობაში, რადგან ყველანი აქეთ-იქით გაიქცნენ. ბოლოს სამმა უბრალო მონამ დადვა იგი საკაცეზე, ისე რომ ცალი მკლავი გარეთ იყო გადმოკიდებული და შინ მიიტანეს. მკურნალ ანტისტიას დასკვნით ამდენ ჭრილობათა შორის, რაც ცეზარს მიაყენეს, სასიკვდილო აღმოჩნდა მხოლოდ მეორე, როდესაც მკერდში დაარტყეს. შეთქმულნი თავდაპირველად განიზრახავდნენ მისი გვამი ტიბრში გადაეგდოთ, მისი ქონება სახელმწიფო ხაზინაში შეეტანათ, გაეუქმებინათ მისი ბრძანებულებანი, მაგრამ კონსულ მარკოს ანტონიუსისა და ცხენოსანი ჯარის უფროსის ლეპიდუსის წინაშე შიშით, მათ ამ განზრახვაზე ხელი აიღეს.

მეოთხე ტრიუმვირატი

დიონ კასიუსი, III, 50 — 56.

მუტინთან გამარჯვების შემდეგ ოქტავიანემ გაილაშქრა ვითომდა ანტონიუსისა და ლეპიდუსის წინააღმდეგ. სახელდობრ, როცა ანტონიუსი ბრძოლის ველიდან გაიქცა, მას არ გამოჰკიდებია არც ოქტავიანე, რადგან ომის წარმოება დეციმუსს დაევალა, და არც დეციმუსი, რადგან მას არ სურდა ოქტავიანეს მტრის მოსპობა. ამიტომაც ანტონიუსმა მოუყარა რა თავი ომში გადარჩენილთ, რამდენიც კი მოახერხა, მივიდა ლეპიდუსთან. ამანაც, რომელიც აგრეთვე მომზადებული იყო სენატის დადგენილების თანახმად ჯარი იტალიაში წაეყვანა, კვლავ მიიღო გან-

კარგულება დარჩენილიყო იმ ადგილას, სადაც იმყოფებოდა. სახელდობრ, სენატორებმა გაიგეს რა, რომ სილანუსი ანტონიუსს შეუერთდა და ეშინოდათ რა, რომ ლეპიდუსი და ლუციუს პლანკიც ანტონიუსს შეუერთდებოდნენ აგრეთვე, შეატყობინეს მათ, რომ ისინი რესპუბლიკისთვის სრულიად საჭირო არ არიან. ხოლო, რათა მათ რაიმე ცუდის მოლოდინში ეჭვით შეპყრობილთ რამე ცუდი არ ჩაედინათ, მათ მიიღეს სენატისაგან ბრძანება დაეარსებინათ ქალაქი იმათთან ერთად, ვინც ოესსლიც ალობროგების მიერ ნარბონის პროვინცია ვიენიდან განდევნილნი, დასახლებული იყვნენ მდინარეების არარისა და რონის შესაყართან. ამგვარად, ისინი იქ გაჩერდნენ და ააშენეს ქალაქი ლუგდუნი, რომელსაც წინათ ლუგუდუნი ეწოდებოდა; ისინი ასე მოიქცნენ იმიტომ კი არა, რომ არ შეეძლოთ, თუ კი სურდათ ჯარით იტალიაში წასულიყვნენ, რადგან მაშინ სენატის დადგენილებას არავითარი ძალა არა ჰქონდა იმათ წინააღმდეგ, ვისაც ჯარი ჰყავდა, არამედ მათ სურდათ დაეცადნათ რით გათავდებოდა ანტონიუსთან ომი. და ამასობაში თავი მოეჩვენებინათ სენატის ნებასურვილის აღმსრულებლად და ამით თავისი მდგომარეობა განემტკიცებიათ.

ყოველ შემთხვევაში ლეპიდუსი აყვედრიდა სილანს ანტონიუსთან კავშირის შეკვრას და როდესაც სილანუსი მასთან გამოცხადდა, მან იგი ერთბაშად არ დაუშვა თავისთან მოსალაპარაკებლად; მან ბრალი დასდო მას აგრეთვე წერილობით სენატის წინაშე. ამისთვის მან ქება დაიმსახურა და მასვე დაევალა სილანუსის წინააღმდეგ ომის წარმოება. უკანასკნელ ჟამს, იმავე მიზეზით მან არ მიიღო არც ანტონიუსი, თუმცა არც ხელი უკრავს მისთვის და ნება დართო თავისი ჯარით ემოქმედნა მახლობლად, თვითონ კი მას არ ელაპარაკებოდა. მაგრამ როგორც კი მან გაიგო, რომ იგი საიდუმლოდ დაუკავშირდა ოქტავიანეს, თვითონაც მათ შეუერთდა. ლეპიდუსის ლეგატმა მარკუს იუვენციუსმა ეს რომ გაიგო, სცადა, რათა ლეპიდუსს თავის განზრახვაზე ხელი აეღო, მაგრამ რადგან იგი ამ მხრივ ვერაფერს გახდა, ჯარისკაცების თვალწინ თავი მოიკლა. სენატმა დაადგინა წარმოთქმულიყო მის საპატივსაცემოდ სიტყვა, დაედგათ მისი ქანდაკება და სახელმწიფო ხარჯზე დაესაფლავებიათ. ხოლო რაც შეეხება ლეპიდუსს, მისი ქანდაკება, რომელიც ორატორის ტრიბუნასთან იდგა ფორუმზე, აიღეს, თვითონ იგი გამოცხადებულ იქნა მტრად, და ყველა იმათ, ვინც მასთან იყო და გარკვეული ხნის განმავლობაში მას არ მიატოვებდა, ომით დაემუქრნენ. ამას გარდა სენატორებმა საერო ტანისამოსი, რომელიც მათ ოქტავიანეს კონსულობაში ჩაიცვეს, სამხედროზე შესცვალეს და მოუწოდეს ლეპიდუსისა და ანტონიუსის წინააღმდეგ მარკოს ბრუტუსს, კასიუსსა და სექსტუს პომპეიუსს, ხოლო რადგან ესენი, ალბათ გვიან გამოცხადდებოდნენ. ამიტომ ამ ომის წარმოება ოქტავიანეს ჩააბარეს, რადგან მისი მათთან საიდუმლო შეთანხმება სენატისთვის ცნობილი არ იყო. ამიტომაც ოქტავიანემ სიტყვით მიიღო ომი,

მაგრამ ამასთან დაკავშირებით არაფერი გაუკეთებია, იმიტომ კი არა, რომ მას ანტონიუსთან საერთო საქმე ჰქონდა და მისი საშუალებით კი ლეპიდუსთანაც, — მას ეს ნაკლებად აწუხებდა, — საქმე ის არის, რომ იგი ხედავდა მათ ძალას და გრძნობდა მათ თანხმობას ნათესაობის გამო, და კერ შესძლებდა მათს დაძლევას. ამასთანავე მას იმედი ჰქონდა, რომ მათი დახმარებით იგი გაანადგურებდა კასიუსსა და ბრუტუსს, რომლებმაც უკვე დიდ სიძლიერეს მიაღწიეს და ამით შესძლებს მოსპოს ერთი, ძეორის დახმარებით. ამ მიზეზით იგი თავისი სურვილის წინააღმდეგ იცავდა შეთანხმებას და ცდილობდა მიეღწია სენატისა და ხალხის წინაშე ანტონიუსისა და ლეპიდუსის შეწყნარებისათვის. მაგრამ, რათა ეკვი არავის აეღო მათ შორის არსებულ შეთანხმებაზე, მან თვითონ კი არ წარადგინა მათი შეწყნარების შესახებ მოხსენება, არამედ ჯარით ქალაქიდან გავიდა, ვითომდა მათთან საომრად. ეს მოხსენება წარადგინა კვინტუსმა, ვითომდა თავისი სახელით, რათა მათთვის ეპატიებიათ და დაბრუნების უფლება მიეცათ. მაგრამ მათ უნდა მისცემოდათ ყველაფერი ეს არა უადრეს იმისა, ვიდრე ეს არ ეცნობება ოქტავიანეს, რომელმაც ვითომდა ამაზე არაფერი იცოდა და იგი ძალაუნებურად დათანხმდებოდა ჯარისკაცების მოთხოვნით.

ამ ამბების დროს დეციმუს ბრუტუსი ჯერ გაემგზავრა, რათა ეწარმოებია ომი ანტონიუსისა და ლეპიდუსის წინააღმდეგ; მან შემოიერთა როგორც მოკავშირე ლუციუს პლანკი, რომელიც ნავარაუდევი იყო მომავალი წლისთვის კონსულად. მაგრამ როდესაც ბრუტუსმა შეიტყო, რომ მის წინააღმდეგ გამოტანილი იყო დადგენილება, ხოლო ისინი კი ერთმანეთში შერიგდნენ, მას სურდა გაელაშქრნა ოქტავიანეს წინააღმდეგ. მაგრამ მიტოვებულ იქნა პლანკის მიერ, რომელმაც ლეპიდუსთანა და ანტონიუსთან შეერთება ამჯობინა. მაშინ დეციმუსმა დასტოვა გალია და გადაწყვიტა ფეხით წასულიყო ილირიკის განვლით მაკედონიაში მარკოს ბრუტუსთან, გაგზავნა რა წინასწარ რამდენიმე მებრძოლი, ვიდრე თვითონ ზოგიერთ საქმეს მოაგვარებდა. მაგრამ ისინი ოქტავიანეს მხარეზე გადავიდნენ, ხოლო დანარჩენებიც ანტონიუსმა და ლეპიდუსმა დევნის შემდეგ თავისკენ გადაიბირეს. მაშინ ბრუტუსი, თავისიანებისგან მიტოვებული, ერთ-ერთ მტერს ჩაუვარდა ხელში და დასასჯელად განწირული ძლიერ იტანჯებოდა თავისი უბედურებით და სტიროდა იქამდე, ვიდრე ვინმე ჰელვიუს ბლაზიონმა, რომელიც მისდამი კეთილად იყო განწყობილი როგორც თანამებრძოლი, არ გაამხნევა იგი სიკვდილისთვის საკუთარი მაგალითის მიცემით, მოიკლა რა თავი პირველმა მის თვალწინ.

მაშინ ანტონიუსმა და ლეპიდუსმა გალიაში დასტოვეს თავისი მოადგილეები და თვითონ გაემართნენ იტალიისაკენ ოქტავიანესთან, თან წაიყვანეს რა ჯარის უდიდესი და საუკეთესო ნაწილი. სახელდობრ, ისინი არც თუ ისე ენდობოდნენ ოქტავიანეს, მაგრამ არც ის უნდოდათ ეჩვე-

ებიათ, რომ თავის პატიებასა და დაბრუნებას ოქტავიანეს უნდა უმადლიდნენ. არამედ ვითომც მათ ეს საკუთარი ძალით თვითონ მოახერხეს. გარდა ამისა მათ იმედი ჰქონდათ, რომ მათი ჯარისკაცების რიცხვი აი ძულებდა ოქტავიანესაც და სხვა რომაელებს გაეკეთებიათ ის, რაც ამათთვის სასურველი იყო. ასე რიგად განწყობილნი ისინი გაემართნენ იმ პროვინციით, რომელთანაც მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ; თუმცა თავისი სიუხვისა და ჯარისკაცთა სისასტიკის გამო მან არანაკლები ზიანი განიცადა, ვიდრე რომელიმე ომის დროს. ოქტავიანე მათ შესახვედრად გავიდა ძლიერი რაზმით ბონონიასთან, იყო რა მზად მოეგერიებია ძალადობა, თუ ისინი მას მიმართავდნენ. მაგრამ მაშინ არ გახდა საჭირო მათ წინააღმდეგ იარაღის აღმართვა. სახელდობრ, თუმცა ისინი ერთიმეორის მიმართ სიძულვილით იყვნენ გამსჭვალული, მაგრამ თვალთმაქცურად შეკრეს ზავი და თანხმობა, რადგანაც, თითქმის თანაბარი ძალები ჰყავდათ და სურდათ ჯერ ურთიერთდახმარებით თავიანთ მტრებზე შური ეძიათ. მოსალაპარაკებლად ისინი მარტონი არ შეხვდნენ ერთიმეორეს, არამედ თან ახლდათ მებრძოლთა თანაბარი რაოდენობა ორივე მხარეს: ისინი შეიყარნენ იმ მდინარის პატარა კუნძულზე, რომელიც ბონონს მახლობლად ჩამოუდის, ისე რომ ვერც ერთსა და ვერც მეორე მხარეს ზედმეტი ვერავინ შეუერთდებოდა. აქ ისინი შორს განდგნენ იმათგან, ვინც თანა ჰყავდათ მოყვანილი და გაჩხრიკეს რა ერთიმეორე, რომ არა ჰქონოდა იღლიის ქვეშ ხანჯალი დამალული, დაბალი ხმით მოილაპარაკეს რაღაზედაც. მოლაპარაკების არსს შეადგენდა ურთიერთ ფიცის მიცემა განემტკიცებიათ თავიანთი ბატონობა და გაენადგურებიათ მტრები. მაგრამ, რათა არავისთვის მიეცათ საბაბი ეფიქრათ, რომ ისინი ოლიგარქიისკენ ილტვიან და ამით არ გამოეწვიათ თავიანთ მიმართ შური და მტრული განწყობილება, ამიტომ ისინი შეთანხმდნენ, რომ ოფიციალურად ისინი დგებიან სახელმწიფოს სათავეში მისი მოწყობისა და მმართველობის მიზნით, რასაკვირველია, არა სამუდამოდ, არამედ ხუთი წლით, განაგებენ ყველაფერს თავიანთ სურვილზე თვით სენატისთვის და ხალხისათვის ყოველგვარი მოხსენების გარეშე; შემდეგ მათ უნდა დაერიგებიათ თანამდებობანი და სხვა პატივი, როგორც თვითონ ნებავდათ, აგრეთვე პროვინციებიც, რათა არავის ეფიქრა, რომ მათ სურთ მთელი პროვინციები თვითონ მიითვისონ. ოქტავიანეს გადაეცა სამმართველოდ ძველი და ახალი აფრიკა, სარდინია და სიცილია, ლეპიდუსს მთელი ესპანეთი და ნარბონის გალია, ანტონიუსს ალპების ორივე მხრით მდებარე მთელი გალია. ხოლო გალიის ერთ ნაწილს ეწოდებოდა ტოგატა, რადგან იგი უფრო მოთვინიერებულად ითვლებოდა, ვიდრე სხვები და იქაური მცხოვრებნი უკვე მაშინ ატარებდნენ რომაელთა ქალაქურ ტანსაცმელს; გალიის მეორე ნაწილის სახელწოდება იყო კომატა, რადგანაც ამ ადგილების მოსახლეობის უმეტეს ნაწილს მოშვებული ჰქონდა გრძელი თმა და ამით ისინი სხვებისგან განირჩეოდნენ.

ასეთი წილისყრა მათ იმიტომ მოაწყეს, რათა თვითონ ხელთ ეგდოთ ყველაზე ძლიერი პროვინციები და სხვებისთვის კი მოეჩვენებიათ, რომ ისინი არ ისწრაფიან ყველაფრის ხელში ჩაგდებას. ამას გარდა ისინი შეთანხმებული იყვნენ ამოეხოცათ თავიანთი მტრები, რათა ლეპიდუსს, კონსულად რომ გახდებოდა, დეციმუსის მაგიერ, ჰქონოდა მფარველობის ქვეშ რომი და დანარჩენი მთელი იტალია, ანტონიუსსა და ოქტავიანეს კი უნდა გაელაშქრათ ბრუტუსისა და კასიუსის წინააღმდეგ. როდესაც მათ ეს ფიცით შეკრეს, მოუხმეს ჯარს, რათა მოესმინათ და დაემოწმებიათ შეთანხმება, და მიმართეს მათ სიტყვით და ილაპარაკეს იმაზე, რის შთაგონებაც კეთილშესაფერისი და უხიფათო იყო. ამავე დროს ანტონიუსის ჯარისკაცებმა, უთუოდ მისი შთაგონებით, წამოაყენეს წინადადება, რათა ოქტავიანეს შეერთო ფულვია, ქალი ანტონიუსის ცოლისა, რომელიც მასზე კლოდიუსის შემდეგ გათხოვდა, — იმისდა მიუხედავად, რომ ოქტავიანე უკვე სხვაზე იყო დანიშნული. ოქტავიანემ უარი არა თქვა ამაზე, რადგან მისი აზრით ეს ქორწინება ხელს არ შეუშლიდა ანტონიუსის წინააღმდეგ მისგან განზრახულ მოქმედებას, მით უმეტეს, რომ, როგორც მან იცოდა, მისი მამა იულიუს ცეზარი სრულიადაც არ დაბრკოლებულა ემოქმედნა პომპეიუსის წინააღმდეგ მიუხედავად იმისა, რომ ისინი ნათესავები იყვნენ.

მითრიდატეს ომები

აპიანე

10. და. აი, პირველი, ვინც დაუმეგობრდა რომაელებს და გაუგზავნა რამდენიმე ხომალდი მცირე დამხმარე რაზმით, კართაგენელების წინააღმდეგ, იყო პონტოს მეფე — მითრიდატე, რომელმაც მიიღო სახელწოდება ევერგეტი. იგი შეიპყრა კაპადოკიაში, თითქოს ის უცხო ქვეყანა ყოფილიყოს. მისი მემკვიდრე შეიქმნა მისი შვილი მითრიდატე, რომელსაც ჰქონდა სახელწოდება დიონისე და ევპატორი. რომაელებმა მას უბრძანეს გასცლოდა იმ მხარეს და იგი გადაეცა არიობარზანისათვის, რომელიც მათთან იყო გაქცეული და ამასთანავე, მათი აზრით, მას უფრო მეტი კანონიერი უფლება ჰქონდა კაპადოკიის ბატონობაზე, ვიდრე მითრიდატეს. ანდა შეიძლება ისინი ეშვის თვალით უყურებდნენ მითრიდატეს ქვეშევრდომ მხარეს, რომელიც ძალიან იზრდებოდა, და სურდათ ამგვარად იგი დაენაწილებიათ. მითრიდატემ ეს მოითმინა, მაგრამ პრუსიას* შვილისშვილსა და ნიკომედეს შვილის ნიკომედეს წინააღმდეგ, რომელმაც მიიღო რომაელებისაგან ბითინიის სამეფო, როგორც მამის მემკვიდრეობა, — მან გაგზავნა სოკრატე, თვით ნიკომედეს ძმა, — მისი

---

* პონტოს მეფე.

სახელწოდება იყო „კეთილი" — ჯარით. და მართლაც, სოკრატემ თვითონ იგდო ხელთ ძალაუფლება ბითინიაში. იმავე დროს მითრასმა და „კეთილმა" გააძევეს კაპადოკიიდან ის არიობარზანი, რომელიც იქ რომაელებისგან იყო დაყენებული და მის მაგიერ იქ დასვეს არიარატე.

11. რომაელებმა დააბრუნეს ნიკომედე არიობარზანთან ერთად, თვითეული თავთავის ოლქში, და ამ მიზნით მათთან ერთად გაგზავნეს რამდენიმე ელჩი, რომელთა სათავეშიც იდგა მანიუს ატილიუსი. ამ დაბრუნების დროს დახმარების აღმოჩენა დაავალეს ლუციუს კასიუსს, რომელიც სარდლობდა პერგამის მეზობლად მდებარე აზიის ნაწილს და ჰყავდა თავისთან ჯარის უმეტესი ნაწილი, და აგრეთვე იმავე მითრიდატე ევპატორს. მაგრამ მან, განრისხებულმა რომაელებზე კაპადოკიის გამო, რომლებმაც მას ამ ცოტა ხნის წინათ ფრიგიაც ჩამოართვეს, როგორც ეს აღნიშნულია საბერძნეთის ისტორიის შესახებ წიგნში, — არ გაუწია მათ არავითარი დახმარება. მაშინ კასიუსმა და მანიუსმა კასიუსის ჯარის დახმარებით, შეაგროვეს რა სხვა უფრო დიდი ლაშქარი გალატელთა და ფრიგიელთაგან, — დააბრუნეს ნიკომედი ბითინიაში და არიობარზანი კი კაპადოკიაში. მათ მაშინათვე დაუწყეს ამ ორივეს წაქეზება, რადგან ორივენი მითრიდატეს მეზობლები იყვნენ, მოეწყოთ თავდასხმები მითრიდატეს მიწა-წყალზე და გამოეწვიათ იგი ომში, აღუთქვამდნენ რა მათ, რომ, თუ ომი ატყდებოდა, რომაელები მათ აღმოუჩენდნენ დახმარებას. მაგრამ მათ ორივეს ეშინოდათ დაეწყოთ ომი ასეთ ძლიერ მეზობელთან, რიდი ჰქონდათ რა მითრიდატეს ძლიერებისა; მაგრამ, რადგან ელჩები დაჟინებით მოითხოვდნენ, მაშინ ნიკომედე, რომელმაც აღუთქვა დიდი თანხები დახმარებისთვის ელჩებსა და ჯარის უფროსებს, და ამას გარდა დიდად დავალიანდა რომაელი ჯარების თანმხლებ მევახშეებისგან, რის გამოც გამოუვალ მდგომარეობაში იმყოფებოდა, — თავისი სურვილის წინააღმდეგ შეიჭრა მითრიდატეს მიწა-წყალზე და მოაოხრა იგი ამასტრიდამდე. ამასთანავე. მას არავითარი წინააღმდეგობა არ შეხვედრია, და მის წინააღმდეგ არავინ გამოსულა, რადგანაც მითრიდატემ თუმცა ჯარი მომზადებული ჰყავდა, მაინც უკან დაიხია მრავალი კანონიერი საბაბის სამზადისში, რათა ომი დაეწყო.

12. როდესაც ნიკომედე დიდი ნადავლითურთ დაბრუნდა, მითრიდატემ გაგზავნა პელოპიდი რომაელ ელჩებთანა და ჯარის სარდლებთან. მან ძალიან კარგად იცოდა, რომ მათ ომი სწყუროდათ მასთან და ისინიც იყვნენ ამ თავდასხმის მიზეზი; მაგრამ აჩვენებდა რა ისე, თითქოს არაფერი იცოდა, და ამზადებდა რა უფრო საპატიო მრავალრიცხოვან საბაბებს ომის დასაწყებად, — იგი მოაგონებდა მათ როგორც მისი მამის, ისე თვით მისგან დადებულ სამეგობრო ხელშეკრულებებს. „ყველა ამის საპასუხოდ — ამბობდა პელოპიდი — მათ ჩამოართვეს მას ფრიგია

და კაპადოკია; ეს უკანასკნელი მუდამ მის წინაპრებს ეკუთვნოდა და მისმა მამამ კვლავ იგდო ხელთ; ხოლო ფრიგია არისტონიკეზე გამარჯვების საჩუქრად გადმოეცა თქვენი ჯარის სარდლის მიერ, და ამას გარდა იმავე სარდლისაგან შეძენილია დიდი თანხის ფასად. ეხლა კი, — სთქვა მან, — თქვენ არხეინად უყურებთ იმას, რომ ნიკომედმა ჩაკეტა პონტოში შესავალი, რომ იგი თავს ესხმის ჩვენს მიწა-წყალს თვით ბითვინიამდე და იტაცებს დავლას, რაც თქვენ უკეთესად მოგეხსენებათ; თუმცა ჩემი მეფე სუსტი არ არის და სავსებით მზად არის თავის დასაცავად, მაგრამ იგი უცდიდა, რათა თქვენ თვითონ გამხდარიყავით იმისი მოწმე, რაცა ხდება. მაგრამ, რადგანაც თქვენ თვითონ დაესწარით და იცით ყველაფერი, რაც მოხდა, ამიტომ მითრიდატე, თქვენი მეგობარი და მოკავშირე, გთხოვთ თქვენ, თავის მეგობრებსა და მოკავშირეებს (ასე სწერია ხელშეკრულებაში), დაგვეხმაროთ ჩვენ, ნიკომედეს მიერ შეურაცხყოფილთ, ანდა აუკრძალეთ მას ჩვენთვის შეურაცხყოფის მოყენება".

13. ესა თქვა პელოპიდემ, ხოლო ნიკომედეს ელჩებმა, რომლებიც იქვე ესწრებოდნენ, რათა სამაგიერო პასუხი გაეცათ, თქვეს: „დიდიხნით ადრე ჰქონდა რა ბოროტი განზრახვა ნიკომედეს წინააღმდეგ, მითრიდატემ გაგზავნა სოკრატე ჯარით მისი სამეფოს წინააღმდეგ. თუმცა იგი წყნარად იქცეოდა, და კანონიერად ეპყრა ძალაუფლება როგორც უფროსს. ასე მოექცა მითრიდატე ნიკომედეს, რომელიც თქვენ, რომაელებმა, — დააყენეთ ბითვინიის მეფედ; ხოლო აქედან ცხადია, რომ მან ეს ჩაიდინა არა იმდენად ჩვენს წინააღმდეგ, რამდენადაც თქვენს წინააღმდეგ. სწორედ ასევე, თუმცა თქვენს მიერ გამოცემულია ბრძანება, რათა აზიის მეფეებმა ფეხი არ შესდგან ევროპაში, მან კი დაიპყრო ქერსონესის დიდი ნაწილი. ყველაფერი ეს საკმაო დამამტკიცებელია მისი თქვენდამი თავხედური დამოკიდებულებისა; მაგრამ, შეხედეთ, რა დიდ სამზადისშია იგი, თითქოს რომელიმე დიდი და უკვე გამოცხადებული ომისთვის. შეხედეთ მის საკუთარ ჯარს, აგრეთვე მის მოკავშირეებს თრაკიელებისა და სკვითების, აგრეთვე ყველა უახლოეს ტომთა ჯარს. არმენიის მეფესთან მოყვრობით არის დაკავშირებული, ხოლო სირიისა და ეგვიპტის მეფეებს ნიადაგ უგზავნის ელჩებს და ცდილობს მათ მიმხრობას. მას მოეპოვება სამასი ბაქნიანი გემი და მასთან ერთად კიდევ სხვებსაც ამზადებს, ხოლო მესაკედონისთვის მან დაგზავნა ხალხი ფინიკიასა და ეგვიპტეში. ყველა ეს სამზადისი, ესოდენ უზარმაზარი, მიმართულია, რასაკვირველია, არა ნიკომედის წინააღმდეგ, არამედ თქვენს წინააღმდეგ, რომაელებო, ამზადებს ყველაფერს ამას მითრიდატე, აღვსილი თქვენს მიმართ რისხვით იმის გამო, რომ თქვენ მას უბრძანეთ დაეტოვებია ფრიგია, რომელიც მან იყიდა დანაშაულებრივად, მოისყიდა რა ერთ-ერთი თქვენი სარდალი, — თქვენ აღიარეთ ამ შეძენის სრული უსამართლობა; ის გაჯავრებულია აგრეთვე კაპადოკიის გამოც, რომე-

ლიც თქვენ არიობარზანს გადაეცით; მას ეშინიან თქვენი მზარდი ძალისა და ამზადებს ჩვენზე თავდასხმის საბაბით, თუ მოახერხებს, თვითონ თქვენზე თავდასხმას. სიბრძნე მოითხოვს არ უცადოთ, ვიდრე იგი თვითონ მოისურვებს ომის გამოცხადებას, არამედ უნდა მეტი ყურადღება მიექცეს მის საქმესა და არა სიტყვას, და მას, ვინც ყალბად აიფარა მეგობრობის ნიღაბი, არ უნდა ჩაუგდოთ ხელში ერთგული და მუდმივი მეგობრები და არ უნდა დარჩეს უყურადღებოდ, რომ თქვენი გადაწყვეტილება ჩვენი სახელმწიფოს შესახებ გაუქმებულია მის მიერ, ვინც თავიდანვე ასეთ როლში ჩვენი, ისევე თქვენი მტერიც".

14. ასე ილაპარაკეს ნიკომედის რწმუნებულებმა. მაშინ კლავ პელოპიდემ მიმართა რომაელ სარდალთა საბჭოს და განაცხადა, რომ თუ წარსულ საქმეებზე ნიკომედს სურს რაიმე საჩივარი, რომაელებმა უკვე წარმოსთქვეს თავისი გადაწყვეტილება; ხოლო რაც შეეხება ახალს (ეს ხომ მოხდა თქვენ თვალწინ, როდესაც მითრიდატეს მიწა-წყალი გაძარცვეს, საზღვაო გზები გადაიკრა და ესოდენ დიდი დავლა იქნა წაღებული), — ამას არ ესაჭიროება სიტყვა და გარჩევა, არამედ „კვლავ მოგმართავთ თქვენ წინადადებით ან აღკვეთოთ ასეთი მოქმედება, ანდა დაეხმაროთ მითრიდატეს, უსამართლოდ შეურაცხყოფილს, ანდა ბოლოს, რომაელი ხალხის წარმომადგენლებო, ხელს ნუ შეუშლით მას თავი დაიცვას და ნუ შეიწუხებთ თავს ან ერთისა და ან მეორისთვის მხარის დაჭერით". რადგანაც პელოპიდემ ეს რამოდენიმეჯერ გაიმეორა, ამიტომ, თუმცა რომაელ სარდლებს უკვე დიდი ხანია გადაწყვეტილი ჰქონდათ ნიკომედისთვის დახმარების აღმოჩენა და მხოლოდ თვალთმაქცურად უსმენდნენ ამ კამათს, მაგრამ მაინც პელოპიდეს ნათქვამით და მითრიდატესთან დადებული სამეგობრო კავშირით, რაც ძალაში რჩებოდა — დარცხვენილნი დიდხანს ყოყმანობდნენ, თუ რა პასუხი გაეცათ: ბოლოს მათ მოიფიქრეს შემდეგი ეშმაკური პასუხი: „ჩვენ ვერ მოვითმენდით, რომ მითრიდატეს რამე უსიამოვნება შეხვედროდა ნიკომედესაგან, მაგრამ არც იმას მოვითმენთ, რომ ნიკომედეს წინააღმდეგ დაწყებულ იქნას ომი: ჩვენ გვგონია, რომ რომაელებისთვის სახეირო არ იქნებოდა ნიკომედეს დაზარალება". როდესაც მათ ასეთი გადაწყვეტილება გამოიტანეს და პელოპიდს სურდა გაეკრიტიკებია ამ პასუხის გაურკვევლობა, მათ იგი ბჭობიდან დაითხოვეს.

15. აქ მითრიდატემ, როგორც უკვე რომაელებისაგან აშკარად შეურაცხყოფილმა, გაგზავნა დიდი რაზმით თავისი ვაჟი არიარატე სამეფოდ კაპადოკიაში, და არიარატემ სწრაფად იგდო ხელთ ძალაუფლება, გააძევა არიობარზანი. პელოპიდი მივიდა ხელმეორედ რომაელ სარდლებთან და უთხრა შემდეგი: „თქვენ უკვე მოისმინეთ, რომაელებო, რა შეურაცხყოფა მიადგა თქვენგან მეფე მითრიდატეს, როდესაც ცოტახნის წინათ თქვენ მას წაართვით ფრიგია და კაპადოკია; მეორეს მხრივ, რაც ნიკომედემ თქვენ თვალწინ მას ვნება მიაყენა, თქვენ უყურადღებოდ დასტო-

ვეთ. როდესაც ჩვენ შეგახსენეთ ჩვენი მეგობრობა და კავშირი, თქვენ გვიპასუხეთ ისე, თითქოს ჩვენ კი არა ვჩიოდით, არამედ ჩვენ გვიჩიოდ-ჩენ, გვითხარით რა, რომ თქვენ რომაელთა საქმისთვის საზიანოდ მიგაჩნიათ, თუ ნიკომედე რაიმე ზარალს განიცდისო — გეგონება ის შეურაცხყოფილი ყოფილიყოს. თქვენ გასცემთ პასუხს რომის სენატს იმისათვის, რაც მოხდა კაპადოკიაში; ხომ იმის გამო, რომ თქვენ ასეთი ზიზღით მოგვეპყარით და ასეთი სოფისტური პასუხი გაგვეცით, მოიქცა მითრიდატე ასე. იგი გაგზავნის თქვენს შესასვლელად საჩივრით თავის ელჩებს თქვენს სენატში; იგი მოგიწოდებთ თქვენ, რათა თქვენ თავი იმართლოთ სენატის წინაშე თქვენი მოქმედების გამო და იქამდე არ დაიწყოთ ესოდენ დიდი ომი, ვიდრე რომის სენატის ნებასურვილი არ იქნება. მიიღებთ რა მხედველობაში, რომ მითრიდატე მეფობს თავის სამემკვიდრეო ქვეყანაში, რომელიც გადაჭიმულია ოციათასი სტადიონის სიგრძეზე, და ამას გარდა მან თვითონ მოიპოვა მრავალი მოსაზღვრე ქვეყანა: კოლხებიც — ეს ომიანობისთვის გიჟი ტომი, ხოლო ელინთაგან ისინი, ვინც პონტოს სანაპიროზე ცხოვრობენ, და ბარბაროსები, რომლებიც მათი ჩრდილოეთით ცხოვრობენ. მის მეგობრებად, რომელნიც მზად არიან შეასრულონ, რასაც კი იგი უბრძანებს, არიან სკვითები, ტავრები. ბასტერნები, თრაკიელები, სარმატები და ყველა ისინი, ვინც ცხოვრობენ ტანაისისა და ისტროსის გასწვრივ, აგრეთვე მეოტიის ტბის ირგვლივ. სომხეთის მეფე ტიგრანი მისი სიძეა, ხოლო პართელთა მეფე, არსაკი — მეგობარი. ხომალდები აუარებელი აქვს, რომელთა ნაწილი მზად არის, ნაწილი კი შენდება და აღჭურვილობა ყოველმხრივ ყურადღების ღირსი.

16. სავსებით მართალია ისიც, რაც ამას წინათ გითხრეს თქვენ ბითინიელებმა ეგვიპტისა და სირიის მეფეთა შესახებ; სრულიად ბუნებრივია, რომ არა მხოლოდ ისინი შემოგვიერთდებიან, თუ ომი გაჩაღდა, არამედ აგრეთვე თქვენს მიერ ახლად შემოერთებული აზია, ელადა, ლიბია და თვით იტალიის დიდი ნაწილი, რომელსაც ვეღარ აუტანია თქვენი გაუმაძღრობა და ანგარება, უკვე ეხლავე ეწევა თქვენთან შეურიგებელ ომს. არ შეგწევთ რა ძალა ჯერ ის დაასრულოთ, თქვენ ცდილობთ ახალი ომის დაწყებას მითრიდატესთან, ასისიანებთ რა მის წინააღმდეგ ჯერ-ჯერობით ნიკომედეს და არიობარზანს. თქვენ ამბობთ, რომ მეგობრები და მოკავშირეები ხართ და ასეთ ნიღაბსაც ატარებთ, ხოლო მას კი ეპყრობით როგორც მტერს. მაშ ასე! თუ ეხლაც კი რამემ გაიძულათ შესცვალოთ თქვენი დამოკიდებულება მომხდარი ამბების მიმართ, — ან აუკრძალეთ ნიკომედეს თქვენი მეგობრების შეურაცხყოფა (და თუ თქვენ ამას იზამთ, მაშინ მე პირობას გაძლევთ, რომ მეფე მითრიდატე აღმოგიჩენთ დახმარებასა და ხელის შეწყობას იტალიელების წინააღმდეგ), ან გასწყვიტეთ ეს თვალთმაქცური მეგობრობა ჩვენთან, ან წარვდგეთ რომში სამსჯავროს წინაშე".

აი. რა თქვა პელოპიდემ; რომაელებმა მისი ნათქვამი დიდ თავხედობად მიიჩნიეს და უბრძანეს მითრიდატეს თავი შეეკავებინა ნიკომედესა და კაპადოკიასთან ომის დაწყებისაგან (ვინაიდან, როგორც მათ თქვეს, ისინი თვითონ აღადგენენ იქ არიობარზანს), ხოლო პელოპიდეს კვლავ უბრძანეს გასცლოდა ბანაკს და აღარ მოსულიყო მათთან როგორც ელჩი, თუ მეფე არ შეასრულებდა მისთვის მიცემულ ბრძანებებს.

მათ ასეთი პასუხი გასცეს მას, და მის გასტუმრებისთანავე მას თან გააყოლეს გუშაგები, რათა მას გზადაგზა არავინ აემხედრებია მათ წინააღმდეგ.

17. ამ მოლაპარაკების შემდეგ, არ დაუცადეს რა სენატის ან სახალხო კრების გადაწყვეტილებას ესოდენ მნიშვნელოვანი ომის შესახებ, ისინი შეუდგნენ ჯარის შეგროვებას ბითინიიდან, კაპადოკიიდან, პაფლაგონიიდან და გალატელთაგან, რომლებიც აზიაში ცხოვრობენ. როდესაც მათ საკუთარი ჯარიც. რომელიც აზიის მმართველს ლუციუს კაციუსსა ჰყავდა, მოამზადეს და შეიკრიბნენ მოკავშირეთა ჯარებიც, მათ გაჰყვეს ჯარისკაცთა მთელი მასა და დაეწყნენ სამ ბანაკად: კასიუსი ბითინიისა და გალატიის შუა, მანიუსი — იქ, საიდანაც მითრიდატესთვის ყველაზე ადვილი გზა იყო ბითინიაში შესაჭრელად, ხოლო ოპიუსი, მეორე სარდალი, — კაპადოკიის საზღვართან, ჰყავდა რა თვითეულ მათგანს 4000 ცხენოსანი და ქვეითი 40.000-მდე. ჰყავდათ მათ ხომალდების ფლოტიც, რომელსაც ბიზანტიონთან სარდლობდნენ მინუციუს რუფუსი და გაიუს პოპილიუსი, პონტოში შესავალს რომ იცავდნენ. მათთან ერთად იყო ნიკომედეც, რომელიც სარდლობდა 50.000 ქვეითს და 6.000 ცხენოსანს. ესოდენ დიდძალი ლაშქარი ჰყავდათ მათ უკვე მოგროვილი. მითრიდატეს თავისი საკუთარი ჯარი ჰყავდა 250.000 ქვეითი და 40.000 ცხენოსნის რაოდენობით; სამხედრო ხომალდები დახურული ბაქნით 300 და ორი რიგი ნიჩბებით 100 და შესაბამისად სხვა ყველა დანარჩენი მოწყობილობანი. ჯარის სარდლებად მას ჰყავდა ორი ძმა — ნეოპტოლემე და არქელაოსი, მაგრამ ჯარის უმეტეს ნაწილს თვით მეფე სარდლობდა. დამხმარე ჯარი მას მოუყვანა მითრიდატეს ვაჟმა არკათიმ მცირე სომხეთიდან 10.000 ცხენოსანი და დორილაიმ ფლანგებად დაწყობილნი, ხოლო კრატერმა — 130 საბრძოლო ეტლი.

ასეთი იყო ორივე მხრით სამზადისი, როდესაც პირველად გაილაშქრეს ერთიმეორის წინააღმდეგ რომაელებმა და მითრიდატემ. მოხდა ეს 173-ე ოლიმპიადის მახლობლად.

18. პირველად დაინახეს ერთმანეთი ნიკომედემ და მითრიდატეს სარდლებმა ფართო ველზე მდინარე ამნეიონთან და უმალ საბრძოლველ წესზე დაეწყნენ; ნიკომედემ მთელი თავისი ჯარი გამოიყვანა, ნეოპტოლემემ და არქელაოსმა მხოლოდ მსუბუქად შეიარაღებულნი და ის ცხენოსნები, რომლებიც არკათისა ჰყავდა თან, და რამდენიმე შეიარაღებული ეტლი, რადგან ფალანგა ჯერ მოსული არ იყო და მხოლოდ ეხლა ახ-

ლოვდებოდა. რათა არ ყოფილიყვნენ ბითინიელთაგან გარშემორტყმული, რომელნიც რიცხობრივად ბევრად სჭარბობდნენ მათ ლაშქარს, მითრიდატეს სარდლებმა მცირე რაზმი გაგზავნეს მათ მიერ ადრევე დაკავებულ ველზე მდებარე კლდოვანსა და აღმართზან ბორცვზე, მაგრამ როდესაც ნეოპტოლემემ დაინახა, რომ ისინი იქიდან ჩამოყარეს, შეეშინდა რა გარშემორტყმისა, ელვისებრ გაექანა მათ დასახმარებლად და აქეთკენვე მოუწოდა არკათისაც. შენიშნა რა ეს, ნიკომედე თავის მხრით გაემართა მის წინააღმდეგ; აქ მოხდა ძლიერი შეტაკება და სისხლისღვრა. რადგან ნიკომედე, რომელსაც დიდი ძალები ჰყავდა, სძლევდა, ამიტომ მითრიდატეს ჯარმა უკან დახევა იწყო. ვიდრე არქელაოსმა მოწინააღმდეგეს მარჯვნიდან არ შემოუარა და არ დაესხა თავს. მაშინ მათაც მის წინააღმდეგ მიმართეს. მან კი ნელნელა უკან დახევა იწყო, რათა ნეოპტოლემეს ჯარი გაჩერებულიყო და გაქცევის შემდეგ კვლავ თავი მოეყარა. როდესაც არქელაოსმა შენიშნა, რომ მათ უკვე ძალა მოიკრიბეს, გადავიდა შეტევაზე და ძლიერი მიწოლით, მიუსია რა ბითინიელებს ცელით შეიარაღებული ეტლები. შეუდგა მათ ჩეხვასა და კვეთას, ფლეთდა რა მათ ორად და ზოგს ნაწილებადაც. ამ გარემოებამ შიშის ზარი დასცა ნიკომედის ლაშქარს, როდესაც დაინახეს შუა-შუა დაჭრილი ადამიანები, რომლებიც ჯერ კიდევ სუნთქავდნენ, ან ნაწილ-ნაწილ დაფლეთილნი და მათი სხეული ეტლებზე ჩამოკონწიალებული. უფრო ზიზღით აღვსილმა ასეთი საშინელი სანახაობით, ვიდრე ბრძოლაში დამარცხებულებმა, მათ შეშინებულებმა დაშალეს თავისი რიგები. მათზე, არეულ-დარეულებზე, განაგრძობდა შეტევას არქელაოსი ფრონტიდან, ხოლო ნეოპტოლემე დარკათი, გაქცევიდან შემობრუნებულნი, თავს დაესხნენ მტერს ზურგიდან. ისინი დიდხანს იცავდნენ თავს, იბრძოდნენ რა ორივე მიმართულებით; მაგრამ როდესაც მებრძოლთა უდიდესი ნაწილი გაწყდა, ნიკომედე გადარჩენილებთან ერთად პაფლაგონიაში გაიქცა; მითრიდატეს ფალანგას არც კი მოუხდა საქმეში ჩაბმულიყო. ნიკომედმა აქ დაჰკარგა მთელი თავისი ბანაკი უამრავი ფულითა და აუარებელი ტყვეებითურთ. ისინი ყველა შეიწყალა მითრიდატემ, მისცა საგზაო ფული და შინ გაგზავნა, შეიქმნა რა ამით მტრის ქვეყანაში მოწყალის სახელი.

19. ასეთი იყო პირველი ბრძოლა მითრიდატესთან ომში; რომაელი სარდლები შეშინდნენ, რადგან ესოდენი მნიშვნელოვანი ომი მათ დაიწყეს მოუფიქრებლად და თავქარიანად, ისე რომ არ მიუღიათ ამაზე ხენატის თანხმობა. გამარჯვება მოიპოვა მცირერიცხოვანმა ჯარმა რიცხვობრივად ჭარბ ძალაზე არა რაიმე ძლიერი პოზიციის გამო ან მოწინააღმდეგის შეცდომის წყალობით, არამედ სარდლებისა და ჯარის სიმამაცის წყალობით. ნიკომედემ დაიბანაკა მანიუსის გვერდით, მითრიდატემ დაიხია მთა სკორობზე, რომელიც ბითინიისა და პონტოს მიწა-წყალთა საზღვარზე მდებარეობს. მისმა მოწინავე რაზმმა ასმა საერომატელმა ცხენოსანმა, რომელიც შეხვდა ნიკომედეს რვაასკაციან ცხენოსან რაზმს,

ზოგიერთი მათგანი ტყვედ წაიყვანა. მითრიდატემ ისინიც აგრეთვე შინ დააბრუნა, მისცა რა საგზაო ფული. როდესაც მანიუსს უნდოდა შეუმჩნეველად გასცლოდა, ნეოპტოლემი და არმენიელი ნემანი მას ჯერ ერთ, პაქიად წოდებულ, ადგილას წამოეწივნენ მეშვიდე საათზე — ნიკომედე უკვე კასიუსთან წავიდა — და აიძულეს ბრძოლაში ჩაბმულიყო; ცხენოსანი მას ჰყავდა 4.000, ქვეითი კი, — ათჯერ მეტი. დახოცეს რა ამ ლაშქრიდან ათი ათასი კაცი, მათ ტყვედ წაიყვანეს მათგან 300 კაცი; სწორედ ისევე მითრიდატემ ეს მოყვანილნიც გაათავისუფლა, რითაც პოპულარობას იძენდა მტრებში. მანიუსის ბანაკი აღებულ იქნა, და თვითონ ის დალამებისთანავე გაიქცა მდინარე სანგარისკენ და თავი შეაფარა პერგამს. კასიუსმა, ნიკომედემ და იქ მყოფ სხვა რომაელმა სარდლებმა თავისი ბანაკი ლეონტოკეფალიაზე გადაიტანეს, რომელიც ფრიგიაში ყველაზე მეტად გამაგრებული ადგილი იყო. აქ ისინი შეუდგნენ ახლად მოკრებილი ჯარის წვრთნას, რომელიც შემდგარი იყო ხელოსნებისაგან, გლეხებისაგან და კერძო პირთაგან, და მთელ ფრიგიაში თავიანთი ჯარის შევსების მოკრებას. რადგანაც არც ერთნი და არც მეორენი არ იჩენდნენ დიდად მზად ყოფნას, ამიტომ სარდლებმა გადაწყვიტეს, რომ ასეთი არამებრძოლი ჯარით ომის წარმოება არ ღირდა, და ამიტომ დაშალეს ჯარი და თვითონაც წავიდ-წამოვიდნენ: კასიუსი — აპამეიაში თავისი ჯარითურთ, ნიკომედი — პერგამში, მანიუსი — როდოსზე. ისინი, ვინც პონტოს შესართავთან იდგნენ, გაიგეს რა ეს ამბავი, იქიდან წავიდნენ და გადასცეს მითრიდატს პონტოს გასაღები და ხომალდები, რაც კი იქა ჰქონდათ.

20. ასე, მითრიდატემ, ამ ერთი ელვისებური შეტევით, ხელთ იგდო სიკომედეს სამეფო. მან დაიწყო მისი შემოვლა და აღადგინა ქალაქებში წესრიგი. ფრიგიაში რომ შევიდა, შეუხვია ალექსანდრეს სადგომში, მიიჩნევდა რა თავისთვის საბედნიერო ნიშნად, რომ იქ, სადაც თავის დროზე გაჩერებული იყო ალექსანდრე, თვითონაც გაჩერდა. შემდეგ მან შემოიარა ფრიგიის დანარჩენი ადგილები, მიზია, აზია, ყველა ის ადგილები, რომლებიც ამას წინათ რომაელებსა ჰქონდათ ხელში ჩაგდებული, და დაგზავნა ჯარები ირგვლივ მდებარე მხარეებში, მან დაიმორჩილა ლიკია და პამფილია და ყველა ადგილები იონიამდე. მხოლოდ ლაოდიკეის, — რომელიც მდინარე ლიკეზე მდებარეობს, — მცხოვრებნი განაგრძობდნენ წინააღმდეგობას: საქმე იმაშია, რომ რომაელი სარდალი კვინტუს ოპიუსი მცირერიცხოვან ცხენოსნებითა და დაქირავებულებითურთ გამოიქცა ამ ქალაქში და მას იცავდა. მაშინ მითრიდატემ ქალაქის კედლებთან გაგზავნა მაცნე და უბრძანა გამოეცხადებინა, რომ მეფე მითრიდატე აღუთქვამს ლაოდიკიელებს ხელუხლებლობას, თუ ისინი მას მიუყვანენ ოპიუსს. ქალაქის მცხოვრებლებმა, თანახმად ამ განცხადებისა, ნება მისცეს ოპიუსის დაქირავებულთ ხელშეუშლელად წასულიყვნენ, თვით ოპიუსი კი მითრიდატესთან მიიყვანეს, უბრძანეს რა და-

ცინვის მიზნით წინ გასძღოლოდნენ ლიქტორები. მითრიდატემ მას ცუდი არა შეამთხვია რა, თან დაჰყავდა ბორკილ გაყრილი და ამასთანავე ყველას აჩვენებდა რომაელ სარდალს.

21. ცოტახნის შემდეგ მან ტყვედ ჩაიგდო მანიუს აცილიუსი, რომელიც ყველაზე მეტად იყო ელჩთაგან დამნაშავე ამ ომის ატეხაში. იგი შებოჭილი დაჰყავდა თან ვირით და მნახველებს ხმამაღლა მიუთითებდა, რომ ის არის მანიუსი: დაბოლოს პერგამში ბრძანა. ჩაესხათ მისთვის პირში გამდნარი ოქრო ნიშნად რომაელთა მექრთამეობისა. დაუყენა რა სატრაპები ყველა ამ ტომებს, იგი გამოცხადდა მაგნესიაში, ეფესსა და მიტილენაში: ყველა მათ მეგობრულად მიიღეს იგი, ხოლო ეფესის მცხოვრებლებმა დაამსხვრიეს მათში მყოფი რომაელთა ქანდაკებები, რისთვისაც ცოტახნის შემდეგ დაისაჯნენ ისინი. იონიიდან რომ ბრუნდებოდა, მან აიღო სტრატონიკეია, დაადგა მას ფულადი ჯარიმა და ჩააყენა ქალაქში გარნიზონი. აქ ნახა ერთი ლამაზი გოგონა და იგი ცოლად წაიყვანა. და თუ ვინმეს აინტერესებს გაიგოს, — მისი სახელია მონიმა, ფილოპემენეს ასული. მაგნეტებს. პაფლაგონილებსა და ლიკიელებს, რომლებიც განაგრძობდნენ მასთან ბრძოლას, იგი ეომებოდა თავისი სარდლების საშუალებით.

22. ასე იყო მითრიდატეს საქმე. რომაელებმა კი, იმ მომენტიდან, როგორც კი მისი აზიაში პირველი შეჯრა გაიგეს, გადაწყვიტეს ომი ეწარმოებიათ მასთან, მიუხედავად იმისა, რომ მოცლა არა ჰქონდათ რომში გაუთავებელი აჯანყებებითა და მძიმე შინა ომით, რადგან მთელი იტალიის ერთი ნაწილი მეორეზე ჯანყდებოდა მათ წინააღმდეგ. კონსულებმა წილი ყარეს და წილად ხვდა კორნელი სულას მიეღო აზიაზე ძალაუფლება და ეწარმოებია ომი მითრიდატესთან. რადგან რომაელებს მისთვის მისაცემი ფული არა ჰქონდათ, ამიტომ დაადგინეს გაეყიდათ ის, რაც ნუმა პომპილიუსის მიერ განკუთვნილი იყო ღმერთებისთვის სამსხვერპლო შესაწირად. ესოდენ დიდი იყო მაშინ გაჭირვება ყველაფერში და ამასთანავე მისწრაფება საკუთარი სახელის შენარჩუნებისა. მათ მოახერხეს ზოგი რამის გაყიდვა და მოაგროვეს ცხრაათასი გირვანქა ოქრო, რაც გადასცეს ასეთი დიდი ომის საწარმოებლად.

სულა კიდევ დიდხანს დააყოვნა შინა აჯანყებებმა, როგორც ეს მე უკვე ავწერე სამოქალაქო ომების ისტორიაში. ამ დროს მითრიდატემ ააგო ბლომად ხომალდები როდოსელების წინააღმდეგ და ყველა სატრაპებსა და ქალაქების უფროსებს გაუგზავნა საიდუმლო ბრძანება: მოეცადათ ოცდაათი დღე და შემდეგ ერთბაშად დასხმოდნენ თავს მათში მყოფ რომაელებსა და იტალიელებს, რომლებიც იტალიური ტომისა იქნებოდნენ, დაეხოცათ ისინი, გადაეყარათ დაუმარხავად, ხოლო მთელ მათი ქონება მეფე მითრიდატესთან ერთად ურთიერთშორის გაეყოთ. მან გამოაცხადა აგრეთვე სასჯელი იმათთვის, ვინც მათ დამარხავდა, ან გადამალავდა. და ჯილდო დაბეზღებაში იმათთვის, ვინც ამხელდა და

მოკლავდა გადამალულს; აღუთქვა მონებს ბატონების დაბეზღებაში თავისუფლება, დავალიანებულთ თავიანთი მევალის მიმართ — ვალის ნახევარი. ასეთი საიდუმლო ბრძანება მან დაუგზავნა ერთდროულად ყველას და, როდესაც დადგა ეს დღე, — მთელი აზია მოიფინა უბედურებათა სრულიად ნაირნაირი სურათებით. ამათგან მე მივუთითებ შემდეგზე.

23. ეფესის მცხოვრებნი იმათ, ვინც არტემიდას ტაძარში შეიხიზნა და ქალღმერთის ქანდაკებას შემოხვია ხელი, გამოათრევდნენ ხოლმე იქიდან და ხოცავდნენ. პერგამის მცხოვრებნი იმათ, ვინც ასკლეპიოსის ტაძარში შეიხიზნა და იქიდან აღარ გამოდიოღა, ხოცავდნენ ისრებით, როცა ისინი ღმერთების ქანდაკებებს გარს ეხვეოდნენ. ზღვაში გასული ადრამატიელები ხოცავდნენ იმათ, ვინც გაცურვით ფიქრობდა თავის გადარჩენას, და ზღვაში ყრიდნენ ბავშვებს. კავნის მცხოვრებნი, რომელნიც ანტიოქთან ბრძოლის შემდეგ გახდნენ ქვეშევრდომნი და მოხარკენი როდოსელებისა და ცოტა ხნის წინათ მიიღეს თავისუფლება რომაელთაგან, გლეჯდნენ ჰესტიას ქანდაკებიდან იმათ, ვინც შეიხიზნა ჰესტიას ტაძარში და საბჭოს შენობაში, ჯერ ბავშვებს ხოცავდნენ მშობლების (დედების) თვალწინ, შემდეგ თვითონ დედებს და მერე კი კაცებსაც. ტრალის მცხოვრებლებმა, რომელთაც თვითონ არ სურდათ საკუთარი ხელით ჩაედინათ ასეთი დანაშაული, ამ საქმისთვის დაიქირავეს პაფლაგონელი თეოფილე, კაცი ველური, და თეოფილემ ყველა რომაელები შეაგროვა თანხმობის ტაძარში და იქ შეუდგა მათ დახოცვას, ზოგიერთბეს, რომლებიც ღმერთების ქანდაკებებზე იყვნენ ხელმოხვეული, იგი ხელებს აჰრიდა. ასეთი უბედურება დაატყდათ თავს აზიაში მყოფ რომაელებსა და იტალიელებს, ყველას ერთად კაცებსაც და ბავშვებსაც, ქალებსაც, გაზატებულსაც და მონებსაც. რომლებიც იტალიური შთამომავლობისა იყვნენ. და ამ შემთხვევაში განსაკუთრებით აშკარა იყო, რომ აზიამ, არა მითრიდატეს წინაშე შიშით, არამედ უფრო რომაელთადმი სიძულვილის გამო, ჩაიდინა ასეთი საშინელი საქციელი.

მაგრამ ისინი ორმაგად დაისაჯნენ; ჯერ ერთი თვით მითრიდატესგან, რომელმაც მათ მიმართ მალე გამოიჩინა თავისი, ძალადობისაკენ მიდრეკილი, ვერაგი ხასიათი; მეორეს მხრივ კი, უფრო გვიან კორნელი სულასაგან. მითრიდატემ კი გასცურა კუნძულ კოსზე, და კოსის მცხოვრებთ იგი სიხარულით მიიღეს. მან იქ ხელთ იგდო ეგვიპტის მეფის ალექსანდრეს ვაჟი, რომელიც იქ დატოვებული იყო თავის ბებია კლეოპატრათი და დიდძალი ფულებით. და მითრიდატე მას მეფურად ეპყრობოდა. კლეოპატრას სიმდიდრიდან, სამეფო საგანძურთა დიდი ნაწილი, ქვები, ქალის სამკაული და დიდი ფულადი თანხა მან პონტოში გაგზავნა.

24. ამ დროს როდოსელები ამაგრებდნენ თავიანთ კედლებსა და ნავსადგურებს და ყველა ადგილებზე სდგამდნენ სამხედრო მანქანებს-

მათთან ერთად იბრძოდნენ ზოგიერთი თელმისელები და ლიკიელები. იტალიელებმა ყველამ, ვინც კი ადრევე მოასწრო გაქცეულიყო აზიიდან, თავი მოიყარეს როდოსზე და მათთანვე იყო აგრეთვე აზიის პროკონსული ლუციუს კასიუსი. როდესაც მითრიდატემ ხომალდებით გაილაშქრა მათ წინააღმდეგ, მათ დაანგრიეს ქალაქის მიდამოები, რათა მტერს არაფერი გამოეყენებია, და გაემართნენ მის წინააღმდეგ ზღვაზე საბრძოლველად. მათი ხომალდები ზოგი პირდაპირ შეტევაზე მიდიოდა, ზოგი კი გვერდებიდან უვლიდა. მეფე მითრიდატემ, რომელიც პენტერზე იმყოფებოდა, უბრძანა თავისიანებს გაშლილიყვნენ ღია ზღვაში, შემოევლოთ გვერდიდან, და რადგან მისი ხომალდები უფრო სწრაფმავალი იყო, ალყა შემოერტყათ მტრის გემებისთვის, რომელთა რიცხვიც შედარებით ნაკლები იყო. მაშინ როდოსელებს, შეეშინდათ რა რომ ალყაში არ მოქცეულიყვნენ, ნელ ნელა უკან დახევა იწყეს, ხოლო შემდეგ მთლად იბრუნეს პირი და გაიქცნენ თავიანთი ნავსადგურისაკენ, გადაკეტეს იგი გადამღობი ჯაჭვებით და კედლებიდან დაუწყეს მითრიდატეს ბრძოლა. მითრიდატე დაბანაკდა ქალაქის გვერდით; მან არა ერთხელ სცადა ნავსადგურზე იერიშის მიტანა, მაგრამ მარცხი განიცადა; მაშინ დაუწყო მოლოდინი, რომ აზიიდან მისი ჭვეითი ჯარი მოსულიყო. ამ ხნის განმავლობაში ხდებოდა მრავალი შეტაკება კედლების დამცველებთან, და რადგანაც ამ შეტაკებებში როდოსელები სჯობნიდნენ, ამიტომ ისინი გათამამდნენ და თავიანთი ხომალდები მზად ჰქონდათ, რომ, თუ შეძთხვევა მიეცემოდათ, თავს დასხმოდნენ მტერს.

25. ერთხელ როგორღაც მეფის ერთი სატვირთო გემი იალქნებგაშლილი მიცურავდა ნავსადგურის მახლობლად; როდოსელებმა მის წინააღმდეგ გამოუშვეს ბირემა, და, რადგანაც ორივე მხრით სწრაფად გაეშურნენ დასახმარებლად სხვა გემები, — მოხდა ძლიერი საზღვაო ბრძოლა. მითრიდატე მათ ავიწროებდა თავისი სიმარდითა და მრავალრიცხოვანობით, როდოსელები კი დიდი ხელოვნებით გარს ერტყმოდნენ მის პატარა გემებს და აზიანებდნენ მათ, ისე, რომ ნავსადგურში დაბრუნებულთ მათ თან მოიტანეს თოკით გამობმული ტრიერი და მტრის ხომალდების მრავალი სამკაული, აგრეთვე წართმეული დავლა. ერთი მათი პენტერა ხელთ იგდო მტერმა; არ იცოდნენ რა ეს, როდოსელებმა მის საძებრად გაგზავნეს ექვსი ყველაზე უსწრაფესი გემი, მათზე იყო აგრეთვე ნავარხი დამაგორი. მითრიდატემ მის წინააღმდეგ გაგზავნა ოცდახუთი გემი. შებინდებამდე დამაგორი მათ გაურბოდა; როდესაც შეღამდა, ის თავს დაესხა მეფის უკან გაბრუნებულ გემებს და ორი მათგანი ჩასძირა, ორი ლიკიაში შეამწყვდია, და, მთელი ღამე დასცურავდა რა ზღვაში, დილით უკანვე დაბრუნდა. ასეთი იყო დასასრული როდოსელებსა და მითრიდატს შორის საზღვაო ბრძოლისა, სრულიად მოულოდნელი როდოსელებისათვის მათი მცირერიცხოვანობისა და მითრიდატესთვის კი ხომალდთა დიდი რაოდენობის გამო...

26. როდესაც ამავე დღეებში მითრიდატესთან მოცურავდა მისი ქვეითი ჯარი სამგზავრო გემებითა და ტრიერებით, კავნის მხრიდან ამოვარდნილმა მოულოდნელმა ძლიერმა ქარმა ფლოტი როდოსში შეაშფოთა. როდოსელებმა შესაძლებელი სისწრაფით გაცურეს რა ნავსადგურში, ვიდრე მითრიდატეს ფლოტი ღელვას ებრძოდა და გაფანტული იყო, თავს დაესხნენ მას; ზოგნი შეიპყრეს და თოკით გამოაბეს, ზოგნი დაამტვრიეს და დასწვეს და ტყვედ ჩაიგდეს სამასი კაცი. ამის შემდეგ მითრიდატე ემზადებოდა მეორე საზღვაო ომისთვისა და ერთდროულად იერიშისთვის. ის შეუდგა რაღაც „სამბუკის“ აშენებას, რომელიც უზარმაზარ სამხედრო ნაგებობას წარმოადგენდა და ორი გემის საშუალებით დაჰქონდათ. რადგან მის მხარეზე გადმოსულებმა მას უჩვენეს ადვილი მისადგომი ბორცვი, რომელზედაც იდგა ზევს-ატაბირიას ტაძარი და აქ ქალაქის კედლები არ იყო მაღალი, მან ჩასხა ლაშქარი ხომალდებში, სხვებს კი დაურიგა კიბეები და უბრძანა ერთსაც და მეორესაც ემოძრავნათ სიჩუმის დაცვით, ვიდრე მათ ცეცხლით არ მისცემდნენ ნიშანს ატაბირიადან; ხოლო მაშინ ყველამ ერთად, რამდენადაც შესაძლებელი. იქნება, ხმაურით მიიტანონ იერიში ზოგმა ნავსადგურზე, ზოგნი კი ეცადნენ კედლებზე ასვლას. და მართლაც, ისინი დიდი სიჩუმით უახლოვდებოდნენ; მაგრამ როდოსელთა სადარაჯო პოსტებმა შენიშნეს, რაც მზადდებოდა და შეატყობინეს თავისიანებს ცეცხლის საშუალებით. ხოლო მითრიდატეს ჯარმა იფიქრა, რომ მას მისცეს დათქმული ცეცხლის ნიშანი ატაბირიიდან, ამიტომ ღრმა სიჩუმის შემდეგ ყველამ ერთად დასცეს ყიჟინა, — როგორც იმათ, ვისაც კიბეები მიჰქონდა, ისე ხომალდებზე მყოფთ. როდოსელებმა თვითონაც უშიშრად ისეთივე ყიჟინით უპასუხეს და ყველანი კედლებზე ავიდნენ. ამგვარად მეფის ჯარმა ვერ მიაღწია ღამით ვერავითარ წარმატებას და გათენებისთანავე უკუქცეულნი დაბრუნდნენ.

27. სამბუკამ, რომელიც მიიტანეს კედელთან, სადაც იზიდას ტაძარი იდგა, განსაკუთრებით შეაშინა როდოსელები, რადგან იგი ერთდროულად ისროდა ბლომად ისრებს, ტარანებსა და შუბებს. იმავე დროს მეომრები მრავალრიცხოვან წვრილ-წვრილი გემებით ირეოდნენ სამბუკას ირგვლივ, თითქოს მისი დახმარებით კედლებზე ასვლას ლამობდნენ. მაგრამ როდოსელებმა ამ შეტევასაც გაუძლეს შეუპოვრობით იქამდე, ვიდრე ეს ნაგებობა მისივე სიმძიმის ქვეშ არ დაირღვა. ამასთანავე გამოჩნდა, რომ იზიდას გამოსახულებამ მის წინააღმდეგ უდიდესი ცეცხლი ამოანთხია. განიცადა რა მარცხი ამ ჯერადაც, მითრიდატემ აჰყარა თავისი ბანაკი როდოსთან და ალყა შემოარტყა რა პატარს, იგი შეუდგა სამხედრო მანქანების აგების მიზნით, ლატონას ჯალის გაჩეხვას, მაგრამ სიზმრით შეშინებულმა, მასალაც კი ხელუხლებელი დატოვა; პელოპიდეს დაავალა ლიკიელებთან ომის წარმოება, ხოლო არქელაოსი გაგზავნა ელადაში, დაავალა რა მას, რადაც უნდა დასჯდომოდა, მოეპოვებია მასთან მე-

გობრული ურთიერთობა, თუნდაც ძალით აეძულებია იგი ამისათვის. თვითონ კი ამ დროიდან, ჩააბარა რა ლაშქრობა ძირითადად თავის სარდლებს, აუროვებდა ახალ ჯარს, აიარაღებდა მას, ნეტარებას ეძლეოდა თავის ცოლ სტრატონიკასთან და ასამართლებდა იმათ, ვინც, როგორც ამბობდნენ, ხელპყვეს მის სიცოცხლეზე ან ცდილობდნენ სახელმწიფო გადატრიალებას ან საერთოდ რომაელების მომხრეები იყვნენ.

28. ასეთ საქმეებში იყო გართული მითრიდატე. ხოლო ელადაში კი აი, რა ხდებოდა. გაემგზავრა რა დიდძალი სანოვაგითა და ხომალდებით, არქელაოსმა ბრძოლაში მოიპოვა გადამწყვეტი გამარჯვება და ხელთ იგდო დელოსი, რომელიც ჩამოშორდა ათენელებს, და აგრეთვე სხვა გამაგრებული ადგილები. ამოხოცა რა მან აქ 20.000-მდე კაცი, რომელთაგანაც უმეტესობა იტალიელები იყვნენ, ეს გაძაგრებული პუნქტები ათენელებს გადასცა. ამ საქციელითა და აგრეთვე სხვა მხრივაც მითრიდატეს უდიდესი ქებით, მან ისინი მეფის მოკავშირეებად აქცია. სამღვთო ფული დელოსიდან მან გაუგზავნა ათენელებს არისტიონის მეშვეობით, რომელიც შთამომავლობით ათენელი იყო; ამასთანავე ამ ფულის დასაცავად გააყოლა თან ორიათას კაცამდე. ისარგებლა რა ყველაფერი ამით, არისტიონი გახდა თავის სამშობლოში ტირანი და ათენელთაგან ზოგნი დაუყოვნებლივ დახოცა, როგორც რომაელების მომხრენი, ზოგნი კი მითრიდატს გაუგზავნა; ასე მოიქცა ის ადამიანი, რომელსაც განვლილი ჰქონდა ეპიკურეს ფილოსოფიური სკოლა...

29. არქელაოსს შეუერთდნენ აქეელები და ლაკონიის მცხოვრებნი და მთელი ბეოტია, გარდა თესპიისა, რომელსაც მან ალყა შემოარტყა. ამავე დროს მეტროფანე, მითრიდატეს მიერ დიდი ჯარით გაგზავნილი, არბევდა ევბეიას. დემეტრიადასა და მაგნესიას, რომლებიც არ მიემხრნენ მითრიდატეს. ამავე დროს ბრეტიუსი, რომელიც მაკედონიიდან მცირე ჯარით გამოემართა. ბრძოლას უმართავს მას და, ჩაუძირა რა ხომალდი და სწრაფმავალი გემი, მათზე მყოფნი ყველანი დახოცა მეტროფანეს თვალწინ. ეს უკანასკნელი შეშინებული გაიქცა. რადგან ქარი მეტროფანეს სასარგებლოდ ჰქროდა, ბრეტიუსმა იგი ვერ დაიჭირა, სამაგიეროდ ხელთ იგდო სკიათი, ქალაქი, სადაც ინახებოდა ბარბაროსთა სადავლი; ზოგი მათი მონები ჩამოახრჩო, თავისუფლებს კი მკლავები დასჭრა. შემდეგ მან მიმართა ბეოტიას, და როდესაც მაკედონიიდან მოუვიდა სხვა 1000 კაცი ცხენოსანი და ქვეითი, იგი ქერონეის მახლობლად სამი დღის განმავლობაში ეწეოდა ბრძოლას არქელაოსსა და არისტიონთან. საერთოდ ამ ბრძოლის შედეგი გადამწყვეტი არ ყოფილა ორივე მხარის თანაბარი წარმატების გამო. რადგან შეთანხმების საფუძველზე არქელაოსსა და არისტიონთან მივიდნენ ლაკონიელები და აქველები, ბრეტიუსმა გადაწყვიტა, რომ ის ვერ შესძლებდა ყველა მათთან ბრძოლას და ამიტომ გაემართა პირეუმისაკენ, მაგრამ არქელაოსმა ფლოტით ისიც ხელთ იგდო.

30. სულა, რომაელების მიერ მითრიდატესთან ომის ბელადად ამორჩეული, მხოლოდ ახლა მოვიდა იტალიიდან ელადაში ხუთი ლეგიონით და რამდენიმე მანიპულით და ცხენოსანთა რაზმებით, და უმალ შეუდგა ეტოლიასა და თესალიაში ფულის, მეგობრებისა და სანოვაგის შეგროვებას; როდესაც მან მიიჩნია, რომ ყველაფერი ეს მას საკმარისად მოეპოვებოდა, იგი გაემართა ატიკისაკენ არქელაოსის წინააღმდეგ. როდესაც იგი მიდიოდა ბეოტიაზე, მთელი ბეოტია მის მხარეზე დადგა მცირეოდენის გამონაკლისით; მათ რიცხვში იყო დიდი ქალაქი თებეც, რომელიც ძალიან წინდაუხედავად დადგა მითრიდატეს მხარეზე, მაგრამ უფრო ჩქარა ვიდრე საქმე სერიოზულ განსაცდელამდე მივიდოდა, არქელაოსისგან სულას მხარეზე გადავიდა. ატიკაში მისვლისთანავე სულამ ჯარის ნაწილი გაგზავნა ქალაქისაკენ, რათა არისტიონისთვის ალყა შემოერტყა, თვითონ კი დაეშვა პირეუმისაკენ, სადაც არქელაოსი იყო და სადაც კედლებს შიგნით მტერი იმყოფებოდა. ამ კედლებს ორმოცი წყართა სიმაღლე ჰქონდა და აგებული იყო მსხვილი ოთხკუთხედი ქვებისაგან. ააშენა ისინი პერიკლემ, როდესაც იგი იყო ათენელთა სარდალი პელოპონესელთა წინააღმდეგ; ამყარებდა რა გამარჯვების მთელს იმედს პირეუმზე, მან ასე გულდაგულ გაამაგრა იგი. მიუხედავად კედლების ასეთი სიმაღლისა, სულამ მოზიდა კიბეები; მან მრავალი გმირობა ჩაიდინა, მაგრამ ბევრი მარცხიც განიცადა, რადგანაც კაპადოკიელები მამაცად იცავდნენ თავს; ღონემიხდილი იგი წავიდა ელევსინსა და მეგარაში და შეუდგა იქ სამხედრო მანქანების აგებას პირეუმის წინააღმდეგ და განიზრახა გაეკეთებია მისკენ მიწაყრილი. მუშები, სხვა მოწყობილობა, რკინა, კატაპულტები და სხვა ყველაფერი ამგვარი მას მოსდიოდა თებედან, მან გაჩეხა აკადემიის ტყე და გააკეთა უზარმაზარი საიერიშო მანქანები. გრძელი კედლები კი მან დაანგრია, იყენებდა რა ქვას, ხესა და მიწას მიწაყრილისთვის.

31. ორი ატიკელი მონა პირეუმიდან, ნამდვილად რომაელების მომხრეობის გამო, თუ წინდახედულად, იმზადებდნენ თავშესაფარს ყოველ შემთხვევისთვის, — აკეთებდნენ ტყვიის რგოლებს, რომლებზედაც წერდნენ, თუ რა კეთდებოდა რომაელთა წინააღმდეგ, და შურდულით ისროდნენ. როდესაც ეს მრავალჯერ განმეორდა და შენიშნეს, სულამ მიაქცია ყურადღება შურდულით გამოსროლილ ტყვიის რგოლებს და მათზე იპოვნა წარწერა, რომ მეორე დღეს ქვეითი ჯარი მივა პირდაპირ ფრონტით მუშებზე და ცხენოსნები მიესევიან ორი მხრით რომაელთა ორივე ფლანგს. და, აი, მან დამალა ჯარის საკმაო რაზმი, და როდესაც მტრებმა გამოხდომა მოახდინეს, რაც მათ ეგონათ რომ სრულიად მოულოდნელი იყო, სულამ დასძრა მათ წინააღმდეგ, უფრო მოულოდნელად, დამალული ჯარი, მრავალი მათგანი დახოცა, დანარჩენნი კი ზღვაში ჩაყარა. ასეთი იყო ამ ცდის შედეგი. როდესაც მიწაყრილი უკვე საკმაოდ გამაგრდა, არქელაოსი თავისი მხრით შეუდგა კოშკების აგებას და

დადგა მაიზე ბევრი იარაღი თავდასაცავად და გაგზავნა დამხმარე ძალების მოსაყვანად ქალკიდიკიდანა და სხვა კუნძულებიდან და შეაიარაღა შენაერებიც კი. თითქოს საშიშროება უკვე უკიდურესობამდე მისულიყოს. არქელაოსის ჯარი საერთოდ (ადრეულიც) უფრო მრავალრიცხოვანი იყო სულას ჯარზე. ხოლო ამის შემდეგ უფრო მეტად სჭარბობდა მას რიცხობრივად; და. აი, შუაღამისას არქელაოსმა მოახდინა სწრაფი გადხდომა და მოსპო აგებულ ორ „კუთაგან“ ერთი და მასში მყოფი მთელი მოწყობილობა. მაგრამ ათიოდე დღის შემდეგ სულამ კვლავ სხვა ასეთი გააკეთა და ისევ იმავე ადგილას დადგა. სადაც პირველი იდგა. მის პირდაპირ არქელაოსმა დადგა კედლებზე კოშკი.

32. როდესაც მასთან მითრიდატესაგან მოვიდა სხვა ჯარი, რომელსაც დრომიქტე მეთაურობდა, არქელაოსმა ყველანი ბრძოლაში გაიყვანა. შეურია რა მათ რიგებში მეშურდულენი და მოისარნი, მან ისინი უშუალოდ კედელთან დააყენა, რათა მათაც, ვინც კედელს იცავდა, შესძლებოდათ მტრის დაზიანება. სხვები კი ანთებული მაშხალებით ჯიშკართან უცდიდნენ მოხერხებულ შემთხვევას. რომ მოეხდინათ გამოხდომა. დიდხანს ვერ მიიღო ბრძოლამ გადამწყვეტი ხასიათი, რადგანაც რიგრიგობით უკან იხევდნენ ხან ერთი და ხან მეორე მხარე, პირველ ყოვლისა კი ბარბაროსები, მაგრამ არქელაოსმა შეაჩერა იგინი და კვლავ ჩააბა ბრძოლაში. ამით შეშინებულმა რომაელებმა ახლა თვითონ დაიწყეს უკან დახევა. მაგრამ მათ შემოხვდათ მურენა და აიძულა ისინი უკანვე დაბრუნებულიყვნენ. მეორე ლეგიონი, რომელიც ხე-ტყის დამზადებიდან დაბრუნდა, აგრეთვე დაჯარიმებულნიც მათთან ერთად, თავგანწირვით ეკვეთნენ მითრიდატეს ჯარს და ამოხოცეს რა 2.000 კაცამდე, დანარჩენნი კედლებს შიგნით შერეკეს. არქელაოსი, რომელიც ცდილობდა ისინი ისევ მტრების წინააღმდეგ შეებრუნებია და ამით გატაცებული დიდხანს იბრძოდა, ჯიშკრიდან შორს აღმოჩნდა და გარეთ დარჩა, იგი კედლიდან აიყვანეს თოკის ნაწყვეტით. ხოლო სულამ დაჯარიმებულთ, როგორც ბრწყინვალედ მებრძოლთ, მოხსნა სამარცხვინო სასჯელი, დანარჩენები კი უხვად დაასაჩუქრა.

33. რადგანაც უკვე ზამთარი დგებოდა, სულამ დააბანაკა თავისი ჯარი ელევსინში და შეუდგა მაღლობიდან ზღვისკენ არხის გაყვანას, რათა მტრის ცხენოსანს ხელი შეშლოდა თავდასხმის დროს. ვიდრე იგი ამ საქმეში იყო გართული, მას ყოველდღე უხდებოდა შეტაკებები ხან არხთან, ხან კედლებთან, რადგან მტრები ხშირად გამოდიოდნენ და იხმარდნენ ქვებს, ისრებსა და ტყვიის ბირთვებს. რადგან სულას აკლდა ხომალდები, ამიტომ მან გაგზავნა ხალხი როდოსზე ამისათვის, მაგრამ რადგანაც როდოსელებს არ შეეძლოთ მასთან მისვლა — ზღვაზე ხომ მითრიდატე იყო გაბატონებული, —სულამ უბრძანა ლუკულუსს რომაული წარჩინებული გვარის კაცს, რომელიც სულას შემდეგ იყო სარდალი მითრიდატესთან ომში, — საიდუმლოდ გადასულიყო ალექსანდრიასა

და სირიაში და მოეგროვებია ფლოტის მქონე ქალაქების ეპისკოპოსებისაგან ხომალდები, რათა გამოეცილებიათ რომაელების ფლოტი. თუმცა ზღვა მოწინააღმდეგის ხელში იყო, მაგრამ ლუკულუსი დაუყოვნებლივ ჩაჯდა პატარა გემში და შემდეგ, გადაჯდომა რა ერთი ხომალდიდან მეორეზე, რათა დაეფარა თავისი კვალი, მივიდა ალექსანდრიაში.

34. იმავე გამცემლებმა კვლავ დაწერეს ტყვიის ფირფიტაზე, რომ იმ ღამეს არქელაოსი ჰგზავნიდა ქალაქში ათენელებთან, რომლებიც შიმშილისგან იყვნენ შეწუხებული, — ჯარისკაცებს ტვირთით; და გადმოისროლეს შურდულით: სულა ჩაუსაფრდა და ხელთ იგდო როგორც პური, ისე ისინი, ვისაც იგი მიჰქონდა. სწორედ იმავე დღეს მუნაციმ ქალკიდის მახლობლად დაამარცხა მითრიდატეს მეორე სარდალი ნეოპტოლემე, მოკლა ათასხუთასამდე კაცი და მტრების უფრო მეტი რიცხვი ტყვედ წაიყვანა. რამდენიმე ხნის შემდეგ ღამით, როცა გუშაგებს ისევ ეძინათ, რომაელებმა მანქანების დახმარებით მიიტანეს კიბეები პირეუმთან, ავიდნენ კედელზე და ამოხოცეს მახლობელი გუშაგები. მაშინ ბარბაროსთაგან ზოგი უმალ ჩახტნენ პირეუმში, მიატოვეს რა კედლები, თითქოს ისინი მთლად მოწინააღმდეგეს ეგდო ხელთ; სხვები კი შეტევაზე გადავიდნენ და მოკლეს ქალაქში შეჭრილთა მეთაური, ხოლო დანარჩენნი კვლავ კედლებს გარეთ გამორეკეს. ხოლო ზოგიერთებმა, მოახდინეს გამოხდომა ჰიშკრიდან და კინაღამ დასწვეს რომაელთა მეორე კოშკი: მაგრამ სულა სწრაფად გაეშურა ბანაკიდან და შეუპოვრად იბრძოდა რა მთელი ღამისა და დღის განმავლობაში, მოახერხა მისი გადარჩენა. ამჯერადაც ბარბაროსებმა უკან დაიხიეს, მაგრამ არქელაოსმა სხვა უფრო დიდი კოშკი დადგა რომაელთა კოშკის პირდაპირ და ისინი ერთიმეორეს ებრძოდნენ ამ კოშკებიდან, ხშირ წვიმასავით თავს აყრიდნენ რა ერთი მეორეს ყოველგვარ სატყორცნ იარაღს; ბოლოს, სულამ, კატაპულტების საშუალებით, რომლებითაც თვითეულიდან ერთბაშად ოც ძალიან დიდ ტყვიის ბირთვს ისროდნენ, ბევრნი ამოხოცა, შეარყია არქელაოსის კოშკი, რომელიც ძლივსღა იჭერდა თავს, ისე რომ არქელაოსს შეეშინდა მისი ჩამონგრევისა და ბრძანა იგი კედლიდან ძირს ჩამოეტანათ.

35. როდესაც ქალაქში შემწყვდეულნი უფრო მეტად შეაწუხა შიმშილისაგან ტანჯვამ, მაშინ გადმოსროლილმა ტყვიის ფურცლებმა კვლავ ამცნო რომაელებს, რომ არქელაოსი ღამით ქალაქში სანოვაგეს გაგზავნიდა. რადგანაც არქელაოსს ეშვი ჰქონდა, რომ რომაელებს ვიღაც აწვდიდა ცნობას პურის შესახებ და რომ გამცემლობას ჰქონდა ადგილი, პური თუმცა მაინც გაგზავნა, მაგრამ ჰიშკართან ხალხი დააყენა ცეცხლით, რათა თავსდასხმოდნენ რომაელებს, თუ სულა მიეტანებოდა ჯარით, ვისაც პური მიჰქონდა, და ორივემ შეასრულა თავიანთი განზრახული — სულამ ხელთ იგდო ისინი, ვისაც პური მიჰქონდა, არქელაოსმა კი — დასწვა რომაელთა ზოგიერთი მოწყობილობა. იმავე დროს მითრი-

ლატეს ვაჭმა აკათიაც, რომელიც სხვა ჯარით მაკედონიაში შეიჭრა, ადვილად მოიპოვა გამარჯვება, რადგან რომაელები იქ ცოტანი იყვნენ, დაიპორჩილა მთელი მაკედონია და ჩააბარა რა იგი სატრაპებს, თვითონ გაემგზავრა სულას წინააღმდეგ. მაგრამ ავად გახდა და მოკვდა ტისეის მახლობლად. ხოლო ატიკაში ქალაქთან, რომელიც საშინლად იტანჯებოდა შიმშილით, სულამ მრავალი წვრილი სიმაგრე ააგო, რათა იქიდან არავინ გაქცეულიყო და რათა მოსახლეობა უფრო მეტად შეწუხებულიყო სივიწროვის გამო.

36. პირეუსში კი, აამაღლა რა საკმარისად მიწაყრილი, სულა შეუდგა მანქანების მოზიდვას. მაგრამ არქელაოსმა თხრილი გააკეთა მიწაყრილის ქვეშ და დიდი ხნის განმავლობაში შეუმჩნეველად ეზიდებოდა მიწას; მიწაყრილმა უცბად ძირს დაწევა იწყო. რომაელებმა მოახერხეს სწრაფად შეენიშნათ ეს. უკანვე გააბრიეს მანქანები და ამოავსეს ყრილი. ამავე წესით მათ თავის მხრით შეთხარეს კედლამდე. ისარგებლეს რა მათივე კვალით: და: აი, მიწის ქვეშ ისინი ერთი მეორეს ეჯახებოდნენ და იმართებოდა ხელჩართული ბრძოლა ხმლებითა და შუბებით, რამდენადაც ეს შესაძლებელი იყო ბნელში. ამასობაში სულა მიწაყრილიდან სხვადასხვა მოწყობილობათა საშუალებით ურტყამდა ტარანებით კედელს. ვიდრე მისი ნაწილი არ ჩამოინგრა; სურდა რა დაეწვა შორიახლოს მდგომი კოშკი, მან დაუშინა მას ძრავალი ცეცხლგამჩენი ყუმბარა და ჯარისკაცთაგან ყველაზე უფრო მამაცნი გაგზავნა კიბეებითურთ. ორივე მხრით უდიდესი დაჟიმულობის შემდეგ, ბოლოს ცეცხლი წაეკიდა კოშკს და სულამ, დაინგრია რა კედლის ნაწილი, მაშინათვე იქ სადარაჯო სიმაგრე დადგა, კედლის ძირგამოთხრილი საძირკველი, რომელიც მხოლოდ ძელებზეღა იყო დაყრდნობილი, ცეცხლის ალში გახვიეს მოტანილი ასანთი მასალის საშუალებით. კედლის ნაწილები ერთი მეორეზე ჩამოინგრნენ და თან გადაიყოლეს ზედმდგომი მებრძოლები. ამ უდიდესმა და უცაბედად ყოველი მხრივ მოვლენილმა არეულობამ შეაშინა კედლის დამცველები, თითქოს ის კედელიც, რომელზედაც ისინი იდგნენ საცაა დაეცემოდა. ამიტომ ისინი შეწუხებული იყურებოდნენ აქეთ-იქით: შიში აიძულებდა მათ ყველაფრისთვის ეკვის თვალით შეეხედათ და ამიტომ ისინი სუსტად იბრძოდნენ მტრის წინააღმდეგ.

37. ასეთ მდგომარეობაში მყოფ მეომრებს სულა შეუსვენებლივ უტევდა, მაგრამ ამავე დროს იგი გამუდმებით ცვლიდა დაღლილებს, მოყავდა რა სულ ახალ-ახალი რაზმები კიბეებითურთ; ისინი ყიჟინას სცემდნენ და თავისიანებს საბრძოლველად აგულიანებდნენ: ერთსა და იმავე დროს სულაც ამხნევებდა მათ, ხან ემუქრებოდა და ხან კი ეუბნებოდა, რომ ასეთ მოკლე დროში მათთვის გადაწყდება მთელი ლაშქრობის ბედი. მაგრამ არქელაოსმაც თავისი მხრით შეშინებულთა მაგიერ ახალი ჯარი მოიყვანა; ისიც განუწყვეტლივ ანახლებდა ბრძოლას, ერთსა და იმავე დროს მიმართავდა და აგულისებდა რა ყველას, რომ „ცო-

ტაც კიდევ და მათთვის ხსნა უზრუნველყოფილიყო". ერთსაცა და მეორე მხარესაც კვლავ უდიდესი ენერგია და გატაცება გამოაჩნდა; ომის ხალისიცა და მსხვერპლიც ორივე მხრით ერთნაირი და თანაფარდი იყო. მაგრამ სულამ, რომელმაც დიდი დანაკლისი განიცადა, როგორც თავდამსხმელმა, საყვირით ნიშნის მიცემით გამოიწვია ჯარი და ყველას გასაკვირად უკან წაიყვანა. ხოლო არქელაოსი მაშინათვე ღამე შეუდგა კედლის ჩამონგრეული ნაწილის აღდგენას, ამასთანავე მან შიგნიდან ააგო მრავალი სიმაგრე ნახევარმთვარის მსგავსად: ამ ახლადაგებულ კედლებზე სულამ კვლავ სცადა მიეტანა იერიში მთელი ჯარით, ფიქრობდა რა, რომ ვიდრე ჯერ სველი და გაუმაგრებელი იყო, ადვილი იქნებოდა მათი დანგრევა. მაგრამ, მოქცა რა გაჭირვებულ მდგომარეობაში, როგორც ეს ბუნებრივია ვიწრო ადგილისათვის, და თავს ესხმოდნენ რა მას ზევიდან და გვერდებიდან, რადგანაც სიმაგრეებს ნახევარმთვარის ფორმა ჰქონდა, მან სრულიად ხელი აიღო პირეუმის იერიშით აღების განზრახვაზე და შეუდგა მის ალყას, რათა იგი შიმშილით აეღო.

38. შენიშნა რა, რომ ქალაქში მყოფნი განიცდიან სულ უფრო და უფრო მეტ გაჭირვებას, რომ მათ ამოხოცეს მთელი საქონელი, რომ ისინი ხარშავდნენ ტყავებსა და ხარბად ეწაფებოდნენ ნახარშს, ხოლო ზოგიერთი მათგანი კი ლეშსაცა სჭამდა, სულამ უბრძანა მთელ ჯარს შემოევლოთ ქალაქისათვის ირგვლივ თხრილი, რათა თვითეულადაც არავის მოეხერხებია გაქცევა და თავის გადარჩენა. როდესაც მისი ბრძანებით ეს შესრულდა, მან ერთდროულად მოზიდა კიბეები და შეუდგა კედლების ძირის გამოთხრას. რადგან მაშინათვე დაიწყო ლტოლვა, როგორც ეს ბუნებრივია დასუსტებული ხალხისთვის, სულა შეიპყრა ქალაქში და ათენში დაიწყო საშინელი და შეუბრალებელი ხოცვა-ჟლეტა. არც გაქცევა შეეძლოთ მათ სისუსტის გამო და არც არავინ ინდობდა არც ქალსა და არც ბავშვს — სულამ ბრძანება გასცა ამოეხოცათ ყველანი, ვისაც კი მოახელებდნენ, რადგან იგი გაბოროტებული იყო მათზე, რომ ისინი ასე აჩქარებულად და მოუფიქრებლად გადავიდნენ ბარბაროსთა მხარეზე, და გაღიზიანებული იყო მათგან მიღებული უსაზღვრო შეურაცხყოფით. ბევრი ამ სიტყვების გამგონე, თვითონ უვარდებოდა მკვლელებს ხელში. რათა მათ დროზე შეესრულებიათ თავიანთი საქმე. მათგან მხოლოდ მცირეოდენს ეყო ძალა გაქცეულიყვნენ აკროპოლისში; მათთან ერთად გაიქცა აგრეთვე არისტიონიც, დასწვა რა ოდეონი, რათა სულას ხელთ არა ჰქონოდა უკვე მზამზარეული ხის მასალა აკროპოლისის ალყისათვის. სულამ მოახერხა ქალაქში ხანძრის ჩაქრობა, მაგრამ სამაგიეროდ იგი გასაძარცვად გადასცა ჯარს. და რომაელი მებრძოლები მრავალ სახლში პოულობდნენ ადამიანის ხორცს, საჭმელად მომზადებულს. მეორე დღეს სულამ გაყიდა ტყვეები; თავისუფლებს კი, რომელთა დახოცვაც გასული ღამის განმავლობაში ვეღარ მოესწრო, — ასეთები კი ძალიან ცოტანი

იყვნენ — მან გამოუცხადა, რომ აჩუქებს თავისუფლებას, მაგრამ ხმის მიცემის უფლებას, კენჭებითა თუ ხელის აწევით, ართმევს, რადგან ისინი მას ებრძოდნენ, თუმცა მათ შთამომავალთ აღუთქვა ამ უფლების დაბრუნება.

39. ასეთი დიდი უბედურება ეწვია ათენს. სულამ გარნიზონი ჩააყენა აკროპოლისში, რადგანაც არისტიონი და მასთან ერთად აქ გამოქცეულნი, შიმშილითა და წყურვილით შეწუხებულნი, მალე დანებდნენ. ამათვან არისტიონი და მისი ამალა მასთან ერთად აგრეთვე ისინიც, ვინც რაიმე ოფიციალურ სამსახურს ასრულებდა, ან რაიმე ჰქონდა ჩადენილი ომის წინააღმდეგ, რაც ელადაში დადგენილი იყო, როცა იგი რომაელებმა დაიპყრეს, — ყველა ისინი სულამ სიკვდილით დასაჯა; სხვები კი დაინდო და დააწესა მათთვის კანონები იმის მსგავსად, როგორც ეს წინათ იყო რომაელების მიერ დადგენილი. აკროპოლისიდან გაიტანა 40 გირვანქამდე ოქრო და 600 გირვანქამდე ვერცხლი. მაგრამ აკროპოლისის ეს ამბები მოხდა ცოტა მოგვიანებით.

40. როგორც კი ქალაქი აღებულ იქნა, სულამ აღარ დაუცადა, ვიდრე მოახერხებდა პირეუმის იერიშით აღებას, არამედ დასძრა მის წინააღმდეგ კედლის სანგრევი მანქანები, სატყორცნი მანქანები და მსროლელნი, დასძრა აგრეთვე ხალხის დიდი რაოდენობა, რომლებმაც დაიწყეს კედლების ძირის გამოთხრა, აგრეთვე მებრძოლთა კოჰორტები, რომლებიც ესროდნენ შუბებსა და ისრებს კედლებზე მდგომთ და მათ ხშირად აზიანებდნენ. და მან ძირი გამოუთხარა და დაანგრია ნახევარმთვარისებური კედლები, რომლებიც ჯერ ისევ გამოუმშრალებელი და გაუმაგრებელი იყო, რადგან ახლად იყო აგებული. რადგანაც არქელაოსს ეს ადრევე ჰქონდა გათვალისწინებული, ამიტომ ამ კედლების წინ შიგნითა მხრით მან ააგო მათი მსგავსი მრავალი სიმაგრე, და სულას განუწყვეტელი ბრძოლა უხდებოდა, რადგან ერთი სიმაგრის შემდეგ, მეორე ასეთის მსგავსს მიადგებოდა ხოლმე, მაგრამ იგი არ შემდრკალა, იგი ხშირად ცვლიდა დაქანცულ ჯარისკაცებს სხვებით და დადიოდა რა მათ შორის, ამხნევებდა მუშაობისათვის, მიუთითებდა რა, რომ იმ მცირე გამძლეობაზე, რომელიც მათ უნდა გამოიჩინონ, დამოკიდებულია მთელი მათი იმედები დოვლათის (ნადავლის) შოვნაზე. და თვითონ მებრძოლთაც ესმოდათ, რომ ეს მართლაც მათი შრომის დასასრული იყო და გატაცებულნი პატივმოყვარეობითი სურვილით, აეღოთ ესოდენ ძლიერი სიმაგრე, — არავითარ ძალღონეს არ იშურებდნენ, ისე რომ არქელაოსმა, მათი გაშმაგებითა და უგნური შეუპოვრობით ღონე გამოცლილმა, მიუტოვა მათ კედლები და უკან დაიხია პირეუმის ძლიერ გამაგრებულ, ზღვით შემორტყმულ ნაწილში, სადაც სულას არ შეეძლო მას თავს დასხმოდა, რადგან ხომალდები არ გააჩნდა.

41. აქედან არქელაოსი ბეოტიაზე გავლით გაემგზავრა თესალიაში და თერმოპილში, შეაგროვა ნარჩენები მთელი თავისი ჯარისა, რომლი-

ოაც იგი აქ მოვიდა, აგრეთვე შეიერთა ისიც, რაც დრომიქეტეს ჰყავდა. მან გააერთიანა აგრეთვე ისინი, რომლებიც მეფის (მითრიდატეს) ვაჟთან ერთად მაკედონიაში შეიჭრნენ, ესენი ყველაზე უფრო ძლიერსა და სრულ ნაწილს წარმოადგენდნენ, და ყველა ისინი, ვისაც მითრიდატე სისტემატურად გზავნიდა დასახმარებლად. ყველა ესენი მან სასწრაფოდ შემოკრიბა. ამ დროს სულამ დაწვა პირეუმი, რომელმაც უფრო მეტი უსიამოვნება მიაყენა, ვიდრე ქალაქმა ათენმა, არ დაინდო არც არსენალი, არც ნავსაშენი, არც სხვა რომელიმე მათი განთქმული ნაგებობა, ხოლო შემდეგ გაემართა არქელაოსის წინააღმდეგ, აგრეთვე ბეოტიაზე გავლით. როდესაც ისინი ერთიმეორეს დაუახლოვდნენ, მაშინ ისინი, რომლებიც ცოტა ხნის წინათ თერმოპილთან იყვნენ, ფოკიდისაკენ წავიდნენ; ესენი იყვნენ თრაკიელები, პონტოს მცხოვრებნი, სკვითები, კაპადოკიელები, ბითინიელები, გალატელები და ფრიგიელები და სხვა ჰხარეთა მცხოვრებნი რომლებიც ამას წინათ დაიპყრო მითრიდატემ, — სულ 12.000 კაცი. მეთაურებად ჰყავდათ თვითეულ ნაწილს თავისიანი, ხოლო ყველას მთავარსარდალი იყო არქელაოსი. სულას თან ჰყავდა იტალიელები, ის ელინები და მაკედონიელები, რომლებიც ამას წინათ არქელაოსისგან მის მხარეზე გადავიდნენ, აგრეთვე ზოგიერთნი მეზობელ ქალაქებიდან; ყველა ესენი ერთად მოწინააღმდეგის ჯარის ერთ მესამედსაც ვერ შეადგენდნენ.

42. როდესაც ისინი ერთიმეორის პირისპირ აღმოჩნდნენ, არქელაოსი აწყობდა ჯარს საბრძოლო წესზე და განუწყვეტლივ იწვევდა საბრძოლველად, სულა კი არ ჩქარობდა, ითვალისწინებდა რა ადგილობრივ პირობებსა და მოწინააღმდეგის რაოდენობას. ხოლო, როდესაც არქელაოსმა ქალკიდისაკენ სვლა იწყო, იგი მას უკან გაჰყვა, ელოდებოდა რა ხელსაყრელ დროსა და ადგილს. და როდესაც დაინახა, რომ არქელაოსმა დაიბანაკა ქერონეის მახლობლად დაქანებულ ადგილზე, საიდანაც მას აღარავითარი შესაძლებლობა არ ჰქონდა წასულიყო ისე, თუ გამარჯვებას არ მოიპოვებდა, მაშინათვე გამოიყვანა თავისი ჯარი საბრძოლველად, დაიკავა რა მახლობლად ფართო ველი, რათა აეძულებია არქელაოსი მიეღო ბრძოლა თავის უნებურადაც კი. რომაელების ზურგში გაშლილი იყო სწორი, როგორც მტრის სადევნელად, ისე უკან დასახევად ხელსაყრელი ველი, ხოლო არქელაოსს კი ზურგს უკან ჰქონდა მაღალი მთები, რომლებიც ხელს უშლიდა მთელი ჯარი ერთბაშად ჩაება ბრძოლაში, რადგან ასეთ უსწორმასწორო ადგილზე მას არც კი შეეძლო ისინი წესიერად განეწყო მთლიანად; დამარცხების შემთხვევაში კი, უკან დახევა მაღლობ ადგილებში ძნელი იყო. ამ მოსაზრებაზე დაყრდნობით, იმედეულობდა რა უფრო მეტად ადგილის მოუხერხებლობას, სულამ დაიწყო აქ შეტევა, რათა რიცხობრივ უპირატესობას არქელაოსისათვის არავითარი სარგებლობა არ მოეტანა; არქელაოსმა კი, არ ეგონა რა მას, რომ ამ ადგილას ბრძოლა მოუხდებოდა, დაუდევრად გაფანტა თავისი

ბანაკი. ხოლო როდესაც სულამ უკვე იერიში მიიტანა მასზე, იგი ბოლოს და ბოლოს ძალიან გვიან მიხვდა ადგილის უხერხულობას და წინ გაგზავნა ცხენოსანთა რაზმი, რათა სულასთვის ხელი შეეშალნა. როდესაც ისინი უკუგდებულ იქნენ ციცაბო მთებისკენ, მან კვლავ გაგზავნა სამოცი ეტლი (ცელებით შეიარაღებული), იმ იმედით, რომ გრიგალისებური შეტევის დროს მოწინააღმდეგის ფალანგას შუა გაჰკეთდნენ და დაფლეთდნენ. მაგრამ რომაელებმა მიახლოვებისთანავე ეტლებს გზა დაუგდეს, რომლებმაც სისწრაფის გამო მათ ჩაუქროლეს და რომაელთა უკანა რიგებში აღმოჩნდნენ, და რადგანაც მათი მოტრიალება ძნელი იყო, ამიტომ მათ გარს შემოერტყნენ უკანა რიგებში მყოფნი და მოსპეს ისინი ხელშუბებითა და ისრებით.

43. მაგრამ ასეთ პირობებშიც კი არქელაოსს დამშვიდებით შეეძლო თავი დაეცვა გამაგრებულ ბანაკში, ამასთანავე ციცაბო კლდეებსაც ებეძლო მისთვის ზოგი რამ სარგებლობა მოეტანა, მაგრამ მან, თავისი აჩქარებულობის გამო, დაიწყო ბეჯითად გამოყვანა და გაწყობა მთელი ხალხისა, რომელიც საბრძოლველად არ იყო მომზადებული და თანაც მეტად შევიწროებული იყო მცირე მიდამოზე, სულას მიახლოვების გამო. პირველყოვლისა მან წინ გაგზავნა ცხენოსანი ჯარი, რომელმაც ძლიერი მიწოლით გაარღვია მტრის ფალანგა ორ ნაწილად და შემდეგ, რომაელთა მცირერიცხოვანობის გამო, ადვილად შეუდგა მათს გარშემორტყმას. რომაელები მედგრად იცავდნენ თავს, იბრძოდნენ რა ყოველ მხრით, განსაკუთრებით გაუჭირდათ იმ რომაელებს, რომლებსაც გალბა და ჰორტენზიუსი მეთაურობდნენ, რომელთა პირისპირაც იდგა თვითონ არქელაოსი, რადგანაც ბარბაროსები თავიანთი სარდლის თვალწინ განსაკუთრებული გააფთრებით უტევდნენ. მაგრამ აქ სულამ შეუტია მათ ცხენოსანთა დიდი რაოდენობით. სარდლის ნიშნებისა და ამდგარი დიდი მტვრის მიხედვით არქელაოსმა დაასკვნა, რომ სულა უახლოვდებოდა, ამიტომ მან გარშემორტყმა შეწყვიტა და დაიხია თავის საბრძოლო რიგებისაკენ. სულა, რომელიც მიუძღვოდა თავისი ჯარის საუკეთესო ნაწილს და გზადაგზა კი შემოიერთა წინასწარ ჩასაფრებული ორი კოჰორტა, თავს დაესხა მტრებს, როდესაც ისინი ჯერ ისევ არეული იყვნენ და მტკიცე ფრონტით გაწყობა ვერ მოესწროთ, და, უფრო მეტად არია რა ისინი, მრავალი მათგანი ამოხოცა და გაქცეულებს დაუწყო დევნა. როდესაც აქ გამარჯვებას დასაბამი დაედვა, მაშინ მურენამაც, რომელიც მარცხენა ფრთას მეთაურობდა, აღარ დააყოვნა, გაბედულად დაესხა მტერს თავს და დაუწყო დევნა.

44. როდესაც არქელაოსის ორივე ფრთამ სირბილს მიმართა, მაშინ ცენტრმაც ვეღარ შეინარჩუნა თავისი რიგები და საერთო გაქცევას მიმართეს და აქ, როგორც ვარაუდობდა სულა, ყველაფერი თავს დაატყდა მტერს. რადგან იქ არ მოიპოვებოდა მოხერხებული ადგილი, რათა კვლავ შეტევისთვის გადაჯგუფება შესძლებოდათ და არც ვაკე იყო საკმარისი,

რომ გაქცევით ეხსნათ თავი, ისინი მათმა მდევნელებმა მირეკეს ციცაბო კლდეებთან და ზოგ მათგანს ხოცავდნენ, ზოგნი კი, უფრო კეთილგონიერნი, ბანაკისკენ გაეშურნენ. მაგრამ არქელაოსმა მოასწრო მათ და ცხვირწინ გადაუკეტა ბანაკის კარი. ამით მან დაამტკიცა, თუ რამდენად გამოუცდელი იყო იგი, როგორ უნდა მოქცეულიყო დამარცხების დროს — და უბრძანა მათ პირი ისევ მტრისკენ ექნათ. მათ ხალისით იბრუნეს პირი მტრისაკენ, მაგრამ არ ჰყავდათ რა თან არც სარდლები, არც ხელმძღვანელები, რომ ისინი საბრძოლო რიგზე დაეწყო, ვერა სცნობდნენ რა თავიანთ სამხედრო ნიშნებს, რომლებიც გადაყრილი იყო, როგორც ეს გაქცევის დროს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე, ბევრი მათგანი ტერრმა ადვილად ამოხოცა, ზოგნი კი თავისი ამხანაგებისვე მიერ იყვნენ ამოხოცილი, რადგან მრავლად ირეოდნენ მცირე მიდამოზე. ისინი კვლავ ბანაკის ჭიშკართან მიიჭრნენ და ჰკიცხავდნენ იმათ, ვინც მათ შიგნით არ უშვებდა. ისინი კიცხვით მიუთითებდნენ მათ თავიანთ საერთო მშობლიურ ღმერთებზე, სხვაგვარ ახლო ურთიერთობაზე, ეუბნებოდნენ რა, რომ ისინი იმდენად მტერთაგან არ იღუპებიან, რამდენადაც იმათგან, ვისაც ზიზღით არ სურს ისინი თავისთან მიიღოსო. ბოლოს არქელაოსმა, უფრო მოგვიანებით, ვიდრე ეს საჭირო იყო, გახსნა ჭიშკარი და მიიღო ისინი, რომლებიც სრულიად უწესრიგოდ შეცვივდნენ. ამის შემხედვარე რომაელები, ახალისებდნენ რა ერთიმეორეს, სირბილით გაეკიდნენ გაქცეულთ, შეიჭრნენ ბანაკში და ამით საბოლოოდ განიმტკიცეს გამარჯვება.

45. არქელაოსმა და სხვებმა, რომლებმაც მოასწრეს გაქცევა, თავი მოიყარეს ქალკიდაში, არაუმეტეს 10.000 კაცმა 120.000-იანი ჯარიდან. რომაელთა დანაკლისს 15 კაცი წარმოადგენდა, რომელთაგანაც ორი კვლავ გამოჯანმრთელდა.

ასე დამთავრდა ქერონეასთან ბრძოლა სულასთვის და მითრიდატეს სარდალ არქელაოსისთვის; ერთმაცა და მეორემაც ესოდენ მნიშვნელოვანი შედეგი მიიღო სულას წინდახედულებისა და არქელაოსის უგუნურების გამო. სულამ, რომლის ხელშიც აღმოჩნდა ბლომად ტყვეები, იარაღი და სხვა ნადაელი, ყველაფერი, რაც გამოუსადეგარი იყო, შეაგროვა ერთად და თვითონვე, სარტყლით შემკულმა, როგორც ეს წესად ჰქონდათ რომაელებს, დასწვა ომიანობის ღმერთის პატივსაცემად და დაასვენა რა ცოტა ხნით ჯარი, მსუბუქად შეიარაღებულებითურთ დაიძრა არქელაოსის წინააღმდეგ ევროპისაკენ. რადგანაც რომაელებს ხომალდები არ ჰქონდათ, ამიტომ არქელაოსი სრულიად უშიშრად უელიდა კუნძულებსა და სცარცავდა მახლობელ მიდამოებს. გავიდა რა სანაპიროზე ზაკინთთან, მან იქ ქალაქის მახლობლად დაიბანაკა. ქალაქში მცხოვრებმა რამდენიმე რომაელმა ღამით მასზე თავდასხმა მოახდინა; მაშინ მან სწრაფად ისევ გემებს მიმართა და გასცურა ქალკიდისაკენ, მიემსგავსებოდა რა უფრო მეტად ზღვის პირატს, ვიდრე ნამდვილი ომის მწარმოებელს.

46. ასეთი დამარცხების ამბავმა ჯერ შიშის ზარი დასცა მითრიდატეს; იგი შიშმა მოიცვა, როგორც ეს ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთი ამბების დროს. მაგრამ იგი დიდი სისწრაფით შეუდგა ახალი ჯარის შეკრებას მის ქვეშევრდომ ყველა ტომთაგან. რადგანაც ის ფიქრობდა, რომ ზოგიერთი მათგანი ამ დამარცხების შემდეგ მას თავს დაესხმოდა ახლავე ან მაშინ, როდესაც ამისთვის ხელსაყრელ შემთხვევას იპოვიდნენ, ამიტომ მან მოაგროვა ყველა მისთვის საეჭვო პირნი, ვიდრე ომი უფრო მწვავე ხასიათს მიიღებდა, და პირველ რიგში კი გალატელი ტეტრარქები, რომლებიც მასთან როგორც მეგობრები იყვნენ მოსული და მის ქვეშევრდომებს არ წარმოადგენდნენ; მან ბრძანა ამოეხოცათ ისინი ცოლშვილიანად, სამის გარდა, რომლებმაც გაქცევა მოასწრეს. ზოგი მათგანი დახოცეს მიგზავნილმა ჩასაფრებულმა მკვლელებმა, ზოგი კი ერთ ღამეს წვეულებაზე; მითრიდატე ფიქრობდა, რომ არც ერთი მათგანი მისი ერთგული არ დარჩებოდა, სულა რომ მოახლოვდებოდა. მან თავისთან წაიღო მთელი მათი ქონება, ქალაქებში გარნიზონები ჩააყენა და ამ ტომებს სათავეში ჩაუყენა სატრაპის სახით ევმაქი. მაგრამ ცოცხლად გადარჩენილმა ტეტრარქებმა მოაგროვეს სოფლის მოსახლეობისაგან ჯარი და იგი მაშინათვე განდევნეს გალატიიდან გარნიზონებთან ერთად. ამგვარად მითრიდატემ გალატელთაგან მხოლოდ ფულის მიღება მოახერხა. ახლა ქიოსის ჯერი დადგა. ქიოსელებზე ის გაჯავრებული იყო იმ დროიდან, როდესაც როდოსთან საზღვაო ბრძოლის დროს ერთმა მათმა ხომალდმა გაუფრთხილებლობით მხარი გაჰკრა მეფის ხომალდს. ჯერ მან ჩამოართვა ქონება იმ ქიოსელებს, რომლებიც სულასთან გაიქცნენ, შემდეგ გაგზავნა ხალხი, რომელთაც უნდა გამოეძიებიათ, ვინ იყო რომაელების მომხრე. და ბოლოს, ზენობიმ, რომელსაც მიჰყავდა ჯარი, ვითომც ელადაში გასაგზავნად, ღამით ხელთ იგდო ქიოსელების კედლები და სხვა გამაგრებული ადგილები, და, დააყენა რა ჰიშკართან გუშაგები, ბრძანა გამოეცხადებიათ, რათა უცხოელები მშვიდად ყოფილიყვნენ, ხოლო ქიოსელები კი მოსულიყვნენ სახალხო კრებაზე, რადგან მას მეფის სახელით სურს ამცნოს მათ რაღაც. როცა ისინი შეიკრიბნენ, მაშინ მან უთხრა მათ, რომ მეფე ეჭვის თვალით უყურებს მათ, რადგანაც ზოგნი რომაელების მხარეზე გადავიდნენ, მაგრამ „ის ამ ეჭვზე ხელს აიღებს, თუ თქვენ გადმოგვცემთ ბარაღს და მოგვცემთ მძევლებად წარჩინებულ მოქალაქეთა შვილებსო“. ქიოსელებმა, დაინახეს რა რომ მათი ქალაქი აღებული იყო, შეასრულეს როგორც ერთი, ისე მეორე მოთხოვნა. ზენობიმ ყველა ეს ერიტრიაში გაგზავნა, განაცხადა რა, რომ მეფე ქიოსელებს წერილობით ბრძანებას გამოუგზავნის.

47. და, აი, მითრიდატესგან მოვიდა წერილი, რომელშიაც შემდეგი ეწერა: „თქვენ ეხლაც რომაელთადმი მიდრეკილებას იჩენთ: და ბევრი თქვენთანი ახლაც მათთან იმყოფება, და თქვენ სარგებლობთ რომაელების ქონებით, არ გვიხდით რა ჩვენ (დაწესებულ) ნაწილს. ამას გარდა

როდოსთან ბრძოლის დროს თქვენი ტრიერი დაეჯახა ჩემს ხომალდს და დააზიანა იგი. მე თვითონ (თქვენი თხოვნის გარეშე) ეს მივიჩნიე მხოლოდ მესაპეთა დანაშაულად, მოგეცით რა თქვენ შემთხვევა გადარჩენილიყავით და გეგრძნოთ ჩემი სულგრძელობა. და, აი, თქვენი საუკეთესო მოქალაქენი თქვენ გაგზავნეთ სულასთან და არც ერთ მათგანზე თქვენ არ მიუთითეთ და არ მაცნობეთ, რომ ისინი ასე მოიქცნენ არა საერთო დაღგენილების საფუძველზე, თქვენ კი ეს უნდა შეგესრულებიათ, თუ კი მათი თანამონაწილენი არ იყავით. იმათ, ვინც ბოროტს განიზრახავდა ჩემი ძალაუფლების წინააღმდეგ, ჩემი სიცოცხლისა და მეგობრების წინააღმდეგ, სიკვდილი მივუსაჯე, ხოლო თქვენ კი მე გაჯარიმებთ 2.000 ტალანტით". ასეთი (მრისხანე) იყო წერილის შინაარსი. ქიოსელებს სურდათ მითრიდატესთან ელჩები გაეგზავნათ, მაგრამ ზენობიმ მათ ამისი ნება არ მისცა. რადგანაც მათ იარაღი ჩამორთმეული ჰქონდათ, წარჩინებულ მოქალაქეთა შვილები მძევლებად იყვნენ წაყვანილი, ესოდენ მნიშვნელოვანი ბარბაროსთა ჯარი მათ ქალაქში იდგა, ამიტომ მათ კენესით მოაგროვეს ტაძრების სამკაული და ქალების ძვირფასი მოსართავები 2000 ტალანტის შესახებ ბრძანების შესასრულებლად. როდესაც მათ ესეც შეასრულეს, ზენობიმ, ბრალი დასდო რა მათ, რომ წონას აკლდა, შეჰყარა ყველა ისინი თეატრში და დააყენა რა თეატრის ირგვლივ ჯარი ამოღებული ხმლებით, დაიჭირა გზა თეატრიდან ზღვამდე და წაიყვანა იქითკენ ქიოსელები, იძახებდა რა მათ თეატრიდან თვითეულად, და დასხა ხომალდებზე, ქალები და კაცები ცალ-ცალკე, ამასთანავე გუშაგები, ბარბაროსთა ჩვეულების თანახმად, მათ შეურაცხყოფდნენ. როდესაც შემდეგ ისინი მითრიდატთან მიიყვანეს, მან ისინი ევქსინის პონტისკენ გაგზავნა.

48. ასე მოეპყრნენ ქიოსელებს. როდესაც ზენობი თავისი ჯარით ქალაქ ეფესს მიადგა, მცხოვრებლებმა წინადადება მისცეს იარაღი ჰიშკართან დაეტოვებინა და ქალაქში მცირერიცხოვან გამცილებლებით შესულიყო. იგი დაჰყვა მათ და ქალაქში რომ შევიდა, მივიდა მითრიდატეს საყვარელ მონიმას მამა ფილოპემენთან, რომელიც მითრიდატეს მიერ ეფესელების ზედამხედველად იყო დადგენილი, და გამოუცხადა, რათა ეფესელები მასთან მოსულიყვნენ კრებაზე. ეფესელებმა, რომლებიც მისგან კარგს არაფერს მოელოდნენ, ეს კრება მეორე დღისთვის გადაიტანეს, ღამით კი, იკრიბებოდნენ რა ერთი მეორესთან და აქეზებდნენ რა ერთმანეთს, ზენობი საბურობილეში ჩააგდეს და მოკლეს, დაიკავეს თავიანთი კედლები, გაჰყვეს მოსახლეობა რაზმებად, მოაგროვეს მინდვრებიდან ყოველგვარი საკვები და საერთოდ თავიანთი ქალაქი საომარ მდგომარეობაში ჩააყენეს. ეს რომ გაიგეს ტრალის მცხოვრებლებმა, ჰიპეელებმა, მესოპოლისელებმა და ზოგიერთმა სხვებმა, შეეშინდათ რა ისეთივე უბედურების, როგორიც ქიოსელებს დაატყდათ თავს, ისევე მოიქცნენ, როგორც ეფესელები. მითრიდატემ გაგზავნა ჯარი გან-

დგომილი ქალაქების წინააღმდეგ და იცათ, ვინც ხელთ იგდო, საშინელი სისასტიკით მოეპყრო, მაგრამ შემდგომისთვის შეშინდა რა, მიანიჭა თავისუფლება ბერძნულ ქალაქებს, გამოაცხადა ვალების გაუქმება, მეტეკები ყველა ქალაქში სრულუფლებიან მოქალაქეებად გახადა, მონები კი გაათავისუფლა; მას იმედი ჰქონდა, რომ, როგორც სინამდვილეში მართლაც მოხდა, დავალიანებულნი, მეტეკები და მონები მის მხარეზე იქნებოდნენ, რადგანაც ეცოდინებოდათ, რომ მხოლოდ მითრიდატეს ხელისუფლების დროს შერჩებოდათ უცვლელად მათ ბოძებული თავისუფლება. ამ დროს შეადგინეს შეთქმულება მითრიდატეს წინააღმდეგ მინიონმა და ფილოტიმმა სმირნიდან, კლისთენემა და ასკლეპიოდოტემ ლესბოსიდან; ყველა ესენი მეფის ნაცნობები იყვნენ, ხოლო ასკლეპიოდოტე კი ერთ დროს მისი მეგობარიც იყო. ამ შეთქმულების გამცემი თვითონ ასკლეპიოდოტე აღმოჩნდა, და რათა ყოველივე ეჭვი გაფანტულიყო. მან რომელიღაც ადგილიდან შესაძლებელი გახადა მოესმინათ მინიონის ნალაპარაკევი. როდესაც შეთქმულება გამომჟღავნდა, ისინი საშინელი წამებით დასაჯეს. ამგვარ განზრახვებში ეჭვები ახლა ბევრს დასტრიალებდა თავს. როდესაც პერგამის მცხოვრებთაგან, რომლებსაც ასეთივე შეთქმულება ჰქონდათ შედგენილი, 80 კაცი დააპატიმრეს, ხოლო სხვა ქალაქებში კი სხვები, — მაშინ მითრიდატემ ყველგან დაგზავნა ოავისი ხალხი, რომლებმაც დაბეზღებათა საფუძველზე, რომლის დროსაც თვითეული თავის მტერს ასახელებდა, — დასაჯეს 1.600 კაცი. მოკლე ხანში ეს დამბეზღებლები სულამ შეიპყრო და დასაჯა, ზოგმა ადრევე თვითონ მოიკლა თავი, ზოგი კი გაიქცა პონტოში თვით მითრიდატესთან.

49. იმ დროს, როცა აზიაში ეს ამბები ხდებოდა, მითრიდატემ შეაგროვა ჯარი 80.000 კაცის რაოდენობით და ეს ჯარი დორილაიმ წაიყვანა ელადაში არქელაოსთან, რომელსაც წინანდელი ჯარიდან 10.000 ჰყავდა დარჩენილი. სულა დაბანაკებული იყო არქელაოსის პირისპირ ორქომენის მახლობლად. როდესაც მან დაინახა მის წინააღმდეგ მოსული უამრავი ცხენოსანი ჯარი, მან ამოათხრევინა ველზე მრავალი ორმო, სიგანით 10 ფუტი, და როდესაც არქელაოსი მის წინააღმდეგ გაემართა, მან თავის მხრივ განაწყო ფრონტი. რადგანაც რომაელები, ცხენოსანი ჯარით შეშინებულნი, სუსტად იბრძოდნენ, სულამ ჩამოუარა და საუბრებითა და მუქარით აქეზებდა მათ ბრძოლისათვის; მაგრამ რადგანაც მან ვერც ამ გზით აიძულა ისინი როგორც საჭირო იყო მოეკიდათ საქმისთვის ხელი, იგი ჩამოხტა ცხენიდან, სტაცა ხელი დროშას და თავისი მცველი რაზმითურთ ორიენ ჯარის შუაში შეიჭრა ძახილით: „თუ ვინმემ გკითხოთ, რომაელებო, სად უღალატეთ თქვენს წინამძღოლ სულას. უთხარით: როდესაც ის ორხომენთან იბრძოდათქო“. დაინახეს რა იგი ასეთ სახიფათო მდგომარეობაში, ცალკეული რაზმების უფროსები გამოხტნენ თავიანთი რიგებიდან, მათ თან მიჰყვნენ დარცხვენილნი სხვე-

ბიც და აიძულეს მტერი უკან დაეხია. როდესაც გამარჯვებამ უკვე რომაელებისკენ გადაიხარა, მაშინ სულა კვლავ მოახტა ცხენს, უვლიდა ჯარს და აქებდა მათ სიმამაცეს იქამდე, ვიდრე ბოლოს ომი მათი სრული გამარჯვებით არ დამთავრდა. მტრის ჯარიდან დაიღუპა 15.000 კაცამდე, რომელთა შორისაც 10.000 ცხენოსანი იყო, მათი რიცხვში არქელაოსის ვაჟი დიოგენეც. ქვეითი ჯარი ბანაკში გაიქცა.

50. ეშინოდა რა, რომ არქელაოსი კიდევ არ გასხლტოდა ხელიდან, როგორც ეს ადრევე მოხდა ქალკიდაში, რადგან სულას თვითონ ხომალდები არ გააჩნდა, ამიტომ სულამ ღამით ველზე გარკვეულ მანძილზე მოამწკრივა სადარაჯო პუნქტები. გათენებისთანავე არქელაოსის ბანაკიღან არაუმეტეს ერთი სტადიონის მანძილზე, სულა შეუდგა არხის თხრას, ისე რომ არქელაოსს მის წინააღმდეგ ხელი არ გაუნძრევია. მაშინ სულა მხურვალედ არწმუნებდა თავის ჯარს, უკანასკნელი შეტევით დაემთავრებინათ არქელაოსთან ომი, რადგან მტერს წინააღმდეგობის ძალა აღარ შესწევდა; და წაიყვანა ისინი არქელაოსის სანგრისაკენ. იგივე ხდებოდა მტრებთანაც: მათი წინამძღოლები უვლიდნენ თავთავის რაზმებს, მიუთითებდნენ საფრთხეზე, რომელიც მათ ემუქრებოდა, და სირცხვილზე, თუ ისინი სანგრიდან უკუ არ აქცევდნენ შედარებით მცირერიცხოვან მტერს. როდესაც ორივე მხრით დაიწყო გრიგალისებური შეტევა და ყიჟინა, როგორც ერთი, ისე მეორე მხარის მიერ ჩადენილი იყო მრავალი სიმამაცე: რომაელებმა უკვე ჩამოანგრიეს გამაგრებული სანვრის კუთხე, გაიკეთეს რა ფარებით თავებზე საფარი. მაშინ ბარბაროსები სიმაგრის შიგნით ჩახტნენ და განეწყვნენ რიგზე. რათა შეჭრილთ ხმლებით შეხვედროდნენ. ვერავინ ბედავდა იქ შესვლას იქამდე, ვიდრე ლეგიონის უფროსი ბაზილი პირველი არ შევარდა და არ მოკლა იგი, ვინც მას წინ გადაეღობა. მაშინ მას მიჰყვა აგრეთვე მთელი ჯარი; მოხდა ბარბაროსთა ლტოლვა და მათი ჟლეტა; ზოგი მათგანი შეიპყრეს, ზოგნი ახლო მყოფ ტბაში შერეკეს და რადგან ცურვა არ იცოდნენ, ამიტომ თავიანთ ბარბაროსულ გაუგებარ ენაზე მოუწოდებდნენ, რათა ვინმე მისულიყო და მოეკლა. არქელაოსი მიიმალა რომელიღაც ტბაში და იშოვა რა პატარა გემი, მივიდა ქალკიდაში. მითრიდატეს სხვა ყველა ჯარი, ნაწილობრივ აქა-იქ გადარჩენილი, მან სასწრაფოდ გამოიწვია თავისთან.

51. მეორე დღეს სულამ გვირგვინით დაასაჩუქრა ლეგიონის უფროსი ბაზილი და სხვებსაც მდიდარი ჯილდოები დაურიგა. მან ააოხრა ბეოტია, რომელიც მუდამ განდგომილი იყო რომაელებისაგან: გადავიდა იგი თესალიაში და იქ დაიზამთრა, სადაც მოელოდა ხომალდებს ლუკულუსთან ერთად. რადგან არ იცოდა სად იმყოფებოდა ლუკულუსი, იგი შეუდგა სხვა ხომალდების აგებას. და იგი ამას აკეთებდა, მიუხედავად იმისა, რომ კორნელი ცინამ და გაიუს მარიუსმა იგი რომში სახელმწიფოს მტრად გამოაცხადეს, აიკლეს მისი სახლი და ქალაქგარეთ მამული,

და ამოხოცეს მისი მეგობრები. მაგრამ აძისდა მიუხედავად, მან არ დაკარგა თავისი ძალაუფლება, ჰყავდა რა თავისთან ენერგიული ჯარი. ცნამ თავის ამხანაგად კონსულობაში ამოირჩია ფლაკი და იგი ორი ლეგიონითურთ აზიაში გაგზავნა სულას, როგორც სახელმწიფოს მტრად გამოცხადებულის, მაგიერ, რათა მას განეგო აზია და ეომნა მითრიდატესთან. რადგანაც ფლაკი სამხედრო საქმეში გამოუცდელი იყო, ამიტომ ნებაყოფლობით, სენატის თანხმობით, მასთან ერთად გაემგზავრა კაცი, რომელსაც სარდლობის საქმეში ნდობა ჰქონდა მოპოვებული ჯარში, სახელი მისი იყო ფიმბრია. როდესაც ისინი ზღვით მიემგზავრებოდნენ ბრუნდიზიუმიდან, მათი ბევრი ხომალდი ქარმა გაფანტა, ხოლო რომლებმაც წინ გასცურეს, ისინი დასწვა მითრიდატეს მიერ გაგზავნილმა ჯარმა. რადგანაც ფლაკი ცუდი ადამიანი იყო, სასტიკი დამნაშავეთა მიმართ სასჯელის არჩევაში და ანგარი, ამიტომ ჯარმა მისგან პირი იბრუნა და მისი ნაწილი, რომელიც წინასწარ იყო თესალიაში გაგზავნილი, სულას მხარეზე გადავიდა. დანარჩენები ფიმბრიამ, რომელიც უფრო შესაფერისი იყო იმისთვის, რომ წინამძღოლის წოდება ჰქონოდა და უფრო ლმობიერიც იყო, შეიკავა სულას მხარეზე გადასვლისაგან.

52. როდესაც ერთი გაჩერების დროს ნადიმზე ფიმბრიას ჩხუბი მოუხდა კვესტორთან და ფლაკმა, რომელიც მედიატორედ იქნა არჩეული, არა ფიმბრიას სასარგებლოდ გამოიტანა გადაწყვეტილება, გაბრაზებული ფიმბრია დაემუქრა, რომ იგი რომში დაბრუნდებოდა. მაშინ ფლაკმა დანიშნა სხვა მის ადგილას. ფიმბრიამ, დაუცადა რა ვიდრე ფლაკი ქალკედონისკენ გასცურავდა, პირველყოვლისა ჩამოართვა თერმს, რომელიც ფლაკის მიერ თავის მოადგილედ იყო დატოვებული, ლიქტორის კონები, იმ საბაბით, რომ მას, ფიმბრიას, ჯარმა გადასცა სარდლობა, ხოლო შემდეგ, როდესაც გაბრაზებული ფლაკი მალე დაბრუნდა, იგი მას გამოეკიდა; ფლაკი რომელიღაც კერძო სახლში დაიმალა და ღამით, გადაცოცდა რა კედელზე, გაიქცა ქალკედონში, იქიდან კი ნიკომედიაში და გადაკეტა ჰიშკარი; ფიმბრია მას თავს დაესხა და მოკლა იგი, რომელიც ჭაში დამალულიყო; კაცი, ყოფილი რომაელი ხალხის კონსული და ამ ომის მთავარსარდალი, მოკლა კერძო კაცმა, რომელიც მას წაყვა მისი მეგობრული მოწოდებით. მან თავი მოსჭრა ფლაკს და ზღვაში გადააგდო, სხეული კი დაუსაფლავებელი დასტოვა და თავისი თავი ჯარის მეთაურად გამოაცხადა. და მან რამდენიმე მარჯვე ბრძოლა აწარმოვა მითრიდატეს ვაჟთან. თვით მეფეს პერგამამდე სდია, ხოლო როდესაც იგი პერგამიდან პიტნაში გაიქცა, ის შეტევაზე გადავიდა და იგი სანგრით შემოზღუდა, ვიდრე მეფე ხომალდით მიტილენაში არ გაიქცა.

53. ფიმბრია კი აზიაში მივიდა და შეუდგა კაპადოკიელთა მომხრეების დასჯას, და იმათ ქვეყნებს, ვინც მას მიღებაზე უარი უთხრა, იგი აოხრებდა. მის მიერ ალყა შემორტყმულმა ილიონის მცხოვრებლებმა სულას მიმართეს: სულამ აღუთქვა, რომ იგი მათთან მივიდოდა და იმავე

დროს უბრძანა მათ გამოეცხადებინათ ფიმბრიასთვის, რომ მათ უკვე მორჩილება განუცხადეს სულას. ამის გამგონე ფიმბრიამ, ისინი შეაქო, რომ უკვე რომაელთა მეგობრები გახდნენ, და უბრძანა მათ მიეღოთ იგი, რადგან ისიც ხომ რომაელია, დაცინვით მიუთითა რა ილიონელებსა და რომაელებს შორის არსებულ ნათესაობაზე. ქალაქში შესვლისთანავე, იგი შეუდგა ყველას ჟლეტას და ყველაფერი ცეცხლს მისცა; ისინი კი, ვინც სულასთან ელჩებად იყვნენ გაგზავნილი, საშინლად აწამა. მან არ დაინდო არც სალოცავები, არც ისინი, ვინც ათენის ტაძარში შეიხიზნენ და დასწვა ისინი ტაძართან ერთად. მან დაანგრია ქალაქის კედლები და მეორე დღეს თვითონ შემოუარა ქალაქს, რათა დარწმუნებულიყო, რომ მისგან აღარაფერი იყო გადარჩენილი. ილიონი, რომელმაც უარესი განიცადა, ვიდრე აგამემნონის დროს, დაიღუპა „ნათესავის" ხელით; არ გადარჩა დაუნგრეველი არც ერთი საკურთხეველი, არცერთი სამლოცველო, არცერთი ქანდაკება; ხოლო რაც შეეხება ათენის ღვთაებრივ გამოსახულებას, რომელსაც პალადიუმს უწოდებენ და ციდან ჩამოვარდნილად ითვლება, — ზოგი ფიქრობს, რომ იგი უვნებელი იპოვეს, რომ კედლების ნანგრევებისგან იყო იგი დაფარული, თუ კი არ იყო იგი წაღებული ილიონიდან დიომედისა და ოდისეს მიერ ტროას ომის დროს.

აი, როგორ მოეპყრა ფიმბრია ილიონს, სწორედ 173-ე ოლიმპიადის დასასრულს. ზოგიერთის აზრით მას ეს უბედურება ეწვია 1050 წლის განვლის შემდეგ, რაც იგი აგამემნონის მიერ იქნა დანგრეული.

54. გაიგო რა ამავე დროს ორქომენთან დამარცხების ამბავი, ივარაუდა, თუ რაოდენი ჯარი გაგზავნა თავიდანვე ელადაში და როგორ სწრაფად და თანამიმდევრობით მოისპო იგი მტრისაგან, მითრიდატმა გაუგზავნა არქელაოსს ბრძანება, რათა მას შეეკრა სულასთან ზავი, რამდენადაც შეიძლებოდა ხელსაყრელ პირობებში. შეხვდა რა მოსალაპარაკებლად სულას, არქელაოსმა უთხრა მას: „ო, სულავ, მეფე მითრიდატემ, რომელიც ჯერ ისევ მამათა დროიდან თქვენი მეგობარი იყო, დაიწყო ომი სხვა თქვენი სარდლების ანგარების გამო; ეხლა შენი სიმამაცის პატივისცემით, იგი მას შესწყვეტს, თუ შენ სამართლიან პირობებს წამოგვიყენებ". რადგანაც სულას ხომალდები არ ჰქონდა, და მას შინიდან არ უგზავნიდნენ არც ფულსა და არც სხვა რამეს, — სათაეში ხომ მისი მტრები იდგნენ და მას როგორც მტერს უცქერდნენ, — რადგანაც მან უკვე ისესხა ფული დელფოში, ოლიმპიასა და ეპიდავრში, მისცა რა ტაძრებს ვალის პროპორციულად თებეს მიწის ნახევარი იმის გამო, რომ თებელები მუდამ ღალატობდნენ რომაელებს; — რადგანაც იგი იჩქაროდა შინ მიეყვანა ძლიერი და ხალისიანი ჯარი, თავის მტრებთან დავის გადაწყვეტის მიზნით, — იგი დათანხმდა დაზავებაზე და განაცხადა: „ო, არქელაოს, თუ მითრიდატე უსამართლობას განიცდიდა, მას შეეძლო გაეგზავნა ელჩები საჩივრით, მაგრამ იგი ომში ხელთ იგდებს უამრავ სხვის მიწებს, ჟლეტს დიდძალ ხალხს, ითვისებს საზოგადოების კუთ-

ვნილ ფულებს, სახელმწიფო ტაძრების ქონებასა და დასჯილთა კერძო ქონებას, — აი, როგორ იქცევა ეს შეურაცხყოფილი. სწორედ ისევე, როგორც ჩვენს მიმართ, იგი ვერაგულად მოიქცა თავისი საკუთარი ძეგობრების მიმართაც, მან იმათგანაც ბევრი დახოცა, მათ შორის ტეტრარქებიც, რომლებიც მასთან ერთად მაგიდას უსხდნენ, ერთ ღამეს ამოხოცა ცოლშვილიანად; და ისინი ხომ მას არ ეომებოდნენ. ჩვენს წინააღმდეგ მას უფრო ბუნებრივი სიძულვილი ამოქმედებდა, ვიდრე სამხედრო აუცილებლობა, როდესაც წამებით ხოცავდა აზიაში მყოფ იტალიელებსა, მათ ცოლშვილსა და მსახურთ, თუ კი ისინი იტალიური შთამომავლობისა იყვნენ. ესოდენ დიდი სიძულვილი გამოიჩინა მან და ახლა პირმოთნეობით იფარებს „მამობრივი მეგობრობის“ ნიღაბს, მაგრამ ეს მეგობრობა მას გაახსენდა მას შემდეგ, რაც 110.000 თქვენი ჯარისკაცი გავჟლიტე.

55. ყველა ამისთვის სამართლიანი იქნებოდა, რომ ჩვენც მის მიმართ ულმობელი ვყოფილიყავით, მაგრამ შენი გულისთვის მე ვკისრულობ მოუხერხო მას პატიება რომაელი ხალხისაგან, თუ კი იგი ნამდვილად ცდილობს გამოიცვალოს. ხოლო, თუ იგი თვალთმაქცურად და ცბიერად მოქმედებს, მაშინ დროა, არქელაოს, შენს თავზეც იფიქრო; განსაკუთრებით რა ურთიერთობაში იმყოფები შენ ამ მომენტში მასთან; იფიქრე როგორ ეპყრობა იგი თავის მეგობრებს და როგორ ეპყრობით ჩვენ ევქენსა და მასინისას“. როდესაც სულა ჯერ ისევ ამას ამბობდა, არქელაოსმა გადაჭრით უკუაგდო მისი მხრით ასეთი ცდუნება და გულისწყრომით უთხრა, რომ ის არასოდეს არ უღალატებს იმას, ვინც მას მთავარსარდლობა ჩააბარა. „მაგრამ (დაუმატა მან) მე იმედი მაქვს, რომ მივაღწევ შენთან შეთანხმებას, თუ კი შენ ზომიერ მოთხოვნებს წარმოადგენ“. ცოტა ხნის სიჩუმის შემდეგ, სულამ უთხრა მას: „თუ მითრიდატე გადმოგვცემს ჩვენ მთელ იმ ფლოტს, რომელიც შენთან არის, არქელაოს, დაგვიბრუნებს ჯარის უფროსებს, ტყვეებს, მოღალატეებს, გაქცეულ მონებს; თუ დააბრუნებს თავიანთ პირველ საცხოვრებელ ადგილებზე ქიოსელებსა და ყველა დანარჩენთ, რომლებიც ძალით გადაასახლა პონტოში; თუ იგი გაიყვანს გარნიზონებს ყველა სიმაგრეებიდან გარდა იმათისა, რომლებსაც იგი ფლობდა მის მიერ ამ ზავის დარღვევამდე: თუ ის გადაგვიხდის ამ ომზე გაწეულ ხარჯებს, რის გაწევაც მან გვაიძულა; თუ იგი დაკმაყოფილდება ხელისუფლებით მხოლოდ მემკვიდრეობით მიღებულ სამეფოში, — მე იმედი მაქვს, რომ შევძლებ დავარწმუნო რომაელები დაივიწყონ მის მიმართ რისხვა მისგან ჩადენილის გამო.

ასე სთქვა სულამ, არქელაოსი მაშინათვე შეუდგა გარნიზონების გამოყვანას ყველა ადგილებიდან, დანარჩენ პირობათა შესახებ კი მეფეს შეეკითხა, ხოლო სულამ ისარგებლა ამ შესვენებით და ძარცვით შემოიარა ენეტების, დარდანების, სინტების ტომთა ქვეყნები, რომლე-

ბიც მაკედონიას ემეზობლებოდნენ და მას მუდმივ თავს ესხმოდნენ; ამით იგი თავის ჯარს ავარჯიშებდა და თან კიდეც ამდიდრებდა.

56. როდესაც მოვიდნენ მითრიდატეს ელჩები, რომლებიც დათანხმდნენ ყველა დანარჩენ პირობებზე, გარდა პაფლაგონიისა, და განაცხადეს, რომ მითრიდატე „თავისთვის გაცილებით მეტს მიიღებდა, რომ მოლაპარაკება ეწარმოებია მეორე რომაელ სარდალთან, ფიმბრიასთან“, ასეთი დაპირისპირებით გაბრაზებულმა სულამ სთქვა, რომ ფიმბრიასაც ერგება თავისი სასჯელი და რომ თვითონ ის, გადავა რა აზიაში, დაინახავს, საჭიროა თუ არა მითრიდატთან ზავის შეკვრა, თუ ომი უნდა გაგრძელდეს. სთქვა თუ არა ეს, იგი სწრაფად დაიძრა თრაკიის განვლით კიპსელის წინააღმდეგ, ხოლო ლუკულუსი ადრევე გაგზავნა აბიდოსში: ლუკულუსი უკვე მივიდა მასთან; არა ერთხელ დაემუქრა რა მას ზღვის პირატთაგან შეპყრობის საფრთხე, მან მოაგროვა პატარა ფლოტი კიპრზე, ფინიკიაში, როდოსსა და პამფილიაში, ააოხრა მრავალი ადგილი მტრის სანაპიროზე და ცურვის დროს სცადა ბედი მითრიდატეს ხომალდებთან. სულა კაპსელიდან და მითრიდატე პერგამიდან კვლავ შეიყარნენ მოსალაპარაკებლად; ისინი ორივენი გავიდნენ ველზე მცირე ამალის თანხლებით ორიეე ჯარის თვალწინ, მითრიდატეს სიტყვა შეიცავდა გახსენებას როგორც თავის, ისე მის წინაპართა მეგობრობასა და კავშირზე რომაელებთან და ბრალდებას რომაელთა ელჩების წინააღმდეგ, სენატის რწმუნებულთა და სარდალთა წინააღმდეგ იმ შეურაცხყოფათა გამო, რაც მას მიაყენეს არიობარზანის კაპადოკიაში დაბრუნებით, ფრიგიის ჩამორთმევითა და ნიკომედეს მიერ მის შეურაცხყოფათა უყურადღებოდ დატოვებით. „და ყველაფერი ეს — სთქვა მან — ჩაიდინეს მათ ფულის გულისათვის, მართმევდნენ რა ხან მე და ხან მათ. ის, რაშიაც შეიძლება ამხილოს კაცმა თქვენი უმრავლესობა, რომაელები, ეს არის ანგარება. ომი გამოწვეული იყო თქვენი სარდლების მიერ და ის, რაც მე მოვიმოქმედე თავდაცვის მიზნით, ყველა ამის ჩადენა მომიხდა აუცილებლობის გამო და არა ჩემი სურვილით“.

57. ასე დაამთავრა სიტყვა მითრიდატემ. თავის მხრით სულამ მას უპასუხა: „შენ მე მომიწოდე აქ სულ სხვა საბაბით, ამბობდი რა, რომ ხალისით მიიღებდი ყოველგვარ წინადადებას; მაგრამ, რასაკვირველია, მე არ შემეშინდება მოკლედ გიპასუხო შენს საჩივარზე. კაპადოკიაში არიობარზანი თვითონ პირადად მე დავაბრუნე, ვიყავი რა მაშინ მოადგილედ კილიკიაში: ასეთი იყო რომაელთა გადაწყვეტილება; შენ შენი მხრით დაგვიჯერე ჩვენ, თუმცა შენ შეგეძლო უარი გეთქვა ან ჩვენ წინააღმდეგში დაგერწმუნებინეთ, ან უკვე უარი აღარ უნდა გეთქვა, რაკი ის, რაც მოხდა, სწორად იყო მიჩნეული. ფრიგია შენ მოგცა მანიუსმა, რაშიც ქრთამი გამოგართვა; მაშასადამე, ამით ორივემ დაარღვიეთ წესი. ამასთანავე შენც ხომ საკუთარი ხარ, რომ მიიღე იგი არაკანონიერი გზით, არამედ მოსყიდვის საშუალებით. ხოლო რადგანაც ფულებ-

თან დაკავშირებით სხვა საქმეებშიაც გამომჟღავნდა მანიუსის დანაშაული, ამიტომ სენატმა მისი ყველა დადგენილება გააუქმა. ამ გადაწყვეტილების საფუძველზე მან აღიარა, რომ ფრიგია მოგეცა შენ უკანონოდ; და მან დაადგინა, რათა ფრიგიას არ ეხადნა სენატისთვის გადასახადი, და იგი დამოუკიდებელი გახადა. ჩვენ არა ვთვლით შესაძლებლად, რომ ვფლობდეთ იმას, რაც ჩვენს მიერ დაპყრობილია, და შენ კი რა საფუძველზე უნდა ფლობდე მას. ნიკომედი კი ჩიეის, რომ შენ მიუგზავნე მას მოსაკლავად ალექსანდრეც და ეგრეთ წოდებული ქრესტი (პატიოსანი) სოკრატე ხელისუფლების წასართმევად; და აი, იგი ყველა ამისგან თავის დასაცავად, შეიპყრა შენს ქვეყანაში; თუ კი შენ რამე შეურაცხყოფას განიცდიდი, მაშინ უნდა გაგეგზავნა ელჩები რომში და დაგეცადა იქიდან პასუხისათვის. ხოლო თუკი შენ ჩქარობდი თავი დაგეცვა ნიკომედისაგან, მაშ რაღად გააძევე არიობარზანიც, რომელსაც შენთვის არა უწყენინებია რა. მისი გაძევებით შენ აიძულე იქ მყოფი რომაელები, რათა იგი დაებრუნებიათ და ხელს უშლიდი რა ამ დაბრუნებას, შენ გააღვივე ეს ომი. შენ ეს დიდი ხანია გადაწყვეტილი გქონდა, და, იმედეულობდი რა, რომ მთელს ქვეყანაზე გაბატონდებოდი, თუ რომაელებს დაამარცხებდი, შენ გამოიგონე ეს საბაბები, რათა დაგეფარა შენი ზრახვები. ამას ისიც ამტკიცებს, რომ შენ, ჯერ არა გქონდა რა არავისთან ომი, შეკარი კავშირი თრაკიელებთან, სკვითებთანა და სავრომატებთან, რომ შენ გზავნიდი ელჩებს მეზობელ მეფეებთან, აგებდი ხომალდებს, ცვლიდი მესაჭეებს.

58. შენს ვერაგ განზრახვას ამხელს უმთავრესად შენი გამოსვლის დრო: როდესაც შენ შენიშნე, რომ იტალია გაგვიდგა, შენ უცდიდი მოვენტს, როდესაც ჩვენ ყველაფრით ამით ვიყავით გართული, და თავს დაესხი არიობარზანს, ნიკომედს, გალატელებს პაფლაგონიაში, შეესიე აზიას, ამ ჩვენს საკუთარ ოლქს. ხელთ იგდე რა ისინი, რა არ შეამთხვიე შენ როგორც იმ ქალაქებს, რომელთა წინააღმდეგაც შენ აამხედრე მონები და დავალიანებულნი მათთვის თავისუფლების ბოძებითა და ვალების პატიებით, აგრეთვე ელინებს, რომელთაგანაც შენ ერთი საბაბით 1600 კაცი დაღუპე, ან გალატელ ტეტრარქებს, მიუხედავად იმისა რომ ისინი შენი თანამესუფრენი იყვნენ, რომლებიც შენ ამოხოცე, ან იტალიური შთამომავლობის ხალხს, რომლებიც შენ ერთ დღეს ამოხოცე ცოლშვილიანად და წყალში ჩაყარე, არ შეჩერდა რა შენი ხელი იმათ მიმართაც კი, ვინც ღმერთების საკურთხეველს შეეხიზნა. ყველაფერი ეს ამტკიცებს მთელ შენს სისასტიკეს, შენს უპატიოსნობას და ჩვენდამი ღრმა სიძულვილს. მიითვისე რა შენ ყველას ფულები, უამრავი ჯარით გადმოხვედი ევროპაში, თუმცა ჩვენს მიერ აკრძალული აქვთ აზიის მეფეებს ევროპის ნიადაგზე ფეხის დადგმაც კი. მიხვედი რა მაკედონიაში, რომელიც ჩვენს ოლქს წარმოადგენს, შენ სწრაფად გაიარე იგი მთლიანად და ელინებს თავისუფლება მოუსპე. და შენ მხოლოდ მაშინ დაიწყე

ჩენი აზრების შეცვლა, არქელაოსმა კი შენს მაგივრად თხოვნა დამიწყო, როდესაც მე ვიხსენი მაკედონია, გადავარჩინე ელინები შენს ძალადობას, ჩოესპე 110 ათასი შენი ჯარისკაცი და ავიღე შენი ბანაკი მთელი თავისი ქალაქითურთ. და მე მიკვირს, რომ შენ ახლა იცავ იმის სამართლიანობას, რისთვისაც არქელაოსის საშუალებით ბოდიში მოიხადე. ანდა, როდესაც მე შორს ვიყავი, მაშინ გეშინოდა ჩემი და როდესაც აქა ვარ, შენ გგონია, რომ მე აქ სამსჯავროში ვარ მოსული. ამის დრო წავიდა, რადგანაც შენ დაიწყე ჩვენთან ომი და ჩვენ მხოლოდ თავს ვიცავდით და დავიცავთ ბოლომდე". ჯერ ისევ ვიდრე სულა რისხვითა და აღგზნებული ლაპარაკობდა, მეფეს აზრები შეეცვალა და მან იგრძნო შიში; იგი დათანხმდა არქელაოსის მიერ დადებულ პირობებზე, გადასცა ხომალდები და სხვაც ყველაფერი და დაბრუნდა პონტოში, მამისეულ წინაღელ სამეფოში.

ასე დამთავრდა მითრიდატეს პირველი ომი რომაელებთან.

59. სულამ, დაიბანაკა რა ორი სტადიუმის მანძილზე ფიმბრიასგან ჰოშორებით, უბრძანა მას გადაეცა მისთვის ჯარი, რომელსაც იგი უკანონოდ მეთაურობდა. თავისი მხრით ფიმბრიამაც დაცინვით შეუთვალა, რომ ისიც არაკანონისამებრ უფროსობს. მაშინ სულამ მის ბანაკს თხრილი შემოავლო. როდესაც ფიმბრიას ჯარისკაცთაგან ბევრმა აშკარად დაიწყო სულასკენ გადარბენა, ფიმბრიამ დანარჩენები კრებაზე მოიწვია და მოუწოდებდა მათ მის მხარეზე დარჩენილიყვნენ. ხოლო როდესაც მათ განაცხადეს, რომ არ იომებდნენ თავიანთ თანამოქალაქეებთან, მან შემოიხია მთელი ტანისამოსი და მათ ფეხქვეშ უვარდებოდა. როდესაც ამის გამო უფრო მეტად აეყარათ მათ მასზე გული და სულას მხარეზე გადასულთა რიცხვმა იმატა, მან ჩამოუარა სარდლების კარვებს და მოისყიდა რა ზოგი მათგანი ფულით, ხელახლა მოიწვია ისინი და უბრძანა მიეცათ მისთვის ფიცი. როდესაც ზოგიერთებმა, რომლებიც სპეციალურად ამისთვის იყვნენ დაყენებული, დაიძახეს, რომ საჭიროა თვითეულის პირადად გამოძახება ფიცის მისაცემადაო, მან გზირის საშუალებით გამოიძახა ისინი, ვინც მისგან ყველაზე უფრო მეტად იყვნენ დავალებული და პირველ ყოვლისა კი უძახდა ნონიას, თავის უახლოეს თანამონაწილეს ყველა საქმეებში. ხოლო როდესაც იმანაც უარი თქვა ფიცის მიცემაზე, ფიმბრიამ იძრო მახვილი და მას მოკვლით დაემუქრა; ყოველ მხრივ ხმაური ატყდა, მას შეეშინდა და ამ განზრახვაზე ხელი აიღო. მან გადმოიბირა ერთი მონათაგანი ფულითა და თავისუფლების მინიშნების აღთქმით და გაგზავნა იგი, ვითომც როგორც გაქცეული, რათა ცდილიყო სულას მოკვლას. იგი შეუდგა ამ საქმეს, მაგრამ შემკრთალმა ეშვი გამოიწვია, შეიპყრეს და ყველაფერში გამოტყდა. სულას ჯარმა რისხვითა და ზიზღით ალყა შემოარტყა ფიმბრიას ბანაკს, აგინებდა მას და უწოდებდა ათინიონს: ეს ის არის, რომელიც ოდესღაც, როდესაც სიცილიაში გაქცეული მონები აჯანყდნენ, რამდენიმე დღეს მათ მეფედ იყო.

60. ყველა ამის გამო ყოველგვარ იმედდაკარგული ფიმბრია მივიდა ზედ თხრილთან და სულას მოუწოდებდა თავისთან მოსალაპარაკებლად. მაგრამ სულამ თავის მაგიერ მასთან გაგზავნა რუტილიუსი. უკვე მარტო ამან შეურაცხყო ფიმბრია, რომ მან მასთან შეხვედრის ღირსიც არ გახადა, რაზედაც მტრებსაც კი უარს არ ეუბნებოდა. როდესაც ფიმბრიამ დაიწყო ვედრება, რომ ეპატიებინათ მისთვის, თუ იგი ახალგაზრდობით შეცდა რამეში, მაშინ რუტილიუსმა თავის თავზე იდვა ვალდებულება, რომ სულა მას ნებას მისცემს უვნებლად დაბრუნდეს ზღვაზე, თუ მას განზრახული აქვს წავიდეს აზიიდან, რომლის პროკონსულიც არის სულა. მაშინ ფიმბრიამ უპასუხა, რომ მას სხვა უფრო უკეთესი გზა გააჩნია, წავიდა პერგამში და შევიდა რა ასკლეპიოსის ტაძარში, მახვილი დაირტყა. რადგან მისთვის ეს დარტყმა მარჯვე არ გამოდგა, მან უბრძანა თავის მონას მოეკლა იგი. მონამ მოკლა თავისი ბატონი და ბატონის შემდეგ თვითონაც თავი მოიკლა.

ასე მოკვდა ფიმბრიაც, რომელმაც ბევრი ცუდი შეამთხვია აზიას მითრიდატეს დროს. სულამ ნება მისცა მის ლიბერტინებს დაესაფლავებიათ იგი, შენიშნა რა ამასთანავე, რომ იგი არ მიბაძავს ცინასა და მარიუსს რომში, რომლებმაც მრავალნი გასწირეს სასიკვდილოდ და სიკვდილს გარდა მათ დასაფლავებაც არ აღირსეს. ფიმბრიას ჯარი, რომელიც მის მხარეზე გადავიდა, მან მიიღო და შეუერთა თავის ჯარს, ხოლო კურიონს უბრძანა დაებრუნებინა ნიკომედი ბითინიაში და არიობარზანი კაპადოკიაში. მან ყველაფერ ამაზე მოხსენება წარუდგინა სენატს, არ იმჩნევდა რა, რომ იგი სახელმწიფოს მტრად იყო გამოცხადებული.

61. დაამყარა რა თვით პროვინცია აზიაში წესრიგი, მან ქიოსელებს, ლიკიელებს, როდოსელებს, მაგნესიის მცხოვრებთ და ზოგიერთ სხვებსაც მათი დახმარების ჯილდოდ, ან იმისთვის, რომ დახმარების განმზრახველთ მრავალი ჰირი გადახდათ, მიანიჭა თავისუფლება და უბოძა რომაელი ხალხის მეგობართა ტიტული. სხვა ყველა ადგილებში კი მან დაგზავნა ჯარი. მონებს, რომლებსაც წინათ მითრიდატემ თავისუფლება უბოძა, მან უბრძანა დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყვნენ თავიანთ ბატონებთან. რადგანაც ბევრნი არ დაემორჩილნენ მას და ბევრი ქალაქიც არ დაექვემდებარა, ამიტომ თავისუფალთა და მონათა მასებს შორის ხდებოდა სისხლისღვრა სხვადასხვა საბაბით; ბევრი ქალაქის კედლები დანგრეული იყო და აზიის მოსახლეობის უმეტესობა ტყვედ იყო გაყიდული, მათი მხარე კი გაძარცული. მან სასტიკად დასჯა „კაპადოკიური ორიენტაციის“ მომხრენი, ცალკეული პირები და მთელი ქალაქები, მათგან განსაკუთრებით ეფესის მცხოვრებნი. ყველა ამას გარდა, სულამ გასცა ბრძანება, რათა ქალაქში მნიშვნელობის მქონე პირები დანიშნულ დღეს გამოცხადებულიყვნენ სულასთან ეფესში. როდესაც ისინი შეიკრიბნენ, საორატორო კათედრიდან მან მიმართა მათ შემდეგი სიტყვით:

62. „პირველად აზიაში მოვედით ჩვენ ჯარით იმ მომენტში, როდესაც ანტიოქე, სირიის მეფე თქვენ გძარცვავდათ. გავაძევეთ რა იგი და დავაღგინეთ მისი სამეფოს საზღვრებად მდინარეები ჰალისი და ტავრი, ჩვენ არ დაგაყენეთ თქვენ ჩვენი ხელისუფლების ქვეშ, თუმცა მის შემდეგ თქვენ გახდით ჩვენი ქვეშევრდომნი, არამედ თქვენ დაგტოვეთ ავტონომიურნი, მხოლოდ ზოგიერთნი გადავეცით ევმენსა და როდოსელებს, ამ ომში ჩვენს მოკავშირეებს, ამასთანავე არა იმიტომ, რომ ამათ გადასახადი ეძლიათ მათთვის, არამედ რომ ისინი ყოფილიყვნენ მათი მფარველობის ქვეშ. ამას ისიც ამტკიცებს, რომ, როდესაც ლიკიელებმა რაღაც საჩივრები დაიწყეს როდოსელების მიმართ, ჩვენ ისინი მათ ჩამოვაცილეთ. მაშ, აი როგორ მოგეპყარით ჩვენ. თქვენ კი, როდესაც ატალ ფილომეტორმა ანდერძით თავისი სამეფო ჩვენ დაგვიტოვა, არისტონიკესთან ერთად ოთხი წლის განმავლობაში იბრძოდით ჩვენს წინააღმდეგ. ვიდრე არისტონიკეც ტყვედ არ იქნა წამოყვანილი და თქვენგანაც უმრავლესობა უკიდურესობამდე არ მივიდა და შიშმა არ მოიცვა. მაგრამ ასეთი საქციელის დროსაც კი, 24 წლის განმავლობაში თქვენ მიაღწიეთ უდიდეს კეთილდღეობასა და ბრწყინვალებას, როგორც კერძო ცხოვრებასა და წესებში, ისე სახელმწიფო დაწესებულებებში; მაგრამ მშვიდობიანობისა და ფუფუნებითი ცხოვრების პირობებში თქვენ კვლავ გათავხედდით და იხელთეთ რა მომენტი, როდესაც ჩვენ იტალიის საქმეებში ვიყავით გართული, ზოგმა თქვენგანმა მოიწვია მითრიდატე, სხვები შეუერთდნენ მას, როდესაც ის აქ მოვიდა. მაგრამ, რაც უფრო განსაკუთრებით გულისამღვრევია, თქვენ დათანხმდით მასთან ერთად ერთ დღეს ამოგეხოცნათ ყველა იტალიელი მათი ცოლშვილიანად და თქვენი ღმერთების სახელითაც კი არ დაინდეთ ისინი, ვინც ტაძრებში საკურთხევლებს შეაფარა თავი. ამისთვის თქვენ ერთგვარად მოგეზღოთ სამაგიერო მითრიდატეს მხრივაც, რომელმაც თქვენს მიმართ ვერაგობა გამოიჩინა და თქვენი ქალაქები მკვლელობებით აავსო, ჩამოგართვათ რა ქონებაც: მან მოახდინა მიწების გაყოფა, გააუქმა ვალები და გაათავისუფლა მონები, ზოგიერთ თქვენგანს დაგიყენათ ტირანები და ხელს უწყობდა მძარცველობას ხმელეთსა და ზღვაზე ისე, რომ თქვენ შეგიძლიათ ყველაფერი თქვენს თავზე დაინახოთ და შეადაროთ, თუ ვისი მფარველობა გირჩევნიათ. ზოგიერთ წამქეზებელს ჩვენგანაც მიეზღო სამაგიერო. მაგრამ ყველაფერი იმისათვის, რაც მოხდა, პასუხისმგებლობა უნდა დაგეკისროთ თქვენ ყველას საერთოდ, რა თქმა უნდა, ეს უნდა შეეფერებოდეს თქვენს მიერ ჩადენილს. მაგრამ, დაე, ნურასოდეს ნუ მოუვა ფიქრად რომაელებს ნურც ისეთი უსინდისო ცემა-ტყეპა, ნურც უგუნური კონფისკაციები ან მონათა გამოსვლების წაქეზებანი, ანუ სხვა ბარბაროსული საქციელი. დავინდობ რა ელინთა ტომსა და მის სახელს აზიაში, რომაელთათვის ესოდენ ძვირფასი საკუთარი სახელის გულისათვის, მე

გავალებთ თქვენ შემოიტანოთ დაუყოვნებლივ ხუთი წლის გადასახადი და გადაიხადოთ სამხედრო ხარჯები, რომლებიც ჩემს მიერ უკვე გაწეულია და რომლებიც ჯერ კიდევ მომელის, ვიდრე ყველაფერ დანარჩენს ბოვაწესრიგებდე. მე პირადად გავანაწილებ თვითეულ ქალაქზე და დავაწესებ შეტანის ვადას, ხოლო იმას, ვინც ამას არ შეასრულებს, მე მას დავადებ სასჯელს, როგორც მტერს".

63. ამ სიტყვის შემდეგ მან გაანაწილა ჯარიმა ელჩებს შორის და შეუდგა ხალხის გზავნას ფულის გადასახდევინებლად. რადგან ჯარისკაცები ძალას ატანდნენ, დაჟინებით მოითხოვდნენ რა გადასახადს, ქალაქები, რომლებსაც არ ჰქონდათ გადახდის საშუალება, აგირავებდნენ მევახშეებთან ზოგი თეატრებს, ზოგი გიმნაზიებს, ზოგი თავიანთ სიმაგრეებსა და ნავსადგურებს და სხვა ყოველგვარ საზოგადოებრივ ქონებას, იღებდნენ რა სესხს დიდი პროცენტით. ასე შეაგროვეს და მიუტანეს ფული სულას. და უსაზღვრო უბედურებით იყო აღვსილი აზია: მის სანაპიროს აშკარად ესხმოდნენ თავს მრავალრიცხოვანი მძარცველთა ბრბოები, რაც სამხედრო ლაშქრობას უფრო ჰგავდა, ვიდრე ყაჩაღურ თარეშს. წარსულში ზღვაზე გამოუშვა ისინი მითრიდატემ, როდესაც ის აოხრებდა ყველაფერ იმას, რისიც დიდხანს თავის ხელში შენარჩუნება არ შეეძლო; მაშინ კი ისინი ძალიან გამრავლდნენ და თავს ესხმოდნენ არა მხოლოდ ზღვაზე მოგზაურთ, არამედ აგრეთვე ნავსადგურებს, დაბებსა და თვით ქალაქებსაც კი. სულას თვალწინ მათ ხელთ იგდეს ნაქსოსი, სამოსი, კლაზომენი და სამოთრაკია, ხოლო სამოთრაკიის სამლოცველო გაძარცვეს მათ და, როგორც ამბობენ, ასი ათასი ტალანტი წაიღეს. ხოლო სულა, რომელმაც შეგნებულად დასტოვა ამ ადგილთა მცხოვრებნი, რათა, როგორც რომაელთა წინააღმდეგ დანაშაულის ჩამდენნი, გატანჯულიყვნენ ამ ძალადობით, თუ რომში მომხდარი არეულობით იძულებული, — თავისი ჯარის დიდი ნაწილით გაემგზავრა ზღვით საბერძნეთში, და იქიდან კი იტალიაში.

ის, რაც სულას შეეხება, მე აღწერილი მაქვს სამოქალაქო ომებში.

64. ხოლო მეორე ომი რომაელებსა და მითრიდატეს შორის, აი რით დაიწყო. სულამ აზიაში დასტოვა მურენა ფიმბრიასეული ორი ლეგიონით, რათა მოეწესრიგებია დანარჩენი საქმეები აზიაში; მაგრამ მურენა მასხარად აგდებით ეძებდა ომის საბაბს, ტრიუმფის წყურვილით შეპყრობილი; ხოლო პონტოში მისული მითრიდატე ომს აწარმოებდა კოლხებთანა და ბოსფორის მცხოვრებლებთან, რომლებიც მას განუდგნენ. კოლხებმა სთხოვეს მას მიეცა მათთვის მეფედ მისი, მითრიდატეს ვაჟი, და მიიღეს რა იგი, მაშინათვე დამორჩილდნენ. მაგრამ რადგანაც მეფეს ეშვი დაებადა, რომ ეს მისი ვაჟის განზრახვის თანახმად მოხდა, რომელსაც სურდა მეფედ გახდომა, ამიტომ მან მოიწვია იგი და დაადო რა ოქროს ბორკილი, რამდენიმე ხნის შემდეგ დასაჯა იგი, მიუხედავად იმისა, რომ მან დიდი სამსახური გაუწია მას ფიმბრიასთან შეტაკების დროს. ბოს-

ფორის მცხოვრებთა წინააღმდეგ კი იგი შეუდგა დიდი ფლოტის აგებასა და უამრავი ჯარის მომზადებას, ამასთანავე ამ სამზადისის გაჭანებამ უმალ ცხადყო, რომ ყველაფერი ეს მზადდებოდა არა ბოსფორელების, არამედ რომაელთა წინააღმდეგ. და მართლაც მას ხომ ჯერ არ ჰქონდა არიობარზანისთვის მთელი კაპადოკია გადაცემული, არამედ მისი ზოგიერთი ნაწილი მას თვითონ ეჭირა. მან ეჭვით დაუწყო ცქერა არქელაოსსაც იმისათვის, რომ მან ელადაში მოლაპარაკების დროს სულას გაცილებით მეტი დაუთმო, ვიდრე საჭირო იყო. შენიშნა რა ეს, შეშინებული არქელაოსი მურენასთან გაიქცა და, აქეზებდა რა მას, დაარწმუნა იგი თვითონ პირველი დასხმოდა მითრიდატეს. და მართლაც მურენა მაშინათვე კაპადოკიაზე გავლით თავს დაესხა კომანას, ძალიან დიდ დასახლებულ პუნქტს, რომელიც მითრიდატეს ძალაუფლების ქვეშ იმყოფებოდა, და სადაც სახელგანთქმული და მდიდარი ტაძარი მოიპოვებოდა; მან დახოცა მითრიდატეს რამდენიმე მხედარი, ხოლო მის ელჩებს, რომლებიც ხელშეკრულებაზე მიუთითებდნენ, უპასუხა, რომ მას ასეთი ხელშეკრულება არ უნახავს (საქმე ის არის, რომ სულას წერილობით კი არ დაუდასტურებია ეს ხელშეკრულება, არამედ თავისი სიტყვა საქმით დაამტკიცა და აზიიდან წავიდა). ამ სიტყვების შემდეგ მურენა მაშინათვე შეუდგა ძარცვას, ისე რომ თავი არ შეუკავებია ტაძართა ფულებისგანაც კი; ზამთარი მან კაპადოკიაში გაატარა.

65. მითრიდატემ გაგზავნა რომში სენატსა და სულასთან ელჩები მურენას მოქმედებაზე საჩივრით. მან კი ამასობაში გადალახა მდინარე ჰალისი, დიდი და იმ დროს მისთვის წვიმების გამო ძნელი გასავლელი და სწრაფად გაიარა მითრიდატეს 400 სოფელი; მეფე მას არსად შეჰხვედრია, არამედ უცდიდა ელჩების დაბრუნებას. დიდი ნადავლით დატვირთული მურენა დაბრუნდა ფრიგიასა და გალატიაში. აქ მასთან რომიდან მითრიდატის საჩივრის გამო გამოგზავნილმა კალიდიუსმა არ გადასცა მას რაიმე დადგენილება, მაგრამ შეკრებილი ხალხის წინაშე მან ოფიციალურად უთხრა ტრიბუნიდან, რომ სენატი უბრძანებს მას თავი შეიკავოს მეფეზე თავდასხმისაგან, რადგანაც მასთან ხელშეკრულებაა დადებულიო. ამის შემდეგ ნახეს კალიდიუსი მურენასთან პირისპირ მოსაუბრე; მურენას არ აუღია არაფერში ხელი თავის განზრახვებზე, პირიქით, ამის შემდეგ დაიძრა მითრიდატეს მიწა-წყლისაკენ. მაშინ მითრიდატემ გადაწყვიტა, რომ რომაელები მასთან ომს აწარმოებდნენ და უბრძანა გორდის—თავს დასხმოდა სოფლებს (მდინარის გაღმა). გორდიმ მაშინათვე ხელთ იგდო ბლომად მუშა და სატვირთო საქონელი, როგორც უბრალო ხალხის, აგრეთვე ჯარისკაცებისა და დაიბანაკა მურენას პირისპირ, ჰყოფდა რა მათ ურთიერთისაგან მდინარე. არც ერთი იწყებდა და არც მეორე, ვიდრე მითრიდატე არ მოვიდა გაცილებით უფრო მეტი ჯარით და მაშინვე მოხდა ფიცხელი ბრძოლა მდინარესთან. გამარჯვებულმა მითრიდატემ გადალახა მდინარე, აღმოჩნდა რა სხვაშიც ყველა-

ფერში მურენაზე ძლიერი. მურენა გაიქცა ძლიერ გამაგრებულ ბორცვზე, ხოლო როდესაც მეფემ აქაც სცადა მაზე თავდასხმა, იგი დიდი ზარალის შემდეგ მთებით გაიქცა ფრიგიაში, მიდიოდა რა გაუვალი გზებით, მტრის ისრებს ქვეშ, დიდი გაჭირვებით.

66. დასაწყისშივე ესოდენ ბრწყინვალე და გადამწყვეტი გამარჯვების შესახებ ხმა სწრაფად გავრცელდა და მრავალნი მიიზიდა მითრიდატეს მხარეზე. მითრიდატემ გააძევა ან აიძულა გაქცეულიყვნენ კაპადოკიიდან მურენას ყველა გარნიზონები და მამათა წესის თანახმად მსხვერპლი შესწირა ზქვს-მებრძოლს მაღალ მთაზე, აღმართა რა მის მწვერვალზე სხვა მწვერვალი ხისა, უფრო მასზე მაღალი. პირველად მიაქვთ ამ მწვერვალზე შეშა მეფეებს; შემდეგ აწყობენ მეორე წრეს, პირველზე უფრო ვიწროს, სულ ზევით აწყობენ რძეს, თაფლს, ღვინოს, ზეთს და სხვა საკმეველთ, ველზე კი მართავენ მოსულთათვის მასპინძლობას პურითა და სხვა ყოველგვარი სანელებლით (ასეთივე მსხვერპლის შეწირვა იმართება ხოლმე აგრეთვე პასარგადშიც სპარსელთა მეფეების მიერ), შემდეგ ცეცხლს უკიდებენ ხეს. ეს ანთებული კოცონი თავისი სიდიდის გამო მოჩანს ზღვაზე ათასი სტადიუმის მანძილზე და ამბობენ, რომ იქ მიკარება რამდენიმე დღის განმავლობაში შეუძლებელია: ისეა გავარვარებული ჰაერი.

მითრიდატემ ეს მსხვერპლი შესწირა მამათა წეს-ჩვეულების მიხედვით. მიიჩნია რა დაუშვებლად, რომ წარმოებდა ომი მითრიდატეს წინააღმდეგ, რომელსაც რომაელებთან ხელშეკრულება ჰქონდა დადებული, სულამ გაგზავნა ავლი გაბინიუსი, რათა გადაეცა მურენასათვის წინანდელი სასტიკი ბრძანება, არ აწარმოოს მითრიდატესთან ომი, და რათა მითრიდატე და არიობარზანი კი ერთი მეორესთან შეერიგებია. ამ შეხვედრის დროს მითრიდატმა თავისი ოთხი წლის ქალი დაწინდა არიობარზანთან და ამ საბაბით დათანხმდნენ, რომ მის გამგებლობაში დარჩებოდა კაპადოკიის ის ნაწილი, რომელიც მის ხელში იმყოფებოდა, და ამას გარდა ამ ქვეყნის სხვა ნაწილებიც მიითვისა, მასპინძლობდა იგი ყველას და ურიგებდა ფულად ჯილდოებს, საუკეთესო მასპინძლობისათვის, სადღეგრძელოსთვის, ხუმრობისა და სიმღერისათვის, როგორც მას ეს ჩვეულებად ჰქონდა. მხოლოდ ერთი გაბინიუსი არ მიჰკარებია არაფერს.

ასე შეწყდა მითრიდატეს მეორე ომი რომაელებთან დაახლოებით მესამე წელს.

67. ისარგებლა რა სიწყნარით, მითრიდატე შეეცადა დაუფლებოდა ბოსფორს და დაუნიშნა ბოსფორელებს მეფედ ერთ-ერთი თავისი ვაჟი სახელად მახარე. იგი თავს დაესხა კოლხების ჩრდილოეთით მცხოვრებ ახეელებს, რომლებსაც ტროადიდან მოსულებად თვლიან, დაკარგა თავისი ჯარის ორი მესამედი ბრძოლებში, ყინვისა და ჩასაფრებულთა თავდასხმისაგან. დაბრუნდა უკან და გაგზავნა ნდობით აღჭურვილი ხალხი რომ-

ში ხელშეკრულებაზე ხელის მოსაწერად. არიობარზანმაც თავისი თანხმობით, თუ ვისიმე შთაგონებით, გაგზავნა ხალხი საჩიერით, რომ მან ვერ მიიღო კაპადოკია და რომ მის უდიდეს ნაწილს მითრიდატე კიდევ ართმევს მას. სულას ბრძანების საფუძველზე მიეცა მისთვის კაპადოკია, მითრიდატემ დაუბრუნა მას იგი და გაგზავნა მეორე ელჩობა ხელშეკრულების დასადებად. რადგანაც სულა უკვე გარდაიცვალა და რადგანაც უამრავი საქმეების გამო პრეტორებმა ვერ მოუწყეს მის ელჩებს აუდიენცია სენატში, ამიტომ მითრიდატემ შეაგულიანა თავისი სიძე ტიგრანი, რათა იგი თავს დასხმოდა კაპადოკიას, ეითომც და საკუთარი ინიციატივით. ეს ეშმაკობა რომაელებისათვის დაფარული არ დარჩა; არმენიის მეფემ კი დაიმონა კაპადოკია და გამოიყვანა იქიდან არმენიაში 300.000-მდე კაცი და სხვებთან ერთად დაასახლა ისინი იქ, სადაც მან პირველად დაიდგა არმენიის გვირგვინი, და ამ ადგილს უწოდა თავისი სახელი ტიგრანოკერტი, რაც უნდა აღნიშნავდეს „ტიგრანის ქალაქს".

68. ასე მიდიოდა საქმე აზიაში. ამ დროს სერტორიუსმა, იბერიის* მმართველმა, მოაწყო ისე, რომ თვითონ იბერია და ირგვლივ მდებარე ოლქები განუდგნენ რომაელებს; თავის თანამშრომელთაგან მან შეკრიბა საბჭო, სენატის მსგავსად. ორივე ლუციუსები, იმათგან, ვინც მასთან ერთად აუჯანყდა რომაელებს, მაგიუსი და ფანიუსი, არწმუნებდნენ მითრიდატეს შეეკრა კავშირი სერტორიუსთან, აღუძრავდნენ რა მას დიდ იმედებს აზიისა და მისი მახლობელი ტომების მიმართ. მათგან დაჯერებულმა მითრიდატემ ელჩები გაგზავნა სერტორიუსთან. ამ უკანასკნელმა ისინი თავის სენატში შეიყვანა და აღივსო სიამაყით, ფიქრობდა რა, რომ მისმა სახელმა პონტომდე მიაღწია და რომ მას შეუძლია რომაელებზე იერიში მიიტანოს აღმოსავლეთიდანაც და დასავლეთიდანაც. მითრიდატესთან იგი მოლაპარაკებას აწარმოებდა იმის შესახებ, რომ იგი მას გადასცემდა აზიას, ბითინიას, პაფლაგონიას, კაპადოკიასა და გალატიას, და მთავარსარდლად გაუგზავნა მარკუს ვარიუსი, ხოლო მრჩეველებად ორივე ლუციუსები, მაგიუსი და ფანიუსი. მათთან ერთად მითრიდატემ დაიწყო მესამე და უკანასკნელი ომი რომაელებთან, რომელშიც მან დაკარგა მთელი თავისი სამეფო, რადგანაც სერტორიუსი იბერიაში გარდაიცვალა, ხოლო რომიდან მის წინააღმდეგ გაგზავნეს ჯერ ლუკულესი, სულას საზღვაო ძალების ყოფილი უფროსი, შემდეგ კი პომპეუსი, რომლის დროსაც მითრიდატეს ძალაუფლების ქვეშ მყოფი ყველა სამფლობელო და მის მეზობლად მყოფნი თვით მდინარე ეფრატამდე, რომაელების ძალაუფლების ქვეშ გადავიდა მითრიდატესთან ომის საბაბითა და ძალით.

69. მითრიდატემ რომაელებთან ბრძოლის დროს მიღებული გამოცდილებით უკვე იცოდა, რომ მის მიერ ყოველად უსაბაბოდ და ასე ჩქარა

*ესპანეთის იბერია.

დაწყებული ომი ამჯერადაც განსაკუთრებით დაუნდობელი იქნებოდა; ამიტომ მან იზრუნა ყოველგვარ სამზადისზე, ფიქრობდა რა, რომ შეტაკება ეხლა უკვე გადამწყვეტი იქნებოდა. ზაფხულის დარჩენილ ნაწილსა და მთელი ზამთრის განმავლობაში იგი ამზადებდა ხე-ტყეს, აგებდა ხომალდებსა და აგროვებდა იარაღს და სანაპიროს სხვადასხვა ადგილებში მოკრიბა 2.000.000 მედიმნამდე პური, როგორც მოკავშირეები, მასშეუერთდნენ წინანდელი ჯარის გარდა ხალიბები, არმენიელები, სკვითები, ტავრები, აქეელები, ჰენიოხები, ლევკოსირები და ისინი, რომლებიც ცხოვრობენ ეგრედწოდებული ამაზონების მიწებზე, მდინარე თერმოდონტის მახლობლად. ასეთი ძალები შეუერთდა მის წინანდელ ჯარებს აზიიდან, ხოლო როდესაც ის ევროპაში გადავიდა, მაშინ მას შეუერთდნენ ეგრეთ წოდებული მეფის სავრომატები, იაზიგები კორალები, ხოლო თრაკიელთაგან ის ტომები, რომლებიც ცხოვრობენ ისტრზე როდონისა და გემის მთებში, აგრეთვე ბასტარნები, მათგან ყველაზე უძლიერესი ტომი. ასეთი ძალები მიიღო მაშინ მითრიდატემ ევროპიდან. და თავი მოიყარა მასთან სულ მებრძოლმა ძალებმა 140.000-მდე ქვეითმა ჯარმა, ხოლო 16.000-მდე ცხენოსანმა. ამას გარდა მათ უკან მისდევდნენ ვეებერთელა ბრბოდ გამცილებლები, ბარგის მზიდავნი და ვაჭრები.

70. გაზაფხულის დამდეგისთანავე, მოახდინა რა გამოცდა თავისი ფლოტისა, მან წესისამებრ მსხვერპლი შესწირა ზევს-მებრძოლს, ხოლო პოსეიდონის პატივსაცემად მან ზღვაში ჩააგდო წყვილი თეთრი ცხენი; შემდეგ გაეშურა პაფლაგონიისაკენ; მისი ჯარის უფროსნი იყვნენ ტაქსილი და ჰერმოკრატი. როდესაც იგი იქ მივიდა, სიტყვა წარმოთქვა ჯარის წინაშე, აქებ-ადიდებდა რა თავის წინაპრებს და თავისთავს, ამბობდა რა, რომ თავისი მცირე სახელმწიფო მან უდიდესად გადააქცია და რომ იგი პირადად არასოდეს ყოფილა დამარცხებული რომაელების მიერ. შემდეგ ბრალი დასდო რომაელებს ანგარებასა და სიხარბეში, რომლის უღლის ქვეშაც კვნესის დამონებული იტალია და თვით მათი სამშობლო. ამას გარდა უკანასკნელ ხელშეკრულებაზე განაცხადა, რომ ვითომც რომაელებს არ სურთ გააფორმონ იგი წერილობით და ელიან ხელსაყრელ მომენტს, რათა განაახლონ მასზე თავდასხმა. მათ დააკისრა ბრალი ამ ომის დაწყების საქმეში, მან აღნიშნა თავისი ჯარისა და მისი შეიარაღების ძლიერება. მიუთითა, რომ რომაელები ეხლა გართულნი არიან იბერიაში სერტორიუსთან სერიოზულ ბრძოლაში, ხოლო იტალიაში სამოქალაქო ომი წარმოებსო. „ამიტომაო, თქვა მან, „ისინი არ აქცევენ ყურადღებას ზღვასაც, რომელიც უკვე დიდი ხანია ზღვის მეკობრეთა ხელშია, არა ჰყავთ მათ არც არავითარი მოკავშირე და არც არავინ არის ნებაყოფლობით მათი ქვეშევრდომი. განა ვერა ხედავთ, თქვა მან, მიუთითებდა რა ვარიუსსა და ორივე ლუციუსებზე, რომ მათგან ყველაზე უკეთესნი სამშობლოს მტრები და ჩვენი მოკავშირეები არიან".

71. თქვა რა ესა და აღაგზნო თავისი ჯარი, მითრიდატე შეესია ბითინიას, სადაც ცოტა ხნის წინად გარდაიცვალა ნიკომედი უშვილოდ და თავისი სამეფო ანდერძით რომაელებს დაუტოვა. მისი მმართველი იყო კოტა, კაცი სუსტი სამხედრო საქმეში; იგი ქალკედონში გაიქცა იმ ჯარითურთ, რომელიც მას ჰყავდა. ბითინია მყისვე აღმოჩნდა მითრიდატეს ძალაუფლების ქვეშ. ყოველი მხრიდან რომაელებმა იწყეს თავის მოყრა კოტასთან ქალკედონში. როდესაც მითრიდატე ქალკედონის წინააღმდეგ გაემართა. კოტამ თავისი უსაქმურობით ვერ მოახერხა მის წინააღმდეგ გასვლა. მისი საზღვაო ძალების უფროსმა ნუდმა კი ჯარის ერთი ნაწილით დაიპირა ველზე ყველაზე უფრო გამაგრებული პუნქტები, მაგრამ იქიდან გამოდევნილი გაიქცა ქალკედონის ჰიშკრისაკენ, გადალახა რა დიდი შრომით მრავალი წინააღმდეგობა. ჰიშკართან დიდი შეხლა-შემოხლა შეიქნა, რადგან ყველა ერთად ცდილობდა შეჭრილიყო ჰიშკარში. ამიტომ მათ მდევნელთაგან გამოტყორცნილი არცერთი ისარი ამაოდ არ იკარგებოდა. ხოლო როდესაც ჰიშკართან მდგომმა შეშინებულმა გუშაგებმა ჰიშკარი უცაბედად გადაკეტეს, ნუდა და ზოგიერთი სხვა უფროსი ზევით თოკებით აიყვანეს, დანარჩენები კი დაიღუპნენ, მოქცეულნი მტრებსა და თავისიანებს შორის, აღაპყრობდნენ რა ხელებს როგორც ერთის, ისე მეორის მიმართ. მითრიდატემ, ისარგებლა რა ბედის ასე სასიკეთოდ შემობრუნებით, იმავე დღეს წაიყვანა თავისი ხომალდები ნავსადგურზე და სპილენძის ჯაჭვებისაგან შემდგარი ჯებირის გარღვევის შემდეგ, დასწვა მტრის ოთხი ხომალდი. დანარჩენი სამოცი კი თან წაიყვანა ბუქსირით, ამასთანავე არც კოტასა და არც ნუდს მისთვის არავითარი წინააღმდეგობა არ გაუწევიათ, არამედ კედლებში ჩაკეტილნი ისხდნენ. რომაელთაგან მოკლული იყო სამი ათასამდე, მათ რიცხვში ერთი სენატორთაგანი ლუციუს მალიუსი, ხოლო მითრიდატეს დაეღუპა 20 კაცი ბასტერნთაგან, რომლებიც პირველნი შეიპრნენ ნავსადგურში.

72. ლუციუს ლუკულუსი, ამორჩეული კონსულად და მთავარსარდლად ამ ომში, რომიდან გაემგზავრა ერთი ლეგიონით და ორიც სხვა შემოიერთა, რომლებიც წინათ ფიმბრიასა ჰყავდა, მათ მიუმატა აგრეთვე მოგროვილი ორი სხვა, ისე რომ სულ ჰყავდა 30.000 ქვეითი და 1.600 ცხენოსანი და დაიბანაკა კიზიკთან მითრიდატეს მახლობლად. გაიგო რა მითრიდატეს ბანაკიდან გამოქცეულ მოღალატეთაგან, რომ მეფის ჯარი 300.000 კაცისაგან შედგება და, რომ ისინი სურსათს ზღვით იღებენ, ან თვით ჯარისკაცები შოულობენ, ლუკულუსმა უთხრა თავის ირგვლივ მყოფთ, რომ იგი მალე ხელთ იგდებს მტრებს უბრძოლველად და უბრძანა მათ დაემახსოვრებიათ ეს შეპირება. მან დაინახა რა ბანაკის მოსაწყობად მარჯვე მთა, საიდანაც, როგორც ის ფიქრობდა, ის ადვილად მოახერხებს სურსათის მიღებას, მტრებს კი მისატან გზას გადაუჭრის, სცადა ხელთ ეგდო იგი იმ იმედით, რომ აქედან ის გაურჯელად მიაღწევდა გამარჯვებას. რადგანაც ამ მთისკენ მიემართებოდა მხოლოდ ერ-

თადერთი ვიწრო ბილიკი, ამიტომ მითრიდატე მას დიდი ძალებით იცავდა: ამას ურჩევდნენ ტაქსილი და ჯარის სხვა უფროსები. ლუციუს მაგიუსმა კი, რომელიც იყო შუამავალი სერტორიუსსა და მითრიდატეს შორის, ახლა, როდესაც სერტორიუსი უკვე გზიდან ჩამოშორებული იყო, დაამყარა ლუკულუსთან საიდუმლო ურთიერთობა, და მიიღო რა მისგან ხელუხლებლობის აღთქმა, ურჩევდა მითრიდატეს, რათა მას არ მიექცია ყურადღება, თუ რომაელები წავიდოდნენ. და დაიბანაკებდნენ იქ, სადაც სურდათ. ის ეუბნებოდა, რომ წინათ ფიმბრიასთან მყოფი ორი ლეგიონი მზად არის გადავიდეს მის მხარეზე და დაუყოვნებლივ შეუერთდებიან მას, მაშ რიღასთვის უნდა ისწრაფოდეს იგი ომისა და სისხლისღვრისაკენ, როცა მას შეუძლია უბრძოლველად დაამარცხოს მტერი. არ ეპარებოდა რა არაფერში ეჭვი, მითრიდატე უფიქრელად დაეთანხმა მის მტკიცებას და რომაელებს ხელი არ შეუშალა გაეარათ ვიწრობები და გაემაგრებიათ მის საწინააღმდეგოდ მაღალი მთა. იგდეს რა იგი ხელთ, რომაელებს შეეძლოთ სრულიად უშიშრად მოეზიდათ თავისთვის სანოვაგე; ხოლო რაც შეეხება მითრიდატეს, ისინი ვარაუდობდნენ, რომ ტბებით, მთებითა და მდინარეებით მას მოუსპობენ შემოზიდვის ყოველგვარ საშუალებას ხმელეთის გზით, და მხოლოდ დიდი გაჭირვებით თუ შესძლებს მიიღოს რამე: მას აღარ გააჩნდა ფართო გზები და ლუკულუსზე იერიშის მიტანა კი მას უკვე აღარ შეეძლო პოზიციების მიუდგომლობის გამო, რომლის ხელშეჩაგდებაც მან თვითონ უგულებელყო. რადგანაც ზამთარი ახლოვდებოდა, ამიტომ მოსალოდნელი იყო, რომ საზღვაო გზით შემოზიდვა გაძნელდებოდა. ხედავდა რა ყველაფერ ამას, ლუკულუსმა მოაგონა თავის მეგობრებს თავისი შეპირება და უთხრა, რომ მაშინდელი წინასწარმეტყველების შესრულება ყოველ წუთს მოსალოდნელი იყო.

73. მითრიდატეს ეგების მაშინაც შეეძლო თავისი ჯარის სიმრავლის წყალობით შეჭრილიყო მტრის შუაგულში; მაგრამ მან ეს არ მოისურვა; იმ ნაგებობებით, რომლებიც მას ალყისათვის ჰქონდა მომზადებული, იგი თავს დაესხა კიზიკს, ფიქრობდა რა, რომ ამით ერთსა და იმავე დროს თავის ცუდ პოზიციასაც გაიუმჯობესებდა. და სანოვაგის სიმცირესაც შეანელებდა. რადგანაც მას მისი ჯარის სიმრავლის გამო ხალხი ჭარბად ჰყავდა, ამიტომ ქალაქს თავს ესხმოდა ყოველგვარი საშუალებით, გამოთიშა რა ნავსადგური ორმაგი კედლით და შემოარტყა რა ქალაქის დანარჩენ ნაწილებს ირგვლივ თხრილი. მან გააკეთა დიდი მიწაყრილები, ააგო მრავალი საიერიშო მანქანა, კოშკი და „კუ“ ტარანებისთვის, აღმართა მნგრეველი მანქანა ასი წყართის სიმაღლისა, რომელზედაც დადგმული იყო მეორე კოშკი კატაპულტებით, რითაც ქალაქში ქვებსა და სხვა სატყორცნ ნივთებს ისროდნენ. ნავსადგურში ერთი მეორეზე გადაბმულ ორ პენტერს მიჰქონდა კიდევ კოშკი, რომლიდანაც გადმოუშვებდნენ ხოლმე ხიდს საგანგებო მოწყობილობის საშუალებით,

როდესაც კედლებს მიუახლოვდებოდნენ. როდესაც მან ყველაფერი მოამზადა, პირველ ყოვლისა ხომალდებით მიიყვანა 3.000 ტყვე-კიზიკელი, რომლებიც კედლებისკენ ხელაღპყრობილი იხვეწებოდნენ შეებრალებიათ თავიანთი თანამოქალაქენი, რომლებიც ასეთ საფრთხეში ჩაცვივდნენ, ვიდრე კიზიკელთა ჯარის უფროსმა პისისტრატემ არ უბრძანა გამოეცხადებიათ კედლიდან მათთვის, რომ მოთმინებით აეტანათ, რაც შეემთხვათ, რაკი ტყვედ ჩაცვივდნენ.

74. როდესაც მითრიდატეს ეს ცდა არ გაუვიდა, მაშინ მან კედლებისკენ დასძრა ხომალდებზე მყოფი მანქანა; ანაზდეულად მისგან გადაუშვა კედელზე ხიდი და ოთხმა მებრძოლმა მიირბინა სიმაგრეებთან. ამ მათთვის სრულიად ახალი მოულენით შეშკრთალმა კიზიკელებმა ჯერ ცოტა უკან დაიხიეს, მაგრამ, რადგანაც იმ ოთხს მაშინათვე სხვებიც არ მიჰყვნენ, კიზიკელები გონს მოვიდნენ და ეს ოთხი კედლიდან გადაყარეს, ხოლო დაუშინეს რა ხომალდებს ცეცხლი და ფისი, აიძულეს ისინი უკუქცეულიყვნენ და მათ უკუსვლით დაიხიეს უკან თავიანთი მოწყობილობითურთ. ასე დაამარცხეს კიზიკელებმა ის, ვინც ცდილობდა მათ ზღვის მხრით თაეს დასხმოდა. იმავე დღეს მესამედ სცადეს მათზე თავდასხმა: ხმელეთის მხრით დასძრეს მათ წინააღმდეგ ერთდროულად ყველა საიერიშო მოწყობილობანი და კიზიკელები დიდ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, რადგანაც ერთი ადგილიდან მეორეზე გადარბოდნენ, ეხმარებოდნენ რა იმ ადგილებს, სადაც სახიფათო მდგომარეობა შეიქმნებოდა ხოლმე. ტარანების ძელებს ისინი ქვებით ლეწავდნენ, ისხლტუნებდნენ მათ, ანდა ლასტებით ანელებდნენ მათ ძალას; გამონატყორცნ ცეცხლისგამჩენ იარაღებს ისინი ხვდებოდნენ წყლითა და ძმრით, სხვებს კი უხვედრებდნენ ტანისამოსს ან გაუჭიმავ ქსოვილების ნაჭრებს და ამით აჩერებდნენ მათ; საერთოდ მათ ყველაფერი გამოიყენეს, რაც კი მამაც ვაჟკაცთათვის ხელმისაწვდომია: თუმცა ისინი ყველა ამ უბედურებას წინ აღუდგნენ დიდი სიმტკიცით, მაგრამ მტერმა მაინც მათი კედლის ნაწილი დასწვა და იგი საღამოს ჩამოინგრა. მაგრამ ცეცხლწაკიდებულ ნანგრევებზე ვერავინ შესძლო გადარბენა, ღამით კი კიზიკელებმა მაშინათვე აღადგინეს კედელი, ხოლო იმავე დღეს ამოვარდნილმა ქარიშხალმა დაამსხვრია მეფის დანარჩენი მოწყობილობანიც.

75. ამბობენ, რომ ქალაქი კიზიკი ზევსის მიერ მზითვად ჰქონდა მიცემული მის ქალს კორას; ყველა ღმერთთაგან კიზიკელები უმეტესად მას სცემენ პატივს. როდესაც მისი დღეობა მოვიდა, რომლის დროსაც მას მსხვერპლად სწირავენ შავ ძროხას, — რადგანაც მათ ასეთი არა ჰყავდათ, ამიტომ იგი პურისა გამოძერწეს, მაგრამ, აი შავმა ძროხამ თვითონ მოსცურა ზღვიდან და, გაიარა რა ნავსადგურის საკეტები, შეირბინა ქალაქში, თვითონ მივიდა სამლოცველომდე და სამსხვერპლოსთან გაჩერდა. კიზიკელებმა სწორედ ის შესწირეს მსხვერპლად, აღივსნენ რა საუკეთესო იმედებით. მეგობრები ურჩევდნენ მითრიდატეს გას-

ცლოდა იქაურობას, რადგანაც აშკარა იყო, რომ ქალაქს ღვთაება მფარველობდა. მან არ დაუჯერა მათ, წავიდა ქალქის ზემოთ მდებარე მთის დინდიმზე და იქიდან დაიწყო ხვრელის თხრა ქალაქისაკენ, ააგო კოშკები და შეარყია კედლები. თავისი ცხენები, რომლებიც მისთვის მაშინ გამოუსადეგარი იყვნენ, რადგან უჭმელობისგან დასუსტდნენ და ჩლიქების შემოცვდომის გამო დაკოჭლდნენ, მან შემოვლილი გზით ბითინიაში გაგზავნა. როდესაც ისინი მდინარე რინდაკზე გადადიოდნენ, მათ თავს დაესხა ლუკულუსი და ტყვედ წაიყვანა 15.000-მდე კაცი, 6000-მდე ცხენი და მრავალი მზიდავი საქონელი.

აი, ეს მოხდა კიზიკთან: ამ დროს მითრიდატეს სარდალმა ევმახმა სწრაფად გაიარა მთელი ფრიგია, მრავლად ამოხოცა რომაელები მათი ცოლშვილითურთ, დაიმორჩილა პისიდიელები, ისავრიელები და კაპადოკია, ვიდრე ბოლოს, გალატიის ერთ-ერთი ტეტრარქი დეიოტარი მას თავს არ დაესხა მისი წინსვლის დროს და ბევრი ხალხი დაუხოცა მას.

76. აი, ეს მოხდა ფრიგიაში: უკვე ზამთარი დადგა და მითრიდატეს ზღვით სურსათის შემოტანის საშუალებაც წაერთვა, თუ კი ეს საერთოდ შესაძლებელი იყო, ისე რომ მისი ჯარი მთლად მშიერი იყო, ბევრი იხოცებოდა, ზოგნი კი, ბარბაროსთა ჩვეულებისამებრ, ადამიანის შიგნეულსა სჭამდა, სხვები კი ბალახით იკვებებოდნენ და ავადდებოდნენ. იქვე დაუსაფლავებლად გადაყრილმა მათმა გვამებმა, შიმშილის დამატებად შავი ჭირი გააჩინა. მითრიდატე მაინც მტკიცედ იყო, იმედი ჰქონდა რა, რომ იგი აიღებდა კიზიკს იმ ხვრელის საშუალებით, რომელიც მას დინდიმიდან გაჰყავდა. მაგრამ, როდესაც კიზიკის მცხოვრებლებმა დაუფუშეს ეს ხვრელი და დაუწვეს მანქანები და ხედავდნენ რა მისი ჯარის შიმშილს, ხშირად აწყობდნენ გამოხდომას და თავს ესხმოდნენ უკვე დასუსტებულ მტერს, — ბოლოს, იფიქრა მითრიდატემ გაქცევა და ღამით ხომალდით გაიქცა თვითონ პაროსში, მისი ჯარი კი ხმელეთით — ლამპსაკში. როდესაც ისინი მდინარე ესეპს გადადიოდნენ, რომელიც ძალიან იყო ადიდებული, — როგორც მდინარისგან, ისე ლუკულუსის თავდასხმისაგან მათ დიდი ზარალი განიცადეს.

კიზიკის მცხოვრებლებმა, მიუხედავად მეფის დიდი სამზადისისა, თავიდან აიცდინეს დაღუპვა, იმის წყალობით, რომ თვითონაც სახელოვნად იცავდნენ თავს და ლუკულუსიც ავიწროებდა მტერს შიმშილით. მათ დააწესეს ლუკულუსის პატივსაცემად დღეობა და დღესაც ასრულებენ მას „ლუკულიების" სახელწოდებით. ლამპსაკში გაქცეულების თვის, რომელთაც ალყა შემოარტყა ლუკულუსმა, გაგზავნა მითრიდატემ ხომალდები და ყველანი ლამპსაკის მცხოვრებლებითურთ თავისთან მიიყვანა. ათიათასი რჩეული მეომარი ორმოცდაათ ხომალდზე მან დასტოვა სერტორიუსის მიერ მთავარსარდლად გაშოგზავნილი ვარიუსისა, აგრეთვე პაფლაგონელი ალექსანდრესა და საჰურის დიონისეს მეთაურობით, თვითონ კი ჯარის უმეტესი ნაწილით გასცურა ნიკომედიისაკენ. ამოვარ-

დნილმა ქარიშხალმა მრავალი დაღუპა როგორც ერთ, ისე მეორე ფლოტში.

77. როდესაც ლუკულუსმა შეასრულა ომის თავისი გეგმა ხმელეთზე შიმშილის წყალობით, მან შეკრიბა ხომალდები პროვინცია აზიიდან და გადასცა ისინი თავის ჯარის უფროსებს. გაემართნენ რა ხომალდებით, ტრიარიუსმა აიღო აპამეია და უწყალოდ გაჟლიტა აპამელები, რომლებიც ტაძრებს შეეხიზნენ. ბარბასმა აიღო პრუსია და, ხელთ იგდო ნიკეაც, რადგანაც მითრიდატეს გარნიზონი გაიქცა. ლუკულუსმა აქეის სრუტესთან ხელთ იგდო მტრის ცამეტი ხომალდი. ვარიუსს, ალექსანდრესა და დიონისეს მისწვდა ლემნოსთან უდაბურ სანაპიროზე: იგი მათ წინააღმდეგ დაიძრა დიდი ხმაურითა და საფრთხილო ზომების მიუღებლად, მაგრამ რადგანაც ისინი მშვიდად იდგნენ ერთ ადგილზე, იგი გაჩერდა და მიეგზავნიდა ხოლმე რა ორ-ორ ხომალდს, იწვევდა მათ, რათა ისინი ზღვაში გასულიყვნენ. რადგან ისინი არ იძვროდნენ, არამედ თავს იცავდნენ ხმელეთიდან, მან შემოუარა კუნძულს სხვა ხომალდებით და გადახსნა რამასზე ფეხოსანი ჯარი, მტრები აიძულა ხომალდებისთვის მიეშურებიათ. მაგრამ ისინი ზღვაში მაინც არ გავიდნენ, ეშინოდათ რა ლუკულუსის ჯარისა, არამედ დასცურავდნენ ხმელეთის მახლობლად; და ამიტომ, მოექცნენ რა ორივე მხრით მტრებს შორის, ბევრი მათგანი დაიჭრა, ბევრი დაიხოცა ან გაიქცა. გამოქვაბულში შეიპყრეს ვარიუსი, ალექსანდრე და საპურისი დიონისე. მათგან დიონისე, რომელმაც, როგორც ფიქრობენ, შხამი დალია, მაშინათვე მოკვდა; ვარიუსის მოკვლა ბრძანა ლუკულუსმა: ის ფიქრობდა, რომ რომაელსა და სენატორს არ შეშვენის ტრიუმფში სვლაო. ალექსანდრე კი მან შეინახა საზეიმო პროცესიისათვის. ყველაფერ ამის შესახებ ლუკულუსმა მოხსენება გაგზავნა რომში, შემოახვია რა მიმართვას დაფნის ტოტი, როგორც ეს მიღებულია გამარჯვების დროს, და თვითონ კი ბითინიისაკენ გაეშურა.

78. მითრიდატე რომ პონტოსაკენ მიცურავდა, მას საშინელმა ქარბუქმა მოუსწრო; მისგან მას დაეღუპა ათიათასამდე კაცი და სამოცამდე ხომალდი; დანარჩენები გაიფანტნენ იქ, ვინც საით გადაისროლა ქარიშხალმა. თვითონ მეფე, იმის გამო, რომ იქ მეფის ხომალდი ქარიშხალმა დაანგრია, მეგობრების რჩევის წინააღმდეგ, გადაჯდა ზღვის პირატების მსუბუქ გემზე; მათ იგი უვნებლივ მიიყვანეს სინოპში, იქიდან კი იგი ბუქსირით გაემგზავრა ამისში და გაუგზავნა ელჩები თავის სიძეს ტიგრანს, არმენიის მეფეს, და თავის შვილს მახარეს, ბოსფორის გამგებელს, მოუწოდებდა რა ერთსაცა და მეორესაც აღმოეჩინათ მისთვის დახმარება. ხოლო მათ მეზობელ სკვითებთან კი დიოკლს უბრძანა წაეღო ოქრო და მრავალი ძღვენი. ხოლო დიოკლი ამ ძღვენითა და ოქროთი ერთად გადავიდა ლუკულუსის მხარეზე. ლუკულუსი თავისი გამარჯვების გამო გაბედულად მიიწევდა წინ, იპყრობდა ყველაფერს, რაც გზაში ხვდებოდა და ძარცვავდა მთელ მხარეს. რადგანაც ეს ოლქი საერთოდ

მდიდარი იყო და დიდიხანია ომიც არ განეცადა, ამიტომ მაშინათვე დაიწყეს მონების გაყიდვა 4 დრახმად, ხარისა — ერთად, პროპორციული იყო თხის, ცხვრის, ტანისამოსისა და სხვა ყველაფრის ფასი. ლუკულუსმა ალყა შემოარტყა და იერიში მიიტანა ამისასა და ევპატორიაზე, რომელიც მითრიდატემ ამისის მახლობლად ააგო და უწოდა თავისი სახელი ევპატორია და თავის რეზიდენციად თვლიდა, — მეორე ჯარით კი შეშოალყა თემისკირა, რომელმაც თავისი სახელი მიიღო ერთ-ერთ ამაზონელ ქალთაგან და მდებარეობს მდინარე თერმოდონტზე. იმათ, ვინც თემისკირს უტევდნენ, ააგეს დიდი კოშკები, გააკეთეს დიდი თხრილები და ამოთხარეს შიწისქვეშ ისეთი ღრმა სასვლელები, რომ მათში მიწის ქვეშ ერთიმეორეს ხელჩართულ ბრძოლას უმართავდნენ დიდი რაზმები. ხოლო თემისკირის მცხოვრებლებმა ამ სასვლელების ზემოთ ამოთხარეს საჭვრეტელი ორმოები და იქიდან უშვებდნენ იქ მომუშავეთა წინააღმდეგ დათვებსა და სხვა გარეულ მხეცებს, აგრეთვე ფუტკრის ჯოლს. ისინი კი, ვინც ამისს უტევდნენ, სხვაგვარ უბედურებას განიცდიდნენ. რადგანაც ამისელები გაშმაგებით იცავდნენ თავს, ხშირად გამორბოდნენ კედლებ გარეთ და იწვევდნენ ბრძოლაში. მითრიდატე უგზავნიდა მათ ბლომად სურსათს, იარაღსა და ჯარს კაბირების ოლქიდან, სადაც ის თვითონ ატარებდა ზამთარს და კრებდა ახალ ჯარს. და მასთან თავი მოიყარა 40.000 ქვეითმა და 4000 ცხენოსანმა.

79. გაზაფხულის დამდეგისთანავე ლუკულუსი მთებით დაიძრა მითრიდატეს წინააღმდეგ. მითრიდატეს დაყენებული ჰყავდა მოწინავე რაზმები, რათა დაებრკოლებიათ ლუკულუსი, და მაშინათვე ცეცხლის ანთებით ეცნობებიათ მისთვის, თუ რამე მოხდებოდა. ამ სადარაჯო რაზმის უფროსად მითრიდატეს ჰყავდა სამეფო გვარის კაცი, სახელად ფენიქსი. როდესაც ლუკულუსი ახლოვდებოდა, მართალია, მან აცნობა მითრიდატეს ცეცხლით ნიშნის მიცემით, მაგრამ თვითონ მთელი თავისი ძალებით ლუკულუსის მხარეზე გადავიდა. ლუკულუსმა უშიშრად გაიარა მთები და ჩავიდა კაბირში. როდესაც მას იქ ცხენოსანი ბრძოლა მოუხდა მითრიდატთან, იგი დამარცხდა და ისევ მთებში წავიდა. ხოლო მისი ცხენოსანი ჯარის უფროსი პომპონიუსი დაიჭრა და მითრიდატესთან მიიყვანეს. მეფის კითხვაზე: „რით შეგვძლია სამაგიერო გადამიხადო, სიცოცხლე რომ შეგინარჩუნოო“, მან უპასუხა: „შენ რომ ლუკულუსის მეგობარი იყო, ძალიან ბევრი რამით; ხოლო, თუ შენ ლუკულუსის მტრად დარჩებოდი, არც კი გირჩევდი რამესო“. ასე უპასუხა პომპონიუსმა. როდესაც ბარბაროსები მის მოკვლას მოითხოვდნენ, მეფემ უპასუხა, რომ ის არ იხმარს ძალადობას გაჭირვებაში ჩავარდნილი მამაცის მიმართ. არა ერთხელ გამოიყვანა მან თავისი ჯარი, მაგრამ, რადგანაც ლუკულუსი ბრძოლაში არ გამოდიოდა, მან გადაიარა უღელტეხილი და ცდილობდა თავს დასხმოდა ლუკულუსს. ამ დროს ვინმე ტომით სკვითი, სახელად ოლკაბა, დიდი ხანია ლუკულუსის მხარეზე გადასული, რო-

მელმაც ამ ცხენოსანთა ბრძოლის დროს ბევრნი გადაარჩინა და ამისთვის ლუკულუსის მიერ დაჯილდოებული იყო იმით, რომ სარდლის სუფრაზე იღებდა მონაწილეობას, გამოსთქვამდა თავის მოსაზრებასა და საიდუმლო თათბირებში მონაწილეობდა, — აი, ეს ოლაბა მიეიდა ლუკულუსის კარავთან, როდესაც იგი შუადღისას ისვენებდა, და მოითხოვა შეეშვათ იგი მასთან. ქამარზე მას, როგორც ყოველთვის, ჩვეულებრივი მოკლე ხანაჯლი ეკიდა. რადგანაც იგი არ შეუშვეს, განრისხდა და თქვა, რომ უაღრესად მნიშვნელოვანი საქმე აიძულებს მას გააღვიძოს სარდალი; მაგრამ ლუკულუსის მსახურთ უპასუხეს, რომ ლუკულუსისთვის ახლა ყველაზე მნიშვნელოვანია ჯანმრთელად ყოფნაო; მაშინ იგი უმალ მოახტა ცხენს და გაჰქუსლა მითრიდატესაკენ იმიტომ, რომ იგი ლუკულუსზე თავდასხმას აპირებდა და დაეჭვდა, რომ მას გაუგეს და უსდობლობით ეპყრობიან, თუ მიიჩნია, რომ მას უხეშად მოეპყრნენ და განრისხებულმა მოიმოქმედა ეს, — არავინ იცის. მითრიდატეს მან აცნობა სხვა სკვითის, სახელად სობადაკის შესახებ. რომ იგი ლუკულუსის მხარეზე აპირებდა გადასვლას. სობადაკი შეიპყრეს.

80. ხოლო ლუკულუსმა, რომელიც ერიდებოდა მთებიდან ველზე გამოსვლას, ვიდრე მტრის ცხენოსანი სჭარბობდა, იპოვნა გამოქვაბულში ერთი მონადირე; ამ მონადირის დახმარებით, რომელმაც იცოდა იქაური ბილიკები და რომელიც უჩვენებდა გზას, ლუკულუსმა გაუვალი გზებით თავზე გადაუარა მითრიდატეს და ძირს დაეშვა, გაურბოდა რა აქაც ველს ცხენოსნის გამო და დაიბანაკა ერთი ხევის პირად, რომელშიაც ნაკადული დიოდა და ერთგვარ საფარს წარმოადგენდა. გრძნობდა რა სურსათის ნაკლებობას, მან პურისთვის გაგზავნა ხალხი კაპადოკიაში. მტერთან კი განუწყვეტელი კენწლაობა ჰქონდა, მაგრამ როდესაც მეფის რაზმებიდან რამდენიმე გაიქცა, მითრიდატე გამოვიდა თავისი გამაგრებული ბანაკიდან, საყვედურებით აიძულა ისინი უკანვე დაბრუნებულიყვნენ და რომაელებს ისეთი შიშის ზარი დასცა, რომ ისინი ზევით. ბორცვებში გაიქცნენ, ველარ გრძნობდნენ რა, რომ მტრები შორს დარჩნენ ძირს, არამედ თვითეული ფიქრობდა რომ ის, ვინც მასთან ერთად გარბოდა, ან უკან მისდევდა, მტერი იყო, ასე ძალიან იყვნენ ისინი შეშინებული. ხოლო მითრიდატემ დაგზავნა ყოველი მხრით წერილობითი ცნობები ამ გამარჯვების შესახებ. თავისი ცხენოსანი ჯარის უდიდესი და ამასთანავე საუკეთესო ნაწილი მან ბრძანა ჩაესაფრებიათ იმათ წინააღმდეგ, ვისაც ლუკულუსისთვის კაპადოკიიდან სანოვაგე მიჰქონდა, იმედოვნებდა რა, რომ უსურსათოდ დარჩენილი ლუკულუსი იმასვე განიცდიდა, რაც თვითონ განიცადა კიზიკთან.

81. კარგი გეგმა იყო — აღკვეთა ლუკულუსისათვის სურსათ-სანოვაგის მიწოდება, რომელსაც მას კაპადოკიიდან უგზავნიდნენ. მაგრამ მეფის ცხენოსნებმა, რომლებიც შეხვდნენ იმათ ავანგარდს, ვისაც სურსათი მოჰქონდა, არ დაიცადეს, რომ ისინი ფართო ველზე გამოსულიყ-

ვნენ და ამით, როგორც ეს ბუნებრივი იყო ვიწრობში, ცხენები თავისთვის უსარგებლო გახადეს. ამასობაში რომაელებმა მოახერხეს სამგზავრო მწკრივიდან საბრძოლო წესზე გადაჯგუფებულიყვნენ და მეფის მეომართაგან ზოგნი დახოცეს, რადგან ქვეითებს ხელს უწყობდა ბილიკის სივიწროვე. ზოგნი მთებში შერეკეს, ზოგნი კი გაფანტეს, და გააქციეს. მხოლოდ მცირე მათგანმა მიირბინა ღამით ბანაკში და ამტკიცებდნენ, რომ ბარტო ისინი გადარჩნენ ცოცხლები: მათ გაავრცელეს გადაჭარბებული წარმოდგენა ამ დამარცხებაზე, თუმცა იგი არც პატარა იყო. მითრიდატემ ეს ამბავი ლუკულუსზე ადრე შეიტყო და იფიქრა რა, რომ ცხენოსანთა ასეთი დამარცხების გამო ლუკულუსი მაშინათვე თავს დაესხმოდა მას, შეეშინდა და განიზრახა გაქცევა. მაშინათვე უთხრა მან ეს მასთან კარავში მყოფ თავის მეგობრებს და მათ, ვიდრე რამე ბრძანება იქნებოდა გაცემული, ღამით საჩქაროდ იწყეს თავიანთი ბარგის გაგზავნა ბანაკიდან. ჰიშკართან თავი მოიყარა აუარებელმა საკიდვარმა საქონელმა; ჯარმა დაინახა ეს და გაიგო ვინა ჰგზავნიდა ბარგს; ჯარის კაცებმა იფიქრეს, რომ რაღაც უფრო მეტი უბედურება იყო მომხდარი და განრისხებულნი და შეშინებულნი, რომ მათ არავინ რას ეუბნება, ეცნენ ბანაკის სიმაგრეებს, დაანგრიეს ისინი და დაიწყეს ველზე აქეთ-იქით სირბილი უწესრიგოდ, ვისაც საით შეეძლო, სარდლის ან უშუალო უფროსის ყოველგვარი განკარგულების გარეშე. მითრიდატემ დაინახა რა, რომ სწრაფად და უწესრიგოდ გარბოდნენ, გამოვარდა თავისი კარავიდან და ცდილობდა რაღაც ეთქვა მათთვის, მაგრამ მას უკვე აღარავინ უსმენდა; იგი წაიქცა ბრბოს მიერ წალეკილი. მაშინ მოახტა იგი ცხენს და მცირე რიცხოვან თანმხლებლებითურთ მთებისკენ გაიქცა.

82. ლუკულუსმა რომ სურსათის მშვიდობით მოტანისა და მომხდარი ბრძოლის ამბავი გაიგო, აგრეთვე დაინახა, რომ მტერი გარბოდა და გაგზავნა თავისი ცხენოსნების უმეტესი ნაწილი გაქცეულთა სადევნელად, ხოლო ბანაკში დარჩენილებს ქვეითი ჯარით შემოარტყა ალყა და ბრძანა იმხელად თავი შეეკავებინათ ძარცვისაგან და მხოლოდ ეხოცათ დაუნდობლად. მაგრამ, როდესაც რომაელმა ჯარისკაცებმა დაინახეს აუარებელი ოქრო-ვერცხლის ჭურჭელი და ტანისამოსი, მათ დაავიწყდათ ეს ბრძანება. თვით იმათაც კი, რომლებსაც მითრიდატე უნდა შეეპყროთ, იხილეს რა ტვირთიდან ჩამოფანტული ოქრო, მიესივნენ მას და ამით საშუალება მისცეს მითრიდატეს გაქცეულიყო კომანაში, იქიდან კი ორი ათასი მხედრითურთ იგი გაიქცა ტიგრანთან. თუმცა ტიგრანმა იგი თავისთან არ მიუშვა, მაგრამ ბრძანება გასცა მთელ თავის სამფლობელოში მოპყრობოდნენ მეფისთვის შესაფერისი პატივით. მაშინ მითრიდატემ, რომელსაც სრულიად დაეკარგა თავისი სამეფოს შენარჩუნების იმედი, თავის სასახლეში გაგზავნა საუკეთესო ბაკხი, რათა დაეხოცა მისი დები, ცოლები და ხასები, რა გზითაც კი ამას მოახერხებდა. და მართლაც ისინი დაიხოცნენ მახვილით, შხამითა და მარყუჟით. ამის მნა-

ველმა მითრიდატეს გარნიზონების უფროსებმა მასიურად იწყეს ლუკულუსის მხარეზე გადასვლა, ზოგიერეთბის გამონაკლისით. ლუკულუსმა ისინი ერთი მეორეზე დაიმორჩილა, შემდეგ კი, მისცურავდა რა ფლოტით, იღებდა პონტოსპირა ქალაქებს: ამასტრიდას, ჰერაკლეიასა და სხვებს.

83. სინოპი ჯერ ისევ მედგრად იდგა ლუკულუსის წინააღმდეგ და მისი მცხოვრებნი განაგრძობდნენ მასთან მარჯვე ბრძოლას ზღვაზე. ხოლო, როდესაც მან ქალაქს ალყა შემოარტყა, მათ თავიანთი უფრო მძიმე ხომალდები დასწვეს, ჩასხდნენ უფრო სწრაფმავალ ხომალდებში და გაიქცნენ. მაგრამ ლუკულუსმა ქალაქს მაშინათვე მისცა თავისუფლება შემდეგი სიზმრის გამო. მოუთხრობენ, რომ ავტოლიკი, რომელმაც ჰერაკლესთან ერთად ამაზონების წინააღმდეგ ილაშქრა, ქარიშხალმა სინოპში მიიყვანა და დაეუფლა იგი ამ ქალაქს; სინოპელებს ჰქონდათ მისი ქანდაკება, რომელსაც დიდად სცემდნენ პატივს, მათ გაქცევის დროს მისი თან წაღება ვერ მოასწრეს, მაგრამ დაფარეს იგი სელის საბურავებითა და იალქნებით. ლუკულუსმა ამაზე არაფერი იცოდა და არც რამეს ფიქრობდა; და, აი, დაესიზმრა, რომ იგი ხედავს ავტოლიკს, რომელმაც მოუწოდა მას. როდესაც მეორე დღეს ეს ქანდაკება გამოხვეული მოუტანეს ლუკულუსს, მან ბრძანა მისი გაშიშვლება და დაინახა სწორედ იმისთანა, როგორიც მან სიზმარში ეგონა ნახა. ასეთი იყო ეს სიზმარი. სინოპის შემდეგ ლუკულუსმა დაასახლა აგრეთვე ამისიც, რომლის მცხოვრებლებიც აგრეთვე ლტოლვილ იყვნენ ზღვით, მან გაიგო, რომ ქალაქი ათენელების კოლონია იყო, როდესაც ისინი ზღვაზე ბატონობდნენ და რომ მას დიდხანს ჰქონდა დემოკრატიული წყობილება, შემდეგ კი სპარსელთა მეფეების ძალაუფლების ქვეშ მოექცა; მიიღო რა შემდეგში ალექსანდრეს ბრძანების თანახმად დემოკრატიული მმართველობა, იგი კვლავ დაპყრობილ იქნა პონტოელ მეფეთა მიერ. ლუკულუსმა, რომელიც ყველა ამის გამო თანაუგრძნობდა ამას და თანაც ეჯიბრებოდა ალექსანდრეს ათენელთა ტომის ხალხისადმი კეთილმოწყალე დამოკიდებულებაში, ქალაქს ავტონომია უბოძა და მცხოვრებლები სასწრაფოდ უკანვე გამოიწვია.

ასე ააოხრა და ისევ ხელახლა დაასახლა ლუკულუსმა სინოპი და ამისი: ხოლო მითრიდატეს ვაჟთან მახარესთან, რომელიც ბოსფორში მეფობდა და ლუკულუსს ოქროს გვირგვინი გამოუგზავნა, მან მეგობრობა დაამყარა; ტიგრანისგან კი იგი მოითხოვდა მითრიდატეს გაცემას. შემდეგ თვითონ იგი დაბრუნდა პროვინცია-აზიაში, რომელსაც ჯერ გადახდილი არა ჰქონდა სულას მიერ დაკისრებული თანხა, და დაწესა გადასახადი ერთი მეოთხედი მიწის მოსავლიდან, აგრეთვე გადასახადი მონებსა და სახლებზე — და მან შესწირა გამარჯვების მსხვერპლი, თითქოს მას ომი მთლად დაესრულებიოს.

84. ამ მსხვერპლშეწირვათა შემდეგ იგი გაემართა ტიგრანის წინააღმდეგ ორი ლეგიონითა და ხუთასი ცხენოსნით, რადგან მან არ გასცა მითრიდატე. გადალახა რა ევფრატი, იგი მიიწვევდა წინ და ბარბაროსთაგან მოითხოვდა მხოლოდ აუცილებელი საჭიროების საგანთა მიწოდებას: ეს ხალხი მას არ ეომებოდა და არც სურდათ რამე ეტვირთათ, ვიდრე ლუკულუსი და ტიგრანი არ გადაწყვეტდნენ თავიანთ დავას. ტიგრანისთვის არავის უცნობებია ლუკულუსის შემოსევა, ხოლო ვინც პირველად ეს ამბავი შეატყობინა, მან იგი ჩამოახრჩო, რადგანაც მან მიიჩნია, რომ ამ კაცს სურდა მის ქალაქებში მღელვარება გამოეწვია. როდესაც ბოლოს მან ეს შეიტყო, გაგზავნა მიტრობარზანი ორი ათასი ცხენოსნით, რათა შეეჩერებინა ლუკულუსის წინსვლა. მან დაიკავა მანკეის ტიგრანოკერტის დაცვა — ეს ქალაქი, როგორც მე წინათ აღვნიშნე, მეფემ აშენა ამ ადგილას თავის სახელზე; აქ შემოკრიბა მან თავისი სახელმწიფოს უწარჩინებულესი პირები, ემუქრებოდა რა მათ, რომ ყველაფერი, რასაც თან არ მოიტანდნენ, ჩამოერთმეოდათ. მან შემოავლო ქალაქს კედელი, რომლის სიმაღლეც 50 წყრთას უდრიდა, ხოლო მის სისქეში მოთავსებული იყო ცხენებისთვის მრავალი თავლა; ქალაქის მიდამოებში მან აღმართა სასახლე, შემკული ბაღებით, სანადირო ადგილებითა და ტბებით. გვერდით ააშენა ძლიერი სიმაგრე. ყველაფერი ეს ჩააბარა მანკეის და თვითონ კი გაემგზავრა ჯარის შესაკრებად თავისი ქვეყნის მახლობელ ოლქებში. პირველივე შეტაკებისთანავე ლუკულუსმა აიძულა მიტრობარზანი გაქცეულიყო და გამოედევნა მას, ხოლო სექსტილიუსმა იერიში მიიტანა ტიგრანოკერტში მანკეიზე, მაშინათვე გაძარცვა სასახლე, რადგანაც იგი გამაგრებული არ იყო, ქალაქს კი მისი გარნიზონითურთ მან თხრილი შემოავლო, მიუყენა მანჭანები და ძირის გამოთხრით შეარყია კედლები. აი, რას აკეთებდა სექსტილიუსი.

85. ტიგრანმა შეაგროვა 250.000 ქვეითი და 50.000-მდე ცხენოსანი და მათგან 6000 ტიგრანოკერტში გაგზავნა; მათ გაარღვიეს რომაელთა სიმაგრე და გარნიზონს შეუერთდნენ, წამოიყვანეს მეფის ცოლები და უკანვე დაბრუნდნენ. დანარჩენი ჯარით თვითონ ტიგრანი დაიძრა ლუკულუსისაკენ. მითრიდატე, რომელიც მას მაშინ შეხვდა პირველად, ურჩევდა არ ჩაბმულიყო რომაელებთან ბრძოლაში, არამედ ალყა შემოერტყა ცხენოსანი ჯარით, გაენადგურებია ირგვლივ ყველაფერი, მათთვის თავს დაეტეხა შიმშილი იმავე ხერხით, როგორც მან თვითონ კიზიკთან, ლუკულუსის მიერ გასაჭირში ჩაყენებულმა და დაუძლურებულმა, უომრად დაკარგა ყველაფერი. ტიგრანმა სიცილი დააყარა მის ასეთს სამხედრო გეგმას და გასწია წინ შებრძოლების მოლოდინში. დაინახა რა რომაელები, რა ცოტა იყვნენ, მან თქვა: „თუ ელჩები არიან — ძალიან ბევრია, ხოლო თუ მტრები არიან, — მეტისმეტად ცოტაა". ლუკულუსმა ტიგრანის ჯარის უკან შენიშნა ერთი მოხერხებული ბორცვი და უბრძანა ცხენოსნებს იერიში მიეტანათ ტიგრანზე ფრონტიდან, მიეზი-

დათ თავისკენ მტერი და წინააღმდეგობის გაუწევლად უკან დაეხიათ, რაითა ბარბაროსთა რიგები დევნის დროს დაშლილიყო; ხოლო თვითონ ქვეითი ჯარითურთ შემოვლილი გზებით გაემართა იმ ბორცვისაკენ, და როდესაც დაინახა მტრები, რომლებიც დიდ მანძილზე იყვნენ გაშლილი რომაელთა დევნაში და რომლებიც თავს უკვე გამარჯვებულად თვლიდნენ, ხოლო მათი მთელი ბარგის მზიდავი საქონელი კი მის ფერხთ ქვეშ იყო, — ლუკულუსმა წამოიძახა: „ჩვენია გამარჯვება, ჩემო მამაცო მეომრებო“-ო და თვითონ პირველი გაექანა ბარგის მზიდავი საქონლისაკენ. პირუტყვები მაშინათვე უწესრიგოდ გაიფანტნენ აქეთ-იქით და მიაწყდნენ ფეხოსან ჯარს. ეს უკანასკნელი კი ცხენოსანს. გაჭცევა მალე საყოველთაო შეიქნა: ისინი, ვინც დევნით გატაცებული შორ მანძილზე იყვნენ წასული, დახოცეს რომაელებმა. იბრუნეს რა ზურგი; სხვათა რიგებში შეიჭრნენ დამფრთხალი პირუტყვები; როგორც ჩვეულებრივ ხდება ხოლმე ასეთი სიმრავლის დროს, ყველანი ერთმანეთში აირიენენ, ხოლო, რადგანაც არ იცოდნენ საიდან რა უბედურება დაატყდათ, ამიტომ მოხდა საშინელი ხოცვა-ჟლეტა, რადგან არავის არაფერი მიჰქონდა თან: დიდი მუქარით ლუკულუსმა მათ ეს აუკრძალა, ისე რომ 120 სტადიუმის მანძილზე ისინი ფეხს უქცევდნენ სამაჯურებსა და ყელსაბამებს, მხოლოდ ხოცავდნენ, ვიდრე არ დაღამდა. მხოლოდ მაშინ იბრუნეს პირი და დაუწყეს დახოცილებს ძარცვა: ეხლა ლუკულუსმა მათ ამისი ნება მისცა.

86. დაინახა რა ტიგრანოკერტის კედლებიდან ეს დამარცხება მანკეიმ, განაიარაღა ყველა ის ბერძნები, რომლებიც მას ჰყავდა დაქირავებული. რადგანაც ეშვი ჰქონდა, რომ უღალატებდნენ, ხოლო ისინი, დაპატიმრების მოლოდინით შეშინებულნი, ყველანი ერთად დადიოდნენ ხელში ჯოხებით და ღამესაც ერთადვე ატარებდნენ. და როდესაც მანკეიმ მათ წინააღმდეგ შეიარაღებული ბარბაროსები გაგზავნა, მათ მარცხენა მკლავზე დაიხვიეს ტანისამოსი ფარის მაგივრად და გაბედულად დაესხნენ თავს ბარბაროსებს; დახოცილთა იარაღი ურთიერთშორის გაინაწილეს. როდესაც მათ შეძლებისდაგვარად იარაღი საკმარისად მოაგროვეს, ხელთ იგდეს კედლის ნაწილი ორ კოშკს შუა და დაუწყეს ძახილი კედლებგარეთ მყოფ რომაელებს და აჰყავდათ ისინი კედელზე.

ასე იქნა აღებული ტიგრანოკერტი და გაძარცული იქნა მრავალი სიმდიდრე, რადგანაც ქალაქი ახლად და დიდი ბრწყინვალებით იყო გაშენებული.

87. ამასობაში ტიგრანი და მითრიდატე უვლიდნენ ოლქებს და აგროვებდნენ ახალ ლაშქარს, რომლის მეთაურობაც მითრიდატეს ჰქონდა დავალებული, რადგანაც ტიგრანი ფიქრობდა, რომ მის მიერ განცდილი უბედურება კმაროდა მისთვის ჰკუის სასწავლებლად. მათ პართელთა მეფესთანაც გაგზავნეს ხალხი და მოუწოდებდნენ თავიანთკენ დასახმა-

რებლად. რადგანაც ლუკულუსმა გაგზავნა მასთან ელჩები და წინადადებას აძლევდა ან კავშირით შეკვროდა მას, ანდა არ ჩარეულიყო მათს ურთიერთშორის ბრძოლაში. ამიტომ პართიის მეფემ საიდუმლოდ შეკრა კავშირი ერთთანაცა და მეორესთანაც და არ ჩქარობდა მიშველებოდა ან ერთსა და ან მეორეს. ამ დროს მითრიდატე ამზადებდა იარაღს ყოველ ქალაქში და იარაღქვეშ დააყენა თითქმის ყველა სომეხი. გამოარჩია რა მათგან საუკეთესონი — 70.000-მდე ქვეითი და ამის ნახევარი ცხენოსანი, მან დანარჩენები დაითხოვა, ესენი კი გაანაწილა რაზმებად და კოპორტებად თითქმის ისევე, როგორც იტალიური ლაშქარი, და გადასცა ისინი გასაწვრთნელად პონტოელ მასწავლებლებს. როდესაც ლუკულუსი მიუახლოვდა, მითრიდატემ მთელი ქვეითი ჯარი და ცხენოსანთა უმეტესი ნაწილი დააყენა ბორკვზე; დანარჩენი ცხენოსნებით კი ტიგრანი თავს დაესხა რომაელებს, რომლებიც სანოვაგის შეგროვებით იყვნენ გართული, მაგრამ მათ მიერ დამარცხებულ იქნა. ამის გამო რომაელებმა უფრო უშიშრად იწყეს სურსათის შეგროვება თვით მითრიდატეს ბანაკის მახლობლად და იქვე დაიბანაკეს. ანაზდეულად კვლავ მტერის ღრუბელი წამოვიდა, რადგან ახლოვდებოდა ტიგრანი. მათი გეგმა ისეთი იყო, რათა ლუკულუსი მათ ორივეს შორის მომწყვდეულიყო. შენიშნა რა ეს ლუკულუსმა, თავისი ცხენოსნის საუკეთესო ნაწილი გაგზავნა, რათა რაც შეიძლება შორს შებრძოლებოდნენ ტიგრანს და ხელი შეეშალათ მისთვის დაეწყო ჯარი საბრძოლო წესზე, ხოლო თვითონ, იწვევდა რა მითრიდატეს ბრძოლაში, შემოავლო ბანაკს თხრილი; ამასობაში ზამთარმა აიძულა ისინი შეეწყვიტათ საომარი მოქმედება.

68. და, აი, ტიგრანი შუა არმენიისკენ წავიდა, მითრიდატე კი პონტოსკენ გაეშურა, სადაც მისი სამეფოს ნაშთები იყო, ჰყავდა რა მას თავისი ჯარი 4000 და ამდენიც ტიგრანს გამოართვა. მის ფეხდაფეხ დაიძრა აგრეთვე ლუკულუსიც; ესეც იძულებული გახდა აქედან წასულიყო სურსათის ნაკლოვანების გამო. დაასწრო რა მას, მითრიდატე თავს დაესხა ფაბიუსს, რომელიც ლუკულუსის მიერ აქ მთავარსარდლად იყო დატოვებული და გააქცია იგი, დახოცა 500 კაცი. ფაბიუსმა გაათავისუფლა მის ბანაკში მყოფი ყველა მონა და მთელი დღის განმავლობაში კვლავ იბრძოდა მითრიდატესთან; ბრძოლა ცვალებადი წარმატებით მიმდინარეობდა, ვიდრე მითრიდატე სასწრაფოდ არ გაიყვანეს ბრძოლის ველიდან, რომელსაც ქვა ჰქონდა კოკში მოხვედრილი და ისარი თვალში შერჭობული. ამის შემდეგ დიდი ხნის განმავლობაში ორივე მხარე წყნარად იყო: ერთი — მეფის ჯანმრთელობის მდგომარეობით შეშინებული, მეორე — დაჭრილთა სიმრავლის გამო. მითრიდატეს უვლიდნენ აგარები — სკვითების ტომია — რომლებიც სამკურნალოდ იყენებენ გველის შხამს, და ამიტომ მეფეს მუდამ თან ახლავან; ფაბიუსთან კი მოვიდა ტრიარიუსი, ლუკულუსის მეორე სარდალი, მთელი თავისი ლაშქრით და მიიღო ფაბიუსისგან ხელისუფლებაცა და წოდებაც. რამდენიმე

დღის შემდეგ, როდესაც ტრიარიუსი და მითრიდატე აპირებდნენ ერთიმეორესთან ბრძოლის დაწყებას, ისეთი ქარიშხალი ამოვარდა, როგორიც არავის ახსოვს, დაუგლიჯა როგორც ერთს, ისე მეორეს კარვები, გაიტაცა ბარგი და მზიდავი საქონელი და ადამიანთაგანაც ზოგნი ზღაში ჩაყარა, მაშინ მათ ერთიმეორეს თავი დაანებეს.

89. მაგრამ ლუკულუსის მოახლოვება რომ შეიტყო ტრიარიუსმა, რომელსაც სურდა მის მოსვლამდე დაესრულებინა საქმე, ღამითვე წაიწია წინ მითრიდატეს მოწინავე საგუშაგო რაზმებისაკენ. ბრძოლის ბედი დიდხანს მერყეობდა; მაშინ მეფემ ძლიერი შეტევით თავის უბანზე ბრძოლა გადაწყვიტა და, გაფანტა რა მტერი, მისი ქვეითი ჯარი შეამწყვდია ჭაობიან ადგილში, სადაც ყველანი დაიღუპნენ, რადგანაც ფეხის მოსაკიდებელი ადგილი არა ჰქონდათ. ხოლო ცხენოსან ჯარს გაედევნა ველზე და ენერგიულად ცდილობდა ესარგებლა ბედის საკეთილოდ შემობრუნებით, ვიდრე რომელიღაც რომაელმა ცენტურიონმა, რომელიც მის გვერდით მირბოდა როგორც მონა, ღრმა ჭრილობა არ მიაყენა მას ხახვილით ბარძაყში. მითრიდატეს მახლობელებმა მაშინათვე მოკლეს იგი, მითრიდატე კი ზურგში გაიყვანეს და მისმა მეგობრებმა ჯარი სასწრაფოდ უკან გამოიწვიეს, მიუხედავად ასეთი ბრწყინვალე გამარჯვებისა. მეომართა შორის შეიქმნა დაბნეულობა და გაუგებრობა ასეთი უაზრო უკან გაწვევის გამო, წამოიკრა შიში მეორე მხარეზე უფრო უარესი რამე ხომ არ მოხდაო; გაიგეს რა ბოლოს, რაც მოხდა, ჯარისკაცები შემოეხვივნენ მითრიდატეს ველზე და ხმაურობდნენ, ვიდრე მკურნალმა ტიმოთემ სისხლი არ შეუწყვიტა და იგი მაღლობიდან ჯარს არ დაანახვა. როგორც კი მითრიდატე ფეხზე დადგა, მაშინათვე დაუწყო ყვედრება იმათ, ვინც ჯარი ბრძოლის ველიდან უკან გამოიწვია და იმავე დღეს წაიყვანა ჯარი რომაელთა ბანაკზე. მაგრამ შეშინებულმა რომაელებმა უკვე მოასწრეს უკან გაქცევა. როდესაც გადახილეს დახოცილ რომაელთა გვამები, გამოირკვა, რომ მოკლული იყო 24 ტრიბუნი და 150 ცენტურიონი. მეთაურთა ასეთი რაოდენობა იშვიათად დაღუპვიათ რომაელებს ერთ ბრძოლაში.

90. მითრიდატე გაექანა არმენიისაკენ, რომელსაც რომაელები ახლა მცირე არმენიას უწოდებენ, და რისიც თან წაღება ადვილი იყო სურსათის სახით, მას თან მიჰქონდა, დანარჩენს კი სპობდა და ამით წინასწარ უსპობდა სურსათს ლუკულუსს, რომელიც ახლოვდებოდა. და, აი, ვინმე რომაელი სენატორი, სახელად ატიდიუსი, სამშობლოდან სასამართლოს წესით გამოძევებული, რომელიც დიდი ხანია მოსული იყო მითრიდატესთან და მისგან მეგობრად აღიარებული, შეიპყრეს, რადგანაც ბოროტი განზრახვა ჰქონდა მეფის სიცოცხლის მიმართ. მეფემ იგი დასაჯა, უსამართლოდ მიაჩნდა რა ოდესღაც რომის სენატორად ნამყოფის წამება, მასთან ერთად შეთქმულებაში გარეულნი კი მან სასტიკად აწამა. ხოლო გაათავისუფლეს, რომლებიც ატიდიუსის ამ განზრახვის თანამონა-

წილენი იყვნენ, მან გაათავისუფლა, თქვა რა, რომ ისინი თავის ბატონს ემსახურებოდნენო. როდესაც ლუკულუსი უკვე მითრიდატეს პირისპირ იყო დაბანაკებული, აზიის მმართველმა გაგზავნა ყველგან მთხრობელნი და გამოაცხადა, რომ რომაელები ჰკიცხავენ ლუკულუსს იმის გამო, რომ იგი ომს აჭიანურებს და რომ ისინი ათავისუფლებენ მის ლაშქარში მყოფ ჯარისკაცებს და რომ ვინც ამას არ დაემორჩილება, მათ ქონებას ჩამოართმევენ. როდესაც ეს გამოცხადდა, მთელი ჯარი დაიშალა, მცირეოდენის გარდა, რომლებიც ძალიან ღარიბები იყვნენ და ამიტომაც გამოცხადებული სასჯელისა არ ეშინოდათ; ესენი ლუკულუსთან დარჩნენ.

91. ამგვარად ლუკულუსის ეს ბრძოლა მითრიდატეს წინააღმდეგ არ იქნა მიყვანილი მტკიცე და გადამწყვეტ დასასრულამდე. იტალიის განდგომითა და შიმშილით შეწუხებულმა რომაელებმა, რადგანაც ზღვაზე მეკობრები თარეშობდნენ, — გადაწყვიტეს, რომ მათთვის დროული არ იყო მეორე ესოდენ მნიშვნელოვანი ომის წარმოება, ვიდრე სხვა სიძნელეებს თავს არ გაართმევდნენ. მიიღო რა ყველა ამის შესახებ ცნობა, მითრიდატე შეიჭრა კაპადოკიაში და გაამაგრა თავისი საკუთარი სამეფო. რომაელები მის ასეთ მოქმედებას ყურადღებას არ აქცევდნენ, ვიდრე ზღვას ათავისუფლებდნენ მეკობრეთაგან. მაგრამ როდესაც ზღვა უკვე გაათავისუფლეს და მისი გამათავისუფლებელი პომპეუსი ჯერ ისევ აზიაში იყო, მათ დაუყოვნებლივ მოჰკიდეს ხელი მითრიდატესთან ომს და ამ ომში მთავარსარდლად პომპეუსი დანიშნეს. რადგანაც, ჩემი აზრით, ის, რაც პომპეუსმა ზღვაზე გააკეთა, შესავალი იყო მითრიდატეს წინააღმდეგ მისი ლაშქრობისა და რადგანაც ამის შესახებ მოთხრობილი არ არის არცერთ სპეციალურ თხზულებაში, ამიტომ მე საჭიროდ მიმაჩნია შევიტანო იგი ამ ჩემი ნაშრომის ნაწილად და სწრაფად გადავავლო თვალი ამბებს, როგორც ისინი ხდებოდა.

92. როდესაც მითრიდატემ პირველად დაიწყო ომი რომაელებთან და მთელ აზიას დაეუფლა, რადგანაც სულა დააბრკოლა ელადაში სიძნელეებმა, — მან, იცოდა რა, რომ აზიას დიდხანს ვერ შეინარჩუნებდა, ყველაფერი გაანადგურა, როგორც ზევითაც ვთქვი, და ზღვაზე გაუშვა საზღვაო მეკობრენი, რომლებიც თავდაპირველად, როგორც ეს სჩვევიათ პირატებს, დაცურავდნენ წვრილ და მცირერიცხოვან სწრაფმავალ გემებით და ძარცვა-გლეჯას ეწეოდნენ; ხოლო როდესაც ომი გაჭიანურდა, ისინიც მომრავლდნენ და დაცურავდნენ უკვე მსხვილი ხომალდებით. იგემეს რა დიდი შემოსავლის სიტკბოება, ისინი ამ საქმეს ხელს აღარ უშვებდნენ მაშინაც კი, როდესაც მითრიდატე დამარცხდა, ზავი დადვა და თავის სამეფოში დაბრუნდა. ადამიანებმა, რომელთაც ომის დროს დაჰკარგეს ცხოვრების საშუალებანი, მოსწყდნენ თავის სამშობლოს და საშინელ გაჭირვებაში ჩაცვივდნენ, იწყეს საკვების ძებნა არა ხმელეთზე, არამედ ზღვაზე, ჯერ მსუბუქ სამეკობრო გემებით, შემდეგში კი დაიწყეს ცურვა უკვე ბირემებითა და ტრიერებით, ამასთანავე მათ ჰყავ-

დათ მეკობრეთა სარდლები, როგორც ნამდვილ ომში. ისინი თავს ესხმოდნენ გაუმაგრებელ ქალაქებს, სხვა ქალაქების კედლებს ან ძირს უთხრიდნენ, ან ანგრევდნენ, ან იერიშით იღებდნენ, ქალაქებსა სძარცვავდნენ, ხოლო შეძლებული ხალხი თან მიჰყავდათ ნავსადგურამდე, მათი გამოსყიდვის მოლოდინში — და ამ შემოსავალს, უკვე მეკობრის სახელწოდებით შეურაცყოფილნი, ისინი უწოდებდნენ სამხედრო ჯამაგირს. მათ ჰყავდათ ხელოსნები, ძალით რომ ამუშავებდნენ, და გამუდმებით ამზადებდნენ ხე-ტყეს, სპილენძს, რკინას და ყველაფერს ერთად აგროვებდნენ. მიღებული სარგებლიანობა მათ აღაფრთოვანებდათ; უკვე აღარ თვლიდნენ რა თავიანთ ხელობას მძარცველობად, ისინი თავიანთ თავს უთანაბრებდნენ მეფეებსა და ტირანებს, თავიანთი თავი წარმოედგინათ დიდ ბანაკად და ფიქრობდნენ რომ, თუ გაერთიანდებოდნენ, დაუძარცხებელი იქნებოდნენ; ისინი თვითონ აგებდნენ თავისთვის ხომალდებს და იარაღსაც თვითონვე აკეთებდნენ. მათი მთავარი გასაჩერებელი ადგილი ანუ ბანაკი იყო ეგრეთ წოდებული მკაცრი კილიკია; მაგრამ მათ ყველგან ჰქონდათ გამაგრებული პუნქტები და ეყუდნათ გარნიზონები, ჰქონდათ უდაბური კუნძულები და ნავსადგურები; მაგრამ ყველაზე ძნიშნელოვნად ისინი თელიდნენ იმათ, რომლებიც მოთავსებული იყო ამ ციცაბო, უნაესადგურო და მაღალმწვერვალებიან კილიკიის ირგვლივ. ამიტომ მათ საერთო სახელით უწოდებდნენ კილიკიელებს, რადგანაც ეს ცოდვა, როგორც ჩანს, პირველად წამოვიდა მკაცრი კილიკიის მცხოვრებთაგან, ხოლო შემდეგში მათ შეუერთდნენ სირიელები, კიპროსის მცხოვრებნი, პამფილიელები, პონტოს სანაპიროს მცხოვრებნი — ერთი სიტყვით, თითქმის აღმოსავლეთის ყველა ტომი. დაინახეს რა, რომ მითრიდატესთან ომმა მიიღო სერიოზული და გაჭიანურებული სახე, ამ ხალხმა ტანჯვას მოქმედება ამჯობინა და თავისი ცხოვრების წყაროდ ზღვა აირჩია.

93. ამგვარად მათგან მალე შეიქმნა მრავალი ათიათასეული და ისინი ბატონობდნენ არა მხოლოდ ზღვის აღმოსავლეთ ნაწილში, არამედ მთელ ზღვაზედაც, თვით ჰერკულესის სვეტებამდე; და ისინი უკვე იყვნენ გამარჯვებულნი საზღვაო ბრძოლაში ზოგიერთ რომაელ სარდალზე, მათ რიცხვში სიცილიის მმართველზე, თვით სიცილიის სანაპიროსთან. ყველა გზა გაუვალი გახდა და გაცვლა-გამოცვლის შეწყვეტის გამო ქვეყანა საზელოსნო ნაწარმის დიდ გაჭირვებას განიცდიდა. თვითონ რომაელები განიცდიდნენ განსაკუთრებით მრავალ უბედურებას: მათი პროვინციები მძიმე მდგომარეობაში იმყოფებოდა და თვითონ ისინიც, მათი მრავალრიცხოვანობის გამო, დიდ გაჭირვებას განიცდიდნენ. რომაელებს დიდსა და ძნელ საქმედ მიაჩნდათ მათი მოსპობა, რადგანაც ისინი მრავლად იყვნენ გაფანტული მთელს ხმელეთსა და ზღვაზე და მათთვის, როგორც მეზღვაურთათვის, ადვილი იყო ხელიდან გასხლტომა: ისინი გამოდიოდნენ არა ყველასათვის ცნობილი სამშობლო ქვეყნიდან და არ ჰქონდათ

არაფერი საკუთარი და პირადი, არამედ გააჩნდათ მხოლოდ ის, რაც იმ-ჯერად ხელში ჩაუვარდებოდათ. ამიტომაც მათთან ომი იყო უჩვეულო, რომელსაც არაფერი ჰქონდა კანონზომიერი, მტკიცე და გარკვეული; ამით იგი უმწეობისა და შიშის გრძნობის გამომწვევი იყო. მურენამ სცადა მათთან ბრძოლის დაწყება, მაგრამ არსებითი არა გაუკეთებია რა.. ვერაფერი მოახერხა ვერც სერვილიუს ისავრიელმა მურენას შემდეგ; უფრო მეტიც: გათავხედებულმა ზღვის მეკობრეებმა იწყეს გადასვლა იტალიის სანაპიროებზე, ბრუნდიზიუმისა და ეტრურიის მახლობლად; მათ შეიპყრეს გზაზე ეტლით მიმავალი რომაელთა წარჩინებული საგვა-რეულოს ქალები და ორ პრეტორს წაართვეს მათი ხარისხის ნიშნები.

94. აღარ სურდათ რა ზარალისა და სირცხვილის შეტი ატანა, რო-მაელებმა აირჩიეს მაშინ მათ შორის დიდად სახელგანთქმული გნეიუს პომპეუსი სამი წლით სრულუფლებიან სარდლად მთელ ზღვაზე ჰერკუ-ლესის სვეტებამდე და სანაპირომდე ზღვიდან 400 სტადიუმის სიღრმემ-დე. მეფეებსა და ქალაქებს მათ გაუგზავნეს ბრძანება ხელი შეეწყოთ პომპეუსისთვის, ხოლო მას მიანიჭეს უფლება შეეგროვებია ჯარი და ფული. და თავისი მხრითაც მათ გაგზავნეს მოკრებილი ჯარი ბლომად, ყველა ხომალდი, რაც კი ჰქონდათ, და მისცეს ფული 6000 ატიკურ ტა-ლანტამდე. ასეთ დიდსა და ძნელ საქმედ მიაჩნდათ მათ დაუფლებოდ-ნენ ამდენ გამაგრებულ პუნქტებს, ამოდენა ზღვაზე, ამდენ სრუტეებში, მაშინ, როდესაც მეკობრეებს შეეძლოთ ადვილად მიმალულიყვნენ, ად-ვილად გაქცეულიყვნენ და შეუმჩნეველად ისევ თავს დასხმოდნენ. პომ-პეუსამდე არასოდეს არავინ გამგზავრებულა საზღვაო ლაშქრობაში ესოდენი ძალით აღჭურვილი; მას იმჟამად ჰყავდა ჯარი 120.000 ქვეითი და 4.000 ცხენოსანი, ხომალდი 270, სენატისგან მიცემული თანაშემწენი, რომლებსაც ლეგატებს ეძახიან — 25; პომპეუსმა მთელი ზღვა გაანაწილა მათ შორის და თვითეულს მისცა ხომალდები, მხედრები და ქვეითი ჯა-რი და პრეტორის ხელისუფლების ნიშნები, რათა თვითეული მათგანი ყოფილიყო სრული მბრძანებელი მისთვის ჩაბარებული ზღვის ნაწილისა, თვითონ კი, როგორც მეფეთა მეფე, გადადიოდა ერთი ადგილიდან მეო-რეზე და თვალყურს ადევნებდა, რათა ისინი მათთვის მიჩენილ ადგილს არ მოშორებოდნენ, რათა ისინი მეკობრეთა დევნაში ერთი საქმის დაუს-რულებლად, მეორეს არ გამოჰკიდებოდნენ და რათა მას ყველგან ჰყო-ლოდა ხალხი, რომლებიც მეკობრეთა წინააღმდეგ იმოქმედებდნენ და მათ არ მისცემდნენ საშუალებას, რომ ერთიმეორესთან გადისულ-გადა-მოსულიყვნენ.

95. მოაწყო რა ეს ამგვარად, პომპეუსმა დააყენა უფროსებად იბე-რიასა და ჰერკულესის სვეტებთან ტიბერიუს ნერონი და მანლიუს ტორ-კვატუსი, ლიბურნიისა და კელტური ზღვის სანაპიროზე — მარკუს პომ-პონიუსი, ლიბიასა, სარდინიასა, კორსიკაში და მეზობელ კუნძულებზე ლენტულუს მარცელინი და პუბლიუს ატილიუსი, თვითონ იტალიისათ-

ვის — ლუციუს გელიუსი და გნეიუს ლენტულუსი. სიცილიასა და იონიის ზღვას იცავდნენ პლოციუს ვარი და ტერენციუს ვარონი აკარნანიამდე: პელოპონესსა და ატიკას, ევბეიას, თესალიას, მაკედონიასა და ბეოტიას — ლუციუს სიზენა, კუნძულებსა და მთელ ჰეგეოსის ზღვას და მის მიმდგომ ჰელესპონტის ნაწილს ლუციუს ლოლიუსი; ბითინიას, თრაკიას, პროპონდიტასა და მთელ პონტოს შესართავს — პუბლიუს პიზონი; ლიკიას, პამფილიას, კვიპროსსა და ფინიკიას — ჰეტელუს ნეპოტი. ასე გაანაწილა მან წინამძღოლნი და უბრძანა ეწარმოებიათ თავდასხმა და თავდაცვა, დაეცვათ მიჩენილი ადგილები, და მეკობრენი, რომელნიც ერთ-ამ სარდალთაგანს გაექცეოდნენ. შორს არ გაეშვათ და გამოსდევნებოდნენ, რათა არ დაეწყოთ მათ წინ და უკან ცურვა და ამით საქმე არ გაეჭიანურებიათ. თვითონ ის ერთი ადგილიდან მეორეზე გადადიოდა და ყველა მათ ათვალიერებდა. მან პირველად დაათვალიერა დასავლეთის მიმართულების ფლოტილია ორმოცი დღის განმავლობაში და დაბრუნდა რომში. აქედან კი ბრუნდიზიუმში დაბრუნდა და ბრუნდიზიუმიდან გამგზავრებულმა ამდენივე ხნის განმავლობაში შემოიარა მთელი აღმოსავლეთი, განაცვიფრა რა ყველანი ცურვის სისწრაფითა და სამზადისის სიდიადით. მისმა სახელგანთქმულობამ ისეთი შიში გამოიწვია, რომ ზღვის მეკობრენი, რომლებიც წინათ იმედეულობდნენ, რომ მას თავს დაესხმოდნენ, ანდა ყოველ შემთხვევაში დაანახვებდნენ მას, რომ მათთან ბრძოლა არც ისე ადვილი საქმე იყო, — შეშინდნენ და გაეცალნენ იმ ქალაქებს, რომლებზედაც იერიშით მიდიოდნენ, და გაიქცნენ თავიანთ ჩვეულ კლდეებისა და ყურეებისკენ. პომპეუსმა მოახერხა მაშინათვე უბრძოლველად ზღვის განთავისუფლება და მისმა ჯარის უფროსებმა ყველგან დაატყვევეს მეკობრენი.

96. იგი თვითონ გაემართა კილიკიისაკენ სხვადასხვა სახეობის ჯარით, იარაღითა და მრავალი სამხედრო მანქანით. იმის მოლოდინში, რომ მას მოუხდებოდა სხვადასხვა სახის ომის წარმოება და ალყის შემორტყმა ციცაბო კლდეებზე მდგომი მათი სიმაგრეებისთვის. მაგრამ არაფერი ეს მას არ დასჭირდა: მისმა სახელგანთქმულობამა და სამზადისმა თავზარი დასცა ზღვის მეკობრეებს: იმ იმედით, რომ, თუ უბრძოლველად დანებდებოდნენ, უფრო მეტად შეიწყალებდა იგი მათ. პირველნი დანებდნენ მას კრაგისა და ანტიკრაგის — ამ ორი ყველაზე მსხვილი გამაგრებული ადგილის მცხოვრებნი,. მათ მიჰყვნენ მთიელი კილიკიელები, და შემდეგ ერთი მეორეზე ნებდებოდნენ მას, აბარებდნენ რა მას ამასთანავე ხომალდებს, — რომელთაგან ზოგი მაშინ შენდებოდა, ზოგი უკვე ჩაშვებული იყო ზღვაში. — მთელ სპილენძსა და რკინას, ამ მიზნით მოგროვილ ხე-ტყეს, იალქნებსა და კანაფს, ტყვეების უდიდეს ნაწილს, რომლებიც ბორკილგაყრილი ჰყავდათ: ერთნი გამოსყიდვის მოლოდინში, მეორენი თავისთან მუშაობისათვის. ყველა ამ ნადავლიდან პომპეუსმა ხე-ტყე დასწვა, ხომალდები თან გაიყოლა, ტყვეები სამშობ-

ლო'ში დააბრუნა, და მრავალმა მათგანმა იქ პპოვა თავის სახელზე აღმართული კენოტაფი, როგორც უკვე გარდაცვლილთა სახელზე. ხოლო ის მეკობრენი, რომლებიც აღმოჩნდა, რომ არა ბოროტი ბუნების გამო, არამედ ომით გამოწვეული გაჭირვების გამო ჩაებნენ ამ საქმეში, მან დაასახლა მალეში, ადანსა და ეპიფანიაში, აგრეთვე ამ მკაცრი კილიკიის სხვა წვრილ ქალაქებში, რომლებიც უმოსახლეოდ იქნენ დარჩენილი, ან მოსახლეობა ძალიან შემცირდა. ზოგიერთი მათგანი კი გაგზავნა დიმში, აქაიაში.

ასე მოახერხა პომპეუსმა რამდენიმე დღის განმავლობაში მეკობრეებთან ომის დამთავრება, რომელიც ეგონათ, რომ ძალიან ხანგრძლივი იქნებოდა. მან ძალით ჩაიგდო ხელში 71 ხომალდი, მათ თვითონ ჩააბარეს — 306, ქალაქები, სიმაგრეები და სხვა ნავსადგურები კი — 120. მეკობრეთაგან კი ბრძოლებში დახოცილი და ტყვედ წაყვანილი ათიათასამდე იყო.

97. როდესაც ეს ოპერაცია დასრულდა ასე სწრაფად და სრულიად მოულოდნელად, რომაელებმა, რომლებსაც ქებით ცაში აჰყავდათ პომპეუსი, როდესაც ის ჯერ ისევ კილიკიაში იყო, ამოირჩიეს იგი მითრიდატესთან ომის სარდლად იმავე უფლებებით, რომ მას, როგორც შეუზღუდავ მეთაურს, შესძლებოდა ეომა და ზავი შეეკრა, სადაც სურდა და მიეჩნია ვინც სურდა რომაელი ხალხის მეგობრებად, თუ მტრებად. მას მისცეს უფლება თავის ნებაზე გამოეყენებია იტალიის გარეთ მყოფი მთელი ჯარი. არავის აქამდე არასოდეს არა ჰქონია ამგვარი უფლება მიცემული. შესაძლებელია, მას სწორედ ამის გამო უწოდებენ დიდს, რადგან მითრიდატესთან ომი ხომ მასზე ადრე სხვა სარდლებმაც რამდენიმეჯერ დაასრულეს.

და, აი, პომპეუსმა სასწრაფოდ შეაგროვა ჯარი აზიაში და დაიბანაკა მითრიდატეს სამეფოს საზღვრებთან. მითრიდატეს ჰყავდა რჩეული ადგილობრივი ჯარი 30.000 ქვეითი და 3.000 ცხენოსანი. ამ ჯარით მან დაიჭირა პოზიცია თავისი ქვეყნის შიგნით. რადგანაც ეს ადგილები აოხრებული იყო ლუკულუსის მიერ, ამიტომ მას უმძიმდა სანოვაგით მომარაგება. ამიტომ ბევრნი გადარბოდნენ მტრის მხარეზე. იმათ, ვისაც მითრიდატე მოასწრებდა, ახრჩობდა, თვალებსა სთხრიდა და წვავდა. ამის გამო შეშინდნენ და გადარბენის შემთხვევებმა იკლო, მაგრამ სურსათის ნაკლებობა მას სტანჯავდა.

98. ამიტომ მან გაგზავნა პომპეუსთან ელჩები, რათა გაეგო, თუ რა პირობებში შეიძლებოდა ომის დამთავრება. პომპეუსმა უთხრა: „თუ გადმოგვცემ მოღალატეებს და თვითონაც დაგვნებდებიო". გაიგო რა ასეთი მოთხოვნა, მითრიდატემ იგი აცნობა მოღალატეებს და რომ დაინახა როგორ შეშინდნენ ისინი, ფიცი მისცა მათ, რომ ის არასოდეს რომაელებთან ზავს არ დასდებს მათი სიხარბისა გამო და მათ არავის გადასცემს, არც არაფერს მოიმოქმედებს, რაც საერთოდ მათთვის სასარ-

გებლო არ იქნება. ასე თქვა მან: ხოლო პომპეუსმა ერთ ადგილას ჩააყარა ცხენოსნები, მეორე ნაწილი კი პირდაპირ გაგზავნა მეფის მოწინავე რაზმების წინააღმდეგ მათ შესაწუხებლად; მან უბრძანა მათ... გამოეწვიათ ისინი ბრძოლაში და უკან დაეხიათ, ვითომდა როგორც დამარცხებულთ... ვიდრე ჩასაფრებულებმა არ მოუსწრეს და არ აიძულეს გაქცეულიყვნენ. შეიძლება ისინი გაქცეულებთან ერთად ბანაკშიც შეჭრილიყვნენ, რომ მეფეს ამისი არ შეშინებოდა და თავისი ქვეითი ჯარი არ გამოეყვანა. მაშინ რომაელებმა უკან დაიხიეს. ასე დასრულდა პომპეუსისა და მითრიდატეს ურთიერთშებმის პირველი ცდა და ცხენოსანთა შორის შებრძოლება.

99. სურსათის ნაკლებობით შევიწროვებული მეფე იძულებული გახდა უკან დაეხია და პომპეუსს შესაძლებლობა მისცა მის სამეფოში შესულიყო, იმედი ჰქონდა რა, რომ ამ განადგურებულ მხარეში გაჩერებული პომპეუსი ისეთსავე გაჭირვებაში ჩავარდებოდა. მაგრამ პომპეუსის ზურგში მყოფი რაიონიდან იგი კარგად მარაგდებოდა; მან შემოუარა მითრიდატეს აღმოსავლეთის მხრით და გაიყვანა სიმაგრეთა ხაზი 150 სტადიუმის მანძილზე, ჩააყენა იქ გარნიზონები, მოაწყო ბანაკები, გაიყვანა თხრილი და არ აძლევდა მას საშუალებას ადვილად მიეღო სურსათ-სანოვაგე. მეფეს არ მოუხდენია პომპეუსზე თავდასხმა, ვიდრე იგი მას გზებს უჭრიდა, არ ვიცი შიშისა, თუ დაუდევრობის გამო, როგორც ეს ემართება ხოლმე ყველა იმათ, ვისაც უბედურება დაემუქრება: განიცდიდა რა იგი კვლავ სურსათის ნაკლებობას, უბრძანა დაეხოცათ ბარგის მზიდავი საქონელი, გარდა ცხენებისა; მაგრამ ამით საქმის დასასრული ძლივს მხოლოდ 50 დღით გააჭიანურა, და დაბოლოს, იგი გაიქცა იქიდან სრულიად უხმაუროდ გაუვალი გზებით. ხოლო, როდესაც პომპეუსი გათენებისასღა წამოეწია მის უკანა რაზმებს, მაშინაც, მიუხედავად მეგობრების დაჟინებითი რჩევისა შებმოდა იგი პომპეუსს, მან ბრძოლას თავი აარიდა, მოიგერია რა მხოლოდ ცხენოსანი ჯარით მტრები, რომლებიც ძალიან მიუახლოვდებოდნენ ხოლმე; საღამოთ დაიბანაკა ხშირ ტყეში. მეორე დღეს მან დაიჭირა ადგილი, რომელიც ყოველმხრივ ციცაბო იყო; მხოლოდ ერთი გზით შეიძლებოდა ასვლა და ამ გზას ოთხი რაზმი იცავდა; რომაელებიც თავისი მხრით უდარაჯებდნენ მას, რათა მითრიდატე არ გაქცეულიყო.

100. გათენებისთანავე სარდლებმა დაიწყეს თავიანთი ჯარების შეიარაღება, ხოლო მოწინავე რაზმები ერთიმეორეს არ ასვენებდნენ, ებმოდნენ რა ურთიერთ ბრძოლაში ბორცვის კალთებზე. და მითრიდატეს ზოგიერთმა ცხენოსნებმა ბრძანების მიუღებლად დაიქვეითეს და მიეშველნენ თავიანთ მოწინავე რაზმებს. ხოლო, როდესაც მათ რომაელთა ბევრი ცხენოსანი მიესია, მაშინ უცხენოდ გასული მითრიდატეს მხედრები ჯგუფად გაიქცნენ ბანაკისაკენ, რათა ცხენებზე შემსხდარიყვნენ და რომაელებთან ოანასწორ ბრძოლაში გასულიყვნენ. იმათ, ვინც

ზევით ჯერ იარაღის ასხმაში იყვნენ გართული, დაინახეს რა, რომ ისინი ყვირილით გამორბოდნენ, რადგანაც არ იცოდნენ რა მოხდა, ეგონათ, რომ ისინი დამარცხებული იყვნენ და მათი ბანაკი ორივე მხრივ აღებული იყო, ამიტომ ხელი უშვეს იარაღს და დაიწყეს გაქცევა-გამოქცევა. რადგანაც იმ ადგილს გასავალი არსაითა ჰქონდა, ამიტომ ისინი ერთიმეორეს ეჯახებოდნენ და აქეთ-იქით აწყდებოდნენ, ვიდრე კლდე-ღრეში არ ჩაიჩეხნენ. ასე, მითრიდატეს ჯარი იმათი სიფიცხისა და წინდაუხედაობის წყალობით, რომლებმაც ბრძანების მიუღებლად მოისურვეს დახმარებოდნენ მოწინავე რაზმებს, აირ-დაირია და დაიღუპა. დანარჩენი საქმე უკვე ძნელი აღარ იყო პომპეუსისთვის; იგი იპყრობდა და ხოცავდა ჯერ კიდევ შეუიარაღებელთ, რომლებიც ირგვლივ ციცაბო კლდეებით შემოზღუდულნი, ადგილზე იყვნენ მიჯაჭვული. მოკლული და ტყვედ წაყვანილი იყო 10.000-მდე და მას ხელში ჩაუვარდა მთელი ბანაკი აღალითურთ.

101. მხოლოდ თავის პირად მცველებთან ერთად კლდის პირას მიმწყვდეული მითრიდატე, სამიათასი ქვეითი ჯარითურთ, რომლებიც მას დაუყოვნებლივ გაჰყვნენ თან, აღმოჩნდა ციხე-სიმაგრე სინორეგში, სადაც მას ბლომად ფული ჰქონდა შენახული. მან დაურიგა საჩუქრები და ერთი წლის ჯამაგირი იმათ, ვინც მასთან ერთად გამოიქცა. წაიღო 6.000 ტალანტი და ვაეშურა ეფრატის სათავეებისაკენ, რათა იქ კოლხებთან გადასულიყო. მიემართებოდა რა დიდი სისწრაფით დღედაღამ, მან უკვე მეოთხე დღეს გადალახა ეფრატი, შემდგომი სამი დღის განმავლობაში ის ადგილზე იყო გაჩერებული და გართული იყო იმათი შეიარაღებით, ვინც მას თან ახლდა ანდა ახლად მოდიოდა მასთან. შემდეგ იგი შეიჭრა ხოტენურ არმენიაში; იქ მან გარეკა ხოტენელები და იბერები, რომლებსაც სწადდათ ხელი შეეშალათ მისთვის ისრებისა და შურდულის სროლით, და გადალახა მდინარე აპსარი. აზიაში მცხოვრებ იბერებს ზოგნი ევროპელ იბერების წინაპრებად, ზოგნი კი კოლონისტებად თელიან, ხოლო მესამენი კი მხოლოდ მათ მოსახელე ტომად: მათ არაფერი აქვთ საერთო ზნე-ჩვეულებით, არც ენით. მითრიდატემ ზამთარი გაატარა დიოსკურიაში — ამ ქალაქს კოლხები მიიჩნევდნენ იმის დასამტკიცებლად, რომ დიოსკურები არგონავტებთან ერთად მოცურავდნენ. იქ მითრიდატემ განიზრახა არა მცირე საქმე და არა ისეთი, რომელიც ადვილი გასაბედი იყო ლტოლვილი კაცისთვის: მან განიზრახა შემოევლო ირგვლივ პონტისთვისა და პროპონტიდის სკვითებისთვის, და მეოტიის ტბაზე გადასვლით თავს დასხმოდა ბოსფორს, ჩამოერთმია ეს ქვეყანა მისი მმართველი მახარესთვის, რომელიც მისი ვაჟი იყო და მის მიმართ უმადური აღმოჩნდა, — ამით იგი კვლავ რომაელთა პირისპირ დადგებოდა და იბრძოლებდა მათთან უკვე ევროპიდან მაშინ, როდესაც ისინი აზიაში იქნებოდნენ, იქნებოდა რა მათ შორის ის გზა, რომელიც, როგორც ფიქრობენ, იწოდა ბოსფორად („ხარის გზად"), რადგანაც ამ ად-

გილას გადასცურა იომ, როდესაც ჰერას მიერ ეპვიანობის ნიადაგზე ძროხად ქცეული, იძულებული იყო გაქცეულიყო.

102. თუმცა ფანტასტიკური იყო გეგმა, რომელსაც მითრიდატე წამოეპიდა, მაგრამ იგი დიდად ცდილობდა მის შესრულებას. მან შემოიარა სკვითთა ტომები, რომლებიც კარგი მეომრები იყვნენ და მტრულად იყვნენ განწყობილი: ნაწილობრივ სიტყვით, ნაწილობრივ ძალით მოიბრა ისინი; ასე. ლტოლვილი და უბედურობაში მყოფიც კი იგი თავის მიმართ პატივისცემასა და შიშს იწვევდა. მან ახლოს ჩაუარა პენიოხებს, რომლებმაც იგი მეგობრულად მიიღეს: ხოლო აქეელები აიძულა გაქცეულიყვნენ და სდია მათ... როდესაც მითრიდატე მეოტიდის მხარეში შევიდა, სადაც მრავალი მმართველია. ყველა მათ იგი მეგობრულად მიიღეს მისი სახელგანთქმულობისა და საქმეების გამო, აგრეთვე სამეფო ხელსუფლების გამო, და ჯერ სამხედრო ძალაც, რომელიც მას თან ახლდა, მნიშვნელოვანი იყო; მათ იგი გაატარეს თავის ქვეყანაზე და ურთიერთს საჩუქრები უძღვნეს. მითრიდატემ მათთან კავშირი შეკრა, განიზრახავდა რა უფრო საკვირველ საქმეს: წასულიყო თრაკიითა და მაკედონიით, მაკედონიიდან პეონიით, და შემდეგ შეჭრილიყო იტალიაში, გადალახავდა რა ალპის მთებს. ამ კავშირის განსამტკიცებლად მან თავისი ქალები მიათხოვა ცოლად მათგან ყველაზე უფრო ძლიერებს. როდესაც მისმა ვაჟმა მახარემ გაიგო, რომ მან განვლო ამოდენა გზა ესოდენ მცირე ხანში, და გაიარა ამდენი ველური ტომები და ეგრეთ წოდებული „სკვითური საკეტი“. რომელიც აქამდე ყველასათვის გაუვალად ითვლებოდა, მან გაგზავნა მამასთან ელჩები, რათა თავი ემართლებია მის წინაშე, რომ, ვითომც იგი გარემოებათაგან იძულებული იყო რომაელებისთვის სამსახური გაეწია; მაგრამ, გაიგო რა, რომ მითრიდატე მეტად განრისხებული იყო, იგი გაიქცა პონტოში მყოფ კონცხზე (ხერსონესში), დასწვა რა ხომალდები, რათა მამა არ გამოსდევნებოდა მას. ხოლო, როდესაც მითრიდატემ მას სხვა ხომალდები დაადევნა, მან დაასწრო და თვითონვე მოიკლა თავი. ყველა მისი მეგობარი, რომლებიც მან თვითონ გააყოლა, როდესაც იგი ამ მხარის მმართველად გაგზავნა, მითრიდატემ ახლა სიკვდილით დასაჯა; თავისი ვაჟის მახლობელთაგან კი ისინი, რომლებიც მას ემსახურებოდნენ, როგორც პირად მეგობარს. მან უვნებლად დატოვა.

103. ასეთი იყო ვითარება მითრიდატეს ირგვლივ: ხოლო პომპეუსი ჯერ გაედევნა მას და სდია კოლხების ქვეყნამდე, შემდეგ კი, ივარაუდა რა, რომ იგი ვერასოდეს ვერ შესძლებდა შემოეველო ირგვლივ პონტოსთვის ან მეოტიდისათვის, და რომ ლტოლვილი მითრიდატე ვეღარ გაბედავდა რომელიმე დიდი ოპერაციის დაწყებას, — შეუდგა კოლხების მხარის დათვალიერებას, რადგანაც აინტერესებდა ამბები არკონავტების იქ ყოფნის შესახებ, დიოსკურებისა და ჰერაკლეს ამბები და განსაკუთრებით კი სურდა ენახა ტანჯვათა ის ადგილი, სადაც გადმოცემის თა-

წახმად, კავკასიის მთებში იტანჯებოდა პრომეთე. კავკასიის მთებიდან ჩამომდინარე მრავალრიცხოვან ნაკადულებს ჩამოაქვთ შეუმჩნეველი წვრილი ოქროს ნაწილაკები; ადგილობრივი მოსახლეობა წყალში აწყობს ცხვრის გრძელბეწვიან ტყავებს და აგროვებს ამ ოქროს, რომელიც ტყავის ბეწვებში რჩება. ალბათ ასეთივე იყო აიეტის ოქროს საწმისი; როდესაც პომპეუსი ამ ისტორიულ ადგილებში დაიარებოდა, ზოგიერთი მითრიდატეს სამეფოს მეზობლად მყოფი ტომები მას თავისუფლად უშვებდნენ; მაგრამ ალბანიის მეფე ოროზი და იბერიის მეფე არტოკი 70000 ჯარით უდარაჯებდნენ მდინარე კურნასთან, რომელიც თორმეტი გემთსავალი შესართავით ჩადის კასპიის ზღვაში მას შემდეგ, რაც თვითონ მას შეერთვის მრავალი მდინარე და მათგან ყველაზე უდიდესი არეზი (არაქსი). პომპეუსმა შენიშნა ეს საფრთხე და მდინარის ორივე ნაპირი შეაერთა ხიდით, ბარბაროსები შერეკა ხშირ ტყეებში (ისინი დიდი ოსტატები არიან ტყის ბრძოლისა, მიიშალებიან რა და ანაზდეულად კვლავ გამოჩნდებიან), დააყენა ჯარი ამ ტყეების ირგვლივ და ცეცხლი წაუკიდა მათ; ვინც იქიდან გამორბოდა, მათ იგი სდევნიდა, ვიდრე ყველა მათ არ გამოგზავნეს მძევლები და არ მიუტანეს ძღვენი. რომში მან ტრიუმფი მათზედაც გადაიხადა. ამ მძევლებსა და ტყვეებს შორის ბევრი ქალები იყვნენ, რომელთაც არანაკლები პრილობები ჰქონდათ, ვიდრე მამაკაცებს. ეგონათ, რომ ესენი ამაზონები იყვნენ, ან იმის გამო, რომ ამაზონები ცალკე ტომად ცხოვრობდნენ მათ მეზობლად და მოწვეული იყვნენ მათ მიერ დასახმარებლად, ან იმის გამო, რომ მებრძოლ ქალებს საერთოდ აქაური ბარბაროსები ამაზონებს ეძახიან.

104. აქედან გაბრუნებული პომპეუსი არმენიისაკენ გაემართა, ბრალად დასდო რა ტიგრანს, რომ იგი ომში ეხმარებოდა მითრიდატეს. იგი უკვე მიადგა არტაქსატას, მეფის ჩვეულებრივ სამყოფელს. ტიგრანს უკვე აღარ სურდა ომის წარმოება. მაგრამ ტიგრანს რამდენიმე ვაჟი ჰყავდა მითრიდატეს ქალისაგან, რომელთაგანაც ტიგრანმა ორი თვითონ დასაჯა: ერთი მან მოკლა ბრძოლაში, როდესაც მან მამას ომი აუტეხა, მეორე კი — ნადირობის დროს, რადგანაც ეს ვაჟი არ დაეხმარა მამას, როდესაც ეს მიწაზე დაეცა, არამედ, ვიდრე იგი ჯერ მიწაზე ეგდო, ამან თავზე სამეფო გვირგვინი დაიდგა. მესამე შვილი სახელად ტიგრანი, — რომელმაც ამ ნადირობის დროს მამის მიმართ დიდი თანაგრძნობა გამოიჩინა, — მან დაასაჩუქრა, მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ მანაც უღალატა მამას და ომი დაუწყო მას, — იგი ამ ომში დამარცხდა და გაიქცა პართელთა მეფე ფრაატთან, რომელმაც ცოტა ხნის წინათ მიიღო ხელისუფლება თავისი მამის სინტრიკის შემდეგ. პომპეუსის მიახლოვებისთანავე მან, მოილაპარაკა რა ფრაატთან, რომელიც მას თანაუგრძნობდა და ისწრაფოდა მეგობრობის კავშირი შეეკრა პომპეუსთან — იგი, ახალგაზრდა კაცი, გაიქცა პომპეუსთან, როგორც მფარველობის მთხოვნელი, თუმცა იგი მითრიდატეს შვილიშვილი იყო. მაგრამ ბარბაროსთა შორის

პომპეუსი განთქმული იყო როგორც სამართლიანი და მტკიცე სიტყვის კაცი. ამ თვისებებზე ნდობით პომპეუსთან მივიდა აგრეთვე ტიგრანი — მამა, ისე რომ წინასწარ არც კი შეუტყობინებია მაცნეს საშუალებით, რომ იგი მიდიოდა, ყველაფერში დაენდო პომპეუსის სამართლიანობას და მოვიდა, რათა ბრალი დაედვა შვილისთვის. როდესაც პომპეუსის ბრძანებით ტიგრანის პატივისცემის მიზნით მის მისაგებებლად გამოვიდნენ ტრიბუნები და ცხენოსანი ჯარის უფროსები, ტიგრანის ამალას შეეშინდა, რადგან მათი მისვლა წინასწარ შეტყობინებული არ იყო და ამიტომ გაიქცნენ, მაგრამ ტიგრანმა განაგრძო გზა და მიესალმა პომპეუსს, როგორც უფრო ძლიერს, ბარბაროსთა ჩვეულებისამებრ თაყვანისცემით. ზოგიერთის თქმით იგი ლიქტორებმა მიიყვანეს, რომლებიც პომპეუსმა გაგზავნა მის მოსაყვანადაო. ასე მივიდა თუ ისე, მან თავი იმართლა ასეთი საქციელისთვის; თვით პომპეუსს მან მისცა 6.000 ტალანტი, მისი ჯარის თვითეულ ჯარისკაცს 50 დრაქმა, ცენტურიონს — 1000, ხოლო სამხედრო ტრიბუნს — 10.000.

105. პომპეუსმა აპატია მას ყველაფერი, რაც კი წინათ მოხდა და შეარიგა იგი შვილთან და როგორც მედიატორემ გადაწყვიტა, რომ შვილი იქნებოდა სოფენისა და გორდიენის მმართველი, — ეს ის ნაწილებია, რომლებსაც ეხლა სწორედ მცირე არმენიას უწოდებენ, — ხოლო მამა იქნებოდა გამგებელი მთელი დანარჩენი არმენიისა, ამასთანავე ეს შვილი უნდა ყოფილიყო მისი მემკვიდრე. ის ქვეყნები კი, რომლებიც მან შეიძინა, პომპეუსმა უბრძანა უკანვე დაებრუნებია. ტიგრანს მოუხდა დაებრუნებია სირია ეფრატიდან ზღვამდე, რადგანაც მას ხელში ჰქონდა ჩაგდებული ისიც და კილიკიის ნაწილიც, საიდანაც მან გააძევა ანტიოქე. მეტი სახელით „კეთილშობილად“ წოდებული. ის სომხები, რომლებმაც მიატოვეს ტიგრანი, როდესაც ის პომპეუსთან მიდიოდა, ახლა დაეჭვებული არწმუნებენ ტიგრანის ვაჟს, თავს დაესხას მამას, მაგრამ იგი შეიპყრეს და ბორკილი დაადეს, და რადგანაც ამ დროს იგი აქეზებდა პართელებს პომპეუსის წინააღმდეგ, ამიტომ იგი ტრიუმფის დროს გამარჯვებულის ეტლს უკან გააყოლეს და მერე სიკვდილით დასაჯეს. ხოლო პომპეუსი ვარაუდობდა, რომ მან ომი საერთოდ დაამთავრა და იმ ადგილას, სადაც მითრიდატე დამარცხა, ააშენა ქალაქი, რომელიც სიმამაცის აღსანიშნავად იწოდა ნიკოპოლისად; ეს ქალაქი ეგრეთ წოდებულ მცირე არმენიაშია. არიობარზანს მან დაუბრუნა კაპადოკიის სამეფო და გარდა იმისა მისცა სოფენა და გორდიენა, რომლებიც თითქოს ტიგრანის ვაჟს ჰქონდა მიცემული სამფლობელოდ; ახლაც ეს ადგილები კაპადოკიასთან ერთად შეადგენს ერთ პროვინციას. მან გადასცა მას აგრეთვე კილიკიის ქალაქი კასტაბალი და ზოგიერთი სხვაც. არიო-

პარზანმა ჯერ ისევ სიცოცხლეშივე გადასცა მთელი სამეფო თავის ვაჟს. ბევრი ცვლილებები მოხდა კეისარ ავგუსტუსის დრომდე, რომლის დროსაც ეს სამეფოც, ისევე, როგორც სხვებიც, გადაქცეულ იქმნა პროვინციად.

106. პომპეუსმა გადაიარა ტავრი და დაუწყო ომი ანტიოქს, კომაგენის მეფეს. ვიდრე ანტიოქმა მასთან ზავი და მეგობრობა არ შეკრა; მან დაუწყო ბრძოლა დარიოსს, მიდიის მეფეს, — ვიდრე იგი არ აიძულა გაქცეულიყო, — იმის გამო, რომ იგი ეხმარებოდა ან ანტიოქს, ან უფრო ადრე ტიგრანს. იგი ებრძოდა აგრეთვე არაბ-ნაბატელებს, რომელთა მეფეც იყო არეთა, და იუდეველებს, რადგანაც განდგა მათი მეფე არისტობულე. ებრძოდა მათ იქამდე, ვიდრე არ აიღო მათი საღმრთო ქალაქი — იერუსალიმი. შემდეგ მან უბრძოლველად გაიარა და დაუმორჩილა რომაელებს კილიკიის ის ნაწილი, რომელიც წინათ რომაელთა ხელისუფლების ქვეშ არა ყოფილა, სირიის დანარჩენი ნაწილი, რომელიც ევფრატს ეკვრის და კელესირიედ, ფინიკიად და პალესტინად იწოდება, იდუმეელთა და იტურეელთა ქვეყანა და სირიის ყველა სხვა ტომები, რომლებიც სხვადასხვა სახელწოდებით არიან ცნობილნი. მას არაფერი ჰქონდა ანტიოქ კეთილშობილისთვის დასაბრალებელი, რომელიც მასთან იყო და სთხოვდა თავის მამა-პაპათა სამეფოს დაბრუნებას, მაგრამ პომპეუსი ფიქრობდა, რომ რაკი მან ამ ქვეყნიდან გააძევა გამარჯვებული ტიგრანი, ამით იგი რომაელებმა შეიძინეს. როდესაც ის ამ საქმეებში იყო გართული, მასთან მოვიდნენ ელჩები ტიგრანისა და ფრაატისაგან, რომლებმაც ერთიმეორეს ომი აუტეხეს: ტიგრანის ელჩები სთხოვდნენ პომპეუსს, დახმარებოდა იგი ტიგრანს, რომელთანაც იგი მეგობრობის კავშირით იყო შეკრული; ხოლო პართელთა მეფის ელჩებს სურდათ რომაელებთან მეგობრობის კავშირი დაედვათ. პომპეუსი ფიქრობდა, რომ მას არა ჰქონდა უფლება პართელებთან ომი დაეწყო რომაელი ხალხის გადაწყვეტილების გარეშე და ამიტომ ორივესთან გაგზავნა შუამავალნი, რათა მოერიგებინათ გაუგებრობანი.

107. აი, ამ საქმეებში იყო გართული პომპეუსი; მითრიდატემ კი დაასრულა პონტოს შემოვლა; მან ხელთ იგდო პანტიკაპეია, სავაჭრო ადგილი ევროპელ ვაჭართათვის პონტოს შესართავთან და იქ სრუტის სანაპიროზე მოკლა თავისი ერთ-ერთი ვაჟი ქსიფარა, მისი დედის შემდეგი შეცოდების გამო. მითრიდატეს ჰქონდა ერთი საიდუმლო გამაგრებული ადგილი, სადაც მიწისქვეშეთ საკუჭნაოებში მას შენახული ჰქონდა ბლომად ფული, რკინით გაჭედილ სპილენძის კიდობნებში. სტრატონიკამ, მითრიდატეს ერთ-ერთმა ხასამ, თუ ცოლმა, რომელმაც იცოდა ამ სიმაგრის საიდუმლოება და რომელსაც მისი მეთვალყურეობა ჰქონდა დავალებული, ვიდრე მითრიდატე პონტოს ირგვლივ მოგზაურობდა — ამ სტრატონიკამ ეს სიმაგრე გადასცა პომპეუსს და გაანდო ამ საგანძურთა საიდუმლოება, რომელთა შესახებაც არავინ არაფერი იცოდა, იმ პირო-

ბით, რომ პომპეუსი მის შვილს ქსითარას სიცოცხლეს შეუნარჩუნებდა, თუ ვინიცობაა იგი მას ხელში ჩაუვარდებოდა. პომპეუსი დაეუფლა ამ ფულებს, აღუთქვა მას, რომ ქსითარას გადაარჩენდა და ნება მისცა წაეღო საგანძურიდან თავისი საკუთარი ქონება. ეს რომ გაიგო მითრიდატემ, შოკლა ქსითარა სრუტის ნაპირას მისი დედის თვალწინ, რომელიც ამას მეორე ნაპირიდან უცქერდა, და მისი გვამი დაუმარხავად გადააგდო. ასე არ დაინდო მან თავისი შვილი, ოღონდ კი ტანჯვა მიეყენებია მის წინაშე შემცოდე ქალისთვის. შემდეგ მან გაგზავნა ელჩები პომპეუსთან, — ეს ჯერ ისევ სირიაში იმყოფებოდა და არ იცოდა, რომ მითრიდატემ ზღვა შემოიარა. ელჩებმა აღუთქვეს, რომ იგი ხარკს მისცემდა რომაელებს თავის მამა-პაპეული სამეფოსთვის. როდესაც პომპეუსმა უბრძანა მითრიდატეს თვითონ გამოცხადებულიყო და თვითონ ეთხოვა აღნიშნულის შესახებ ისე, როგორც ტიგრანი მოიქცა. მან შეუთვალა, რომ ვიდრე იგი მითრიდატედ დარჩება, არასოდეს ამაზე არ დათანხმდება, მაგრამ გაგზავნის კი ვისმე თავის ვაჟთან და მეგობართაგან. ამასთანავე იგი სასწრაფოდ შეუდგა ჯარის შეკრებს თავისუფალთა და მონათაგან, მოამზადა მრავალი იარაღი, შუბები და სამხედრო მანქანები, არ ზოგავდა რა არც ხე-ტყეს, არც მუშა-ხარებს ლარების დასამზადებლად (მათი ძარღვებიდან) და ყველას დაადგა გადასახადი, თვით უკიდურეს ღარიბებსაც. გადასახადის შემკრები მისი მოხელეები დიდად ავიწროებდნენ ხალხს, ისე რომ მითრიდატემ ამაზე არა იცოდა რა: იგი შეპყრობილი იყო, რაღაც დაავადებით — სახეზე ძუწუკები ეყარა, და მას სამი საპურისი მკურნალობდა, მისი ნახვაც მხოლოდ მათ შეეძლოთ.

108. როდესაც იგი ავადმყოფობისაგან განკურნა და უკვე ჯარი მოუგროვდა — 60 რჩეული რაზმი თეითეული 600 კაცით და მრავალი სხვა ლაშქარი, აგრეთვე ხომალდები და გამაგრებული ადგილები, რომლებიც მისი ავადმყოფობის დროს მისმა სარდლებმა აიღეს, მან თავისი ჯარის ნაწილი გაგზავნა ფანაგორიელთა წინააღმდეგ შესართავის მახლობლად მეორე საეკრო პუნქტში, რათა ერთიცა და მეორე მხრითაც შესავალი თავის ხელში ჰქონოდა. პომპეუსი მაშინ ჯერ ისევ სირიაში იმყოფებოდა. აქ ერთი ფანაგორიელი, კასტორი, ოდესღაც მეფის საჭურისის ტრიფონის მიერ ნაცემი, თავს დაესხა ტრიფონს, როდესაც იგი ქალაქში შედიოდა, მოკლა იგი და ხალხს მოუწოდა დაებრუნებიათ თავიანთთვის თავისუფლება. თუმცა მათი ციხეც უკვე აღებული იყო არტაფერნისა და მითრიდატეს სხვა შვილების მიერ, მათ შემოუწყეს მთის მწვერვალს ხეები და ცეცხლი წაუკიდეს მას. არტაფერნს, დარიოსს, ქსერქსეს, ოქსატრს, მითრიდატეს სხვა ვაჟებს, ევპატრას, მის ქალს, შეეშინდათ ხანძრისა, ტყვედ დანებდნენ და წაჰყვნენ. მათგან მხოლოდ არტაქსერქსე იყო 40 წლისა, ყველა დანარჩენები მშვენიერი ჰაბუკები

იყენენ. მაგრამ მითრიდატეს ქალი კლეოპატრა წინააღმდეგობას უწევდა. მისი გმირი სულით აღტაცებულმა მამამ გაგზავნა მრავალი ბირემი და ვამოსგლიჯა იგი მტრებს ხელიდან. მახლობლად მდებარე ის ციხეებიც, რომლებიც ცოტა ხნის წინათ ხელთ იგდო მითრიდატემ, ფანაგორიელთა ასეთი გაბედული საქციელის გავლენით განუდგნენ მითრიდატეს, სახელდობრ კი: ქერსონესი, თეოდოსია, ნიმფეი და პონტოს სანაპიროზე, ყველა სხვა სამხედრო თვალსაზრისით ძლიერ მოხერხებული პუნქტები. მითრიდატემ, რომელიც ხედავდა ხშირ განდგომებს და ეჭვით უყურებდა ჯარს, არ მიაჩნდა რა იგი საიმედოდ ლაშქრობის სიძნელისა და მძიმე გადასახადების გამო, აგრეთვე იმის გამო, რომ ჯარი არ ენდობოდა სარდლებს, რომლებმაც რამდენიმეჯერ მარცხი განიცადეს,—მან თავისი საჭურისების საშუალებით თავისი ქალები ცოლებად გაუგზავნა სკვითების წინამძღოლებს, სთხოვდა რა მათ სასწრაფოდ მოსულიყვნენ მასთან ჯარით. მან თავისი ჯარიდან 500 კაცი გაგზავნა გამცილებლებად. ხოლო მათ, როგორც კი მითრიდატეს სამეფოს მოშორდნენ, დახოცეს ქალების თანმხლები საჭურისები, მათ შორის მუდმივი მტრობის გამო, რადგანაც საჭურისებს მითრიდატესთან ძალა და გავლენა ჰქონდათ, და ქალები პომპეუსთან წაიყვანეს.

109. ამდენი შვილებისა და ციხე-სიმაგრეების დამკარგავი, რომელსაც თითქმის მთელი სამეფო ხელიდან ჰქონდა, გამოცლილი და სრულიად ბრძოლის უნარდაკარგული იყო, და აღარც სკვითებთან კავშირის დადების იმედი ჰქონდა, მითრიდატე მაინც ებღაუჭებოდა არა უმნიშვნელო ან მისი უბედურებისთვის შესაფერის გეგმებს: მან განიზრახა კელტების ქვეყანაზე გავლით, რომლებთანაც მას ამ მიზნით დიდი ხანია დამყარებული ჰქონდა კავშირი და მეგობრობა, მათთან ერთად შეჯრილიყო იტალიაში, იმედოვნებდა რა, რომ თვითონ იტალიიდან მას ბევრნი მიემხრობოდნენ რომაელთადმი სიძულვილის გამო; მან იცოდა, რომ ჰანიბალიც ასევე მოიქცა, როდესაც იგი ესპანეთში იბრძოდა, და ამის გამო იგი განსაკუთრებით საშიში იყო რომაელთათვის; მან იცოდა, რომ ცოტა ხნის წინათაც განუდგა იტალია რომაელებს მათდამი სიძულვილის გამო და ხანგრძლივსა და მძაფრ ბრძოლას აწარმოებდა მათთან და შეუკავშირდა მათ წინააღმდეგ სპარტაკს — გლადიატორს, კაცს სრულიად უმნიშვნელოს. ვარაუდობდა რა ყველაფერს ამას, იგი განიზრახავდა კელტების ქვეყანაში შესვლას. მაგრამ ეს გეგმა, თუმცა, შეიძლება მისთვის სასარგებლოც გამომდგარიყო, მაგრამ მისი ჯარი ყოყმანობდა ამ წამოწყების სიდიადის გამო უმთავრესად: არ სურდათ მათ აგრეთვე გამგზავრება შორეულსა და ხანგრძლივ ლაშქრობაში უცხო ქვეყანაში იმ ხალხის წინააღმდეგ, ვისი დამარცხებაც მათ თავიანთ ტერიტორიაზეც ვერ მოახერხეს. თვითონ მითრიდატეზე ფიქრობდნენ, რომ იგი, სასოწარკვეთილი, მეფის შესაფერისი უჩვეულო გაბედულების საქმეში სიკვდილს ამჯობინებს, ვიდრე უმოქმედობაში დალიოს უკანასკნელი დღეები. მაგ-

რამ ისინი ჯერჯერობით მასთან რჩებოდნენ და მშვიდად იყვნენ, რადგანაც მეფე უბედურებაში მყოფიც კი არ წარმოადგენდა უმნიშვნელოსა და საძულველ ადამიანს.

110. ასეთი იყო საერთოდ საქმის ვითარება. ფარნაკმა, რომელსაც თავის ვაჟთაგან მითრიდატე ყველაზე მეტად აფასებდა და ხშირად აცხადებდა, რომ მისი ხელისუფლების მემკვიდრე იგი იქნებოდა, მოაწყო შეთქმულება მამის წინააღმდეგ. ეს შეთქმულება მან იმის გამო მოაწყო, რომ შეეშინდა ამ ლაშქრობისა და ხელისუფლების დაკარგვის შესაძლებლობისა,—ფიქრობდა რა, რომ ეხლავე შეიძლებოდა რომაელთაგან პატიების მიღება,—თუ იმის გამო, რომ მას სხვა საბაბი და მოსაზრებები ჰქონდა, ძნელი სათქმელია. როდესაც მისი თანამონაწილენი შეიპყრეს და დასაჯეს, მაშინ მენოთანმა დაარწმუნა მითრიდატე, რომ ლაშქრობისთვის მზადების დროს არა ღირდა ესოდენ დაფასებული ვაჟის დასჯა; მან უთხრა, რომ ასეთი ცვლილებები არის ომის შედეგი, რომლის დამთავრებისთანავე ყველაფერი მოწესრიგდებაო. მისგან დაჯერებული მითრიდატე დაშინდა ეპატიებია შვილისათვის. მაგრამ ფარნაკი, რომელსაც ეშინოდა მამის მხრივ ახალი რისხვისა და იცოდა, რომ ჯარი შეშინებული იყო მომავალი ლაშქრობით, ღამით მივიდა პირველყოვლისა იმ რომაელ მოღალატეებთან, რომლებიც ყველაზე ახლოს იყვნენ მითრიდატესთან დაბანაკებულნი, და გადაჭარბებით წარმოუდგინა რა ის საფრთხე, რომელიც მათ მოელის, თუ ისინი წავლენ იტალიაზე, რომელსაც ისინი თვითონ კარგად იცნობდნენ, და აღუთქვა რა მათ ბევრი რამ, თუ კი ისინი მასთან დარჩებოდნენ, გადააწყვეტინა მათ განდგომოდნენ მის მამას. გადაიბირა რა ისინი თავის მხარეზე, ფარნაკმა იმავე ღამეს დაგზავნა თავისი მომხრეები ახლოს მყოფ საბანაკო სადგომებში, როდესაც იგი ამათაც მოელაპარაკა, მაშინ გათენებისთანავე ჯერ რომაელმა მოღალატეებმა დასცეს სამხედრო ყიჟინა და მათ შემდეგ ხმა მისცეს აგრეთვე იმ სადგომებმა, რომლებიც მახლობლად იყვნენ. ფლოტიდანაც ასეთივე ხმაურით უპასუხეს. იქნება ყველამ არც კი იცოდა საქმის ვითარება, მაგრამ ისინი ყველანი მოწადინებული იყვნენ ცვლილებებს, არ ფიქრობდნენ რა შესაძლებელ უბედურებაზე, არამედ გადატრიალებისაგან ყოველთვის მხოლოდ სარგებლობას მოელოდნენ. სხვებმა კი არა იცოდნენ რა შეთქმულების შესახებ და ეგონათ, რომ სხვები ყველანი უკვე განდგნენ და მარტო ისინი დარჩნენ, რითაც შეუძლიათ უმრავლესობის ზიზღი გამოიწვიონ, — თვითონაც სხვებთან ერთად ასტეხეს ხმაური, უფრო შიშის და აუცილებლობის გამო, ვიდრე საკუთარი სურვილით. მათ ხმაურზე გამოღვიძებულმა მითრიდატემ გაგზავნა, რათა გამოერკვიათ, თუ რა სურდათ მათ. მათ დაუფარავად განაცხადეს: „გვსურს, რათა მეფედ იყოს მისი ვაჟი, ახალგაზრდა, მაგივრად მოხუცისა, რომელიც საჭური-

სთა ნებასურვილს მისდევს და რომელმაც მრავლად დახოცა თავისი შვილები, წინამძღოლები და მეგობრები".

111. ეს რომ გაიგო, მითრიდატე გამოვიდა მათთან მოსალაპარაკებლად. მისი პირადი გვარდიის დიდი ნაწილი გადავიდა რომაელი მოღალატეების მხარეზე. მათ უარი უთხრეს მიღებაზე, ვიდრე ისინი თავიანთი ერთგულების დასამტკიცებლად, არ ჩაიდენდნენ რასმე გამოუსწორებელს, გულისხმაში აგდებდნენ რა მათ მითრიდატეს მიმართ. და, აი, მათ მოასწრეს მითრიდატეს ცხენის მოკვლა, როდესაც იგი გაქცევას აპირებდა, და თვლიდნენ რა ისინი უკვე თავს გამარჯვებულად, ფარნაკი მეფედ გამოაცხადეს; ვიღაცამ ტაძრიდან გამოიტანა ბრტყელი ღერო და გვირგვინის მაგიერ იმით შეამკეს ფარნაკი. ყველაფერს ამას ხედავდა მითრიდატე მაღალი ღია ადგილიდან და გზავნიდა ფარნაკთან ერთიმეორეზე კაცებს, მოითხოვდა რა თავისთვის თავისუფალ და უვნებლად წასვლის უფლებას. რადგანაც გაგზავნილთაგან უკან არავინ ბრუნდებოდა, მას შეეშინდა არ გადაეცათ იგი რომაელთათვის, და შეაქო რა თავისი პირადი მცველები და მეგობრები, რომლებიც ჯერ კიდევ მასთან იყვნენ, გაუშვა ისინი ახალ მეფესთან; ზოგი მათგანი ჯარმა დახოცა გაუგებრობის ნიადაგზე. თვითონ მითრიდატემ გახსნა ის შხამი, რომელსაც მუდამ თან ატარებდა ხმალ-ქარქაშთან და დაუწყო განზავება. მაშინ მისმა ორმა ქალმა, რომლებიც ჯერ ქალწულები იყვნენ და მასთან ერთად ცხოვრობდნენ, მითრიდატისისი და ნისსა, რომელთაგანაც ერთი ეგვიპტის მეფეზე და მეორე კვიპროსის მეფეზე იყო დანიშნული, განაცხადეს, რომ ჯერ ისინი დალევდნენ შხამს; ისინი ამას დაჟინებით მოითხოვდნენ და უშლიდნენ მას შხამის დალევას, ვიდრე არ მიიღეს და თვითონ არ დალიეს იგი. შხამმა დაუყოვნებლივ იმოქმედა მათზე, მაგრამ მითრიდატეზე კი, მიუხედავად იმისა, რომ იგი განგებ განუწყვეტლივ დადიოდა წინ და უკან, შხამი არ მოქმედებდა, რადგან მიჩვეული იყო და მუდამ იღებდა შხამის საწინააღმდეგო საშუალებას, როგორც მოწამლვის წინააღმდეგ დამცველს; მას ახლაც „მითრიდატეს საშუალება" ეწოდება. მითრიდატემ დაინახა ვინმე ბიტოიტი, გალების ჯარის უფროსი და უთხრა მას: „დიდ დახმარებას მიწევდა შენი ხელი ომის საქმეში, მაგრამ ყველაზე დიდი დახმარება იქნება ჩემთვის, თუ ახლა შენ მე სიცოცხლეს მომისპობ; მე ხომ მელის საფრთხე, რომ ტრიუმფის საზეიმო სვლაში გამატარებენ, მე, რომელიც ასე დიდ ხანს ვიყავი ამ ქვეყნის თვითმპყრობელი მეფე; მე ვერა მკლავს შხამი იმის გამო, რომ მე უგუნური, თავის დაზღვევის მიზნით, წინასწარ ვიღებდი თავის დაცვის საშუალებებს სხვა საწამლავთა სახით. ხოლო ყველაზე საშინელი და მეფეთა ცხოვრებაში ესოდენ ჩვეულებრივი საწამლავი — ჯარის, შვილებისა და მეგობრების ღალატი — მე ვერ გავითვალისწინე, მე, რომელმაც გავითვალისწინე ყოველგვარი შხამ-საწამლავი საჭმლის მიღების

დროს და მოჰახერხე მათგან თავის დაცვა". ბიტოიტს შეებრალა მეფე, რომელიც ასეთ შველას საჭიროებდა და შეუსრულა თხოვნა.

112. ასე მოკვდა მითრიდატე სპარსეთის მეფის დარიოს ჰისტასპის შთამომავალთა მეთექვსმეტე თაობაზე და იმ მითრიდატეს მერვე თაობაზე, რომელიც განუდგა მაკედონელებს და ხელთ იგდო ძალაუფლება პონტოს სამეფოში. მან იცოცხლა 68 თუ 69 წელი, ამათგან 57 წელი იგი მეფედ იყო. ძალაუფლება მიიღო მან ობოლმა. მან დაიპყრო მეზობელი ბარბაროსი ხალხები და სკვითთაგანაც მას ბევრნი ემორჩილებოდნენ: რომაელებთან ის 40 წლის განმავლობაში აწარმოებდა ომს, რომლის დროსაც იგი ხშირად დაუფლებია ბითინიასა და კაპადოკიას; იგი შეიჭრა აზიაში, ფრიგიაში, პაფლაგონიაში, გალატიასა და მაკედონიაში; შეესია რა ელადას, მრავალი საგმირო საქმე ჩაიდინა; ზღვაზე იგი ბატონობდა კილიკიიდან იონიის ზღვამდე, ვიდრე, ბოლოს, სულამ არ ჩაჰკეტა იგი მის მამა-პაპეულ სამეფოში მას შემდეგ, რაც მითრიდატეს დაეღუპა 160·000 ჯარი. ესოდენ მძიმე დამარცხების შემდეგაც კი, იგი სულ ადეილად მოემზადა ომისთვის. იგი უმართავდა ბრძოლებს რჩეულ წინააძღოლებს. თუმცა იგი დაამარცხეს სულამ, ლუკულუსმა და პომპეუსმა, მაგრამ მას ხშირად მათ მიმართაც ჰქონია უპირატესობა და კიდევაც გაუმარჯვნია მათზე. ლუციუს კასიუსი, კვინტუს ოპიუსი და მანიუს აკვილიუსი მან ტყვედ წაიყვანა და თან დაჰყავდა სხვადასხვა ქალაქებში, ვიდრე, ბოლოს, პირველი არ დასაჯა სიკვდილით, რადგანაც იგი იყო ომის მიზეზი, ორი უკანასკნელი კი სულას დაუბრუნა. მან დაამარცხა ფიმბრია, მურენა, კონსული კოტა, ფაბიუსი და ტრიარიუსი. სულით იგი უბედურებაშიც კი დიადი იყო და არ ეძლეოდა სასოწარკვეთილებას. მას არ დაუტოვებია არც ერთი გზა, რომ არ ეცადნა იქიდან რომაელებზე თავდასხმა მაშინაც კი, როცა დამარცხებული იყო. იგი უთანხმდებოდა სამნიტებსა და კელტებს, გზავნიდა ელჩებს სერტორიუსთანაც იბერიაში. ხშირად დაჭრილი მტერთაგან ან ვინმე პოროტგანმზრახველისგან, იგი ასეთ შემთხვევაშიაც კი საქმეს არ შეაჩერებდა, თუმცა უკვე მოხუცებული იყო. მართლაც, არცერთი შეთქმულება მას არ გამოჰპარვია, თვით უკანასკნელიც კი, მაგრამ თავისივე სურვილით მან იგი უყურადღებოდ დასტოვა და კიდეც დაიღუპა მისგან: ასე, სულმდაბალი რომ პატიებას მიიღებს, უმადური გამოდგება. მას მკელელობა არ ეზარებოდა და მძვინვარე იყო ყველას მიმართ; მან დახოცა თავისი დედა და ძმა და თავის შვილთაგან სამი ვაჟი და სამი ქალი. სხეულით იგი ახოვანი იყო, როგორც ჩანს იმ იარაღიდან, რომელიც ნემეიასა და დელფოში გაგზავნა; იმდენად ძლიერი (ღონიერი) იყო, რომ სიკვდილამდე შეეძლო ცხენით სიარული, შუბის ტყორცნა და ცხენით ან ეტლით დღეში ათასი სტადიუმის გავლა გარკვეულ მანძილზე ცხენების გამოცვლით. იგი მართავდა ეტლს, რომელშიაც თექვსმეტი ცხენი იყო შებმული. მას უყვარდა ელინური კულტურა, ამიტომაც, იცოდა რა იგი,

კიდეც ასრულებდა ელინურ ადათებს; უყვარდა აგრეთვე მუსიკა. მის ესოდენ კეთილგონიერსა და პატიანის ერთადერთ სუსტ მხარეს შეადგენდა ქალებთან განცხრომის უსაზღვრო მისწრაფება.

113. ასე მოკვდა მითრიდატე, რომელსაც მეტსახელად ევპატორი და დიონისე უწოდეს. რომაელებმა რომ გაიგეს, დიდი ზეიმით იდღესასწაულეს ეს ამბავი, მიიჩნევდნენ რა, რომ ისინი მეტად საშიში მტრისაგან განთავისუფლდნენ. ხოლო ფარნაკმა თავისი მამის გვამი ტრირემით პომპეუსს გაუგზავნა სინოპში და მასთან ერთად აგრეთვე ისინიც, ვინც მანიუსი დაატყვევეს, და მრავალი მძევლები, რამდენიც კი ჰყავდა მას ელინთა და ბარბაროსთა ქალაქებიდან. ამასთანავე ითხოვდა, რათა პომპეუსს გადაეცა მისთვის ან სამემკვიდრეო სამეფო, ან ბოსფორის სამეფო. რომელიც მისმა ძმამაც მიიღო მათი მამის მითრიდატესაგან. პომპეუსმა მითრიდატეს გვამის ბრწყინვალე დასაფლავება მოაწყო და დაავალა მის მსახურთ დაემარხათ იგი სამეფო საკრძალავში, ჩაასვენებდნენ რა სინოპში მეფის სამარხში, — ასე იყო აღტაცებული პომპეუსი მისი საგმირო საქმეებით და იგი მას თავისი დროის მეფეთა შორის ყველაზე უკეთესად მიაჩნდა. ფარნაკი, რომელმაც იხსნა იტალია უდიდეს სიძნელეთაგან, მან რომაელთა მეგობრად და მოკავშირედ გამოაცხადა და მისცა მას ბოსფორის სამეფო, გარდა ფანაგორიისა: ფანაგორიელებს მან თავისუფლება მიანიჭა და ავტონომიურად გამოაცხადა, რადგანაც ისინი, როდესაც მითრიდატე მომძლავრდა და ამზადებდა ხომალდებსა და სხვა ჯარს და თავის ხელთა ჰქონდა გამაგრებული პუნქტები, სწორედ პირველნი უჯანყდებიან მას და ამით სხვასაც მაგალითი მისცეს განდგომოდნენ მას, და ამგვარად ისინი შეიქმნენ მითრიდატეს დაღუპვის მიზეზი.

114. თვითონ პომპეუსმა ამ ერთი ომით მოსპო მეკობრეთა ძლიერება და დიდი მეფე და, ბედნიერად აწარმოა რა ბრძოლები, თუ არ ჩავთვლით პონტოს ომს, — კოლხებთან, ალბანელებთან, იბერიელებთან, სომხებთან, მიდიელებთან, არაბებთან, იუდეველებთან და აღმოსავლეთის სხვა ხალხებთან, რომაელთა ხელისუფლება გაავრცელა ეგვიპტემდე. თვით ეგვიპტეში კი ის არ შესულა, თუმცა იქ მიმდინარეობდა აჯანყება მეფის წინააღმდეგ და ეგვიპტის მეფე მოუწოდებდა მას, უგზავნიდა რა მას ძღვენებს, ფულსა და ჯარისთვის ტანსაცმელს; არ წავიდა იგი ეგვიპტისკენ შეიძლება იმიტომ, რომ ეშინოდა ჯერ ისევ ძლიერი სამეფოს ძალებისა, ან მოერიდა მტრების სიმშურნეს, ან მისნის მიერ გაფრთხილებისა, ან სხვა გარემოებათა გამო, რაზედაც მე ვილაპარაკებ ეგვიპტის საქმეების მოთხრობის დროს. დაპყრობილ ხალხთაგან ზოგნი, რომლებმაც მას სამხედრო დახმარება აღმოუჩინეს, ისინი მან ავტონომიურად დასტოვა, ზოგნი რომაელებს დაუმორჩილა, ზოგნი კი მეფეებს გადასცა, ჩაბარა რა ტიგრანს არმენია, ფარნაკს ბოსფორი, არიობარზანს კაპადოკია და ყველა სხვა ოლქები, რომლებზედაც წინათ ვილაპარაკე. ანტიოქ

კომაგენელს მან მისცა სელევკია და მესოპოტამიის სხვა ოლქები, რომლებიც მან შესევის დროს იგდო ხელთ. მან დანიშნა აგრეთვე ტეტრარქებად დეიოთარი და სხვები გალ-ბერძნებში, — ესენი არიან დღევანდელი გალატელები, კაპადოკიის მეზობლები, — პაფლაგონიაში ატალი, ხოლო კოლხებში არისტარქი. კომანაში ქალღმერთის დიდ ქურუმად მან დანიშნა არქელაოსი, რადგანაც ეს მეფის ხელისუფლების თანასწორია, ხოლო ფანაგორიელი კასტორი რომაელი ხალხის მეგობრად გამოაცხადა. სხვებსაც მან ბლომად დაურიგა მიწები და ფული.

115. მან დააარსა ქალაქები: მახლობელ არმენიაში — ნიკოპოლისი, პონტოში მოპოვებული გამარჯვების აღსანიშნავად — ევპატორია, რომელიც თვით მითრიდატეს მიერ იყო დაარსებული და მისი სახელი ევპატორია ეწოდა; როდესაც იგი რომაელების მხარეზე გადავიდა, მითრიდატემ ააოხრა და გაანადგურა; პომპეუსმა კი იგი აღადგინა და მაგნოპოლისი უწოდა. კაპადოკიაში მან აღადგინა ქალაქი მაზაკი, რომელიც ბოლოს, ომის დროს დაინგრა. მან მრავალი ომის დროს დანგრეული ან დაზიანებული სხვა ქალაქი აღადგინა და შეაკეთა პონტოშიც, პალესტინაშიც, კელესირიაშიც და კილიკიაშიც. სადაც მან უმთავრესად მოათავსა ზღვის მეკობრენი, და ქალაქს, რომლის სახელიც წინათ იყო სოლი, ეხლა ეწოდა პომპეუპოლისი. ტალავრში, სადაც მითრიდატეს თავის საჭურჭლეთა საგანძური ჰქონდა, იპოვნეს ორიათასი ეგრეთწოდებული ონიქსის ფიალა, ოქროთი შემკული, მრავალი ჭიქა და მსხვილი ჭურჭელი და ყანწები, მოჭარგული ტახტ-სავარძლები, ცხენის აღვირები, სამკერდულები და უნაგირები — ყველაფერი ეს შემკული იყო ძვირფასი ქვებითა და ოქროთი. იმდენი იყო, რომ მათს დათვლასა და ჩაბარებას ოცდაათი დღე დასჭირდა. ზოგიერთი ნივთი დარიოს ჰისტასპის დროისა იყო, ზოგი პტოლომეების სამეფოდან, — რომლებიც კლეოპატრამ დაუტოვა ქეოსელებს, ხოლო ქეოსელებმა კი მითრიდატეს მისცეს. ზოგი კი თვით მითრიდატეს მიერ იყო შეკვეთილი და აქ მოგროვილი, რადგან იგი სილამაზისა და ჭურჭლის მოყვარული იყო.

116. ზამთრის დამლევს პომპეუსმა დაურიგა ჯარს საჩუქრები, თვითეულ ჯარისკაცზე 1500 ატიკური დრაქმი და შესაბამისად უფრო მეტი მათს უფროსებს; ამბობენ, რომ სულ გაუცია 16.000 ტალანტი. თვითონ იგი ჩავიდა ეფესში და იქიდან კი გასცურა იტალიაში და რომს მიაშურა; ბრუნდიზიუმში რომ მივიდა, მთელი ჯარი შინ დაითხოვა. ამ უაღრესად დემოკრატიული საქციელით მან მთელი რომაელები გააცვიფრა. როდესაც იგი რომს უახლოვდებოდა, მოსახლეობა თანდათან გამოდიოდა მის შესახვედრად, ყველაზე შორს კი გამოეგება ახალგაზრდობა და მათ შემდეგ სხვადასხვა ასაკის ხალხი, ვისაც როგორ შეეძლო.—ყველა ამათზე უწინარეს კი — სენატი, უკვირდა რა ყველას მისი გმირობა: წინათ ხომ არასოდეს და არავის დაუმარცხებია ესოდენ ძლიერი მტერი, არ დაუპყრია ამდენი და ესოდენ დიდი ხალხები და არავის გაუერცელებია

რომაელთა ხელისუფლება ეფრატის საზღვრებამდე. დიდებითა და ბრწყინვალებით, როგორც მანამდე სხვას არავის, მან, 35 წლის ასაკის კაცმა, ორი დღის განმავლობაში იდღესასწაულა ტრიუმფი მრავალ ხალხებზე პონტოდან და არმენიიდან, კაპადოკიიდან და კილიკიიდან, მთელი სირიიდან, აქ იყვნენ ალბანელებიც, ჰენიოხელებიც, სკვითი აქეველებიც და აღმოსავლეთელი იბერიელებიც. მან მოიყვანა ნავსადგურებში 700 ვარგისი ხომალდი, ხოლო ტრიუმფის საზეიმო სვლაში მრავლად იყო ეტლები და ტახტრევანები — ოქროთი შემკული, — და სხვა ნივთები, — ჰრელფერადად შემკული, დარიოს ჰისტაპის საბრძანებელიც და თვით მითრიდატე ევპატორის სამეფო ტახტი. მან უბრძანა გამოეტანათ აგრეთვე მისი კვერთხი და ოქროსგან ჩამოსხმული გამოხატულება 8 წყართის სიდიდისა, ვერცხლის მოჭრილი ფული 75.100.000* დრაქმის რაოდენობით; აქვე იყო აგრეთვე უამრავი ურემ-საზიდები იარაღითა და ხომალდების ცხვირებით დატვირთული და ტყვეთა და ზღვის მეკობრეთა დიდი რაოდენობა; არც ერთ მათგანს ბორკილი არ ედვა და ყველას თავისი ნაციონალური ტანისამოსი ეცვა.

117. თვითონ პომპეუსის ეტლის წინ მიდიოდნენ დამარცხებულ მეფეთა უმაღლესი მოხელენი, შვილები ან ჯარის უფროსნი; ზოგი მათგანი ტყვედ იყო წაყვანილი, ზოგი მძევლად იყო მიცემული, სულ 324 ადამიანი. აქ იყვნენ ტიგრანის ვაჟი ტიგრანიც და მითრიდატეს ხუთი ვაჟიც: არტაფერნი, კიროსი, ოქსათრი, დარიოსი და ქსერქსე, აგრეთვე მისი ქალები ორსაბარისი და ევპატრა. მიდიოდა აგრეთვე კოლხთა ბატონი ოლთაკე და იუდეველთა მეფე არისტობულე, და კილიკიის მმართველნი, სკვითთა სეფე-ქალები, სამი წინამძღოლი იბერიელებისა და ორი ალბანელებისა, აგრეთვე მითრიდატეს ცხენოსანი ჯარის ყოფილი სარდალი მენანდრე ლაოდიკელი. ვინც იქ არ იყვნენ კი — ტიგრანი და მითრიდატე — მათი გამოსახულებანი მიჰქონდათ, როგორ იბრძოდნენ ისინი, დამარცხდნენ და გაიქცნენ. გამოხატული იყო, როგორა ჰქონდა მითრიდატეს ალყა შემორტყმული და როგორ მოკვდა იგი და გამოხატული იყვნენ მისი ქალები, რომლებმაც მასთან ერთად სიკვდილი ირჩიეს; იყვნენ გამოხატული აგრეთვე მისი ვაჟები და ქალები, რომლებიც მასზე ადრე გარდაიცვალნენ; იქვე გამოსახული იყვნენ ბარბაროსთა ღმერთები ადგილობრივ სამოსელში. მიჰქონდათ აგრეთვე დაფა, რომელზედაც ეწერა: „ხომალდები სპილენძის საბრძოლო ცხვირით დატყვევებულია 800; ქალაქები დაარსებულია კაპადოკიაში 8, კილიკიასა და კელესირიაში — 20, პალესტინაში — ამჟამად სელევკიად წოდებული. დამარცხებული არიან მეფეები: სომხეთისა — ტიგრანი, არტოკ იბერიელი, ოროზიუს ალბანელი, მიდიის მეფე დარიოსი, ნაბატეის მეფე არეთა, ანტიოქ კომაგენელი“. აი, ეს ეწერა იქ. თვითონ პომპეუსი მი–

* დრაქმი—40 კაპ.

დიოდა ძვირფასი ქვებით მოჭედილი ეტლით, გამოწყობილი, როგორც ამბობენ, ალექსანდრე მაკედონელის ტანისამოსში, — თუ კი ეს დასაჯერებელია, — მგონია მან იგი იპოვნა მითრიდატეს საგანძურებში: ქეოსელებს იგი ჰქონდათ მიღებული კლეოპატრასაგან. მისი ეტლის უკან მიდიოდნენ მისი სარდლები, რომლებიც მასთან ერთად იბრძოდნენ; ისინი ზოგსი ცხენებით, ზოგნი კი ფეხით მიდიოდნენ. იგი ავიდა კაპიტოლიუმზე, მან ტყვეთაგან არავინ დასაჯა სიკვდილით, როგორც ეს სჩვეოდათ მოტრიუმფეებს, არამედ სახელმწიფო ხარჯზე ისინი სამშობლოში გაისტუმრა, გარდა სამეფო შთამომავლობის პირთა. და იმათგანაც მხოლოდ არისტობულე იქნა სიკვდილით დასჯილი დაუყოვნებლივ, ხოლო შემდეგში ტიგრანიც. ასეთი იყო მისი ტრიუმფი.

118. ასე დაიმორჩილეს რომაელებმა ბითინია და კაპადოკია და ყველა მათი მეზობელი ტომები, მცხოვრებნი ევქსინის პონტომდე, ებრძოდნენ რა მითრიდატეს დაახლოებით 42 წლის განმავლობაში. ამავე ომის დროს მათ გამარჯვების შედეგად სწრაფად ხელთ იგდეს კილიკიისა და სირიის ის ადგილებიც, რომლებიც მათ წინათ არასოდეს კუთვნებიათ: ფინიკია და კელესირია, პალესტინა და ცენტრალური ადგილები ეფრატამდე, მითრიდატესაც რომ არ ეკუთვნოდნენ არასოდეს; ზოგ მათგანს ხარკი დაადეს დაუყოვნებლივ. ზოგს კი ცოტა მოგვიანებით. პაფლაგონია, გალატია, ფრიგია, ფრიგიის მეზობელი მისია, და ამას გარდა კიდევ ლიდია, კარია, იონია და აზიის სხვა ადგილები, რომლებიც პერგამის მეზობლად მდებარეობენ, ძველი ელადა და მაკედონია მათ წაართვეს მითრიდატს და თვითონ დაეპატრონენ; ამ მხარეთა უმრავლესობას, რომლებიც მათ არ უხდიდნენ წინათ გადასახადს, ეხლა მათ ხარკი დაადეს. უმთავრესად ამის გამო, ჩემი აზრით, რომაელები ამ ომს დიდ ომად თვლიდნენ, ამ ომში მოპოვებულ გამარჯვებასაც დიდად მიიჩნევდნენ და პომპეუსსაც, რომელიც სარდლობდა ამ ომში, დღემდე თავიანთ ენაზე „დიდს“ უწოდებენ, იმ ტომთა სიმრავლის გამო, რომლებიც მან დაამარცხა და შემოიერთა და ომის ხანგრძლივობის (40 წელი) გამო, აგრეთვე თვითონ მითრიდატეს გამბედაობისა და ამტანლობის გამო, რომელსაც, როგორც დარწმუნდნენ ისინი, ყველაფერში უნარი შესწევდა გამკლავებოდა მათ.

119. ხშირად მას საკუთარი ხომალდები ჰქონია 400-ზე მეტი, ცხენოსნები ზოგჯერ 50.000-მდე და ფეხოსანი ჯარი — 250.000. ყოველგვარი სამხედრო მანქანები და სატყორცნი იარაღები — ამის შესაბამისად; მისი მოკავშირეები იყვნენ მეფეები და მმართველები არმენიისა და პონტოსთან, მეოტიის ტბასთან და აქედან სანაპიროს გასწვრივ თრაკიის ბოსფორის მიმართულებით მცხოვრებ სკვითებსა. მას ურთიერთობა ჰქონდა წარჩინებულ რომაელებთან, რომლებიც მაშინ განსაკუთრებით იყვნენ ერთიმეორეზე ამხედრებული და რომლებმაც რომაელების წინააღმდეგ აჯანყება მოაწყეს იბერიაში; მან მეგობრობა დაამყარა კელ-

ტებთან (გალებთან), აპირებდა რა ამ გზითაც კი იტალიაზე თავდასხმას, მან აავსო მთელი ზღვა კილიკიიდან ჰერკულესის სვეტებამდე ზღვის მეკობრეებით, რომლებმაც ყველა გზები გაუვალი და ქალაქები მიუდგომელი გახადეს და საყოველთაო მძიმე შიმშილი გამოიწვიეს. საერთოდ ადამიანის ძალისთვის მისაწვდომი არა დაუტოვებია რა, რათა თავისი მოქმედებითა და გეგმებით, ასე ვთქვათ „თავს მოეხვია“ რომაელებისათვის ეს დიდი მოძრაობა, რომელიც მოედვა მაშინ აღმოსავლეთიდან დასაკლეთამდე და აიძულებდა მათ ეომათ მასთან ერთად ან მის წინააღმდეგ, განეცადათ მეკობრეთა თავდასხმები, ანდა გატანჯულიყვნენ მათი მეზობლობით. მხოლოდ ეს ერთი ომი იყო ამდენად დიდი და მრავალფეროვანი. მისმა დასრულებამ რომაელებს უდიდესი სარგებლობა მოუტანა: მისი წყალობით მათ გააფართოვეს თავიანთი სამფლობელოს საზღვრები უკიდურესი დასავლეთიდან მდინარე ეფრატამდე. შეუძლებელია ეს მოთხრობა დავანაწევროთ ცალკეულ ტომებად, რადგანაც მოქმედებანი ყველგან ერთდროულად წარმოებდა და ერთი მეორეში იყო გადახლართული. ის კი, რის გამოყოფაც ასეთ პირობებში მაინც მოსახერხებელი იყო, განაწილებულია ამ შრომის არსებით ნაწილებზე.

120. ხოლო ფარნაკმა ალყა შემოარტყა ფანაგორიასა და ბოსფორზე მის მეზობელ ქალაქებს, რომლებიც ბოლოს, შიმშილით შეწუხებულნი, იძულებული გახდნენ მისთვის ბრძოლა გაემართათ და კიდეც დამარცხდნენ შეტაკებაში. ფარნაკმა მათ არაფერი არ დაუშავა. არამედ შეკრა მათთან მეგობრობის კავშირი, ჩამოართვა მძევლები და უკანვე გაბრუნდა. ცოტა ხნის შემდეგ მან აიღო სინოპი; განიზრახავდა რა ხელთ ეგდო ამისო, მან დაუწყო ბრძოლა რომაელ სარდალ კალვინს იმ დროს, როდესაც პომპეუსმა და ცეზარმა ერთიმეორეს ომი აუტეხეს, ვიდრე დაბოლოს, ასანდრმა, მისმა პირადმა მტერმა არ გააძევა იგი აზიიდან, რადგანაც რომაელები სხვაგან იყვნენ საქმეში გართული. იგი შეებრძოლა თვითონ ცეზარსაც, — როდესაც ეს, მას შემდეგ, რაც პომპეუსი დაამარცხა. ბრუნდებოდა ეგვიპტიდან მთა სკოტიას მახლობლად, სადაც მისმა მამამ დაამარცხა რომაელები, როდესაც მათ ტრიარიუსი წინამძღოლობდა. დამარცხებული ფარნაკი 1000 ცხენოსნითურთ სინოპში გაიქცა; ცეზარი დროის უქონლობის გამო მას არ გამოჰკიდებია, მაგრამ მის წინააღმდეგ გაგზავნა დომიციუსი. ფარნაკმა მასთან ზავი დადვა, გადასცა მას სინოპი და თავისი ცხენოსნებითურთ განთავისუფლებულ იქნენ. მან უბრძანა მხედრებს დაეხოცათ ცხენები, რამაც მათში უკმაყოფილება გამოიწვია, ჩასხა ისინი ხომალდებში და პონტოში გაიქცა; მან შეკრიბა რომელიღაც სკვითები და სავრომატები და ხელთ იგდო თეოდოსია და პანტიკაპეია. ხოლო, როდესაც ასანდრი მასთან მტრობის გამო კვლავ თავს დაესხა მას, რადგანაც ფარნაკის მხედრებს ცხენები აღარა ჰყავდათ და ქვეითად ბრძოლაში კი გამოუცდელი იყვნენ, — დამარცხდნენ, თვი-

თონ ფარნაკი მარტო იბრძოდა გმირულად და მოკლულ იქნა მრაჟალი ჰრილობის მიყენების შემდეგ.

121. ასე ფარნაკმაც დაკარგა თავისი ხელისუფლება და მისი სამეფო გაიუს ცეზარმა მისცა მითრიდატე პერგამელს, რომელიც დიდი თავგანწირვით ეხმარებოდა მას ეგვიპტეში; ეხლა ეს ორი მხარე ერთი მეორეს დაუმეგობრდნენ და სენატი ყოველ წელს ნიშნავს მმართველს პონტოშიც და ბითინიაშიც; რაც შეეხება იმ სამფლობელოებს, რომლებიც პომპეუსმა სხვებს გადასცა, თუმცა გაიუს ცეზარი ჰკიცხავდა მათ იმის გამო, რომ ისინი, პომპეუსთან შეკავშირებულნი მის წინააღმდეგ იბრძოდნენ, მაგრამ მაინც დაუტოვა მათი სამფლობელოები, გარდა კომანის ჭურუმის თანამდებობისა, რომელიც არქელაოსს ჩამოართვა და გადასცა ლიკომედს. მაგრამ რამდენიმე ხნის შემდეგ ყველა ეს მიწები, აგრეთვე ისინიც, რომლებიც სამფლობელოდ იყო გადაცემული გაიუს ცეზარის ან მარკუს ანტონიუსის მიერ სხვა პირებზე, გადაქცეულ იქნა რომის პროვინციებად იმ დროიდან, რაც ღვთაებრივმა აგუსტუსმა ხელთ იგდო ეგვიპტე.

სერტორიუსი

პლუტარქე

II. კვინტუს სერტორიუსი დაიბადა საკმაოდ ცნობილ ოჯახში ქალაქ ნურსიაში, სამნიუმში. მამით ადრე დაობლდა და დაქვრივებულმა დედამ მას მშვენიერი აღზრდა მიაღებია. ალბათ ამის გამო მას დედა მხურვალედ უყვარდა. ამბობენ, რომ მის დედას სახელად რეია ერქვა. დიდხანს ეწეოდა იგი სასამართლო პრაქტიკას და თავისი მჭერმეტყველური ნიჭის წყალობით მოიპოვა დედაქალაქში ჯერ ახალგაზრდობაშივე ერთგვარი სახელი; მაგრამ მისმა ბრწყინვალე გმირობამ ბრძოლის ველზე, მისმა წარმატებამ ამ ასპარეზზე მისი პატივმოყვარეობა ამ მხრივ წარმართა.

III. პირველად ლაშქრობაში მონაწილეობა მიიღო მან ცეპიონის უფროსობით, გალიაში კიმვრებისა და ტევტონების შეკრის დროს. რომაელები დამარცხდნენ და გამოიქცნენ. აქ სერტორიუსს ცხენი მოუკლეს ბრძოლაში და გარდა ამისა დასჭრეს კიდეც, მაგრამ აბჯარმოსილმა ფარით ხელში გადასცურა რონა, მიუხედავად იმისა, რომ ბრძოლა მოუხდა ძლიერ დინებასთან. ამდენად გამძლე და გაჯირვებას მიჩვეული იყო მისი სხეული ფიზიკური ვარჯიშის წყალობით.

ბარბაროსთა ახალი შემოსევის დროს, როდესაც ისინი გამოჩნდნენ, როგორც მრისხანე ძალა ასეული ათასობით, ისე რომ ძნელ ამოცანას წარმოადგენდა გაეჩერებია კაცს რომაელები სამხედრო მწყობრში და დაემორჩილებია ისინი მხედართმთავრისთვის, მხედართმთავრის წოდება

ემოსა მარიუსს, ხოლო სერტორიუსმა თავს იდვა დაზვერვა. შეიმოსა რა გალების ტანსაცმელით და გაიზეპირა რამდენიმე ყველაზე უფრო ხშირად სახმარი წინადადება, რათა საჭირო შემთხვევაში გამოლაპარაკება შესძლებოდა, იგი შეერია მტრების ბრბოში. ზოგი დაინახა, ზოგი მოისმინა მან, რაც მისთვის საჭირო იყო და დაბრუნდა მარიუსთან. მაშინ მან მიიღო ჯილდო „მამაცობისათვის". და შემდეგი ხნის განმავლობაშიაც მან რამდენიმეჯერ გამოიჩინა ლაშქრობაში თავისი ჭკუა და გამბედაობა, რითაც მან დაიმსახურა სახელი და მასთან ერთად მხედართმთავრის ნდობაც.

კიმვრებსა და ტევტონებთან ბრძოლის დამთავრების შემდეგ, იგი გაგზავნეს იბერიაში* სამხედრო ტრიბუნის თანამდებობაზე პრეტორ დიდიას უფროსობით. დასაზამთრებლად მან დაიბანაკა კელტიბერების ქალაქ კასტულონში. ჯარისკაცები, რომლებსაც ყველაფერი უხვად ჰქონდათ, გათავხედდნენ და თითქმის ყველა ლოთობდა, რის გამოც ბარბაროსები მათ ზიზღით უცქერდნენ. ერთხელ ღამით ბარბაროსებმა, მიიღეს რა დახმარების შეპირება თავიანთ მეზობელ გირიზენებისგან, დაიწყეს სახლებში შეცვივნა და რომაელების ჟლეტა. სერტორიუსმა მოახერხა გადარჩენა რამდენიმე ამხანაგითურთ და, აგროვებდა რა იმათ, ვინც გაქცევა მოასწრო, შემოიარა მთელი ქალაქი. ჰპოვა რა დია ჭიშკარი, რომლითაც ბარბაროსები შეუმჩნეველად შევიდნენ ქალაქში, იგი ისე არ მოიქცა, როგორც ისინი, მან ჭიშკართან გუშაგები დააყენა და ხელთ იგდო რა ქალაქი, აჩეხა მოსახლეობის ის ნაწილი, რომელსაც იარაღის ტარება შეეძლო. გაუსწორა რა მათ ანგარიში, მან უბრძანა ჯარისკაცებს აერთმიათ მათთვის იარაღი და ტანისამოსი, თვითონ შემოსილიყვნენ ესპანური ტანსაცმელით და წასულიყვნენ იმ ქალაქისაკენ, საიდანაც გამოგზავნილი იყვნენ მტრები, რომლებიც მათ თავს დაესხნენ ღამით. ბარბაროსებმა მათი იარაღი რომ დაინახეს, მოტყუვდნენ. სერტორიუსს ქალაქის ჭიშკარი ღია დახვდა და შეიპყრო მრავალი ბარბაროსი, რომლებიც გამოსულიყვნენ თავიანთი მეგობრებისა და თანამოქალაქეების შესახვედრად, ფიქრობდნენ რა, რომ ისინი ბრწყინვალე გამარჯვების შემდეგ ბრუნდებოდნენ. რომაელებმა ამისთვის ისინი თითქმის მთლიანად ამოხოცეს ჭიშკართან, ხოლო ვინც დანებდათ, მონებად გაყიდეს.

IV. თავისი გმირობით სერტორიუსმა სახელი გაითქვა იბერიაში.* პირველად რომ დაბრუნდა რომში, მან მიიღო კვესტორის თანამდებობა ციზალპიურ გალიაში, და უნდა ითქვას ძალიან საჭირო დროს: იწყებოდა მარსიის ომი, და მან მიიღო ბრძანება შეეკრიბა ჯარი და სწრაფად შესრულებით, სხვა ახალგაზრდების სიზანტესა და უსაქმურობასთან შედარებით, მან შესძლო მოეხვეჭა ისეთი კაცის სახელი, რომელიც მომავლისათვის დიდი საქმიანი მოღვაწეობის იმედს იძლეოდა.

---

* იგულისხმება ესპანეთი.

მიუხედავად მხედართმთავრის წოდებისა, ის სიმამაცით არ ჩამოუვარდებოდა უბრალო ჯარისკაცს. მან ჩაიდინა შესანიშნავი საგმირო საქმეები, გამოიჩინა რა პირადი სიმამაცე, და თავგანწირული იყო ბრძოლაში, ამასთანავე მან დაკარგა ცალი თვალი, რომელიც ბრძოლაში გამოსთხარეს. ამით იგი ამაყობდა მთელი სიცოცხლის განმავლობაში და ამბობდა ხოლმე, რომ „სხვებს ყოველთვის არ შეუძლიათ თან იქონიონ თავიანთი გმირობის დამამტკიცებელი საბუთი; მათ ამისთვის ხშირად უხდებათ მოიხსნან აბჯარი, იარაღი, ჯაჭვი და გვირგვინი; მას კი თავისი გმირობის მაჩვენებელი მუდამ თანა აქვს, და ის, ვინც მის უბედურებას ხედავს, იგი ხედავს აგრეთვე მის სიმამაცესაც“.

ხალხმა ღირსეულად დააჯილდოვა იგი: როდესაც ის თეატრში შევიდა, მას ისეთი ტაშისცემითა და მისალმებით შეხვდნენ, რომლის მსგავსსაც არა ღირსებია მასზე უფროსი და მეტად ცნობილი პიროვნებანი. მის კანდიდატურას სახალხო ტრიბუნის წოდებაზე წარმატება მაინც არ მოჰყოლია, სულას ხრიკების წყალობით. ალბათ, ამით უნდა აიხსნას მისი სიძულვილი სულასადმი.

როდესაც სულასგან დამარცხებული მარიუსი ილეტოდა, ხოლო სულა უნდა გამგზავრებულიყო მითრიდატესთან საომრად, ერთი კონსული-თაგანი, ოქტავიუსი, სულას ერთგულ მომხრედ დარჩა; მაგრამ (მეორე კონსული) ცინა განიზრახავდა სახელმწიფო გადატრიალებას და მარიუსის სულიერად დაცემული პარტიის აღდგენას. მაშინ სერტორიუსმაც მისი მხარი დაიჭირა, ხედავდა რა ამას გარდა, რომ ოქტავიუსი თვითონ დიდი ყეყეჩი ვინმე იყო და არც მარიუსის მეგობრებს ენდობოდა. ფორუმზე კონსულებს შორის სისხლისმღვრელი შეტაკება მოხდა. გამარჯვებული გამოვიდა ოქტავიუსი. ცინამა და სერტორიუსმა გაქცევით უშველეს თავს, დაეღუპათ რა თავიანთი მომხრეებიდან თითქმის ათიათასი კაცი. მათ მაინც მოახერხეს დარწმუნების გზით გადაებირებიათ თავისკენ იტალიაში გაბნეული ჯარის უმეტესობა და მალე ოქტავიუსის ღირსეულ მოწინააღმდეგეებად გამოსულიყვნენ.

V. ამასობაში მარიუსი დაბრუნდა აფრიკიდან და უნდოდა შეერთებოდა ცინას, როგორც უბრალო მოქალაქე. ყველა დანარჩენნი მომხრე იყვნენ მიეღოთ იგი; მხოლოდ სერტორიუსი არ ეთანხმებოდა მათ. იქნება იგი ფიქრობდა, რომ ცინა მას აღარ გაუწევდა ანგარიშს, თუ მას გვერდით ეყოლებოდა ადამიანი, რომელიც უფრო მეტად იყო სარდლობის ღირსი; იქნება მას ეშინოდა მარიუსის მკაცრი ხასიათისა; ეშინოდა, რომ ის ყველაფერს ჩაჰფუშავდა, რადგან განრისხების დროს თავის შეკავება არ იცოდა და გამარჯვების შემთხვევაში კი სამართლიანობის ფარგლებს გადასცდებოდა. ამიტომ ის ამბობდა, რომ, რაკი მათ საბოლოო გამარჯვებამდე ბევრი აღარა დარჩენიათ რა, მიიღებენ რა მარიუსს, ისინი იძულებული გახდებიან ხელი აიღონ მთელ თავიანთ სახელსა და მნიშვნელობაზე მის სასარგებლოდ, როგორც იმ ადამიანი-

სათვის, რომელსაც არ უყვარს სახელში სხვასაც დაუდვას წილი და რომელიც ამასთანავე არც სანდოა. ცინამ უპასუხა, რომ სერტორიუსი საღად მსჯელობს, მაგრამ მას რცხვენია უარი უთხრას მარიუსს, რომელიც მან თვითონ მოიწვია ერთობლივი მოქმედებისთვის და ამას გარდა მან არ იცის, როგორ მოახერხოს ეს. „მე მეგონა, — უპასუხა სერტორიუსმა, — რომ მარიუსი იტალიაში დაბრუნდა საკუთარი ნებასურვილით, რის გამოც მე ყურადღებას ვაქცევდი მხოლოდ ჩვენს ინტერესებს. მაგრამ რაკი კაცი შენი მოწვევით ჩამოსულა, შენ გიჯობდა თავიდანვე სრულებით არ დაგეწყო ამაზე ლაპარაკი. შენ დაგრჩენია მხოლოდ მიიღო იგი და ისარგებლო მისი აქ ყოფნით. რაკი სიტყვა მიცემულია, აღარავითარ მსჯელობას ადგილი აღარ უნდა ჰქონდეს“. მაშინ ცინამ მიიწვია მარიუსი. ჯარი სამ ნაწილად გაყვეს და მათ სამი სარდალი უფროსობდა.

როდესაც ომი მათი გამარჯვებით დამთავრდა, ცინამა და მარიუსმა თავიანთ მომხრეებთან ერთად აღვირი აუშვეს თავიანთ თავხედობასა და გაბოროტებას, ისე რომ ომის ძველი უბედურებანი რომაელებს, თუ შეიძლება ასე ითქვას, ოქროდ ეჩვენებოდათ. მხოლოდ სერტორიუსს, როგორც ამბობენ, არავინ მოუკლავს შურისძიებით და შეურაცხყოფა არ მიუყენებია დამარცხებულთათვის. მაგრამ ეს ცოტაა, იგი გაბრაზებული იყო მარიუსზე და ცდილობდა პირადი თხოვნით ცინას მოქმედება უფრო ზომიერი გაეხადა. მონებმა, რომლებსაც მარიუსი ლაშქრობის დროს იყენებდა როგორც თანაშემწეებს და გარს შემოეხვია ისინი, როგორც მცველები, თავისი ტირანიის დროს, — მოიხვეჭეს ბოლოს მისი წყალობით ძალა და ქონება, ნაწილობრივ მისი ნებართვითა და მისი ბრძანებით, ნაწილობრივ კი თავისი საკუთარი ნებასურვილით, ნებას აძლევდნენ რა თავის თავს უკანონო მოქმედებისთვის მათი წინანდელი ბატონების მიმართ: ისინი ხოცავდნენ მათ, აუპატიურებდნენ მათ ცოლებსა და შვილებს. სერტორიუსი ვერ ითმენდა ამას და უბრძანა ყველა ისინი, ოთხიათასამდე კაცი, ამოეხოცნათ ერთდროულად ბანაკში.

VI. მარიუსი გარდაიცვალა; ცინა მალე მოკლულ იქნა. მაშინ კონსული გახდა მარიუს უმცროსი, უკანონოდ და სერტორიუსის სურვილის წინააღმდეგ. კარბონები, ნორბანები და სციპიონები დამარცხებას განიცდიდნენ სულასაგან, რომელმაც იტალიაზე მიიტანა ომერიში. საქმე წაგებულ იქნა ნაწილობრივ სარდალთა სიმხდალისა და სისუსტის გამო, ნაწილობრივ კი ღალატის გამო. სერტორიუსის იქ ყოფნას არავითარი სარგებლობა არ მოჰქონდა იმ ხალხის მიერ საქმის ცუდად წარმართვის გამო, რომელთაც მასთან შედარებით დიდი გავლენა ჰქონდათ. და ბოლოს სულამ დაიბანაკა სციპიონის მახლობლად და, გააბრუა რა ახლო მომავალში დაზავების იმედით, მოახერხა მისი ჯარის თავისკენ გადაბირება. სერტორიუსი ამაზე წინასწარ მიუთითებდა სციპიონს, აფრთხილებდა მას, მაგრამ ვერ დაარწმუნა. დარწმუნდა რა საბოლოოდ სახელ-

მწიფოს ხსნის შეუძლებლობაში, ის გაიქცა იბერიაში იმ მიზნით, რომ იგი გადაეცია თავშესაფარად თავისი ლტოლვილი მეგობრებისთვის, თუ კი იგი მოახერხებდა დროზე იქ თავისი ძალაუფლების განმტკიცებას. მთებში მას ძლიერმა ქარიშხალმა მოუსწრო. მას მოუხდა ბარბაროსთაგან ფულით ეყიდა თავისუფალი გზა. მისი ამხანაგები აღშფოთებული იყვნენ, მიაჩნდათ რა სამარცხვინოდ, რომ რომაელი პროკონსული ფულს აძლევდა „საძულველ ბარბაროსებს"; მაგრამ სერტორიუსი ნაკლებ ყურადღებას აქცევდა პირად დამცირებას და ამბობდა, რომ ყიღულობს დროს იმ ადამიანისთვის ყველაზე უფრო ძვირფასს, რომელსაც ფართო გეგმები აქვს მოფიქრებული. მან დააკმაყოფილა ბარბაროსები ფულით და სწრაფად დაეუფლა იბერიას.

მან დაინახა, რომ ადგილობრივ მოსახლეობას ბლომად ჰყავდა სამხედრო ჰასაკის ჯანსაღი ჰაბუკები, მაგრამ ხალხი უკმაყოფილო იყო რომაული ხელისუფლებით იმ პრეტორთა სიხარბისა და ქედმაღლობის გამო, რომელნიც ყოველწლიურად იქ იგზავნებოდნენ, მან მოიბირა თავისკენ მათი (ხალხის) მამასახლისები მოფერებით, ხოლო უბრალო ხალხი კი — გადასახადების შემცირებით. განსაკუთრებით იმით დაიმსახურა მან სიყვარული, რომ ხალხი გაათავისუფლა ჯარის სახლებში ჩაყენებისაგან, — მან ააგებია ჯარისკაცებს საზამთრო კარვები და თვითონ ერთი პირველთაგანი ჩასახლდა იქ. ამისდა მიუხედავად, არა ჰქონდა რა იმედი ადგილობრივი მოსახლეობის ერთგულებისა, მან დაურიგა იარაღი იბერიაში გადმოსახლებულ ჯანსაღ ახალგაზრდა რომაელებსაც; ამას გარდა იგი შეუდგა სხვადასხვა სახის სამხედრო მანქანებისა და სამხედრო ხომალდების აგებას, მორჩილებაში ჰყავდა ცალკეული ქალაქები, ლმობიერებას იჩენდა მშვიდობიანობის საქმეში, მაგრამ შიშის ზარსა სცემდა მტერს თავისი სამხედრო მზადებითა და ომისთვის მზადყოფნით.

VII. მიიღო რა ცნობა იმის შესახებ, რომ სულამ ხელთ იგდო რომი და რომ მარიუსისა კარბონის პარტიებმა შესწყვიტეს უკვე თავისი არსებობა, იგი მოელოდა, რომ ვისიმე წინამძღოლობით შეიკრებოდა არმია (იბერიაში) მის წინააღმდეგ სამოქმედოდ, რის გამოც გაგზავნა იულიუს სალინატორი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარის ექვსათასიანი რაზმით, რათა ჩაეკეტა პირენეის მთის გადასასვლელები. მართლაც, სულამ მალე გაგზავნა გაიუს ანიუსი. დაინახა რა, რომ იულიუსს მიუდგომელი პოზიცია უკავია, იგი გაჰკრავებულ მდგომარეობაში მყოფი გაჩერდა მთების ძირში. ვიღაც კალპურნიუსმა, მეტსახელად ლანარიუსმა, ღალატით მოკლა იულიუსი; მაშინ მისმა ჯარისკაცებმა მიატოვეს პირენეის მწვერვალები და ანიუსი გადავიდა მთებზე თავისი მრავალრიცხოვანი ჯარით და გაემართა წინ, გაჰფანტა რა ყველანი, ვინც მის წინსვლას ხელს უშლიდა.

სერტორიუსმა, რომელიც მასთან ბრძოლას უთანასწოროდ თვლიდა, თავი შეაფარა სამიათასი კაცითურთ ახალ კართაგენს. აქ იგი დაბარგდა

ხომალდზე, გადასცურა ზღვა და გადავიდა აფრიკაში მავრიტანიის საზღვრის მახლობლად. იმ დროს, როდესაც მისი ჯარისკაცები ზღვიდან წყალს იღებდნენ ისე, რომ გუშაგები არა ჰყავდათ დაყენებული, მათ თავს დაესხნენ ადგილობრივი მცხოვრებლები და ბევრნი დახოცეს. სერტორიუსი ხელმეორედ გაემგზავრა იბერიაში. ჯერ ვერ მოახერხა ნაპირზე გადასვლა. მაგრამ დამხმარედ მიიღო კილიკიელ მეკობრეთა რამდენიმე ხომალდი და ღუზა ჩაუშვა პიტიუსის ნავსადგურთან, გადასხა ნაპირზე თავისი ჯარი და გააძევა ანიუსის მიერ იქ დატოვებული გარნიზონი. მაგრამ მალე გამოცხადდა იქ ანიუსი ძლიერი ფლოტითა და ხუთიათასი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარით. სერტორიუსმა გადაწყვიტა გაემართა საზღვაო ბრძოლა; თუმცა მისი ხომალდები გამოირჩეოდნენ სიმსუბუქითა და მოძრაობის სისწრაფით, მაგრამ ზღვაზე ბრძოლისათვის ვარგისნი მაინც არ იყვნენ. ამ დროს დაჰბერა ძლიერმა დასავლეთის ქარმა: ზღვაზე ქარიშხალი ამოვარდა. რადგან სერტორიუსის ხომალდები მსუბუქი იყო, ქარი მათ კლდეებს ახეთქებდა. მას არ შეეძლო ზღვაში გასვლა ცოტა ხომალდებით, ხმელეთზე გადასვლის საშუალებას კი მტერი არ აძლევდა. ათი დღის განმავლობაში მოუხდა ტალღებთან ბრძოლა და დიდი გაჭირვებით გაუძლო ძლიერ რყევას.

VIII. როდესაც ქარი ჩადგა, იგი მიადგა გაფანტულ რაღაც უწყლო კუნძულების ჯგუფს, სადაც ჩაუშვა ღუზა. აქედან იგი გავიდა ზღვაში, გაიარა გადირის სრუტე და გადავიდა ხმელეთზე მარჯვნივ, იბერიის იმ ადგილებში, რომლებიც სრუტის იქით მდებარეობს, მდ. ბეტისის შესართავთან; ეს მდინარე ატლანტიკის ოკეანეში ჩადის და მისი სახელით იწოდება იბერიის ის ნაწილი, რომელზედაც იგი მიედინება. აქ იგი შეხვდა რამდენიმე მეზღვაურს, რომლებიც ახალი მოსული იყვნენ ატლანტიკის ოკეანეს კუნძულებიდან...

IX. სერტორიუსს აღეძრა სურვილი დასახლებულიყო ამ კუნძულზე და ეცხოვრა მშვიდად, ისე რომ არ დამორჩილებოდა ტირანიას, შორს ყოფილიყო სამხედრო ხმაურისაგან. კილიკიელები მიხვდნენ მის ასეთ განზრახვას და არა სურდათ რა მშვიდად ცხოვრება, რადგან მხოლოდ სიმდიდრესა და დავლაზე ფიქრობდნენ,'— გასცურეს ლიბიაში იმ მიზნით, რომ დაებრუნებიათ მავრიტანიის ტახტი იფტას ვაჟისთვის—ასკალიდისთვის. მაგრამ სერტორიუსმა მაინც გული არ გაიტეხა. მან გადაწყვიტა დახმარებოდა იმათ, ვინც ასკალიდს ებრძოდა, რათა თავისი ჯარისკაცებისთვის მიეცა საზრდო ახალი იმედებისთვის, ეშოვნა შემთხვევა ახალი საქმიანობისათვის და არ მიეცა საშუალება გაჭირვების გამო გაფანტულიყვნენ. მავრიტანებმა ის დიდი ხალისით მიიღეს. მათთან მისვლისთანავე იგი საქმეს შეუდგა, დაამარცხა ასკალიდი და ალყაში მოაქცია.

ამასობაში სულამ გაუგზავნა ასკალიდსა და მის მომხრეებს დამხმარე ჯარი პაციანეს მეთაურობით. სერტორიუსმა გაუმართა ბრძოლა პა-

ციანეს. დაამარცხა იგი, — ამასთანავე პაციანე დაიღუპა ამ ბრძოლაში— და აიძულა მისი ჯარი მას მიმხრობოდა. შემდეგ ალყა შემოარტყა ტინგას, სადაც გაიქცა ასკალიდი თავისი ძმებითურთ.

ხელთ იგდო რა მთელი ის მიდამო, სერტორიუსმა არაფერი აწყენინა იმათ, ვინც მას დახმარება სთხოვა და იგი ყველას ნდობით ეპყრობოდა. მან გადასცა მათ, რაც მათ ეკუთვნოდათ, ქალაქები და ხელისუფლება, აიღო რა თავისთვის მხოლოდ ის, რის მიღებასაც მისი ღირსების შელახვა არ შეეძლო.

X. როდესაც იგი აქ იმ ფიქრში იყო, თუ საით გამგზავრებულიყო, მაშინ მასთან მოვიდნენ ლუზიტანიის ელჩები, რომლებმაც წინადადება მისცეს ჩასდგომოდა იგი მათ სათავეში. რომაელების წინაშე ისინი დიდ შიშს განიცდიდნენ და ამიტომ საჭიროებდნენ სარდალს, რომელსაც მოხვეჭილი ჰქონდა სახელი და გააჩნდა გამოცდილება სამხედრო საქმეში. სერტორიუსის ხასიათი მათ იცოდნენ იმათგან, ვინც წინათ ყოფილა მასთან და თავიანთ ბედიღბალს მხოლოდ მას ანდობდნენ. ამბობენ, სერტორიუსზე ისევე არ მოქმედებდა გრძნობითი კმაყოფილება, როგორც შიში იყო მისთვის უცხოო. ჰირში გაუტეხავი, იგი თავშეკავებული იყო ბედნიერებაში. პირდაპირი შეტაკების დროს იგი ისეთ გამბედაობას იჩენდა, რომლითაც მას ვერც ერთი მისი დროის სარდალი ვერ შეედრებოდა. ისეთ შემთხვევაში კი, როდესაც ომში საჭირო იყო ხერხით მოქცევა ან დასწრება, მაგალითად, თუ საჭირო იყო ძლიერი პოზიციის დაჭერა, ან რაიმე მანძილის გაელა, რაც სისწრაფესა და მტრის მოტყუების უნარს მოითხოვდა, იგი თავისი საქმის დიდად დახელოვნებული ოსტატი იყო. უხვად აჯილდოვებდა იგი სიმამაცისა და გმირობისთვის და ზომიერად სჯიდა დანაშაულისთვის. ამისდა მიუხედავად, მისი სიმკაცრე, მისი არაადამიანური მოპყრობა მძევლებისადმი, მისი სიცოცხლის უკანასკნელ წლებში, ალბათ, იმის მაჩვენებელია, რომ იგი არ იყო სათნო ბუნებით, არამედ ასეთ სახეს მიიღებდა ხოლმე საჭიროებისდა მიხედვით, გონებრივი განსჯის შედეგად...

XI. ასე იყო თუ ისე, იგი ამჟამად გაემგზავრა ლიბიიდან ლუზიტანელების მიწვევით. მიიღო რა სარდლობა, იგი დაუყოვნებლივ შეუდგა ჯარის შეგროვებას და ხელი მიჰყო იბერიის მახლობელი ოლქების დაპყრობას. უმრავლესობა მათგან, თუმცა ნებით მორჩილდებოდა, უმთავრესად ლმობიერი მოპყრობისა და ენერგიის წყალობით, ამისდა მიუხედავად, იგი მათ მოსატყუებლად და გადმოსაბირებლად, მაინც ნაირ-ნაირ ხრიკებს მიჰმართავდა. ამ შემთხვევაში მას ყველაზე დიდ სამსახურს უწევდა ირემი. ამაზე შემდეგს მოუთხრობენ. ვინმე უბრალო ადგილობრივი მცხოვრები, სახელად სპანი ნადირობის დროს შეხვდა ახლად დაბადებულ ირმის ნუკრს, რომელსაც სრულიად უჩვეულო ფერი ჰქონდა— იგი მთლად თეთრი იყო, მან მოახერხა მისი დაჭერა. შემთხვევით იმ მიდამოებში იყო დაბანაკებული სერტორიუსი. იგი სიამოვნებით იღებდა ნა-

დირობის და მიწათმოქმედების ყოველგვარ ნაყოფს, რომელსაც მას სთავაზობდნენ საჩუქრად. და, აი, სპანმა მას მიართვა საჩუქრად ეს ირემი. სერტორიუსმა მიიღო იგი და პირველად არც თუ აღტაცებული იყო სიხარულით. მაგრამ შემდგომში მან ისე მოაშინაურა ირემი, ისე შეეჩვია, რომ მოირბენდა ხოლმე მის დაძახილზე, უკან დაჰყვებოდა მას და სრულიად არ უფრთხოდა ბანაკის ხმაურს. სერტორიუსმა ირემი თანდათანობით რელიგიურ თაყვანისცემის საგნად გადააქცია, გაავრცელა ხმა, თითქოს მას იგი ანუქა არტემიდამ; იგი მოწიწებით მოუთხრობდა, რომ ირემი მას აცნობებს „საიდუმლო ამბებს,— სერტორიუსს ესმოდა, რომ ბარბაროსი ხალხები თავიანთი ბუნების წყალობით ადვილად მისდევენ ცრუმორწმუნეობას. სხვათა შორის იგი შემდეგ ხრიკებს მიმართავდა. როცა მიიღებდა საიდუმლო ცნობას იმის შესახებ, რომ მტერი შევიდა მისი ქვეყნის რომელიმე ნაწილზე, ან მოახერხა რომელიმე ქალაქის გადაბირება, იგი ამბობდა, ვითომც მისთვის ირემს სიზმარში გამოეცხადებიოს მზად იყოლიოს თავისი ჯარი. სწორედ ასევე, როგორც კი შეიტყობდა, რომ მისმა რომელიმე სარდალმა მოიპოვა გამარჯვება, შიკრიკს დამალავდა, მაგრამ წინ გამოიყვანდა სიხარულის ნიშნად ყვავილებით შემკულ ირემს, წინადადებას აძლევდა ყველას გამხიარულებულიყვნენ და ღმერთებისთვის მსხვერპლი შეეწირათ, ამბობდა რა, რომ, ალბათ, მალე სასიამოვნო ამბავი უნდა შეიტყონ.

XII. ამგვარად მან მოახერხა გაეხადა ბარბაროსები გამგონედ და დამჯერებლად, რის გამოც იგი უფრო ადვილად აღწევდა თავის მიზანს. ისინი დარწმუნებული იყვნენ, რომ ემორჩილებიან არა სხვა ტომის სარდალს, არამედ მათთვის ღვთისგან მოვლენილ ბელადს. თვით მოვლენები ამართლებდა მათ მოსაზრებას,— ისინი ხედავდნენ, რომ ორიათას ექვსასი „რომაელით", როგორც მათ სერტორიუსი უწოდებდა, შვიდასი ლიბიელით, რომლებიც სხვადასხვა ტომისა იყვნენ, და ლუზიტანიაში მსუბუქი ქვეითი ჯარით და შვიდასი ცხენოსანი მხედრით იგი ეწეოდა ომს ოთხ რომაელ სარდალთან, რომელთა განკარგულებაშიაც იყო ასოცი ათასი ქვეითი ჯარი, ექვსიათასი ცხენოსანი, ორიათასი მსროლელი და მეშურდულე და მრავალი ქალაქი, მაშინ, როდესაც მას თავდაპირველად მხოლოდ ოცი ქალაქი ექვემდებარებოდა. იყო რა იგი სუსტი და დაიწყო ჯერ მცირედით, მან არა მხოლოდ დაიპყრო ძლიერი ხალხები და აიღო მრავალი ქალაქი, არამედ საზღვაო ბრძოლაში მელარიის სრუტესთან დაამარცხა პროპრეტორი კოტა, ბეტისის სანაპიროზე გაიმარჯვა ბეტიკის მეფის მოადგილე ფუფიდიზე, სადაც ორიათასი რომაელი აჩეხა, შემდეგ მისმა კვესტორმა დაამარცხა ჩრდილოეთ იბერიის პროკონსული ლუციუს დომიციუსი და ამას გარდა აგრეთვე მეორე სარდალი ტორანიუსი, რომელიც მეტელუსის მიერ მის წინააღმდეგ იყო გაგზავნილი. ამასთანავე ტორანიუსი ბრძოლაში დაიღუპა. თვითონ მეტელუსი, რომელსაც რომში დიდი გავლენა და სახელი ჰქონდა მოხვეჭილი, რამდენი-

მეჯერ იქნა სერტორიუსის მიერ დამარცხებული და ისეთ უიმედო მდგომარეობაში ჩაყენებული, რომ ლუციუს მალიუსი იძულებული იყო წასულიყო მის დასახმარებლად სარბონის გალიიდან. პომპეუს დიდმა კი მიიღო ბრძანება სასწრაფოდ გამგზავრებულიყო რომიდან მთელი თავისი ჯარით. მეტელუსმა აღარ იცოდა როგორ ეწარმოებია ომი გამბედავ მოწინააღმდეგესთან, რომელიც თავს არიდებდა პირდაპირ შებრძოლებას ღია ველზე და აწყობდა თავის ჯარს სულ სხვადასხვანაირად იბერიელ ჯარისკაცთა სიმკვირცხლის წყალობით. მეტელუსს შეეძლო ბრძოლა მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარის საშუალებით, ისეთ ომში, რომელიც ტაქტიკის მიხედვით წარმოებდა, შეეძლო ეხელმძღვანელა ადგილზე მძიმედ მდგომ ფალანგისათვის, რომელიც კარგად იყო გაწვრთნილი იმისთვის, რომ უკუეგდო ხელჩართულ ბრძოლაში ჩაბმული მოწინააღმდეგე; მთებზე სულ გაუჩერებლივ დევნა გაქცეული მტრისა, შიმშილის ატანა, უცეცხლოდ, უკარვოდ, ღია ცის ქვეშ ცხოვრება, როგორც სერტორიუსის ჯარისკაცებს, — მათ არ შეეძლოთ.

XIII. მეტელუსი უკვე მოხუცი იყო და ხანგრძლივი მძიმე საქმიანობის შემდეგ, იგი ახლა მიეცა უქმსა და სიამოვნებით აღსავსე ცხოვრებას. მას უხდებოდა ბრძოლა სერტორიუსთან, რომელიც ახალგაზრდული ჯანღონით იყო სავსე და გააჩნდა შესანიშნავი, მარტივ ცხოვრებასთან შეგუებული და მოქნილი ჯანმრთელობა. სერტორიუსი არასოდეს არა სჭამდა იმდენს, რომ დამთვრალიყო, მიჩვეული იყო შრომას, ხანგრძლივ სიარულს, მას შეეძლო რამდენიმე ღამე ზედიზედ უძილოდ გაეტარებია და კმაყოფილდებოდა ზომიერი რაოდენობის უბრალო სანოვაგით. თავისუფალ დროს იგი მუდამ მიდიოდა სასეირნოდ და სანადიროდ, ამიტომ იცნობდა ყველა სასვლელ და გაუვალ ადგილებს, საიდანაც შეეძლო მას გაქცევა, მტრისგან დევნილს, და გზა გადაეჭრა მტრისთვის მისი დევნის დროს. აი რატომ განიცდიდა ზიანს მეტელუსი, რომელიც მოკლებული იყო შესაძლებლობას შებმოდა მას პირისპირ. მაშინ, როდესაც სერტორიუსი იყენებდა გაქცევის დროს დევნილის უპირატესობას. მან გადაუჭრა მოწინააღმდეგეს წყალი, უძნელებდა სურსათის შოვნას, ხელს უშლიდა წინსვლაში და მოსვენებას არ აძლევდა გაჩერებულიყო; როდესაც ისინი ვისმე ალყას შემოარტყამდნენ, იგი იქ გაჩნდებოდა და თვით მათ ჩააყენებდა ალყაშემორტყმულ მდგომარეობაში, რომელთაც უნდა განეცადათ გაჭირვება აუცილებელი რაშის უქონლობით. ამრიგად მტრის ჯარისკაცები იქანცებოდნენ, მორჩილებაზე უარს ამბობდნენ და როდესაც სერტორიუსი იწვევდა მეტელუსს ორთა ბრძოლაში, ისინი ყიჟინით მოითხოვდნენ, რათა სარდალი — სარდალს, რომაელი — რომაელს შერკინებოდა. როცა მეტელუსი უარს აცხადებდა, ისინი მას სასაცილოდ იგდებდნენ. მაგრამ ისიც თავის მხრით დასცინოდა მათ და ის მართალიც იყო: სარდალი, თეოფრასტეს სიტყვით რომ

ვთქვათ, უნდა მოკვდეს სარდლის და არა უბრალო ჯარისკაცის სიკვდილით.

იმავე დროს მეტელუსმა შენიშნა, რომ ლანგობრიტები სერტორიუსს დიდ დახმარებას უწევენ და რომ მათი ქალაქის აღება ადვილია მისი წყლით ცუდი მომარაგების გამო, რადგან ქალაქში მხოლოდ ერთი ჭა მოიპოვებოდა, ხოლო ნაკადულების წყალი კი ქალაქის მიდამოებში ადვილად ჩაუვარდებოდა ხელთ ქალაქისთვის ალყა შემომრტყმელს. იგი გაემართა ქალაქისაკენ და იმედოვნებდა, რომ ორი დღის ალყის შემდეგ ქალაქი დანებდებოდა უწყლობის გამო, ამიტომ მან უბრძანა ჯარისკაცებს თან წაეღოთ პურის მხოლოდ ხუთი დღის მარაგი. მაგრამ სერტორიუსი სწრაფად გაჩნდა საშველად და ბრძანა წყლით აევსოთ ორიათასი ტიკი, რისთვისაც კარგი საფასური დანიშნა. ბევრმა იბერიელმა, აგრეთვე მრავალმა მავრიტანელმა, განაცხადა ამ საქმეზე სურვილი. სერტორიუსმა ამოარჩია მათში ყველაზე მამაცი და მოხერხებულნი და გაგზავნა მთის ბილიკებით, თან უბრძანა, რომ როდესაც ტიკებს გადასცემდნენ მცხოვრებთ, ქალაქიდან შეუმჩნევლად გამოეყვანათ ზედმეტი მოსახლეობა, რათა წყალი ყოფნოდა ქალაქის დამცველთ. როდესაც მეტელუსმა ეს გაიგო, უსიამოვნოდ განცვიფრდა, რადგანაც მის ჯარისკაცებს სურსათი უკვე გამოელიათ. მან გაგზავნა სანოვაგის მოსატანად ექვსიათასიანი რაზმი აქვინიუსის მეთაურობით. გაიგო რა ეს, სერტორიუსი მას გზაში ჩაუსაფრდა. იმ დროს, როდესაც აქვინიუსი უკან ბრუნდებოდა, ტყით შემოსილ ხეობაში, მას წინ შეეჩეხა სამიათასი კაცი, ხოლო სერტორიუსი ფრონტიდან დაესხა მას თავს და იგი გააქცია. მტრების ნაწილი გაჟლიტა, ნაწილობრივ ტყვედ იგდო ხელთ. როდესაც აქვინიუსი თვითონ უიარაღოდ და უცხენოდ მივიდა მეტელუსთან, იგი იძულებული გახდა შერცხვენილს უკან დაეხია, რომელსაც იბერებმა სიცილი უხვად დააყარეს.

XIV. თავისი გამარჯვებებით სერტორიუსმა ბარბაროსთა შორის დიდი განცვიფრება გამოიწვია და მათი სიყვარული მოიპოვა. ამას გარდა მან ისინი შეაიარაღა და გაწრთვნა რომაულ წესზე, რითაც მან მოათვინიერა მათი ველური. გიჟური სიმამაცე და გარდაქმნა ისინი ყაჩაღური ბრბოდან წესიერ არმიად. შემდეგ, არა ზოგადად რა იგი ოქრო-ვერცხლს, უმკობდა მათ მუზარადებს, უჯრელებდა ფარებს, ურჩევდა ეტარებიათ ფერადი ტანისამოსი და წამოსასხამები, აძლევდა მათ ამისთვის თანხას და აღიზიანებდა რა მათ პატივმოყვარეობას, ცდილობდა ისინი თავისი ერთგულნი გაეხადა. მაგრამ, მან მათი გული მოიგო უმთავრესად იმ ზრუნვით, რომელსაც იგი მათი შვილების მიმართ იჩენდა. მან შეკრიბა სხვადასხვა ტომთა წარჩინებული ოჯახების შვილები, გაგზავნა ისინი დიდ ქალაქ ოსკში და მოუჩინა მათ მასწავლებლები ბერძნულ და რომაულ მეცნიერებაში გასაწვრთნელად. სინამდვილეში ისინი მისი მძევლები იყვნენ, სიტყვით კი იგი მათ აძლევდა განათლებას, რათა მათ ვაჟ-

ჯაცობის პერიოდში მიეღოთ მასთან ერთად მონაწილეობა პოლიტიკასა და მმართველობაში. მათი მამები სიამოვნებით უცქერდნენ, თუ როგორ მიდიოდნენ ბავშვები სკოლაში ძოწეულმოვლებულ ტოგებში[259] გამოწყობილნი. როგორ იხდიდა მათ მაგიერ ხარჯებს სერტორიუსი, ხშირად კითხულობდა როგორ სწავლობდნენ ისინი და საუკეთესო მოსწავლეებს ურიგებდა ჯილდოებს, ასაჩუქრებდა რა მათ ოქროს მედალიონებით, რომელსაც რომაელები „ბულას" ეძახიან.

იბერებს ჩვეულებად ჰქონდათ, რომ სარდლის დაღუპვის შემთხვევაში მთელს მის ამალას მასთან ერთად უნდა დაედგა თავი. ამ წესს ბარბაროსები „სარდლის მსხვერპლს" უწოდებდნენ. სხვა სარდლებს თან სდევდნენ მცველთა და მეგობართა მხოლოდ მცირე რაოდენობა, მაშინ, როდესაც სერტორიუსს ახლდა მრავალი ათეული ათასი კაცი, რომლებსაც მისი გულისთვის თავი განწირული ჰქონდათ. ამბობენ, რომ როდესაც ერთხელ სერტორიუსი ერთ რომელიღაც ქალაქთან დამარცხდა და იძულებული იყო უკან დაეხია, მას მტრები ძლიერ ავიწროვებდნენ, მაგრამ იბერებმა დაივიწყეს თავისი თავი და მხოლოდ სერტორიუსის გადარჩენაზე ფიქრობდნენ. მათ იგი მხრებზე შეისვეს და გადასცემდნენ ერთიმეორეს, ვიდრე კედელზე არ აიყვანეს. თვითეულმა მათგანმა მხოლოდ მაშინ იფიქრა გაქცევაზე, როცა მათი წინამძღოლი უკვე უშიშარ ადგილას იმყოფებოდა.

XV. იგი უყვარდათ არა მხოლოდ იბერებს, არამედ იტალიიდან მოსულ ჯარებსაც. მაგალითად, პერპენა ვენტორი, რომელიც იმავე პარტიას ეკუთვნოდა, რომელსაც სერტორიუსი, იბერიაში მოვიდა დიდი ჯარითა და ფულით და გადაწყვიტა ცალკე ეწარმოებია ბრძოლა მეტელუსთან საკუთარ ბედზე. მისი ჯარისკაცები ამით უკმაყოფილო იყვნენ. ბანაკში ხშირად გაისმოდა ლაპარაკი სერტორიუსზე, რომელიც, პერპენას სამწუხაროდ, ხშირად იკვეხნიდა თავის შთამომავლობასა და სიმდიდრეს. ხოლო, როდესაც მოვიდა ცნობა, რომ პომპეუსმა გადალახა პირენეი, ჯარისკაცებმა იარაღსა სტაცეს ხელი და ასწიეს რა მაღლა ლეგიონების დროშები, ხმაურით მოითხოვეს პერპენასაგან, რათა მან ისინი სერტორიუსთან მიიყვანოს, წინააღმდეგ შემთხვევაში იმუქრებოდნენ, რომ ისინი მას მიატოვებენ და წავიდოდნენ იმ ადამიანთან, „რომელსაც შესწევს უნარი თავისი თავიც და სხვებიც გადაარჩინოს". პერპენა იძულებული იყო ეს შეესრულებია. თავისი ორმოცდაცამეტი კოჰორტით იგი შეუერთდა სერტორიუსს.

XVI. მდინარე იბერის იქით მცხოვრებნი ყველა ტომები თავს იყრიდნენ სერტორიუსის დროშის ქვეშ. შედგა უზარმაზარი არმია; ყოველი მხრიდან განუწყვეტლივ მოედინებოდნენ მასთან ბარბაროსები ბრბოებად. მას შიში ჰქონდა უწესობისა, რაც ბარბაროსთა შორის გაბატონებული იყო, და აგრეთვე მათი თავხედური გამბედაობისა; ისინი ყიჟინით მოითხოვდნენ, რათა მან წაიყვანოს მტერთან საბრძოლველად

და ძალიან უკმაყოფილონი იყვნენ დაყოვნებით. იგი ცდილობდა დაეშოშმინებია ისინი შთაგონებით, მაგრამ ხედავდა რა, რომ ისინი გაღიზიანებული არიან და დაჟინებით მოითხოვენ, მტერთან შებმას, თუმცა იცოდა, რომ ეს ნაადრევი იყო, მაგრამ, ბოლოს და ბოლოს დათანხმდა და ნება მისცა მათ დაეწყოთ ბრძოლა. მას იმედი ჰქონდა, რომ ისინი, თუ განადგურებული არ იქნებოდნენ, მაინც იძულებული გახდებოდნენ ზურგი ეჩვენებიათ მტრისათვის და ამიტომ შემდგომში მას მეტად დაუჯერებდნენ. მისი მოლოდინი გამართლდა. მაგრამ იგი გაემართა მათ დასახმარებლად, დაიფარა ისინი და ნება მისცა უხიფათოდ შესულიყვნენ ბანაკში.

მას უნდოდა გაექარვებია მათი გულგატეხილობა. რამდენიმე დღის შემდეგ უბრძანა შეეკრიბათ მთელი ხალხი და მოეყვანათ ორი ცხენი: ერთი, რომელიც უკვე ძლივს იდგა ფეხზე და უკვე ბებერი იყო, და მეორე — დიდი და ღონიერი, მშვენიერი ხშირი ძუით. უძლურის გვერდით მან დააყენა ახოვანი, ღონიერი კაცი, ძლიერის გვერდით — პატარა, მცირე ტანისა. მის მიერ მიცემული ნიშნისთანავე, ახოვანმა სტაცა ორივე ხელი თავისი ცხენის ძუას და მთელი ძალით ეწეოდა თავისკენ, რათა იგი მოეგლიჯა მაშინ, როდესაც მისმა სუსტმა ამხანაგმა დაუწყო ღონიერ ცხენს ძუის თითო ბეწვის გამოგლეჯა. პირველმა დიდხანს იწვალა, მაგრამ უშედეგოდ და გამოიწვია რა ხალხში ხმამაღალი სიცილი, ხელი აიღო განზრახვაზე, სუსტმა კი სწრაფად და ადვილად დააძრო თავისი ცხენის ძუას ყველა ბეწვი. მაშინ სერტორიუსი წამოდგა თავისი ადგილიდან და წარმოსთქვა: „თქვენ ხედავთ, თანაამხანაგნო, რომ ბეჯითი შრომა უფრო სასარგებლოა უხეშ ძალაზე! რის გაკეთებაც ერთბაშად შეუძლებელია, მისი თანდათანობით გაკეთება ადვილია. სიბეჯითე — დაუძლეველია. მისი წყალობით დრო სპობს და ამარცხებს თანდათანობით ყოველგვარ ძალას. იგი ერთგული მოკავშირეა იმისი, ვისაც უნარი აქვს მიჰყვეს გონების კარნახს და უცადოს შესაფერ ხელსაყრელ წუთს: და დრო სასტიკი მტერია იმ ადამიანებისა, რომელნიც უდროოდ ჩქარობენ". მსგავსი მაგალითებით სერტორიუსი ხშირად ანუგეშებდა თავის ბარბაროსებს და როგორც ბავშვებს, ისე აიძულებდა ეცადათ ხელსაყრელი დროისთვის.

XVII. მისი მოპყრობა ხარაკიტანელებისადმი — ეს ის ხალხი იყო, რომელიც მდ. ტაგონის სანაპიროებზე ცხოვრობდა — არანაკლებ განსაცვიფრებელია, ვიდრე მისი სხვა საგმირო საქმეები. ხარაკიტანელები არ ცხოვრობდნენ არც ქალაქებში და არც სოფლებში. არის დიდი და მაღალი ბორცვი, რომლის ჩრდილო ნაწილის კედლებში მოიპოვება გამოქვაბულები და ორმოები. ქვევით მდებარე მთელი მიდამო თიხიანია; მისი ნიადაგი, სიმშრალის გამო, ფხვიერია; მასზე ფეხის მომაგრება შეუძლებელია და მცირე შეხებისთანავე იგი მტვრად იქცევა, ნაცრის თუ კირის მსგავსად. ომიანობის დროს შეშინებული მოსახლეობა მუდამ აქ აფა—

რებს თავს მღვიმეებში, იქ მიაქვს მთელი თავისი ქონება და არხეინად და უშიშრად ატარებს იქ დროს.

ერთხელ სერტორიუსი მეტელუსთან ბრძოლის დროს იძულებული გახდა უკან დაეხია და ამ ბორცვის მახლობლად დაიბანაკა. მოსახლეობა მას ზიზღით უცქერდა, როგორც დამარცხებულს. სერტორიუსი, შეიძლება გაღიზიანებული, ან ეგების ფიქრობდა დაემტკიცებია, რომ იგი არ გაქცეულა მტერს, — დილა ადრიანად მივიდა ბორცვთან და ათვალიერებდა მას. არსად მოჩანდა სუსტი ადგილი, საიდანაც თავდასხმა შეიძლებოდა. გაბრაზებული უთვლიდა ხარაკიტანელებს ამაო მუქარას; ამ დროს მან შენიშნა, რომ ქარი ნიადაგიდან იტაცებდა მტვერს და პირდაპირ გამოქვაბულისკენ მიჰქონდა. გამოქვაბულები, როგორც ზევით იყო აღნიშნული, ჩრდილოეთისკენ იყო მიმართული. ხოლო ჩრდილოეთის ქარი — კეკია, როგორც მას ზოგნი უწოდებენ, — მოქრის ნოტიო ველიდან და თოვლიანი მთებიდან; ეს ყველაზე უფრო ძლიერი და ხანგრძლივი ქარია აქაური მიდამოებისთვის. მაშინ შუა ზაფხული იყო. იგი ქროდა ძლიერად და თუმცა გამოწვეული იყო ყინულის დნობისაგან, მაგრამ მაინც საამო იყო და სიგრილე მოჰქონდა როგორც ხარაკიტანელებისთვის, ისე მათი ნახირისა და ფარებისთვის. სერტორიუსმა ეს გაითვალისწინა და ამასვე ეუბნებოდნენ რა მას ადგილობრივი მცხოვრებნი, უბრძანა ჯარისკაცებს მოეთხარათ ნაცარივით ფხვიერი მიწა და ერთ ადგილზე მოეზიდათ ბორცვის პირდაპირ. ხარაკიტანელები ფიქრობდნენ, რომ მიწაყრილს სამხედრო მიზნით აკეთებდნენ და სიცილი დააყარეს. სერტორიუსმა დაღამებამდე ამუშავა ჯარისკაცები და მერე ბანაკში დააბრუნა.

გარიჟრაჟზე ნელმა სიომ დაბერა, წამოშალა ყველაზე მსუბუქი ფერფლი დაქუჩებული მიწისა და მტვრად მიმოაბნია. ამოვიდა მზე; დაბერა ჩრდილოეთის ძლიერმა ქარმა. ბორცვები თანდათან დაფარა მტვერმა. სერტორიუსის ჯარისკაცები ღრმად თხრიდნენ მიწას და შლიდნენ ბელტებს. ზოგნი ცხენებს დააჭენებდნენ მიწაყრილზე და აყენებულ მტვერს ქარს ატანდნენ. ქარს მტვერი მიჰქონდა ზევით ხარაკიტანელების თავშესაფარებისკენ, რომლებსაც ჩრდილოეთის ქარი პირდაპირ სცემდა. გამოქვაბულებში მხოლოდ თითო ხვრელი იყო, საიდანაც ჰაერი შედიოდა, რის გამოც იქ მყოფთ მალე დაუვსო მტვერმა თვალები; რამდენიმე ხნის შემდეგ მათ სუნთქვა გაუძნელდათ, ისინი იყნოსავდნენ მძიმე, მტვრით გატენილ ჰაერს. ძლივს გასძლეს ორი დღე და მესამე დღეს დანებდნენ. ამით მათ გაზარდეს სერტორიუსის არა იმდენად ძლიერება, რამდენადაც სახელი, — თავისი ჭკუით მან გააკეთა ის, რის მიღწევაც იარაღის საშუალებით არ შეიძლებოდა.

XVIII. ვიდრე იგი მეტელუსს ეომებოდა, თითქმის მუდამ ამარცხებდა მას. მოხუც მეტელუსს, რომელიც ბუნებით ნელი ადამიანი იყო, არ შეეძლო წარმატებით ბრძოლა გამბედავ ადამიანთან, რომელიც მე-

თაურობდა უფრო ყაჩაღთა ბრბოს, ვიდრე კარგად გაწრთვნილ ჯარს. ხოლო როდესაც პომპეუსმა გადალახა პირენეი და სერტორიუსმა მის მახლობლად დაიბანაკა, მოწინააღმდეგეებმა მიმართეს ერთიმეორის წინააღმდეგ სხვადასხვა სამხედრო ხერხს, რომლის გამოცდილებაც მათ გააჩნდათ. უპასუხებდა რა ხერხს ხერხით და მოქმედებდა რა სიფრთხილით, სერტორიუსს აქაც უპირატესობა ჰქონდა თავის მოწინააღმდეგის მიმართ. ახლა თვით რომამდე გავრცელდა ხმა, რომ იგი ყველაზე ნიჭიერი და მამაცი სარდალია. პომპეუსსაც არანაკლები სახელი ჰქონდა, მაგრამ მისი სახელი ბრწყინავდა უმთავრესად იმ გმირობათა გამო, რაც მას სულას მეთაურობით ბრძოლის დროს ჰქონდა ჩადენილი, რისთვისაც მან მიიღო სახელწოდება „მაგნუს", ე. ი. დიდის, და უწვერულვაშო ჭაბუკმა მიიღო ტრიუმფის პატივი. აი რატომ იყო, რომ ბევრმა ქალაქმა, რომლებიც სერტორიუსს ექვემდებარეობდნენ, თავიანთი თვალი მიაპყრეს პომპეუსს და ფიქრობდნენ მის მხარეზე გადასვლას, მაგრამ მათი გატაცება მალე დაცხრა, როდესაც გაიგეს, თუ რა სავალალო ბედი ეწვია ყოველგვარი მოლოდინის გარეშე ლავრონს.

როდესაც სერტორიუსმა ალყა შემოარტყა ამ ქალაქს, პომპეუსი გაემართა მის (ქალაქის) დასახმარებლად მთელი თავისი არმიით. პირველი ისწრაფოდა ხელთ ეხდო ბორცვი, რომელიც ქალაქის წინააღმდეგ მოქმედებისთვის ხელსაყრელ პოზიციას წარმოადგენდა, მეორეს კი სურდა მისთვის ხელი შეეშალა. სერტორიუსი უფრო სწრაფად მოქმედებდა. მაშინ პომპეუსმა ჯარს უბრძანა ერთ ადგილზე გაჩერება. მას ახარებდა ეს ბედნიერი შემთხვევა: მისი აზრით, სერტორიუსი მოემწყვდეოდა ქალაქსა და მტრის ჯარის შორის. მან შეუთვალა ლავრონის მცხოვრებთ არხეინად ყოფილიყვნენ და კედლებიდან ეცქირათ, თუ როგორ მიიტანდა იგი იერიშს სერტორიუსზე. ამ უკანასკნელს უამბეს ეს და მან სიცილითა თქვა, რომ იგი ასწავლის ჰკუას „სულას მოწაფეს" (ასე უწოდებდა იგი დაცინვით პომპეუსს), — რომ სარდალი უკან უფრო მეტად უნდა იყურებოდეს, ვიდრე წინ. ამ სიტყვებით მან, რომელსაც „ალყაშემორტყმულად" თვლიდნენ, გამოაჩინა ექვსიათასი მძიმედ შეიარაღებული ქვეითი ჯარი; ეს ჯარი მან დასტოვა თავის წინანდელ ბანაკში, როდესაც იგი ბორცვის ასაღებად გაემართა და უბრძანა თავდასხმა პომპეუსზე ზურგიდან, როგორც კი ის სერტორიუსის წინააღმდეგ დაიძვრებოდა. პომპეუსმა ეს შენიშნა, მაგრამ დაგვიანებით. მას ეშინოდა მტერი გარს არ შემორტყმოდა და ამიტომ ბრძოლის დაწყებას ვერა ბედავდა, მაგრამ ერთგული ხალხის სახიფათო მომენტში მიტოვებაც ერცხვინებოდა. იგი ერთ ადგილზე იყო გაჩერებული და მათ დაღუპვას უცქერდა: ბარბაროსებმა ბრძოლაზე ხელი აიღეს და სერტორიუსს დანებდნენ. მან სიცოცხლე აჩუქა მათ და თავისუფლად გაუშვა, ქალაქი კი — მისი ბრძანებით ცეცხლს მისცეს, თუმცა არა მისი გაღიზიანებისა და სიმკაცრის გამო—იგი სარდალთა შორის ყველაზე ნაკლე-

ბად მისდევდა განრისხებას, — არამედ პომპეუსის თაყვანისმცემელთა სასირცხვილოდ და დამცირების მიზნით. მას სურდა ბარბაროსებს გაეცინათ, რომ იქვე მყოფმა პომპეუსმა, რომელიც მოკავშირე ქალაქის თითქმის ხანძრის ალზე თბებოდა, მაინც ვერ შესძლო დაეცვა იგი.

XIX. სერტორიუსსაც, რა თქმა უნდა, არა ერთხელ განუცდია მარცხი: თვითონ პირადად იგი არასოდეს არ დამარცხებულა ისეთე, როგორც მისი მახლობელნი; სამაგიეროდ ყვავთა სარდლობით წარმოებული ბრძოლა არა ერთხელ წაუგია. მაგრამ იმით, რომ მას უნარი შესწევდა მარცხის გამოსწორებისა, იგი უფრო მეტ განცვიფრებას იწვევდა, ვიდრე მოწინააღმდეგე — დამმარცხებელი. ამის დამამტკიცებელია მისი ბრძოლა პომპეუსთან სუკრონის მახლობლად და შემდეგ მასთან და მეტელუსთან ბრძოლა ტურიის მახლობლად. როგორც მოუთხრობენ, პომპეუსი აჩქარდა შებრძოლებოდა სერტორიუსს სუკრონასთან, რათა გამარჯვებაში წილი არ დაედვა მეტელუსისთვის. თავისი მხრით სერტორიუსს სურდა პომპეუსთან ბრძოლა, ვიდრე მეტელუსი მოვიდოდა. სერტორიუსმა დაუცადა შებინდებას და მაშინ დაიწყო ბრძოლა იმ იმედით, რომ სიბნელე მტერს ხელს შეუშლიდა გაქცევაშიაც და მოწინააღმდეგის დევნაშიაც: ისინი უცხონი იყვნენ და ადგილმდებარეობას არ იცნობდნენ. ბრძოლა გაჩაღებული იყო. შემთხვევით სერტორიუსს მოუხდა ღგომა არა პომპეუსის, არამედ აფრანიუსის წინააღმდეგ, რომელიც მარცხენა ფრთას უფროსობდა მაშინ, როდესაც თვითონ სერტორიუსი მარჯვენა ფრთაზე იდგა. მიიღო რა ცნობა, რომ მისი ჯარის ის ნაწილები, რომელიც პომპეუსს შეებნენ დამარცხდნენ და ზურგი იბრუნეს, მან უფროსობა სხვა სარდლებს გადასცა და სწრაფად გაეშურა თავისი დამარცხებული ჯარის საშველად. ზოგ მათგანს უკვე დაეხია უკან, ზოგი ჯერ ისევ თავის რიგებში იდგა. სერტორიუსმა თავი მოუყარა მათ, გაამხნევა, ხელმეორედ გაუმართა ბრძოლა პომპეუსს, რომელიც მათ უკან მოსდევდა და იგი სასტიკად დაამარცხა. თვით პომპეუსი დაიჭრა და სიკვდილს ძლივს გადარჩა. მან საფრთხეს სრულიად შემთხვევით დააღწია თავი: ლიბიელებმა, რომლებმაც დაიჭირეს მისი ოქროს ალვირიანი ცხენი, ერთი მეორეს ჩხუბი აუტეხეს მისი განაწილების გამო და დააჟიწყდათ მისი დევნა. ამასობაში აფრანიუსმა დაამარცხა მის პირისპირ მდგომი მტრები, როცა სერტორიუსი თავისი მეორე ფრთის მისაშველებლად გაეშურა, მან აიძულა ისინი უკან დაეხიათ ბანაკისკენ, შემდეგ შეიჭრა მასში და დაუწყო ძარცვა. უკვე ბნელოდა და არ იცოდა რა პომპეუსის დამარცხება. არ შეეძლო ჯარისკაცებისთვის ძარცვაში ხელი შეეშალა. ამ დროს გამარჯვებული სერტორიუსი დაბრუნდა თავის ბანაკში, თავს დაესხა აფრანიუსის გზააბნეულ ჯარისკაცებს და მრავლად აჩეხა ისინი. დილით მან უბრძანა ჯარისკაცებს კვლავ საბრძოლო წესზე დაწყობილიყვნენ და წაიყვანა ისინი მტრების წინააღმდეგ. მაგრამ შემდეგ გაიგო რა, რომ მეტელუსი ახლოს იყო, თავი აარიდა ბრძოლას და

უკან დაიხია, თან თქვა: „ეს ბებრუხუნა რომ არ იყოს, ამ ბიჭს კარგად მივებერტყავდი, რომ ჰკუა ესწავლა და ისე გავგზავნიდი რომშიო“.

XXI. სერტორიუსმა მტრები საგუნტის დაბლობში შეიმწყვდია და ისინი უკიდურეს გაჭირვებაში ჩაყარა. მას მოუხდა მათთან ბრძოლა მაშინ, როდესაც ისინი მიემგზავრებოდნენ სანოვაგის საშოვნელად და საძარცველად. ორივე მხარე მამაცად იბრძოდა. მემიუსი, პომპეუსის ყველაზე ნიჭიერი ჯარის უფროსი, გააფთრებული შეტაკების დროს დაეცა. გამარჯვებამ სერტორიუსის მხარეზე გადაიხარა. ანადგურებდა რა საშინლად, ვინც კი მტერთაგან წინააღმდეგობას უწევდა, იგი თვით მეტელუსისკენ მიისწრაფოდა. უკანასკნელი შეეგება მას მისი ხნოვანების შეუფერებელი სიმამაცით და გმირული წინააღმდეგობის შემდეგ, შუბით იქნა დაჭრილი. იმ რომაელებმა, რომელთაც ეს თავისი თვალით იხილეს, ან სხვისგან მოისმინეს, თავისთვის სამარცხვინოდ ჩასთვალეს უმწეოდ მიეტოვებიათ თავიანთი სარდალი. ისინი გაიმჭვალნენ მტრის მიმართ სიძულვილით. დაფარეს რა მეტელუსი ფარებით და საერთო ძალღონით გამოიყვანეს იგი ბრძოლის ველიდან, ისინი მამაცურად ეკვეთნენ და გარეკეს იბერები. გამარჯვებამ კვლავ ზურგი აქცია სერტორიუსს.

რათა უკან დახევა უხიაფთო გაეხადა და შესაძლებლობა ჰქონოდა კვლავ არხეინად შეეკრიბა ახალი არმია, სერტორიუსმა ხერხს მიმართა; იგი შეიხიზნა მთებში გამაგრებულ ქალაქში და შეუდგა მისი კედლების შეკეთებასა და ჭიშკრების ჩახერგვას, — ვინ იცის რას ფიქრობდა, — მაგრამ არა იმას, რომ იგი აქ ალყაში დარჩენილიყო. იგი ატყუებდა მტრებს. მათ დაიბანაკეს ქალაქის მახლობლად და იმედოვნებდნენ, რომ ქალაქს უშრომლად ჩაიგდებდნენ ხელში; ამიტომაც ისინი არავითარ ყურადღებას არ აქცევდნენ ბარბაროსებს, როდესაც ისინი გარბოდნენ და ამით საშუალებას აძლევდნენ მის ირგვლივ კვლავ ბლომად მოეყარათ მათ თავი. და სერტორიუსი აგროვებდა ჯარს, დაგზავნა რა მან თავისი ჯარის უფროსები სხვადასხვა ქალაქებში და უბრძანა მათ შეეტყობინებიათ მისთვის, როგორც კი საკმაო ძალებს მოაგროვებდნენ. როგორც კი მათ ეს შეატყობინეს, მან ადვილად გაარღვია მტრის რიგები და შეუერთდა თავისიანებს. ახლა იგი კვლავ იდგა ძლიერი არმიის სათავეში და დაიძრა მტრების წინააღმდეგ. იგი უსაფრდებოდა მათ გზებზე და უჭრიდა სურსათის მისაზიდ გზებს ხმელეთის მხრივ, გარს ერტყმოდა მათ, სწრაფად ჩნდებოდა რა ერთი ადგილიდან მეორეზე. ზღვის მხრით კი სანაპირო მისი ყაჩაღური გემების ხელში იყო, რის გამოც მან აიძულა რომაელი სარდლები უკან დაეხიათ. ერთი მათგანი გალიაში წავიდა, პომპეუსი საზამთროდ დარჩა ვაკეებთან, ამასთანავე ფულის საშინელ გაჭირვებას განიცდიდა. იგი სენატს ატყობინებდა, რომ ჯარს უკან წაიყვანდა, თუ ფულს არ გამოუგზავნიდნენ, რომ იტალიისთვის ბრძოლაში მან უკვე დახარჯა მთელი თავისი ქონება. რომში უკვე ბევრნი

ლაპარაკობდნენ, რომ სერტორიუსი პომპეუსზე ადრე მივიდოდა იტალიაში. აი, რა საჭალალო მდგომარეობაში ჩაყარა ნიჭიერმა სერტორიუსმა იმდროინდელი უპირველესი და უძლიერესი სარდლები.

XXII. მეტელუსმა დაამტკიცა, თუ როგორ ეშინოდა და რამდენად მაღლა აყენებდა იგი სერტორიუსს, — მან გამოაცხადა, რომ სერტორიუსის მკელელი რომაელი მიიღებდა მეტელუსისგან ას ტალანტ ვერცხლს და ოციათას იუგერ მიწას, ხოლო თუ იგი რომიდან გაძევებულია — რომში დაბრუნების უფლებას. იგი ამით თითქოს ამტკიცებდა, რომ გული გაუტყდა რა მასთან აშკარა ბრძოლაში, მას სურდა მისი სიკვდილი ღალატით ეყიდა. შემდეგ ერთხელ გაიმარჯვა მან სერტორიუსზე და ისე გაამაყდა, რომ ამ წარმატებით გახარებულმა მიიღო „იმპერატორის“ ტიტული. ქალაქებს, რომლებსაც ის გზად გაივლიდა, უნდა შეეწირათ მსხვერპლი და აეგოთ სამსხვერპლო. ამბობენ, იგი იმასაც ბედავდა, რომ თავზე გვირგვინს იდგამდა, იღებდა მიპატიჟებას, სადაც ტრიუმფატორის ტანისამოსში გამოწყობილი ეძლეოდა სმას; გამარჯვების ღვთაების ქანდაკებები, რომლებსაც მოძრავი მანქანებით ჩამოუშვებდნენ ხოლმე, მას მიართმევდნენ ოქროს ტროფეებს და გვირგვინებს. ბავშვთა და ქალთა გუნდები კი მის სპატიოდ გამარჯვების სიმღერებს მღეროდნენ. რასაკვირველია, მეტელუსი სასაცილო იყო, როდესაც სერტორიუსს სულას ჯარიდან გაქცეულ დეზერტირს ეძახდა და კარბონის არმიის ნამთად მიიჩნევდა. აგრეთვე, რომ ამაყობდა და უხაროდა, თითქოს ძლიერი მტერი მართლა დაემარცხებიოს მაშინ, როდესაც ეს მოხდა იმის გამო, რომ მოწინააღმდეგემ უკვე გადაწყვიტა უკან დაეხია.

სერტორიუსი, პირიქით, მაღალ ხასიათს იჩენდა. პირველ ყოვლისა მან შეადგინა სენატი რომიდან გამოქცეულ და მასთან მოსულ სენატორთაგან. მან დანიშნა მათი რიცხვიდან კვესტორები და პრეტორები, ამასთანავე ყველაფერი მოაწყო თავისი ქვეყნის კანონების მიხედვით. შემდეგ, იყო რა მის განკარგულებაში იბერთა ჯარი, ფული და ქალაქები, იგი არასოდეს მხოლოდ მათ სახარგებლოდ არ მოქმედებდა; პირიქით, სამხედრო და საერო საქმის მეთაურებად იგი მხოლოდ რომაელებსა ნიშნავდა; იგი ცდილობდა დაებრუნებია რომაელებისათვის თავისუფლება, მაგრამ იბერებს არ აძლიერებდა რომაელთა საზიანოდ. მას გულმხურვალედ უყვარდა თავისი სამშობლო და სულითა და გულით სურდა უკან დაბრუნება. მარცხის დროსაც კი იგი გმირად რჩებოდა და არავითარ შემთხვევაში არ იმცირებდა თავს მტრის წინაშე; თავისი გამარჯვებების შემდეგ კი, იგი შეუთვლიდა ხოლმე მეტელუსსა და პომპეუსს, რომ იგი მზად არის აიყაროს იარაღი და იცხოვროს როგორც კერძო კაცმა, თუ მას უფლებას მისცემენ: ის არჩევდა ყოფილიყო რომის სრულიად უმნიშვნელო მოქალაქე, ვიდრე ჰქონოდა სხვა ხალხებზე „მბრძანებლის„ სახელი. ამბობენ სამშობლოსადმი მისი სევდა უმთავრესად დედის სიყვარულით იყოო გამოწვეული. მან იგი ობოლი გამოზარდა და

ამას მშობელი სულითა და გულით უყვარდა. როდესაც იგი მისმა მეგობრებმა იბერიაში მიიწვიეს, რათა მიეღო მთელი ჯარის სარდლობა, მას მოუვიდა დედის გარდაცვალების შესახებ ცნობა. ამ ცნობამ ისე შეაწუხა იგი, რომ ჯავრისგან კინაღამ თავი მოიკლა. შვიდი დღის განმავლობაში პაროლი არ მიუცია, არ ეჩვენებოდა მეგობრებს, კარავიდან არ გამოდიოდა და მწოლიარე იყო. მისმა მებრძოლმა ამხანაგებმა, რომლებიც მისი თანასწორნი იყვნენ, თავი მოიყარეს მის ირგვლივ და აიძულეს იგი გამოსულიყო ჯართან და ხელი მიეყო საქმეებისთვის, რომელთა მდგომარეობაც ბრწყინვალე იყო. აი რატომ ბევრი იმ აზრისა იყო, რომ ბუნებით ლმობიერმა და მშვიდობიანი ცხოვრების მსურველმა, სხვისი იძულებით, საკუთარი სურვილის წინააღმდეგ, ხელი მოჰკიდა იარაღს მტრების საძევნელად; ომი მას საკუთარი უშიშროების საშუალებად და საკუთარი სიცოცხლის გადარჩენის აუცილებლობად მიაჩნდა.

XXIII. სწორედ ასევე მითრიდატესთან მისი დამოკიდებულება მისი კეთილშობილი ხასიათის მაჩვენებელია. სულას მიერ დამარცხებულმა მითრიდატემ, როგორც მარცხის შემდეგ წამომდგარმა მოუდავემ, კვლავ მოიკრიბა ძალღონე და გადაწყვიტა ხელმეორედ დაეპყრო პროვინცია აზია. უკვე ყველგან გაისმოდა სერტორიუსის ქება. დასავლეთიდან ჩამოსულებმა მთელ პონტოს მოჰფინეს ამბავი მის, როგორც რაღაც უცნაური უცხო საგნის შესახებ. მეფემ გადაწყვიტა გაეგზავნა სერტორიუსთან ელჩები. იგი ამის სასარგებლოდ განაწყო უმთავრესად მის მეზობელთა მაღალფარდოვანმა სიტყვებმა, რომლებიც სერტორიუსს ადარებდნენ ჰანიბალსა და მითრიდატეს კი პიროსს. ისინი ირწმუნებოდნენ, რომ თუ გენიალური სარდალი შეუერთდებოდა მეფეთა შორის უძლიერესს, რომაელები იძულებული გახდებოდნენ ეწარმოებინათ ომი ორ ფრონტზე, ორი მოწინააღმდეგის მიმართ, რომელთაც გააჩნიათ დიდი უნარი და ძალები. მითრიდატემ გაგზავნა სერტორიუსთან იბერიაში ელჩები წერილებითა და სიტყვიერი დავალებით. ის აღუთქვამდა სერტორიუსს ფულსა და ფლოტს ომის საწარმოებლად და მისგან სამაგიეროდ მოითხოვდა ეცნო სერტორიუსს იგი მთელი პროვინცია აზიის მფლობელად, რომელიც მან რომაელებს დაუთმო სულასთან დადებული ხელშეკრულების საფუძველზე. სერტორიუსმა შეკრიბა საბჭო, რომელსაც ის სენატს უწოდებდა. სხვები ყველანი თანახმა იყვნენ მიეღოთ შეთავაზებული პირობა და ჩაეთვალათ ისინი შესაფერისად, მეფე ხომ მხოლოდ სახელს ითხოვდა და ფუჭ ხელწერილს იმაზე თანხმობის ნიშნად, რაც მათ განკარგულებაში არ იყო და სამაგიეროდ შემთხვევა ეძლეოდათ მიეღოთ ის, რაც ძალიან უჭირდათ. მაგრამ სერტორიუსმა არ მიიღო ეს პირობები. მან უპასუხა, რომ იგი თანახმაა ნება მისცეს მითრიდატეს დაეუფლოს მხოლოდ ბითინიასა და კაპადოკიას, რომელთა მოსახლეობაც მუდამ ემორჩილებოდა მეფეებს და არასოდეს ყოფილა რომაელების ქვეშევრდომი;

ხოლო რაც შეეხება პროვინციას, რომელიც კანონიერად შეუერთდა რომის სამფლობელოებს, პროვინცია, რომელიც მეფემ ხელთ იგდო, მაგრამ დაჰკარგა ფიმბრიასთან ომში და მერე დასთმო სულასთან დადებული საზავო ხელშეკრულების საფუძველზე, — იგი, სერტორიუსი არ არის თანახმა ხელმეორედ დაუთმოს ეს მას. მისი სიტყვით „იგი ვალდებულია თავისი გამარჯვებებით გაზარდოს რომაელთა სამფლობელოები და არა პირიქით, რომ თავისი გამარჯვება იყიდოს სამშობლოს დამცირების გზით: პატიოსანი კაცი უნდა მსურველი იყოს გამარჯვებისა, რომელიც მას სახელს მოუხვეჭს, ხოლო შერცხვენის ფასად არ უნდა იყიდოს მან თავისი სიცოცხლეც კი".

XXIV. მისმა პასუხმა გააცვიფრა მითრიდატე. „რა კანონებს გამოსცემს სერტორიუსი, პალატინუმზე მჯდომი — თქვა მან თავის მახლობლებთან საუბრის დროს, — თუ ახლა, ატლანტიკის ოკეანეს სანაპიროზე შემწყვდეული, საზღვრებს უწესებს ჩემს სამეფოს და ომით მემუქრება, თუ მე აზიას თავს დავესხმიო". ამისდა მიუხედავად, მათ შეკრეს ფიცითი ხელშეკრულება შემდეგი პირობით: მითრიდატეს მფლობელობაში რჩებოდა ბითინია და კაპადოკია, სერტორიუსმა იკისრა გამოეგზავნა მისთვის ჯარი სარდლითურთ, მითრიდატეს უნდა მიეცა მისთვის სამიათასი ტალანტი და ორმოც-ხომალდიანი ესკადრა.

სერტორიუსმა მართლაც გაუგზავნა მეფეს აზიაში სარდალი მარკუს მარიუსი, მასთან გამოქცეულ სენატორთა რიცხვიდან. მარიუსმა მას დაუპყრო რამდენიმე ქალაქი. როდესაც იგი ქალაქში შევიდოდა ხოლმე ლიქტორების თანხლებით, მითრიდატე მას უკან მისდევდა როგორც უმცროსი, ნებაყოფლობით იკისრა რა ქვეშევრდომის როლი. ზოგ ქალაქს მარიუსმა დამოუკიდებლობა მისცა. სხვები გაათავისუფლა გადასახადებისაგან, ამასთანავე გამოაცხადა, რომ ყველაფერი ამისათვის ისინი სერტორიუსის მადლობელი უნდა იყვნენ. ამგვარად, აზიის მოსახლეობამ, რომელიც შეწუხებული იყო გადასახადის ამკრეფთაგან, იტანჯებოდა მათ ოჯახებში ჩაყენებული უცხო ჯარის გაუმაძღრობითა და თვითნებობით, — კვლავ თავისუფლად ამოისუნთქა უკეთესი მერმისის იმედით და გაიმსჭვალა ხელისუფლების გამოცვლის მოლოდინით.

XXV. მაგრამ თვით იბერიაში აღიძრა შური და ეჭვი სერტორიუსის ძლიერების მიმართ მის ირგვლივ მყოფ სენატის წევრებსა და მის თანაბარ სხვა პირთა შორის, როგორც კი მათ შიშმა გაუარა და თავი იგრძნეს საკმაოდ მომძლავრებულად მტრის წინააღმდეგ ბრძოლისთვის. თავისი შთამომავლობით გაამაყებული და უმაღლესი ძალაუფლების მიღების სურვილით გაწამებული პერპენა აღვივებდა უკმაყოფილებას ჩუმჩუმად თავის მომხრეებში თავისი საამბოხო სიტყვებით. „რა ბოროტი ბედი გვერეკება ჩვენ ცუდიდან უარესისკენ. — კითხულობდა იგი. — ჩვენ დამცირებად მიგვაჩნდა ვმსხდარიყავით შინ და დავმორჩილებოდით სულას, ყველა ქვეყნებისა და ზღვების მბრძანებელს. აქ კი ჩვენს დასა-

ლუპად, გესურდა რა თავისუფლება, ჩვენ ნებაყოფლობით გადავიქეცით გაძოძევებული სერტორიუსის მცველებად. სიტყვით ჩვენ გვიწოდებენ „სენატორებს", რაც ხალხში სიცილს იწვევს, სინამდვილეში კი ჩვენ ვითმენთ შეურაცხყოფასა და იძულებული ვართ შევასრულოთ ბრძანება და ვიმუშაოთ არანაკლებ, ვიდრე იბერები და ლუზიტანელები".

მისმა სიტყვებმა შთაბეჭდილება მოახდინა. მაგრამ უმრავლესობა მაინც ზურგს არ აქცევდა სერტორიუსს აშკარად, რადგან მისი სიძლიერისა ეშინოდათ და ჩუმად ცდილობდნენ დაბრკოლება შეექმნათ მისი წარმატებისათვის. მაგალითად, ისინი შეურაცხყოფდნენ ბარბაროსებს, სპტიკად სჯიდნენ მათ და აღებდნენ მძიმე გადასახადებს, ვითომდა სერტორიუსის სახელით. ამის წყალობით ზოგიერთ ქალაქში ხდებოდა ჯანყება და მღელვარება. მათ დასაშოშმინებლად და უთანხმოებათა მოსაგვარებლად გაგზავნილი პირები უფრო მეტად აღვივებდნენ უკმაყოფილებასა და ამძაფრებდნენ მათში დაუმორჩილებლობის სურვილს, რის გამოც ლმობიერსა და მზრუნველ სერტორიუსში მოხდა ისეთი დიდი გარდატეხა, რომ იგი უსამართლოდ მოეპყრო იბერების შვილებს, რომლებიც ოსკში იზრდებოდნენ: ზოგი მათგანი სიკვდილით დასაჯა, სხვები მონებად გაყიდა.

XXVI. პერპენამ, რომელსაც მრავალი შეთქმული უკერდა მხარს, სხვათა შორის, თავისი გეგმის თანაზიარად გახდა მალიუსი, ჯარის ერთერთი უმაღლეს მეთაურთაგანი. მალიუსი შეყვარებული იყო ერთ ჰაბუკზე. მისდამი სიყვარულის გამო, მან გაუმხილა შეთქმულება და ურჩევდა არ მიექცია სხვებისათვის ყურადღება, არამედ დაჰნებებოდა მხოლოდ მას, მალიუსს, რადგანაც მალე იგი დიდ როლს შეასრულებს. ჰაბუკმა უამბო ეს თავის მეორე თაყვანისმცემელს აუფიდიუსს, რომელიც უფრო მეტად მოსწონდა. მისმა ნაამბობმა განაცვიფრა აუფიდიუსი; თუმცა ის თვითონ სერტორიუსის საწინააღმდეგო შეთქმულების მონაწილე იყო, მაგრამ არ ეგონა, რომ მასში მალიუსიც მონაწილეობდა. ხოლო როდესაც ახალგაზრდამ დაასახელა პერპენა, გრაციანი და რამდენიმე სხვა, რომლებსაც ის როგორც შეთქმულების მონაწილეებს იცნობდა, საბოლოოდ შეწუხებულმა აუფიდიუსმა დაარწმუნა ჰაბუკი, რომ ყველაფერი ეს უბრალო ლაპარაკია და ურჩევდა მიეჩნია მალიუსი როგორც ყბედი და მკვეხარა კაცი. თვითონ კი გაემგზავრა პერპენასთან, აუხსნა მას თავიანთი მდგომარეობის სირთულე, მიუთითა საფრთხეზე, რომელიც მათ ემუქრებოდა და მოითხოვა დაუყოვნებლივ შესდგომოდნენ საქმეს.

ისინი შეთანხმდნენ და გაუგზავნეს სერტორიუსს ამ მიზნისთვის საჭიროებოდ შერჩეული კაცი წერილით, რომლითაც აცნობებდნენ მას მისი ერთ-ერთი სარდლის გამარჯვებაზე და მოწინააღმდეგის დიდ ზარალზე. როდესაც უკიდურესად გახარებული სერტორიუსი შეუდგა ამ შემთხვევის გამო მსხვერპლის შეწირვას, — პერპენამ მიიწვია ისიც და

თავისი სხვა მეგობრებიც — ესენი ყველანი მისი თანაგანმზრახველნი იყვნენ — სადილზე და დაქორწინებითი თხოვნის შედეგად იგი დაითანხმა. ყველა წვეულებაზე, სადაც კი სერტორიუსი ესწრებოდა, დაცული იყო ხოლმე ზრდილობა და თავშეკავება. ის ვერ იტანდა თავხედობას, პირიქით, თავის ამხანაგებსაც კი ასწავლიდა არ გასცდენოდნენ მისაღებ ხუმრობასა და მხიარულებას. ამჯერად, ქეიფის დროს ისინი ეძებდნენ საბაბს ჩხუბის ასატეხად, განზრახ მღეროდნენ უწმაწურ სიმღერებს და თავს იკატუნებდნენ რა მთვრალებად, უწესოდ იქცეოდნენ, რათა იგი მოთმინებიდან გამოეყვანათ.

ეგების იმის გამო, რომ სერტორიუსს არ მოსწონდა მათი საქციელი, ან იმიტომ, რომ იგი მიუხვდა მათს განზრახვას მათი ლაყბობისა და მისდამი გამოჩენილი უჩვეულო ზიზღის წყალობით, — მან გამოიცვალა ადგილი და დაწვა მათკენ ზურგით, რათა ეჩვენებინა ან ის, რომ იგი მათ არავითარ ყურადღებას არ აქცევს, ანდა ის, რომ იგი მათ არ უსმენს. მაშინ პერპენამ აიღო ხელში ღვინით სავსე ფიალა და სმის დროს განზრახ დააგდო იგი; გაისმა დაცემის ხმაური, ეს კი შეთქმულთა პირობითი ნიშანი იყო. ანტონიუსმა, რომელიც სერტორიუსის გვერდით იწვა, ხმალი ჰკრა სერტორიუსს. იგი შეტრიალდა მისკენ და სურდა წამოდგომა, მაგრამ მკვლელი მას მკერდში ეტაკა და ორივე ხელი დაუჭირა. ამგვარად სერტორიუსმა თავის დაცვაც კი ვერ შესძლო და შეთქმულთა დარტყმების ქვეშ განუტევა სული.

XXVII. იბერთა უმრავლესობა გაიფანტა, გამართა მოლაპარაკება პომპეუსთანა და მეტელუსთან და მორჩილება განაცხადა. მაგრამ პერპენამ შეკრიბა ყველა დანარჩენნი და ფიქრობდა მათთან ერთად ჩაეღინა რამე გმირობა. მან ისარგებლა სერტორიუსის მიერ გაწეული სამზადისით, თუმცა მხოლოდ თავის შესარცხვენად და იმის საჩვენებლად, რომ იგი არ იყო შექმნილი არც მბრძანებლად და არც მორჩილად. იგი თავისი ჯარით დაიძრა პომპეუსის წინააღმდეგ. უმალ წააგო ბრძოლა და ტყვედ ჩავარდა. მაგრამ თავისი უკანასკნელი უბედურებაც ვერ გადაიტანა ისე, როგორც სარდალს შეეფერება. ხელთ იგდო რა სერტორიუსის ქალაღდები, მან წინადადება მისცა პომპეუსს, რომ იგი აჩვენებდა მას კონსულიარებისა და რომში ყველაზე გავლენიან პირთა საკუთარი ხელით დაწერილ წერილებს, რომლებითაც ისინი სერტორიუსს იტალიაში იწვევდნენ, რადგანაც მრავალნი მოელოდნენ არსებული წესების გარდაქმნას და პოლიტიკური წყობის შეცვლას. პომპეუსი მოიქცა ამ შემთხვევაში არა ისე, როგორც ეს მოსალოდნელი იყო ახალგაზრდა კაცისაგან, არამედ მოიქცა, როგორც გამოცდილი და მტკიცე ჭკუა-გონების პატრონი ნაცადი კაცი, რის წყალობითაც მან რომი გადაარჩინა მრავალი შიშიანობისა და შერყევისაგან. მან მოაგროვა ზემოხსენებული წერილები და ცეცხლს მისცა ყველა, ისე რომ არც თვითონ წაუკითხავს და არც სხვა ვისთვისმე მიუცია მათი წაკითხვის უფლება, პერპენა კი

უბრძანა დაუყოვნებლივ მოეკლათ. მას ეშინოდა, რომ თუ ზოგიერთ პირთა ვინაობა ვისმესთვის ცნობილი გახდებოდა, ეს ახალ აღშფოთებასა მღელვარებას გამოიწვევდა.

პერპენას თანაგანმზრახველნი ზოგნი პომპეუსთან მოიყვანეს და დაჰკლეს, ზოგნი აფრიკაში გაიქცნენ და იქ მავრუსთა შუბების მსხვერპლნი შეიქნენ. გადარჩა მხოლოდ აუფიდიუსი. შეიძლება იგი ყურადღების ღირსი არ გახადეს, ანდა ზიზღით მოეპყრნენ. ამის წყალობით მან მთელი თავისი სიცოცხლე გაატარა ბარბაროსთა რომელიღაც სოფელში და მოკვდა სიღატაკეში, ყველასგან მოძულებული.

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

1. 35-ე ოლიმპიადის დროს, ე. ი. ჩვ. წ-მდე 640 წ.

2. ღვთაებისადმი თავშეფარებულის მოკვლა ცოდვად ითვლებოდა.

3. პრიტანები შეადგენდნენ. ალბათ, ნავკრარების კოლეგიას.

4. პროსტატი ბერძნული ტერმინია, მოსარჩლეს ნიშნავს.

5. სოლონის ერთ-ერთი კრიტიკოსი ლაპარაკობს.

6. არისტოტელეს ტერმინოლოგიით „პოლიტეია" ნამდვილი რესპუბლიკური წყობაა, ზომიერი დემოკრატიაა, ხოლო „დემოკრატია" ის არის, რასაც შემდეგში „ოხლოკრატიას". ბრძოს ბატონობას უწოდებდნენ.

7. ქალაქ მეგარას ნავსადგური.

8. ასე იწოდებოდა ათენში ქალაქის ნაწილი, რომლის ირგვლივ შემოვლებული კედლების აშენებასაც უძველეს, ბერძნებზე ადრინდელ მოსახლეობას — პელასგებს მიაწერდნენ.

9. სკამანდრა — მდინარეა ტროას მახლობლად. მცირე აზიის ამ ნაწილში ზღვის სანაპიროზე ჰელესპონტის (დარდანელის სრუტის) შესავალთან არის აგრეთვე სიგეუმი, რომლისთვისაც ათენელები იბრძოდნენ ჯერ კიდევ ჩვ. წ-მდე XII საუკუნეში.

10. ნელიდები, ე. ი. ნელეის შთამომავალნი; იგი ჰომეროსის პოემებში იხსენიება, როგორც ნესტორის მამა.

11. მელანთი და კოდრა — მამა-შვილნი. — ორივე ატიკის მითიური მეფეები არიან.

12. პიზისტრატე — ნესტორის ვაჟი, მოხსენებულია ოდისეაში.

13. დღეობა, რომელიც იმართებოდა ოლიმპიადის მესამე წლის იმ თვეში. პეკატომბეონად რომ იწოდებოდა (ივლისის დამლევსა და აგვისტოს დამდეგს ემთხვევა). დიდი პროცესია იმართებოდა პეკატომბეონის 28 რიცხვში.

14. ეს მიუთითებს ამ საგვარეულოს კარიიდან შთამომავლობაზე.

15. ძველი ფილების სახელწოდებათა მიზეზობრივი ახსნა: ჰელეონტები, ეგიკორები, არგადეები, ჰოპლეტები. ამ სახელწოდებათაგან სამი მათს სასოფლო სამეურნეო წარმომავლობაზე მიუთითებს: ეგიკორები — თხის მწყემსები, არგადეები — მიწათმოქმედნი, ჰოპლეტები — ხელოსნები (მეიარაღენი). მეოთხე სახელწოდება ჰელეონტები — გაუკვეველია.

16. კლისთენე იყო ქალაქ სიკიონის ტირანი VI საუკუნის დასაწყისში.

17. იგულისხმება კილონის მომხრეების დახოცვა.

18. იგულისხმება „დემოკრატია" არისტოტელეს გაგებით, ე. ი. უკიდურესი დემოკრატია.

19. იგი წოდებული იყო „სამართლიანად".

20. იგულისხმება ალკიბიადეს ბიოგრაფია.

21. ციტატი, ალბათ, რომელიმე ძველი პოემიდან არის ამოღებული.

22. ჰიპერბოლე — ათენელი დემაგოგი, დაბალი წრიდან გამოსული, სანათურებით მოვაჭრე მდიდარი. ალბათ 417 წელს უნდა იყოს ოსტრაკიზმით გაძევებული და 411 წ. კუნძულ სამოსზე მოკლული. კომედიებში ხშირად დასცინოდნენ მას.

23. იგულისხმება თუკიდიდე, მელესის ძე. 443 წ. გაძევებული.

24. პლატონი — კომიკური პოეტი, რომელიც 428 — 390 წლებში ცხოვრობდა. აქ მოტანილია ციტატი მისი კომედია „ჰიპერბოლედან".

25. მითითება იმაზე, რომ პიპერბოლეს მამა დაღს ატარებდა როგორც მონა.

26. ამ დროის ამბების მონაწილე ათენელი ორატორი და პოლიტიკური მოღვაწე, რომელსაც უფრო მოლაყბის სახელი ჰქონდა დამსახურებული.

27. დიოდორეს ცნობით ამ ომის მიზანი იყო განთავისუფლება ბერძნული ქალაქებისა, რომლებშიც დარჩენილი იყვნენ ბარბაროსთა გარნიზონები.

28. შემდეგში ერთი მეორისაგან ასხვავებდნენ „ღვთაების მოლარეებსა" და „ელინთა ხაზინის მოლარეებს".

29. ფოროსი ნიშნავს გადასახადს. მაგრამ შემდეგში ამ სიტყვამ მიიღო ხარკის მნიშვნელობა, რის გამოც მოკავშირეებს იგი სძულდათ.

30. ე. ი. ერთ მილიონ მანეთამდე.

31. ლაპარაკია პელოპონესის ომზე.

32. კლერუხიები — ათენელ მოქალაქეთა კოლონიები დაპყრობილ ოლქებში.

33. ე. ი. არ იყო პირველი არქონტი, არქონტი-ბასილევსი და ასე შემდეგ.

34. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ არქონტები ვალდებული იყვნენ ჩაებარებიათ ანგარიში და თუ ანგარიშის ჩაბარება მშვიდად ჩაივლიდა, ისინი არეოპაგის წევრები გახდებოდნენ; მაშინ მათ უნდა გაეკვლოთ ხელახალი შემოწმება — დოკიმასია.

35. ეს არ არის ისტორიული თუკიდიდე.

36. „მშვენიერი და კეთილი" — ეს არის პოლიტიკური ტერმინი, რომელიც ფიზიკური და ზნეობრივი მშვენიერების გამომხატველია და რომელიც არისტოკრატებსა ჰქონდათ შეთვისებული.

37. ეს კანონი ძველადვე არსებობდა და პერიკლემ აღადგინა იგი 451/450 წ. აქ საქმე ეხება იმას, რომ პერიკლე თავისი სიცოცხლის უკანასკნელ ხანებში ცდილობდა ამ კანონის შეცვლას ასპასიასგან ნაყოლი თავისი შვილების გულისათვის.

38. ამაზე იხილე არისტოტელეს „ათენელთა სახელმწიფო წყობილება", სათანადო ადგილი XXXIV თავში.

39. პერიკლე ცოლით ენათესავებოდა ალკმეონიდების საგვარეულოს. რომელთა წევრებსაც ედათ ცოდვა კილონის მომხრეების დახოცვისა. სპარტელებმა ასეთი ბრალდება პერიკლეს მიმართაც წამოაყენეს.

40. ტალანტი უდრის 2400 მანეთს.

41. საფიქრებელია, რომ შეცდომაა დაშვებული და თექვსმეტიათასის მაგიერ ექვსი ათასი უნდა ეწეროს.

42. 18 — 20 წლის ახალგაზრდები ჩვეულებრივ საგარნიზონო სამსახურს ეწოდნენ; ხანში შესულები 50 — 60 წლისანი „შორეულ ლაშქრობაში არ იგზავნებოდნენ.

43. სტადიუმი უდრის 177.6 მეტრს.

44. ეს სიტყვა პერიკლემ წარმოთქვა სახელმწიფოს დავალებით პელოპონესის ომის პირველ წელს დაღუპულ ათენელ ჯარისკაცთა საფლავზე 431 წლის ზამთარში.

45. აქ დაპირისპირებაა სპარტელებისადმი, რომლებიც დრო და დრო აწყობდნენ ხოლმე თავიანთი ქვეყნიდან უცხოელების გაძევებას.

46. არისტოტელეს ამ თხზულების დასაწყისი შენახული არ არის.

47. ლეგენდარული პიროვნებაა.

48. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მახლობელნი"; ალბათ, კლიენტების მსგავს მდგომარეობაში იყვნენ.

49. სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „მემეექვსედენი". ჯერ ისევ ძველადვე სხვადასხვანაირად ესმოდათ მისი შინაარსი: ხან გულისხმობდნენ ხალხს, რომლებიც მოსავლის ერთ მეექვსედს უხდიდნენ მიწის პატრონს, ხან კი — რომლებსაც მოსავლის მხოლოდ ერთი მეექვსედი რჩებოდათ თვითონ. ამაზე იხ. „Бузескул — Афинская полития".

50. იონი — მითიური მეფეა.

51. უკანასკნელი ათენელი მეფის მედონტის შვილის კოდრას მემკვიდრე.

52. ტექსტი ბუნდოვანია; ალბათ კოდრიდების მიერ პოლიტიკურ ძალაუფლებაზე ღარის თქმაა გადმოცემული.

53. ბუკოლიონი — დიონისეს ტაძარი; დიონისე — ნახირთა ღვთაება იყო.

54. პრიტანეონი იყო ერთ-ერთი უმაღლესი სახელმწიფო დაწესებულება, რომლის უფლებებიც ცნობილი არ არის. მოთავსებული იყო იგი აკროპოლისის ჩრდილო-დასავლეთით.

55. მისტიკური წესი, რომელიც სრულდებოდა დიონისეს დიდ დღეობაზე მარტში.

56. ე. ი. ჩვ. წ. აღრიცხვამდე 621/620 წ.

57. სრული შეიარაღება (მუზარადი, აბჯარი, ფარი, შუბი და მახვილი) შეიძლებოდა ჰქონოდათ მხოლოდ შეძლებულთ, ისე რომ ეს ქონებრივი მდგომარეობის მაჩვენებელი იყო.

58. ათი მნა 400 მანეთს უდრის.

59. სეისახთეია, სიტყვა-სიტყვით ნიშნავს „ტვირთის ჩამობერტყვას“. ძველათვე მისი შინაარსი სხვადასხვანაირად ესმოდათ. ზოგნი მასში ვალების მთლიანად გაუქმებას გულისხმობდნენ, ზოგნი მდგომარეობის მხოლოდ ნაწილობრივ შემსუბუქებას ვარაუდობდნენ.

60. თეთრად შეღებილი ფიცრის დაფები. — კაცის სიმაღლისა, — რომლებსაც პრიზმის სახე ჰქონდა და ტრიალებდა, რათა წაკითხვა ადვილი ყოფილიყო. პლუტარქეს ცნობით ასეთი კირბების რიცხვი თექვსმეტამდე იყო.

61. ადგილი, სადაც მეფე მართლმსაჯულობდა.

62. თეტი ნიშნავს ბოგანოს, მოჯამაგირეს.

63. კოლაკრეტები თავდაპირველად იყვნენ საზოგადოებრივი მსხვერპლშეწირვის დროს მომსახურენი; შემდეგ საფინანსო თანამდებობად იქცა; პერიკლეს დროს ნავკრარიების მოლარეები, რომელთა საქმეც იყო მოსამართლეებისათვის ჯამაგირის დარიგება.

64. არქონტის თანამდებობაზე მხოლოდ პენტაკოსიომედიმნიანებს ირჩევდნენ. ძეგლიტებისათვის პირველად მხოლოდ დაბალი თანამდებობანი იყო ხელმისაწვდომი, მაღალ თანამდებობებს მხოლოდ გვიან მიაღწიეს.

65. მედიმნი უდრის 51.84 ლიტრს,სითხის საზომი მეტრეტი უდრის 39 ლიტრს.

66. ფეიდონი — ქალაქ არგოს ტირანი (VIII ან VII ს.) მის მიერ დადგენილი საზომები გავრცელდა პელოპონესში კუნძულ ეგინას საშუალებით, რის გამოც მათ ზოგჯერ „ეგინურს“ უწოდებენ. საბერძნეთში ლითონის ფულის მოჭრა იწყება დაახლოებით 700 წ. ჩვ. წ. აღრიცხვამდე.

67. იგულისხმება მიჯნები, რომლებზედაც აღნიშნული იყო, თუ ვისთან და რა თანხით იყო დაგირავებული.

68. ტექსტი დაზიანებულია.

69. ბერძნულად პარალიების პარტია ეწოდებოდა.

70. ბერძნულად — პედიაკები.

71. ბერძნულად — დიაკრიები.

72. ე. ი. 555 წ.

73. სრუტე ქალკედონის ნახევარკუნძულთან.

74. მთა არის თრაკიაში, მდ. სტრიმონის შესართავთან, რომელიც ცნობილია ოქროს საბადოებით.

75. მარათონსა და ათენს შუა მდებარე სოფელი, სადაც იყო ათენას ტაძარი.

76. კიკლადის კუნძულთა შორის უდიდესი. ლაგდამიდი, წარჩინებულთაგანი ჩაუდგა სათავეში უკმაყოფილო ხალხს.

77. თეზეის ტაძარი მოედნის მახლობლად, აკროპოლისის ჩრდილო ფერდობზე.

78. გაჩერების დროს მეომრები მძიმე ფარს ძირს სდებდნენ, შუბს კი მიწაში არ-

ჭობდნენ, რათა ტვირთისგან განთავისუფლებულიყვნენ. მაშასადამე, როდესაც ისინი პისისტრატეს მიუახლოვდნენ, იარაღი იმ ადგილას დასტოვეს, სადაც ეწყო.

79. ჰიმეტი მთა არის ატიკაში, ათენის სამხრეთ-აღმოსავლეთით.

80. კრონიონი — ზევსის მამა; მის დროს ბერძნები „ოქროს ხანას" უწოდებდნენ.

81. პატიკის აყრა უფლებების ჩამორთმევა. (ატიმია) უძველეს დროში უდრიდა კანონგარეშე გამოცხადებას. იყოს სრული და ნაწილობრივი ატიმია.

82. ფილოსეოსი არქონტად იყო 528/7 წ. პისისტრატე გარდაიცვალა 527 წლის ზაფხულზე.

83. სოლონს 560 წლის შემდეგ დიდხანს აღარ უცოცხლია.

84. იოფონტი სხვაგან აღარსად იწოდება პისისტრატეს შვილად. თუკიდიდე მხოლოდ სამს ასახელებს: პიპიას, ჰიპარქესა და თეტალოსს.

85. ჰეროდოტე იოფონტსა და თეტალოსს უკანონო შვილებად თვლის V საუკუნის შეხედულების საფუძველზე, რადგან ისინი ნაშობი იყვნენ უცხოელი (არა ათენელი) ქალისაგან.

86. კიფსელი იყო ჭ. კორინთოს ტირანი 658 თუ 655 წ., მან შექმნა იქ მთელი დინასტია.

87. კანეფორები იყვნენ ახალგაზრდა გაუთხოვარი ქალები, რომლებსაც დღეობაზე თავზე შედგმული კალათებით მიჰქონდათ მსხვერპლის შესაწირად საჭირო საგნები.

88. პანათენეის დღეობა მთიანი დღეობა იყო ათენში ქალღმერთ ათენას პატივსაცემად, იმართებოდა აგვისტოში, თან სდევდა დიდი საზეიმო პროცესია. პისისტრატეს დროს განსაკუთრებული ბრწყინვალებით შეიმოსა ეს დღეობა.

89. ე. ი. აკროპოლისის მწვერვალზე.

90. ათენის ნაესადგური, პირეუსის აღმოსავლეთით, დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა ჰქონდა.

91. პისისტრატესა და მეგაკლეს შორის განხეთქილებისა და ათენში ტირანიის დამყარების შემდეგ, ალკმეონიდების მთელი საგვარეულო იძულებული გახდა გაქცეულიყო (ლტოლვილიყო ათენიდან).

92. პარნეთო — ტყიანი მთის ქედი ათენის ჩრდილოეთით, ატიკასა და ბეოტიას შორის საზღვარზე.

93. დელფოს ძველი ტაძარი დაიწვა 548/7 წ. ხელშეკრულება ახალი ტაძრის აგების შესახებ უნდა იყოს დადებული 535 წელს.

94. ასე ეწოდებოდა აკროპოლისის ირგვლივ ნაგებობათა ნაშთს, რომლის აშენებასაც გადმოცემა მიაწერდა ტიკის პირველნდელ მოსახლეობას — პელასგებს.

95. იგულისხმება ალკმეონიდების „შეცოდება" კილონის აჯანყების დროს.

96. ჰეროდოტეს გადმოცემით ათენელებმა მხოლოდ კლეომენე და მისი სპარტელები გაუშვეს, ხოლო იქ შეპყრობილი ათენელები კი ამოხოცეს, თუმცა ზოგიერთები და მათ შორის ისაგორაც, მათ ხელიდან გაუსხლტდნენ.

97. უცნობი პირია.

98. დემარქი — დემის უფროსი, მამასახლისი.

99. ეპონიმი — გმირია, რომლის სახელიც ეწოდა ამა თუ იმ ფილეს.

100. არქეგეტი — გმირი — საგვარეულოს უფროსი.

101. ცნობილი ხმის მიცემის წესი, რომლითაც შეიძლებოდა ათი წლით გაძევება სამშიში და არასასურველი პოლიტიკური მოღვაწისა.

102. სოფელი სამხრეთ ატიკაში, ღვარიონის მადნის მახლობლად.

103. გერაისტი — კუნძულ ევბეის სამხრეთ-აღმოსავლეთის კიდე. სკიღაიონი — არგოლიდის აღმოსავლეთი კიდე. ამ პუნქტებით აღინიშნებოდა ის ხაზი, რომლის გადალახვაც გაძევებულებს ეკრძალებოდათ, თუმცა ეს ტექსტი სხვადასხვანაირად იკითხება.

104. ასე უწოდებდნენ ჩვეულებრივ სპარსელებთან ომს.

105. იგულისხმება ათენის ირგვლივ კედელი და ე. წ. „გრძელი კედლები", ათენსა და მის ნავსადგურ პირეუსს რომ აერთებდა.

106. ბერძენთა ძალების მთავარსარდალი იყო სპარტის მეფე პავსანია, რომლის უხეშმა და უტაქტო მოქმედებამაც სპარტას მოკავშირეები ჩამოაცილა. ათენელთა სარდალმა არისტიდემ კი ყველას სიმპათია დაიმსახურა, მას მიანდეს საზღვაო კავშირის ორგანიზაცია ათენის მეთაურობით.

107. ამის აზრი იმაში მდგომარეობს, რომ ხელშეკრულება უნდა მტკიცედ ყოფილიყო დაცული იქამდე, ვიდრე რკინის ნაპრებს წყალი არ ამოიტივტივებდა.

108. იგულისხმება ნაფიც მსაჯულთა სასამართლო „ჰელია", თუმცა მოსამართლეებს გასამრჯელო მხოლოდ შემდეგში ეძლეოდათ.

109. იგულისხმება პელოპონესის ომი.

110. — იგულისხმება ის ხალხი, ვინც საკუთარი დამსახურების გამო (სახელმწიფო სამსახურში, შეკიბრებაში გამარჯვებით) ან წინაპართა ღვაწლის გამო იღებდნენ სარჩოს პრიტანეიუმში.

111. ომში დაღუპულთა შვილები იზრდებოდნენ თავშესაფარებში სახელმწიფო ხარჯზე, სრული წლოვანი რომ გახდებოდნენ კი — სახელმწიფო ხარჯზეე იღებდნენ იარაღს.

112. საკურთხეველთან შეფარებით, მას სურდა მოეპოვებია ხელშეუხებლობა.

113. იგულისხმება „ჰოპლიტების". ე. ი. სამი უმაღლესი კლასის მოქალაქეების სია, რომელშიაც არ შედიოდნენ ფლოტში მოსამსახურე თეტები.

114. სოლონის კანონმდებლობით არქონტი პირველად მხოლოდ პირველი კლასის მოქალაქეთაგან ირჩეოდა. შემდეგში მეორე კლასის მოქალაქეებმაც მიიღეს ასეთი უფლება, არ ვიცით როდის. მესამე კლასმაც მიიღო, მაგრამ მეოთხე კლასმა (თეტებმა) ეს უფლება ვერ მოიპოვა.

115. კიმონი მეთაურობდა ექსპედიციას კუნძულ თასოსზე. მას ბრალად დასდეს, რომ არ გამოიყენა თავისი გამარჯვების შედეგი და არ შეიპრა მაკედონიაში, რადგან ვითომდა იგი მოსყიდული იყო მაკედონიის მეფე ალექსანდრეს მიერ. კიმონს ეს ბრალდება არ დაუმტკიცდა.

116. ლაკიადი — კიმონის სამშობლო დემი იყო.

117. თავდაპირველად ჯამაგირი, ალბათ, არ აღემატებოდა ერთ ობოლს (6 კაპ.) დღეში. შემდეგში იგი გაიზარდა და სამ ობოლს აღწევდა.

118. პილოსი — ნავსადგურია პელოპონესის დასავლეთ ნაწილში. იგი 425 წ. დაიკავეს ათენელებმა, ხოლო 409 წელს აიღეს სპარტელებმა. მაშინ მის გამოსახსნელად გაიგზავნა ანიტე, მაგრამ მან იმედები არ გაამართლა და წარუმატებლობისათვის პასუხისგებაში იქნა მიცემული.

119. პერიკლეს მამა.

120. თუკიდიდე მელესიას ძე (არა ისტორიკოსი).

121. 410 წლიდან ღარიბებს ეძლეოდათ ე. წ. „სანახაობათა ფული", რათა მათ თეატრში წასვლა შესძლებოდათ.

122. იგულისხმება ათენელთა ჯარის სრული განადგურება, რითაც დამთავრდა სიცილიაში ლაშქრობა (415 — 412 წ.).

123. ე. ი. სპარსეთის მეფესთან. 412 წ. სპარტელებმა ხელშეკრულება დადეს სპარსელებთან, რომლითაც აღიარეს მათი ბატონობა მცირე აზიელ ბერძნებზე და ამის სამაგიეროდ სპარსელებისგან მიიღეს დაპირება, რომ ისინი სპარტელებს დაეხმარებოდნენ ათენთან ბრძოლაში.

124. ალბათ იმ კომისიაზეა ლაპარაკი, რომელიც სიცილიის კატასტროფის შემდეგ იქნა არჩეული და რომლის მიზანიც დემოკრატიის შეზღუდვა იყო.

125. იგულისხმება საბჭოს მორიგე ნაწილი.

126. ეისანგელია — განცხადება საბჭოს (პრიტანების) მოძართ რომელიმე სახელმწიფო ან საზოგადოებრივი ხასიათის დანაშაულის შესახებ.

127. პროსკლესისი — მოთხოვნა ამა თუ იმ პირის სამსჯავროს ან მოხელის წინაშე გამოცხადების შესახებ, რათა პასუხი ეგო.

128. თანამდებობის პირთათვის ჯამაგირის გაცემა შესაძლებელს ხდიდა მოხელეობას ღარიბი ხალხისთვისაც; ეს იყო ერთ-ერთი დემოკრატიული საშუალება. რეაქციის პერიოდში, ღარიბთათვის რომ მოესპოთ თანამდებობათა შესაძლებლობა, გაუქმეს ჯამაგირი.

129. რადგანაც საბჭოს წევრთა მორიგეობა წლის განმავლობაში განაწილებული იყო ცალკეულ ფილეთა წარმომადგენლების ჯგუფებს შორის და თვითეულ ასეთ ჯგუფს მორიგეობა უწევდა წლის 1/10 განმავლობაში, ჯამაგირიც ამიტომ პრიტანებს უნდა მხოლოდ ამ ხნის განმავლობაში მიეღოთ.

130. ათენის მოქალაქეთა საერთო რიცხვი, რომელთაც იარაღის ტარება შეეძლოთ 20-30 ათასს უდრიდა; ამათგან სრულუფლებიანად მხოლოდ 5000-ის აღორძინება უკრძესად რეაქციული.

131. პიერომნემონი — ნოტარიესის მსგავსი თანამდებობა. მასთან უნდა გაეტარებინათ კერძო გარიგებების ტექსტები, სასამართლოს განაჩენები და სხვა.

132. ათენში ძ განასხვავებდნენ ქალაქერთ ათენას საზღვაო ხაზინის მოლარესა და საკავშირო ხაზინის მოლარეებს ელინოტამიებს. ეს უკანასკნელნი არსებობდნენ პელოპონესის ომის დასასრულამდე, როდესაც დაასრულა თავისი არსებობა საზღვაო კავშირმაც.

133. იგულისხმებიან ის პირნი, რომელთაც ეკალებოდათ ზრუნვა სატაძრო შენობებზე.

134. საკავშირო ხაზინის მოლარეების ელინოტამიების კოლეგია, როგორც ჩანს, ორ ჯგუფად იყოფოდა, რომელთაგანაც ერთი აქტიურ ფინანსიურ საქმიანობას ეწეოდა. მეორე კი თეორიულ საკითხებს ამუშავებდა. მხოლოდ ამ მეორე ჯგუფს ჰქონდა საბჭოს მუშაობაში მონაწილეობის უფლება.

135. თარგელიონის თვე შეესაბამება მაის-იუნისს. თარგელიონის 14 რიცხვი მოდის მაისის დამლევზე; თარგელიონის 29 — დაახლოებით ივნისის რვაზე.

136. სკიროფორიონი — ივნის-ივლისი; 11 სკიროფორიონი — ივნისის დამლეგი.

137. ქიროტონია — საერთო ხმის მიცემა.

138. დეკალეა — ციხე-სიმაგრე ატიკის ჩრდილო-დასაელეთ ნაწილში, რომელიც სპარტელებმა აიღეს 413 წ. და ომის დასრულებამდე ეპყრათ.

139. იგულისხმება ათენის მოკავშირეთა ქალაქები, რომლებიც სპარტის მხარეზე გადავიდნენ.

140. სპარტელთა სარდალი, რომელმაც გამარჯვება მოიპოვა ეგოსპოტამოსში 404 წ. და ატარებდა სპარტის ოლიგარქიულ პოლიტიკას. დაიღუპა 395 წ. ბრძოლის ველზე.

141. ჰეტერიები — პოლიტიკური კლუბები.

142. ძველად მიჩნეული იყო მხოლოდ საგვარეულო საკუთრება. პირველად სოლონმა შემოიღო ქონების თავისუფლად მოხმარებისა და სამემკვიდრეოდ გადაცემის უფლება.

143. სიკოფანტები — თაღლითები, რომლებიც ცრუდაბეზღებებითა და გაიძვერობით ფულსა სტყუებდნენ ხალხს.

144. ფილე ადგილია მთებში გზაზე ატიკასა და ბეოტიას შორის. აქ თავი მოიყარეს ათენიდან ლტოლვილებმა თრაზიბულეს მეთაურობით; მათი რიცხვი თანდათან იზრდებოდა, მათ აქ სიმაგრეები ააგეს და ოცდაათის მმართველობის მთელი ხნის განმავლობაში (დაახლოებით 8 თვეს) წინააღმდეგობას უწევდნენ მათ ტირანიას.

145. ეს კედელი პირეუსში შესასვლელს იცავდა ჩრდილოეთის მხრიდან. იგი ააშენეს ოთხასის მმართველობის დროს. ამ მმართველობის დამხობის შემდეგ დემოკრატებმა

დაანგრიეს ეს კედელი, რადგან ეშინოდათ, რომ მას დასაყრდენ პუნქტად გამოიყენებდა სპარტელთა ფლოტი ოლიგარქებისთვის დახმარების აღმოჩენის შემთხვევაში.

146. პარმოსტი — სპარტელთა გარნიზონის უფროსი და ხელისუფლების წარმომადგენელი მისთვის დაქვემდებარებულ ქალაქში.

147. სპარტის მეფე პაუსანია ლისანდრესთან ჭიშპის გამო მოვიდა თავისი ჯარით ათენში, მოლაპარაკება გამართა ორივე პარტიასთან და მოახერხა საერთო ზავის ჩამოგდება.

148. ელევსინი — ერთ-ერთი უდიდესი დაბა ატიკაში, ათენის ჩრდილო-დასავლეთით. იგი ძველთაგანვე იყო მიწათმფლობელური არისტოკრატიის ცენტრი, რადგან ელევსინის ნაყოფიერი ველის შუა გულში მდებარეობდა. პირეუსში დამარცხების შემდეგ ოცდაათის მმართველობის გადარჩენილი წევრები ცდილობდნენ აქ გამაგრებულიყვნენ.

149. აქ, ალბათ, იგულისხმება ათენში დატოვებული უძრავი ქონება (სასლი, სახელოსნო და სხვა).

150. იგულისხმება დემეტრესა და კორას ტაძარი.

151. კერიკები და ეუმოლპიდები — ორი ძველი წარჩინებული საგვარეულო, რომლის წარმომადგენლებიც ასრულებდნენ მთავარ საქურუმო თანამდებობებს ელევსინის მისტერიების დროს.

152. ეს გათიშვა დიდხანს არ გაგრძელებულა და მთლიანობა მალე იქნა აღდგენილი.

153. სპარტელების გამარჯვების შემდეგ ათენი იძულებული იყო შესულიყო სპარტის მეთაურობით შექმნილ კავშირში და ამის შესაბამისად ეძლია საწევრო შესატანი საკავშირო სალაროსათვის.

154. იგულისხმება ფიცი საზავო პირობების დაცვის შესახებ.

155. არქინე — ზომიერი დემოკრატიის წარმომადგენელი.

156. ათენში კანონი უფლებას აძლევდა მოქალაქეს, თუ იგი დამნაშავეს წაასწრებდა დანაშაულის ადგილზე, შეეპყრო იგი და მიეყვანა საბჭოში პრიტანეთან. დიდმნიშვნელოვანი პოლიტიკური ან სისხლის საქმეების გარჩევა ასეთ შემთხვევაში სასწრაფოდ ითვალისწინებოდა.

157. ფილობასილევსი — ფილეს მეფე. — თანამდებობა, რომელიც გვიან ხანებშიაც არსებობდა, მაგრამ უკვე მხოლოდ რელიგიური მნიშვნელობა ჰქონდა, ფილარქების თანამდებობათა წინააღმდეგ.

158. ე. ი. ნაფიც მსაჯულთა სასამართლოსაგან.

159. პალესტრები — სკოლები, რომლებშიაც ახალგაზრდობა, განსაკუთრებით მოზარდნი, ფიზიკურად ვარჯიშობდნენ. ასეთი სკოლები ათენში ბლომად იყო. ისინი უპირისპირდებოდნენ უფრო მოზრდილთა სკოლებს, ე. წ. „გიმნაზიებს“, რომელთა შენახვაც უფრო ძვირი ჯდებოდა და რომელთა რიცხვიც ამის გამო მცირე იყო. რადგანაც ვარჯიშობდნენ სრულიად შიშველნი, ამასთანავე სხეულს ზეთით იზელდნენ, რომელიც მერე უნდა ჩამოებანათ, ამიტომ გიმნაზიებთანა და პალესტრიებთან არსებობდა ვასახდელი და საბაზანო სათავსოები. ეს სკოლები კლუბის მაგვარ დაწესებულებებად გადაიქცნენ.

160. ათენში არსებული წესის თანახმად, თუ ვინმე სახალხო კრებაში შეიტანდა რომელიმე წინადადებას, რაც არსებულ კანონს ეწინააღმდეგებოდა, და იგი მიღებული იქნებოდა, ამ წინადადების ავტორი შეიძლება ერთი წლის განმავლობაში ყოფილიყო მიცემული პასუხისგებაში კანონის საწინააღმდეგო მოქმედებისათვის.

161. სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ ყველა თანამდებობის პირი ვალდებული იყო წარედგინა ანგარიში, რომელიც გაირჩეოდა ნაფიცმსაჯულთა საგანგებო კომისიებში.

162. საქმე ეხება ტრიერარქის მოვალეობას, რომელსაც ეძღეოდა მზამზარეული ხომალდი (ტრიერი) და მას უნდა იგი შეეკეთებია, მოემარაგებია და გამოსაყენებლად ძოემზადებია.

163. უმთავრესად ქუჩაში გასასკელები იგულისხმება.

164. ლაპარაკია სხვადასხვა ღმერთებთა დღეობებზე, სხვადასხვა დროს რომ იმართებოდა.

165. ენეასი — ტროას ომის დროინდელი ლეგენდარული პიროვნება.

166. პროკა (Procа silvius) გადმოცემით თ. იზმად იყო ალბანის მე-12 მეფე.

167. რეა სილვიას დასჯა მხოლოდ ამულიუსის განრისხებით არ არის გამოწვეული. რეა სილვია ქალღმერთ ვესტას მსახური (ქურუმი) იყო. ვესტას მსახურ ქალებს თავისი სამსახურის განმაღლობაში უნდა სასტიკად დაეცვათ ქალწულობა. აღთქმის დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა.

ვესტა კრონისა და ბინადარი ცხოვრების ღვთაება (ქალღმერთი) იყო, რომელსაც რომაელები ცეცხლის ალის სახით თაყვანსა სცემდნენ. მის ტაძარში ცეცხლი არასოდეს არ უნდა ჩამქრალიყო, ცეცხლის ჩაქრობა დიდი უბედურების შემასწავებლად იყო მიჩნეული. ამგვარი საფრთხე თავიდან აცილებული რომ ყოფილიყო, ტაძარს მიჩნეული ჰყავდა საგანგებო მსახური (ქურუმი) ქალები (virgines vestales). მათ ირჩევდნენ წარჩინებულთა ოჯახებიდან 6—10 წლის ასაკში. ვესტას ქურუმად განკუთვნილი ქალები პირველი 10 წლის განმავლობაში უფროსი ქურუმი ქალებისაგან იღებდნენ სწავლა-აღზრდას, მეორე 10 წლის განმაღლობაში ასრულებდნენ ვესტასადმი სამსახურს, მესამე 10 წლის განმაღლობაში კი — თვითონ სხვებს ასწაღლიდნენ. მხოლოდ ამის შემდეგ შეეძლოთ მათ გათხოვება.

ვესტას ქურუმ ქალებს რომის საზოგადოებაში დიდი პატივით ეპყრობოდნენ და მათ დიდი გავლენაც ჰქონდათ მოპოვებული.

სამსახურის (30 წლის) განმაღლობაში უნდა სასტიკად დაეცვათ ქალწულობა, აღთქმის დამრღვევი სასტიკად ისჯებოდა.

168. ბავშვების დახოცვა იშიტომ იყო საჭირო, რათა ამეღიუსსა და მის შთამომაკლობას ხელისუფლების შემცილე არა ჰყოლოდათ.

169. ეს ის ხე იყო, რომლის ქვეშაც რომულესსა და რემუსს ძუ მგელი აწოვებდა.

170. ლუპერკალიები — ერთ-ერთი უძველესი დღეობა იყო რომში; დაკავშირებულია სიტყვასთან lupus მგელი. დღეობა იზართებოდა ცხოველების ნადირთაგან (მგლისაგან) მფარველ ღვთაებათა (Faunus—უდრის ბერძნულ პანს; Silvanus) საპატივსაცემოდ. დღეობა მოდიოდა 15 თებერვალს. დღეობის დღეს ამ კულტის ქურუმნი ახლად დაკლულ სამსხვერპლო თხის ტყავგადაცმულნი შიშველნი დარბოდნენ ქუჩებში. მათ ხელში ეჭირათ სამსხვერპლო ცხოველის ტყავის თასმისგან დაწნული შოლტი, რომლითაც შემხვედრთ, განსაკუთრებით გათხოვილ ქალებს, მეცელზე სცემდნენ. ამით ქალები ნაყოფიერებასა და ადვილად მომშობიარობას მიიღებდნენ. ეს კულტი ცხოველთა და მცენარეთა ნაყოფიერებასთანაც იყო დაკავშირებული Faunus-ი, Silvanus-ი და Pan-ი წარმოდგენილი ჰყავდათ და გამოხატავდნენ სასაცილო სახით: ადამიანს თხის რქებითა და წვერით, ხშირად ადამიანს თხის ფეხებით.

171. იგულისხმება ცნობილი რომაული თამაშობანი (Ludi populi Romani), რომლის დროსაც იმართებოდა შეჯიბრი სამხედრო ჯომარდობაში ახალგაზრდებს შორის.

172. ლაპარაკია მკითხაობის წესზე, რომელსაც რომაელები Auspicium-ს უწოდებდნენ — ფრინველთა ფრენაზე დაკვირვების საშუალებით ამოკითხავდნენ ღმერთის ნება-სურვილსა და მომავალ ბედ-იღბალს.

173. ქალაქთა მშენებლობის ძველი რომაული წესის მიხედვით ქალაქს შემოვლებული ჰქონდა სამღვთო ხაზი — პომერიუმი, რომელზედაც შენდებოდა ქალაქის ცხის კედლები. პომერიუმი სამღვთო, წმინდა ხაზად ითვლებოდა და მასზე გადაბიჯება არც

შინაურსა და არც გარეულს. არავის შეეძლო: ამის ჩამდენი სიკვდილით ისჯებოდა. შემდგომში პომერიუმი იქცა იმ ადგილად. სადაც გარედან (უცხოეთიდან) შემოსულ კულტთა ღვთაებების გამოსახულებებს ათავსებდნენ.

174. შეა იტალიაში მოსახლე ტოტთა ჯგუფი.

175. იგულისხმება ე. წ. Forum Romanum. ქ. რომის ცენტრალური მოედანი, სადაც რომაელთა საზოგადოებრივი და პოლიტიკური ცხოვრების ყველა მნიშვნელოვანი მოვლენა პოულობდა გამოძახილს. ეს იყო სახალხო კრების ადგილი, აქ იმართებოდა პოლიტიკური პროცესები, ლიტერატურული დისპუტები, აქ ხდებოდა მონათა გაასხატება საჯაროდ და სხვა. Forum Romanum-ის ისტორია უშუალოდ არის ჩაქსოვილი რომაელთა სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ცხოვრების ისტორიაში.

რომში იყო სხვა მოედნებიც. მაგრამ მათ სპეციალური (საკაცრო) დანიშნულება ჰქონდათ და პოლიტიკური მნიშვნელობა არასოდეს არ მოუპოვებიათ.

176. ორი იმ შვიდ ბორცვთაგან, რომლებზედაც ქ. რომი იყო გაშენებული.

177. ლიქტორები იყვნენ მსახურნი, რომელნიც წინ უძღოდნენ რომაელთა უმაღლეს მოხელეებს — დიქტატორსა და კონსულებს, დიქტატორს — 24, კონსულს — 12. ლიქტორებს მხარზე ჰქონდათ გადებული სახრეების (ჯოკების) კონა, რომელშიაც იყო ჩარჭობილი ცული ნიშნად იმისა. რომ მოხელეს ჰქონდა მოქალაქეებზე სიკვდილ-სიცოცხლის უფლება.

ცელიანი კონებით ლიქტორები წინ უძღოდნენ დიქტატორს ქ. რომშიც, კონსულებს კი რესპუბლიკის დაარსებისთანავე ეს ატრიბუტები ჩამოართვეს და მხოლოდ რომის გარეთ ჰქონდათ ამის უფლება.

ლიქტორები ღამით გზას უნათებდნენ მოხელეს მაშხალებით (ქალაქის ქუჩები ღამით განათებული არ იყო; ეს მხოლოდ V საუკუნეში შემოიღეს კონსტანტინეპოლში.).

178. იგულისხმება სრულუფლებიანი რომაელი მოქალაქის უფლების ერთი მუხლი (ius provocationis), რომლის საფუძველზეც მოქალაქეს შეეძლო ყოველი მოხელის, მოქმედება გაესაჩივრებია ხალხის (სახალხო კრების) წინაშე.

სრულუფლებიანი რომაელი მოქალაქის უფლება შედგებოდა ხუთი მუხლისაგან:

1) ius commercii—ანიჭებდა მოქალაქეს უფლებას ეწარმოებია აღებ-მიცემა, შეეძინა უძრავ-მოძრავი ქონება და ეანდერძებინა იგი სხვისათვის.

2) ius connubii—რომაელ მოქალაქეს შეეძლო შეერთო სრულუფლებიანი ოჯახის რომაელი ქალი და მისი შთამომავლობა იქნებოდა სრულუფლებიანი.

3) მესამე იყო ზემოხსენებული ius provocationis.

4) ius suffragii—მოქალაქეს უფლებას ანიჭებდა მიეღო მონაწილეობა და ხმა მიეცა არჩევნებში.

5) ius honorum—მოქალაქეს ენიჭებოდა უფლება თვითონ ყოფილიყო არჩეული.

179. დიქტატორს ირჩევდნენ რომში განსაკუთრებული შემთხვევის გამო, როდესაც სახელმწიფოს საფრთხე დაემუქრებოდა გარედან მტრის თავდასხმის, ან შიგნით სამოქალაქო ომისა და საზოგადოებრივ არეულობათა შედეგად. იგი აღჭურვილი იყო შეუზღუდავი ძალაუფლებით და მას ექვემდებარებოდნენ ყველა უმაღლესი მოხელენი, გარდა სახალხო ტრიბუნებისა. მისი მოქმედება განუსაჩივრებელი იყო და მასზე არც ტრიბუნის veto ვრცელდებოდა.

დიქტატორს ნიშნავდა კონსული სენატის საგანგებო დადგენილების (Senatus consultum) საფუძველზე: სენატის ამ დადგენილების სპეციალური ფორმულა არსებობდა: Videant consules nequid detrimenti respublica capiat—დეე, იზრუნონ კონსულებმა, რათა რესპუბლიკას ზიანი არ მიადგეს რაო — დიქტატორს ყოველთვის გარკვეული შემთხვევისთვისა და მიზნით ირჩევდნენ და მისი სამსახურის ხანგრძლივობა არასოდეს

ეჭვს თვეზე მეტი არა ყოფილა. მისი მოქმედების არე იტალიის ტერიტორიით იფარგლებოდა და მის გარეთ არ ერცელდებოდა.

პირველი დიქტატორი 498 წ. (ჩვ. წ-მდე) ლათინელებთან ომის დროს უნდა ყოფილიყო არჩეული. როგორც ყოველგვარი სხვა უმაღლესი მოხელეობა, დიქტატორობაც პატრიცთა პრივილეგიას შეადგენდა თავდაპირველად, მაგრამ 356 წლიდან იგი ხელმისაწვდომი გახდა აგრეთვე პლებეებისთვისაც.

დიქტატორს ზოგჯერ უმნიშვნელო საქმისთვისაც ირჩევდნენ, მაგ., რომელიმე დღეობის ან რომელიმე სხვა საზეიმო ცერემონიალის, სანახაობათა მოწყობის სახელმძღვანელოდ და სხვა.

სულასა და ცეზარის დიქტატურა სულ სხვა ხასიათის მოვლენას წარმოადგენდა.

180. ეკვები — შუა იტალიაში მოსახლე ტომთა ჯგუფი.

181. სახალხო ტრიბუნი უმაღლეს მობელეთა წრეს ეკუთვნოდა რომში. ტრიბუნის თანამდებობა შემოღებულ იქნა 494 წელს პლებეების ზემოხსენებული მოძრაობის შედეგად. პირველად ირჩევდნენ ორს, შემდეგ ხუთს და ბოლო ბანებში ათს.

სახალხო ტრიბუნები (Tribuni plebis) მოწოდებული იყვნენ დაეცვათ პლებეების ინტერესები. ისინი აღჭურვილი იყვნენ უმაღლესი ძალაუფლებით. მათ შეეძლოთ ყოველი მოხელისათვით კონსულის ჩათვლით, — მოქმედება — საქმიანობაში ჩარეულიყვნენ და მათი ყოველგვარი დადგენილება გაეუქმებიათ; ტრიბუნების მიმართ კი ასეთი ჩარევის (intercesio-ს) უფლება არავისა ჰქონდა, გარდა მისივე კოლეგა სახალხო ტრიბუნისა. სახალხო ტრიბუნს უფლება ჰქონდა გაეუქმებია სენატის დადგენილება, დაედო მისთვის vetu

ტრიბუნისგან დახმარება შეეძლო მიეღო ყოველ პლებეის ყველა დროს. ამისთვის ტრიბუნი მუდამ მზად უნდა ყოფილიყო; იგი მუდმივ რომში იმყოფებოდა და მისი სახლის კარი დღე და ღამე ღია იყო, რათა ყველას დაუბრკოლებლივ შესძლებოდა მასთან მისვლა. ტრიბუნის პიროვნება საღვთოდ და ხელშეუხებლად ითვლებოდა.

ტრიბუნს შეეძლო სახალხო კრების მოწვევა. შემდგომში მიიღო სენატის სხდომებზე მონაწილეობისა და თვით სენატის მოწვევის უფლებაც.

ტრიბუნის თანამდებობა რესპუბლიკის პირმშო იყო და რესპუბლიკის დაცემასთან. ისიც დაკნინდა. იმპერიის დროს სახალხო ტრიბუნის ფუნქციები იმპერატორებმა მიითვისეს.

182. პატარა მდინარე სამხრეთ-აღმოსავლეთ იტალიაში.

183. ორივე კონსული ჩვეულებრივ თან ახლდა ხოლმე რომაელთა ლაშქარს ბრძოლის ველზე. ისინი ზოგჯერ სამოქმედო ასპარეზს იყოფდნენ და თავთავიანთ უბანზე დამოუკიდებლად სარდლობდნენ; ზოგჯერ-კი ერთად მოქმედებდნენ, ამასთანავე უმაღლესი სარდლობის უფლება ერთ დღეს ერთ მათგანს ეკუთვნოდა. მეორე დღეს კი მეორეს.

184. ბალეარის კუნძულების მცხოვრებნი.

185. ამ ორივე ადგილას ჰანიბალმა სასტიკად დაამარცხა რომაელთა ჯარი.

186. რომაული წესის თანახმად ყოველი მოხელის პასუხისგებაში მიცემა შეიძლებოდა მისი სამსახურის ვადის გასვლის შემდეგ (ჩვეულებრივ ერთი წლით). ემილიუსი გულისხმობს იმას, რომ, თუ იგი ცოცხალი გადარჩებოდა, მას პასუხი მოეთხოვებოდა როგორც კონსულს რომაელი ჯარის მიერ განცდილი დამარცხების გამო და რადგანაც თვითონ ამ საქმეში უდანაშაულო იყო, მას მოუხდებოდა ემხილებია თავისი კოლეგა კონსული. რომელსაც იმ დღით უმაღლესი სარდლობა ეკუთვნოდა და რომელმაც ემილიუსისა და სხვებთან თათბირის გარეშე დაიწყო საომარი მოქმედება, თუმცა სხვები ამის წინააღმდეგი იყვნენ.

187. კანა — დაბა სამხრეთ-აღმოსავლეთ იტალიაში.

188. ძველი ლაციუმის პატარა მდინარეა, რომის ჩრდილო-აღმოსავლეთით, ერთვის მდ. ტიბრს მარცხენა მხრით; ამ ადგილას ჩვ. წელთაღრიცხვამდე 390 წ. რომაელები დაამარცხეს გალებმა.

189. კაპიტოლიუმი — იმ შვიდ ბორცვთაგანია, რომელზედაც გაშენებული იყო ქ. რომი; აქ იყო ქალაქის ციხე-სიმაგრე.

189. იგულისხმება ქალაქი რომი.

190. მცირე კუნძულთა ჯგუფი სიცილიის დასავლეთ სანაპიროსთან.

191. კართაგენის ციხე-სიმაგრე.

192. სტადიონი (ანუ სტადიუმი) უდრის 177.6 მ.

193. ფუტი უდრის — 0.296 მ.

194. სატურნალია — დღეობა, რომელიც იმართებოდა ნათესებისა და მოსაელის ღვთაება ხატურნუსის (Saturnus) პატივსაცემად და გრძელდებოდა 17—23 დეკემბრამდე.

სატურნალია მნიშვნელოვანი და რომაელებში მიღებული სასიხარულო დღეობა იყო. ამ დროს არაფერს არა ზოგავდნენ და თვით მონებიც კი ბატონებთან ერთად ეზეიმობდნენ. ივი საყოველთაო დღეობა იყო და ჯარშიაც კი ზეიმობდნენ.

195. კომპიტალია — დღეობა ლარების (Lares) — გზაჯვარედინთა ღვთაებების პატივსაცემად; მასში უმთავრესად მონები და ლიბერტინები იღებდნენ მონაწილეობას, ამიტომ იგი აკრძალული იყო სამოქალაქო ომებისა და მონათა აჯანყებების პერიოდში (1 ს. ჩვ. წელთაღრიცხვამდე).

196. სიცილიის ქალაქი.

197. ქალაქია შუაგულ სიცილიაში.

198. ქალაქია იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში. აქ იყო სპეციალური სასწავლებელი, სადაც მონებს ამზადებდნენ გლადიატორებად. გლადიატორთა დანიშნულება იყო ცირკის არენაზე შებრძოლებოდნენ გარეულ მხეცებს ან ერთმანეთს სასიკვდილოდ. ასეთი სანახაობა მეტად იზიდავდა რომაელ საზოგადოებას, რის გამოც საჭირო იყო გლადიატორები მრავალად ჰყოლოდათ.

199. გარგანის მთა აპულიაშია.

200. პიცენუმი შუა იტალიაშია.

201. სამხრეთ იტალიაში.

202. ლაპარაკია სასჯელის დეციმაციის წესზე.

203. ბრუნდიზიუმი — სანაპირო ქალაქი იტალიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში.

204. რომაელთა შორის არსებული კატილინასადმი მტრული ტრადიცია კატილინას მიაწერდა რამდენიმე შეცოდება-დანაშაულს: თითქოს იგი ყოფილიყო მკვლელი თავისი ძმისა, სიძისა და სხვა.

205. იგულისხმებიან ის პირები, რომლებიც სხვათა ანდერძებზე მათ მაგიერ თავის ბეჭედს ასვამდნენ.

206. კონსულობაზე თავისი კანდიდატურის წამოსაყენებლად რომ ემზადებოდა, კატილინამ საარჩევნო პროგრამით გამოაცხადა ვალების კასაცია, რითაც იგებდა დავალიანებულთა გულს და იძენდა ფართო მასების მხარდაჭერას; მეორეს მხრივ ამ გარემოებამ მას დაუპირისპირა მდიდრები და მევახშეები.

207. ამ დროს პომპეუსი ომს აწარმოებდა პონტოში მითრიდატესთან.

208. ეს ისე კი არ უნდა გავიგოთ, თითქოს სენატი არაფრად თელიდა კატილინას მოქმედებიდან გამომდინარე მოსალოდნელ საფრთხეს, არამედ ამ ნათქვამში გამოსჭვივის თვით სალუსტის შეხედულება, რომელიც, როგორც დემოკრატიული მიმართულების მოაზროვნე, ფიქრობდა, რომ სენატს საერთოდ არ შესწევდა რაიმე ეფექტიური მოქმედების უნარი.

209. ე. ი. პირველ ივნისს.

210. ეს ის ცნობილი კრასესია, რომელმაც სპარტაკი დაამარცხა და რომელიც უმაღლესი ძალაუფლებისთვის პომპეუსს ემეტოქებოდა.

211. კატილინას მომხრეები ჩვეულებრივ იკრიბებოდნენ ხოლმე ერთ-ერთი შეთქმულის მარკუს პორციუს ლეკის სახლში.

212. რომაელები ასე უწოდებდნენ მათ მიერ დაპყრობილი წვრილი სამეფოებ-ს მმართველებს, რომლებისთვისაც არ უნდოდათ მეფეები ეწოდებინათ.

213. რომლებშიაც სავალო პირობები დაეალიანებელთა სასარგებლოდ იქნებოდა შეცვლილი.

214. ე. ი. იმ მდიდართა სიების შედგენა, რომელთა ქონებაც ჩამორთმეული ენდა ყოფილიყო სახელმწიფოსა და ახალ ხელისუფალთა სასარგებლოდ.

215. მიუხედავად სალუსტის კატეგორიული განცხადებისა, ციცერონის უზნეობა მაინც ეჭვმიუტანლად და დადასტურებულად არ ჩათვლება, რადგან ცენზორები ამ დროს ხშირად სარგებლობდნენ ამ არგუმენტით, რათა სენატიდან მათთვის არა სასურველი პირები გაეძევებინათ.

216. კაცი, რომელსაც თავის გვარში წარჩინებული წინაპრები არა ჰყავდა და უმაღლეს ხელისუფლებას მიაღწია სამსახურებრივი კარიერის გზით, კონსერვატიული წრეების მიერ მიჩნეული იყო როგორც უდვისტომო, მეტიჩარა, „ახალი კაცი" (homo novus) ასეთად თვლიდნენ ციცერონსაც.

217. ფეზული — ეტრურიის პატარა ქალაქი. თავისი მოქმედებ-ს ბაზად კატილინამ ეტრურია იმიტომ აირჩია, რომ იქაური მოსახლეობა უკმაყოფილო იყო, რადგან სულამ ჩამოართვა მიწები თავისი ვეტერანებისთვის დასარიგებლად.

218. სემპრონია იმავე საგვარეულოს ეკუთვნოდა, რომელსაც ძმები გრაკხები ეკუთვნოდნენ. იგი გათხოვილი იყო დეციმუს იუნიუს ბრუტუსზე. ამათი შვილი იყო დეციმუს იუნიუს ალბინი, ცეზარის ერთ-ერთი მკვლელთაგანი.

სემპრონია კატილინას შეთქმულების თვალსაჩინო მონაწილეა. მის სახლში ხშირად იკრიბებოდნენ შეთქმულნი. აქვე მოიწვიეს მათ მოსალაპარაკებლად ალობროგთა ელჩები, რომლებიც უნდოდათ თავისკენ გადმოებირებიათ.

219. სემპრონიას უარყოფითი დახასიათება აიხსნება სალუსტის. როგორც მკაცრი მორალისტის, იმდროინდელი რომაელი ქალების ცხოვრებისადმი კრიტიკული დამოკიდებულებით. სემპრონია განათლებულ რომაელ ქალთა თვალსაჩინო წარმომადგენლად მოჩანს.

220. კატილინას ასრად ჰქონდა ციცერონისა და არისტოკრატიული პარტიის სხვა წარმომადგენელთა დახოცვა. ამ განზრახვის შესრულებას ის ფიქრობდა კონსულების არჩევნების დროს 20 ოქტომბერს (63 წ. ჩვ. აღ-მდე). მაგრამ ციცერონმა შეიტყო ეს და არჩევნები 28 ოქტომბრისთვის გადასდო. ხოლო 21-ს მოიწვია სენატის საგანგებო სხდომა. სენატმა გამოიტანა დადგენილება, რომლითაც რომსა და მთელ იტალიაში სამხედრო წესები ცხადდებოდა.

221. შეთქმულთა უჯრედები ლაციუმსა და რომში ბლომად ყოფილა.

222. 100.000 სესტერციუმი უდრის 6000 მანეთს.

223. ლაპარაკია რომში მყოფ გლადიატორებზე, რომლებიც მონაწილეობას იღებდნენ საგლადიატორო ბრძოლებში. რადგან მოსალოდნელი იყო, რომ ისინი კატილინას მოძრაობას მიემხრობოდნენ, ამიტომ ისინი რომიდან გაიყვანეს და სხვადასხვა ადგილებში მიმოფანტეს.

224. იგულისხმებიან პოლიციის მოხელენი, რომელთა მოვალეობასაც ქალაქში წესრიგის დაცვა შეადგენდა.

225. ეს კანონი მიღებულ იქნა 78 წელს (ჩვ. წ. აღ-მდე) სახალხო ტრიბუნ მარკუს პლაეტ სილვანის მიერ; კანონი სასტიკ პასუხისმგებლობას აკისრებდა იმას, ვინც შეიარაღებული ძალით დაარღვევდა საზოგადოებრივ მშვიდობას.

226. იგულისხმება კატილინას წინააღმდეგ პირველი სიტყვა, რომელიც მან (ციცერონმა) წარმოსთქვა 8 ნოემბერს სენატის სხდომაზე.

227. კურია — სენატის სხდომების ადგილი.

228. იგულისხმება 8 ნოემბრის ღამე.

229. პროკონსული მარციუსი ამ დროს უკვე ჯარით მიემართებოდა ფეზულში კატილინას მომხრეთა წინააღმდეგ.

230. იგულისხმება 326 წლის კანონი, რომლითაც მევახშეებს ეკრძალებოდათ მოვალეების ყმად გადაქცევა და მათთვის ქონების მთლიანად ჩამორთმევა.

231. რომში სასამართლო საქმეები პრეტორს ექვემდებარებოდა. რადგან მევახშეებს დიდი გავლენა ჰქონდათ, ამიტომ სავალო საქმეების უმრავლესობას პრეტორი მევახშეების სასარგებლოდ წყვეტდა.

232. რადგანაც მოსახლეობის ფართო წრეების დიდი დავალიანება საზოგადოებაში მძიმე მდგომარეობასა ჰქმნიდა, ამიტომ ზოგჯერ თვით სახელმწიფო იძულებული ხდებოდა საქმეში ჩარეულიყო. მაგ., 86 წ. კონსულ ლეციუს ვალერი ფლაკის კანონით მოვალეებს ეფლება ეძლეოდათ აღებული ვალის ანგარიშში ყოველ ერთ ვერცხლის სესტერციუსში გადაეხადათ მხოლოდ მისი ღირებულების მეოთხედი სპილენძის ასსის სახით.

233. მასილია — ებლანდელი მარსელი — ბერძნების ძველი კოლონია იყო, რომელსაც თვითმმართველობა ჰქონდა მინიჭებული; კეთილმოწყობილი და კულტურული ქალაქი იყო. წარჩინებული რომაელები ხშირად ირჩევდნენ მას ნებაყოფლობით გაძევების დროს თავიანთ ადგილსამყოფელად.

234. ლიქტორებს, რომლებიც წინ უძღოდნენ კონსულს, მხარზე გადებული ჰქონდათ სახრეების კონა.

235. კონსულის ხელისუფლების სხვა ნიშნები იყო: ძოწეულშემოვლებული ტოგა; საჯურულო საჯარძელი და სპილოს ძვლის კვერთხი. რათა თავისი მოქმედებისთვის კანონიერი იერი მიეცა, კატილინამ მიითვისა კონსულის ხელისუფლება; ამით მას უნდოდა ეჩვენებია, რომ იგი მოქმედებს უზურპატორთა წინააღმდეგ ხალხის მოთხოვნითა და დავალებით.

236. ლაპარაკია იმაზე, რომ სულას პროსკრიპციების შედეგად სენატორთა რიცხვი შემცირდა. განთავისუფლებულ ადგილებზე სულამ სენატორებად დანიშნა თავისი ოფიცრები და ჯარისკაცები.

237. იგულისხმება ე. წ. გაბოძებანი, როდესაც სახელმწიფო აწყობდა მოსახლეობისთვის დაპურება-გამასპინძლებას, გლადიატორთა ბრძოლასა და სხვადასხვა თამაშობებს. ყველაფერს ამას ხელმძღვანელობდნენ სახელმწიფო მოხელეები — ედილები.

ამის გვერდით არსებობდა აგრეთვე კერძო პირთა გაბოძებანი, ის პირნი, რომელნიც რომელიმე თანამდებობის მიღების სურვილით იყვნენ გატაცებული, უხვად უმასპინძლდებოდნენ ხალხს და ამით თავის არჩევას უზრუნველჰყოფდნენ. ასეთი საქციელი ოფიციალურად განკიცხული იყო და უკანონოდაც ითვლებოდა.

238. ცნობილი რომაული patria potestas (მამის უფლება) საფუძველზე.

239. უმბრენი გაახატებული (libertinus) იყო.

240. ალობროგები — გალების ერთი ტომი, რომელიც რომაელებმა ჩვ. წ. აღ-მდე 121 წ. დაიპყრეს.

რომაელმა მოხელეებმა და მევახშეებმა მთლად გააჩანაგეს ეს მხარე და იგი რომაელ ბანკირებისაგან დამოკიდებული გახადეს. ლენტულუსი ვარაუდობდა, რომ იგი აქვეულად ჩაითრეოდა ალობროგებს კატილინას მიერ წამოწყებულ მოძრაობაში, ამიტომ მათ ელჩებთან გამართა მოლაპარაკება.

ელჩები რომში ჩამოსულნი იყვნენ იმ მიზნით, რათა ცდილიყვნენ სენატში ალობროგებისთვის გალების შემცირებას.

241. ალობროგები შეჰპირდნენ ცხენოსანი რაზმის გამოგზავნას.

242. ალობროგები იმედოვნებდნენ, რომ თუ ისინი შეთქმულებას გასცემდნენ, რომის სენატი მათ უხვად დააჯილდოვებდა და იქნება მათი ვალებიც შეემცირებია.

243. ლეგატი (legatus) ეწოდებოდა მთავარსარდლის ან პროვინციის მმართველის თანაშემწეს. ზოგჯერ სენატი სპეციალური დადგენილებით პროვინციის გამგებლად ან ომის საწარმოებლად ნიშნავდა ცალკე ლეგატს; ასეთი უფლებით იყო აღჭურვილი გალიის მმართველი კვინტუს მურენა, რომელიც ძმა იყო 62 წლისთვის კონსულად არჩეულ ლუცინიეს მურენასი.

244. იგულისხმებიან გლადიატორები და მონები.

245. ნაყარაუდევი იყო დეკემბრის სამი.

246. ასე იწოდებოდა ხიდი მდ. ტიბრზე, რომელიც რომიდან გალიისაკენ მიმავალ ალობროგებს უნდა გაევლოთ.

247. ცეპარიესი იყო ლაციუმის ქალაქ ტერაცინადან. იგი თვალსაჩინო მონაწილეობას იღებდა შეთქმულებაში. მას დავალებული ჰქონდა ალპანყუბია აპენინის მწყემსი მოსახლეობა.

248. რომის რესპუბლიკაში კანონით აკრძალული იყო უმაღლესი სახელმწიფო ხელის დაპატიმრება. რადგანაც ლენტელუსი პრეტორი იყო (პრეტორობა კი უმაღლესი ხელისუფლება იყო), ამიტომ კონსულს თვითონ მოუბდა მისი წაყვანა სენატში.

249. ალობროგების ელჩების დაპატიმრებასთან დაკავშირებით მოწვეული სენატის სხდომა მიმდინარეობდა იმ დღით (3 დეკემბერს) თანხმობის ტაძარში.

იმ დროს სენატორთა რიცხვი 600-ს უდრიდა; სენატის დადგენილება მით უფრო მტკიცე იყო, რაც წევრთა მეტი რაოდენობა ესწრებოდა.

250. დამბეზღებლისთვის პატიების საკრალურ აღთქმა შეეძლო მხოლოდ სენატს, ან მისი დავალებით — კონსულს.

251. რომში ცნობილი იყო სიბილას სამეთხაო წიგნები (3 ტ.), რომლებიც შეიცავდა რომის მომავალი ბედ-იღბლის შესახებ წინასწარმეტყველებას. ამ წიგნებს რომაელები დიდი პატივით ეპყრობოდნენ და მათ იუპიტერის ტაძარში ინახავდნენ. გადმოცემის თანახმად, ისინი მეფე ტარკვინიუს ამაყს თვით მკითხავ ქალ სიბილასაგან შეუძენია.

252. ჰარუსპიციები — მკითხაობა სამსხვერპლო ცხოველთა შიგნეულობაზე დაკვირვებით. მკითხაობის ამ წესში დახელოვნებული იყვნენ ეტრუსკები და რომშიც მათგან გავრცელდა იგი.

253. წარჩინებულთა წრის დაშნაშავე რომაელებს მათი საქმის გარჩევამდე ნარჩენებულ ოჯახებსვე ჩააბარებდნენ ხოლმე თავდებობით.

254. ჯილდოს დანიშნა გამცემლებისთვის მოხდა 4 დეკემბრის სხდომაზე.

255. ეს იყო კატონ უფროსის შვილიშვილის შვილი. 62 წლისთვის ტრიბუნად იყო არჩეული. პატიოსანი და მტკიცე ხასიათის კაცი იყო. იგი ვერ შეურიგდა ცეზარის გამარჯვებასა და რესპუბლიკის დაცემის შესახებ ახრს და თავი მოიკლა აფრიკის ქალაქ უტიკაში. რის გამოც მას ამის შემდეგ იხსენიებენ როგორც „უტიკელს".

256. რადგან რომაელი კონსული ორ ლეგიონს სარდლობდა ჩვეულებრივ, კატილინამაც ამის მიბაძვით შეადგინა ორი ლეგიონი.

257. კოჰორტაში უნდა 600 კაცი ყოფილიყო, მაგრამ ხალხის სიმცირის გამო კატილინას პირველ ხანს თვითეულ კოჰორტაში მხოლოდ 100 კაცი ჰყავდა.

258. პისტორია ქალაქია ეტრურიაში, ფლორენციის მახლობლად.

259. ეს ბრძოლა მოხდა 62 წლის დასაწყისში სილანისა და მურენას კონსულობაში.

260. პერეგრინები — უცხოელები. ესენი თავისუფალნი იყვნენ, მაგრამ სრული მოქალაქის უფლება (გარდა საკუთრების უფლებისა), მათ არა ჰქონდათ. ამის გამო ისინი საზოგადოებრივ მოძრაობაში ადვილად ებმებოდნენ ხოლმე.

261. სხვა წყაროებით არ დასტურდება პლუტარქეს ეს ცნობა.

262. ლაპარაკია სახალხო ტრიბუნ პუბლიუს სერვილიუს რულუსის აგრარულ კანონპროექტზე, რომლითაც განზრახული იყო იტალიაში კოლონიის მოწყობა უღარიბესი მოსახლეობისათვის. ამის განხორციელება უნდა დაევალებიათ კომისიისათვის ათი კაცის შემადგენლობით.

263. სენატის ეს სხდომა 8 ნოემბერს იყო. აქ წარმოთქვა ციცერონმა თავისი პირველი სიტყვა კატილინას მიმართ.

264. ე. ი. ციცერონი და 62 წლისთვის ახლად არჩეული ორი კონსული სილანი და მურენა.

265. 3 დეკემბრის სენატის სხდომის შემდეგ იმისდა მიუხედავად, რომ უკვე გვიანი ყამი იყო, ციცერონმა ფორუმზე ხალხის წინაშე წარმოთქვა კატილინას წინააღმდეგ მესამე სიტყვა, რომლითაც ხალხს შეკმნილი ვითარება აცნობა.

266. რომაელი პანთეონის ღვთაება „კეთილი ქალღმერთი" (Bona Dea) ბერძნულ ღვთაება დემეტრას მიემსგავსებოდა. მისი დღეობა იმართებოდა დეკემბრის პირველ დღეებში. ამ დროს რომაელი ოჯახის ქალები (გათხოვილი) იკრიბებოდნენ ვესტას მსახურ ქალთა თანადასწრებით უმაღლესი მოხელის (კონსულის ან პრეტორის) სახლში და აღავლენდნენ ღოცვა-ვედრებას. ამ შეკრების დროს იქ შესვლა შემაკაცებს სასტიკად ეკრძალებოდათ.

267. სენატის სხდომა, რომელზედაც ირჩეოდა შეთქმულთა დასჯის საკითხი, შედგა დეკემბრის 5-ს.

268. წინამავალ 65 და 64 წლებში კატილინას ასეთი ცდა მარცხით დამთავრდა.

269. ზოგიერთ რომაელ უმაღლეს მოხელეთა და ქურუმთა სამოსი, რომელიც ძეგრი შალის ნახევრად რგვალ ნაჭერს წარმოადგენდა.

ს ა რ ჩ ე ვ ი

	გვ.
წინასიტყვაობა	3
კილონის აჯანყება	4
სოლონის კანონმდებლობა	6
პიზისტრატე და პიზისტრატიდები	14
კლისთენე	26
ოსტრაკიზმი	28
ატიკა-დელოსის კავშირი .	31
პერიკლეს მოღვაწეობა . .	34
ათენელთა სახელმწიფო წყობილება	44
ლეგენდა რომის დაარსების შესახებ .	86
ტრიბუნატის წარმოშობა	89
პუნიკური ომები	97
რომის პროვინციების ექსპლოატაცია	108
მონათა მდგომარეობა და მონათა რევოლუცია	110
გრაკხების მოძრაობა	118
სპარტაკის აჯანყება .	143
კატილინას შეთქმულება	153
პირველი ტრიუმვირატი	198
მეორე ტრიუმვირატი	204
მითრიდატეს ომები	208
სერტორიუსი	281
შენიშვნები	303

ა. ორექტორი თ. ხატიაშვილი
კონტროლ.-კორექტორი შ. ურდია

***

გადაეცა წარმოებას 1951 წ. 16/III. ხელმოწერილია დასაბეჭდად 1951 წ. 25/VI. ქაღალდის ზომა 70×94. წიგნის ანაწ. ზომა 6¹/₃ × 10¹/₂. ტირაჟი 2000. გამომც. შეკვ. 14. სტაძბის შეკვ. № 113. უე. 03340.

***

საავ.-საალრ. ფორმათა რაოდენობა 20.
სასტამბო ფორმათა რაოდენობა 20.

***

სტალინის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობის სტამბა, უნივერსიტეტის ქ., 1.